780
1992/2

ISSN 0134-9848

# საუნჯე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1992/1 იანვარი-თებერვალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუნჯე

1992/1
იანვარი
თებერვალი
(103)

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

ანდრეი პლატონოვი. ჩევენგური. რომანი. დასასრული. თარგმნა გივი კიკილაშვილმა — 3

ბლაგა დიმიტროვა, იანა მორავცოვა. ლექსები. თარგმნა მედეა კახიძემ — 80

მიგელ ოტერო სილვა. როცა მეტირება, არ ვტირი. ესპანურიდან თარგმნა თეა გვახალიამ — 90

ივან დრაჩი. ლეონარდო და ვინჩი. ნაწყვეტები სიმფონიიდან. უკრაინულიდან თარგმნა ხოხო ჩოჩიამ — 187

ჰენრიკ იბსენი. როსმერსჰოლმი. პიესა. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ — 192

### წერილები

ბჰაგვან შრი რაჯნიში. ტანტრა. უდიდესი შეცნობა. გაგრძელება. თარგმნა მერაბ ზერგაიანმა — 254

ნიკოლაი ბერდიაევი. თვითშემეცნება. თარგმნა ზეინაბ სარაძემ — 282

ლია თაქვარელია. გოეთეს რომანი. „სულთა ნათესაობა" — 308

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი

# «САУНДЖЕ»

## ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1992 № 1
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიშნიანიძე

ზიზი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)

ნანა დვარჩია (პ. მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:
ჯემალ აჯიაშვილი
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნოდარ ბურჯიძე
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
რეზო კალანდია
გიორგი ნიშნიანიძე
დალი ფანჯიკიძე
ნიკო ყიასაშვილი
დავით წერედიანი

გარეკანზე: ტიციანი. მონანიე მარიამ მაგდალინელი.

მხატვარი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი ნანა ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-36-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარმ. 5. 12. 91 წ., ხელმოწ. დასაბეჭდად 5. 05. 92 წ., ქაღალდის ზომა 70X108 1/16
საღრ. თ. 25,51. საბ. თ. 28. სააღრიცხვო-საგამ. თ. 28,7. ტირ. 7100. შეკვ. № 2197.

ფასი 5 მან.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა,
380008, თბილისი, მ. კოსტავას 14.

# ანდრეი პლატონოვი

# ჩევენგური

რომანი

თარგმნა ბიჭი კიკილაშვილმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათემ ჩევენგურის ეკლესიის ზარებით სააღდგომო ცისკრის ლოცვა ამღერა — „ინტერნაციონალის“ ამღერება არ შეეძლო, თუმცა ჯილაგით პროლეტარი იყო, ხოლო მნათეობა მხოლოდ ერთ-ერთი იმ პროფესიათაგანი გახლდათ, რაც წარსულში ჰქონდა. წვიმა მთლად ჩამოიცალა, ჰაერი ჩამყუდროვდა და იქაურობას მიწის წიაღში დაგროვილი, ქანცმილეული სიცოცხლის სურნელება ბედინა. ზარების მუსიკა, ისევე როგორც ღამეული ჰაერი, ჩევენგურელ კაცს გულში სურვილს აღუძრავდა, თავის ყოფას განრიდებოდა და მომავლისკენ ესწრაფა: ხოლო რადგანაც ადამიანს ქონებისა და იდეალების ნაცვლად მარტოოდენ ტიალი სხეული გააჩნდა, წინ კი მხოლოდ რევოლუცია იყო, ამის გამო ზარების ჰანგი მათ შემწყალებლობასა და მშვიდობისმოყვარეობას კი არ უნერგავდა, მღელვარებისა და სურვილთა აღსრულებისკენ მოუწოდებდა. ჩევენგურში ხელოვნება არ არსებობდა, რის გამოც ჩეპურნი ერთხელ უკვე დანაღვლიანდა, სამაგიეროდ, ყოველი მელოდიური ბგერა, თუნდაც ზეცისკენ, უსიტყვო ვარსკვლავეთისკენ აღმავალი, თავისუფლად გარდაიქმნებოდა რევოლუციის შეხსენებად, საკუთარი და კლასობრივი, აღუსრულებელი დღესასწაულის სინდისიერებად.

მნათე დაიქანცა და დასაძინებლად სამრეკლოს იატაკზე დაწვა. მაგრამ კოპიონკინი ყოველგვარ შეგრძნებას გულში დიდხანს — მრავალ წელს ინარჩუნებდა: მას უნარი არ შესწევდა, სხვა ადამიანებისთვის თავის შეგრძნებათაგან რაიმე ეწილადებინა, მხოლოდ ეს შეეძლო, საკუთარ სხეულში არსებული სასიცოცხლო ძალა იმაზე დაეხარჯა, რომ სევდით აღვსილიყო და ეს სევდა სამართლიან საქმეთა აღსრულებით გაექარვებინა. ზარების ჰანგი როცა გაიგონა, სხვა არაფრისთვის დაუცდია, პროლეტარულ ძალაზე ამხედრდა და ჩევენგურის რევკომი ისე დაიკავა, წინააღმდეგობას არ შეხვედრია. რევკომი იმავე ეკლესიაში იყო მოთავსებული, სადაც ზარებს რეკავდნენ. ეს უკეთესიც გახლდათ. კოპიონკინმა ეკლესიაში გათენებამდე შეიცადა, ხოლო შემდეგ რევკომის ყველა საქმისა და ქაღალდების კონფისკაცია მოახდინა; რათა ეს განეხორციელებინა, საქმის წარმოებაში არსებული ყველა ქაღალდი ერთად გამოკრა, ხოლო ზემოთა ქაღალდს წააწერა: „ამას იქით მოქმედება შეჩერდეს, წასაკითხად გადაეცეს მოსულ პროლეტარებს. კოპიონკინი“.

რევკომში შუადღემდე არავინ გამოცხადებულა, ხოლო კოპიონკინის ცხენი წყურვილისაგან ხვიხვინებდა, მაგრამ კოპიონკინმა ჩევენგურის ხელში ჩაგდების გულისთვის აიძულა, რომ გატანჯულიყო. შუადღისას ტაძარში პროკო-

---

1. დასასრული. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 2, 3-4, 5-6.

ფი შემოვიდა; კარიბჭეს როცა გამოსცდა, იღლიიდან პორტფელი გამოიღო, დაწესებულებაში პორტფელით ჩაიარა და საკურთხევლისკენ გაემართა, რათა იქ სამუშაოდ დამჯდარიყო. კოპიონკინი ამბიონზე იდგა და პროკოფის უცდიდა.

— მობრძანდი? — ჰკითხა მან პროკოფის. — მანდ[illegible] მომიცადე.

პროკოფი დაემორჩილა, რადგან იცოდა, რომ ჩვენ[illegible]სრიგებული სახელმწიფო არ არსებობდა, გონიერ ელემენტებს ჩამორჩენილ კლასთან ერთად უნდა ეცხოვრათ და თავის ხელქვეით ნელ-ნელა მოექციათ.

კოპიონკინმა პროკოფის პორტფელი და ორი ქალის რევოლვერი ჩამოართვა, შემდეგ კი საკურთხევლის კარიბჭისკენ გაიმძღვარა, რათა დაეპატიმრებინა და იქ ჩაემწყვდია.

— ამხანაგო კოპიონკინო, რევოლუციის მოხდენა განა შეგიძლია? — ჰკითხა პროკოფიმ კოპიონკინს.

— შემიძლია, ხომ ხედავ, რომ ამას ვაკეთებ.

— საწევრო ანარიცხებს თუ იხდიდი? შენი პარტბილეთი მაჩვენე!

— არ გაჩვენებ, შენ ხელისუფლება მოცემული გქონდა, მაგრამ ღატაკი ხალხი კომუნიზმით ვერ უზრუნველყავი. შედი საკურთხეველში, დაჯექი და იცადე.

წყურვილისაგან შეწუხებულმა კოპიონკინის ცხენმა დაიჭიხვინა, ჰოდა, პროკოფი კოპიონკინს მოსცილდა, შემკრთალმა უკან დაიხია და საკურთხევლის კარიბჭის იქით შევიდა. კოპიონკინმა სეფისკვერის კარადაში წანდილით სავსე ჯამი იპოვა, პროკოფის კარიბჭის ქვემოთ შეუცურა, რათა მას საჭმელი ჰქონოდა, მერე კარიბჭის სახელურში ჯვარი გაუყარა და პატიმარი საკურთხეველში ჩაამწყვდია.

პროკოფი კოპიონკინს კარის ჩუქურთმის ჭრილებიდან გამოჰყურებდა და არაფერს ეუბნებოდა.

— აქ საშა ჩამოვიდა, ქალაქში დადის და შენ დაგეძებს, — უეცრად თქვა პროკოფიმ.

კოპიონკინმა იგრძნო, რომ სიხარულისგან ჰამა მოუნდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა, რომ მტრის წინაშე ეს არ გამოეჩინა და სიმშვიდე შეენარჩუნებინა.

— რაკი საშა ჩამოვიდა, ახლავე გარეთ გამოდი. იმან თვითონ იცის, თქვენ რა უნდა გიყოთ, — ახლა საშიში აღარა ხარ.

ალექსანდრ დვანოვი ქუჩაში მიდიოდა და ჯერ ვერაფერს მიმხვდარიყო — მხოლოდ იმას ამჩნევდა, რომ ჩევენგურში მოსული კაცი თავს კარგად გრძნობდა, მზე ქალაქისა და ველის ზემოთ გაწფენილ უნაყოფო ცაზე ერთადერთ ფერად ბრწყინავდა, სიმწიფემოჭარბებულ ძალას გაალმასებით აფრქვევდა და თავისი ყვავილობის მოელვარე მცხუნვარებას დედამიწის წიაღში ჰირხნიდა. დვანოვს ჩეპურნი თან დაჰყვებოდა, ცდილობდა, კომუნიზმი განემარტა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ბოლოს მზე შეამჩნია და დვანოვს მასზე მიუთითა:

— აგერ, ჩვენი ბაზა ანთია და არა ქრება.

— აბა, სად არის თქვენი ბაზა? — შეხედა ჩეპურნის დვანოვმა.

— აგერ! ჩვენ ადამიანებს არა ვტანჯავთ, მზის ზედმეტი ძალითა ვცხოვრობთ.

— რატომ ზედმეტი ძალით?

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] — იმიტომ, რომ მზეს ზედმეტი ძალა თუ არ ექნებოდა, ქვემოთ არ გამოგზავნიდა და თვითონაც განმავლდებოდა, რაზან ზედმეტია. მაშ ჩვენ [illegible] შევძლებთ, რომ ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებას მოვაწესრიგებთ, [illegible] არა?

[illegible] ჰგავდა ჭკუას — თქვა დვანოვმა. იგი [illegible] ჯდებოდა [illegible] გული მშინის ჩევენგურის ნახვა იმიტომ [illegible] და, რომ [illegible] ამავე იმისთვის, რომ იქ განხორციელებული ძმობა უცნობი [illegible] შეეგრძნო.

[illegible], როგორც დღეს, ისე გაიარა: რუსეთის მიყრუებულ გზებსა და მინდვრებში; კიდევ კიდევ, სოფლები დიდი ხნით ბინდდა და არამცირე ცხენ[illegible] და ქვეითად მავალი მთელი რუსული ბოლშევიკობის განატევაში [illegible]. მთელი ქვეყნის ვაკე ალაგების გაუკაცრიელებული სივრცე [illegible] მოეცა, როგორც მოჭრილ ყანას, სული ამოხდომოდა და დასვენე[illegible] მზე ჩევენგურის ზემოთ აზიდული მთვლემარე ცის წიაღში [illegible] ეწამებოდა. ველზე აღარ მოჩანდნენ საომარ ცხენზე ამხედრებული [illegible] მოკლული, მოკლულის გვამი არავის უძებნია და აღარც მისი სახელი [illegible] ვინმეს; ზოგსაც ცხენი დაემორჩილებინა და მშობლიური სოფლის [illegible] წინ მიუძღოდა. მაგრამ იმჯერად ველისკენ კი არა, უკეთესი [illegible] ველზე თუ ვინმე მაინც გამოჩნდებოდა, თვალს აღარავინ ადევნებდა — ეს ვინმე უბრალოდ, მშვიდი კაცი გახლდათ, თავისი საზრუნავი რომ ჰქონდა და ცხენით გვერდზე ჩაივლიდა. გოპნერთან ერთად ჩევენგურში ჩასულმა დვანოვმა გზად ნახა, რომ ბუნებას ადრინდელი მშფოთვარება აღარ ეტყობოდა, ხოლო გზისპირა სოფლებს ხიფათი და უბედურება განშორებოდა: რევოლუციამ იმ ალაგებში ჩაიარა, მინდვრები მშვიდი სვლისათვის მიენებებინა, ხოლო თავად სადღაც გადახვეწილიყო, თითქოს განვლილ გზებზე დაქანცულიყო და ადამიანის მხელ წიაღს შეჰფარებოდა. ქვეყნიერება საღამოს დაემგვანებოდა და დვანოვმა იგრძნო, რომ მის არსებაშიც, სადღაც, საღამო — სიმშვიდის, შეძინილების ანდა სინანულის ჟამი ჩამოდგებოდა. თავისი ცხოვრების ამგვარი საღამო დვანოვის მამამ იმით დაასრულა, რომ [illegible] ტბის წიაღში სამუდამოდ გაუჩინარდა, რადგან სურდა. შემდგომში [illegible] დვანოვს საკუთარი თავი არც ისე ძალიან უყვარდა. [illegible] პირადი არსებობისათვის კომუნიზმი მოეპოვებინა. მაგრამ ყველასთან ერთად წინ მიემართებოდა, რადგანაც ყველანი მიდიოდნენ და მარტო დარჩენა საშიში იყო; ხალხთან ყოფნა იმიტომ უნდოდა, რომ მამა და საკუთარი ოჯახი არ გააჩნდა. ჩეპურნის კი, პირიქით, კომუნიზმი ისე ტანჯავდა, როგორც დვანოვის მამას სიკვდილის შემდგომი არსებობის საიდუმლო. ჰოდა, ჩეპურნიმ დროთა საიდუმლოს ველარ გაუძლო და ისტორიის ხანგრძლივობა ჩევენგურში კომუნიზმის სასწრაფო მოწყობით შეწყვიტა, — ისევე როგორც მებადურმა დვანოვმა თავისი არსებობა ველარ აიტანა და სიკვდილად აქცია, რათა სიკვდილის სილამაზე წინასწარ განეცადა. მაგრამ დვანოვს მამა ძვირფასად იმიტომ კი არ მიაჩნდა, რომ მას ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა. ხოლო ჩეპურნი იმიტომ კი არ მოეწონა, რომ იგი კომუნიზმის დაუყოვნებლივ დადგომას ელოდებოდა — მამა აუცილებლად ესაჭიროებოდა, როგორც პირველი დაკარგული მეგობარი, ხოლო ჩეპურნი, როგორც უთვისტომო ამხანაგი, ვისაც ხალხი კომუნიზმის გარეშე არ გაეკარებოდა. დვანოვს მამა, კოპიონკინი, ჩეპურნი და მრავალი გარეშე იმის გამო უყვარდა, რომ მათ მამამისის მსგავსად დაღუპვ-

და ამქვეყნად არსებობის მოუთმენლობა, ხოლო თვითონ უცხოთა შორის მარტოდმარტო დარჩებოდა.

დვანოვს გაახსენდა მოხუცი ზახარ პავლოვიჩი, ვისაც სული ძლივსღა ედგა. „საშა, — ეუბნებოდა ხოლმე იგი დვანოვს, — ამქვეყნად რამე გააკეთე, ხომ ხედავ, ადამიანები ცოცხლობენ და იღუპებიან. ჩვენ ხომ სულ ცოტა რაღაც გვინდა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოდა, დვანოვმა გადაწყვიტა, რომ ჩევენგურამდე მიეღწია, კომუნიზმის რაობა შეეტყო და ზახარ პავლოვიჩთან დაბრუნებულიყო, რათა დახმარებოდა მასაც და სხვებსაც, ვისაც სული ძლივსღა ედგა. მაგრამ ჩევენგურში კომუნიზმი გარედან არ ჩინდა, ალბათ ხალხში იყო ჩამალული, — დვანოვმა ვერსად ნახა, — ველი უკაცრიელი და გამოცარიელებული ჩანდა, ხოლო სახლებთან ახლოს აქა-იქ ისხდნენ ნამძინარევი გარეშენი. „დასრულდა ჩემი ახალგაზრდობა, — ფიქრობდა დვანოვი, — ჩემს არსებაში სიმშვიდეა და მთელს ისტორიაშიც საღამო ჩამოდგა“. იმ რუსეთში, სადაც დვანოვი ცხოვრობდა და დადიოდა, სიცარიელესა და მოქანცულობას დაესადგურებინა: რევოლუციამ ჩაიარა, მისი მოსავალი აიღეს და ადამიანები ახლა მომწიფებულ ნაყოფს მდუმარედ შეექცეოდნენ, რათა კომუნიზმი სხეულში სამუდამოდ შეზრდოდათ.

— ისტორია სევდიანია, რადგან იგი დროა და იცის, რომ დაივიწყებენ, — უთხრა დვანოვმა ჩეპურნის.

— რა მართალია, — გაუკვირდა ჩეპურნის. — მე თვითონ როგორ ვერ შევამჩნიე! ამიტომაცაა, საღამოობით ჩიტები რომ არ გალობენ, მარტო ჭრიჭინები ჭრიჭინებენ: ამას ხომ გალობა არ ეთქმის! ჩვენთანაც ერთთავად ჭრიჭინების ჭრიჭინი გაისმის, ჩიტები კი ცოტანი არიან, იმიტომ რომ ჩვენთან ისტორია-დასრულდა! ეს რა მითხარი, გეთაყვა — ამის ნიშნები რა იყო, ჩვენ არ ვიცოდით!

კოპიონკინი დვანოვს უკანიდან წამოეწია: მას შეგობრული გრძნობები მოეძალა, საშას ხარბად დააცქერდა, თვალი ველარ მოაცილა და ცხენიდან ჩამოხტომა გადაავიწყდა. პროლეტარულმა ძალამ დვანოვს პირველმა შეჰხვიხვინა, მაშინ კოპიონკინიც ჩამოქვეითდა. დვანოვი კუშტი სახით იდგა. კოპიონკინის მიმართ გრძნობათა მოჭარბებისა რცხვენოდა, ამ გრძნობების გამოვლენას ერიდებოდა; შიშობდა, არ შემცდარიყო.

ამხანაგებს შორის იდუმალ ურთიერთობათა მიმართ კრძალვას კოპიონკინიც გრძნობდა, მაგრამ იგი გამხიარულებული ცხენის ჰიხვინმა გაამხნევა.

— საშა, — უთხრა დვანოვს კოპიონკინმა, — მაშ ჩამოხვედი?.. მოდი, ერთი გადაგკოცნო, რომ სურვილმა მალე გამიაროს და აღარ ვიტანჯო.

კოპიონკინმა დვანოვი გადაკოცნა, მერე ცხენს მიუბრუნდა და ხმადაბლა დაუწყო ლაპარაკი. პროლეტარული ძალა კოპიონკინს ეშმაკურად და უნდობლად უცქეროდა. ცხენმა იცოდა, რომ პატრონი უდროოდ ელაპარაკებოდა, და ამიტომ მისი არ სჯეროდა.

— ნუ მიყურებ, ხომ ხედავ, რომ გული ამიჩუყდა! — წყნარად ესაუბრებოდა ცხენს კოპიონკინი. მაგრამ ცხენი კოპიონკინს დინჯ მზერას არ აშორებდა და დუმდა. — ცხენი კი ხარ, მაგრამ სულელი ბრძანდები, — უთხრა კოპიონკინმა, — წყალი ხომ გწყურია, მაშ რატომღა დუმხარ?

ცხენმა ამოიხვნეშა. „ახლა კი დავიღუპე, — გაიფიქრა კოპიონკინმა. — ჩემი შემხედვარე ეს წუწკალიც კი იხრავს!“

— საშა, — მიუბრუნდა იგი დვანოვს, — რამდენი წელი გავიდა მას შემ-

დეგ, რაც ამხანაგი ლუქსემბურგი გარდაიცვალა? ახლა ვდგავარ და როზას ვიხსენებ — ის ხომ დიდი ხანია, ცოცხალი აღარაა.

კოპიონკინმა მისი ხმა ძლივს გაიგონა და შეშინებული შემოტრიალდა. დვანოვი უხმოდ ტიროდა, სახეს არ იწმენდდა და ცრემლები დროდადრო მიწაზე სცვიოდა, — ჩეპურნისა და კოპიონკინისგან იგი პირს ქვემოთ მიაბრუნებდა.

ბიბლიოთეკა

— ვთქვათ, ცხენს შეიძლება აპატიო, — უსაყვედურა ჩეპურნის კოპიონკინმა. — მაგრამ შენ ხომ კაცი ხარ — განა არ შეგიძლია, რომ წახვიდე?

კოპიონკინმა ჩეპურნი ტყუილუბრალოდ გაანაწყენა: იგი მთელი ამ ხნის მანძილზე დამნაშავესავით იდგა და ცდილობდა, მოესაზრებინა, ამ ორ კაცს რით დახმარებოდა. „კომუნიზმში არიან და რაღას დარდობენ, ნუთუ კომუნიზმი ეცოტავებათ?“ — ფიქრობდა შეწუხებული ჩეპურნი.

— შენ ისევ ასე იდგები? — ჰკითხა მას კოპიონკინმა. — ახლახანს რევკომი ჩამოგართვი, შენ კი მაინც თვალს არ მაშორებ!

— რევკომი შენთვის დამითმია, — პატივისცემით უპასუხა ჩეპურნიმ. — მისი დახურვა თვითონაც მინდოდა — ამისთანა ხალხში ხელისუფლება აღარ გვესაჭიროება!

ფიოდორ ფიოდოროვიჩ გოპნერმა გამოიძინა, მთელი ჩევენგური შემოიარა და სამაზრო ქალაქში ქუჩების უქონლობის გამო გზააკვალი აებნა. რევკომის თავმჯდომარის, ჩეპურნის მისამართი იქაურ მოსახლეთაგან არავინ იცოდა, სამაგიეროდ, ის იცოდნენ, ამჟამად სადაც იმყოფებოდა, — და გოპნერი ჩეპურნისთან და დვანოვთან მიიყვანეს.

— საშა, — უთხრა დვანოვს გოპნერმა, — მე აქ რაიმე ხელობის ვერავითარი კვალი ვერა ვნახე, მუშა კაცისთვის აქ ცხოვრებას აზრი არა აქვს.

ჩეპურნი თავდაპირველად განაწყენდა და ერთხანს შეცბუნებული იდგა, მაგრამ შემდეგ გაახსენდა, ჩევენგურში ხალხს რით უნდა ეცხოვრა, და გოპნერის დამშვიდებას შეეცადა:

— ამხანაგო გოპნერო, აქ ყველას ერთი პროფესია აქვს — სული, ხოლო ხელობად ჩვენ ცხოვრება დავაწესეთ. რას იტყვი, ამას არა უშავს?

— არა უშავს კი არა, ნამდვილად საძაგლობაა, — უმალვე უპასუხა კოპიონკინმა.

— კარგი, ვთქვათ, არა უშავს, — უთხრა ჩეპურნის გოპნერმა. — მაგრამ ადამიანებს ერთიმეორის გვერდით რა აჩერებს, გაუგებარია. რით, ერთმანეთზე ნერწყვით შეაწებე, თუ მარტო დიქტატურით გყავს შეკრული?

ჩეპურნის, როგორც პატიოსან კაცს, ჩევენგურში კომუნიზმის აღსრულების თაობაზე უკვე ეჭვი შეეპარა, თუმცაღა მართალი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ყველაფერს თავისი ჭკუის მიხედვით და ჩევენგურელთა კოლექტიური გრძნობის შესაბამისად აკეთებდა.

— ამ სულელს თავი გაანებე, — უთხრა გოპნერს კოპიონკინმა. — ამან აქ სიკეთის მაგივრად სახელის მოხვეჭას მისცა გასაქანი. ამისი ზოგადი პირობების შედეგად ამ ქალაქში ბავშვი გარდაიცვალა.

— შენთან მუშათა კლასს ვინ წარმოადგენს? — ჰკითხა ჩეპურნის გოპნერმა.

— ამხანაგო გოპნერო, ჩვენს ზემოთ მზეა გაბრწყინებული, — წყნარი

ხმით აუწყა მას ჩეპურნიმ. — ადრე ექსპლუატაციის ჩრდილი ელობებოდა. ჩვენთან კი აღარ ელობება და ამიტომ მზე შრომობს.

— რა გგონია, შენთან კომუნიზმი მოგვარებულია? — ჰკითხა გოპნერმა.

— ამხანაგო გოპნერო, აქ კომუნიზმის გარდა სხვა [illegible] — სევდიანად განმარტა ჩეპურნიმ, თან დაძაბულად ფიქრობდა, [illegible] შემცდარიყო.

— ჭერჭერობით ვერ მიგრძვნია, — თქვა გოპნერმა.

დვანოვი ჩეპურნის ისეთი თანაგრძნობით უცქეროდა, რომ მისი დაძაბული პასუხების მოსმენისას სხეულში ტკივილსა გრძნობდა. „ამ კაცს უჭირს, მისთვის შედეგი უცნობია, — ხედავდა იგი, — მაგრამ იქით მიემართება, საითაც საჭიროა, და ისე მიემართება, როგორც შეუძლია".

— ჩვენ ხომ არ ვიცით, კომუნიზმი როგორია. — თქვა დვანოვმა. — ამიტომ ვერც იმას შევძლებთ, რომ ერთბაშად დავინახოთ. ამხანაგ ჩეპურნის ნუღარ გავაწვალებთ, მაზე უკეთ არც ჩვენ ვიცით რაიმე.

იაკოვ ტიტიჩი მოსასმენად მოახლოვდა; მას ყველამ შეხედა, მერე დაბნეულები გაჩუმდნენ, რათა იაკოვ ტიტიჩი არ გაენაწყენებინათ, — ყველას მოეჩვენა, რომ იაკოვ ტიტიჩი შეიძლებოდა განაწყენებულიყო იმის გამო, მის გარეშე რომ ლაპარაკობდნენ. იაკოვ ტიტიჩი ერთხანს ჩუმად იდგა, მერე კი თქვა:

— ხალხს არ შეუძლია, წიწიბურას ფაფა მოიხარშოს, იმიტომ რომ ბურღული არსად არის... ხოლო მე მჭედელი ვიყავი — მინდა, სამჭედლო სადმე შორს, გზის პირას გადავიტანო, ამვლელ-ჩამვლელებისთვის ვიმუშავებ, იქნებ ბურღულის საყიდელი ფული ვიშოვო.

— შორს, ველზე, წიწიბურა თავისით არის მოსული, მოაგროვე და ჭამე, — ურჩია იაკოვ ტიტიჩს ჩეპურნიმ.

— სანამ იმ ალაგს მიაღწევ და სანამ მოაგროვებ, უფრო მეტად მოგშივდება, — შეეჭვდა იაკოვ ტიტიჩი, — სჯობს სამჭედლოში რამე გამოვჭედო და საჭმლის ფული ვიშოვო.

— სამჭედლო სადაც უნდა, იქ გადაიტანოს, კაცს საქმეზე გული არ ააყრევინო, — უთხრა ჩეპურნის გოპნერმა.

იაკოვ ტიტიჩი სახლებს შორის საძრომებს გაუყვა და სამჭედლოსკენ გაემართა.

სამჭედლოს ქურაზე, რა ხანია, ძირხვენა ამოსულიყო, ხოლო ძირხვენის ქვეშ ქათმის კვერცხი მოჩანდა. უკანასკნელი ქათამი კირუის, ეტყობა, აქ დაემალა, რათა კვერცხები დაედო, ხოლო უკანასკნელი მამალი სადმე ფარდულის სიბნელეში მოკვდა მამრული სევდისგან.

მზე საშუადღეოდან უკვე შორს გადაიხარა, მიწას დამწვრის სუნი აუდინა. იქაურობა სალამოსპირის ისეთმა სევდამ მოიცვა, როცა ყოველ მარტოდშთენილ ადამიანს სურს, სხვასთან მივიდეს, ანდა, უბრალოდ, მინდვრისკენ გასწიოს, რათა თავისთვის იფიქროს, მთვლემარე ბალახთა შორის იაროს და ამით მთელი დღის მანძილზე მოშლილი მდინარება სიცოცხლისა აღიდგინოს და თავი დაიმშვიდოს, მაგრამ ჩევენგურში მყოფ გარეშეებს არსად წაესვლებოდათ და არც თავისთან მოელოდნენ ვინმეს — ისინი ერთმანეთთან განუშორებლად ცხოვრობდნენ, საზრდოდ გამოსადეგი მცენარეულობის მოსაძებნად ახლომახლო მინდვრებს დღისითვე შემოივლიდნენ ხოლმე და განმარტოებით სად-

მე დარჩენას ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებდა. საშჭედლოში იაკოვ ტი-
ტიჩს ერთგვარი მჭმუნვარება დაეუფლა — სახურავი გახვრეტილიყო, ყველგან
აბლაბუდა ეკიდა, ბევრი ობობა უკვე მომკვდარიყო, მათი მსუბუქი [illegible]მები
ბევრგან მოჩანდა. ეს გვამები ბოლოს მიწაზე ცვიოდა და უსახურ მტვრად იქ-
ცეოდა. იაკოვ ტიტიჩი გზებსა და ეზოებში რაღაც ნაგლეჯებს [illegible]
და აგროვებდა; იმაზე ფიქრი უყვარდა, ეს ნაგლეჯები ადრე [illegible]-
ლიყო. უნდოდა შეეცნო, მათ მიმართ გრძნობას გულში ვინ ატარებდა, ვინ ალ-
მერთებდა! შესაძლოა, ეს ნაშთი იყო ადამიანებისა, ან იმავე ობობებისა, ანდა
მიწაში მძრომი, სახელის უქონელი ჭინჭლებისა, — მთლიანი სხეული არაფერს
შერჩენოდა, ოდესღაც არსებული სულდგმულნი, სიცოცხლეში შვილების სი-
ყვარულით გარემოცულნი რომ იყვნენ, უკვე ამომწყდარიყვნენ, თავიანთი სა-
ხების მსგავსებას მოკლებულ ნაფლეთებად ქცეულიყვნენ, და მათ შემდგომ
ამქვეყნად არსებობისა და ტანჯვისთვის დარჩენილებს მათგან არაფერი შემო-
რჩენოდათ, რასაც დაიტირებდნენ. ჰდა, ყოველივე მოკვდეს, — ფიქრობდა
იაკოვ ტიტიჩი, — მაგრამ მკვდარი სხეული მაინც მთლიანად დარჩეს, კაცს ხე-
ლში რაღაცა მაინც შერჩება. რასაც მოეფერება, რაც ემახსოვრება. თორემ
ქარი ქრის, წყალი მიედინება. ჰოდა, ყველაფერი ქრება და მტვრად იქცევა.
ეს ხომ ცხოვრება კი არა, ტანჯვა-წამებაა. ვინც მოკვდა, ტყუილ-უბრალოდ
მოკვდა და ახლა ეღარავის ითხოვს, ვინც ოდესღაც ცოცხლობდა, ყველანი და-
კარგულნი არიან".

საღამოთი პროლეტარებმა და გარეშეებმა თავი ერთად მოიყარეს, რათა
ძილის წინ ერთმანეთი გაერთოთ და გაემხიარულებინათ. გარეშეთაგან ოჯახი
არც ერთს არ გააჩნდა, იმიტომ რომ ყოველი მათგანი ადრე ისეთი გაჭირვებით
და ქანცის გაწყვეტით არსებობდა, გამრავლებისთვის საჭირო ჭარბი ძალა
სხეულში აღარავის რჩებოდა. იმისათვის, რომ ოჯახი იქონიოს, კაცს თესლი
და მესაკუთრეობის უნარი უნდა გააჩნდეს, ადამიანები კი მარტო თავისი სხე-
ულისათვის სიცოცხლის შენარჩუნებაზე ზრუნვას უნდებოდნენ და არაქათი
გამოლეული ჰქონდათ, ხოლო სიყვარულისთვის აუცილებელ დროს ძილზე ხარ-
ჯავდნენ. მაგრამ ჩევენგურში მყუდროება ჰპოვეს, საკმარისი საზრდო გაუჩნ-
დათ, ამხანაგებისგან კი კმაყოფილების ნაცვლად დანაღვლიანება იგრძნეს.
ადრე ამხანაგები ძვირფასნი მწუხარების გამო იყვნენ. ისინი ველზე ძილსა და
სიცივეში გასათბობად, საზრდოს მოძებნისას ურთიერთდასაზღვევად ესაჭირო-
ებოდათ — საჭმელს ერთი თუ ვერ იშოვიდა, მეორე მოიტანდა, — ამას გარ-
და, ამხანაგები სასურველნი იყვნენ იმისთვის, რომ ერთთავად გვერდით ჰყო-
ლოდათ, რაკიღა არც ცოლი ჰყავდათ, არც ქონება გააჩნდათ, გამუდმებულ
სწრაფვას სულისას ვეროვისთან დაიკმაყოფილებდნენ და ვერ დახარჯავდნენ.
ჩევენგურში ქონება არსებობდა, ველზე პური ველურად ხარობდა, შარშან-
დელი მოსავლიდან ნიადაგში ჩარჩენილი ნაყოფისგან აღმოცენებული ბოსტ-
ნეული იზრდებოდა, — საზრდოს გამო წუხილს, ცარიელ მიწაზე ღამისთევით
ტანჯვას ჩევენგურში არავინ განიცდიდა და გარეშეებმა მოიწყინეს: ისინი ერ-
თიმეორისთვის გაუფასურდნენ და ერთმანეთს უინტერესოდ უცქეროდნენ —
საკუთარი თავისთვისაც უსარგებლონი შეიქნენ, მათ შორის ახლა ურთიერთ-
სარგებლიანობის არავითარი ნიშანწყალი აღარ არსებობდა. ერთმა გარეშემ,
[illegible] კარპეზს რომ ეძახდნენ, იმ საღამოს ჩევენგურში ყველას უთხრა:
[illegible]ჯახება მწად — ყოველი ქვემძრომი თავის თესლს ეფუძნება და მყუდ-

როდ ცხოვრობს, ხოლო მე არაფერი გამაჩნია და ობერტიალად დავეხეტები. რა ჯანდაბა მჭირს ასეთი!“

მოხუცებული მათხოვარი ქალი აგაპკაც დანაღვლიანდა.

— კარპეზ, მე შემირთე, — უთხრა მან დაოჯახების მსურველს. — შვილებსაც გაგიჩენდი, ტანსაცმელსაც გაგირეცხავდი, წვნიანსაც [illegible] უჩვეულო კი არის, მაგრამ დედაკაცად ყოფნა კარგია — ს[illegible]ლდება, დარდი შეგილოტავდება, საკუთარ თავს ველარ შეამჩნევ. ახლა კი ისე ცხოვრობ, თვალში შენსავე თავს ეჩხირები!

— შენ ურცხვი ხარ, — თავიდან აირიდა აგაპკა კარპეზმა. — მე მორცხვი ქალები მიყვარს.

— არ გახსოვს, ერთხელ გასათბობად გვერდზე რომ მომიწექი, — გაახსენა კარპეზს აგაპკამ, — მაშინ ალბათ მორცხვი ვიყავი, რადგან ჩემკენ ისე მოიწევდი, ლამის მტკივან გულ-მუცელში შემომძრომოდი!

კარპეზს სიმართლე არ უარუყვია, მარტო დრო დააზუსტა, როცა ეს ამბავი მოხდა:

— ეგ რევოლუციამდე იყო.

იაკოვ ტიტიჩმა თქვა, ჩევენგურში ახლა კომუნიზმია, ოცნება ყველას აუხდა: უწინ მდაბიო ხალხს სხეულის შიგნით არაფერი გააჩნდა, ახლა კი ყველაფერს ჭამს, რაც მიწაზეა აღმოცენებული, — სხვა რაღა უნდა სურდეს? დროა, ვიცხოვროთ და რაიმეზე დავფიქრდეთ: ველზე, ომის შედეგად მრავალი წითელარმიელი მოკვდა. ისინი თანახმანი იყვნენ, იმისათვის დახოცილიყვნენ, რათა მომავალი ადამიანები მათზე უკეთესნი შექმნილიყვნენ; მომავალი ჩვენა ვართ, ხოლო ცუდებმა უკვე ცოლების შერთვა მოვინდომეთ და ამაზე ვწუხვართ. დროა, ჩევენგურში შრომასა და ხელოსნობას შევუდგეთ! ხვალ სამჭედლო ქალაქგარეთ უნდა გავიტანოთ, აქ არავინ შემოდისო.

გარეშენი იაკოვ ტიტიჩს არ უსმენდნენ, ისინი აქეთ-იქით გაიფანტნენ, რადგან გრძნობდნენ, რომ ყოველ მათგანს რაღაც ეწადა; რა ეწადათ, ეს კი არ იცოდნენ. ჩევენგურში მოსულთაგან ზოგიერთნი ცოტა ხნით დაოჯახებულნი იყვნენ, ეს ახსოვდათ და სხვებსაც ეუბნებოდნენ, ოჯახი სასიამოვნო რამეა, რადგან, როცა ოჯახი გაქვს, სხვა აღარაფერი გინდა და გულიც ნაკლებად გიშფოთავს, მარტო ის გწადია, რომ მშვიდად იყო და შვილები შემდგომში ბედნიერად გყავდეს; ამას გარდა, ბავშვები გებრალება და მათ გამო კეთილი და მომთმენი ხდები, გულგრილად უცქერი, შენსირგვლივ ცხოვრება როგორ მიედინებაო.

მზე უზარმაზარი და წითელი შეიქმნა, დედამიწის კიდურის მიღმა ჩაესვენა და ცაზე ჩაბნელებული ალმური დატოვა; ყოველი გარეშეთაგანი ბავშვობაში ფიქრობდა, იქ, შორს, ჩემგან წასული მამაა, დიდი ცეცხლი უნთია და საუზმოდ კარტოფილსა წვავსო. ჩევენგურში ერთადერთი მაშვრალი მთელი ღამით მოსვენებას მიეცა; კომუნიზმის, ამხანაგებისა და სითბოს მნათობის — მზის ნაცვლად ცაზე თანდათან გაბრწყინდა მთვარე — მნათობი ეულთა. მნათობი ამაოდ მოხეტიალე მაწანწალებისა, მთვარის შუქმა ველი გაუბედავად გაანათა და იქაურობა მზერას ისე წარმოესახა, თითქოს სივრცეები იმქვეყნად განფენილიყო. მდუმარე, უფერულ და უგრძნობელ მხარეში სადაც ბალახზე ადამიანის ჩრდილის ჩაშრიალება არღვევს მიცვალებულთა მდუმარებას, მომძლავრებული ღამის წიაღში კომუნიზმიდან უცნობლობისკენ რამდენიმე კაცი მიემართებოდა; ჩევენგურში ისინი ერთად მოვიდნენ, წასვლით კი ცალ-ცალკე მი-

დიოდნენ: ზოგი მათგანი ცოლის საძებნელად მიდიოდა, რათა შემდეგ საცხოვრებლად ჩევენგურშივე დაბრუნებულიყო, ზოგიც ჩევენგურში მცენარეული საკვებით საზრდოობამ დაამძლევა და გზას იმ იმედით მიუყვებოდა, რომ სხვა მხარეში ხორცის ჭამას შეძლებდა, ხოლო იმ ღამით წასულთაგან ერთს — ზრდადაუსრულებელ ბიჭს — უნდოდა, ამქვეყნად სადმე მშობლები ეპოვნა და ამ განზრახვით მიდიოდა.

ბიბლიოთეკა

იაკოვ ტიტიჩმა ნახა, ჩევენგურიდან ბევრნი რომ წავიდნენ და მდუმარედ თვალს მიეფარნენ, ამიტომ პროკოფის მიაკითხა.

— გასწი ახლა და ყველას ცოლები მოჰგვარე, — უთხრა მას იაკოვ ტიტიჩმა, — ეს ხალხმა მოინდომა. აქ ხომ შენ მოგვრეკე, მაშ ახლა ქალებიც მოიყვანე, ხალხმა დაისვენა და ამბობს, უქალებოდ ყოფნა ვეღარ აგვიტანიაო.

პროკოფის უნდოდა ეთქვა, ცოლებიც მშრომელები არიან და ჩევენგურში ცხოვრება აკრძალული არა აქვთ, ამიტომ პროლეტარიატი სხვა დასახლებულ ადგილებში წავიდეს, ცოლი ყველამ თავისთვის მონახოს, ხელი ჩაჰკიდოს და წამოიყვანოსო, მაგრამ გაახსენდა, ჩეპურნის გამზდარი და დაუძლურებული ქალების მოყვანა რომ სურდა, რათა მათ ხალხის ყურადღება ურთიერთდამაკავშირებელი კომუნიზმისაგან არ განეშორებინათ და თავისკენ არ მიეპყროთ, ამიტომ იაკოვ ტიტიჩს უთხრა:

— თქვენ აქ ახლა ოჯახებს მოიწყობთ და წვრილ ბურჟუაზიას გააჩენთ.

— თუ წვრილია, მაშ რაღა საშიშია! — ცოტათი გაუკვირდა იაკოვ ტიტიჩს, — წვრილი რა ბედენაა!

პროკოფისთან კოპიონკინი შემოვიდა და დვანოვიც თან შემოჰყვა, ხოლო გოპნერი და ჩეპურნი გარეთ დარჩნენ; გოპნერს ქალაქის შესწავლა უნდოდა; სურდა, რომ შეეტყო, რით იყო ნაგები და რა გააჩნდა.

— საშა! — შესძახა პროკოფიმ; უნდოდა, რომ გახარებოდა, მაგრამ ერთბაშად ვერ შეძლო, — ჩვენთან საცხოვრებლად ჩამოხვედი? მე დიდხანს მახსოვდი, მერე კი თანდათან დამავიწყდი. ჯერ გამახსენდებოდი, მერე კი გავიფიქრებდი, არა, უკვე მკვდარი იქნება-მეთქი, და კვლავ მავიწყდებოდი.

— მე კი მახსოვდი, — უთხრა დვანოვმა. — რაც დრო გადიოდა, სულ უფრო მეტად მახსოვდი, პროხორ აბრამოვიჩიც მახსოვს, პიოტრ ფიოდოროვიჩ კონდაევიც და მთელი სოფელიც. ცოცხალნი თუ არიან?

პროკოფის თავისი მშობლები და და-ძმები უყვარდა, მაგრამ ყველანი ამოუწყდა, აღარავინ ჰყავდა, ვინც შეიძლებოდა, რომ ჰყვარებოდა და მრავალთათვის მომუშავე, მაგრამ თითქმის ყველასგან უსიყვარულოდ შთენილი თავი ჩაქინდრა.

— საშა, ყველანი დაიხოცნენ. ახლა მომავალი დაგვიდგება...

დვანოვმა პროკოფის მხურვალებაშემონთებულ, ოფლიან ხელზე ხელი მოჰკიდა; პროშკას წარსული, გარდასული ბავშვობა ახსენდებოდა, სინდისის ქენჯნასა და სირცხვილს გრძნობდა; დვანოვმა ეს შეამჩნია და ნაღვლიან, გამშრალ ტუჩებში აკოცა.

— პროშა, ერთად ვიცხოვროთ, ნუ ღელავ. აი, კოპიონკინი აქ დგას, მალე გოპნერი და ჩეპურნიც მოვლენ... რა კარგ ადგილას ყოფილხართ — სიწყნარე, აქაურობა ყველაფერს მოშორებულია, ყველგან ბალახი ხარობს; ამ მხარეში არასოდეს ვყოფილვარ.

კოპიონკინმა არ იცოდა, რა ეფიქრა, ან რა ეთქვა, და ხმადაბლა ამოიოხრა.

იაკოვ ტიტიჩს თავისი საფიქრალი აწუხებდა, და საერთო საზრუნავის თაობაზე პროკოფის კიდევ შეახსენა:

— ჰა, რას იტყვი? ჩვენ თვითონ წავიდეთ ცოლებისთვის, ... თუ შენ ყველას ერთად მოგვგვრი? ზოგ-ზოგნი უკვე გზას გაუდგნენ.

— წადი, ხალხს თავი მოუყარე, — უთხრა მას პროკოფიმ, — ... და იქ მოვიფიქრებ.

იაკოვ ტიტიჩი გარეთ გავიდა; კოპიონკინი ახლა კი მიხვდა, რა უნდა ეთქვა.

— პროლეტარიატს არ სჭირდება, მის მაგივრად რომ იფიქრო, თავისი ჭკუა ჰყოფნის...

— იქ საშასთან ერთად წავალ, — თქვა პროკოფიმ.

— თუ საშასთან ერთად წახვალ, მაშინ წადი და იფიქრე, — დაეთანხმა კოპიონკინი, — მე მეგონა, მარტო უნდა წასულიყავი.

არემარე განათებული იყო, უკაცრიელი მიწას ზემოთ გაჩენილ ... ცაზე მთვარე ელვარებდა და მიდამოს ეულ, გულითად, ძილისა და მყუდროებისგან ლამის ამღვრეულ შუქს აფენდა. ეს შუქი ჩევენგურის სამჭედლოშიც იჭრებოდა კარის ძველთაძველი ღრიჭოებიდან, სადაც შრომისმოყვარეობის დროინდელი ჰვარტლი კიდევ ჩარჩენილიყო. სამჭედლოსკენ ხალხი მიემართებოდა, — იაკოვ ტიტიჩი ყველა ჩევენგურელს ერთ ადგილზე თავს უყრიდა, ბოლოს თვითონ, როგორც დევნილთა მწყემსი, ყველაზე უკან მოაბიჯებდა. როცა თავს მაღლა ასწევდა და ცისკენ აიხედავდა, გრძნობდა, მკერდში სუნთქვა როგორ უსუსტდებოდა, თითქოს ზემოთ განფენილი მსუბუქი ზეცა მისი შიგნიდან ჰაერს იწოვდა, რათა დამსუბუქებულს იქ აფრენა შესძლებოდა. „კარგი იქნებოდა, ანგელოზად გადავქცეულიყავი, თუკი ანგელოზები არსებობენ, — ფიქრობდა იაკოვ ტიტიჩი, — კაცს ხანდახან მარტო ადამიანებთან ყოფნა ბეზრდება".

სამჭედლოს კარი გაიღო და ხალხი შიგნით შევიდა, ბევრიც გარეთ დარჩა.

— საშა, — ხმადაბლა უთხრა პროკოფიმ დვანოვს, — მე სოფელში საკუთარი სახლ-კარი არ გამაჩნია. ჰოდა, მინდა ჩევენგურში დავრჩე და ყველასთან ერთად ვიცხოვრო, თორემ პარტიიდან გამრიცხავენ. ამიტომ ...ლა მხარი დამიჭირე. შენც ხომ თავშესაფარი არსად გაქვს... მოდი, ... ერთ მორჩილ ოჯახად გავაერთიანოთ და მთელი ქალაქი ... კომლად ...თ.

დვანოვი ხედავდა, რომ პროკოფი იტანჯებოდა და ... შველოდა.

— ცოლები მოგვიყვანე! — უყვიროდნენ პროკოფის გარეშეებიდან. — ... მოგვიყვანე და მარტონი დაგვტოვე! — ჩიოდა ბევრი მათგანი. — ... ვგავართ, განა ჩვენ ადამიანები არა ვართ? აქ მარტო ყოფნა ... ქალები მოგვ...კი არ ვცხოვრობთ, მარტო ვფიქრობთ! ... რომ ...ლი ხომ სისხლნარევი ამხანაგია, მაშ ქალაქში რატომ არ ჩამოასახლე?

პროკოფიმ დვანოვს გადახედა და ... კომუნიზმი მარტო ჩემი კი არაა, ყველა აქ მყოფი პროლეტარის საზრუნავია, მაშ პროლეტარიატმა ახლა საკუთარი ჭკუით უნდა იცხოვროს, რის თაობაზეც დადგენილება გამოტანილ იქნა ჩევენგურის რევკომის უკანასკნელ სხდომაზე... კომუნიზმი ხომ თავისით წარმოიქმნება, თუკი ჩევენგურში პროლეტარიატის გარდა ...ის, — შეუძლებელია, სხვა რაიმე რომ არსებობდეს.

მოშორებით მდგარი ჩეპურნი პროკოფის ნათქვამმა სავსებით დააკმაყო-
ფილა, — ეს მისი პირადი შეგრძნებების ზუსტი ფორმულირება გახლდათ.
— ჰქუა რისთვის გვესაჭიროება? — შესძახა ერთ-ერთმა გა[illegible] —
ჩვენ გვინდა, რომ გულისთქმათა მიხედვით ვიცხოვროთ!
— როგორც გენებოთ, ისე იცხოვრეთ, გეთაყვა, — უმალვე დაეთანხმა
ჩეპურნი. — პროკოფი, ხვალვე გაემგზავრე ქალების მოსაგრო[illegible]
პროკოფიმ კომუნიზმის შესახებ ცოტა რამ კიდევ თქვა: [illegible]
ლოს, სულ ერთია, კომუნიზმი მაინც სრულად დამყარდება და, უმჯობესია, წი-
ნასწარ ჩამოვაყალიბოთ, რათა არ გაქწვალდეთ; ხოლო ქალები ჩევენგურში
მოვლენ თუ არა, მრავალკომლიანობას შემოიღებენ ერთი ჩევენგურის ნაც-
ვლად, სადაც ახლა ობოლნი ერთ ოჯახად ცხოვრობენ, ღამის სათევ ალაგს
იცვლიან, სულ ერთად არიან და ერთმანეთს ეჩვევიანო.
— შენ ამბობ, კომუნიზმი ბოლოს და ბოლოს დამყარდებაო! — ნელა
წარმოთქვა იაკოვ ტიტიჩმა. —მაშასადამე, სულ მალე — დასასრული სადაც
ახლოსაა, იქ მცირე ხანიღა რჩება! მაშ მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრე-
ბამ უკომუნიზმოდ უნდა ჩაიაროს; თუ ასეა, კომუნიზმი მთელი არსებით რაღად
უნდა გვინდოდეს? უმჯობესია, მცდარად ვიცხოვროთ, თუ სიმცდარე ხანგრძ-
ლივია, ხოლო სიმართლე ხანმოკლე! ადამიანის ასავალ-დასავალი უნდა გაი-
თვალისწინო!
თავდავიწყების ამმძვრელი ნათება მთვარისა ეული ჩევენგურიდან ზეცის
დასალიერამდე განფენილიყო, სადაც არაფერი არ არსებობდა და ამის გამო
მთვარის შუქი სიცარიელეში სევდას მისცემოდა. დვანოვი იქით იცქირებოდა;
უნდოდა, რომ ახლა თვალები დაეხუჭა და ხვალ გაეხილა, როცა მზე ამოვი-
დოდა, ქვეყნიერება კვლავ შემჭიდროვდებოდა და სითბო დამკვიდრდებოდა.
— პროლეტარული აზრია! — იაკოვ ტიტიჩის ნათქვამი უეცრად განსაზ-
ღვრა ჩეპურნიმ; მას უხაროდა, რომ პროლეტარიატი ახლა საკუთარი თავით
თვითონვე ფიქრობდა და მის მაგივრად ფიქრი და მასზე ზრუნვა საჭირო აღარ
იყო.
— საშა! — თქვა დაბნეულმა პროკოფიმ და ყველამ ყური მიუგდო. —
ბერიკაცი მართალს ამბობს! გახსოვს, მე და შენ რომ ვმათხოვრობდით. შენ
საჭმელს თხოულობდი და არ გაძლევდნენ, ხოლო მე კი არ ვთხოულობდი,
არამედ ვცრუობდი და გამოვძალავდი, ამიტომაც მუდამ მარილიან საჭმელსაც
ვჭამდი და პაპიროსსაც ვეწეოდი.
პროკოფი ჩვეული სიფრთხილის გამო უკვე შეჩერებას აპირებდა, მაგრამ
მერე შეამჩნია, რომ გარეშეები გულწრფელი ყურადღებისგან პირდაღებულნი
უსმენდნენ, ამიტომ ჩეპურნისა აღარ შეეშინდა და კვლავ განაგრძო:
— რის გამოა, თავს რომ კარგად, მაგრამ უხერხულად ვგრძნობთ? იმის
გამოა, რომ აქ, როგორც თქვა ერთმა ამხანაგმა... იმის გამო, რომ ყოველგვარი
სიმართლე ცოტა უნდა იყოს, თანაც მხოლოდ სულ ბოლოს დამკვიდრდეს,
ხოლო ჩვენ მთელი კომუნიზმი ახლავე დავამყარეთ და მისგან სიამოვნებას
სრულად ვერ განვიცდით! რატომაა, ყველაფერი სწორად რომ გვაქვს მოწ-
ყობილი, ბურჟუები აღარ არიან, ირგვლივ სოლიდარობა და სამართლიანობაა,
პროლეტარიატს კი სევდა მოეძალა და დაოჯახება მოესურვა?
პროკოფი ახლა კი შეშინდა, აზრის განვითარება ვეღარ გაბედა და გაჩუმ-
და. მისი სათქმელი მის ნაცვლად დვანოვმა დაასრულა:
— შენ გინდა, ამხანაგებს ურჩიო, რომ მათ სიმართლე მსხვერპლად გაი-

ლონ, რადგან იგი, სულ ერთია, ცოტა ხანს და სულ ბოლოს იარსებებს; გინდა უთხრა, რომ სხვა ბედნიერება იქონიონ. რაც დიდხანს გასტანს და ნამდვილი სიმართლის აღსრულებამდე მიაღწევს!

— შენ ხომ ეს იცი, — ნაღვლიანად ჩაილაპარაკა პროკოფიმ და უცებ ერთიანად აფორიაქდა. — ხომ იცი, ჩემი ოჯახი, ჩემი საკუთრება — ჩვენს სოფელში რანაირად მიყვარდა! სახლ-კარის სიყვარულის გამო — [illegible], როგორც ბურჟუა, ისე გაგიძევე და სასიკვდილოდ გაგიმეტე; ახლა კი მინდა, რომ აქაურობას მივეჩვიო, მინდა, რომ ლატაკთათვის ცხოვრება ისე მოვაწყო, როგორც ჩემი ოჯახის წევრებისათვის, და თავადაც მათ შორის მოსვენებას მივეცე, — მაგრამ ვერაფერს ვახერხებ...

გოპნერი უსმენდა, მაგრამ ვერაფერს მიმხვდარიყო; კოპიონკინს შეეკითხა, შენ რა გაიგეო, მაგრამ იმანაც არ იცოდა. ცოლების გარდა აქ ვის რა უნდოდა. „ხომ ხედავ, — მოისაზრა გოპნერმა, — როცა ადამიანები არ მოქმედებენ, ზედმეტი ჭკუა უჩნდებათ და ეს უბედურებაზე უარესია".

— პრომა, წავალ, ცხენს შევეკაზმავ, — უთხრა პროკოფის ჩეპურნიმ, — ხვალ დილაადრიანად დაიძარ, გეთაყვა. პროლეტარიატმა სიყვარული მოინდომა; მაშასადამე, ჩევენგურში ყველა სტიქიონის დამორჩილება სწადია, ეს დიდებული რამაა!

გარეშენი წავიდ-წამოვიდნენ, რათა ცოლების მოსვლას დალოდებოდნენ — ახლა დიდხანს ცდა აღარ დასჭირდებოდათ, — ხოლო დვანოვი და პროკოფი ქალაქგარეთ ერთად გავიდნენ. მათ ზემოთ, როგორც საიქიოში, უსხეულოსავით მიილტვოდა უკვე ჩასასვლელად გადახრილი მთვარე; მის არსებობას სარგებლობა არავისთვის მოჰქონდა — მცენარეებს სული მისით არ ედგათ, მთვარის შუქზე ადამიანს მდუმარედ ეძინა; მიწის ღამეული დის შორიდან მანათობელ მზის შუქს მღვრიე, მცხუნვარე და ცოცხალი ნივთიერება ჰქონდა, მაგრამ მთვარემდე ეს შუქი მკვდარსა და უსასრულო სივრცეში გაცხრილული აღწევდა, — რაც კი მღვრიე და ცოცხალი რამ გაიჩნდა, გზადაგზა გაიწოვებოდა და მარტოოდენ ჭეშმარიტად მკვდარი შუქილა რჩებოდა. დვანოვი და პროკოფი შორს წავიდნენ, მათი ხმები თითქმის მიწყდა სიშორისგან და იმიტომაც, რომ ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, კოპიონკინი წასულებს ხედავდა, მაგრამ ეხათრებოდა, რომ უკან გაჰყოლოდა, ეჩვენებოდა, რომ ორივენი სევდიანად ლაპარაკობდნენ და მათთან მისვლა ახლა მოსარიდებელი იყო.

დვანოვისა და პროკოფის ფეხთა ქვეშ გზა უწყინარ შამბნარს დაეფარა, ჩევენგურის მიწა სიხარბის გამო კი არა, თავისი სასიცოცხლო აუცილებლობისათვის რომ წარეტაცა; ორი ადამიანი ერთმანეთისგან განცალკევებით მიაბიჯებდა ოდესღაც ეტლების ნავალ გზაზე დარჩენილ ნორბალთა ნაკვალევზე; თითოეულ მათგანს სურდა, მეორის გულისთქმა შეეგრძნო, რაც ხეტიალისგან შეჭირვებულს შემწედ მოევლინებოდა, ბუნდოვან ყოფას შეუმსუბუქებდა, მაგრამ ერთიმეორეს გადაჩვეულები იყვნენ, თავს უხერხულად გრძნობდნენ და დაუმორცხვებლად ლაპარაკს ვერ ახერხებდნენ. პროკოფის არ უნდოდა, რომ ჩევენგური პროლეტარებისა და გარეშეების ცოლებს დაესაკუთრებინათ, საიმისოდ არ ემეტებოდა — მარტო კლავდიუშას აჩუქებდა ყველაფერს, მისთვის არაფერს დაიშურებდა, თუმცა რატომ, თვითონაც არ იცოდა. იგი ეკვობდა, ახლა საჭირო იყო თუ არა, მთელი ქალაქი გაეტიალებინა. იქ არსებული ქონება მთლიად გაეფლანგა და გაენადგურებინა მხოლოდ იმისთვის, რომ ოდესმე, ბოლოს, საზიარო სიმართლე ცოტა ხნით დამკვიდრებულიყო;

განა უმჯობესი არ იქნებოდა, მომჭირნეობა გამოეჩინა, კომუნიზმი და მთელი მისი ბედნიერება მარაგად შემოენახა, რათა დროდადრო, კლასობრივი საჭიროების მიხედვით მასებისთვის ნაწილ-ნაწილ დაერიგებინა და ამგვარად [illegible] და ბედნიერება უშრეტად შეენარჩუნებინა.

— ისინი კმაყოფილნი იქნებიან, — დარწმუნებით ამბობდა თითქმის გახარებული პროკოფი. — მწუხარებას მიჩვეულნი არიან და სა[illegible]დეილდებათ, ჯერჯერობით ცოტა რამ მივცეთ და შეგვიყვარებენ. თუ ყველაფერს ერთბაშად მივცემთ, როგორც ჩეპურნი სჩადის, მთელ ქონებას დახარჯავენ, კიდევ მოინდომებენ, მისაცემი კი აღარაფერი გვექნება, ჰოდა, გადაგვაყენებენ და დაგვხოცავენ. იმათ ხომ არ იციან, რევოლუციას რა და რამდენი გააჩნია, ქალაქის მთელი აღწერილობა მარტო მე მაქვს. ჩეპურნის კი უნდა, რომ ერთბაშად ყველაფერი დაარიგოს, არაფერი დარჩეს, და დასასრული დადგეს, ოღონდაც ეს დასასრული კომუნიზმი იყოს. ხოლო ჩვენ დასასრულამდე არასოდეს მივაღწევთ, ბედნიერებას ნაწილ-ნაწილ გავცემთ, ისევ დავაგროვებთ, და ეს ბედნიერება სამუდამოდ გვეყოფა. საშა, მითხარი, ხომ ნამდვილად ასეა?

დვანოვმა ჯერ არ იცოდა, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ უნდოდა, რომ პროკოფის სურვილები მთლიანად შეეგრძნო, საკუთარი თავი მისი სხეულის, მისი არსების მქონედ წარმოედგინა, რათა თავად დაენახა, მისი აზრით ნამდვილად ასე რატომ იქნებოდა. მან პროკოფის ხელი შეახო და უთხრა:

— კიდევ მელაპარაკე, მეც მინდა, რომ აქ ვიცხოვრო.

პროკოფიმ განათებულ, მაგრამ უსიცოცხლო ველსა და უკან დარჩენილ ჩევენგურს გახედა, სადაც ფანჯრის მინებში მთვარე ბრჭყვიალებდა, ხოლო ფანჯრების მიღმა ეული გარეშენი იწვნენ და თითოეული მათგანის არსებაში სიცოცხლე ბუდობდა; ახლა ამ სიცოცხლეზე აუცილებლად უნდა ეზრუნათ, რათა იგი სხეულის ვიწრო წიაღიდან არ გამოსულიყო და განცალკევებულ ქმედებას არ შესდგომოდა. მაგრამ დვანოვმა არ უწყოდა, ყოველი ადამიანის სხეულში რა იმალებოდა, პროკოფიმ კი თითქმის ზუსტად იცოდა, იგი გუმანით გრძნობდა, მდუმარე ადამიანის არსებაში რაც ხდებოდა.

დვანოვს მრავალი სოფელი და ქალაქი, იქ მცხოვრები მრავალი ადამიანი ახსოვდა, ხოლო პროკოფი ამ გახსენებათა კვალდაკვალ საშას ეუბნებოდა, რუსულ სოფლებში მწუხარება ტანჯვა კი არ არის, ჩვეულებაა, მამასთან გაყრილი და მისი კარ-მიდამოდან წასული ვაჟი მამის ოჯახში ფეხს აღარასოდეს შეადგამს და მამა აღარც ენატრება. მამასა და შვილს ერთმანეთთან გრძნობა კი არა, ქონება უფრო აკავშირებს; იშვიათად იქნება ისეთი უცნაური ქალი, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთი შვილი მაინც განზრახ არ მოეშთოს, თანაც სილატაკის გამო კი არა, უფრო იმისთვის, რომ თავისუფლად ცხოვრება და ქმართან სიყვარულობა შესძლოს.

— საშა, თავადაც ხომ ხედავ, — დამარწმუნებლად განაგრძობდა პროკოფი, — სურვილთა დაკმაყოფილების შემდგომ ადამიანს ეს სურვილები კვლავ აღეძვრება, ის კი არა, კიდევ ახალი რაღაც მოესურვება. ყოველ მოქალაქეს სასწრაფოდ უნდა, რომ წადილი აღასრულოს, რათა თავი არ გაიტანჯოს, მაგრამ ასე იმათ ვერაფერს ამყოფინებ — დღეს ქონება უნდა მისცე, ხვალ ცოლი, შემდეგ ყოველდღიური ბედნიერება, — ამას ისტორიაც კი ვერ გასწვდება. უმჯობესია, ადამიანს საწადელი თანდათანობით შეუმციროთ და ისიც შეეგუება: სულ ერთია, ასეც უნდა იტანჯოს და ისეც.

— პროშა, რა გინდა, რომ გააკეთო?

— მე გარეშეთა ორგანიზება მინდა. შემჩნეული მაქვს, სადაც ორგანიზაციაა, იქ მარტო ერთი კაცი ფიქრობს, ხოლო დანარჩენები უფიქრელად ცხოვრობენ და იმ ერთ პირველს კვალდაკვალ მიჰყვებიან. ორგანიზაცია ჭკვიანურზე ჭკვიანური რამეა: ყველამ იცის, თავად ვინ არის, მაგრამ საკუთარი თავის პატრონი არავინაა. ჰოდა, ყველა თავს კარგად გრძნობს, [illegible] — პირველს ადგას გასაჭირი: იგი ფიქრობს, როცა არის ორგანიზაცია, ადამიანს ბევრი რამ შეიძლება ჩამოაცალო, რაც ზედმეტია.

— პროშა, ეს რა საჭიროა? შენ ხომ გაგიჭირდება, ყველაზე უბედური კაცი იქნები: მარტო, განცალკევებით, ყველაზე ზემოთ ყოფნა საშინელებაა. პროლეტარიატი ერთმანეთით არსებობს, შენ რითილა იარსებებ?

პროკოფიმ დვანოვს შეხედა და თვალით გაზომა: ასეთი კაცი უქმი არსებაა, ბოლშევიკი კი არა, აბგაცარიელი მათხოვარია, თვითონ არის გარეშე: იაკოვ ტიტიჩთან საუბარი უმჯობესი იქნებოდა: მან ის მაინც იცის, რომ ადამიანი ყველაფერს გაუძლებს, ტკივილს სულაც არ იგრძნობს, თუნდაც სულ ახალ-ახალი, მთლად უცნობი სატანჯველი განაცდევინო; ადამიანს მწუხარება მხოლოდ და მხოლოდ სოციალური ჩვევის გამო ეუფლება, თვითონ ანაზდეულად ვერ გამოიგონებს. იაკოვ ტიტიჩი მიხვდებოდა, რომ პროკოფის ქმედება სრულიად უხიფათოა, ხოლო დვანოვს მხოლოდ იმისი უნარი აქვს, ადამიანის არსი მოჭარბებულად შეიგრძნოს, მისი გულდასმით აწონვა-გაზომვა კი არ შეუძლიაო.

ორი ადამიანის ხმა ჩევენგურიდან შორს, მთვარის შუქით განათებულ უზარმაზარ ველზე მიწყდა; კოპიონკინი ქალაქის განაპირას დიდხანს იდგა და დვანოვს უცდიდა, მაგრამ იგი არსად ჩანდა: კოპიონკინი დაიქანცა, მახლობელ შამბნარში დაწვა და დაიძინა.

უკვე ირიჟრაჟა, როცა იგი საზიდრის ხრიგინმა გამოაღვიძა: ჩევენგურში ისეთი მყუდროება სუფევდა, რომ ყოველი ხმა ჭექა-ქუხილად იქცეოდა. ჩეპურნის საზიდარი გაემზადებინა და ველისკენ მიემართებოდა პროკოფის მოსაძებნად, რათა ქალების მოსაყვანად გაემგზავრებინა. დვანოვთან ერთად ქალაქში კარგა ხნის წინ დაბრუნებული პროკოფი კი იქვე ყოფილიყო.

— რანაირი ქალები მოგგვარო? — ჰკითხა პროკოფიმ ჩეპურნის და საზიდარში ჩაჯდა.

— განსაკუთრებულები არ გვჭირდება! — მიუთითა ჩეპურნიმ. — ქალები კი ერქვათ, გეთაყვა, მაგრამ იცოდე, ქალებს სულ ცოტათი ჰგავდნენ; ისიც საკმარისი იქნება, კაცებისგან რომ განსხვავდებოდნენ, — მომხიბვლელობა არ გააჩნდეთ. მარტო ნედლი სტიქიონი მოგვიყვანე!

— გასაგებია, — თქვა პროკოფიმ და ცხენი წასასვლელად დაძრა.

— შეძლებ? — ჰკითხა მას ჩეპურნიმ.

პროკოფიმ ჭკვიანური, იმედიანი პირისახე ჩეპურნისკენ მოაბრუნა.

— აი, სასწაული! ვისაც გინდა, მას მოგგვრი, ყველას ერთ მთლიან მასად შევამჭიდროებ; მარტოდმარტო, სევდის ამარა, არავინ დარჩება.

ჩეპურნი დამშვიდდა, პროლეტარიატი ახლა ნუგეშცემული იქნებაო, მაგრამ უეცრად ადგილს მოსწყდა, გზაზე გასულ საზიდარს გამოეკიდა, როცა დაეწია, უკანიდან ჩაეჭიდა და პროკოფის სთხოვა:

— პროშა, ქალი მეც მომგვარე: რაღაც ისე ვარ, მშვენიერება მომესურვა! დამავიწყდა, რომ მეც პროლეტარი ვარ! კლავდიუშას ხომ ვეღარ ვხედავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კლავდიუშა თემშია წასული დეიდამისთან, — უთხრა ჩეპურნის პროკოფიმ. — უკან როცა გამოებრუნდები, თან გამოიყოლებ.

— ეგ არ ვიცოდი, — თქვა ჩეპურნიმ და ცხვირში ერთი მწიკვი ბურნუთი შეიყარა, რათა კლავდიუშასთან განშორებით გამოწვეული დარდის ნაცვლად თამბაქოს სუნი შეეგრძნო.

ფიოდორ ფიოდოროვიჩ გოპნერმა უკვე გამოიძინა და ჩევენგურის სამრეკლოდან ათვალიერებდა იმ ქალაქს და ქალაქის ირგვლივ იმ ადგილებს, სადაც, იქაურთა აზრით, მომავალი დრო-ჟამი დადგა, კომუნიზმი პირწმინდად დამყარდა, და ახლა ისღა დარჩენოდათ, რომ ეცხოვრათ და იქაურობას არ მოშორებოდნენ. ოდესღაც, ახალგაზრდობისას, გოპნერი ინგლის-ინდოეთის ტელეგრაფის მაგისტრალის შეკეთებაზე მუშაობდა, და ის ალაგებიც ჩევენგურის ხედს წააგავდა. ის დრო-ჟამი, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა; გოპნერი მაშინ რას მიხვდებოდა, რომ კომუნიზმს მოესწრებოდა ერთ თამამ ქალაქში, სადაც, შესაძლოა, ნამყოფიც კი იყო, როცა ინგლის-ინდოეთის ტელეგრაფიდან ბრუნდებოდა, მაგრამ ვადაავიწყდა, გზად რაც ნახა. დასანანი კი გახლდათ: კარგი იქნებოდა, ჩევენგურში მაშინვე სამუდამოდ დარჩენილიყო; ეს კია, ერთი რამ აფიქრებდა: თუმცა ამბობდნენ, აქ უბრალო კაცი კარგად ცხოვრობსო, თავად ამას ჯერ რომ ვერ გრძნობდა.

ქვემოთ დვანოვი და კოპიონკინი მიდიოდნენ, სად დაესვენათ, არ იცოდნენ, და სასაფლაოს ღობესთან ჩამოსხდნენ.

— საშა! — ჩამოსძახა ზემოდან გოპნერმა. — აქაურობა ინგლის-ინდოეთის ტელეგრაფსა ჰგავს — აქედან ყოველივე შორ მანძილზე მოჩანს და ყველგან ცარიელი ალაგებია!

— ინგლის-ინდოეთისას? — ჰკითხა მას დვანოვმა და თვალწინ წარმოესახა ის შორეთი და იდუმალება, სადაც ეს ტელეგრაფის ხაზი გადიოდა.

— საშა, ტელეგრაფის ხაზი თუჯის საყრდენებზე ჰკიდია, ხოლო საყრდენები დატვიფრულია; მაცთული ველებს, მთებსა და ცხელი ქვეყნების სივრცეებს მიუყვება!

დვანოვს მუცელი ასტკივდა; ასეთი რამ ემართებოდა ყოველთვის, როცა შორეულ, მიუწვდომელ მხარეებზე ფიქრობდა, მომხიბვლელი, ამოდ სასმენი სახელები რომ ერქვათ — ინდოეთი, ოკეანეთი, ტაიტი, განმარტოების კუნძულები, ლურჯი ოკეანის წიაღიდან რომ ამომართულიყვნენ და მარჯნის ფსკერს დაყრდნობოდნენ.

იმ დილით იაკოვ ტიტიჩიც დახეტიალობდა; იგი სასაფლაოს ყოველდღიურად ეწვეოდა ხოლმე, რადგან მუხნარს მხოლოდ სასაფლაო წააგავდა, ხოლო იაკოვ ტიტიჩს ქარისგან გატანჯული ხის სევდიანი ხმის მოსმენა უყვარდა. გოპნერს იაკოვ ტიტიჩი მოეწონა: გამხდარ ბერიკაცს ყურებზე გადატკეცილი კანი დაჰიმულობისგან გალურჯებოდა, სწორედ ისე, როგორც გოპნერსა ჰქონდა.

— აქ თავს კარგად გრძნობ, თუ ისე ხარ რა, არც იქით, არც აქეთ? — ჰკითხა იაკოვ ტიტიჩს გოპნერმა: იგი სამრეკლოდან ჩამოსულიყო და ღობესთან თავშეყრილ ხალხში იჯდა.

— არა მიშავს, — თქვა იაკოვ ტიტიჩმა.

— არაფერი გესაჭიროება?

— თავი გამაქვს.

დადგა ცინცხალი მზიანი დღე, ისევე გრძელი, როგორიც ჩევენგურის ყო-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი დღე იყო: ამგვარი ხანგრძლივობის გამო ცხოვრება უფრო შესამჩნევი შეიქნა და ჩევენგურს ეჩვენა, რომ რევოლუციამ დრო, გარეშე კაცისთვის გაახანგრძლივა.

— ახლა რა უნდა ვაკეთოთ? — ჰკითხა ირგვლივ მყოფთ გოპნერმა და ყველანი ცოტათი აფორიაქდნენ. მშვიდად მარტო იაკოვ ტიტიჩი იდგა.

— აქ გულს ვერაფერს გადააყოლებ, — თქვა მან, — [illegible]ს უნდა ელოდო.

იაკოვ ტიტიჩი მდელოზე გავიდა, იქ წამოწვა და მზეს მიეფიცხა; ბოლო ღამეებს იგი ყოფილ ზოუზინის სახლში ათევდა და ეს სახლი იმიტომ შეუყვარდა, რომ იქ ეული ტარაკანი ცხოვრობდა; იაკოვ ტიტიჩი ტარაკანს რაღაც ნამცეცებს აჭმევდა; ყოველგნით გარიყული, იმედგამქრალი ტარაკანი მაინც მედგრად იყო, გასაჭირს მოთმინებით იტანდა, და თუ იტანჯებოდა, გარეგნულად არ ამჟღავნებდა; ამის გამო იაკოვ ტიტიჩი მზრუნველად ეპყრობოდა, იდუმალად იმასაც კი ცდილობდა, რომ თვითონაც მას დამგვანებოდა; მაგრამ იმ სახლს სახურავი და ჭერი დასძველებოდა და მიშლი-მოშლოდა, იქიდან ღამის ნამი წვეთავდა, იაკოვ ტიტიჩს ესხურებოდა და სხეულს უთოშავდა, მას კი თავშესაფარი ვერ გამოეცვალა, რადგან ტარაკანიც თავის თანაბრად ებრალებოდა. ადრე იაკოვ ტიტიჩი ცარიელ ოლავებში ცხოვრობდა და იქ თავისნაირ თანამგზავრ-მეგობრის გარდა ვერაფერს მიეჩვეოდა და შეეთვისებოდა; ხოლო ცოცხალ არსებასთან შეთვისება მას უსათუოდ ესაჭიროებოდა, რათა მის მიმართ ყურადღებისა და შემწყნარებლობის მეშვეობით ამქვეყნად ყოფნისათვის საჭირო მოთმინების უნარი შეეძინა და ამ არსებაზე დაკვირვებით შეეტყო უფრო იოლად და უკეთესად ცხოვრება როგორ მოეხერხებინა. ამას გარდა, სხვისი ცხოვრების ჭვრეტისას თანამგრძნობელობით თავის სიცოცხლესაც ხარჯავდა, იმიტომ რომ დედამიწის ბინადართაგან გარიყულსა და ზედმეტად ქცეულს ეს სიცოცხლე ვერაფერში მოეხმარებინა. გარეშენი ჩევენგურში მოვიდნენ თუ არა, ერთმანეთთან ამხანაგობა დაკარგეს; ქონება და უამრავი საოჯახო ნივთი შეიძინეს. ამ ნივთებს ხშირ-ხშირად ხელით სინჯავდნენ და ვერ გაეგოთ, ამდენი რამ საიდან გაჩნდა — ეს ხომ ისე ძვირი ღირდა, ვერავის არუქებდი; გარეშენი ნივთებს ისე გაუბედავად ეხებოდნენ, თითქოს ეს ნივთები მათი დაღუპული მამების და სხვა ველებში გზააბნეული და სადღაც გადაკარგული ძმების უსიცოცხლო, გაქვავებული სხეულები ყოფილიყო. ჩევენგურში ახლად ჩამოსახლებულნი ოდესღაც ქოხებს აშენებდნენ და ჭებსა თხრიდნენ, მაგრამ აქ კი არა, აქედან შორს — ციმბირის საკოლონიზაციო მიწებზე, სადაც ოდესღაც მათი ცხოვრება მიედინებოდა.

ჩევენგურში იაკოვ ტიტიჩი ისევე, როგორც დაბადების შემდეგ, ახლაც თითქმის მარტო დარჩა და, თუ ადრე ხალხს იყო მიჩვეული, ახლა ტარაკანი ჰყავდა, მისი გულისთვის ამ ძველ სახლში ცხოვრობდა და ჭერიდან ჩამონადენი ნამის სიგრილე აღვიძებდა.

ფიოდორ ფიოდოროვიჩ გოპნერმა იაკოვ ტიტიჩი გარეშეთა მთელი მასიდან გამოარჩია; იგი ყველაზე უფრო მწუხარე კაცად ეჩვენა, ვინც შორეთში მარტოოდენ დაბადებისდროინდელი ინერციით სულდგმულობდა; მაგრამ იაკოვ ტიტიჩს გულში მწუხარება უკვე გაჰქვავებოდა, მის გამო უხერხულობას აღარ გრძნობდა, ცდილობდა რაიმეთი თავდავიწყებას მისცემოდა და ისე ეარსება: ჩევენგურში მოსვლამდე ხალხთან ერთად დადიოდა და ამგვარ რამეებს ფიქრობდა — მამაჩემი და დედაჩემი ცოცხლები არიან, მათკენ ნელ-ნელა მივდივარ, ჰო-

და, როცა მივალ, თავს კარგად ვიგრძნობ; ანდა გულში გაივლებდა, ჩემს გვერდით ფეხით მიმავალი თანამგზავრი ჩემი კუთვნილებაა, მას ის უმთავრესი გააჩნია, რაც მე ჯერჯერობით მაკლია, ამიტომ შემიძლია, დავწყნარდე და გზა ძალებგანმტკიცებულმა განვაგრძო. ამჟამად კი იაკოვ ტიტიჩი ტარაკანის მეშვეობით სულდგმულობდა. ხოლო ჩევენგურში მოსულმა გოპნერმა [illegible]ლა, რა უქეთებინა, პირველ ორ დღეს იქაურობა მიიარ-მოიარა [illegible] ქალაქი შაბათობებზე ერთ ალაგს მოეგროვებინათ, ცხოვრება კი დაეწვრილმანებინათ, და თითოეულმა ნაწილაკმა არ იცოდა, თავის შესამაგრებლად რას მოსჭიდებოდა. თუმცაღა, თვით გოპნერს ჯერჯერობით არ შეეძლო, ისეთი რამ გამოეგონებინა, რითაც ჩევენგურში ერთი რამ მეორეს მოერგებოდა, და იქ ცხოვრება და პროგრესი აღორძინდებოდა; ამიტომ დვანოვს უთხრა:

— საშა, დროა, გამართვას შევუდგეთ.

— რის გამართვას? — ჰკითხა დვანოვმა.

— როგორ თუ რისას? მაშ აქ რისთვის ჩამოვედით? მთელი დეტალური კომუნიზმის გამართვას.

დვანოვმა პასუხი შეაგვიანა.

— ფიოდორ ფიოდოროვიჩ, აქაურობა მექანიზმი ხომ არ არის, აქ ადამიანები ცხოვრობენ, იმათ ვერ გამართავ, სანამ თავისით არ გაიმართებიან. ადრე რევოლუცია მეც ორთქლმავალი მეგონა, ახლა კი ვხედავ, რომ ასე არ ყოფილა.

გოპნერმა მოინდომა, ეს ყოველივე ზუსტად წარმოედგინა და ყურის ნიჟარა მოიფხანა; დასვენებულს ყურებზე გადატკეცილი კანის სილურჯე უკვე გაჰქრობოდა; ახლა იფიქრა, იფიქრა და დაასკვნა, რაკილა რევოლუცია ორთქლმავალი არ არის, მაშ ყოველ ადამიანს ცხოვრების საკუთარი ორთქლის მანქანა უნდა გააჩნდესო.

— ასეთი რამ რა საჭიროა? — თითქმის განცვიფრდა გოპნერი.

— ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეტი ძალა ექნეთ, — თქვა ბოლოს დვანოვმა, — თორემ ადგილიდან ვერ დაიძვრებიან.

ხეს ლურჯი ფოთოლი მოსწყდა და დვანოვის ახლოს მსუბუქად დაეცა; ფოთოლს კიდეები უკვე გაჰყვითლებოდა, თავისი დრო გაელია, მომკვდარიყო და მიწის მყუდროებას უბრუნდებოდა; გვიანი ზაფხული ილეოდა, იწყებოდა შემოდგომა — ქამი გახშირებული ნამისა და ველის გზათა უკაცრიელობისა. დვანოვმა და გოპნერმა ცას ახედეს — იგი ახლა უფრო მაღალი ეჩვენათ, იმიტომ რომ მზის მღვრიე ძალა ჯამოლეოდა. რაც ბუნდოვანს ხდიდა და ადაბლებდა. დვანოვმა წარსულ დროზე სევდა შეიგრძნო; დრო ხომ გამუდმებით წარიშლება და განქარდება, ხოლო მომავლის მოიმედე ადამიანი ერთ ალაგას რჩება; ჰოდა, დვანოვი მიხვდა, ჩეპურნისა და ჩევენგურელ ბოლშევიკებს კომუნიზმი ასე რატომ ეწადათ: კომუნიზმი ისტორიის, დროის დასასრულია, დრო მხოლოდ ბუნებაში მიედინება, ხოლო ადამიანის არსებას მარტო კაეშანი ეუფლება.

დვანოვის გვერდით აღგზნებულმა ფეხშიშველმა ვარეშემ ჩაურბინა; მის უკან კირეი მიიქანებოდა, ხელში პატარა ძაღლი ეჭყვანა, იმიტომ რომ ძაღლი კირეისავით სწრაფად ვერ გარბოდა, ცოტა უფრო უკან კიდევ ხუთი გარეშე გარბოდა, რომელთაც არ იცოდნენ. საით გარბოდნენ, — ხუთივენი ხანში შესულები იყვნენ, მაგრამ წინ ბავშვური ბედნიერებით აღვსილნი მიისწრაფოდნენ და პირჭარი გრძელი, მოფრიალე თმიდან ძილისას ჩარჩენილ ნაგავს და

ბირკაის ფეხებს აკრევინებდა. ყველაზე ბოლოს კოპიონკინმა პროლეტარული ძალის თქორათქურით ჩაიქროლა, თანაც ველისკენ ხელის ქნევით დვანოვს რადიუსი ანიშნებოდა შორს, ველის განაპირას, ჰორიზონტის გასწვრივ, როგორც მთაზე, ისე მიდიოდა მაღალი კაცი. მთელი სხეულის ირგვლივ ჰაერი შემოჰკვროდა, ხმელეთის ხაზს მხოლოდ ლანჩებით ოდნავ ეხებოდა, და ჩევენგურელები მისკენ მიისწრაფოდნენ. მაგრამ კაცმა ის [illegible] მხედველობის არეს თანდათან გასცდა და თვალს მიეფარა. ხოლო ჩევენგურელებმა ველის ნახევარი გაირბინეს, მერე უკან გამოტრიალდნენ და კვლავ მარტონი დაბრუნდნენ.

ძალზე აღელვებულმა და შეშფოთებულმა ჩეპურნიმ ბოლოსდა მოირბინა.

— რა იყო იქ? — ეკითხებოდა იგი ჩანჩალით მომავალ გარეშეებს. — მითხარით, გეთაყვა!

— იქ ვიღაც კაცი მიდიოდა, — ამბობდნენ გარეშეები. — გვეგონა, ჩვენთან მოდიოდა, ის კი თვალიდან გაგვიქრა.

ჩეპურნი კი გაკვირვებული იდგა და ვერ გაეგო, ვის რაში სჭირდებოდა ერთი შორეული კაცი, როცა გარს მრავალი ადამიანი და ამხანაგი ეხვიათ. იგი მობახლოებულ კოპიონკინს ამ გასაოცარ ამბავზე გამოელაპარაკა.

— რა გგონია, მე კი ვიცი? — უთხრა მას ცხენზე მჯდომმა კოპიონკინმა. — მე ამათ სულ მივძახოდი: მოქალაქენო, ამხანაგებო, სულელებო, სად გარბიხართ, შეჩერდით-მეთქი! ისინი კი გარბოდნენ; ალბათ ჩემსავით ინტერნაციონალი მოესურვათ, — მთელ დედამიწაზე ერთი ქალაქი ალბათ ეცოტავებათ!

კოპიონკინმა შეიცადა, სანამ ჩეპურნი ფიქრობდა, და მერე დაუმატა:

— მეც მალე წავალ აქედან. კაცმა ველზე ჩაიარა და თავის გზით წავიდა, შენ კი ერთ ადგილას უნდა იჯდე და იარსებო — ეგ შენი კომუნიზმი მაინც იყოს აქ, მაგრამ იმისი ნატამალიც რომ არ არის სადმე! საშას ჰკითხე, ისიც ამაზე წუხს.

ახლა კი ჩეპურნიმ აშკარად იგრძნო, რომ ჩევენგურის პროლეტარიატს ინტერნაციონალი სწადია, ანუ შორეულ, ადგილობრივ და უცხოტომელ ადამიანებთან შეკავშირება უნდოდა, რათა მთელი დედამიწის მრავალფეროვანი სიცოცხლე ერთ ბუჩქად ამოზრდილიყო, ძველად ჩევენგურში ბოშები, ვიღაც გონჯები და ზანგები ჩაივლიდნენ ხოლმე, აქ მათი მოწვევა შეიძლებოდა, თუკი სადმე გამოჩნდებოდნენ, მაგრამ მათი კვალი, დიდი ხანია, გაქრა. მაშასადამე, პროკოფი ქალებს როცა მოიყვანდა, ამის მერე სამხრეთის ქვეყნებში უნდა გამოგზავნილიყო, სადაც ჰონობაა და ჩაგრულნი იქიდან ჩევენგურში გადმოესახლებინა; ხოლო იმ პროლეტარებისთვის, ვინც სისუსტისა და სიბერის გამო ჩევენგურამდე ფეხით ვერ მოაღწევდნენ, დასახმარებლად ქონება უნდა მიეძღვნათ. ის კი არა, შეიძლებოდა, მთელი ქალაქი ერთიანად გაეგზავნათ, თუკი ინტერნაციონალს დასჭირდებოდა, ხოლო თავად მიწურებსა და თბილ ხევხუევებში შეცხოვრეთ.

ქალაქში დაბრუნებული გარეშეები ხანდახან სახლების სახურავებზე ადიოდნენ და ველისკენ იყურებოდნენ, რათა ენახათ, იქიდან ჩვენკენ ვინმე ხომ არ მოდის. პროშკას ჩვენთვის ცოლები ხომ არ მოჰყავს, შორეთში რამე ხომ არ მომხდარაო. მაგრამ შამბნარს მარტოოდენ წყნარი, გამოცარიელებული ჰაერი დაჰფენოდა და ჩევენგურისკენ მიმავალ აბალახებულ გზაზე ქარი მიუსაფარ ქარქვეტას, ეკალსა და მოხეტიალე ბალახს მოაქანებდა. იაკოვ ტიტიჩის სახლი სწორედ ყოფილი შარაგზის გარდიგარდმო იდგა, სამხრეთ-აღ-

მოსავლეთის ქარმა უამრავი ქარქვეტა შემოაყარა და მის წინ დაზვინა. იაკოვ ტიტიჩი დროდადრო ამ ზვინებს გადახვეტავდა ხოლმე და სახლს გამოაჩენდა, რათა ფანჯრიდან სინათლე შემოსულიყო და დღეთა სვლის ათვლა[illegible]ბოდა. იგი სახლიდან ამ საქმიანობის გარდა ღისით სხვა არაფრ[illegible]ოდა, ხოლო საჭმელად გამოსადეგ მცენარეულობას ველზე ღამით [illegible]. მუცელში ქარებმა და ნაკადებმა ტრიალი კვლავ დაუწყო და [illegible]კანის ამარა ცხოვრობდა. ტარაკანი კი ყოველ დილას ფანჯრის მინასთან მიცოცდებოდა ხოლმე და მზის სხივებით განათებულ, თბილ ველს გასცქეროდა, მღელვარებისა და მარტოობის გამო ულვაშებს აცმაცუნებდა. იქ მხურვალე ნიადაგს და ზედ ჩვაევებად მდგარ საჭმელს ხედავდა, ამ ხვაევებს გარს ეხვევნენ და სუქდებოდნენ წვრილმანი არსებანი, სიმრავლის გამო საკუთარ თავს რომ ვერ შეიგრძნობდნენ.

ერთხელ იაკოვ ტიტიჩი ჩეპურინმა მოინახულა — პროკოფი ჯერაც არსად ჩანდა; ჩეპურინი უკვე დარდობდა დაკარგულ მეგობარზე, ვინც ესოდენ ესაჭიროებოდა, და ამდენი ლოდინით გულგადალეულმა აღარ იცოდა, სად წასულიყო. ტარაკანი ძველებურად ფანჯარასთან იჯდა — უკიდეგანო სივრცეებს დიადი და თბილი დღე დაჰნათოდა, მაგრამ პატარა ზაფხულთან შედარებით ახლა უფრო მსუბუქი იყო, — მკვდარ სულს წააგავდა. ტარაკანი იტანჯებოდა და გარეთ გაიცქირებოდა.

— ტიტიჩ, — უთხრა ბერიკაცს ჩეპურინმა, — ტარაკანი მზეზე გაუშვი! იქნებ ესეც კომუნიზმზე ნაღვლობს და ჰგონია, კადლაც მორჩაო.

— მერე მე უამისოდ როგორ ვიყო? — ჰკითხა იაკოვ ტიტიჩმა.

— შენ კიდევ ხალხში გადი. ხომ ხედავ, შენთან რომ მოვედი.

— ხალხში ყოფნა მე არ შემიძლია, — უთხრა იაკოვ ტიტიჩმა. — მანკიერი კაცი ვარ, ჩემი მანკის ხმა ირგვლივ გაისმის.

ჩეპურინის კლასობრივ ადამიანთა განსჯა არასოდეს შეეძლო, იმიტომ რომ თვითონაც მათი მსგავსი იყო და მათზე მეტს ვერაფერს შეიგრძნობდა.

— მანკი, აბა, რა ბედენაა, რას ბრძანებ, გეთაყვა? თვით კომუნიზმიც ხომ კაპიტალის მანკისგან არის წარმოქმნილი, ასეთი ტანჯვისგან იქნებ შენც რაიმე სასიკეთოს ეწიო. ისა სჯობია, პროკოფიზე იფიქრო — ყმაწვილი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

— გამოჩნდება, — უთხრა ჩეპურინს იაკოვ ტიტიჩმა და პირქვე დაწვა, რადგან მუცლის გვრემამ ისე დაასუსტა, მოთმენა აღარ შეეძლო, — ექვსმა დღემ გაიარა, დედაკაცს კი დაყოვნება უყვარს, რადგან ყველაფერზე ფრთხილობენ.

ჩეპურინი იაკოვ ტიტიჩის სამყოფელიდან გავიდა — უნდოდა, რომ სნეულისთვის რაიმე მსუბუქი საჭმელი მოეძებნა. მჭედლის ნაჭონ ქვაზე, რაზედაც ოდესღაც საზიდრის თვლებს შესაკრავად მოარგებდნენ ხოლმე, გოპნერი ჩამომჯდარიყო, მის გვერდით კი დვანოვი პირქვე იწვა და ძილს მისცემოდა, რათა ნაშუადღევს დაესვენა. გოპნერს ხელში კარტოფილი ეჭირა, თითებით ყოველი მხრიდან სინჯავდა და ზელდა, თითქოს იმის შესწავლა უნდა, როგორ არის წარმოქმნილიო. სინამდვილეში კი გოპნერი დამწუხრებული იყო: ყოველთვის, როცა სევდა დაეუფლებოდა, რაც ხელში მოხვდებოდა, იმას აიღებდა ხოლმე და ყურადღებას ამ საგანზე ხარჯავდა, რათა ის დაევიწყებინა, რაც აკლდა და ესაჭიროებოდა. ჩეპურინმა გოპნერს უთხრა, იაკოვ ტიტიჩი ავადაა, ტარაკანთან განმარტოებული და იტანჯებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ რატომღა მიატოვე? — ჰკითხა გოპნერმა. — იმას ახლა რაიმე ბალახი უნდა მოვუხარშოთ და ნაყენი დავალევინოთ! ცოტა ხნის მერე მე თვითონ მივხედავ, ჯანდაბას იმისი თავი!

ჩეპურნის თავდაპირველად თავადაც უნდოდა, რაიმე მოეტანა, მაგრამ გაახსენდა, რომ ჩევენგურში ასანთი ცოტა ხნის წინ გამოილია, და ახლა აღარ იცოდა, რა ექნა. მაგრამ გოპნერმა იცოდა, როგორც უნდა მოქცეულიყო: უწყლოდ უნდა აემუშავებინა ხის ტუმბო, რომელიც ერთ გადატანილ ბაღში პატარა ჭაზე იდგა, უწინ წყალს ქაჩავდა და ვაშლის ბაღს რწყავდა; ტუმბოს ქარის წისქვილი ატრიალებდა; ეს ძალური მოწყობილობა გოპნერმა ერთხელ შეამჩნია, ხოლო ახლა ცეცხლის მოპოვება დგუშის მშრალად ხახუნის მეშვეობით წყლის ტუმბოს დააკისრა. გოპნერმა ჩეპურნის დაავალა, ტუმბოს ხის ცილინდრისთვის ირგვლივ ნამჯა შემოეწყო, ქარის წისქვილი აემუშავებინა, ხოლო თვითონ მანამდე ეცადა, სანამ ცილინდრი აბჟუტდებოდა და ნამჯას იქიდან ცეცხლი მოეკიდებოდა.

გახარებული ჩეპურნი წავიდა, ხოლო გოპნერმა დვანოვს გაღვიძება დაუწყო:

— საშა, მალე ადექი, ახლა უნდა გავისარჯოთ, გამხდარი ბერიკაცი კვდება, ქალაქს ცეცხლი ესაჭიროება. საშა! აქ ისედაც მოწყენილობაა, შენ კიდევ გძინავს,

დვანოვმა თავს ძალა დაატანა, შეტოკდა და თითქოს შორიდან — ძილიდან წარმოთქვა:

— მამა, მალე გავიღვიძებ, — ძილიც მოსაწყენია. გარეთ მინდა ვიცხოვრო, აქ თავს ვიწროდ ვგრძნობ...

გოპნერმა დვანოვი გადმოაბრუნა და პირბღმა დააწვინა, რათა მას მიწიდან კი არა, ჰაერიდან ესუნთქა, მერე გული გაუსინჯა, სიზმარში როგორ უცემსო, დვანოვს გული ღრმად, აჩქარებით და ზუსტად უცემდა. გოპნერს შეეშინდა, გული ამ სიჩქარესა და სიზუსტეს ვერ გაუძლებს, დვანოვის გარდამავალი სიცოცხლის—ძილში თითქმის უჩუმარი სიცოცხლის წაკვეთას შეწყვეტსო. გოპნერი კაცის სიცოცხლის თაობაზე დაფიქრდა, — რა უნდა ყოფილიყო ის თანაბრად მოქმედი, დამცველი ძალა, მის გულში რომ ხმიანობდა? — დვანოვის გარდაცვლილმა მშობელმა მისი გული თითქოს სამუდამოდ ანდა დიდი ხნით დამუხტა თავისი იმედით, მაგრამ იმედს აღსრულება არ ძალუძდა და ადამიანის წიაღში ფეთქავდა: თუ აღსრულდებოდა, ადამიანი მოკვდებოდა; თუ არ აღსრულდებოდა — იცოცხლებდა, მაგრამ გაიტანჯებოდა, — ჰოდა, გული ადამიანის შიგნით დაუცხრომელ ალაგას ძგეროდა. „სჯობია იცოცხლოს, — უცქეროდა დვანოვის სუნთქვას გოპნერი, — ტანჯვას კი როგორმე თავიდან ავარიდებთ“. დვანოვი ჩევენგურის ბალახში იწვა. მისი სწრაფვა საითაც არ უნდა ყოფილიყო მიმართული, სიცოცხლის მიზანი მაინც კარმიდამოთა და ადამიანთა შორის უნდა ჰქონოდა მოქცეული, რადგანაც მათ მიღმა აღარაფერი არსებობდა უკაცრიელ სივრცეში თავჩაქინდრული ბალახისა და ცის გარდა, რომელიც დედამიწაზე ადამიანთა განმარტოებულობასა და ობლობას გულგრილად წარმოაჩენდა. შესაძლოა, გული იმიტომაც ძგერს, რომ ამ განხმულსა და ყოველგნით ერთფეროვან ქვეყნიერებაში ეულად დაშთენისა ეშინია, გულის ძგერა უკავშირდება სიღრმეს ადამიანთა მოდგმისას, რომაც იგი სიცოცხლითა და აზრით დამუხტა, ხოლო ეს აზრი შორეული და გაუგებარი

არ არის — იგი იქცევა, მკერდის მახლობლადვე ძრაობს, რათა გულს ძგერა შეეძლოს; სხვაგვარად იგი შეგრძნების უნარს დაკარგავს და ჩაკვდება.

გოპნერმა ჩევენგური ძუნწი მზერით მოათვალიერა: აქაურობა თუმცა უვარგისია, თუმცა სახლები ერთ ადგილას ისეა დახვავებული, მათ შორის გავლა ჭირს, ხოლო ხალხი მდუმარედ ცხოვრობს, გულს მაინც აქ ყოფნა ურჩევნია, ვიდრე შორეულსა და ცარიელ ალაგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილში ჩამთბარმა, დასვენებულმა დვანოვმა გაიზმორა და თვალები გაახილა. გოპნერმა დვანოვს დინჯად, მზრუნველად დახედა — იგი იშვიათად ილიმებოდა და როდესაც ვინმეს თანაუგრძნობდა, კიდევ უფრო კუშტი ხდებოდა: ვისაც თანაუგრძნობდა, მისი დაკარგვისა ეშინოდა, და კუშტი იერი ამ შიშის გამო ეძლეოდა.

ჩეპურნიმ ამასობაში ქარის წისქვილი და ტუმბო აამუშავა; ტუმბოს დგუში ხის მშრალ ცილინდრში დახტოდა და მისი წივილი მთელს ჩევენგურს აყრუებდა — სამაგიეროდ, იაკოვ ტიტიჩისთვის ცეცხლის მოპოვებას ლამობდა. გოპნერი ქანცგამოლეული მანქანის წივილს მშრომელი და მომჭირნე კაცის გაფიცხებით ისმენდა და პირი ნერწყვით ევსებოდა იმ წინათგრძნობისგან, რომ იაკოვ ტიტიჩს ეშველებოდა, როცა მისი მუცლის მოსარჩენად ცხელსა და მარგებელ საჭმელს მოხარშავდნენ.

უკვე მთელმა თვეებმა გაიარა, რაც ჩევენგურში გამეფებული მყუდროება არაფერს დაურღვევია და მომუშავე მანქანა ახლა იქ პირველად აღრჭიალდა.

მთელმა ჩევენგურმა თავი მანქანის ირგვლივ მოიყარა. ყველანი უცქეროდნენ, მანქანა ერთი გატანჯული კაცისთვის რა გულმოდგინედ მუშაობდა და დაუძლურებულ ბერიკაცზე მისი ასეთი მზრუნველობა და შრომისმოყვარეობა აკვირვებდათ.

— ეჰ, თქვე ბეჩავო წეომრებო, — უთხრა ირგვლივ მყოფთ კოპიონკინმა; იგი შემაშფოთებელი ხმის შესამოწმებლად პირველი მოვიდა, — ეს ხომ სხვა ვინმესი კი არა, პროლეტარის გამოგონილი და დადგმულია, თანაც ასევე სხვა პროლეტარისათვის! არაფერი გააჩნდა, ამხანაგისთვის რომ ეჩუქებინა, ჰოდა, ეს ქარსაბერი და თვითმწოვანა გააკეთა.

— ჰო! — თქვეს გარეშეებმა. — ახლა ყველაფერი გასაგებია.

ჩეპურნი ტუმბოს არ სცილდებოდა და მის სიმხურვალეს ამოწმებდა. ცილინდრი სულ უფრო მეტად, მაგრამ ნელ-ნელა ცხელდებოდა. მაშინ ჩეპურნიმ ჩევენგურელებს დაავალა, მანქანის ირგვლივ დაწოლილიყვნენ, რათა მისკენ გრილ ჰაერს არსაიდან დაებერა. ისინი საღამომდე ასე იწვნენ, მაგრამ ქარი მთლად ჩაწყნარდა, ცილინდრი გაგრილდა, ჩამჯას კი ცეცხლი ვერ წაუკიდა.

— ერთხელაც კი ვერ გახურდა ისე, რომ ხელს ვერ გაეძლო, — თქვა ჩეპურნიმ ცილინდრზე. — იქნებ ხვალ ქარიშხალი დილითვე ამოვარდეს, მაშინ ცეცხლს ერთბაშად გავაჩენთ.

საღამოთი კოპიონკინმა დვანოვი მოძებნა; დიდი ხანია, უნდოდა ეკითხა, ჩევენგურში კომუნიზმია თუ პირიქით, დავრჩე აქ, თუ შემიძლია, წავიდეო, — ჰოდა, ახლა ჰკითხა.

— კომუნიზმია, — უპასუხა დვანოვმა.

— მაშ რატომ ვერ დამინახავს? იქნებ არ იზრდება და იმიტომ? მე ხომ სევდასა და ბედნიერებას უნდა ვგრძნობდე: გული მაშინვე მიმისუსტდება ხოლ-

მე მუსიკისაც მეშინია — როცა ბიჭები გარმონს უკრავდნენ, გულზე სევდა შემომაწვებოდა და თვალები ამიცრემლდებოდა.

— შენ ხომ თვით კომუნისტი ხარ, — უთხრა ლევანოვმა. — ბურჟუაზიის შემდეგ კომუნიზმი კომუნისტებისგან წარმოიქმნება და მათი [illegible]ის არსებობს, მაშ სადღა დაეძებ, ამხანაგო კოპიონკინო, როცა საკუთარ არსებაში გაქვს მოთავსებული? ჩევენგურში კომუნიზმს ხელი არ [illegible], ამიტომ თავისით იზრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოპიონკინი ცხენთან მივიდა, კარი გაუღო და მინდორში გაუშვა, რათა [illegible] ღამე ეძოვა; ადრე ასეთი რამ არასოდეს უქნია, ცხენი ყოველთვის გვერდით უნდა ჰყოლოდა, რა წუთშიც დასჭირდებოდა.

ღამე ისე დასრულდა, თითქოს ოთახიდან თანამოსაუბრე კაცი გავიდაო, და ლევანოვს ფეხებზე შესცივდა. იგი უშენ ალაგას მარტოდმარტო იდგა და უცდიდა, იქნებ ვინმე დავინახოო, მაგრამ არავინ გამოჩენილა; გარეშენი დაბინდებულად ადრე წვებოდნენ, რადგან ცოლებს მოუთმენლად ელოდნენ, უნდოდათ, რომ ისინი, რაც შეიძლება, მალე გამოჩენილიყვნენ და ძილში დროის [illegible] გალევას ლამობდნენ. ლევანოვი ქალაქის გარეთ გასასვლელად გაემართა; სადაც ვარსკვლავები უფრო შორეულნი ჩანდნენ და უფრო მშვიდად [illegible]დნენ, ამიტომ რომ ქალაქს კი არ ჩამოსცქეროდნენ, შემოდგომისგან უკვე [illegible] კვლის დაშნოთოდნენ. განაპირა სახლში ვიღაცები ლაპარაკობდნენ; სახლის ცალი მხრიდან ბალახი შემოჭდენოდა, თითქოს ქარსაც მზისდაგვა[illegible] ჩევენგურისთვის დაეწყო მუშაობა და ახლა ბალახს აქეთ ეზიდებოდა, [illegible] სახლები დაეფარა და დაეთბუნებინა.

ლევანოვი სახლში შევიდა. იატაკზე იაკოვ ტიტიჩი პირქვე იწვა და თავისი [illegible]ტკივილისგან იტანჯებოდა. ტაბურეტზე გოპნერი იჯდა და იაკოვ ტიტიჩს ებო[illegible]; [illegible] ქარი ქროდა და ცეცხლის გაჩენა შეუძლებელი შეიქნა: [illegible] მზე შორეულ ღრუბლებს მიეფარა, იქ ცას ელვა აპობს, ზაფხულის [illegible] ღამე [illegible], ხვალ ქარიშხლის ამოვარდნაა მოსალოდნელიო. ჩეპურნი კი ფეხზე იდგა და მდუმარედ ღელავდა.

იაკოვ ტიტიჩის სიცოცხლეზე ფიქრი უფრო აღელვებდა, ვიდრე ტანჯვა[illegible]. სიცოცხლე ახლა აღარ უყვარდა, გონებით კი იცოდა, რომ უნდა ჰყვარებოდა და ამიტომ მასზე მშვიდად წუხდა. სტუმრად მოსვლებისა რცხვენოდა [illegible] გამო, რომ ახლა არ შეეძლო, მათ მიმართ კეთილგანწყობილება ეგრძნო: ამჟამად მისთვის სულ ერთი იყო, ისინი აქ ეყვნენ თუ არა; მისი ტარაკანიც ფანჯრიდან ჩამოსულიყო და სადღაც საგანთა შორის სიმყუდროვეში ცხოვრობდა, მას ერჩია, თბილ საგანთა სითბოსა და სიმჭიდროვეში თავდავიწყებას მისცემოდა და აქაურობა ფანჯრის მიღმა განფენილ, მზით გამთბარ, მაგრამ ძალზე ვრცელ, შემზარავ მიწაზე უკეთესად მიაჩნდა.

— იაკოვ ტიტიჩ, ტარაკანი სულ ტყუილად შეიყვარე, — უთხრა ჩეპურნი[illegible]. — [illegible] ამიტომაც გაბდიო [illegible] შემოგარეულს, რომ [illegible], მათი მეშვეობით შენზე კომუნიზმის სოციალური პირობები იმოქმედებდა. მარტო დარჩენილი კი, ცხადია, დასნეულდი, [illegible] მთელი ჯგრო შენ შემოგესია; სხვებთან ერთად თუ იქნებოდი, ყველას მიესალმებოდი [illegible] ცოტალი გექნებოდა...

ჩუმჯრისა ... ღრმად ჩაუიქრდა — ამ დროს ყოველგვარი შეგრძნებანი [illegible] ბოდა.

— კარგი, გეთაყვა, მაშ ტარაკანი დაიჭირეთ, — უთხრა [illegible] მისი ნდობა ჰქონდა. — ეს ტარაკანიც ხომ ჩვენებურში ცხოვ[illegible] ვის, — ოქვა ბოლოს განუკურნებულმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იაკოვ ტიტიჩს მუცელში რაღაც აჰკი ისე ძალიან დაეჭიმა, რომ შეშინდა ეს აჰკი გამისკდებაო, და წინასწარ დაიკვნესა, მაგრამ აჰკი კვლავ მოუდუნდა. იაკოვ ტიტიჩმა ამოიოხრა, რადგან თავისი სხეულიც ენანებოდა და ის ხალ ხიც, ვინც ირგვლივ ჰყავდა; ხედავდა, რომ ახლა, როცა მოწყენილობამ და [illegible] მა წელი ასე დარია და მისი სხეული იატაკზე უულად იყო გართხმული, [illegible] ანები გვერდით ედგნენ, ყოველ მათგანს თავისი სხეული გააჩნდა და მისი ტან ჯვის მაცქერლებმა არ იცოდნენ, თავიანთი ტან-ფეხისთვის რა ექნათ. ჩეპურ ნი სირცხვილს სხვებზე უფრო მეტად გრძნობდა; იგი უკვე მიეჩვია იმ აზრს, რომ ჩვენებურში ქონებამ ღირებულება დაკარგა, პროლეტარიატი მჭიდროდ შეკავშირდა. მაგრამ პროლეტარებს სხეულები განცალკევებული ჰქონდათ და უმწეონი იყვნენ სატანჯველის წინაშე, ამ მხრივ ადამიანები სრულებით არ ჰყ ვნენ შეკავშირებულნი და ამიტომაც იყო, რომ კოპიონკინსა და გოპნერს კო მუნიზმის შემჩნევა არ შეეძლოთ — კომუნიზმი პროლეტართა სხეულებს შო რის შუალედ ნივთიერებად ჯერ არ ქცეულიყო. ახლა ჩეპურნიმაც ამოიოხრა: ღვანოვი მაინც მოგვეხმარებოდა, თორემ ჩვენებურში ჩამოვიდა და ლუმ[illegible] და იქნებ თვითონ პროლეტარიატს მოეკრიბა მთელი ძალა, რადგან სხვას იქ[illegible] არავისი იმედი არ უნდა ჰქონდესო.

გარეთ მთლად ჩამობნელდა, ღამე ძალას იკრებდა. იაკოვ ტიტიჩი ელოდა [illegible] სადაცაა, ყველანი ღამის გასათევად წავლენ, მე კი მარტო უნდა დავრჩე და ვიტანჯოო.

მაგრამ დვანოვს წამხდარი, დასნეულებული ბერიკაცის მიტოვება არ შეეძლო; უნდოდა, გვერდით მისწოლოდა და მთელი ღამე, მთელი ის ხანი სანამ იგი ავად იქნებოდა, ასე მის გვერდით წოლილიყო, როგორც ოდესღაც ბავშვობაში, მამასთან ერთად იწვა; თუმცაღა არ დაწოლილა, რადგან [illegible] და, იფიქრა, ხომ შემრცხვებოდა, მე თვითონ რომ მომწოლოდა ვინმე გვერ დით, რათა ჩემი სენი და ღამით მარტოობა გაეზიარებინაო. დვანოვი [illegible] რო მეტს ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო, მით უფრო ავიწყდებოდა, იაკოვ ტიტიჩთან ღამის გასათევად დარჩენა რომ სურდა, თითქოს გონება მის გრძნო ბად არსს ნთქავდა.

— იაკოვ ტიტიჩ, შენ არაორგანიზებულად ცხოვრობ, — მოისაზრა ჩე პურნიმ, რაც იყო სენის მიზეზი.

— რას მიედ-მოედები? — განაწყენდა იაკოვ ტიტიჩი. — რაზან ასეა, [illegible] ჩემი სხეულის ორგანიზება მოახდინე. შენ იქ მარტო სახლები და ავეჯი [illegible] რი ადგილიდან, ხოლო ადამიანის სხეული როგორც იტანჯებოდა, [illegible] ჯება... წადი და შენთვის მოისვენე. სადაცაა, ჩამი წვეთის დაიწყებს

— მე ვაჩვენებ იმ წყეულს, წვეთი როგორ უნდა! — [illegible] ნერმა და გარეთ გავიდა. იგი სახურავზე აფოფხდა [illegible] რებლად, საიდანაც ჩამი სახლში იჟონებოდა და სნეულ იაკოვ ტიტიჩს თოშავ და.

სახურავზე დვანოვიც ავიდა და იქ მილზე ხელჩაჭიდებული იდგა; მთვა

რე უკვე ცივად ელვარებდა, დანესტიანებულ სახურავებზე ნამი უკაცრიელად ბრწყინავდა, ხოლო ველზე ეულად შთენილთ ახლა ნაღველი და შიში ეუფლებოდა. გოპნერმა სამზარეულოში ჩაქუჩი მონახა. სამჭედლოდან თუნუქის საჭრელი მაკრატელი და ორი ძველი თუნუქის ფურცელი მოიტანა და სახურავის შეკეთებას შეუდგა. დვანოვი ქვემოთ თუნუქს ჭრიდა, ლურსმნებს ასწორებდა და გამზადებულ მასალას მაღლა აწვდიდა. ხოლო გოპნერი სახურავზე იჯდა და მთელ ჩევენგურს ჩაქუჩის კაკუნით აყრუებდა; კომუნიზმის დადგომის შემდეგ პირველად იყო, ჩევენგურში ჩაქუჩი რომ აკაკუნდა და მზის გარდა ადამიანმაც იწყო შრომა. ჩეპურნი ველზე იყო გასული და იქაურობას აყურადებდა იმის შესატყობად, პროკოფი ხომ არ მოდიოდა; ახლა ჩაქუჩის ხმა გაიგონა და უკან სწრაფად დაბრუნდა: სხვა ჩევენგურელებმაც ველარ მოითმინეს, მოვიდნენ და გაოცებულნი უცქეროდნენ, ადამიანმა უცებ როგორ დაიწყო მუშაობა, უკვირდათ, რატომ მუშაობსო.

— ნუ გეშინიათ, გეთაყვა, — უთხრა ყველას ჩეპურნიმ, — ამან სარგებლობისა და სიმდიდრის მოსახვეჭად კი არ დაიწყო კაკუნი. არაფერი გააჩნდა, ტიტიჩისთვის რომ ეჩუქებინა, და სახურავის შეკეთებას ამიტომ შეუდგა. დაე, შეაკეთოს!

— დაე, აკეთოს, — თქვა ბევრმა იქ მყოფმა. ისინი იქ შეღამებამდე იდგნენ, სანამ გოპნერი სახურავიდან არ ჩამოვიდა და არ თქვა, ახლა აღარ ჩამოწვეთავსო. ყველა გარეშემ კმაყოფილებით ამოისუნთქა, იმიტომ რომ იაკოვ ტიტიჩს ახლა თავი აღარ დაუსველდებოდა და შეეძლო, მშვიდად ევალდმყოფა: ჩევენგურელთათვის იაკოვ ტიტიჩს უმალ ფასი დაედო, იმიტომ რომ მთელი სახურავის შეკეთება შეიქნა საჭირო იმისთვის, რომ იგი გადარჩენილიყო.

დარჩენილი ღამე ჩევენგურელებმა ძილში გაატარეს. ნუგეშით აღსავსეებს მშვიდად ეძინათ, რადგან ქალაქის განაპირას ქორქვეტის ზვინით შემოსალტულ სახლი იდგა, სადაც იწვა კაცი, ვინც ახლა მათთვის კვლავ ძვირფასი შეიქნა და ისინი მასზე ძილში ნაღვლობდნენ; ამგვარად ძვირფასი არის ხოლმე სათამაშო პატარა ბავშვისთვის, ვისაც სძინავს და გათენებას ელის, რათა გაიღვიძოს და ბედნიერების მიმნიჭებელი სათამაშოთი გაერთოს.

ჩევენგურში იმ ღამით მხოლოდ ორ კაცს — კირეისა და ჩეპურნის არ ეძინათ; ორივენი ხარბად ფიქრობდნენ ხვალინდელ დღეზე, როცა ყველანი ადგებოდნენ, გოპნერი ტუმბოთი ცეცხლს მოიპოვებდა, მწეველები დაბეგვილ ძირხვენას მოსწევდნენ და თავს კვლავ კარგად იგრძნობდნენ. ოჯახსა და შრომას მოკლებული კირეი, ჩეპურნი და მძინარე ჩევენგურელები იძულებულნი იყვნენ, მახლობელ ადამიანთათვის და საგნებისთვის სული ჩაედგათ, რათა თავიანთ სხეულში ჩახშობილი სიცოცხლე, ახლა აღორძინებას რომ ესწრაფვოდა, როგორმე მოემძლავრებინათ და თავისი არსებობისთვის შვება მიენიჭებინათ. რაკილა დღეს სული ჩაუდგეს იაკოვ ტიტიჩს, ყველამ შვება იგრძნო და მის მიმართ ძუნწი თანაგრძნობით აღვსილებმა ისე მშვიდად დაიძინეს, თითქოს რაღაცით დაქანცულნი ყოფილიყვნენ. ბოლოს კირეისაც ნელ-ნელა რული მოერია, ხოლო ჩეპურნიმ ჩაიჩურჩულა, — იაკოვ ტიტიჩს უკვე სძინავს, მე კი არაო, — და ძალაგამოლეული თავი თვითონაც მიწაზე მიდო.

მეორე დღეს დილიდანვე წვრილი წვიმა დაიწყო, ჩევენგურის ცაზე მზე აღარ გამოჩენილა; ხალხმა გაიღვიძა, მაგრამ სახლებიდან არ გამოდიოდა. ბუნებას შემოდგომის მოუსვენრობა დაეუფლა, ნელი, გაბმული წვიმით დამბალი ნიადაგი ხანგრძლივ რულს მიეცა.

გობნერი ყუთის გაკეთებას შეუდგა, რათა წყლის ტუმბოსათვის გადაეფარებინა, წვრილი წვიმის წვეთები მოერიდებინა და ცეცხლი მაინც მოეპოვებინა. ოთხი გარეშე გობნერს გარშემო შემოხვეოდა; თავი ისე ეჭირათ, თითქოს ისინიც მისი შრომის მონაწილენი იყვნენ.

კოპიონკინმა თავისი ქუდიდან როზა ლუქსემბურგის პორტრეტი ამოხლვია და გადახატვა დაიწყო — უნდოდა, რომ სურათი დეკანო[illegible]ბინა, იქნებ როზა იმანაც შეიყვაროსო. კოპიონკინმა მუყაო იპოვა, ღუმლიდან ნახშირი გამოჩხრიკა, სამზარეულოს მაგიდას მიუჯდა და ამ ნახშირით ხატვას შეუდგა; პირიდან გამოყოფილი ენა უორთოდა, ისეთ მშვიდსა და განსაკუთრებულ სიამოვნებას გრძნობდა, რაც მანამდე განვლილ სიცოცხლეში არასოდეს განუცდია. როზას პორტრეტზე ყოველი დახედვისას კოპიონკინს მღელვარება ემატებოდა; — ჩემო ამხანაგო ქალო, ჩემო საყვარელოო! — თავისთვის ჩურჩულებდა და ჩევენგურში დამკვიდრებული კომუნიზმის მყუდროებაში იხრავდა. ფანჯრის მინაზე წვიმის წვეთები მიცურავდა, ზოგჯერ ქარი წამოუბერავდა, მინას ერთბაშად აშრობდა და მახლობელ ღობეს ნაღვლის მომგვრელად გამოაჩენდა; კოპიონკინმა კვლავ ამოიოხრა, ხელისგული ენით დაისველა მეტი სიმარჯვისათვის და როზას ტუჩების შემოხაზვას შეუდგა; თვალების ხატვა როცა დაიწყო, გრძნობები საბოლოოდ აეშალა, თუმცაღა მწუხარება არ ტანჯავდა; ეს მხოლოდ მოიმედე გულის სისუსტე გახლდათ, იმიტომ რომ ძალის იმ გულმოდგინებაზე ხარჯავდა, რაც ხატვის ხელოვნებას ესაჭიროებოდა. ახლა ვერ შეძლებდა, პროლეტარულ ძალას მოხტომოდა, ატალახებულ ველზე გაჭრილიყო, გერმანიისკენ გაეჭენებინა და როზა ლუქსემბურგის საფლავთან მისულიყო, რათა მიწის ბორცვისთვის თვალის შევლება მოესწრო, სანამ შემოდგომის წვიმები გადარეცხავდა. მხოლოდ ის შეეძლო, ომში ველებზე ქარის ქროლვისგან დაჭანცული თვალები დროდადრო მაზარის სახელოთი მოეწმინდა; გულისწუხილს ბეჯით შრომაში ხარჯავდა, რაკილა ერიდებოდა, რომ დვანოვი ერთბაშად გულში ჩაეკრა და შეეყვარებინა; ფიქრობდა, იგი როზა ლუქსემბურგის სილამაზეს შეუმჩნევლად უნდა ვაზიარო და ამით გავაბედნიეროო.

ორი გარეშე პაშინცევთან ერთად ჩევენგურის განაპირას ნარიყ ქვიშრობზე ტირიფის ამონაყარს ჭრიდა. თუმცა წვიმდა, ხელს არ აჩერებდნენ და წკნელები კარგა ბლომად დაეხვავებინათ. ჩეპურნიმ ეს უცხო საქმიანობა შორიდანვე შეამჩნია, მით უმეტეს, რომ მომუშავენი წნელის გულისთვის სველდებოდნენ და ცივდებოდნენ, ამიტომ ამბის გასაგებად გასწია.

— რას აკეთებთ? — ჰკითხა მან ტირიფის მჭრელებს. — საჩრდილობლებს რატომ ანადგურებთ და თვითონაც რატომ ცივდებით?

მაგრამ წნელის მჭრელები მუშაობით იყვნენ გართულნი, სამივენი ნაჯახებს გამეტებით იქნევდნენ და ტირიფის საცოდავ ამონაყარს სიცოცხლეს უსპობდნენ. ჩეპურნი ნოტიო ქვიშაში ჩაჯდა.

— დახე ამას, დახე ამას! — ამბობდა იგი და პაშინცევისკენ იყურებოდა, — ჩეხავს, როგორც მოეპრიანება. მითხარი მაინც, გეთაყვა, რატომ ჭრი?

— ღუმლის გასახურებლად, — უპასუხა პაშინცევმა, — ზამთრისთვის წინასწარ უნდა მოემზადო.

— ჰო, მაშ ზამთრისთვის უნდა მოემზადო, არა! — ეშმაკურად თქვა ჩეპურნიმ. — იმას რატომ აღარ ითვალისწინებ, ზამთარში თოვლს რომ დებს?

— როცა თოვლი მოდის, მაშინ დებს კიდევაც, — დაეთანხმა პაშინცევი.

— თოვლი როდისღა არ მოდის, მითხარი, გეთაყვა, — სულ უფრო ეშმაკურად [illegible] ჩეპურნი, შემდეგ კი პირდაპირ მითითებათა მიცემას იწყებდა: — ჩევენგურს ხომ თოვლი დაფარავს და თოვლის ქვეშ თბილად ვიქნებით. [illegible] მოგროვება და ღუმელის გახურება რაღა? მაშ დამარწმუნე, გეთაყვა, — მე ვერაფერსა ვგრძნობ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენ ჩვენთვის არა ვჭრით, — დაარწმუნა იგი [illegible] — იმათთვის ვამზადებთ, ვისაც დასჭირდება. თავად მე ცეცხლი არასოდეს დამჭირდება, ქოხს გარშემო თოვლს მივახვეტავ და შიგნით ვიქნები.

— ვისაც დასჭირდება?! — ყოყმანით თქვა ჩეპურნიმ და დაკმაყოფილდა. — მაშინ, რაც შეიძლება, ბევრი მოჭერით. მე მეგონა, თქვენთვის ჭრიდით, მაგრამ რაკი სხვებისთვის ჭრით, მაშ სწორად იქცევით — ეს შრომა კი არ არის, მუქთი დახმარებაა, რადგან ასეა, მოჭერით! ოღონდ ფეხშიშველი რატომ ხარ? აჰა, ჩემი [illegible] ფეხსაცმელი მაინც ჩაიცვი, თორემ გაცივდები!

— მე გავცივდები?! — განაწყენდა პაშინცევი. — მე როდისმე ავად თუ გავხდები, მაშ შენ უკვე დიდი ხნის მკვდარი უნდა იყო.

ჩეპურნი [illegible] დადიოდა შესამოწმებლად: ხშირად ავიწყდებოდა, რომ ჩევენგურში რევკომი აღარ არსებობდა და აღარც თვითონ იყო თავმჯდომარე; ახლაღა გაახსენდა, რომ იგი საბჭოთა ხელისუფლებას არ წარმოადგენდა, წნელების მჭრელებს ჩამოსცილდა და დარცხვენილი წავიდა; ეშინოდა, რომ პაშინცევსა და სხვ გარეშეს მასზე არ ეფიქრათ, აგერ ყველაზე ჭკვიანი და ყველაზე კარგი ბობოლანდება; უნდა რომ კომუნიზმის ლატაკთა მდიდარი უფროსი გახდესო! ბოლოს, ჩეპურნი ერთ გარდიგარდმოჩაყოლებულ ღობის იქით ჩამოჯდა, რათა იგი ყველას გადავიწყებოდათ და ვერაფერის გაფიქრება ვერ მოესწროთ. მახლობელი ფარდულიდან ქვაზე ხმადაბალი გაჩქარებული რაკარუკი მოისმოდა. ჩეპურნიმ ღობიდან მარგილი ამოაძრო და იმ ფარდულამდე მივიდა, ხელში მარგილი ეჭირა და სურდა, მშრომელებს მუშაობაში ამ მარგილით დახმარებოდა. ფარდულში კირეი და ჟეევი წისქვილის ქვას შემოსხდომოდნენ და კოდავდნენ, ქვის ზედაპირზე ნაჭდევები გამოჰყავდათ. კირეისა და ჟეევს თურმე უნდოდათ, ქარის წისქვილი აემუშავებინათ, სხვადასხვა მცენარეულობის მომწიფებული მარცვალი მოეგროვებინათ, დაეფქვათ და [illegible] იაკოვ ტიტიჩისთვის წმინდა ფქვილისგან ფაფუკი ლავაშები გამოეცხოთ. ყოველი ნაჭდევის ამოტეხვის შემდეგ ორივენი ჩაფიქრდებოდნენ ხოლმე, ქვის კოდვა განეგრძოთ თუ არა, და ფიქრი დამთავრებული არ ჰქონდათ, კოდვას ისე განაგრძობდნენ. ორივე ერთსა და იმავე ეჭვს შეეპყრო: დოლაბისთვის ღერძი იყო საჭირო, ხოლო ღერძის გაკეთება მთელს ჩევენგურში მარტო იაკოვ ტიტიჩს შეეძლო — იგი უწინ მჭედლად მუშაობდა. მაგრამ იაკოვ ტიტიჩი ღერძის გაკეთებას, როცა შეძლებდა, მაშინ გამოჯანმრთელებული იქნებოდა და ლავაშიც აღარ დასჭირდებოდა, — მაშასადამე, ახლა ქვის კოდვა უნდა მიეტოვებინათ, ხოლო იაკოვ ტიტიჩი თუკი გამოჯანმრთელდებოდა და წამოდგებოდა, მაშინ აღარც ლავაში დასჭირდებოდათ, აღარც წისქვილი და აღარც ღერძი. კირეი და ჟეევი დროდადრო ყოყმანით შეჩერდებოდნენ ხოლმე, შემდეგ კი, ყოველ შემთხვევისთვის, კვლავ განაგრძობდნენ მუშაობას, რათა იაკოვ ტიტიჩზე ზრუნვით კმაყოფილება ეგრძნოთ.

ჩეპურნიმ მათ ერთხანს უცქირა და მერე თვითონაც შეეჭვდა.

— სულ ტყუილად [illegible], — ფრთხილად ამოთქვა მან თავისი აზრი.

— ახლა ქვას შეიგრძნობთ, ამხანაგებს კი — არა. აი, პროკოფი მოვა და ყველას ხმამაღლა წაგიკითხავთ, შრომა კაპიტალიზმის თანაბრად როგორ ბადებს საძაგელ წინააღმდეგობებს... გარეთ წვიმს, ველზე სინესტეა, ხოლო [illegible] არსად ჩანს. მე კი სულ დავეხეტები და იგი მაგონდება.

— იქნებ მართლაც ტყუილად ვკლდავთ? — ჩეპურნის ნაცვლად [illegible] კირეი, — იაკოვ ტიტიჩი ისედაც გამოჯანმრთელდება — კომუნიზმი [illegible] ძლიერია. მირჩევნია, წავიდე, ვიზნებიდან ღენთი გადმოვყარო და ამხანაგ გოპნერს მივუტანო, რომ ცეცხლი უფრო სწრაფად გააჩაღოს.

— უღენთოდაც გააჩაღებს, — შეაჩერა კირეი ჩეპურნიმ. — ბუნების ძალები ყველაფრისთვის იკმარებს: მთელი მნათობები ანთია და ნუთუ ნამჯა ვეღარ აინთება?... მზე ღრუბლებს მოეფარება თუ არა, მის მაგივრად მუშაობა მაშინათვე დაიწყეთ! უფრო მართებულად უნდა იცხოვროთ, ახლა კაპიტალი აღარ არის!

მაგრამ კირეიმ და ჟეევმა ზუსტად არ იცოდნენ, ახლა რატომ შრომობდნენ, და გარეთ მხოლოდ მოწყენილობა იგრძნეს, როცა ქვას თავი მიანებეს და ზედ იაკოვ ტიტიჩზე ზრუნვის კვალი დატოვეს.

დვანოვმაცა და პიუსიამაც თავდაპირველად აგრეთვე არ იცოდნენ, მდინარე ჩევენგურკასკენ რატომ წავიდნენ. წვიმას ველზე და მდინარის ხეობაში რაღაც განსაკუთრებული მყუდროება დაემკვიდრებინა და ბუნება ხევდისმომგვრელად დუმდა. სველსა და ეულ მინდვრებს თითქოს ჩევენგურელებთან მოახლოვება ეწადათ. დვანოვი ფიქრობდა კოპიონკინზე, ჩეპურნიზე, იაკოვ ტიტიჩზე და ყველა გარეშეზე, ვინც ახლა ჩევენგურში თავისთვის წყნარად ცხოვრობდა; ფიქრობდა მათზე და გული ბედნიერებით ევსებოდა, რადგან ეს ადამიანები წვიმით, ველითა და მთელი უცხო ქვეყნების ქუფრი შუქით გარემოცული ერთადერთი სოციალიზმის ნაწილებად ეგულებოდა.

— პიუსია, შენ რაიმეზე თუ ფიქრობ? — ჰკითხა დვანოვმა თანამგზავრს.

— ვფიქრობ, — უმალ უპასუხა პიუსიამ და ოდნავ შეცბა — ფიქრი ხშირად ავიწყდებოდა და ამჟამად არაფერზე ფიქრობდა.

— მეც ვფიქრობ, — უთხრა მას კმაყოფილებით გულაღვსებულმა დვანოვმა.

ფიქრად მას აზრი კი არა, საყვარელი საგნების გამუდმებული წარმოსახვით მინიჭებული სიამოვნება მიაჩნდა; ასეთ საგნებად ახლა ჩევენგურელი ადამიანები ესახებოდა — მათ შიშველ, უბადრუკ სხეულებს, როგორც სოციალიზმის არსს, ისე წარმოიდგენდა, იმ სოციალიზმისა, ის და კოპიონკინი ველზე რომ დაეძებდნენ და ახლა იპოვეს. დვანოვი თავისი სულის სრულ ავსილობას გრძნობდა, გუშინდელი დღის შემდეგ ჭამაც კი აღარ სურდა, საჭმელი აღარ აგონდებოდა; ახლა ეშინოდა, ეს მშვიდი სულიერი კმაყოფილება არ დაეკარგა. ამიტომ უნდოდა, სხვა მეორეხარისხოვანი იდეა ეპოვა, იმ იდეით ეარსება, ის იდეა დაეხარჯა, უმთავრესი იდეა კი ხელუხლებელ მარაგად შემოენახა და მხოლოდ იშვიათად დაბრუნებოდა, რათა ბედნიერება განეცადა.

— პიუსია, — მიმართა დვანოვმა თანამგზავრს, — ხომ მართალია, რომ ჩევენგური ჩვენი სულიერი ქონებაა? რაც შეიძლება, მომჭირნედ უნდა შევინახოთ და ყოველ წუთას ხელი არ მივაკაროთ!

— ეს შესაძლებელია! — ექვმიუტანლად დაუდასტურა პიუსიამ. — აბა, ერთი ვინმემ ხელი მიაკაროს — იმავე წუთს გულს ამოვგლეჯ!

— ჩევენგურშიც ადამიანები ცხოვრობენ, იმათ უნდა იცოცხლონ და ისაზრდოონ, — უფრო მშვიდად განაგრძობდა ფიქრს დვანოვი.

— რა თქმა უნდა, ასეა, — ეთანხმებოდა პიუსია. — [illegible] რომ აქ კომუნიზმია, ხალხი კი გამხდარია! იცოდე ტიტანის სხეულ[illegible] კომუნიზმი განა გაძლებს, როცა ის ასეთი მჭლეა? თავის სხეულში [illegible] თავადება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისინი ჩამქვდარ, დიდი ხნის აბალახებულ ღელის მიადგნენ; ღელეს შესართავი მდინარე ჩევენგურკას ჭალისკენ ჰქონდა მიქცეული და იქ, ხეობაში ქრებოდა. ღელის ფართო ფსკერზე დამყაყებული ნაკადული მიემართებოდა, ხოლო ნაკადულს მკვირცხლი წყარო კვებავდა, რომელიც სათავეს ღელის სიღრმეში იღებდა; ნაკადულში წყალი ერთთავად მიედინებოდა. ყველაზე გვალვიან წლებშიც კი არ ილეოდა და მის ნაპირებზე მწვანე ბალახი მუდამ ხარობდა. დვანოვს ყველაფერზე მეტად ახლა ის აწუხებდა, რომ ყველა ჩევენგურელი საკვებით უზრუნველეყო, რათა ამქვეყნად დიდხანს უვნებლად ეცხოვრათ და თავისი არსებობით დვანოვის გულისა და გონებისთვის სიმშვიდე და ხელშეუვალი ბედნიერება მიენიჭებინათ; ჩევენგურში სხეული ყველას ნირშეუცვლელი უნდა ჰქონოდა, იმიტომ რომ კომუნიზმის ხიფათიანი შეგრძნება მხოლოდ ამ სხეულებში არსებობდა. დვანოვი შეფიქრიანებული შეჩერდა.

— პიუსია, — უთხრა მან თანამგზავრს, — მოდი, ნაკადულის გარდიგარდმო მიწა დავზვინოთ და კაშხალი გავმართოთ. აქ წყალმა ტყუილუბრალოდ, ადამიანებისთვის უსარგებლოდ რატომ უნდა იდინოს?

— მოდი, — დაეთანხმა პიუსია. — მერე ეს წყალი ვინ უნდა სვას?

— ზაფხულში მიწამ უნდა სვას, — განუმარტა დვანოვმა; მან გადაწყვიტა, ღელის ხეობაში ხელოვნური რწყვა მოეგვარებინა, რათა მომავალ ზაფხულს, თუ გვალვიანობის გამო საჭიროება შეიქნებოდა, ხეობა მოერწყა, მიწა გაეჟღენთებინა და საზრდოდ გამოსადეგი მარცვლეულისა და ბალახის წამოზრდაში მიხმარებოდა.

— აქ კარგი ბოსტნები შეიძლება მოეწყოს, — თქვა პიუსიამ. — ადგილები ნოყიერია. — გაზაფხულობით ღვარს აქ შავი მიწა მოაქვს, ხოლო ზაფხულობით აქაურობა სულ დამსკდარია და მარტო ობობებიღა ბუდობენ.

ერთი საათის შემდეგ დვანოვმა და პიუსიამ ბარები მოიტანეს და თხრილის გაყვანა დაიწყეს, რათა ნაკადულიდან წყალი თხრილში გადაეგდოთ, რომ დამშრალი ღელის კალაპოტში კაშხლის აშენება შესძლებოდათ. წვიმა სრულებით არ ნელდებოდა და ბალახმოდებული, წყლით გაჟღენთილი მიწის ბარით თხრა ჭირდა.

— სამაგიეროდ, ხალხი სულ მაძღარი იქნება, — ამბობდა დვანოვი და ბარს გულმოდგინედ, დახარბებით ამუშავებდა.

— მაშ, რა! — კვერს უკრავდა პიუსია. — წყალი მართლა დიდი რამეა.

ახლა დვანოვს აღარ ეშინოდა, რომ დაიკარგებოდა ან დაუზიანდებოდა უმთავრესი საფიქრალი, ჩევენგურში ადამიანები უნაკლოდ დაცულნი რომ უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მეორე, დამატებითი იდეა — ხეობის მორწყვის თემაზე საზრუნავი შეიძინა; დღეიდან ამ საზრუნავს გადააყოლებდა გულს და მისი მეშვეობით პირველ იდეას თავის არსებაში ურყევად შეინარჩუნებდა. ჯერჯერობით დვანოვი კომუნიზმის ადამიანთა გამოყენებას მაინც არიდებდა თავს, უნდოდა, რომ წყნარად ეარსება და კომუნიზმი დაუზიანებლად, მისი პირველდამწყები ადამიანების სახით შემოენახა.

შუადღისას გოპნერმა წყლის ტუმბოთი ცეცხლი მოიპოვა; ჩევენგურში სიხარულის ყიჟინა გაისმა და დვანოვიცა და პიუსიაც იქითკენ გაექანენ. ჩეპურნის ცეცხლი უკვე გაეჩაღებინა, ზედ ქვაბი შემოედგა და იაკოვ ტიტიჩისთვის წვნიანს ხარშავდა, თავის საქმიანობას გაეხალისებინა და იმის გამო გაამაყებულიყო, რომ ჩევენგურში პროლეტარებმა ცარიელ ალაგზე [illegible] მოპოვება შეძლეს.

ბიბლიოთეკა

დვანოვმა გოპნერს უთხრა, რომ [illegible]კადულზე სარწყავი კაშხალის აგება ჰქონდა განზრახული, რათა მარცვლეული და ბოსტნეული უკეთ გაეხარებინა. გოპნერმა ამის თაობაზე თქვა, ხიმინჯების გარეშე ეს საქმე არ მოგვარდება, ჩევენგურში ხმელი ხეები უნდა გამოვნახოთ და ნარიმანდიანი ხიმინჯების დამზადება დავიწყოთო. დვანოვი და გოპნერი ხმელ ხეებს საღამომდე დაეძებდნენ, სანამ ბურჟუაზიის ძველ სასაფლაოს არ მიაღწიეს, რომელიც უკვე ჩევენგურის გარეთ მოექცა იმის გამო, რომ შაბათობებზე სახლების გადატანის შედეგად ქალაქი ერთ ადგილას შემჭიდროვდა; მდიდარი ოჯახები თავიანთ გარდაცვლილ ახლობლებს სასაფლაოზე მუხის მაღალ ჯვრებს უდგამდნენ და ეს ჯვრები საფლავებზე მრავალ ათეულ წელიწადს იდგა, როგორც მიცვალებულთა ხედქცეული უკვდავება. გოპნერმა ჯვრები ხიმინჯებისთვის გამოსადეგად მიიჩნია, თუ გარდიგარდმო დაჭედებულ ძელებს და იესო ქრისტეს თავებს მოაცილებდნენ.

გვიან საღამოს გოპნერი, დვანოვი, პიუსია და კიდევ ხუთი გარეშე ჯვრების ამოგლეჯას შეუდგნენ, მოგვიანებით, როცა იაკოვ ტიტიჩი ავახშმა, სასაფლაოზე ჩეპურნიც მივიდა და ამოგლეჯვას იმანაც მიჰყო ხელი, რათა მომავალში ჩევენგურის დასაპყრებლად მომუშავეებს მიხმარებოდა.

ორი ბოშა ქალი მომუშავეთა ხმაურში ველიდან სასაფლაოზე უჩუმარი ნაბიჯებით შევიდა; ქალები წანამდე არავის შეუმჩნევია, სანამ ჩეპურნისთან არ მივიდნენ და მის წინ არ შეჩერდნენ. ჩეპურნი ჯვარს მისდგომოდა და ძირს უთხრიდა, ჰოდა, უცბად რაღაც ისეთი ნოტიო და თბილი სუნის მოდენა იგრძნო, ქარს ჩევენგურიდან, კარგა ხანია, რომ გაედევნა; ჩეპურნიმ თხრა შეწყვიტა და სული განაბა — უცხო რაღაცამ თავი რითიმე კიდევ გაამჟღავნოსო, მაგრამ არაფერი გახმაურებულა, სუნი კი ისევ მოდიოდა.

— აქ რა გინდათ? — შესძახა ჩეპურნიმ და წამოხტა, ისე რომ ბოშა ქალები არც დაუნახავს.

— გზაზე ერთი ყმაწვილი შემოგვხვდა და აქეთ გამოგვგზავნა, — თქვა ერთმა ქალმა. — აქ იმიტომ მოვედით, რომ ცოლებად დაგიდგეთ.

— პროშამ გამოგგზავნათ? — გაიხსენა ჩეპურნიმ და გაიღიმა. — თვითონ სად არის?

— აი, იქით არის, — უპასუხა ბოშა ქალმა, — ჩვენ გაგვსინჯა, სნეულები ხომ არა ხართო, და აქეთ გამოგვერეკა. ჩვენც ვიარეთ, ვიარეთ და, ეგე, მოვედით კიდევაც, თქვენ კი აქ საფლავებსა თხრით, ხოლო კარგი საცოლეები არა გყავთ...

შეწუხებულმა ჩეპურნიმ უეცრად მოსული ქალები შეათვალიერა. ერთი ახალგაზრდა იყო და სიტყვაძვირი ჩანდა; პატარა შავ თვალებში მტანჯველი ცხოვრებისმომთმენობა ეხატებოდა, ხოლო სახეს უძლური, თხელი კანი უფარავდა; ამ ქალს ტანზე წითელარმიელის მაზარა ეცვა, ხოლო თავზე კავალერისტის ქუდი ეხურა, შავსა და ელვარე თმაზე ეტყობოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა რომ იყო და შესახედავადაც კარგი იქნებოდა, მაგრამ სიცოცხლის

ჟამი გასაჭირში აქამდე ამაოდ გაელია. მეორე ბოშა ქალი ხნიერი და პირნაყვავილარი იყო, მაგრამ ახალგაზრდაზე უფრო მხიარულად იცქირებოდა, იმიტომ რომ მრავალი წელი ტანჯვაში გაეტარებინა, მწუხარებას მისჩვეოდა, და ამის გამო ცხოვრება სულ უფრო იოლი, სულ უფრო ბედნიერი ეჩვენებოდა, — იმ მწუხარებას, რაც გამუდმებით მეორდებოდა, ხნიერი ქალი უკვე ვეღარ შეიგრძნობდა: განმეორებული მწუხარება იოლად გადასატანი ხდებოდა.

ქვეყნიერებისგან სანახევროდ მივიწყებული ქალების ნაზმა იერმა ჩეპურნის გული აუჩვილა. მან დვანოვს შეხედა, რათა ახლადმოვლენილ ცოლებთან საუბარი მას წამოეწყო, მაგრამ მღელვარებისგან თვალებაცრემლებული დვანოვი ლამის შეშინებული იდგა.

— მერედა, კომუნიზმს გაუძლებთ? — ჰკითხა ბოშა ქალებს მათი ხილვით გრძნობამორეულმა და დაძაბულმა ჩეპურნიმ. — აქ ხომ ჩევენგურია, დედაკაცებო, განა ვერ ხედავთ?!

— ლამაზო კაცო, რას გვაშინებ! — სწრაფად უპასუხა ხალხში ტრიალს ნაჩვევმა ხნიერმა ბოშა ქალმა. — თავს რაღა არ გადაგვხდომია. ქალობა კი არ დაგვიკარგავს — მთლიანად აქ მოვიყოლეთ. ჩვენგან რას მოითხოვ? შენმა გამოგზავნილმა ყმაწვილმა გვითხრა, ყველა ცოცხალი დედაკაცი იქ საცოლედ გამოდგებაო, შენ კი გვეუბნები, ვერ გაუძლებთო! რისთვისაც გაგვიძლია, აქ იმის გაძლება არ დაგვჭირდება, — აქ ყოფნა უფრო იოლი იქნება, საქმროვ!

ჩეპურნიმ მისი ნათქვამი მოისმინა და მობოდიშება ჩამოაყალიბა:

— რა თქმა უნდა, გაუძლებ! ეს საცდელად გითხარი. ვისაც თავის სიცოცხლეში კაპიტალიზმი გადაუტანია, მისთვის კომუნიზმი იოლი იქნება.

გოპნერი ჯერებს დაუცხრომლად გლეჯდა, თითქოს ჩევენგურში ორი ქალი საერთოდ არ მოსულიყო. პოდა, დვანოვმაც თავი წახარა და მუშაობას მიეძალა, რათა გოპნერს არ ეფიქრა, გულმა ქალებისკენ გაუწიაო.

— დედაკაცებო, მოსახლეობისკენ გასწით, — უთხრა ბოშა ქალებს ჩეპურნიმ, — ხალხს მოუარეთ, იმათზე იზრუნეთ; ხომ ხედავთ, ჩვენ მათი გულისთვის ვეწვალებით.

ბოშა ქალები ჩევენგურისკენ, თავიანთი ქმრებისკენ გაემართნენ.

გარეშენი სახლებში, წინკარებსა და ფარდულებში ისხდნენ და იმას აკეთებდნენ, ვისაც რა შეეძლო: ერთნი ფიცრებს რანდავდნენ, მეორენი ტომრებს გულდაწყნარებულნი კემსავდნენ, რათა შიგ ველზე მოგროვებული თავთავებიდან გამოფხვნილი მარცვლეული ჩაეყარათ, მესამენი სახლიდან სახლში დადიოდნენ და იქ მყოფებს ეკითხებოდნენ: ხვრელები სად არისო? — კედლის ხვრელებში ბაღლინჯოებს დაეძებდნენ და ხოცავდნენ. არც ერთი გარეში თავისი სარგებლობისთვის არ ზრუნავდა; ყოველმა მათგანმა ნახა, გოპნერმა იაკოვ ტიტიჩის სახლის სახურავი როგორ შეაკეთა; ამქვეყნად ყოფნა სანიმუშო რომ გაეხადათ, თითოეულმა თითო ჩევენგურელი სიკეთის საქმნელად ამოარჩია და მისთვის შეუდგა მარცვლეულის მოგროვებას ანდა ფიცრების გარანდვას: ამ ფიცრებისგან კი მერე იქნებ რაიმე ნივთს საჩუქრად გააკეთებდა. ხოლო ვინც ბაღლინჯოებს ხოცავდა, იმას ერთი რომელიმე ადამიანი ჯერ არ ამოერჩია, ვისზე ზრუნვითაც სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებდა და სურვილი ექნებოდა, ამორჩეული ადამიანისთვის ეშრომა, გაჭირვებისა და უბედურებისგან დაეცვა: ისინი, უბრალოდ, ძალ-ღონეს ხარჯავდნენ, იქანცებოდნენ და დაღლილ სხეულს ამით იხალისებდნენ; თუმცაღა, ცოტაოდენ ნუგეშს ისინიც პოულობდნენ იმით, რომ ხალხს ბაღლინჯო აღარ დაკბენდა; წყლის ტუმბო

რა არის, ისიც კი მოწადინებით მუშაობდა, რათა იაკოვ ტიტიჩისთვის ცეცხლი გაეჩაღებინა, თუმცა ადამიანი არ იყო არც ქარი და არც მანქანა.

გარეშემ, სახელად კარჩუკი რომ ერქვა, გრძელი ყუთის კეთება დაამთავრა და დასაძინებლად ძალზე კმაყოფილი დაწვა, თუმცა არ იცოდა, ყუთი რაში გამოადგებოდა კირეის, ვის მიმართაც სულიერი სიახლოვის აუცილებლობას გრძნობდა.

ხოლო კირეი დოლაბის გამართვას როცა მორჩა, ახლა ბალინჯოების გასაულეტად გაემართა, მერე კი დასასვენებლად წავიდა, რადგან გადაწყვიტა, რომ საწყალი კაცი ახლა გაცილებით უკეთესად იქნებოდა: პარაზიტები მელე სხეულს ველარ დაუძაბუნებდნენ; ამას გარდა, კირეიმ შეამჩნია, რომ გარეშეები მზეს ხშირად უცქეროდნენ — იმიტომ შეჰხაროდნენ, რომ იგი მათ ასაზრდოებდა, დღეს კი ყველა ჩევენგურელი გარს შემოერტყა წყლის ტუმბოს, რომელსაც ქარი ატრიალებდა, ჰოდა, ქარსაც და ხისგან ნაკეთებ მანქანასაც შეჰხაროდნენ: მაშინ კირეი ეჭვიანობამ შეიპყრო — კომუნიზმის დროს ადამიანებს მზე და ბუნება რატომ უყვართ, მე კი ვერ მამჩნევენო: ამიტომ საღამოთი ბალინჯოების დასახოცად სახლებს ხელახლა ჩამოუარა, რათა ბუნებაზე და ხის მანქანაზე ნაკლებად არ ემუშავა.

კარჩუკს თავის ყუთზე ფიქრი ჯერ არ დაესრულებინა, როცა ჩათვლიმა და ამ დროს სახლში ორი ბოშა ქალი შემოვიდა. კარჩუკმა თვალები გაახილა და შეშინდა, ხმა კი არ ამოუღია.

— საქმროს გაუმარჯოს! — უთხრა კარჩუკს ხნიერმა ბოშა ქალმა. — საჭმელი გვაჭამე და მერე დასაძინებლად დაგვაწვინე: პურიც გავიზიაროთ და სიყვარულიც.

— რაო? — შეეკითხა ბოშა ქალს სმენანაკლული კარჩუკი. —მე ეგ არ მჭირდება, ისედაც კარგადა ვარ, ამხანაგზე ვფიქრობ...

— ამხანაგი რად გინდა? — შეედავა ხნიერი ბოშა ქალი, ხოლო ახალგაზრდა ჩუმად და მორცხვად იდგა. — საკუთარ სხეულს გამინაწილებ, ჩემთვის არც ნივთები დაგენანება, ამხანაგი კი დაგავიწყდება. — გეუბნები, ნამდვილად ასე იქნება!

ბოშა ქალმა თავიდან ხილაბანდი მოიხსნა და კირეისთვის გამზადებულ ყუთზე ჩამოჯდომა დააპირა.

— ყუთს არ მიეკარო! — შეჰყვირა კარჩუკმა, შეეშინდა, ყუთი არ წაახდინოსო. — შენთვის კი არ გამიმზადებია!

ბოშა ქალმა ყუთიდან ხილაბანდი აიღო და ქალურად განაწყენდა.

— ეჰ, შე უხეირო! ტყემალს პირი არ უნდა დააკარო, თუ კბილის მოკვრისა გეშინია...

ორივე ქალი საკუჭნაოში გავიდა; იქ საქმროს სითბოს მოკლებულნი დაწვნენ და დაიძინეს.

სიმონ სერბინოვი მოსკოვის ქუჩას ტრამვაით მიუყვებოდა. იგი დაქანცული, ბედკრული კაცი იყო, სწრაფად დამყოლი გულისა და ცინიკური გონების მქონე. სერბინოვს სამგზავრო ბილეთი არ აუღია, არსებობა თითქმის აღარ უნდოდა, როგორც ჩანს, მართლა ძალზე გაიხრწნა და თავს ვერ გრძნობდა ეპოქის ბედნიერ შვილად, ვინც ყველას გულში სიმპათიას აღძრავდა; მას მხოლოდ თავისი ინდივიდუალურობით გამოწვეული სევდა დაუფლებოდა. უყვარდა ქალები და მომავალი, არ უყვარდა საპასუხისმგებლო პოსტებზე ყოფნა

და თავი ხელისუფლების საკვებურში ჰქონდა ჩარგული. სერბინოვი ცოტა ხნის წინ დაბრუნდა საბჭოთა სახელმწიფოს შორეული ვრცელი ველებიდან, სადაც საბჭოთა მშენებლობის გამოსაკვლევად იყო მივლინებული. ოთხ თვეში ნელა მოიარა პირველქმნილი მყუდროებით მოცული [illegible]ები. სამაზრო ოლმასკომებში იჯდა და ბოლშევიკებს ეხმარებოდა, რომ [illegible]იდამოებში ფესვგადგმული ცხოვრება გლეხობისა ადგილიდან დაეძრათ. სამკითხველოებში გლებ უსპენსკის ხმამაღლა კითხულობდა. გლეხები [illegible] ცხოვრობდნენ. ხოლო სერბინოვი შორს, საბჭოეთის სიღრმეში [illegible]ძართებოდა, რათა მშრომელთა ცხოვრებაში ზუსტი სიმართლე აღმოეჩინა და პარტიისათვის მოეპოვებინა. ზოგიერთი დაძაბუნებული რევოლუციონერის მსგავსად სერბინოვს მუშა ანდა სოფლელი კაცი არ უყვარდა — ერჩივნა, [illegible] ცალ-ცალკე კი არა. მასად თავშეყრილი ჰყოლოდა. ამიტომაც ახლა სერბინოვი, როგორც კულტურული კაცი, ბედნიერებას გრძნობდა, როცა [illegible] მოსკოვის მშობლიურ კერებში დადიოდა, მაღაზიებში ნატიფ ნივთებს [illegible]ლიერებდა, უხმაუროდ მავალ ძვირფას ავტომობილებს ათვალიერებდა და მათ გადამუშავებულ აირებს ალმგზნები სუნამოსავით შეისუნთქავდა.

სერბინოვი ქალაქში ისე დადიოდა, როგორც სამეჯლისო დარბაზში, სადაც ქალი მოელოდა; მაგრამ ქალი სადღაც ახალგაზრდების [illegible] გუნდთა შორის ჩაკარგულიყო და თავის კავალერს ვერ ხედავდა; კავალერი კი ამ ქალს დაეძებდა, მაგრამ მასთან მიახლოებას ვერ ახერხებდა, იმიტომ რომ ობიექტური გული ჰქონდა და სხვა ღირსეულ ქალებს ხვდებოდა. [illegible]მელნიც ისე იყვნენ ალსავსენი სინაზით და ისეთი მიუწვდომელნი ჩანდნენ, [illegible]არი ხდებოდა. ამქვეყნად ბავშვები როგორ იბადებოდნენ; მაგრამ სერ[illegible] უფრო და უფრო სევდიანდებოდა, რაც უფრო მეტ ქალს ხვდებოდა და [illegible]ითს ხედავდა, რომელთა შექმნისას ოსტატი უნდა განრიდებოდა ყოველგვარ მდაბალსა და არასალუქს, რაც კი მის სხეულში ბუდობდა. სერბინოვს [illegible]ებდა ქალის სიახალგაზრდავე, თუმცა თვითონაც ახალგაზრდა იყო, რადგან წინასწარ სჯეროდა, რომ აუცილებელი ბედნიერება მისთვის მიუღწეველი [illegible]ებოდა. გუშინ იგი სიმფონიურ კონცერტს დაესწრო; მუსიკა ადამიანის [illegible]იერებას უმღეროდა, დაკარგულ შესაძლებლობაზე მეტყველებდა, და ამგვარ რამეებს გადაჩვეული სერბინოვი ანტრაქტების დროს საპირფარეშოში [illegible]ოდა, რათა მღელვარება იქ დაეოკებინა და ყველასგან მალულად თვალ[illegible] ცრემლები მოეწმინდა.

სერბინოვი როცა ფიქრობდა, იმ დროს ვერაფერს ხედავდა, [illegible]იტომ ტრამვაიში უყურადღებოდ იდგა. როცა ფიქრს თავი მიანება, [illegible] ახალგაზრდა ქალი შეამჩნია, ახლოს რომ ედგა და სახეში შემოსცქეროდ[illegible]ბინოვს არ დაუმორცხვია და თვალი თავადაც გაუსწორა, რადგან ქალი [illegible]ლოდ, გულში ჩამწვდომად უცქეროდა, — ასეთ მზერას ყველა შეიფ[illegible] და არ დაიმორცხვებს.

ქალს ზაფხულის კარგი პალტო და შალის სუფთა კაბა [illegible]; ტანსაცმელი ფარავდა მისი სხეულის — ალბათ მშრომელი სხეულის [illegible], მყუდრო არსს, რადგან ქალს ფაშფაში, ჩაითქვირებული ტან-ფეხი არა [illegible], — მოხდენილიც კი იყო და ჩვეულებრივი, ვნებიანი მომხიბვლელ[illegible] არ გააჩნდა. სერბინოვი ყველაზე უფრო მეტად იმან აალელვა, რომ ქალ[illegible]ერი ჩანდა, მასაც და ირგვლივ სხვა ყველაფერსაც კეთილგანწყობითა და თანაგრძნობით უცქეროდა, ამის გამო სერბინოვი უმალვე მოიღუშა: ბედნ[illegible] უცხოებად

მიაჩნდა, არ უყვარდა და მათი ეშინოდა. — „ან მე ვიხრწნები, — გულწრფე-ლად ფიქრობდა იგი, — ანდა ბედნიერები უბედურთათვის უსარგებლონი არი-ან".

უცნაური ბედნიერი ქალი თეატრის მოედანზე ჩავიდა, იგი უცხო მხარე-ში განმარტოებით აღმოცენებულ შეუმჩნევარ მცენარესა ჰგავდა, რომელსაც მიმნდობლობის გამო ვერ შეუცვნია, რომ ეულია.

ტრამვაიდან იმ ქალის ჩასვლის შემდეგ სერბინოვმა უმალ მოიწყინა; სხვა-თა ტანსაცმლისგან გახეხილ-გაზინთული კონდუქტორი ქალი ბილეთის ნომერს საკონტროლო ფურცელზე წერდა, პროვინციიდან ჩამოსული ტომრებიანი მგზავრები ყაზანის ვაგზლისკენ მიემართებოდნენ და რაღაცას ჰამდნენ, რომ შორ გზაზე გამაძღარნი ყოფილიყვნენ. ლითონისა და გადაბმულობების სივი-წროვეში უმეგობროდ ჩამწყვდეული ელექტრომოტორი იატაკის ქვეშ გულ-გრილად ღმუოდა. სერბინოვი ტრამვაიდან ჩახტა. შეეშინდა, რომ იმ ქალს სა-მუდამოდ დაკარგავდა ხალხმრავალ ქალაქში, სადაც შეიძლება, კაცმა ეულად ისე იცხოვროს, ნაცნობს წლობით ვერ შეხვდეს. მაგრამ ბედნიერნი იმდაგვა-რად ცხოვრობენ, რომ არსად მიიჩქარებათ: ის ქალი მცირე თეატრთან იდგა, ხელი წინ გაეშვირა, გაზეთის გამყიდველი ხურდას ითვლიდა და ორშაურია-ნებს მუჭაში თითო-თითოდ უყრიდა.

სერბინოვი ქალთან მივიდა, დანაღვლიანების შიშმა გამბედაობა შემატა.

— მე კი მეგონა, რომ უკვე დამეკარგეთ, — უთხრა ქალს. — დავდიოდი და დაგეძებდით.

— ცუდად გიძებნივართ, — უპასუხა ქალმა და ხურდა შესამოწმებლად გადათვალა.

სერბინოვს ეს მოეწონა, თავად ხურდას არასოდეს ამოწმებდა, რადგან ფულის საშოვნელად დახარჯული შრომა — არც თავისი და არც სხვისი — არაფრად მიაჩნდა. ამ ქალს კი რაღაც სხვაგვარი წესრიგიანობა შეამჩნია, რაც მისთვის უცხო იყო.

— გინდათ, რომ ცოტა ხანს ჩემთან ერთად გამოისეირნოთ? — ჰკითხა ქალმა სერბინოვს.

— გთხოვთ, რომ ამის ნება მომცეთ, — ყოველგვარი საბაბის გარეშე უთხრა სერბინოვმა.

მიმნდობმა და ბედნიერმა ქალმა ეს არ იწყინა და გულღიად გაიღიმა.

— ზოგჯერ ვინმეს შეხვდები და იგი კარგი ადამიანი გამოდგება, — თქვა ქალმა. — მერე ისევე უცებ დაკარგავ, ცოტა ხანს ინაღვლებ, და დაივიწყებ. მე კარგ ადამიანად გეჩვენეთ, ხომ მართალია?

— მართალია, — დაუეჭველად დაეთანხმა სერბინოვი. — მაშინვე რომ დამკარგოდით, დიდხანს ვინაღვლებდი.

— ახლა ცოტა ხანს ინაღვლებთ, რაკი მაშინვე არ დამკარგეთ!

ქალს სიარულსა და მიხრა-მოხრაზე აშკარად ეტყობოდა განსაკუთრებუ-ლი სიამაყე და სიმშვიდე, ყოველგვარი მონური ნერვიულობისა და სხვა ადა-მიანისგან გამიჯვნის სურვილის უქონლობა. იგი არხეინად მიაბიჯებდა, თავისი გუნება-განწყობის ყაიდაზე იცინოდა, ლაპარაკობდა ანდა დუმდა და თავისი არსებობის მდინარებას თვალს არ ადევნებდა, არ შეეძლო, საკუთარი ქცევა თანამგზავრის მოწონება-არმოწონებისთვის მიესადაგებინა. სერბინოვი შეე-ცადა, ქალისთვის თავი მოეწონებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ქალს მის მი-მართ განწყობილება არ ეცვლებოდა; ამის გამო სერბინოვს იმედი გადაეწურა,

დანაღვლიანებული მორჩილად ფიქრობდა იმ დრო-ჟამზე, ახლა სწრაფად რომ მიედინებოდა და აახლოებდა მის სამარადისო განშორებას ამ ბედნიერ, საოცარი სასიცოცხლო ძალის მქონე ქალთან, ვისი შეყვარება არ შეეძლო, მაგრამ ვისთან განშორებაც გულს ძალზე უნაღვლიანებდა. სერბინოვს გაახსენდა, რამდენჯერ განუცდია სამარადისო განშორება და თავად ამისთვის ანგარიში არ მიუცია. რამდენი ამხანაგისთვის და საყვარელი ადამიანისთვის [illegible] უთქვამს, ნახვამდისო, ამქვეყნად მერე აღარასოდეს უნახავს და მათ ნახვას ვეღარც შეძლებდა ოდესმე. სერბინოვმა არ იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, რათა ამ ქალის მიმართ პატივისცემის გრძნობა დაეკმაყოფილებინა; მაშინ მასთან გამომშვიდობება გაუადვილდებოდა.

— მეგობართა შორის არ არსებობს დაკმაყოფილების საშუალებანი, რაც გულს თუნდაც დროებით გაუგრილებდათ, — თქვა სერბინოვმა. — მეგობრობა ქორწინება ხომ არ არის.

— ამხანაგებისთვის შეიძლება იმუშაო, — უპასუხა თანამგზავრმა სერბინოვს, — როცა დაიქანცები, გულს მოგეშვება და ეულად ცხოვრებასაც შეძლებ; ამხანაგთათვის კი შრომით მონაპოვარი სარგებელი რჩება. ჩემს თავს ხომ ვერ დავუთმობ, მინდა, რომ ხელუხლებელი დავრჩე...

სერბინოვმა მცირე ხნით დამეგობრებულ ქალს შეატყო, რომ იგი ძალზე მტკიცე წყობის მქონე იყო, ისეთი დამოუკიდებელი ხასიათი გააჩნდა, თითქოს ირგვლივ მყოფთაგან მისი ვნება ვერავის ძალედვა, ანდა უცნობი, დაღუპული სოციალური კლასის საბოლოო შედეგს წარმოადგენდა, იმ კლასისა, რომლის ძალებიც ამქვეყნად აღარ მოქმედებდა. სერბინოვმა იგი არისტოკრატული მოდგმის ნაშთად წარმოიდგინა; ყველა არისტოკრატი ასეთი რომ ყოფილიყო, მათ შემდგომ ისტორია ვეღარაფერს წარმოქმნიდა. — პირიქით, ისტორიისგან ისინი თავისთვის საჭირო ბედს თავადვე შექმნიდნენ. მთელი რუსეთი დასაღუპავად განწირული და თავის გადარჩენის მძებნელი ხალხით იყო დასახლებული — სერბინოვმა ეს დიდი ხანია, რაც შეამჩნია. ბევრი რუსი თავის არსებაში ბუნებისგან მინიჭებული ნიჭისა და უნარის ჩაკვლას გულმოდგინედ ცდილობდა; ზოგნი არაყსა სვამდნენ, ზოგნი სანახევროდ გონებაჩამკვდარნი ისხდნენ მრავალრიცხოვან შვილებს შორის, მესამენი მინდვრად გადიოდნენ და ოცნებით რაღაცას ამაოდ წარმოსახავდნენ. ხოლო ამ ქალმა თავი კი არ დაიღუპა, პირიქით, შეიქმნა. შესაძლოა, მან სერბინოვს გული იმიტომ აუმღელვარა, რომ სერბინოვმა თავი თვითონ ვერ შეიქმნა და იღუპებოდა, თვალწინ კი ის მშვენიერი ადამიანი ჰყავდა, მუსიკა რომ აღუთქვამდა; ანდა ეს იქნებ სერბინოვის სევდა, მიუღწეველი აუცილებლობის შეგრძნება იყო; თანამგზავრი ქალი მისი საყვარელი გახდებოდა და მასთან ყოფნა ერთი კვირის შემდეგ დაქანცავდა? თუ ასეა, მაშ მის წინაშე რატომღაა ეს ამაღელვებელი, სიამაყით დაცული სახე და ეს უკარებლობა სრულქმნილი სულისა, რომელსაც უნარი შესწევს, სხვა ადამიანს მიუხვდეს და შეუმცდარად დაეხმაროს, თავად კი შემწეობას არ მოითხოვდეს?

შემდგომ სეირნობას აზრი აღარ ჰქონდა, ახლა მხოლოდ დადასტურდებოდა სერბინოვის სისუსტე ამ ქალის წინაშე, ამიტომ მან თანამგზავრს უთხრა, ნახვამდისო, რათა მისთვის თავი ღირსეულად დაემახსოვრებინა. ქალმაც უთხრა, ნახვამდისო, და დაუმატა: თუ ძალიან მოიწყენთ, მოდით ჩემთან და მინახულეთო.

— თქვენც მოიწყენთ ხოლმე? — ჰკითხა სერბინოვმა, უკვე ნანობდა, რომ გამოემშვიდობა.

— რა თქმა უნდა, მოვიწყენ ხოლმე, მაგრამ ვხვდები, მოწყენილი რის გამოც ვარ, და არ ვიტანჯები.

ქალმა სერბინოვს უთხრა, სადაც ცხოვრობდა, და სერბინოვი ფილარმონიაში წავიდა. იგი უკან ბრუნდებოდა, ქუჩაში მიმავალ ზღვა ხალხში [illegible] მშვიდდებოდა, თითქოს უცხო ადამიანები თავიანთი სიმრავლით იცავდნენ. მერე კინოში იყო და კვლავ კონცერტზე წავიდა მუსიკის მოსასმენად. გრძნობდა, სევდა რატომ ეუფლებოდა და იტანჯებოდა. ჭკუა-გონება შემწეობას სრულებით ვერ უწევდა, როგორც ჩანს, გონება ეხრწნებოდა. ღამით სასტუმროს გრილი ნომრის სიმყუდროვეში იწვა და თავისი გონების მუშაობას მდუმარედ აკვირდებოდა. უკვირდა, მისი გახრწნილი გონება ჭეშმარიტებას მაინც რომ წარმოაჩენდა, — ამიტომ გონებას დღეს დამგზავრებულ ქალზე დანაღვლიანებით აღარ აწუხებდა. მის წინაშე უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა საბჭოთა რუსეთი — მისი უქონელი, საკუთარი თავის მიმართ უმოწყალო სამშობლო, დღევანდელ არისტოკრატ ქალს ოდნავ რომ წააგავდა. სევდიანი, ირონიული გონება სერბინოვს ნელ-ნელა ახსენებდა ლატაკ, ცხოვრებამოუწყობელ ხალხს, უდაბურ ველებსა და ღრანტეებში სოციალიზმის მოწყობას ცუდმადურად რომ ცდილობდა.

მივიწყებული რუსეთის ნაღვლიან ველზე რაღაც უკვე მოქმედებდა: ის ადამიანები, ვისაც მიწის ხვნა და პირადი მეურნეობისთვის ჭვავის მოყვანა არ უყვარდა, ისტორიის ბაღს მარადისობისა და მომავლისგან თავისი განუყოფელობისთვის მოთმინებითა და ტანჯვა-წამებით რგავდა. მაგრამ მებაღეებს, მხატვრებისა და მომღერლების მსგავსად, მტკიცე, სარგებლიანი ჭკუა-გონება არ გააჩნდათ, მათ სუსტ გულს უცაბედი მღელვარება ეუფლებოდა: ძლივძლივობით აყვავებული მცენარეები იჭვნეულობის გამო ამოძირკვეს და გადაყარეს, ხოლო ნიადაგში ბიუროკრატიზმის წვრილმანი მარცვლები ჩათესეს; ბაღს მზრუნველობა ესაჭიროება, დიდხანს უნდა ელოდო, სანამ ნაყოფს გამოიღებს, ხოლო მარცვლეული ერთბაშად მწიფდება, მის მოყვანას არც შრომა სჭირდება და არც მოთმინებაზე სულის გახარჯვა. ჰოდა, რევოლუციის ამოძირკვული ბაღის შემდგომ მისი ველ-მინდვრები ერთიანად თვითმზარდ მარცვლეულს დაეთმო, რათა ყველანი უშრომელ-უწვალებლად გამოკვებილიყვნენ. მართლაც, სერბინოვი ხედავდა, ხალხი რა ცოტას მუშაობდა, რადგან მარცვლეული ყველას მუქთად კვებავდა. ეს დიდხანს გასტანდა, მანამდე, სანამ მარცვლეული მთელ ნიადაგს არ შთანთქავდა და ხალხი თიხისა და ქვა-ღორღის ამარა არ დარჩებოდა, ანდა სანამ დასვენებული მებაღენი უკაცრიელი ქარისგან გამოფიტულ-გამომშრალ მიწაზე მაგრილებელ ბაღს ხელახლა არ გააშენებდნენ.

სერბინოვმა ჩვეული სევდით შეპყრობილმა, შეჭირვებულმა და გულდახშულმა დაიძინა. დილით პარტიის კომიტეტში შეიარა და მივლინება მიიღო შორეულ გუბერნიაში წასასვლელად, რათა იქ სათესი ფართობის ოცი პროცენტით შემცირების ფაქტი გამოეკვლია; გზას ხვალ უნდა გასდგომოდა. დანარჩენი დღე სერბინოვმა ბულვარში გაატარა, იჯდა და შესაღამოებას ელოდა; ლოდინი მომქანცველ ჯაფად ექცა, თუმცა გული მშვიდად უცემდა, რადგან არავითარი იმედი არ გააჩნდა, ბედნიერებას რომ ჰპოვებდა, რასაც ქალის ყოლა მიანიშნებდა.

საღამოთი გუშინ გაცნობილ ახალგაზრდა ქალთან წასვლას აპირებდა და

მისი სახლისკენ ფეხით გაემართა, რათა უქმი დრო გზაზე დაეხარჯა და მოლოდინისგან გული მოესვენებინა.

როგორც ჩანდა, ქალის მისამართი ზუსტი არ გამოდგა. იმ უბანში, სადაც სერბინოვი მივიდა, სანახევროდ ძველი და სანახევროდ ახალი სახლები იყო ჩარიგებული; იგი ამ სახლებში ნაცნობი ქალის ძებნას შეუდგა, [illegible]ული კიბე აიარ-ჩამოიარა, მეოთხე სართულზე ადიოდა და ქალაქ[illegible] გამავალ მდინარე მოსკოვს ხედავდა, სადაც წყალს საპნის სუნი უდიოდა. ხოლო სანაპიროებზე შიშველი ლატაკები ისხდნენ და ამის გამო ეს სანაპიროები ფეხისადგილებთან მისავალ ალაგებს წააგავდა.

სერბინოვი უცნობთა ბინებში რეკავდა, კარს ხნიერი ადამიანები უღებდნენ; მათ თავი ისეთ მობინადრეებად მიაჩნდათ, ყველაზე უფრო მეტად მყუდროება რომ ესაჭიროებოდათ, და გაიკვირვებდნენ ხოლმე, სერბინოვს ისეთი ვიღაცის ნახვა რომ უნდოდა, ვინც იქ არ ცხოვრობდა და არც ჩაწერილი იყო. მაშინ სერბინოვი ქუჩაში გავიდა და ყველა საცხოვრებელი სახლის გეგმიურ, დეტალურ შემოვლას შეუდგა, ვინაიდან ძალა არ შესწევდა, იმ საღამოს მარტო რომ დარჩენილიყო; ხვალ არსებობა გაუადვილდებოდა, რადგან დაკარგული ფართობისკენ გაემგზავრებოდა, რომელიც თეორიულად შამბნარით უნდა ყოფილიყო დაფარული. ნაცნობი ქალი სერბინოვმა შემთხვევით იპოვა, იგი მასთან შესახვედრად კიბეზე თვითონ ჩამოდიოდა, თორემ სერბინოვს ოცამდე პასუხისმგებელი მოქირავნის კარზე ჩამოვლა დასჭირდებოდა. სანამ მას მონახავდა, ქალმა სერბინოვი თავის ოთახში აიყვანა, ხოლო თავად დროებით კვლავ გარეთ გავიდა. ოთახი ცარიელი იყო, თითქოს იქ ადამიანი კი არ ცხოვრობდა, მხოლოდ ფიქრს ეძლეოდა. კოოპერატივის საქონლის სამი გაცლილი ყუთი ერთმანეთზე მიედგათ და საწოლი გაემართათ, ფანჯრის რაფა მაგიდის მაგივრობას ეწეოდა, ხოლო ტანსაცმელი კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე ეკიდა და ზედ გაცვეთილი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. ფანჯრიდან ისევ ისე ჩაფიქრებულნი ისხდნენ ტანშიშველი ლატაკები, რომელნიც სერბინოვს ამ სახლის სევდისმომგვრელ კიბეზე ყოფნისას დაამახსოვრდა.

ამ ოთახს მეორე ოთახისგან დახურული კარი მიჯნავდა; იქ ვიღაც მუშფაკელი წიგნს ხმამაღლა, გაბმით კითხულობდა და მეხსიერებაში პოლიტიკურ მეცნიერებას იტენიდა. ადრე იმ ოთახში ალბათ სემინარიელი იცხოვრებდა და მსოფლიო საეკლესიო კრებების დოგმატებს შეისწავლიდა, რათა შემდგომში სულის დიალექტიკური განვითარების კანონებით ღვთისმგმობელობამდე მისულიყო.

ქალმა ტკბილღვეზელა, კანფეტები, ტორტის ნაჭერი და ნახევარი ბოთლი ტკბილი საეკლესიო ღვინო — ვისანტო მოიტანა, რათა ნაცნობს გამასპინძლებოდა, ნუთუ ასეთი გულუბრყვილო იყო?

სერბინოვი ქალის მიერ ტკბილეულით გაწყობილ სუფრას მიუჯდა და ჭამას შეუდგა. ტკბილეულს პირში იმ მხრიდან იღებდა, სადაც ქალს ხელი ჰქონდა მონაკიდები. თანდათან ყველაფერი შეჭამა და დაკმაყოფილდა. ხოლო ნაცნობი ქალი ლაპარაკობდა და იცინოდა, თითქოს უხაროდა, რომ საკუთარი თავის სანაცვლოდ მსხვერპლად საჭმელი გაიღო. იგი ცდებოდა — სერბინოვი მხოლოდ ტკბებოდა მისი ცქერით და, როგორც ამქვეყნად ყველა მოწყენილი კაცი, სევდას გრძნობდა; ის ახლა მშვიდად ვეღარ იარსებებდა, ეულად ვეღარ გაძლებდა და დამოუკიდებელი ცხოვრებით ვეღარ დაკმაყოფილდებოდა. ეს ქალი მის გულში კაეშანსა და სირცხვილს ბადებდა. თუ მას

გაეცლებოდა და გარეთ, მოსკოვის ალგზნებულ ჰაერზე გავიდოდა, უთუოდ გულს მოეშვებოდა. სერბინოვს საკუთარი შეფასება მოპირისპირე ადამიანისა თავის სიცოცხლეში პირველად არ გააჩნდა, და ვერ ახერხებდა, მისთვის ლი-მილი შეეგებებინა, რათა თავისუფლება მოეპოვებინა და ძველებურად, რო-გორც ეული კაცი, ისე წასულიყო.

სახლებს, მდინარე მოსკოვსა და ქალაქის მთელ უბადრუკ[illegible]-ლა მთვარე დაჰნათოდა. მთვარის საუფლოში, როგორც ჩამცხრალი მზის ქვეშ, შარიშურობდნენ ქალები და ქალიშვილები — ადამიანთა მიუსაფარი სიყვა-რულის საგანნი. ყოველივე წინასწარვე იყო კეთილგანწყობილი: სიყვარული მიმდინარეობდა ფაქტია, განსაზღვრული, შემოფარგლული ნივთიერების სა-ხით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მისი აღსრულება და დამთავრება. სერ-ბინოვი უარყოფდა სიყვარულის არა მარტო იდეას, სიყვარულს უარყოფდა, როგორც გრძნობას, სიყვარული ერთ დასრულებულ სხეულად მიაჩნდა, რაზე-დაც ფიქრიც კი არ შეიძლებოდა, იმიტომ რომ საყვარელი ადამიანის სხეული ფიქრთა და გრძნობათა მივიწყებისა, უსიტყვო სასიყვარულო ჯაფისა და მომა-კვდინებელი დაქანცულობისთვისაა შექმნილი; სწორედ დაქანცულობაა სიყვა-რულში ერთადერთი მანუგეშებელი. სერბინოვი ისეთ ხანმოკლე ამქვეყნიურ ბედნიერებას შეიგრძნობდა, რითაც სარგებლობა შეუძლებელია, რადგან გა-მუდმებით მცირდება. ამიტომაც არცა ცდილობდა, სიამოვნება განეცადა, მსო-ფლიო ისტორია უსარგებლო ბიუროკრატიულ დაწესებულებად მიაჩნდა, სა-დაც ადამიანს არსებობის აზრი და წონა ზუსტი გულმოდგინეობით ერთმე-ვა. სერბინოვმა ამქვეყნად თავისი საერთო დამარცხების ამბავი იცოდა, თვა-ლები დახარა და მასპინძლის ფეხებს დააცქერდა. ქალს წინდები არ ეცვა და ვარდისფერი შიშველი ფეხები სისხლის სითბოთი ალივსებოდა, ხოლო მსუბუ-ქი კაბა დანარჩენი სხეულის სისავსეს ფარავდა, სიმწიფესრული შეკავებული სიცოცხლის დაძაბული მგზნებარება რომ შემონთებოდა. „ასეთ მგზნებარებას ვინ ჩაგიცხრობს? — ფიქრობდა სერბინოვი. — რა თქმა უნდა, მე არა, შენი ღირსი მე არა ვარ. სულში, როგორც მიყრუებულ მაზრაში შიში დამსადგურე-ბია". მან თვალი ერთხელაცააყოლა ქალის ფეხებს და ცხადიდ ვერაფრის შე-ცნობა ვერ შეძლო; რაღაც გზა არსებობდა ამ ქორფა ქალური ფეხებიდან იმ აუცილებლობამდე, რომ ერთგულება და მიმნდობლობა ესაჭიროებოდა ჩვე-ულ, რევოლუციურ საქმეს, მაგრამ ეს გზა ძალზე გრძელი იყო და სერბინოვ-მა გონების დაქანცულობისგან წინასწარ დაამთქნარა.

— როგორ ცხოვრობთ? — ჰკითხა ქალს სიმონმა. — რა გქვიათ?

— მე სონია მქვია, სრულად კი სოფია ალექსანდროვნა. ძალიან კარგად ვცხოვრობ — ან ვმუშაობ ან ვინმეს მოველი...

— ასეთი შეხვედრები ადამიანს ხანმოკლე სიხარულს ანიჭებს, — უფრო საკუთარ თავს უთხრა სერბინოვმა. — როცა ქუჩაში გასული პალტოს ბოლო ღილს იკრავ, ამოიოხრებ და სინანულს გრძნობ, რომ ყველაფერმა ამაოდ ჩაია-რა და კვლავ მარტო საკუთარი თავის ანაბარა უნდა დარჩე.

— მაგრამ როცა ვინმეა ელი, ესეც სიხარულის მომნიჭებელია, — თქვა სოფია ალექსანდროვნამ, — ხოლო მოლოდინს შეხვედრაც თუ მოჰყვება, მა-შინ სიხარული ხანგრძლივდება... მე ყველაზე უფრო მეტად ადამიანთა მოლო-დინი მიყვარს და თითქმის ყოველთვის ვინმეს ველი...

მან ხელები მაგიდაზე დააწყო, მერე კი თავის დასრულებულ მუხლებზე გადაიტანა, ზედმეტ მოძრაობას რომ აკეთებდა, ამას ვერც ალიქვამდა. მისი სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხლე ირგვლივ ხმაურივით გაისმოდა. სერბინოვმა თვალებიც კი მოხუჭა, რათა არ დაკარგულიყო ამ უცნობ ოთახში, მისთვის უცხო ხმაურითა და სურნელებით რომ იყო აღსავსე. სოფია ალექსანდროვნას ხელები [illegible]ფეხთან შედარებით გამხდარი, თითქოს ხნიერი ადამიანისა ჰქონდა. [illegible] თითები მოსარეცხესავით დანაოჭებოდა. ჰოდა, ამ დასახიჩრებულმა ხელებმა სერბინოვი ცოტათი გაანუგეშა, ახლა უფრო ნაკლებად ეჭვიანობდა [illegible] სხვა კაცის კუთვნილება შეიქმნებოდა.

ბიბლიოთეკა

სუფრაზე მოტანილი საჭმელი გათავდა; სერბინოვმა ინანა, შეჭმა რომ იჩქარა, რადგან ახლა უნდა წასულიყო, მაგრამ წასვლა არ შეეძლო, შიშობდა, რომ მასზე კარგი ადამიანები არსებობდნენ; სწორედ ამიტომაც იყო, სოფია ალექსანდროვნასთან რომ მოვიდა, ტრამვაიშივე შეამჩნია, რომ ამ ქალს სიცოცხლის მოჭარბებული ნიჭი გააჩნდა, რამაც იგი აალელვა და გაალიზიანა.

— სოფია ალექსანდროვნა, — მიმართა მან ქალს, — მინდა გითხრათ, რომ ხვალ მივემგზავრები...

— მერედა რა მოხდა! — გაუკვირდა სოფია ალექსანდროვნას. მას ადამიანები აშკარად არ ენანებოდა. შეეძლო, მარტოოდენ საკუთარი არსებობით აღვსილიყო, რასაც სიმონი ვერასოდეს ახერხებდა.

სხვა ადამიანები მას უფრო მეტად იმიტომ ესაჭიროებოდა, რათა მოჭარბებული ძალები დაეხარჯა, ვიდრე იმისთვის, რომ მათგან ის მიეღო, რაც თავად არ გააჩნდა. სერბინოვმა ჯერ არ იცოდა, ეს ქალი ვინ იყო: ფიქრობდა, მდიდარი მშობლების უბედური ქალიშვილი თუ არისო. მაგრამ ეს შეცდომა გამოდგა: სოფია ალექსანდროვნა ტრიოხგორნაიას მანუფაქტურაში მანქანების მრეცხავად მუშაობდა, დედამისს მაშინვე მიეტოვებინა, როგორც კი გაეჩინა. მაგრამ მას, შეიძლება, ვილაცა მაინც უყვარდა და შვილებს თავადაც აჩენდა, — სერბინოვმა ზოგი რომ გამოჰკითხა, ზოგ რამესაც თავისით მიხვდა.

— ვიღაც მიყვარდა, მაგრამ შვილები არ გამიჩენია, — უპასუხა სერბინოვს სოფია ალექსანდროვნამ. — ხალხი ჩემი შვილების გარეშეც საკმარისადაა... ჩემგან ყვავილის აღმოცენება რომ შეიძლებოდეს, აი, მაშინ კი გავაჩენდი.

— ნუთუ ყვავილები გიყვართ?! ეს ხომ სიყვარული არ არის, იმაზე განაწყენებაა, თავად რომ აღარ იბადებით და იზრდებით...

— დაე, ასე იყოს. როცა ყვავილები მაქვს, მაშინ არსად მივდივარ და არც არავის ველი. ყვავილებთან თავს ისე ვგრძნობ, რომ მათი შობა მწადია. ამის გარეშე სიყვარული თითქოს საერთოდ არ არსებობს.

— ამის გარეშე არც გამოვა, — თქვა სერბინოვმა იმედი მიეცა. ეჭვს დაეიყურებო, ელოდა, რომ სოფია ალექსანდროვნა, ბოლოს და ბოლოს, ისეთივე უბედური, ისეთივე სიცოცხლეჩამქვრალი არსება გამოდგებოდა, როგორიც თვითონ იყო. სერბინოვს იღბლიანი ანდა ბედნიერი ადამიანები არ უყვარდა, იმიტომ რომ ისინი ნიადაგ ახალ, შორეულ ალაგებში მიდიოდნენ ცხოვრების განსაგრძობად და თავიანთ ახლობლებს ეულად ტოვებდნენ. იგი მრავალმა მეგობარმა დააობლა და, რადგან ეშინოდა, ყველასგან ჩამორჩენილი ალმოჩნდებოდა, ოდესღაც ბოლშევიკებს მიეკედლა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა: სერბინოვის მეგობრები მისდა უნებურად ეკლებოდნენ, მისგან განშორებულნი თავიანთ მომავლისაკენ მიემართებოდნენ, ჰოდა, სერბინოვი მათი გრძნობებით ალვსებას ვერ ასწრებდა. იგი მათ დასცინოდა, ეკაიფებოდა, მწირი მიზნები გაქვთო, ამბობდა, ისტორია, დიდი ხანია, დასრულდა, ახლა მხო-

ლოდ ადამიანთა შემჭიდროება მიმდინარეობსო. შან კი განშორების წუხილით გულდამძიმებული ბრუნდებოდა, არ იცოდა, იგი ვინმეს თუ უყვარდა, ვინმე თუ მოელოდა, ამიტომ კარს გასაღებით კეტავდა. საწოლზე ჩამოჯდებოდა და ზურგით კედელს მიეყრდნობოდა, მდუმარედ იჯდა და ტრამვაის ზარის მშვენიერ წკარუნს უსმენდა, იქ, ტრამვაის ვაგონებში, ადამიანები სხ[illegible]-ფხულის სითბოთი აღსავსე ბულვარებს ჩაუვლიდნენ და ერთმანეთს [illegible] მრად მიემგზავრებოდნენ. სერბინოვს თავი შეებრალებოდა და თვალები თანდათან ცრემლებით ევსებოდა, მერე ცრემლები ლოყებზე ჩამოსდიოდა და ზედ დაფენილ მტვერს ნთქავდა. სერბინოვი ელექტროშუქს არ ანთებდა და ასე სიბნელეში იჯდა.

მოგვიანებით, როცა ქუჩებში ხმაური მიწყდებოდა, ხოლო მეგობრები და შეყვარებულები დაიძინებდნენ, სერბინოვიც მშვიდდებოდა: ასეთ ჟამს უკვე მრავალნი იყვნენ განმარტოებულნი — ზოგს ეძინა, ზოგიც საუბრით ანდა სიყვარულით დაქანცული, მარტოდმარტო იწვა, — ჰოდა, მარტო ყოფნას სერბინოვიც ეგუებოდა. ხანდახან დღიურს ამოიღებდა, შიგ თავის აზრებსა და წყევლა-კრულვას წერდა და ყოველ ჩანაწერს რიგით ნომერს უსვამდა: „ადამიანი აზრი კი არ არის, ვნებიანი მჯესებით, სისხლის რუებით, ბორცვებით, ხვრელებით, სიამეთა და თავდავიწყებათა განცდით აღსავსე სხეულია“; „ისტორია უიღბლო კაცის დაწყებულია, ვინც არამზადა იყო და მომავალი მოიგონა, რათა აწმყოთი ესარგებლა, — ყველა ადგილიდან დაძრა, ხოლო თვითონ უკან დარჩა, ნაცხოვრებ, ბინადრობით გამთბარ ალაგას“; „მე დედაჩემის თანაპროდუქტი ვარ, მისი მენსტრუაციის თანაბრად, — ამის გამოა, რომ არ ძალმიძს, რაიმეს პატივი ვცე. კარგი ადამიანებისა მეშინია, — როგორც უხეიროს, მიმატოვებენ; მეშინია, რომ ყველაზე უკან დარჩენილი გავითომები. ვწყევლი დენად მოსახლეობას, ველტვი საზოგადოებას და მისი წევრობა მწადია!“; „საზოგადოებაშიც მისი წევრი კი არა, გათომილი კიდური ვიქნები“.

სერბინოვი ყოველ ადამიანს ეჭვის თვალით უცქეროდა, ჩემზე უკეთესი ხომ არ არისო? თუ უკეთესია, უნდა შეაფერხო, თორემ წინ გაგისწრებს და თანაბარი მეგობარი ვერ იქნება. სოფია ალექსანდროვნაც თავისზე უკეთესად, მაშასადამე, თავისთვის დაკარგულად ეჩვენა. სერბინოვს კი ადამიანების შეძენა ეწადა, როგორც ფულისა და არსებობის საშუალებებისა, ნაცნობთა გულმოდგინე აღრიცხვაც კი შემოიღო და მთავარ საშინაო წიგნში გამუდმებით აკეთებდა საგანგებო ჩანაწერებს შემოსავალ-გასავლის თაობაზე.

სოფია ალექსანდროვნა გასავალში უნდა ჩაეწერა. მაგრამ სიმონმა ზარალის შემცირება მოინდომა ერთი საშუალებით, რაც მანამდე ადამიანთა შემოსავალ-გასავლის წარმოებაში არ გამოუყენებია, და ამიტომ ნაშთში ყოველთვის დეფიციტი ჰქონდა. რა იქნებოდა, სოფია ალექსანდროვნას თუ მოეხვეოდა, ნაზსა და ქკუადაკარგულ კაცს თუ დაემგვანებოდა, ვისაც მხოლოდ და მხოლოდ ამ ქალის ცოლად შერთვა ეწადა? მაშინ სიმონი შეძლებდა, თავის არსებაში ვნება აღეძრა, ამ მაღლამდგომი ადამიანის ჯიუტი სხეული დაეძლია. ზედ თავისი კვალი დაეჩნია, ადამიანებთან მტკიცე კავშირი თუნდაც ცოტა ხნით განეხორციელებინა და მერე დამშვიდებული და დაიმედებული წასულიყო, რათა ადამიანთა შემდგომი შეძენა წარმატებით განეგრძო, სადღაც ტრამვაის ვაგონები ნერვული ღრჭიალით მიექანებოდნენ, ამ ვაგონებში მსხდარი ადამიანები სერბინოვს შორდებოდნენ და შორს მიემგზავრებოდნენ. სიმონი

სოფია ალექსანდროვნასთან მივიდა, მხრებზე ხელები ჩაავლო და წამოაყენა; ახლა სონია მის წინ გამართული იდგა; იგი საკმაოდ მძიმე ქალი მოჩანდა.

— რას შვრებით? — უშიშრად, დაძაბულად წარმოთქვა გულისყურგამახვილებულმა სოფია ალექსანდროვნამ.

პირისპირ მყოფი, მიუწვდომელი სიცოცხლის სითბომ [illegible] უცხო სხეულის სიახლოვისგან სერბინოვს გული შეუქანდა, ახლა [illegible] რომ აეჩეხათ, ტკივილს ვერ იგრძნობდა. სული ეხუთებოდა, ყელში რაღაც უთუხთუხებდა. სოფია ალექსანდროვნას ილლიებიდან ოფლის სუსტი სუნი სცემდა და ეწადა, ოფლისგან წამხდარ ხეშეშ ბეწვებს ტუჩებით დასწვდომოდა და ამოეწოვა.

— მინდა, რომ ცოტა ხანს ასე დაგიკავოთ, — უთხრა სონიას სერბინოვმა. — პატივი დამდეთ; მე ახლავე წავალ.

სოფია ალექსანდროვნამ გატანჯული კაცის წინაშე სირცხვილი იგრძნო და ხელები მაღლა ასწია, რათა მისუსტებულ სერბინოვს შესძლებოდა, სხეულზე უფრო მარჯვედ მოხვეოდა.

— განა ამით შვებას გრძნობთ? — ჰკითხა მან სიმონს; მაღლა აწეული ხელები გაუბუყდა.

— თქვენ რას გრძნობთ? — კითხვა დაუბრუნა სერბინოვმა. მისი სმენა ახლა ოროქლმავლის საყვირის ხმამ მიიზიდა, ზაფხულის სიმხურვალით გაჯერებულ გარემოში შრომისა და სიმშვიდისკენ რომ მოუწოდებდა.

— ჩემთვის სულ ერთია, — უპასუხა სოფია ალექსანდროვნამ.

სიმონმა ხელი შეუშვა.

— წასვლის დროა, — თქვა მან გულგრილად. — საპირფარეშო სად გაქვთ, დღეს პირი არ დამიბანია.

— საიდანაც შემოხვედით, მარჯვნივ. საპონი იქ დევს, პირსახოცი კი არა მაქვს, გასარეცხად მივეცი. ზეწრით ვიმშრალებ.

— ზეწარი მომეცით, — დაეთანხმა სერბინოვი.

ზეწარს სოფია ალექსანდროვნას სუნი უდიოდა, ეტყობოდა, იგი ყოველ დილას ზეწრით ტანს გულმოდგინედ იზელდა ძილში მოდუნებული სხეულის გამოსაცოცხლებლად. სერბინოვმა დაღლილი, გახურებული თვალები დაისველა: მთელს სხეულში ყველაზე ადრე ყოველთვის თვალები ელლებოდა. პირი კი დაუბანია, ზეწარი სწრაფად მოჭმუჭნა, მარჯვედ დაგუნდავა, ხოლო შემდეგ ეს გუნდა საპირფარეშოს პირდაპირ დერეფანში ჩამოკიდებული პალტოს გარეთა ჯიბეში ჩატენა: როცა ადამიანს კარგავდა, სერბინოვს ეწადა, მის გასახსენებლად უტყუარი საბუთი შეენახა.

— ზეწარი კალორიფერზე ჩამოვკიდე გასაშრობად, — გასძახა მასპინძელს სერბინოვმა. — ხელ-პირი გავიმშრალე და დასველდა. მშვიდობით, მე მივდივარ...

— ნახვამდის, — გულთბილად უპასუხა სოფია ალექსანდროვნამ, ისე ვერ გამოემშვიდობა, რომ მის მიმართ ყურადღება არ გამოეჩინა. — სად მიემგზავრებით? — ჰკითხა სტუმარს. — ამბობდით, მივემგზავრებიო.

სერბინოვმა დაუსახელა გუბერნია, სადაც ნათესი ფართობების ოცი პროცენტი გაქრა: ახლა იგი ამ დაკარგული ფართობების საძებნელად მიდიოდა.

— მთელი ჩემი სიცოცხლე იმ გუბერნიაში მაქვს გატარებული, — თქვა სოფია ალექსანდროვნამ. — იქ ერთი ჩინებული ამხანაგი მყავდა. თუ შეგხვდებათ, ჩემგან მოკითხვა გადაეცით.

— ვინ არის, რა კაცია?

სერბინოვი იმაზე ფიქრობდა, რომ შინ დაბრუნდებოდა, თავის ოთახში ჩამოჯდებოდა და სოფია ალექსანდროვნას, როგორც ზარალს თავისი ბიუჯეტისას აუნაზღაურებელი ქონების გრაფაში ჩაწერდა. მოსკოვში გვიანი ღამე დოვანებდა, მრავალი ადამიანი, ვინც მას უყვარდა, დასაძინებლად მიდიოდა და სიზმრად სოციალიზმის მყუდროებას იხილავდა, ხოლო სრული მოულოდნელობის შეგრძნებით გაბედნიერებული სერბინოვი მათ ვინაობას ჩაიწერდა და დაკარგული მეგობრების გვარებს გასავლის ნიშნებს დაუსვამდა.

სოფია ალექსანდროვნამ წიგნაკიდან პატარა ფოტოსურათი ამოიღო.

— ეს ჩემი ქმარი არაა ყოფილა, — თქვა მან ფოტოსურათზე გამოსახული კაცის შესახებ, — იგი არც მყვარებია, მაგრამ უმისოდ ყოფნა მომეწყინა. როცა ორივენი ერთ ქალაქში ვცხოვრობდით, მაშინ თავს მშვიდად ვგრძნობდი... მე მუდამ ერთ ქალაქში ვცხოვრობ, ხოლო მეორე ქალაქი მიყვარს...

— მე კი არც ერთი ქალაქი არ მიყვარს, — თქვა სერბინოვმა. — მიყვარს მხოლოდ ის, ქუჩებში მუდამ პლომად ხალხი რომაა.

სოფია ალექსანდროვნა ფოტოსურათს დასცქეროდა. იქ გამოსახული იყო ასე ოცდახუთი წლის კაცი, ჩაცვენილი, დაჭანცული დარაჯების მსგავსი, თითქოს მკვდარი თვალები რომ ჰქონდა; ხოლო დანარჩენ სახეს ვეღარ დაიმახსოვრებდი, თუკი თვალს მოაცილებდი. სერბინოვს მოეჩვენა, რომ იმ კაცს თავში ერთბაშად ორი აზრი უტრიალებდა და ვერც ერთი აზრი შვებას ვერ ანიჭებდა, ასეთ სახეზე სიმშვიდე ვერ აღიბეჭდებოდა და ადამიანს ამიტომაც არ ამახსოვრდებოდა.

— საინტერესო კაცი არ არის, — უთხრა სერბინოვს სოფია ალექსანდროვნამ, რადგან გულგრილობა შეამჩნია. — სამაგიეროდ, მასთან დამეგობრება იცოდა! იგი თავის რწმენას გრძნობს და მასთან ახლოს მყოფნიც მშვიდდებიან, ამგვარი ადამიანები ამქვეყნად ბევრნი რომ იყვნენ, ქალები იშვიათად გათხოვდებოდნენ...

— ამ კაცს სად შეხვდებით? — ჰკითხა სოფია ალექსანდროვნას სერბინოვმა. — იქნებ უკვე მკვდარია?.. ცოლად რატომ არ გაჰყვებით?

— რა საჭიროა? დაქორწინებას ხვევნა, იჭვიანობა, სისხლი მოსდევს — მე ერთ თვეს ვიყავი გათხოვილი. ჰოდა, თავადაც უწყით... იმასთან კი ალბათ საჭირო არაფერი იქნება, მხოლოდ უნდა მიეყრდნო და თავს ისედაც კარგად იგრძნობ.

— თუ სადმე შემხვდა, ღია ბარათს გამოგიგზავნით, — შეჰპირდა სონიას სერბინოვი და პალტოს ჩასაცმელად სასწრაფოდ გავიდა, რათა ზეწარი თან გაეყოლებინა.

კიბის ბაქნებიდან სერბინოვი ღამეში ჩაძირულ მოსკოვს ხედავდა. მდინარის ნაპირებზე არარავინ იყო და წყალი მკვდარ ნივთიერებასავით მიედინებოდა. სიმონი გზადაგზა ჩურჩულებდა, სოფია ალექსანდროვნას თუ დავასახიჩრებდი, მაშინ დამიახლოვდებოდა და ეს კიბე შემიყვარდებოდა, საღამოს მოლოდინში ყოველ დღეს სიხარულით გავლევდი, ადგილს მივიჩენდი, სადაც ცხოვრებისგან ჩემს ჩამორჩენილობას გავაქარწყლებდი, — წინ ადამიანი მეჯდებოდა, ვისთან ყოფნითაც თავდავიწყებას მივეცემოდიო.

სოფია ალექსანდროვნა მარტო დარჩა — ახლა ღამე მოსაწყენ ძილში უნდა გაეტარებინა, სანამ გათენდებოდა და სამუშაოზე წავიდოდა. დილის ექვს საათზე მასთან გაზეთების დამტარებელი ბიჭი შეივლიდა, კარს ქვემოდან „მუ-

შათა გაზეთს“ შეაცურებდა, და თანაც მიუკაკუნებდა და შესძახებდა: — სონია, გაიღვიძე, დღეს მეათე დღეა — შენზე ოცდაათი კაპიკია. აფექი და მომხდარ ფაქტებზე რა წერია, წაიკითხე!

საღამოთი, როცა ცვლა დაასრულა და შინ დაბრუნდა, სოფია ალექსანდროვნამ ტანი კვლავ დაიბანა და ახლა ბალიშის პირით გა[illegible]ერე ფანჯარა გამოალო და სიბნელეშეპარულ, ჩამთბარ მოსკოვს [illegible] დროს იგი მუდამ ვიღაცას ელოდა, მაგრამ არავინ მოდიოდა: ერთნი კრებებზე ისხდნენ, მეორენი მოწყენილობას ქალებთან ხვევნა-კოცნით იქარვებდნენ. როცა ჩამობნელდებოდა, სოფია ალექსანდროვნა ფანჯრის რაფაზე გადაწვებოდა და მოლოდინში თვლემდა. ქვემოთ საზიდრები და ავტომობილები მიმოდიოდნენ და განაბული, დაობლებული პატარა ეკლესიიდან ზარების ხმადაბალი რეკვა მოისმოდა. სოფია ალექსანდროვნას თვალწინ ფეხითაც უკვე მრავალმა კაცმა ჩაიარა; იგი ყოველ მათგანს მოლოდინით თვალს გააყოლებდა ხოლმე. მაგრამ ყველანი მისი სახლის გარეთა კარს ჩაუვლიდნენ და თავისი გზით მიდიოდნენ. სადარბაზოსთან მხოლოდ ერთი კაცი შეჩერდა, ჩამქრალი პაპიროსი გადააგდო და სახლში შევიდა. „ჩემთან არ მოდის“, — გადაწყვიტა სონიამ და გაილურსა, სადღაც, სართულთა სიღრმეში, კაცი გაუბედავად მოაბიჯებდა, ხშირხშირად ჩერდებოდა, რათა სული მოეთქვა, ანდა ფიქრს მისცემოდა. ფეხის ხმა სოფია ალექსანდროვნას კართან მიწყდა, „ზემოთ გასწი“, ჩაიჩურჩულა სონიამ. მაგრამ კაცმა კარზე მოაკაკუნა. სოფია ალექსანდროვნა ფანჯრიდან კარამდე ისე მივიდა, მერე მცირე დერეფანი ისე გაიარა, არც შეუმჩნევია, და შემოსასვლელი კარი გაალო. სერბინოვი შიგნით შემოვიდა.

— წასვლა ვერ შევძელი, — უთხრა მან სოფია ალექსანდროვნას. — თქვენ მომენატრეთ და გული დამისევდიანდა.

სერბინოვი კვლავინდებურად იღიმებოდა, მაგრამ ახლა უფრო სევდიანად, ვიდრე უწინ. უკვე გრძნობდა, რომ აქ ბედნიერება არ ელოდა, ხოლო უკან სასტუმროს ჩაყრუებული ნომერი ჰქონდა დარჩენილი, სადაც დაკარგული ამხანაგების აღრიცხვის წიგნი იდო.

— ჩემი პალტოს ჯიბიდან თქვენი ზეწარი ამოიღეთ, — უთხრა სონიას სერბინოვმა. — უკვე გამშრალია და თქვენი სუნი აღარ უდის. მაპატიეთ, რომ წუხელ თქვენს ზეწარზე მეძინა.

სოფია ალექსანდროვნა მიხვდა, რომ სერბინოვი დაქანცული იყო, სტუმარს სუფრა მდუმარედ გაუშალა, თავისთვის სავახშმოდ გამზადებული საჭმელი მიართვა და იმაზე არც დაფიქრებულა, რომ სერბინოვს, შესაძლოა, თავად იგი აინტერესებდა. სერბინოვმა ვახშამი, როგორც კუთვნილი, ისე შეჭამა, და ვახშმობას როცა მორჩა, მარტოობის სევდა უფრო მეტად იგრძნო. ძალები ჭარბად გაიჩნდა, მაგრამ ეს ძალები არსაით ჰქონდა მიმართული და გულს ამაოდ უკუმშავდა.

— რატომ არ გაემგზავრეთ? — ჰკითხა სტუმარს სოფია ალექსანდროვნამ. — გუშინდლის მერე უფრო მეტად მოიწყინეთ?

— მე ერთ გუბერნიაში შამბნარის საძებნელად უნდა წავიდე. ადრე სოციალიზმს ტილი ემუქრებოდა, ახლა კი შამბნარი ემუქრება. მოდი, იქ ერთად წავიდეთ!

— არა, — უარი უთხრა სოფია ალექსანდროვნამ. — მე არსად წასვლა არ შემიძლია.

სერბინოვს უნდოდა, აქ დაწოლილიყო და დაეძინა. ასე მშვიდად სხვაგან

ვერსად დაიძინებდა. ზურგი და მარცხენა ფერდი მოისინჯა — რაღაცა, ადრე რბილი და უმტკივნეულო რომ იყო, უკვე რამდენიმე თვეა, უმაგრდებოდა და მტკივნეული უხდებოდა: ალბათ ახალგაზრდული ხრტილები უბედურ[illegible]ოდა, უქვავდებ[illegible]ა და სამუდამო ძვლებად ექცეოდა. დღეს დილით [illegible] დედა გარდაიცვალა. სიმონმა ისიც კი არ იცოდა, დედამისი სად ცხოვრობდა, სადღაც მოსკოვის განაპირა სახლში, საიდანაც უკვე მაზრები [illegible]ბოდა. დედა ალბათ მაშინ მოკვდა, როცა სერბინოვი კბილებს გულმოდგინედ იხეხავდა და პირს მწიკვლისგან ისუფთავებდა, საკოცნელად იმზადებდა; ანდა ლორს შეექცეოდა. ახლა სერბინოვმა აღარ იცოდა, რისთვისღა უნდა ეარსება. ის უკანასკნელი ადამიანიც მოკვდა, ვისაც სერბინოვის სიკვდილი სამუდამოდ დაამწუხრებდა. ამქვეყნად ცოცხლად დარჩენილთა შორის სიმონს დედამისისნაირი არავინ ეგულებოდა: მას შეეძლო, დედა არა ჰყვარებოდა, მისი მისამართიც დაავიწყდა, მაგრამ იმიტომ ცოცხლობდა, რომ დედამისს იგი სჭირდებოდა და ოდესღაც დიდი ხნით გამიჯნა სხვათაგან, იმ მრავალ ადამიანთაგან, ვისაც სიმონი სრულებით არ ესაჭიროებოდა. ეს მიჯნა უკვე ჩამოირღვა: სადღაც მოსკოვის განაპირას, თითქმის პროვინციაში, იდგა კუბო, სადაც დედამისი იწვა, ამქვეყნად თავის ნაცვლად ვაჟი რომ დატოვა. ახლა იმ კუბოს ჩედლ ფიცრებს დედის გამომხმარ სხეულზე მეტი სიცოცხლე გააჩნდა. სერბინოვმა იგრძნო, რომ მისმა სიცოცხლემ, რაც ამსოფლად ყოფნისთვის დარჩენოდა, თავისუფლება და სიმსუბუქე შეიძინა — მისი დაღუპვით აღარავინ დამწუხრდებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ დარდით არავინ მოკვდებოდა, რაც ერთხელ დედამ აღუთქვა და ალბათ აღასრულებდა, თუ მის სიკვდილს მოესწრებოდა. სიმონი თურმე იმიტომ ცოცხლობდა, რომ თავის მიმართ დედის სიბრალულს გრძნობდა, თავის მხრივ კი დედას იმით უნარჩუნებდა სიმშვიდეს, რომ თვითონ ამქვეყნიდ სულდგმულობდა. ხოლო დედა სიმონს მფარველად ევლინებოდა, სხვა ადამიანთა განმარიდებელ სატყუარად ჰქცეოდა, და თვით სიმონი ქვეყნიერებას თანამგრძნობლად დედის შემწეობით მიიჩნევდა. ახლა კი, როცა დედა გაუჩინარდა, ყოველივე გაშიშვლდა. ამქვეყნად არსებობა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა, რაკიღა ცოცხალთა შორის სიმონი სისხლხორცეულად არავის ესაჭიროებოდა. ჰოდა, სერბინოვი სოფია ალექსანდროვნასთან იმიტომ მივიდა, რომ ქალთან ერთად ყოფილიყო — დედამისიც ხომ ქალი იყო.

სერბინოვი სოფია ალექსანდროვნასთან ერთხანს იჯდა, მერე შეამჩნია, რომ მასპინძელს ეძინებოდა, და გამოემშვიდობა. დედა რომ მოუკვდა, ამის თაობაზე სონიასთვის არაფერი უთქვამს. უნდოდა, რომ ეს ამბავი სოფია ალექსანდროვნასთან შემდგომი სტუმრობის საფუძვლიან მიზეზად გამოეყენებინა. შინისკენ იგი ფეხით გაემართა და ექვსიოდე ვერსი გაიარა. გზაზე ორჯერ წამოწვიმა და გადაიღარა. ერთ ბულვარზე სერბინოვმა იგრძნო, რომ სადაცაა ატირდებოდა; ცრემლების მოლოდინში სკამზე ჩამოჯდა, წაიხარა და პირისახე სატირლად მოამზადა, მაგრამ ტირილს ვერ ახერხებდა. იგი მოგვიანებით, ღამის ლუდხანაში ატირდა, სადაც მუსიკა უკრავდა და ხალხი ცეკვავდა: ოღონდ დედის გამო კი არ ტიროდა, ლუდხანაში მყოფი, მისთვის მიუწვდომელი მსახიობი ქალებისა და სხვა ადამიანების სიმრავლე ატირებდა.

სერბინოვი სოფია ალექსანდროვნასთან მესამედ კვირა დღეს მივიდა. სოფია ალექსანდროვნას ჯერ კიდევ ეძინა და სიმონი დერეფანში იცდიდა, სანამ იგი ტანთ ჩაიცვამდა.

სერბინოვმა სოფია ალექსანდროვნას კარს გარედან უთხრა, დედაჩემი გუშინ დაასაფლავეს. აქ იმიტომ მოვედი, რომ სასაფლაოზე თქვენთან ერთად წავიდე და ვნახო, მისი სამყოფელი ქვეყნიერების ალსასრულამდე სად იქნებაო. მაშინ სოფია ალექსანდროვნამ ოთახის კარი ტანჩაუცმელმა გაუღო და სასაფლაოზე ისე გაჰყვა, ხელ-პირი არ დაუბანია. სასაფლაოზე უკვე შემოდგომა დამდგარიყო, მიცვალებულთა საფლავებზე მკვდარი ფოთლები ცვიოდა. მაღალ ბალახსა და ფიცრულ ქოხებს შორის განაბულნი იდგნენ საუკუნოდ აღმართული სამახსოვრო ჯვრები. მიცვალებულთა გულში ჩასაკრავად ამაოდ ხელებგაშლილ ადამიანებს რომ ჰგავდნენ. ბილიკის მახლობელ ჯვარზე ვიღაცის მდუმარე ჩივილის მაუწყებელი წარწერა მოჩანდა

მე ცოცხალი ვარ და ვგოდებ.
ის მკვდარია და დუმს.

სიმონის დედის საფლავი ახლად მოთხრილი მიწით იყო დაფარული და სხვა საფლავთა ძველი ბორცვების სივიწროვეში ეულად მოჩანდა. სერბინოვი და სოფია ალექსანდროვნა ბებერი ხის ქვეშ იდგნენ; მაღლა მქროლი ქარის ნაკადში ხის ფოთლები თანაბრად შრიალებდა, თითქოს დროის ხმიანობა გაისმოდა, მათ ზემოთ შორეთისკენ რომ მიედინებოდა. მოშორებით ხანდახან ჩაივლიდნენ ხოლმე გარდაცვლილ ნათესავთა საფლავების მოსანახულებლად მოსულნი, ახლოს კი არავინ ჩანდა. სერბინოვის გვერდით სოფია ალექსანდროვნა თანაბრად სუნთქავდა. საფლავს დასცქეროდა და სიკვდილის რაობას ვერ მიმხვდარიყო, რადგან არავინ ჰყავდა ისეთი, ვინც შეიძლებოდა, რომ მოჰკვდომოდა. სონიას უნდოდა, მწუხარება ეგრძნო და სერბინოვი შებრალებოდა, მაგრამ ქარის განუწყვეტელი ქროლით ამტყდარი ხმაურის და მიტოვებულ ჯვართა ხილვისგან გულში მხოლოდ მცირეოდენი სევდა ეპარებოდა. სერბინოვი მის წინ უმწეო ჯვარივით იდგა და სოფია ალექსანდროვნამ არ იცოდა, რით დახმარებოდა, რათა მას უაზრო სევდა გაექარვებინა და თავი უკეთ ეგრძნო

სერბინოვს კი ათასობით საფლავის წინაშე შიში იპყრობდა. იქ მიცვალებულნი იწვნენ, რომელთაც იმიტომ იცხოვრეს, რომ სჯეროდათ, სიკვდილის შემდეგ საუკუნო მოგონებას დავტოვებთ და სიბრალულით მოგვიხსენებენო, მაგრამ ისინი დაივიწყებოდათ, სასაფლაო უკაცრიელი იყო და ჯვრები ეწეოდნენ იმათ მაგივრობას, ვინც აქ უნდა მოსულიყო, მიცვალებულნი გაეხსენებინა და შებრალებოდა. იგივე ბედი ეწვეოდა სიმონსაც: უკანასკნელი ადამიანი, ვინც მასთან ივლიდა, როცა თვით ის მოკვდებოდა და ჯვრის ქვეშ იწვებოდა — ახლა კუბოში თავად იწვა და სერბინოვის ფეხთა ქვეშ განისვენებდა.

სერბინოვმა სოფია ალექსანდროვნას მხარზე ხელი მოჰკიდა, რათა მას იგი განშორების შემდეგ ოდესმე გაეხსენებინა. სოფია ალექსანდროვნა პასუხად არც შერხეულა. მაშინ სერბინოვმა უკანიდან ხელი მოხვია და კისერზე თავი მიაყრდნო.

— აქ დაგვინახავენ, — თქვა სოფია ალექსანდროვნამ, — სხვაგან წავიდეთ.

ისინი ბილიკზე ჩავიდნენ და სასაფლაოს სიღრმისკენ გაემართნენ. იქ ხალხი თუმცა ცოტა იყო, მთლად მაინც არ გამოლეულიყო: გზად შემოეყრებოდნენ ხოლმე ვიღაც თვალმახვილი დედაბრები, შამბნარის სიმყუდროვიდან მოულოდნელად გამოჩნდებოდნენ ნიჩბიანი მესაფლავეები, სამრეკლოდან მნათემაც გადმოიხედა და ბილიკზე მიმავალნი დაინახა. ხანდახან უფრო მყუდრო,

უფრო მიყრუებულ ადგილებში მოხვდებოდნენ ხოლმე და სერბინოვი სოფია ალექსანდროვნას მკლავზე მიაყრდნობდა, ანდა ახლოს მიიზიდავდა და თითქმის ხელში ატატებული ეჭირა, სონია კი მას უსურვილოდ უცქეროდა; მაგრამ ან ვიღაც ჩაახველებდა, ან ხრეშზე მიმავლის ფეხსაცმელი გაიხრაჭუნებდა, და სერბინოვი სოფია ალექსანდროვნას კვლავ ბილიკზე გაიყვანდა.

მათ თანდათანობით მთელი სასაფლაო შემოიარეს, თავშესაფრის [illegible] ნახეს და კვლავ სიმონის დედის საფლავზე დაბრუნდნენ. ორივენი უკვე დაიქანცნენ; სიმონი გრძნობდა, მოლოდინისგან გული როგორ მიუსუსტდა, როგორ ესაჭიროებოდა, თავისი მწუხარება და სიმარტოვე სხვა, მეგობრული სხეულისთვის ეწილადებინა და ის საუნჯე გაეთავისებინა, რაც სოფია ალექსანდროვნას გააჩნდა, რათა მას მუდამ სანანებლად ჰქონოდა დანაკარგი, სერბინოვის არსებაში რომ იქნებოდა ჩამალული, და ამის გამო სიმონი მუდამ ემახსოვრებოდა.

— ეს ახლა რისთვის გესაჭიროებათ? — ჰკითხა სერბინოვს სოფია ალექსანდროვნამ. — მირჩევნია, ვისაუბროთ.

ისინი მიწიდან ამოზრდილ ხის ფესვზე ჩამოსხდნენ და ფეხები საფლავზე დაზვინულ ბელტის მიაბჯინეს. სერბინოვი დუმდა, არ იცოდა, სოფია ალექსანდროვნასთვის თავისი მწუხარება როგორ გაენაწილებინა, სანამ საკუთარ თავს არ გაუნაწილებდა: საოჯახო ქონებაც კი საერთო მას მერე ხდება, როცა მეუღლეები საყვარულს გაიზიარებენ; სერბინოვი რაც კი ამქვეყნად ცხოვრობდა, მუდამ ამჩნევდა, რომ სისხლისა და სხეულის გაზიარებას შემდგომში სხვადასხვა საოჯახცხოვრებო ნივთების გაზიარებაც მოჰყვება ხოლმე; პირიქით არასოდეს ხდება, იმიტომ რომ კაცს მხოლოდ ძვირფასი რამ აიძულება, იაფი არ დაიტოვოს. სერბინოვი არც იმას უარყოფდა, რომ ეს აზრი მხოლოდ მისი გახრწნილი გონების ნაყოფი იყო.

— აბა, რაზე უნდა გესაუბროთ! — უთხრა მან სოფია ალექსანდროვნას. — ძალზე გულდამძიმებული ვარ, მწუხარება ჩემს არსებაში ნივთიერებასავით არის შემოჭრილი და ჩვენი ნათქვამი სიტყვები მისგან გამიჯნული დარჩება.

სოფია ალექსანდროვნამ სიმონისკენ უეცრად დანაღვლიანებული პირისახე მოაბრუნა. [illegible]ქოს სატანჯველისა ეშინიაო; იგი ან მიხვდა, ანდა ვერაფერი მოისაზრა. სიმონმა სონიას ხელები პირქუშად მოხვია, მაგარი ფესვიდან დედის საფლავის რბილ ბორცვზე გადაიყვანა და ფეხები ქვემოთ, ბალახზე დაადგმევინა. სიმონს აღარ ახსოვდა, სასაფლაოზე უცხო ადამიანები იყვნენ თუ იქიდან უკვე ყველანი წავიდნენ, ხოლო სოფია ალექსანდროვნამ პირი მისგან მდუმარედ მიაბრუნა და მიწის ბელტებს დააცქერდა, რაშიაც სხვა მიცვალებულთა კუბოების ნამსხვრევები იყო შერეული, საფლავის სიღრმიდან ნიჩბებით რომ ამოეყარათ.

ცოტა ხნის შემდეგ სერბინოვმა ჯიბიდან მოხუცებული გამხდარი ქალის პატარა გრძელი ფოტოსურათი ამოჩხრიკა და საფლავის ფხვიერ მიწაში ჩამალა, რათა დედა აღარ გაეხსენებინა და არ გატანჯულიყო.

გოპნერმა ჩევენგურში იაკოვ ტიტიჩისთვის ორანჟერეა მოაწყო: ბერიკაცი მინდვრის ყვავილებს ეთაყვანებოდა, მათი მეშვეობით თავისი არსებობის სიმყუდროვეს შეიგრძნობდა, მაგრამ მთელ ქვეყნიერებას და ჩევენგურსაც უკვე შუა შემოდგომის სალამოსეული თვალებმოჭუტული მზე დაჰნათოდა და იაკოვ ტიტიჩის საყვარელ, ძლივძლივობით მფეთქავ მინდვრის ყვავილებს ოდნავი

სურნელებალი უდიოდა. იაკოვ ტიტიჩმა ყველაზე ახალგაზრდა გარეშე, ცამეტი წლის ეგორი მიიჩვია და მინით გადახურულ ჭერქვეშ მასთან ერთად იჯდა ხოლმე სურნელებით გარემოცული. იაკოვ ტიტიჩს ჩევენგურში სიკვდილით თავი ენანებოდა; მაგრამ სიკვდილი უკვე საჭირო იყო, იმიტომ რომ მისმა კუჭმა საჭმელი შეიძულა და სასმელსაც კი მტანჯველ აირებად გარდაქმნიდა; თუმცაღა, იაკოვ ტიტიჩს სიკვდილი ავადმყოფობის გამო კი არ სურდა, არამედ იმიტომ, რომ თავი ისე მობეზრდა, მოთმინების ფიალა აევსო: საკუთარ სხეულს უკვე ისე შეიგრძნობდა, როგორც გარეშე, მეორე ადამიანს, ვისთან ერთადაც სამოც წელიწადს ყოფნა მოუწყინა და ვის მიმართაც ამჟამად დაუოკებელ სიძულვილს განიცდიდა. ახლა მინდორს გასცქეროდა, სადაც პროლეტარული ძალა ხნავდა, ხოლო კოპიონკინი კვალდაკვალ მიჰყვებოდა; მინდორს გასცქეროდა და უფრო მეტად ეწადა, თავი დაევიწყებინა, საკუთარ არსებასთან განმარტოებით ყოფნისგან აღძრულ სევდას განერიდებოდა. უნდოდა, რომ ცხენად, კოპიონკინად, ღირსებით დაჯილდოებულ რაიმე საგნად ქცეულიყო, ოღონდაც გონებიდან განედევნა ხსოვნა საკუთარი, გრძნობათაგან დაცლილი, ნაირევი სიცოცხლისა. იგი ეგორს ხელს შეახებდა ხოლმე და გულს მოიშვებოდა — ეს ბიჭი ხომ უკეთესი არსება იყო და თავადაც მისი სიცოცხლით ვერ იარსებებდა, თავისთან მაინც ხომ ეყოლებოდა და მასზე იფიქრებდა.

ფეხშიშველი კოპიონკინი გაყამირებულ მინდორს სომარი ცხენით ხნავდა. იმიტომ კი არ ხნავდა, რომ თავისთვის საზრდო შეეძინა, არამედ იმისთვის, რომ სხვა, მომავალი ადამიანისთვის, ალექსანდრ დვანოვისთვის ბედნიერება მოეპოვებინა. კოპიონკინი ხედავდა, რომ დვანოვი ჩევენგურში დამჭლევდა. ამიტომ ძველი სამყაროსგან საკუჭნაოებში შემორჩენილი ჭვავი პეშვ-პეშვად მოაგროვა და პროლეტარული ძალა კავში შეაბა, რათა მიწა მოეხნა და საშემოდგომო პური მეგობრის გამოსაკვებად დაეთესა. მაგრამ დვანოვი შიმშილის გამო არ დამჭლევებულა, პირიქით — ჩევენგურში იშვიათად თუ მოშივნია: იგი ბედნიერებისა და მზრუნველობისგან დამჭლევდა. ერთთავად ეჩვენებოდა, რომ ჩევენგურელები რაღაცისგან იტანჯებოდნენ, ერთმანეთთან შეუმჭიდროებლად ცხოვრობდნენ, ამიტომ დვანოვი მათ თავის სხეულს შრომის მეშვეობით უძღვნიდა; იმისთვის, რომ კოპიონკინი ჩევენგურს შეჰგუებოდა და მასთან ერთად ყოფილიყო, საშა ყოველდღე თავისი წარმოსახვით როზა ლუქსემბურგის ცხოვრების აღწერილობას უწერდა, ხოლო კირეისთვის მდინარის ფსკერიდან შავი ხის მომცრო ძელი ამოათრია, რადგან კირეიმ ამ ძელისგან ხის იარაღის გამოთლა მოინდომა. თავად კირეი ახლა დვანოვის მიმართ მეგობრული გრძნობით იყო გამსჭვალული, სევდამორეული ერთთავად მას დასდევდა და ღამითაც ღარაჯობდა, რადგან ეშინოდა, ჩევენგურიდან უეცრად არ გადაიკარგოსო. ხოლო ჩეპურნი პაშინცევთან ერთად ბუჩქნარს განუწყვეტლივ ჩეხავდა, რადგან გაახსენდა, რომ ზამთარი მცირეთოვლიანიც არის ხოლმე; ფიქრობდა, რახან ასეა, თოვლი სახლებს ვეღარ დაათბუნებს, შესაძლოა, კომუნიზმის მთელი მოსახლეობა გაცივდეს და გაზაფხულამდე ერთიანად ამოწყდესო. ღამით ჩეპურნისაც მოსვენება დაკარგული ჰქონდა — ჩევენგურში დანთებული კოცონის პირას იწვა და შიგ ფიჩხს უკეთებდა, რათა კოცონი არ ჩამქრალიყო და ქალაქი უცეცხლოდ არ დარჩენილიყო. გოპნერი და დვანოვი ჩეპურნის ჰპირდებოდნენ, ჩევენგურში მალე ელექტრობას მოვაწყობთო, მაგრამ სხვა საზრუნავით იქანცებოდნენ, და ელექტრობისათვის ვეღარ იცლიდნენ. ელექტრობის მოლოდინში ჩეპურნი

დგომის წყვდიადით მოცული ნესტიანი ცის ქვეშ იწვა და რულმორეულ კონებას იფხიზლებდა. რათა ცეცხლისთვის მიეხედა და მძინარე გარეშეთათვის სითბო და სიხათლე შემოენახა. გარეშენი ადრიანად იღვიძებდნენ. როცა ჯერ კიდევ ბნელოდა, მათი გაღვიძების ჟამი ჩეპურნის სიხარულს ანიჭებდა: მთელ მდუმარე ჩევენგურში ხან აქ. ხან იქ კარი აჭრიალდებოდა. ჭიშკ[illegible]დებოდა, გამოძინებული ფეხშიშველი ადამიანები სახლებს შორის [illegible]ნობდნენ, საჭმელსა და ამხანაგებს დაეძებდნენ, წყალზე მიმავალნი ვედროებს მიაჩხარუნებდნენ. ხოლო მერე და მერე იქაურობას დილის შუქი ეფინებოდა. ახლა კი ჩეპურნი კმაყოფილი ჩაიძინებდა, ხოლო გარეშენი საერთო ცეცხლს თავად მიეპატრონებოდნენ.

ყოველი გარეშე ან მინდორში მიდიოდა ან მდინარეს მიაშურებდა: მინდორში თავთავებს გლეჯდნენ. ძირნაყოფებს თხრიდნენ; ხოლო მდინარეში მომრავლებულ წვრილ თევზს ჯოხზე მიმაგრებული ქუდებით იჭერდნენ; გარეშენი თვითონ იშვიათად ჭამდნენ: საჭმელს ერთმანეთის გასამასპინძლებლად აგროვებდნენ. მაგრამ მინდორში საზრდო უკვე ილეოდა და გარეშენი შამბნარში საღამომდე დაეხეტებოდნენ იმის გამო დადარდიანებულნი, რომ თვითონაც დაიმშეოდნენ და სხვისთვისაც ვეღარაფერს იშოვნიდნენ.

როცა ჩამობინდდებოდა, გარეშენი შამბნარმოდებულ ადგილებს შორის გაშლილ ალაგას თავს მოიყრიდნენ და ვახშმის სამზადისს შეუდგებოდნენ. უეცრად კარჩუკი წამოდგებოდა — იგი მთელ დღეს შრომობდა და იქანცებოდა, საღამოობით კი უბრალო ხალხში ყოფნა უყვარდა.

— მოქალაქე-მეგობრებო, — ამბობდა კარჩუკი კმაყოფილების გამომხატველი ხმით. — იუშკას ახველებს და გული დაჭერილი აქვს — ამას ახლა მსუბუქი [illegible]ებს; ათასი ბლუჯა ბალახი მოუგლიჯე და შიგ ყვავილების ღეროებიდან რძიანა ჩაუწყვეთ; იუშკა შეუძლია, თამამად შეექცეს...

იუშკა ძირხვენაზე იჯდა და ხელში ოთხი კარტოფილი ეჭირა.

— კარჩუკო, შენს მიმართ ჩემი პრინციპი მეც უნდა გამოვიჩინო, — უპასუხა კარჩუკს იუშკამ, — რატომღაც დილიდანვე მომესურვა, ღადარში შემწვარი კარტოფილით გამეოცებინე! მსურს, ამაღამ კუჭამოვსებულმა დავიძინო!

გარემო ღამის შემზარავ წყვდიადში იძირებოდა. უკაცრიელ ცას უკმური სიცივე ეუფლებოდა. ერთი ვარსკვლავიც კი არსად მოჩანდა და თვალს არაფერი ახარებდა. გარეშენი ჭამდნენ და თავს კარგად გრძნობდნენ. ამ უცხოქმნილი ბუნების შემყურენი, შემოდგომის გრძელ ღამეთა მომლოდინენი, თითო ამხანაგს მაინც საფიქრალ-საზრუნავად ირჩევდნენ და საკუთარ ნივთად მიიჩნევდნენ, არა მარტო ნივთად, არამედ კეთილდღეობის იდუმალ წყაროდ, რაზედაც ადამიანი იმედს მხოლოდ თავის წარმოსახვაში ამყარებს, მაგრამ სხეულს ამით განიკურნავს; აუცილებელ საჭიროებად ქცეული სხვა ადამიანი ქვეყნიერებაზე უვნებლად რომ არსებობდა, ესეც კი საკმარისი იყო იმისთვის, რომ გარეშეს იგი შინაგანი სიმშვიდის, მოთმინების მიმნიჭებლად, უმაღლეს ნივთიერებად და ლატაკური ყოფის საუნჯედ ჰქცეოდა. ამქვეყნად სხვა, საკუთარი ადამიანი რომ არსებობდა, ამის წყალობით ჩევენგური და ღამის სინესტით მოცული გარემო ყოველი ეული გარეშესთვის საარსებოდ სავსებით გამოსადეგად გარდაიქმნებოდა და მყუდროების მომნიჭებლობას იძენდა. „დაე, ჭამოს, — ფიქრობდა კარჩუკი და იუშკას უცქეროდა, რომელიც მის მომზადებულ წვნიანს შეექცეოდა. — საჭმელს როცა მოინელებს, სისხლი მოემატება

და უფრო ხალისიანად დაეძინება, ხვალ კი გამაძღარს, სხეულჩამთბარს გამოეღვიძება: ამას რა სჯობია!"

იუშკამ უკანასკნელი ყლუპი წვნიანი შეხვრიპა, წამოიმართა, ხალხის წრეში ჩადგა და წარმოთქვა:

— ამხანაგებო, ჩვენ აქ ახლა როგორც მოსახლეობა, ისე ვცხოვრობთ და არსებობის საკუთარი პრინციპი გაგვაჩნია.. თუმცა უმდაბლესი მაინც ყველაზე წითელ ნალექს წარმოვადგენთ, ვიღაცა მაინც გვაკლია და ვიღაცას მაინც მოველით!..

გარეშენი დუმდნენ, მთელ დღეს საჭმლის ძიებათა და ერთმანეთზე ზრუნვით დაქანცულები თავჩაქინდრულნი და მუხლებზე დაყრდნობილნი ისხდნენ.

— ჩვენ პროშკა გვაკლია, — სევდიანად თქვა ჩეპურნიმ. — ჩვენი საყვარელი პროშკა ჩევენგურში არ არის!..

— დროა, ძლიერი კოცონის ორგანიზებას შევუდგეთ, — თქვა კირეიმ. — პროშკა იქნებ ღამით გამოგვეცხადოს, აქაურობას ჩაბნელებულს ხომ არ დავახვედრებთ!

— კოცონის ორგანიზებას რითი აპირებ? — ვერ მიხვდა კარჩუკი. — თუ ფიჩხს ბლომად არ დაახვავებ, კოცონს ისე ვერ გაჩაღებ! კოცონის ორგანიზებას როგორ შეძლებ, როცა ყველგან მარტო მცირეკალიბრიანი წკნელებია! მიდი, ცეცხლი წაუკიდე, და ნახავ, რა ორგანიზებულად აქვამლდება...

მაგრამ გარეშენი ახლა წყნარად სუნთქავდნენ, ძილი ყველას თავს ართმევდა, კარჩუკი რას ლაპარაკობდა, აღარავის ესმოდა. დასვენება მარტო კოპიონკინს არ უნდოდა. „სისულელეა", — თქვა მან ყველაფრის მიმართ და კაეში ცხენის შესაბმელად გაემართა, ღვანოვი და პაშინცევი ერთმანეთს ზურგით მიუწვნენ, ჩათბნენ და ვეღარც შეამჩნიეს, გოხება როგორ მიებინდათ.

ორი დღის შემდეგ, შეღამებისას, ჩევენგურში ორი ბოშა ქალი მოვიდა; ის ღამე კარჩუკის საკუჩნაოში უქმად გაათიეს და როცა გათენდა, კიდევ შეეცადნენ, რომ ჩევენგურელებს მიტმასნებოდნენ, მაგრამ ისინი, ზოგნი ქალაქში, ზოგნი შამბნარში იყვნენ გაფანტულნი, ყველანი რაღაცას საქმიანობდნენ და მუშაობის ნაცვლად ქალებთან თავაზიანობის გამოჩენას ერიდებოდნენ, რადგან ამხანაგებისა რცხვენოდათ. კირეიმ ჩევენგურში ყველა ბალღინჯო ამოწყვიტა, შავი ხისგან ხმალიც გამოთალა, ხოლო როცა ქალაქში ბოშა ქალები გამოჩნდნენ, მიწას თხრიდა, რათა კუნძი ამოეძირკვა და გოპნერისთვის ჩიბუხის გამოსათლელად გამოეყენებინა. ბოშა ქალებმა გვერდით ჩაუარეს და სადღაც ველის სიღრმეში ჩაწოლილ ჩრდილში ჩაიკარგნენ; კირეის სევდა მოერია და სხეული ისე მოუდუნდა, თითქოს თავისი სიცოცხლის აღსასრული ეხილა, მაგრამ გულდამძიმებულობა თანდათან იმით დათრგუნა, რომ კვლავ კუნძს მიუბრუნდა და ძალა მიწის თხრას შეალია. ერთი საათის შემდეგ ბოშა ქალები მინდვრის შემაღლებულ ადგას ისევ გამოჩნდნენ. მერე კი უკუქცეული ლაშქრის ბოლოში მოქცეული ალალის კუდივით ერთბაშად გაქრნენ.

— წავიდნენ ქვეყნიერების დამამშვენებელნი, — თქვა პიუსიამ, გარეშეთა გარეცხილ ძონძმანებს გასაშრობად ლობეებზე რომ ჰფენდა.

— სოლიდური ნივთიერებაა, — ბოშა ქალები შეაფასა ჟეევმა.

— ოღონდ ესეც იცოდეთ, რომ მაგათ სხეულში რევოლუციის ნატამალიც არ გააჩნიათ! — ყველას აუწყა კოპიონკინმა. სამი დღეა, ბალახ-ბულახსა და ცხენების ნავალ ალაგებში ნალს დაეძებდა, მაგრამ მხოლოდ წვრილმანს — გულზე ჩამოსაკიდ ჯვრებს, ქალამნებს, რაღაც მყესებს და ბურჟუაზიული ყო-

ფის სხვა ნაყარნუყარს პოულობდა. — სილამაზე არ არსებობს, თუ ადამიანის სახეზე შეუგნებლობის კვალი არ ატყვია, — თქვა შემდეგ კოპიონკინმა, როცა ყულაბა იპოვა, რაშიც კომუნიზმამდე ტაძრების მოსაწყობ-გასამართავად კაპიტალს აგროვებდნენ. — რევოლუციის გარეშე ქალი მხოლოდ ნახევრად დედაკაცია. მაგისთანების გამო გულზე დარდს არ მივიკარებ... [illegible] ძალს თუ შეძლებს, სხვაფრივ კი არაფრად ღირან, არაფრის მაქნისები არ არიან.

დვანოვი მახლობელ სახლებში სკივრებიდან ლურსმნებს აძრობდა, რათა მერე გამოეყენებინა, თუ ფიცრით რაიმეს ააშენებდნენ; ქალაქგარეთ მიმავალი საწყალი ბოშა ქალები გამოღებული კარიდან დაინახა და შეეცოდა. ხომ შეიძლებოდა, რომ ისინი ჩევენგურში ცოლები და დედები გამხდარიყვნენ; მეგობრობით შეერთებული, ერთმანეთთან შრომის ორომტრიალით შემჭიდროებული ადამიანები, რომელნიც ერთიმეორეს იმიტომ არ სცილდებოდნენ, რომ შემზარავ მიწაზე უთვისტომოდ არ გამოფანტულიყვნენ, სამახვერპლოზე მიტანილი, სისხლისმიერი, ზღვარდაუდებელი სიმყარით, სხეულთა ურთიერთგაზიარებითაც შეკავშირდებოდნენ. დვანოვმა სახლებსა და ღობეებს თვალი გაოცებით შეავლო — მათში ნაჯაფარი ხელების რაოდენი სითბო იყო ჩამალული, ამ კედლებსა, ძელჭერებსა და სახურავებში რამდენი სიცოცხლე ამაოდ ჩანავლებულა ისე, რომ ავ-კარგის გამზიარებელ ადამიანამდე ვერ მიუღწევია! დვანოვმა ლურსმნების ამოძრობა ერთხანს მიატოვა, რადგან მოესურვა, საკუთარი თავიცა და გარეშენიც საქმიანობისგან განერიდებინა, რათა ჯაფაში არ დახარჯულიყვნენ და თავიანთ არსებაში შეენარჩუნებინათ უკეთესი ძალები კოპიონკინისთვის, გოპნერისთვის და ბეჯითად მომუშავე ჩევენგურიდან ველებისა და სილატაკისკენ წასული ქალების მსგავსთათვის მისაძღვნელად. „მირჩევნია, სევდა დამეუფლოს, ვიდრე გულმოდგინედ ვიმუშაო, მაგრამ ადამიანები დავკარგო, — დაასკვნა დვანოვმა. — აქ ყველანი მუშაობით გაერთნენ, თავდავიწყებას მიეცნენ და ამქვეყნად არსებობა გაიადვილეს, ხოლო ბედნიერება კვლავინდებურად მიუღწეველია..."

შემოდგომის გამჭვირვალე მცხუნვარება ჩევენგურის დადუმებულ გარეუბნებს სიცოცხლეგამოლეულ ქათქათა შუქსა ჰფენდა, თითქოს დედამიწაზე ჰაერი აღარ არსებობდა; კაცს სახეზე ხანდახან აბეზარი აბლაბუდა მიებლანდებოდა, ხოლო ბალახი მიწაში ჩასაფერფლად დახრილიყო, სინათლესა და სითბოს აღარ იწოვდა; მაშასადამე, ხალხს მარტო მზე კი არა, თავისი დროჟამიც აცოცხლებდა. ველის ჰორიზონტზე ფრინველები ცაში აიჭრებოდნენ ხოლმე და კვლავ უფრო ყუათიან ალაგებზე დაეშვებოდნენ; დვანოვი ფრინველებს ისევე ნაღვლიანად გაჰყურებდა, როგორც ოდესღაც, თავის ბავშვობაში, ზახარ პავლოვიჩის ბინის ჭერზე მსხდარ ბუზებს ასცქეროდა. მაგრამ, აი, მაღლა აფრენილ ფრინველებს მძიმედ აბოლქვილი მტვერი ჩამოეფარა — ეკიპაჟში შებმული სამი ცხენი ველიდან გამოიჭრა და ჩევენგურისკენ მაზრული ჩორთით გამოეშურა. დვანოვი ღობეზე შედგა და გაოცებული მზერა მიაპყრო ეკიპაჟს, რომლითაც ვილაც უცხო კაცი მოდიოდა; უეცრად შორიახლოს ცხენის ფლოქვთა მძლავრი თქარუნი გაისმა: პროლეტარულ ძალზე ამხედრებული კოპიონკინი ჩევენგურის განაპირა ღობეს მოსწყდა და შორეული ეკიპაჟისკენ გაექანა, რათა ან მეგობარს შეჰგებებოდა, ან მტერი განეგმირა. დვანოვიც ქალაქის განაპირას გავიდა, რათა კოპიონკინს დახმარებოდა, თუ საჭირო იქნებოდა. მაგრამ კოპიონკინს ყველაფერი მარტოდმარტოსაც უკვე მოე-

გვარებინა: მეეტლე კოფოდან ჩამომხტარიყო, ცხენებისთვის ხელი ალვირში ჩაეკიდა და ნელი ნაბიჯით მოჰყავდა, ხოლო ფაეტონი ცარიელი ჩანდა; მგზავრი ფაეტონის უკან ფეხით ცალკე მოდიოდა, ცხენზე მჯდარი კოპიონკინი კი მგზავრს უკან მოჰყვებოდა. კოპიონკინს ცალ ხელში ხმალი მოემარჯვებინა, ხოლო მეორე ხელში პორტფელი ეჭირა, პორტფელსა და [illegible] ცერა თითს შორის ქალის რევოლვერი მოექცა.

ფაეტონით მომავალი კაცი ახლა გზას ქვეითად და უიარაღოდ მოუყვებოდა, მაგრამ სახეზე სიკვდილის მომლოდინე კაცის შიში კი არა, ცნობისწადილის ღიმილი ესახებოდა.

— ვინა ხართ? ჩევენგურში რატომ ჩამოხვედით? — ჰკითხა მას დვანოვმა.

— მე ცენტრიდან ჩამოვედი შამბნარის საძებნელად. მეგონა, არსად იქნებოდა, მაგრამ ველს შამბნარი ნამდვილად მოსდებია, — უპასუხა დვანოვს სიმონ სერბინოვმა. — თქვენ ვინღა ხართ?

ორი კაცი ერთმანეთის პირისპირ იდგა და ერთიმეორეს ლამის თვალებში ჩასცქეროდა. ხიფათის მოლოდინით გახარებული კოპიონკინი სერბინოვს თავს დასდგომოდა და თვალს ფხიზლად ადევნებდა; მეეტლე ცხენებთან გაჩერებულიყო და თავისთვის ჯავრიანად რაღაცას ბუტბუტებდა — უკვე მოელოდა, რომ იქაური მაწანწალები ცხენებს წაართმევდნენ.

— აქ კომუნიზმია, — განუმარტა სერბინოვს ცხენზე მჯდარმა კოპიონკინმა. — ხოლო აქ მყოფნი ყველანი ამხანაგები ვართ, იმიტომ რომ უწინ არსებობის სახსარი არ გაგვაჩნდა, თვალდ შენ რა დუბიექტი ხარ?

— მეც კომუნისტი ვარ, — თავი წარუდგინა სერბინოვმა, თან დვანოვს ათვალიერებდა, მისი სახე ეცნო და ცდილობდა, გაეხსენებინა, სად ენახა.

— მაშ აქაურობის გასაკომუნებლად მოსულხარ, — უთხრა სერბინოვს იმედგაცრუებულმა კოპიოკინმა, რაკილა ხიფათის მოლოდინი არ გაუმართლდა და პორტფელი ჯიბის რევოლვერთან ერთად გზის პირა შამბნარში მოისროლა. — ქალის სტრუმენტი ჩვენთვის გამოუსადეგარია — აი, ქვემეხი კი გამოგვადგებოდა. შენ კი პორტფელი დიდი გაქვს, ხოლო რევოლვერი პატარა — პარტიის წევრი კი არა, მჯლაბნელი ხარ... სამა, წამო, შინ წავიდეთ!

დვანოვი პროლეტარულ ძალას ფართო გავაზე შეახტა და კოპიონკინმა ცხენი ქალაქისკენ გააჭენა.

სერბინოვის მეეტლემ ცხენები უკან, ველისკენ მიაბრუნა და კოფოზე აჩოჩდა; ახლა იმაზე ფიქრობდა, თავს როგორ ვუშველოო. ჩაფიქრებული სერბინოვი ჩევენგურისკენ ქვეითად გაემართა, ცოტა ხანს მიაბიჯებდა და მერე შეჩერდა: მობერებული ძირხვენები თბილ ზაფხულში გატარებულ სიცოცხლეს მის წინაშე მშვიდობიანად ასრულებდნენ; მოშორებით — შუა ქალაქში — ვიღაცა ფიცარს გულმოდგინედ ამუშავებდა და იქაურობას თანაბარი კაკუნი ეფინებოდა. ქალაქის განაპირას მდგარი სახლიდან კარტოფილისგან დამზადებული კერძის სუნი გამოდიოდა, ადამიანები თურმე აქაც საზრდოობდნენ, ყოველდღიური სიხარულიც გააჩნდათ და სადარდელიც. სერბინოვს რაღა ეწადა? ეს თვალდაც არ იცოდა, ჰოდა, ჩევენგურისკენ, უცხო ადგილისკენ გაემართა. მეეტლემ შეამჩნია, რომ სერბინოვს მისი დარდი არა ჰქონდა, ცხენები ჯერ ტაატით დაძრა, ხოლო შემდეგ უკაცრიელი ველისკენ გააქანა, რათა ჩევენგურს გასცლოდა.

ჩევენგურში სერბინოვს გარეშენი უმალვე გარს შემოეხვივნენ, რადგან

ბიბლიოთეკა

თავით ფეხებამდე შემოსილი უცხო კაცით ძალზე დაინტერესდნენ. ისინი სერბინოვის ცქერით ისე ტკბებოდნენ, თითქოს მათთვის ავტომობილი ეჩუქებინათ და ახლა სასიამოვნო გასეირნება ელოდათ. კირეიმ სერბინოვს ჯიბიდან თვითმწერი კალამი ამოაცალა და თავი უმალვე მოაძრო, რაც გოპნერს მუნდშტუკად გამოადგებოდა. კარჩუკმა კი სერბინოვის სათვალე საჩუქრად კირეის მიუძღვნა.

— ამით უფრო შორს და უფრო მეტს დაინახავ, — უთხრა მან კირეია.

— ამისი საქი და ვოიაჟი სულ ტყუილად გადავაგდე, — ინანა კოპიონკინმა. — მერჩია, იმისგან საშასთვის ბოლშევიკური კარტუზი გამეკეთებინა... თუმცა არა — იქ ეგდოს, საშას ჩემს ქუდს ვაჩუქებ.

სერბინოვის მაღალყელიანი ფეხსაცმლით იაკოვ ტიტიჩს ფეხები შეუმოსეს, იმას რბილი ფეხსაცმელი ოთახში სასიარულოდ ესაჭიროებოდა; ხოლო პალტოსაგან ჩევენგურელებმა პაშინცევს შარვალი შეუკერეს. ის ხომ მას მერე, რაც რევნაკრძალიდან გამოაძევეს, უშარვლოდ დადიოდა. სულ მალე სერბინოვი ქუჩაში მდგარ სკამზე ქილეტის ამარა და ფეხშიშველი ჩამოჯდა. პიუსიამ იფიქრა, იფიქრა და ჩევენგურში მოსულს ორი ცალი ლადარში შემწვარი კარტოფილი მიართვა, ხოლო გარეშეებმა იმის მოტანა დაიწყეს, ვისაც რა მოესურვებოდა: ვინ ჯუბაჩა აჩუქა, ვინ თექის ჩექმები, კირეიმ კი სერბინოვს ერთი ტომარა საწერი მოწყობილობა მისცა.

— შენი იყოს, — უთხრა მას კირეიმ, — ალბათ ჭკვიანი ხარ, და გამოგადგება. ჩვენ კი არაფერში გვარგია.

სერბინოვმა კირეის საწერი მოწყობილობა გამოართვა. მოგვიანებით ჩამჭკნარ ბალახში პორტფელი და რევოლვერი მოძებნა, პორტფელიდან ქაღალდები ამოიღო, თვით პორტფელი კი გადააგდო. ქაღალდებს შორის იმ ადამიანთა აღრიცხვის წიგნიც იდო, ვინც უნდოდა, რომ საკუთრებად ჰყოლოდა. ეს წიგნი სიმონს დასაკარგავად არ ემეტებოდა. შეღამებისას, როცა დაქანცულ ქალაქში მყუდროებამ დაისადგურა, იგი მაგიდას მიუჯდა; ტანზე ჯუბაჩა ეცვა, ფეხთ თექის ჩექმები ემოსა და წინ გადაშლილი წიგნი იდო, ხოლო მაგიდაზე სანთლის ნამწვი ენთო, კირეიმ ბურჟუაზიის მარაგში რომ ამოაჩინა; სახლში ოდესღაც აქ მცხოვრები ვიღაც კაცის გაზინთული სხეულის სუნი იდგა. ახალ ადგილას ყოფნისა და სიმარტოვის გამო სერბინოვს ყოველთვის სევდა ეუფლებოდა და მუცელი ასტკივდებოდა ხოლმე, თავის წიგნში არაფრის ჩაწერა აღარ შეეძლო, მხოლოდ კითხულობდა და ხედავდა, რომ წარსული საზარალოდ ჰქცეოდა: მთელი სიცოცხლის მანძილზე სამარადისოდ არც ერთი ადამიანი არ შემორჩენოდა, არავის მეგობრობა საიმედო ნათესაობად არ გარდაქმნოდა. სერბინოვი ახლა მარტო იყო, მხოლოდ დაწესებულების მდივანს ახსოვდა, რომ იგი მივლინებაში იყო წასული, ოღონდ უკან უნდა დაბრუნებულიყო, და მდივანი მას სამსახურებრივი წესით მოელოდა. „მე იმას ვესაჭიროები, — გონებაში წარმოისახავდა მდივნის მიმართ ერთგულების გრძნობით განმსჭვალული სერბინოვი, — და ჩემი დაბრუნების იმედს არ გავუქარწყლებ: დავუფასებ, რომ ვახსოვარ, და არ გავაწბილებ“.

ალექსანდრ დვანოვი სერბინოვის შესამოწმებლად მივიდა. იგი სერბინოვს მაშინ ეწვია, როცა სერბინოვი თავს თითქმის ბედნიერად გრძნობდა იმის გამო, რომ მდივანი სადღაც მასზე ზრუნავდა და, მაშასადამე, სიმონს ამხანაგი ჰყავდა. ღამის სიბნელით მოცულ ჩევენგურში იგი მხოლოდ ამას ფიქრობდა და

თავს მხოლოდ ამით ინუგეშებდა: სხვა არავითარი იდეის შეგრძნება ახლა არ შეეძლო, ხოლო რასაც ვერ შეიგრძნობდა, იმით სიმშვიდეს ვერ ჰპოვებდა.

— ჩევენგურში რისთვის ჩამოხვედით? — ჰკითხა სერბინოვმა დვანოვმა.
— პირდაპირ გეტყვით: თქვენი მივლინების მიზანს აქ ვერ განახორციელებთ.

სერბინოვი მივლინების განხორციელებაზე არცა ფიქრობდა; დვანოვის სახე ახლაც ეცნო, გახსენებას ლამობდა, საიდან ახსოვს და წუხდა, რომ ეს ვერ გაეხსენებინა.

— მართალია, რომ თქვენთან სათესი ფართობები შემცირებულია? — მდივნის საამებლად მოიწადინა ამისი შეტყობა სერბინოვმა, თუმცა თვითონ ნათესები სულაც არ აინტერესებდა.

— არა, — განუმარტა დვანოვმა. — პირიქით, გაიზარდა, ქალაქსაც კი ბალახი მოედო.

— ეს კარგია, — თქვა სერბინოვმა და მივლინება შესრულებულად მიიჩნია: შემდეგ პატაკში ჩაწერდა, სათესი ფართობები სრულებითაც არ შემცირებულა, ერთი პროცენტით კიდევაც გაიზარდა: შიშველი ნიადაგი არსად შემიმჩნევია, მცენარეულობას სივიწროვისგან ადგილი არცა ჰყოფნისო.

სადღაც ღამის ცინცხალი ჰაერით გარემოცული, სიბერეშეპარული კოპიონკინი ახველებდა, ძილი არ ეკარებოდა და მარტოდმარტო დახეტიალობდა.

დვანოვი სერბინოვთან ეჭვებით შეპყრობილი მიდიოდა, განზრახული ჰქონდა, მივლინებით ჩამოსული კაცი ჩევენგურიდან გაეძევებინა, მაგრამ როცა დაინახა, აღარ იცოდა, მისთვის კიდევ რა უნდა ეთქვა. დვანოვს ადამიანისა თავდაპირველად მუდამ ეშინოდა, იმიტომ რომ ისეთი ჭეშმარიტი რწმენა არ გააჩნდა, რითაც სხვის წინაშე უპირატესობას იგრძნობდა, პირიქით, მისი შესახედაობა რწმენის ნაცვლად გრძნობას აღუძრავდა და მეტისმეტი პატივისცემით მისჯვალავდა.

სერბინოვმა ჯერ არ იცოდა, სად იმყოფებოდა, მაზრის მყუდროება, ბალახეულის სიმრავლისგან სიმსუყით გაჯერებული ჰაერი მოსკოვზე სევდას აღუძრავდა და იქ დაბრუნება მოესურვა, ამიტომ გადაწყვიტა, ჩევენგურიდან ხვალვე ფეხით წასულიყო.

— თქვენ აქ რევოლუცია გაქვთ? — ჰკითხა დვანოვს სერბინოვმა.

— ჩვენ კომუნიზმი გვაქვს, ხომ გესმით — იქ ამხანაგი კოპიონკინი ახველებს, იგი კომუნისტია.

სერბინოვს ოდნავადაც არ გაჰკვირვებია, რადგან რევოლუცია ყოველთვის თავისზე უკეთესად მიაჩნდა, ამ ქალაქში მან მხოლოდ თავისი საცოდაობა შეიცნო, და გაიფიქრა, მდინარეში ჩაძირულ ქვას ვგავარ, რევოლუცია ჩემს ზემოთ მიექანება, მე კი ფსკერზე ვრჩები საკუთარ თავთან მიჯაჭვული, და ეს მამძიმებსო.

— კარგი, მაგრამ ჩევენგურში მწუხარება და სევდა თუ გაქვთ? — ჰკითხა დვანოვს სერბინოვმა.

დვანოვმა უპასუხა, გვაქვს: მწუხარებაცა და სევდაც აგრეთვე ადამიანის სხეულის ნაწილიაო.

მერე კი დვანოვმა შუბლი მაგიდას დააყრდნო; საღამო ხანს იგი საშინლად იქანცებოდა ჯაფაზე უფრო მეტად იმით, რომ მთელი დღის მანძილზე ჩევენგურელებს მზრუნველობითა და შიშით თვალს ადევნებდა.

სერბინოვმა ფანჯარა გამოაღო, რათა ოთახში ჰაერი შემოსულიყო, გარეთ მყუდროებასა და წყვდიადს დაესადგურებინა, მხოლოდ ველის სიღრმიდან მო-

ისმოდა გრძელი, შუაღამისეული და ისეთი წყნარი ხმა, რომ ღამის სიმშვიდეს არ არღვევდა. დვანოვი საწოლზე გადავიდა, გულაღმა გაიშოტა და დაიძინა. სანთელი, სადაცაა, ჩაიწვებოდა, ამიტომ სერბინოვი სოფია ალექსანდროვნასთან გასაგზავნი წერილის წერას სწრაფად შეუდგა — ატყობინებდა, ჩევენგურში ერთ ალაგას თავმოყრილ მაწანწალა პროლეტარებს კომუნიზმი მოეწყვიათ და მათ შორის ნახევრადინტელიგენტი დვანოვი ცხოვრობს, რომელსაც ალბათ დავიწყებულიც კი აქვს, ამ ქალაქში რისთვის მოვიდა. სერბინოვი დვანოვს ხან უძრავად გაშოტილ ფეხებზე დასცქეროდა, ხანაც სახეზე დახედავდა, მძინარეც დახუჭულ თვალთა გამო რომ გადასხვაფერებოდა. იგი თქვენი ადრინდელი შეყვარებულის ფოტოსურათსა ჰგავს, — დაწერა სერბინოვმა, — მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ მას უყვარდით. შემდეგ სერბინოვმა, დაუმატა, მივლინებაში ყოფნისას კუჭის ტკივილი მაწუხებს და ნახევრადინტელიგენტის მსგავსად თანახმა ვარ, დავივიწყო, ჩევენგურში რისთვის ჩამოვედი, და აქ საცხოვრებლად დავრჩეო.

სანთელი ჩაქრა და სერბინოვი სკივრზე დაწვა, თან ეშინოდა, ვაითუ, მალე არ დამეძინოსო. მაგრამ უმალვე დაეძინა. ღამემ ისე გაირბინა, არც შეუმჩნევია, და ახალ დღეს ბედნიერი კაცივით შეეგება.

ამ დროისათვის ჩევენგურში მრავალი ნაკეთობა დაგროვდა — სერბინოვი ქალაქს მიუყვებოდა, ამ ნაკეთობებს ხედავდა, მაგრამ მათ გამოსადეგობას ვერ მიმხვდარიყო.

სერბინოვმა დილითვე შეამჩნია, რომ მაგიდაზე ფიჭვის ფიცრისგან გამოთლილი ტაფა იდო, ხოლო ჩახვრეტილ სახურავში თუნუქის დროშა იყო ჩამაგრებული, რომელიც ქარის ქროლას არ ემორჩილებოდა. თვით ქალაქი ისე იყო ვიწრო ალაგას შემჭიდროვებული, რომ სერბინოვმა გაიფიქრა, სათესი ფართობები ნამდვილად არის გაზრდილი საცხოვრებელი სახლების ხარჯზეო. ყველგან, სადამდეც თვალი მისწვდებოდა, ჩევენგურელები გულმოდგინედ შრომობდნენ: ზოგი ბალახში ჩამჯდარიყო, ზოგი ფარდულებსა და საჩიხებში იჯდა, და ყოველი მათგანი იმას აკეთებდა, რასაც საჭიროდ მიიჩნევდა — ორნი მაგიდისთვის ფიცრებს თლიდნენ, ერთი მასალის უქონლობის გამო სახურავიდან მოძრობილ თუნუქს ჭრიდა და ღუნავდა, ხოლო ოთხნი ღობეს ზურგით მიყრდნობოდნენ და ლაფნის ქალამნებს წნავდნენ იმათთვის, ვინც სახეტიალოდ წასვლას მოისურვებდა.

დვანოვმა სერბინოვზე ადრე გაიღვიძა და გოპნერის საძებნელად გაეშურა. ამხანაგები ერთმანეთს სამჭედლოში შეხვდნენ და სერბინოვმა ისინი იქ იპოვა. დვანოვს თავისი გამოგონების განხორციელება ეწადა, მზის სინათლის ელექტრობად გარდაქმნა უნდოდა. ამისათვის გოპნერმა ჩევენგურში ყველა სახლი დაიარა და სადაც კი სარკე ნახა, ჩარჩოდან ამოიღო, აგრეთვე ყოველგვარი, ცოტად თუ ბევრად სქელი მინა მოაგროვა. ამ მასალით დვანოვმა და გოპნერმა რთული პრიზმები და რეფლექტორები დაამზადეს, რათა მზის სინათლე მათში გავლისას შეცვლილიყო და ხელსაწყოს ბოლოში ელექტრობად გარდაქმნილიყო. ხელსაწყო უკვე ორი დღეა, მზად ჰქონდათ, მაგრამ მისგან ელექტრობა არ წარმოშობილა. გარეშენი დვანოვის გამოგონილი სინათლის მანქანის დასათვალიერებლად მოდიოდნენ და, თუმცა მანქანას მუშაობა არ შეეძლო, მაინც ის დაასკვნეს, რაც საჭიროდ მიიჩნიეს: მანქანა გამართულია და აუცილებლად გვჭირდება, რაკილა ორმა ამხანაგმა გამოიგონა და მის დასამზადებლად ჯაფა გასწიაო.

სამჭედლოს შორიახლოს ალიზით აშენებული კოშკი იდგა. ღამღამობით კოშკზე რომელიმე გარეშე ადიოდა და კოცონს ანთებდა, რათა ველზე მოხეტიალეებს დაენახათ, მათთვის საბინადრო სად იყო გამზადებული. მაგრამ ან ველები დაცარიელებულიყო, ანდა ღამეები გაუკაცრიელებულიყო, რადგან ალიზის კოშკის შუქს არავინ მოუზიდავს და მის სიახლოვეს არავინ გამოჩენილა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანამდე დვანოვი და გოპნერი მზის მექანიზმის გაუმჯობესებას ცდილობდნენ, სერბინოვი შუა ქალაქისკენ წავიდა. სახლებს შუა გავლა საერთოდ ჭირდა და ახლა ხომ იქაურობა მთლად გაუვალი გამხდარიყო — გარეშეებს დასამთავრებლად გარეთ გამოეტანათ თავიანთი ბოლო ნაკეთობანი: ხის ბორბლები ორი საჟენის სიგანისა, რკინის ღილები, თიხის ქანდაკებები, საყვარელ ამხანაგებს მიმსგავსებულნი, მათ შორის დვანოვის ქანდაკებაც. დაშლილი მოლეიძარა საათებისგან გაკეთებული თვითმბრუნავი მანქანა, თვითგამთბობი ღუმელი, რასაც მთელი ჩევენგურის საბან-ბალიშებიდან გამოყრილი ჰქტყლბუმბული დასჭირდა, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცის დროებით გათბობა შეეძლო, ვინც ყველაზე მეტად გაითოშებოდა. სერბინოვი, ამას გარდა, სხვა საგნებსაც ხედავდა, მაგრამ ეს საგნები კაცს რაში უნდა გამოსდგომოდა, ვერაფრით ვერ წარმოედგინა.

— აღმასრულებელი კომიტეტი სადა გაქვთ? — ჰკითხა სერბინოვმა ათორიაქებულ კარჩუკს.

— აღმასრულებელი კომიტეტი იყო, ახლა კი აღარ არის — უკვე ყველაფერი აღასრულა, — განუმარტა კარჩუკმა. — ჩეპურნის ჰკითხე — ხომ ხედავ, მე ამხანაგ პაშინცევს ხარის ძვლისგან მახვილს ვუკეთებ.

— თქვენი ქალაქი გაშლილ ალაგზეა გაშენებული და ასე შემჭიდროებული რატომღაა? — გამოკითხვა განაგრძო სერბინოვმა.

მაგრამ კარჩუკმა პასუხის გაცემას თავი აარიდა:

— ვისაც გინდა, იმას ჰკითხე. ხომ ხედავ, რომ ვმუშაობ. მაშასადამე, ახლა შენზე კი არა, პაშინცევზე ვფიქრობ, ვისთვისაც მახვილს ვაკეთებ.

სერბინოვმა ახლა სხვა კაცს ჰკითხა, ვინც ხრამიდან ტომრით თიხა ამოიტანა ქანდაკების გასაკეთებლად, ხოლო თავად მონღოლის სახე ჰქონდა.

— ჩვენ განუწყვეტლივ ერთმანეთის სიახლოვეს ვცხოვრობთ, — განუმარტა ჩეპურნიმ: თიხა მას მოჰქონდა.

მის შემხედვარე, აგრეთვე ორსაჟენიანი ხის ბორბლებისა და რკინის ღილების მნახველ სერბინოვს გაეცინა, თანაც თავადვე შერცხვა, რომ იცინოდა; ხოლო ჩეპურნი წინ იდგა და წყნარად უცქეროდა, მისი სიცილი არა სწყინდა.

— თქვენ დიდ ჯაფას ეწევით, — უთხრა სერბინოვს ჩეპურნიმ, რათა ღიმილი სახიდან მალე მოეცილებინა. — მაგრამ თქვენი ნაკეთობანი ვნახე და დავასკვენი, რომ ეს ნაკეთობანი ყოვლად უსარგებლოა.

ჩეპურნიმ სერბინოვი ფხიზლად, სერიოზულად შეათვალიერა, და იგი მასებისგან ჩამორჩენილ კაცად მიიჩნია.

— ჩვენ სარგებლიანობისთვის კი არა, ერთმანეთისათვის ვმუშაობთ.

სერბინოვი ახლა აღარ იცინოდა, მისი ნათქვამიდან ვერაფერს მიხვდა.

— ეგ რანაირად? — ჰკითხა ჩეპურნის.

— რანაირად და ამნაირად, — უპასუხა ჩეპურნიმ. — გეთაყვა, განა სხვაგვარად შესაძლებელია? გეტყობა, უპარტიო ხარ — შრომისგან სარგებლობა [illegible] მაგრამ ვერაფერს გახდა: საგნის გულისთვის გარჯა და

სხეულის გატანჯვა აუტანელია, — ჩეპურნიმ სერბინოვს დაღვრემილობა შეამჩნია და გაიღიმა, — მაგრამ შენ ნუ გეფიქრება: აქაურობას შეეჩვევი და შეგუება არ გაგიჭირდება.

სერბინოვმა გზა განაგრძო, ისე რომ აზრზე მაინც ვერ მოვიდა: სხვა ბევრი რამისა შეეძლო, ხოლო იმის შეცნობა, რაც თვალწინ ჰქონდა, არ ძალედვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადილად სერბინოვი მდელოზე მიიწვიეს და იქ გაუმასპინძლდნენ. ჯერ პირველი თავი კერძი — ბალახეულის წვნიანი შეახვრეპეს, მერე მეორე თავი — დაბეგვილი ბოსტნეულის ფაფა აჭამეს, და ამ საჭმელმა სერბინოვი სრულიად დაანაყრა. უკვე უნდოდა, ჩევენგურიდან მოსკოვისკენ წასულიყო, მაგრამ ჩეპურნიმ და დვანოვმა სთხოვეს, ხვალამდე დარჩიო: სახვალიოდ აპირებდნენ, მისთვის რაღაც სამახსოვრო გაემზადებინათ და საგზლადაც რამე გაეტანებინათ.

სერბინოვი ჩევენგურში დარჩა, რადგან გადაწყვიტა, გუბერნიის ქალაქში მოხსენების გასაკეთებლად აღარ შევალო და წერილობითი მოხსენება ფოსტით გაეგზავნა; ნასადილევს გუბკომში გასაგზავნი წერილი დაწერა, სადაც მოახსენებდა, ჩევენგურში აღმასკომი არ არის, აქ მრავალ სახალისო, მაგრამ უსარგებლო ნივთს აკეთებენ, სათესი ფართობები სულაც არ შემცირებულა, პირიქით, ხელახლა დაგეგმილი, შემჭიდროებული ქალაქის ხარჯზე კიდევაც გაზრდილია, მაგრამ აქ ისეთი არავინაა, ვინც დაჯდება და ამის თაობაზე ცნობებს შეადგენს, იმიტომ რომ ქალაქის მოსახლეობაში ერთი მოაზრებული საქმის მწარმოებელიც არ მოიძებნება. დასკვნის სახით სერბინოვმა წერილის დასასრულს მოათავსა მოსაზრება, ჩევენგური ალბათ ხელთ იგდო უცნობმა მცირერიცხოვანი ეროვნების ხალხმა, ანდა ამ მხარეში მოხეტიალე მაწანწალებმა დაიკავეს, ვისთვისაც ინფორმაციის ხელოვნება უცნობია: გარესამყაროსთან მათი ერთადერთი სიგნალის მოვალეობას ალიზით ნაშენი შუქურა ასრულებს, რომლის თავზე ღამღამობით ნამჯა ანდა სხვა რამე ხმელი ნივთიერება იწვის; მაწანწალათა შორის ერთი ინტელიგენტი და ერთიც კვალიფიცირებული ხელოსანია, მაგრამ ორივეს თავისი საქმიანობა მთლად გადავიწყებული აქვთ. სერბინოვი გუბერნიის ცენტრს სთავაზობდა, პრაქტიკული დასკვნა თქვენ თვითონ გააკეთეთო.

სერბინოვმა თავისი ნაწერი გადაიკითხა; მოხსენება ორაზროვანი, მტრული და ორივეს მიმართ — გუბერნიისა და ჩევენგურის მიმართაც — დამცინავი გამოვიდა. — ასე წერდა ყოველთვის იმათზე, ვისზედაც იმედს არ ამყარებდა, რომ ამხანაგებად გაიხდიდა. ჩევენგურში ჩამოვიდა თუ არა, უმალვე მიხვდა, რომ იქ მყოფებს ერთმანეთი მის მოსვლამდე უკვე დათითოებული ჰყავდათ და წილად აღარავინ ხვდებოდა, ამიტომაც სერბინოვს სამიჯნურებო მოვალეობის დავიწყება არ შეეძლო.

ჩეპურნი სადილის შემდეგ ისევ თიხას ეზიდებოდა და სერბინოვი მას შეეკითხა, ფოსტა სადა გაქვთ, ორი წერილი მაქვს გასაგზავნი და როგორ გავგზავნოო? ჩეპურნიმ ორივე წერილი გამოართვა და უთხრა:

— შენიანები მოგენატრა? კაცს გავგზავნით და წერილებს ფოსტამდე ფეხით მიიტანს. მე კიდევ პროკოფი მომენატრა და არ ვიცი, როგორ მოვძებნო.

კარჩუკმა პაშინცევისთვის მისაძღვნელი ძვლის მახვილის კეთება დაასრულა, მოხარული იქნებოდა, თუ ამის შემდეგაც არ მოიწყენდა, მაგრამ ვისზე

ეფიქრა და ვისთვის ემუშავა, აღარ იცოდა, არსებობისთვის საჭირო არავითარი იდეა აღარ გააჩნდა და მიწას ფრჩხილით ფხოჭნიდა.

— კარჩუკო, — უთხრა მას ჩეპურნიმ, — პაშინცევი უკვე [illegible]ცემი გვყავს და ახლა უამხანაგობის გამო დასევდიანებული ხარ — გვთაყვა, ამხანაგ სერბინოვის წერილები ფოსტის ვაგონში წაიღე. თან [illegible] გზადაგზა სერბინოვზე იფიქრებ...

კარჩუკმა სერბინოვი ნაღვლიანად შეათვალიერა.

— იქნებ ხვალ წავიდე, — თქვა მან, — ჯერჯერობით მაგის მიმართ გულში გრძნობა არა მაქვს... იქნებ ამ საღამოსაც დავიძრა, თუ ვიგრძენი, რომ ამ კაცმა მიმიზიდა.

საღამოთი ნიადაგი დაინესტა და ნისლი აედინა. ჩეპურნიმ ალიზის კოშკზე ჩალის ცეცხლი წაუკიდა, რათა დაკარგულ პროშკას შორიდანვე შეემჩნია. სერბინოვი ცარიელ სახლში იწვა და რაღაც საფენი ჰქონდა წახურული. უნდოდა, პროვინციის მყუდროებაში ძილს წყნარად მისცემოდა; გონებაში წარმოესახებოდა, რომ მოსკოვიდან არა მარტო სივრცით, არამედ დროითაც იყო გამიჯნული, და საფენის ქვეშ იბლუნძებოდა, საკუთარ ტან-ფეხს, საკუთარ მკერდს სხვა ასევე შესაბრალის ადამიანად შეიგრძნობდა, ჰოდა, ამ უცხო ადამიანს ათბობდა და ეალერსებოდა.

კარჩუკი, როგორც სავანის ბინადარი, ანდა ძმობის წევრი, უკითხავად შემოვიდა.

— მივდივარ, — უთხრა მან სერბინოვს, — შენი წერილები მომეცი

სერბინოვმა წერილები მისცა და მერე სთხოვა:

— ცოტა ხანს ჩემთან ჩამოჯექი. მთელი ღამე მაინც ჩემი გულისთვის სიარულში უნდა გაატარო.

— არა, — ჩამოჯდომა არ ისურვა კარჩუკმა, — შენზე ჩემთვის მარტო ვიფიქრებ.

იმის შიშით, წერილები არ დავკარგოო, თითო ხელში თითო წერილი დაიჭირა, მაგრად ჩაბღუჯა და გზას გაუდგა.

დედამიწაზე ჩამოწოლილი ნისლს ზემოთ კრიალა ცა იყო აღმართული და იქ მთვარე ამოცურდა; მისი კრძალული შუქი ნისლის ნოტიო წყვდიადში უძლურდებოდა და მიწას, როგორც წყალქვეშ მოქცეულ ფსკერს, ისე ანათებდა. ჩევენგურში თითო-ოროლა კაციღა მიმოდიოდა, ხოლო ალიზის კოშკზე ვიღაც ამღეროდა, რათა მისი ხმა ველზე გაეგონათ, რადგან მარტო კოცონის შუქის იმედი არა ჰქონდა. სერბინოვმა სახეზე ხელები აიფარა, რომ ველარაფერი დაენახა და დაეძინებოდა, მაგრამ ხელებქვეშ თვალები გაახილა და ძილი უფრო გაუკრთა. შორს ვიღაცამ გარმონი აამღერა და მხიარული, საბრძოლო მუსიკა წამოიწყო, „იაბლოჩკას" რომ წააგავდა; ოღონდ მუსიკოსი სერბინოვისთვის უცნობ რომელიღაც ბოლშევიკურ ფოქსტროტს უფრო გაწაფულად და შთამბეჭდავად უკრავდა. მუსიკას საზიდრის ღრაჭუნიც ახლდევდა. მაშასადამე, ვიღაც ჩევენგურისკენ მოემართებოდა; მოშორებით ორი ცხენი ახვიხვინდა: ჩევენგურში პროლეტარული ძალა ჰიხვინებდა, ხოლო ჩევენგურისკენ მომავალი ცხენი ველიდან ეპასუხებოდა.

სიმონი გარეთ გავიდა. ალიზის კოშკზე ნამჯის ბღუჯა და ღობის ხმელი ნამსხვრევების კონა საზეიმოდ აბრიალდა, ხოლო საიმედო ხელი გარმონის ხმას კი არ ანელებდა, უფრო აძლიერებდა და მოსახლეობას ერთ ადგილას შემჭიდროებული ცხოვრებისკენ მოუწოდებდა.

ფაეტონში პროკოფი იჯდა; მასთან ერთად მოდიოდა შიშველი მემუსიკე, კარგა ხნის წინ ჩევენგურიდან ფეხით რომ წავიდა ცოლის მოსაყვანად. ფაეტონში გაძვალტყავებული ცხენი იყო შებმული, ჩევენგურისკენ პიხვინით რომ გამორბოდა. ფაეტონს უკან ათიოდე თუ უფრო მეტი ფეხშიშველი ქალი მისდევდა, ისინი ორ რიგად იყვნენ დაწყობილნი და წინ კლავდიუშა მოუძღოდათ.

ჩევენგურელები თავიანთ მომავალ ცოლებს მდუმარედ შეხვდნენ. ჩევენგურის შუქის ქვეშ მდგართ ნაბიჯიც არ გადაუდგამთ მათ შესაგებებლად და ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ მისასალმებლად, იმიტომ რომ მოსულნი თუმცა ადამიანები და ამხანაგები იყვნენ, იმავდროულად ქალებიც გახლდნენ. კოპიონკინი მოყვანილი ქალების მიმართ მორცხვობას და მოწიწებას გრძნობდა, ამას გარდა, სულ როზა ლუქსემბურგი ახსენდებოდა და სინდისი ნებას არ აძლევდა, ქალებისთვის თვალი შეევლო, ამიტომ იქაურობას მოსცილდა და აჭიხვინებული პროლეტარული ძალის დასაშოშმინებლად გაემართა.

ფაეტონი შეჩერდა. გარეშეებმა ცხენები უმალ გამოხსნეს და ეკიპაჟი ჩევენგურის შუაგულისკენ ხელით გააგორეს.

პროკოფიმ მემუსიკეს გარმონი გააჩერებინა და მწკრივად მომავალ ქალებს ანიშნა, მსვლელობა შეეჩერებინათ.

— კომუნიზმის მოზიარე ამხანაგებო! — მიმართა პროკოფიმ მდუმარედ მდგარ მცირერიცხოვან ხალხს. — თქვენი ღონისძიება შევასრულე — თქვენს წინაშე დგანან თქვენი მომავალი მეუღლენი, რომელნიც ჩევენგურში მარშით არიან მოყვანილნი, ხოლო ჟეევისთვის საგანგებოდ მათხოვარი ქალი შემოვიტყუე...

— რანაირად შემოიტყუე? — ჰკითხა ჟეევმა.

— უნებლიეთ, — განუმარტა პროკოფიმ. — მუსიკოსო, შენი ინსტრუმენტით მეუღლეებისკენ შეტრიალდი და მათ პატივსაცემად ტუში დაუკარი, რათა ჩევენგურში მწუხარებას არ მიეცნენ და ბოლშევიკები უყვარდეთ.

მუსიკოსმა ტუში დაუკრა.

— ჩინებულია, — მოიწონა პროკოფიმ. — კლავდიუშა, ქალები მოსასვენებლად ბინებში ჩამოარიგე. ხვალ მათ დათვალიერებას და ქალაქის ორგანიზაციის წინაშე მარშით საზეიმო მსვლელობას დავნიშნავთ: კოცონის შუქზე მათი სახეები გარკვევით არ ჩანს.

კლავდიუშამ მთვლემარე ქალები ცარიელი ქალაქის წიაღისკენ წაიყვანა.

ჩეპურნიმ პროკოფის ხელი მოხვია, გულში ჩაიკრა და უთხრა:

— პროშა, ჩვენ ქალები ახლა სასწრაფოდ არა გვჭირდება, მთავარია, შენ რომ დაბრუნდი: თუ გინდა, ხვალ იმას გაგიკეთებ და გაჩუქებ, რასაც მოისურვებ.

— კლავდიუშა მაჩუქე!

— პროშა, კლავდიუშას კი გაჩუქებდი, მაგრამ ის თავად შენ უკვე იჩუქე. გეთაყვა, რამე კიდევ მოგცემ!

— მოფიქრება მაცალე, — ვადა გაიხანგრძლივა პროკოფიმ, — ახლა რატომღაც მოთხოვნილებასა და მადას ვერა ვგრძნობ... საშა, გამარჯობა! — მიესალმა იგი დვანოვს.

— გაგიმარჯოს, პროშა! — სალმითვე უპასუხა დვანოვმა. — სადმე სხვა ხალხი თუ ნახე? რითი არსებობენ, რა ფუძლდგმულებთ?

— იქ ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოთმინებით სულდგმულობენ, — ყველას დასამშვიდებლად წარმოთქვა პროკოფიმ, — იმათ რევოლუცია არ

ასაზრდოებთ, კონტრრევოლუცია ჩამოუყალიბდათ. და ველზე უკვე მტრული გრიგალი ბობოქრობს, ღირსეულობა მარტო ჩვენ გვაქვს შენარჩუნებული...

— ზედმეტს ლაპარაკობ, ამხანაგო, — უთხრა მას სერბინოვმა, —მე იქიდან ვარ მოსული, მაგრამ რევოლუციონერი ვარ.

— ჰოდა, ამიტომაც იყავი იქ ცუდად, — დაასკვნა პროკოფიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბინოვმა პასუხად ვერაფერი უთხრა.

კოშკზე კოცონი ჩაქრა და იმ ღამით ალარავის აუნთია.

— პროშა, მითხარი, გეთაყვა ,მუსიკა ვინ გაჩუქა? — ჰკითხა პროკოფის ჩეპურნიმ სიბნელეში.

— ერთმა ბურჟუამ, გზაზე რომ შემომეყარა. იმან მუსიკა მომცა, ხოლო მე იმას არსებობა გავუიაფე: ჩევენგურში ხომ ზარის გარდა არაფერი გვაქვს, რაც სიამოვნებას მოგვანიჭებს, ხოლო ზარი რელიგიაა.

— პროშა, ახლა აქ სიამოვნება ზარისა და ყოველგვარი საშუალების გარეშე გაგვიჩნია.

დაქანცული პროკოფი კოშკის ქვედა სართულში შევიდა და დასასვენებლად დაწვა. ჩეპურნიც გვერდით მოუწვა.

— უფრო ხშირად ისუნთქე, ჰაერი გაათბე, — სთხოვა მას პროკოფიმ. — ტიალ ალაგებში სიარულის გამო, ცოტა არ იყოს, შეციებული ვარ.

ჩეპურნი წამოჯდა და დიდხანს გახშირებულად სუნთქავდა, მერე მაზარა გაიძრო, პროკოფის დაახურა, თავადაც ზედ მიეკრა და ამქვეყნიურობას განრიდებულმა თავი რულს მისცა.

დილას დარიანი დღე დადგა; მუსიკოსი ყველაზე ადრე ადგა და გარმონზე წინასწარი მარში დაუკრა, რამაც ყველა დასვენებული გარეშე აიღელვა.

ცოლები გამზადებულები ისხდნენ, ტან-ფეხი იმით შეემოსათ, რაც კლავდიუშას ჩევენგურის საკუჭნაოებში მოენახა.

გარეშენი მოგვიანებით მოვიდნენ და ისე დარცხვენილნი იყვნენ, ვერც კი უცქეროდნენ იმათ, ვისი სიყვარულიც განწესებული ჰქონდათ. იქვე იყვნენ აგრეთვე დვანოვი, გოპნერი, სერბინოვი და ჩევენგურის პირველი დამპყრობნი. სერბინოვი იმისთვის მოვიდა, რომ ეთხოვა, გასამგზავრებლად ეკიპაჟი გამიმზადეთო, მაგრამ კოპიონკინს პროლეტარული ძალა ფაეტონში შესაბმელად არ ეთმობოდა. „მაზარა შემიძლია მოგცე, — უთხრა მან სერბინოვს, — ერთი დღით საკუთარ თავს დავითმობ, რაც გინდა, ის წაიღე, მაგრამ ცხენს ნუ მთხოვ, ნუ გამაჯავრებ — გერმანიაში რილათი წავიდე?" მაშინ სერბინოვმა ჩეპურნის მეორე ცხენი მოსთხოვა, რომელმაც გუშინ პროკოფი მოიყვანა, მაგრამ ჩეპურნიმ მისი თხოვნა უარყო, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა: აქედან წასვლა რად გინდა, აქაურობას იქნებ მიეჩვიო, რადგანაც ჩევენგურში კომუნიზმია და, სულ ერთია, მალე ხალხი მთლიანად აქ ჩამოვა: იმათთან წასვლა რა საჭიროა, როცა თვითონაც აქეთ მოდიანო?

სერბინოვი ჩეპურნის მოსცილდა. „საით მივისწრაფი? — ფიქრობდა იგი. — ჩემი სხეულის მხურვალე ნაწილი, რაც სოფია ალექსანდროვნას ვუწილადე, მის არსებაში უკვე გადაიხარშა და ყოველგვარი უკვალოდ გამქრალი საზრდოსავით განქარდა..."

ჩეპურნიმ სიტყვის ხმამაღლა წარმოთქმა დაიწყო, და სერბინოვი მის სიახლოვეს დარჩა, რათა გაეგონა, თუ რამ მისთვის უცხო იყო.

—პროკოფი ნიადაგ იმაზე ზრუნავს, რომ პროლეტარიატს ტვირთი შეუმსუბუქოს — წამოიწყო ხალხის შუაგულში მდგარმა ჩეპურნიმ. — აი, ამჟა-

მადაც ქალები მოგვგვარა ზომიერი რაოდენობით, თუმცაღა თითქმის მცირე დოზით.., ახლა კი ქალთა შემადგენლობას მივმართავ, რათა მოლოდინის შემდეგ მათი მოსვლით გამოწვეული სიხარულის გამომხატველი სიტყვ[illegible]-ლერო! აბა, ვინმე თუ მეტყვის, გეთაყვა, ბუნებრივ პირობებს რატომ [illegible]-ვანებით? იმიტომ რომ მისით ვსაზრდოობთ. ქალები [illegible] მოვიხმეთ? იმიტომ რომ ბუნების საზრდოობის გამო ვეთაყვან[illegible] ქა-ლებს, როგორც საგანგებო მოწყობილობის მქონე ამხანაგებს; დაე, მათ ჩევენთან ერთად იცხოვრონ და მშვიდობიანად ისაზრდოონ, ბედნიერებას ჩევენგურელი ამხანაგ-ადამიანების მეშვეობით ეზიარონ...

ქალები უმალ შეშინდნენ: ადრინდელი მამაკაცები მათთან საქმეს ერთბაშად ბლომად იწყებდნენ, ესენი კი ითმენდნენ, თავდაპირველად სიტყვას წარმოთქვამდნენ. ამიტომ ქალებმა მამაკაცის პალტოები და მაზარები, რითაც ისინი კლავდიუშამ შემოსა, ტანზე შემოიხვიეს, საყელოები ცხვირამდე წამოიწიეს და პირი შიგ ჩამალეს. მათ სიყვარულისა არ ეშინოდათ, რადგან სიყვარულს არ განიცდიდნენ. ეშინოდათ წამება-წვალებისა, თავიანთი სხეულის თითქმის მოსპობა-გაჩანაგებისა ამ უგრძნობელი, მომთმენი კაცების მიერ, ჯარისკაცური მაზარებით რომ იყვნენ შემოსილნი და ჭირ-ვარამიანი ცხოვრებისგან სახეები დაღარულ-დაშაშრული ჰქონდათ. ამ ქალებს ახალგაზრდობა, ანდა სხვა რაიმე აშკარად გამოხატული ასაკი არ გააჩნდათ, თავიანთ სხეულს, ასაკისა და სიმწიფის ნიშანს საზრდოზე ცვლიდნენ და, რადგანაც საზრდოს მოპოვებისას მუდამ ზარალობდნენ, სხეული სიკვდილამდე ბევრად უფრო ადრე შემოეხარჯებოდათ ხოლმე; ამიტომაც ერთდროულად გოგონებსაც ჰგავდნენ და დედაბრებსაც, დედებსაც და უმცროს, დამჭლევებულ დებსაც; ქმრების ალერსი მათთვის მტკივნეული და შიშისმომგვრელი იქნებოდა. პროკოფი მგზავრობისას მათ ფაეტონში ჩაისვამდა და შესამოწმებლად ეხვეოდა, მაგრამ ისინი მისი სიყვარულის გამო ისე ყვიროდნენ, როგორც თავიანთი სნეულებისგან აყვირდებოდნენ.

ახლა ქალები ჩევენგურელთა თვალწინ ისხდნენ, ტანსაცმლის ქვეშ ხელები ჰქონდათ შეყოფილი და ძვლებზე შემოფლასული კანის ნაოჭებს ისწორებდნენ. ამ მრევლში საკმაოდ მიმზიდველი და ფუმფულა მარტო კლავდიუშა იყო, მაგრამ მის მიმართ უკვე პროკოფი იყო გულმოდრეკილი.

იაკოვ ტიტიჩი ქალებს ყველაზე უფრო ფიქრიანად ათვალიერებდა: ერთი მათგანი, ძველი მაზარა რომ ეცვა და სიცივისგან თრთოდა, სხვებზე მეტად სევდიანი ეჩვენა; ჯერ კიდევ მაშინ, როცა წინ ხანგრძლივი სიცოცხლე ელო, რამდენჯერ უფიქრია, ნახევარ სიცოცხლეს არ დავიშურებდი, ოღონდაც უცხოთა და გარეშეთა შორის ნამდვილი სისხლითა და ხორცით ნათესავი მეპოვნაო. თუმცა გარეშენი ყოველგნით მისი ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ერთი მუცლიდან წარმომავლობით კი არა, მხოლოდ შეჭირვებულობით და მწუხარებით, ცხოვრებისეული დარდ-ვარამით უკავშირდებოდნენ. ახლა იაკოვ ტიტიჩს ნახევარი სიცოცხლე კი არა, უკანასკნელი ნამცეცილა შემორჩა, მაგრამ ნათესავისთვის ჩევენგურულ თავისუფლებასა და საზრდოს მსხვერპლად გაიღებდა, მისი გულისთვის კვლავ ხეტიალისა და გასაჭირის უცნობ გზას გაუყვებოდა.

იაკოვ ტიტიჩი ამორჩეულ ქალთან მივიდა, სახეზე ხელი მოუთათუნა და გულში გაივლო, ამ ქალს ჩემნაირი გარეგნობა აქვსო.

— ვისიანი ხარ? — ჰკითხა მან ქალს. — ამქვეყნად რა გასულდგმულებს?

ქალმა თავი ჩაჰკიდა და პირისახე გვერდზე მიაბრუნა; იაკოვ ტიტიჩმა მი-

სი კისერი და კეფის ქვემოთ ღრმა ფოსო დაინახა, სადაც მიუსაფრობისა და მოუვლელობისგან ჰუჭყი ჩაგროვილიყო; მერე ქალმა თავი ასწია და ახლა ისე შესაბრალისად ეჭირა, თითქოს მჭკნარ ღეროზე მიბმული ყვავილივით.

— ასეთი უბადრუკი ვისიანი ხარ?

— არავისიანიც არა ვარ, — უპასუხა ქალმა; მოილუშა იაკოვ ტიტი-ჩისგან ფიქრით განრიდებულმა თითებს წვალება დაუწყო.

— წამო, შინ გამომყევი, კისრიდან ჭუჭყსა და ფუფხს გაგაყრევინებ, — უთხრა ქალს იაკოვ ტიტიჩმა.

— არ მინდა, — უარი უთხრა ქალმა, — ცოტა რომ მომეცი და მაშინ გა-მოგყვები.

აქეთ როცა მიდიოდნენ, პროკოფიმ აღუთქვა, ჩევენგურში ქმარი გეყო-ლებაო, მაგრამ, მეგობარი ქალების მსგავსად, ცოლქმრობისა იმანაც ბევრი არაფერი უწყოდა, მარტო იმას ხვდებოდა, რომ მისი სხეული მრავალი კაცია ნაცვლად ერთს უნდა გაეწვამებინა, იაკოვ ტიტიჩს საჩუქარი წინასწარ, გაწა-მებამდე, ამიტომ სთხოვა; მერე ვინლა რას აჩუქებდა, აჩუქებდნენ კი არა, გა-აგდებდნენ. იგი დიდ მაზარაში კიდევ უფრო მოიკუნტა, რათა იქ შეფარებულ შიშველ სხეულს გაფრთხილებოდა, რადგან ეს იყო მთელი მისი ავლა-დიდებაც, არსებობის სახსარიც და ერთადერთი აუხდენელი ოცნებაც, — ამ ქალისთვის კანს გარეთ უცხო სამყარო იწყებოდა, საიდანაც ვერაფერია შეძენა ვერ შეძ-ლო, სამოსელიც კი ვერ მოიპოვა სხეულის გასათბობად და შესანარჩუნებლად, იმ სხეულისა, რაც მისი საზრდოობისა და სხვათა სიამის წყაროს წარმოადგენ-და.

— პროშა, აბა, ეს რანაირი ცოლები არიან? — ეკითხებოდა პროკოფის შეეჭვებული ჩეპურნი, — ეგენი ხომ რვათვიან ნაბუშრებს ჰგვანან, მთლად დაფშუტულან და გალეულან.

— მაგის გამო რას შეფიქრიანებულხარ? — შეედავა პროკოფი. — დაე, მეცხრე თვედ კომუნიზმი ექცეთ.

— მართალია! — შესძახა გაბედნიერებულმა ჩეპურნიმ. — ესენი ხომ ჩევენგურში, როგორც თბილ მუცელში, ისე იქნებიან. მალე დასრულდებიან და უკვე მთლად დასრულებულნი დაიბადებიან.

— მაშ რა! მით უმეტეს, რომ გარეშე პროლეტარს ნუგბარ-ტკბილეულო-ბა არ ესაჭიროება, იმასაც იკმარებს, ამქვეყნიურ ტანჯვა-წამებას თუ დაეღწე-ვა! მეტი რაღა გინდა: რაც არ უნდა იყოს, ქალები არიან, სიხალვათის მქონე-ნი, ვისაც ბევრი რამის დატევა შეუძლია.

— ცოლები ასეთნი არ არიან, — თქვა დვანოვმა. — ასეთი შეიძლება, დე-და იყოს, თუკი ვინმეს ჰყავს.

— ანდა პაწაწკინტელა დები, — დაასკვნა პაშინცევმაც. — მე ერთი ასე-თი ყანაშეპარული დაიკო მყავდა, უხეიროდ ჭამდა და ასე, ფაფისით მოკვდა.

ჩეპურნი ყველას ესმენდა და, ჩვეულებისამებრ, გადაწყვეტილების გა-მოტანას აპირებდა, მაგრამ ყოყმანობდა, რადგან თავისი ჭკუამცირეობა ახ-სოვდა.

— ქმრები უფრო ბევრი გვყავს თუ ობლები? — იკითხა მან ისე, რომ ამის თაობაზე არც დაფიქრებულა, — მოდი, ასე ჩამოვაყალიბებ: თავდაპირვე-ლად ამ საბრალო ქალებს ყველა ამხანაგმა თითოჯერ აკოცოს, მაშინ ცხადი შეიქნება, ქალებს რა უნდა დავაკისროთ. ამხანაგო მუსიკოსო, გეთაყვა, მუ-სიკა პიუსიას გადაეცი, დაე, რამე სანოტო მუსიკა დაუკრას.

პიუსიამ მარში ააგრიალა, რაშიაც პოლკის სვლა იგრძნობოდა: მარტოობის გამომხატველი სიმღერები და ვალსები არ უყვარდა და ამგვარი რამეების დაკვრა ეთაკილებოდა.

დვანოვს წილად ხვდა, ყველა ქალისთვის პირველს უნდა ეკოცნა: კოცნის დროს პირს აღებდა და ყოველი ქალის ტუჩებს თავის ტუჩებში [illegible]ზით მოიქცევდა ხოლმე, ხოლო მარცხენა ხელს მომდევნო ქალს [illegible] ხვევდა, რათა იგი მაგრად მდგარიყო და გვერდზე არ გადახრილიყო, სანამ დვანოვი მიუბრუნდებოდა.

ყველა მომავალი ცოლისთვის კოცნა სერბინოვსაც მოუწია, მაგრამ რიგი ყველაზე ბოლოს ერგო, თუმცაღა ამითაც ნაამები დარჩა: სიმონს მუდამ ამშვენებდა სხვა, თუნდაც სრულიად უცნობ ადამიანთან ერთად ყოფნა, ხოლო კოცნის შემდეგ რამდენიმე დღეს კმაყოფილებით აღვსილი ატარებდა. ახლა გამგზავრება აღარც ისე ძალიან ეწადა, მუსიკალური მარშის ხმაზე ამოძრავებულ ადამიანთა შორის უჩინრად მყოფი, ხელებს სიამოვნებით იფშვნეტდა და იღიმებოდა.

— აბა, რას იტყვი, ამხანაგო დვანოვო? — ტუჩების წმენდით ეკითხებოდა საშას ქალების მომავალი ბედის შეტყობის მაურველი ჩეპურნი. — ესენი ცოლებად გამოდგებიან თუ დედებად? პიუსია, მუსიკა გააჩერე, საუბრისთვის სიწყნარე გვესაჭიროება.

დვანოვმა ეს თავადაც არ იცოდა, დედა თვალითაც არ ენახა, ხოლო ცოლქმრობის ავკარგიანობა არასოდეს განეცადა. გაიხსენა, წელან როცა ჰკოცნიდა და ხელსა ხვევდა, ქალებს როგორი ხმელი, მობერებული სხეული ჰქონდათ, ხოლო ერთი შტოსავით სუსტი ქალი დვანოვს თვითონ ეკვრებოდა, თანაც თავს ხრიდა და ამგვარ რამეს შეგუებულ სევდიან პირისახეს მალავდა; მის სიახლოვეს დვანოვი მოგონებებმა ერთხანს შეაჩერა — ქალს რძისა და ოფლიანი პერანგის სუნი უდიოდა; დვანოვმა მკერდს ზემოთ, პერანგის კიდეზე ერთხელაც აკოცა, როგორც პატარაობისას მიცვალებული მამის სხეულსა და ოფლიან პერანგს ჰკოცნიდა.

— სჯობია, დედები იყვნენ, — თქვა მან.

— აბა, ობლები ვინცა ხართ, ახლა დედები ამოირჩიეთ! — გამოაცხადა ჩეპურნიმ.

ყველანი ობლები აღმოჩნდენ, ქალები კი მხოლოდ ათნი იყვნენ; ქალებისკენ არც ერთი არ და[illegible]ულა, რათა დედა პირველს დაესაკუთრებინა; ყოველ მათგანს ქალი იმ ამხანაგისთვის ემეტებოდა, ვისაც დედა უფრო მეტად ესაჭიროებოდა. მაშინ დვანოვი მიხვდა, რაც იყო საჭირო: ქალებიც ხომ ობლები იყვნენ, ჰოდა, უმჯობესი იქნებოდა, თუ ჩევენგურელთაგან ძმას ანდა მშობელს თვითონ ამოირჩევდნენ და ასე დანათესავდებოდნენ.

ქალებმა ყველაზე [illegible]ერი გარეშენი მამებად უმალ ამოირჩიეს, ის კი არა, იაკოვ ტიტიჩთან ცხოვრება ერთბაშად ორმა ქალმა ისურვა, და მან ორივენი წაიყვანა. ჩევენგურელთა მამობას ანდა ძმობას არც ერთი ქალი არ ირწმუნებდა, ამიტომ ცდილობდნენ, ისეთი ქმარი ამოერჩიათ, ვისაც თბილად ძილის გარდა არაფერი ენდომებოდა. ქალებს შორის მხოლოდ ერთი შავგვრემანი თითქმის გოგონა გამო[illegible], ვინც ამგვარი რამ არ ისურვა; იგი სერბინოვთან მივიდა.

— რა გინდა? — ჰკითხა შეშფოთებულმა სერბინოვმა.

— მინდა, რომ თბილი კუნძული გავაჩინო. ჰოდა, როცა გაჩნდება, არ ვიცი, რა დაემართება!

— მე ეგ არ შემიძლია, აქედან სამუდამოდ უნდა წავიდე. შეყვარებულმა ქალმა სერბინოვს თავი გაანება და კირილისაკენ წავიდა.

— ქალად არა გიშავს რა, — უთხრა მას კირეიმ. — [illegible]ურვებ, იმას გაჩუქებ! ხოლო როცა თბილ კუნძულს გააჩენ, სიც[illegible]ებ.

პროკოფიმ კლავდიუშას მკლავში ხელი გაუყარა.

— აბა, მოქალაქე კლობზდიუშა, რას მეტყვი, ჩვენ რაღა ვქნათ?

— პროშა, რა უნდა ვქნათ, ჩვენ შეგნებული მოქმედება გვმართებს...

— ეგ ხომ ასეა, — დაუდასტურა პროკოფიმ, მერე თიხის უფერული ნაგლეჯი აიღო და სადღაც ცარიელი ალაგისკენ გაისროლა. — გულში სულ ერთი ფიქრი მტრიალებს — უკვე დრო არის, ოჯახი რომ მოვაწყოთ, თუ ჯერ კომუნიზმი უნდა მოვისტუმროთ?.. ფონდი რამდენი მოიგროვე?

— რამდენს მოვაგროვებდი? ახლა რაც წავიღე გასაყიდად და მოგება დამრჩა... პროშა, ფასი მარტო ორ ქურქსა და ვერცხლეულში მომცეს, დანარჩენი კი მუქთად გადავყარე.

— ჰო, კარგი; ამ საღამოს აბგარიში ჩამაბარებ, თუმცა გენდობი, მაგრამ გული მაინც მეთანაღრება. ფულს ისევ დეიდაშენთან ინახავ?

— მაშ სად შევინახავ, პროშა? იქ საიმედო ადგილია. გუბერნიაში როდის უნდა წამიყვანო? მპირდებოდი, ცენტრს გაჩვენებო, მაგრამ ისევ ამ მდაბიოებში მომიყვანე. აქ რა უნდა ვაკეთო, მარტო ვარ ამ მათხოვრებში, ახალი კაბა ვერავისთვის მიჩვენებია! ან მე თვითონ ვისთან უნდა გამოვჩნდე? განა ეს მაზრის საზოგადოებაა? ეს ხომ მაწანწალების ბანაკია, ამათთან ყოფნით რას მტანჯავ?

პროკოფიმ ამოიოხრა: რა უნდა ელაპარაკო ისეთ ადამიანს, ვისაც ჭკუა ქალურ მშვენიერებაზე ნაკლები აქვსო?

— კლავდიუშა, წადი, ახალმოსულ ქალებს მიხედე. მე კი რამეს მოვიფიქრებ: ჭკუა ერთი კაცისაა კარგი, სხვისი ჭკუის დამატება არ სჭირდება.

ბოლშევიკები და გარეშენი უკვე დაიშალნენ, თავშეყრის ადგილიდან მიმოიფანტნენ და კვლავ თავიანთ იდეად დასახული ამხანაგებისათვის განკუთვნილ ნაკეთობებზე მუშაობას მიუბრუნდნენ. ამჯერად მარტო კოპიონკინი არ შესდგომია კვლავინდებურ მუშაობას, ცხენი გაასუფთავა, ცოტა ხანს კუშტად უალერსა, მერე იარაღი ხელშეუხებელ მარაგად შემონახული ბატის ქონით გაპოხა და ამის შემდეგ პაშინცევის მოსაძებნად გაემართა.

— მაქსიმ სტეპანიჩ, — მიმართა კოპიონკინმა ქვების ხეხვით გართულ პაშინცევს, — აქ რას უზიხარ და ძალ-ღონეს ტყუილუბრალოდ რატომ ხარჯავ: ხომ ნახე, დედაკაცები რომ მოვიდნენ. ამათზე ადრე სემიონ სერბინოვს ჩვენგურში საკი და ვოიაჟი მოჰქონდა. არხეინად რომ ხარ და ყველაფერი დაგვიწყებია, არ იცი, ბურჟუაზია უეჭველად რომ შემოგვიტევს? ბომბები სადა გაქვს, ამხანაგო პაშინცევო? რა იქნა შენი რევოლუცია და მისი შემომნახველი ნაკრძალი?

პაშინცევმა დაზიანებული თვალის კიდეში მიმხმარი ჭუჭყი ფრჩხილით ამოიჩიჩქნა, წკიპურტი გაჰკრა და ლობისკენ გაისროლა.

— ამას მეც ვგრძნობ, სტეპან, და შენ მოგესალმები! ავტომატაა, ქვის ხეხვაზე ძალ-ღონეს რომ ვხარჯავ: სხვაგვარად სევდა გულს მიღრღნის და ძალ=

ხვენებში ცრემლად ვიღვრები!... ეს პიუსია მაინც სად დაიკარგა, მუსიკა ლურსმანზე რას ჩამოუკიდია!

პიუსია ნაეზოვარ-ნაბაღრების უკანა მხარეს მყაუნას აგროვებდა.

— მუსიკის ხმა ისევ მოგენატრა? — ჰკითხა მან პაშინცევს ფორდულის უკანიდან. — გმირობის გარეშე მოიწყინე?

— პიუსია, მე და კოპიონკინს „იაბლოჩკა“ დაგვიკარი, იქნებ [illegible] მოგვიყვანო!

— მაცადეთ, ახლავე დაგიკრავთ.

პიუსიამ ქრომატული ინსტრუმენტი მოიტანა, პროფესიონალი მსახიობის სერიოზული სახე მიიღო და ორი ამხანაგისთვის „იაბლოჩკა“ დაუკრა. აღელვებული კოპიონკინი და პაშინცევი ტიროდნენ, ხოლო პიუსია მათ წინაშე მდუმარედ მუშაობდა — ახლა იგი უბრალოდ კი არ არსებობდა, ჯაფას ეწეოდა.

— გეყოფა, გული ნუ ამიჩუყე! — სთხოვა მას პაშინცევმა. — ახლა სევდიანი რამ დაუკარი.

— კარგი, დავუკრავ, — დაეთანხმა პიუსია და გაბმული ჰანგი წამოიწყო.

პაშინცევს ცრემლები შეაშრა; მან ნაღვლიან ჰანგს ყური მიუგდო და მალე თავადაც სიმღერა ააყოლა:

თანამებრძოლო ჩემო,
მოდი სიმღერა ვჰექთოთ,
დადგა სიკვდილის ჟამი,
ძირს არ დახარო თავი...
ბრძოლაში გასწი მედგრად,
გახსოვდეს მშობლის ოქმული:
ჯერ მტერი დააცხრე,
მერე დალიე სული...

— მორჩი ახლა ჩხავილს, — მომღერალი დაარტყა უქმად მჯდარმა კოპიონკინმა. — დედაკაცი წილად არ გერგო და სიმღერით გინდა ალყაში მოიქციო. აგერ ერთი კუდიანი დედაბერი აქეთ მოიჩქარის.

მათთან კირეის მომავალი ცოლი, პაჭანიგის ასულივით შავგვრემანი ქალი მოვიდა.

— რა გინდა? — ჰკითხა მას კოპიონკინმა.

— ისე მოვედი, მოსმენა მინდა, მუსიკისაგან გული წუხილს მიწყებს.

— ფუი, შე უწმინდურო! — თქვა კოპიონკინმა და წამოდგა, რათა წასულიყო.

ამ დროს მეუღლის წასაყვანად მომავალი კირეიც გამოჩნდა.

— გრუშა, სად გარბიხარ? მე ფეტვი მოგიგროვე; წამოდი, დავნაყოთ და ამ საღამოს ბლინები ვჭამოთ, რატომღაც ცომეული მომენატრა.

კირეიმ ქალს ხელი მოჰკიდა და ორივენი იმ საკუჭნაოსკენ წავიდნენ, სადაც ადრე კირეი ღამეს ხანდახან ათევდა, ახლა კი გრუშასთვის და თავისთვის ისეთი საბინადრო მოაწყო, დიდხანს საცხოვრებლად რომ გამოდგებოდა.

კოპიონკინი კი ჩევენგურს გაუყვა და ქალაქიდან გასასვლელად გაემართა — უნდოდა, გაშლილი ველისკენ გაეხედა, სადაც, რა ხანია, ფეხი აღარ დაედგა, რადგან ჩევენგურის სივიწროვესა და ფაციფუცს თავისდა შეუმჩნევლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეჩვია. ერთ მიყრუებულ ბეღელში წყნარად მყოფმა პროლეტარულმა ძალამ კოპიონკინის ფეხის ხმა გაიგონა, პირი დააღო და მეგობრულად, ნაღვლიანად შეჭიხვინა, კოპიონკინმა ცხენიც თან გაიყოლა: პროლეტარული ძალა გრძნობდა, პატრონი ველზე ჭენებას რომ უპირებდა, და გვერდით ხტომა-ხტომით მიჰყვებოდა. ქალაქის განაპირას კოპიონკინი ცხენს მოაწვა, ხმალი იშიშვლა, დიდი ხნის მდუმარე მკერდიდან ბრაზიანი შეძახილი ამოაჭუხა და პროლეტარული ძალა შემოდგომის მყუდროებით მოცულ ველზე, როგორც გრანიტზე, ფლოქვების კრუ თქარათქურით გააჭენა. მხოლოდ და მხოლოდ პაშინცევმა დაინახა, პროლეტარული ძალა ველზე როგორ გაიჭრა და მხედართან ერთად გაუჩინარდა შორეულ ბურუსში, ველს შეღამებისას ჩამოწოლილი წყვდიადივით რომ დაჰფენოდა. პაშინცევი [illegible] იყო, სახურავზე ავიდა, საიდანაც ველის სივრცეთა უსასრულობისა და ჰაერის მიმოქცევის ჭვრეტა უყვარდა. „ის აქ აღარ დაბრუნდება, — გაიფიქრა პაშინცევმა. — დროა, ჩევენგური ხელთ ვიგდოთ, რათა ეს ამბავი კოპიონკინს მოეწონოს".

კოპიონკინი სამი დღის შემდეგ დაბრუნდა, დაჭლევებული ცხენი ქალაქისკენ ნელი ნაბიჯით მოჰყავდა და თავადაც უნაგირზე თვლემდა.

— ჩევენგურს გაუფრთხილდით, — უთხრა მან დვანოვსა და ორ გარეშეს, რომლებიც გზის პირას იდგნენ. — ცხენი საბალახოდ გაუშვით, ხოლო წყალს მე თვითონ დავალევინებ.

იგი ცხენიდან ჩამოხტა, მოსიარულეთაგან გატკეპნილ ცარიელ ალაგზე დაწვა და დაიძინა.

დვანოვს ცხენი საძოვრისკენ მიჰყავდა, თანაც იმაზე ფიქრობდა, [illegible] გაემართა, ჩევენგურის დასაცავად რომ გამოდგებოდათ. საძოვებლად გამოსადეგი ბალახიანი ადგილი იქვე იყო, დვანოვმა პროლეტარული ძალა საბალახოდ გაუშვა, ხოლო თვითონ ხშირ შამბნარში გაჩერდა; ახლა არაფერზე ფიქრობდა და მისი გონების ძველი დარაჯი თავისი საუნჯის მყუდროებას იცავდა — შიგნით მხოლოდ ერთ სტუმარს, [illegible] გარეთ მოხეტიალე აზრს შეუშვებდა. გარეთ კი აზრი არ იყო: შორს გადაშლილიყო უდაბური, ჩაყრუებული მიწა, მცხრალი მზე ცაზე ჯაფას მისაწყენი, ხელოქმნილი საგანივით ეწეოდა, ხოლო ჩევენგურში ადამიანები ქვემეხზე კი არა, ერთმანეთზე ფიქრობდნენ. მაშინ დარაჯმა მოგონებათა უკანა კარი გაიღო, და დვანოვმა ცნობიერების სითბო კვლავ შეიგრძნო: პატარაობისას მამას სოფლისკენ ხელჩაკიდებული მიჰყავდა, საშა თვალებს ხუჭავდა, [illegible] ჩაეძინებოდა ხოლმე და კვლავ ეღვიძებოდა. „საშა, იმხელა დღე ჩამოგრძელდა, რომ დაიქანცე; მოდი, ხელში აგიყვან, თავი მხარზე ჩამომადე და დაიძინე", — უთხრა მამამ, ხელში აიყვანა, გულზე მიიხუტა, და საშამ მამის ყელთან თავმიდებულმა დაიძინა. მამას სოფელში თევზი მიჰქონდა გასაყიდად, აბგა კაპარჭინულებით ჰქონდა სავსე და იქიდან სინოტივისა და ბალახის სუნი ამოდიოდა. [illegible] დაასხა და გზა ძალზე აატალახა, ნაწვიმარზე გუბეები იდგა და ციოდა. უეცრად საშამ გაიღვიძა და ყვირილი მორთო — პაწაწკინტელა სახეზე რაღაც ცივი მოუსრიალებდა, ხოლო მამამისი ვიღაც გლეხს ლანძღავდა, რომელსაც საზიდრით ჩაევლო, მათთვის გაესწრო და ტალახგადაკრული ბორბლებიდან ასხლეტილი ტალახით მამა-შვილი ამოესვარა. „მამა, ბორბლებიდან ტალახი საჩხუბრად რატომ გამორბის?" — ჰკითხა საშამ მამას, „საშა, ბორბალი ტრიალებს, ხოლო ტალახი წუხდება და მისგან მიექანება", — უპასუხა მამამ.

— ბორბალია საჭირო, — ხმამაღლა დაასკვნა დვანოვმა. — სალტეშემოკრული ხის დისკო; ამგვარი დისკოთი შეიძლება, მტერს აგურები, ქვები, ნაგავი დავუშინოთ, — ჭურვები ჩვენ არა გვაქვს. ბორბალში კი ცხენს შევაბამთ და ისე დავატრიალებთ, ხელებითაც მივეხმარებით, — მტვერი და ქვიშაც კი შეიძლება გავისროლოთ... გოპნერი ახლა კაშხალზეა ჩამომჯდარი, კაშხალი ალბათ ისევ გაიხვრიტა...

— ხომ არ შეგაწუხეთ? — ჰკითხა დვანოვს ნელი ნაბიჯით მოახლოებულმა სერბინოვმა.

— არა, რა გნებავთ? მე არაფერს არ ვაკეთებდი.

სერბინოვი მოსკოვიდან ჩამოყოლილ უკანასკნელ პაპიროსს ეწეოდა და იმაზე წუხდა, მერე რაღას მოვწევო.

— თქვენ ხომ სოფია ალექსანდროვნას იცნობდით?

— ვიცნობდი, — უპასუხა დვანოვმა, — განა თქვენც იცნობდით?

— მეც ვიცნობდი.

ფეხით სავალი გზის მახლობლად მძინარე კოპიონკინმა ხელებზე წამოიწია, რაღაც წამოიბოდა, წამოიყვირა და კვლავ ძილს მიეცა; ახლა ფშვინავდა და ცხვირიდან გამონაბერი ჰაერით სულმიხდილ ბალახის ღეროებს ატოკებდა.

დვანოვმა კოპიონკინს დახედა, და, რაკილა ნახა, რომ ეძინა, დამშვიდდა.

— სოფია ალექსანდროვნა ჩევენგურამდე მახსოვდა, აქ კი დამავიწყდა, — თქვა ალექსანდრმა. — ახლა სადა ცხოვრობს და ჩემზე რატომ არ გელაპარაკათ?

— მოსკოვში ცხოვრობს და ფაბრიკაში მუშაობს. თქვენ ახსოვხართ — მე შევამჩნიე, რომ აქ, ჩევენგურში, ადამიანები ერთმანეთისთვის იდეასავით არიან, თქვენც მისთვის იდეა ხართ; თქვენგან მისკენ სულიერი სიმშვიდე კვლავ მიემართება, მისთვის თქვენ მოქმედი სითბო ხართ...

— თქვენ მთლად სწორად ვერ გაგვიგეთ. თუმცა, სულ ერთია, მაინც მიხარია, სოფია ალექსანდროვნა ცოცხალი რომაა, მასზე მეც ვიფიქრებ.

— იფიქრეთ. თქვენებურად ხომ ეს ბევრ რამეს ნიშნავს — თუნდა გიფიქრია და თუნდა გქონია, ანდა გყვარებია... სოფია ალექსანდროვნაზე ფიქრი ღირს, იგი ახლა მარტოა და მოსკოვს გასცქერის. იქ ახლა ტრამვაის ვაგონები წკარუნით დაქრის და ძალიან ბევრი ხალხია, მაგრამ მათთან დაახლოება ყველას არ სწადია.

დვანოვს მოსკოვი არასოდეს ენახა, ამიტომ ამ ქალაქიდან თვალთა წინაშე მარტო სოფია ალექსანდროვნა წარმოესახა და გული სირცხვილითა და მოგონებების ბლანტი სიმძიმით აევსო: ოდესღაც სონიასგან მისკენ გამაცოცხლებელი სითბო მოედინებოდა, საშას შეეძლო, საკუთარი თავი სიკვდილამდე ერთი ადამიანის წიაღში მოეთავსებინა და ახლაღა შეიცნო თავისი აღუსრულებელი შემზარავი არსებობა, სადაც იგი, როგორც ჩამოქცეულ სახლში, შესაძლოა, სამუდამოდაც დარჩენილიყო. შორიახლოს ქარმა ბეღურა ჩამოაქროლა; დამფრთხალმა ბეღურამ წამოიჭყივლა და ღობეზე ჩამოჯდა. კოპიონკინმა თავი წამოსწია, მივიწყებული ქვეყნიერება გათეთრებული თვალებით მოათვალიერა და გულამომჯდარი ატირდა; ძილისგან გათანგულ, მისუსტებულ სხეულს მტვრიან მიწაზე უძლურად დაყრდნობილი ხელებით ძლივსღა იმაგრებდა. „საშა, ჩემო საშა! ერთხელ მაინც რატომ არ მითხარი, როზა საფლავში რომ იტანჯებოდა და ჭრილობა სტკიოდა? აქ რისთვისა ვარსებობ, ის კიდევ

მიტოვებული მყავს და საფლავში ეულად იტანჯება!..“ — განაწყენებულმა კოპიონკინმა ეს სიტყვები ტირილნარევი, მომჩივანი ხმით წარმოთქვა, სხეულს შიგნით ჩაბუდებული ნაღველი აუტანლად შემოჰბღაოდა — თმაგაბურძგნული, ხნიერი და აქვითინებული ფეხზე წამოხტომას შეეცადა, რათა ველისკენ გაქ-რილიყო. „წყეულებო, ჩემი ცხენი სად არის? ჩემი პროლეტარული ძალა რა იქნა? იქ, თქვენს ფარდულში მომიწამლეთ, ხომ? კომუნიზმით მომატყუეთ და თქვენს გამო სული ამომხდება“, — წამოიძახა კოპიონკინმა, კვლავ მიწაზე დაემხო და ძილს მიინებდა.

სერბინოვმა მორყოლისკენ გაიხედა, სადაც თავისი ვერსის იქით მოსკოვი ეგულებოდა; იქ, სამარეში, დედამისი ობლად იწვა და მიწის წიაღში იტანჯებოდა. ღვანოვი კოპიონკინთან მივიდა, თავი ქუდზე დაადებინა და მისი ნახევრადგახელილი თვალები შეამჩნია, მძინარეს სიზმარში აქეთ-იქით რომ გაურბოდა. „რატომ მემდური? — ჩაიჩურჩულა ალექსანდრემ, — განა მამაჩემი ტბის ფსკერზე არ იტანჯება და მე არ მომელის? ეს მეც მახსოვს“.

პროლეტარულმა ძალამ ბალახის ძოვას თავი ანება და კოპიონკინისკენ ფრთხილად გამოემართა, ფეხებს არ მოაბაკუნებდა. ცხენმა თავი კოპიონკინის სახისკენ დახარა და ადამიანის სუნთქვას დასუნა, მერე მოუხუჭავ ქუთუთოებზე ენა აუსვა; დამშვიდებულმა კოპიონკინმა თვალები მთლად დახუჭა, მიყუჩდა და ღრმა ძილს მიეცა. ღვანოვმა ცხენი კოპიონკინის ახლოს ღობეზე მიაბა, თვითონ კი სერბინოვთან ერთად კამხალისკენ გაემართა, სადაც გოპნერი ეგულებოდა. სერბინოვს მუცელი აღარ სტკიოდა, ავიწყდებოდა, რომ ჩევენგური უცხო ადგილს წარმოადგენდა, სადაც ერთკვირიანი მივლინებით იყო გამოგზავნილი, მისი სხეული ამ ქალაქის სუნსა და ველის გაუხშოებულ ჰაერს მიეჩვია. ერთი განაპირა ქოხის გვერდით, მიწაზე პროკოფისთვის მიძღვნილი თიხის ქანდაკება იდგა და წვიმისგან დასაფარავად თავზე ძირხვენის ფოთოლი ეხურა; ცოტა ხნის წინ პროკოფიზე ჩეპურნი ფიქრობდა, მერე მის პატივსაცემად ქანდაკება გამოძერწა; პროკოფის მიმართ რაც გრძნობა გააჩნდა, ამით სრულიად დაიკმაყოფილა და გაასრულა. ახლა ჩეპურნი სერბინოვის წერილების გასაგზავნად წასულ კარჩუკზე დაიღვლიანდა და გაუჩინარებული ამხანაგისთვის თიხის მონუმენტის დასადგმელად მასალას ამზადებდა.

ქანდაკება პროკოფის ოდნავ ჰგავდა, სამაგიეროდ, მის მნახველს ორივე — პროკოფიც და ჩეპურნიც — თანაბრად გაახსენდებოდა. ავტორს სხვათაგან ამორჩეული, ძვირფასი ამხანაგისთვის მიძღვნილი ქანდაკება აღმაფრთოვანებელი სინაზით, მაგრამ გაუწაფაობის გამო უხეშად გამოეძერწა; ჰოდა, ქანდაკებაში ჩეპურნის ხელოვნების სიალალე და პროკოფისთან თანაარსებობის წადილი გამჟღავნებულიყო.

სერბინოვმა სხვათა ხელოვნების ფასი არ იცოდა, მოსკოვის საზოგადოებაში ყოფნისას, როცა სხვები საუბრობდნენ, სულელს ემგვანებოდა. იმიტომ რომ იჯდა და ადამიანთა თვალიერებით ტკბებოდა, არ უსმენდა, ისინი რას ლაპარაკობდნენ და არც რამე გაეგებოდა, იგი ქანდაკების წინ შეჩერდა და ღვანოვიც გვერდით ამოუდგა.

— ეს თიხისგან კი არა, ქვისგან უნდა გაკეთებულიყო, — თქვა სერბინოვმა, — თორემ დროისა და ამინდისგან ჩამოიშლება. ეს ხელოვნება კი არა, მთელი მსოფლიოს რევოლუციამდელი შრომისა და ხელოვნების ნაყალბევობის დასასრულია. პირველად ვხედავ იმგვარ რამეს, რაც სიცრუესა და ექსპლუატაციას მოკლებულია.

დვანოვს არაფერი უთქვამს, რადგან სხვაგვარი რამ ვერც წარმოედგინა; ჰოდა, ისინი იქაურობას მოსცილდნენ და მდინარის ხეობისკენ გაემართნენ.

გოპნერი კამხალის შეკეთებაზე არ მუშაობდა, ნაპირზე იჯდა და წვრილი ხიაგან ფანჯრის ჩარჩოს აკეთებდა, რათა იაკოვ ტიტიჩის სახლში ჩაესვა, ვიდრე დაზამთრდებოდა. იაკოვ ტიტიჩს ეშინოდა ,შვილად აყვანილი ობოლი ქალი ზამთარში არ გაცივებოდა. დვანოვმა და სერბინოვმა შეეცადეს, სანამ გოპნერი ჩარჩოს კეთებას მოამთავრებდა, რათა ჩევენგურის მტრებისათვის ქვებისა და აგურების სატყორცნი ხის დისკოს კეთებას სამივენი ერთად შესდგომოდნენ. დვანოვი იჯდა და ქალაქს აყურადებდა. ქალაქი ადრინდელზე უფრო ჩამყუდროვებული ჩანდა. ვინც დედა ან და შეიძინა, სახლიდან გარეთ იშვიათად გამოდიოდა; ყველანი ცდილობდნენ, ერთ ჭერქვეშ მყოფ ნათესავთან ერთნი ეყვნენ. დვანოვი იჯდა და ქალაქს აყურადებდა. ქალაქი ადრინდელზე უფრო უკეთ გრძნობდნენ, ვიდრე გარეთ?

დვანოვს ეს არ შეიძლებოდა, რომ სცოდნოდა, და უცნობლობისგან მოგროვილმა სევდამ ზედმეტი მოძრაობა გააკეთებინა. იგი წამოდგა, მოისაზრა, რაც ესაჭიროებოდა, და სასროლი დისკოსთვის საჭირო მასალის საძებნელად გაემართა. საღამომდე ჩევენგურის უკანა მხარეს ფარდულებს შორის გაშლილ მყუდრო ალაგებში დადიოდა. აქ, ამ მიყრუებულ ალაგას, აბზინდის დამყაყებულ, დაბალ ტევრში უზრუნველად არსებობა, შორეულ ადამიანთა სახეიროდ მოთმინებით ყოფნა, ასე თუ ისე, მაინც შეიძლებოდა. დვანოვი სხვადასხვაგვარ უსულო საგნებს — ჯღანებს, კუპრში ამოსვრილ ფიცრის ყუთებს, მკვდარ ბელურებს და სხვა ამგვარ რამეებს პოულობდა. საშა ამ საგნებს ხელში იღებდა, მათი დაღუპვისა და მივიწყებულობის გამო წუხილს გამოთქვამდა, და კვლავ ძველ ადგილას დებდა, რათა ჩევენგურში ყოველივე უკლებლივ შენახულიყო კომუნიზმში მონანიების უკეთეს დღემდე. ნაცარქათამას ხშირ ბუჩქებში დვანოვს ფეხი რაღაცაში გაეჩხირა და ძლივსღა ამოაძრო. ეს რაღაცა ომის დროს აქ ჩარჩენილი ქვემეხის ბორბალი აღმოჩნდა; ფეხი მანებს შუა გასჩხეროდა. დიამეტრისა და სიმაგრის მიხედვით ბორბალი სასროლი მანქანის დასამზადებლად სავსებით გამოსადეგი იქნებოდა, მაგრამ მისი გაგორება დვანოვს გაუჭირდებოდა, იმიტომ რომ ბორბალი საშაზე მძიმე იყო. საშამ სუფთა ჰაერზე კლავდიუშასთან ერთად სასეირნოდ გამოსული პროკოფი დაინახა და დაუძახა, მომეხმარეო. ბორბალი სამჭედლოში მიაგორეს, სადაც გოპნერმა მისი ვარგისიანობა შეამოწმა და მოიწონა. გოპნერი ღამის გასათევად სამჭედლოში დარჩა, რათა ბორბლის გვერდით ყოფილიყო და მთელი სამუშაო სიმყუდროვეში მოეფიქრებინა.

პროკოფიმ საცხოვრებლად ბოლშევიკების ნაქონი აგურის დიდი სახლი ამოირჩია, სადაც ადრე ყველანი ერთად იყვნენ დაბინავებულნი, ღამესაც ერთად ათევდნენ და ერთმანეთს არ შორდებოდნენ. ახლა იქაურობა მოწესრიგებული გახლდათ. ყველაფერს კლავდიუშას ქალური ხელი დასტყობოდა, დღეგამოშვებით ცეცხლსაც ანთებდნენ ჰაერის გამოსაშრობად, ჭერზე ბუზები ისხდნენ, სქელი კედლებით შემოფარგლულ ოთახში პროკოფის ოჯახური სიმყუდროვე ელოდა. იატაკიც ყოველთვის მოხეხილი, თითქოს სააღდგომოდ გასუფთავებული იყო. პროკოფის საწოლზე დასასვენებლად წამოწოლა და თბილ ჭერზე მოსიარულე ბუზების ცქერა უყვარდა; მის ბავშვობაში სოფლად მამამისისა და დედამისის ქოხის ჭერზე ბუზები ასევე დახეტიალობდნენ, ხოლო იგი იწვა, თავს ბუზების ცქერით იმშვიდებდა და თავისი ოჯახის შემდგომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრებისა და განმტკიცებისთვის საჭირო სახსართა მოსაპოვებლად იდეების მოფიქრებას ცდილობდა. ამჟამად კი დვანოვი შინ მოიყვანა, რათა მურაბიანი ჩაით და კლავდიუშას გამოცხობილი ფუნთუშებით გამასპინძლებოდა.

— საშა, ჭერზე ბუზებს თუ ხედავ, — მაღლა აახედა პროკოფიმ დვანოვი. — ბუზები ჩვენს ქოხშიც იყვნენ, გახსოვს, თუ უკვე დაგავიწყდა?

— მახსოვს, — უპასუხა ალექსანდრმა. — ფრინველები კი უფრო მეტი მახსოვს, ისინი ცაში ისე დაფრინავდნენ, როგორც ბუზები ჭერქვეშ, ხოლო ახლა ფრინველები ჩევენგურის ზემოთ დაფრინავენ ისე, როგორც ოთახის თავზე — ბუზები.

— ჰო, შენ ხომ ქოხში კი არა ტიზე ცხოვრობდი, ცის გარდა ჭერი არ გაგაჩნდა და ფრინველები შინაური ბუზების მაგივრობას გიწევდნენ.

ჩაის სმას როცა მორჩნენ, პროკოფი და კლავდიუშა ლოგინში ჩაწვნენ, ჩათბნენ და გაყუჩდნენ, ხოლო დვანოვმა ხის ტახტზე დაიძინა. დილით ალექსანდრმა პროშკას ჩევენგურის ცაზე ფრინველები დაანახა, დაბლა რომ ჩამოშვებულიყვნენ და სახლების სიახლოვეს დაფრინავდნენ. ფრინველები პროკოფიმაც შეამჩნია და ბუნებისგან ამ დილას მოწყობილ დარბაზში მოსრიალე ბუზებს მიამგვანა. შორიახლოს ფეხშიშველმა და შიშველ ტანზე მაზარაშემოცმულმა ჩეპურნიმ ჩაიარა. პროკოფის მამა იმპერიალისტური ომიდან ათნაირად შემოსილი დაბრუნდა, აქა-იქ საკვამურებიდან ამობოლქვილი კვამლი მოჩანდა; იქიდან ისეთი სუნი ამოდიოდა, მათ ქოხში რომ იდგა, როცა დედამისი დილით საუზმეს ამზადებდა.

— საშა, კომუნიზმისთვის საზრდოს მომარაგებაა საჭირო, — უთხრა დვანოვს შეფიქრიანებულმა პროკოფიმ.

— პროშა, საჭიროა, ამ საქმეს შევუდგეთ, — დაეთანხმა დვანოვი. — ოღონდ ეს როგორი ამბავია, მურაბა მარტო შენთვის რომ მოგიტანია, ხოლო კოპიონკინი, რამდენი წელია, ცარიელ ცივ წყალსა სვამს.

— მარტო ჩემთვის რას ჰქვია? გუშინ განა შენ არ გაგიმასპინძლდი? თუ ჭიქაში ცოტა ჩაიყარე და არ გეყო? გინდა, ახლა კოვზით მოგიტანო?

დვანოვმა მურაბა არ მოისურვა; იგი კოპიონკინისკენ მიიჩქაროდა, უნდოდა, რომ მალე ეპოვნა და დანაღვლიანებულს გვერდში ამოსდგომოდა, მისი დარდი გაენაწილებინა.

— საშა! — სიტყვა დაადევნა მიმავალს პროკოფიმ. — აბა, ერთი ბილურებს შეხედე, აქაურობაში მსუქანი ბუზებივით არ დაფართიფურთობენ!

დვანოვს მისი ნათქვამი არ გაუგონია და პროკოფი თავის ოჯახს, თავის ოთახს დაუბრუნდა, სადაც ბუზები დაფრინავდნენ, ხოლო ფანჯრიდან ჩევენგურის თავზე მოსრიალე ფრინველებს ხედავდა. „ერთნაირები არიან, — დაასკვნა პროკოფიმ ბუზებსა და ფრინველებზე. — ბურჟუაზიისკენ ფაეტონით უნდა გავემგზავრო და მთელი კომუნიზმისთვის ორი კასრი მურაბა ჩამოვიტანო; გარეშეები ჩაის სმით გულს იჯერებენ და ფრინველებიანი ცის ქვეშ, როგორც ოთახში, ისე დაწვებიან".

პროკოფიმ ცა ერთხელაც მოათვალიერა და გაიანგარიშა, რომ ცა უფრო დიდ ქონებას ეფარა, ვიდრე ჭერქვეშ იყო მოთავსებული. მთელი ჩევენგური ცის ქვეშ გარეშეთა ოჯახის ერთი ოთახის ავეჯივით იდგა, გარეშენი უეცრად თავიანთ გზას რომ გასდგომოდნენ, ხოლო ჩეპურნი მომკვდარიყო, ჩევენგური ხომ საშკას დარჩებოდა? პროკოფი მიხვდა, რომ მოტყუვდა, ახლა მთელი ჩევენგური ერთი ოჯახის ერთ ოთახად უნდა მიეჩნია, რათა ამ ოჯახსა და ოთახს

უფროსი ძმის კვალობაზე დაჰპატრონებოდა და ცის ქვეშ მოქცეული მთელი ავეჯი მემკვიდრეობით მას რგებოდა. თვით ბეღურებიც კი ბუზებზე მსუქნები ჩანდნენ და ჩევენგურში მათზე უფრო მრავლად იყვნენ. პროკოფიმ თავის ბინას შემფასებლის თვალი მიმოავლო და გადაწყვიტა, რომ მომგებიანი იქნებოდა, თუ ამ ბინას მთელ ქალაქზე გადაცვლიდა.

— კლავდიუშა, ჰეი, კლავდიუშა! — გასძახა ცოლს. — რატომღაც [illegible] სურვა, რომ ჩვენი ავეჯი მთლიანად შენ გაჩუქო!

— კარგი, მაჩუქე, — უთხრა კლავდიუშამ. — სანამდე გზები ატალახდებოდეს, დეიდაჩემთან გავზიდავ!

— მაშ დღეს გაზიდე, — დაეთანხმა პროკოფი. — ოღონდ თვითონაც მასთან სტუმრად მანამდე დარჩი, სანამ ჩევენგურს მთლიანად დავისაკუთრებ.

კლავდიუშას თავადაც გაეგებოდა, ნივთები რომ ესაჭიროებოდა, მაგრამ ის ვეღარ მოესაზრებინა, პროკოფი ქალაქის დასასაკუთრებლად მარტო რატომღა უნდა დარჩენილიყო, როცა ჩევენგური ისედაც თითქმის ეკუთვნოდა, ჰოდა, ამის თაობაზე გამოკითხვა დაუწყო.

— შენ პოლიტიკური სარჩული არ გაგაჩნია, — უპასუხა მეუღლემ. — ქალაქის დასაკუთრებას შენთან ერთად თუ შევუდგები, მაშინ ცხადი შეიქნება, რომ მთლიანად შენ უნდა გაჩუქო.

— პროშა, მაჩუქე, და ყველაფრის წასაღებად გუბერნიიდან საზიდრებს ჩამოვიყვან!

— სანამ ორდერი არ გექნება, ნუ იჩქარებ!... ქალაქი რატომ უნდა გაჩუქო? ხალხი იფიქრებს, იმიტომ აჩუქა, რომ ჩვენთან კი არა, იმასთან ერთად სძინავს, თავის სხეულს უწილადებს, მაშასადამე, მისთვის ქალაქიც არ დაენანებაო... ხოლო როცა აქ არ იქნები, ყველას ეცოდინება, რომ ქალაქს არ ვიაკუთრებ...

— როგორ თუ არ ისაკუთრებ? — განაწყენდა კლავდიუშა. — მაშ ვის უტოვებ?

— ეჰ, შე ცხოვრების ბიურო! ყური უგდე ჩემს ფორმულირებას! ქალაქი რა ჯანდაბად მინდა, თუკი ოჯახი არ მეყოლება და სხეული განუყოფელი მექნება? ხოლო როცა ქალაქს დავისაკუთრებ, მის ევაკუაციასაც მოვახდენ, შენ კი მოსახლეობის სხვა პუნქტიდან დეპეშით გამოგიძახებ!.- ახლა წაასვლელად მოემზადე, ხოლო მე მანამდე წავალ და ქალაქს ავწერ...

პროკოფიმ სკივრიდან რევკომის ბლანკი ამოიღო და თავისი მომავალი ქონების ჩამოსაწერად გაემართა.

მზე დედამიწის გასათბობად ცაზე ჩვეული გულმოდგინებით ილვწოდა. მაგრამ ჩევენგურში შრომა შემცირდა, კირეი წინკარში დაყრილ ბალახის ბულულზე თავის ცოლთან, გრუშასთან ერთად იწვა, გულში ჩახუტებული ჰყავდა და ნებიერად თვლემდა.

— ამხანაგო, კომუნიზმისთვის საჩუქრებს რატომ არ იძლევი? — ჰკითხა კირეის პროკოფიმ, როცა იქ ინვენტარის აღსაწერად მივიდა.

კირეიმ გამოიღვიძა, ხოლო გრუშამ, პირიქით, თვალები დახუჭა, რადგან შერცხვა, მეუღლესთან მწოლს რომ მიუსწრეს.

— კომუნიზმი რაში მარგია? ახლა გრუშა მყავს ამხანაგი, იმასთან მუშაობას ვერ ავუდივარ, სიცოცხლეს სულ ამ საქმეზე ვხარჯავ და საზრდოს მოგროვებასაც ვეღარ ვასწრებ...

პროკოფის წასვლის შემდეგ კირეი გრუშას ყელს ქვემოთ ჩაეკრო და იქი-

დან ფარული სიცოცხლისა და ღრმად ჩამარხული სითბოს სურნელება შეისუნთქა. ყოველ ჟამს, როცა კი ბედნიერება მოენატრებოდა, კირეის შეეძლო, გრუშას სითბოცა და მისი დაუნჯებული სხეულიც თავისი არსების წიაღში მოეთავსებინა, ამის შემდგომ ცხოვრების აზრს ზიარებოდა და სიმშვიდე ეგრძნო. კირეისთვის სხვა ვინ გაიმეტებდა იმას, რაც გრუშასთვის არ ენანებოდა, ანდა გრუშასთვის კირეი რას დაიშურებდა? პირიქით, ახლა გამუდმებით ტანჯავდა სირცხვილი, რომ გრუშაზე საკმარისად ვერ ზრუნავდა, საზრდო-სამოსელით ვერ უზრუნველყოფდა, საკუთარ თავს კირეი ფასს აღარ სდებდა, იმიტომ რომ მისი სხეულის ყველაზე უკეთესი, ყველაზე ფარული და ნაზი ნაწილები გრუშას წიაღში ჩაინთქა. როცა ველზე საზრდოს საძებნელად გადიოდა, კირეი ამჩნევდა, რომ ცა მის ზემოთ წინანდელზე უფრო გაფერმკრთალებული იყო, ფრინველები იშვიათად ჩანდნენ და მათი ხმაც უფრო მიყრუებულად გაისმოდა, ხოლო თავად მას მკერდში ჩაბუდებული სულიერი სიცარიელე არ უნელდებოდა. ნაყოფსა და მარცვლეულს როცა მოაგროვებდა, გრუშასთან დაქანცული ბრუნდებოდა და გადაწყვეტდა, ამიერიდან მხოლოდ მასზე უნდა ვიფიქრო, კომუნიზმის იდეად გრუშა გავიხადო და სიმშვიდისა და ბედნიერებისთვის მარტოოდენ ეს იდეა ვიკმაროო. მაგრამ გულგრილად და მოსვენებით ყოფნის ჟამი გაივლიდა, კირეი თავს უბედურად იგრძნობდა და სასიყვარულო ნივთიერების გარეშე ცხოვრებას უაზროდ მიიჩნევდა: სამყარო მის ირგვლივ კვლავ გაიფურჩქნებოდა — ლურჯი ცა მყუდროების სავანედ გადაიქცეოდა, ჰაერი ახმიანდებოდა, ველს ზემოთ ფრინველები გალობას იწყებდნენ და იქაურობას თავიანთი გაუჩინარების ამბავს მოუთხრობდნენ; ყოველივე ეს კირეის არსებობაზე მაღლა მდგომად ეჩვენებოდა, ხოლო გრუშასთან მორიგი დანათესავების შემდეგ ქვეყნიერება ისევ ბუნდოვნად და შესაბრალისად წარმოესახებოდა. ჰოდა, მის მიმართ შურს აღარ გრძნობდა.

იმ გარეშეებმა, კირეიზე წლებით უმცროსნი რომ იყვნენ, ქალები დედებად მიიჩნიეს და მათთან ერთად მხოლოდ თბებოდნენ, რადგან შემოდგომამ ჩევენგურში ჰაერი გააგრილა. ისინი დედებთან ერთად არსებობას კმარობდნენ, ირგვლივ მყოფ ამხანაგებს არც ერთი მათგანი თავის სხეულს შრომით შექმნილი საჩუქრების მეშვეობით აღარ უნაწილებდა. გარეშეებს ქალები საღამო ხანს მდინარეზე, შორეულ ადგილებში მიჰყავდათ და იქ აბანავებდნენ, რადგან ქალები ისეთი გამხდრები იყვნენ, აბანოში სიარულისა რცხვენოდათ, თუმცა აბანო ჩევენგურში ისევ იდგა და მისი გახურება შეიძლებოდა.

პროკოფიმ ჩევენგურში მყოფი მთელი მოსახლეობა შემოიარა, ქალაქში არსებული ყველა უსულო ნივთი აღწერა და წინასწარ თავის საკუთრებად ჩარიცხა, ბოლოს ქალაქის განაპირას მდგარ სამჭედლოს მიაღწია და იქ მომუშავე გოპნერისა და დვანოვის თვალწინ ეს სამჭედლოც ქაღალდში შეიტანა. სამჭედლოს კარს ამ დროს კოპიონკინი მოადგა, შორიდან წამოღებული ბოძი მხარზე გაედო, ხოლო სერბინოვი ამ ბოძს, როგორც ინტელიგენტი, ბოლოში უგერგილოდ შესდგომოდა და ტვირთის ერთ მერვედს მოაჩაქჩაქებდა.

— ჩამოგვეცალე! — უთხრა სამჭედლოს შესასვლელში მდგარ პროკოფის კოპიონკინმა. — ჩვენ ტვირთს მოვათრევთ, შენ კიდევ ხელში ქაღალდი გიჭირავს.

პროკოფიმ გზა დაუთმო, მაგრამ ბოძი აღრიცხვის ფურცელში ჩაწერა და იქიდან კმაყოფილი წავიდა.

კოპიონკინმა ბოძი ძირს დააგდო და სულის მოსაბრუნებლად ჩამოჯდა.

— საშა, პროშკას მწუხარება ნეტავ თუ როდისმე ექნება; ეგებ მაშინ მაინც ერთ ადგილას გაჩერდეს და ატირდეს?

დვანოვმა კოპიონკინს დაღლილობისა და ცნობისმოყვარეობისგან სხივჩამდგარი მზერა მიაპყრო.

— განა მაშინ მწუხარებისგან არ დაიფარავდი? იმას ხომ გულმხურვალედ არავინ მოპყრობია, ჰოდა, იმანაც ადამიანებზე გული აიყარა და ადამიანების ნაცვლად ქონების შეძენა დაიწყო.

კოპიონკინი გონს მოვიდა; მან ერთხელ, ომის დროს, ველზე ნახა, ყველასგან მივიწყებული კაცი როგორ ტიროდა. კაცი ქვაზე იჯდა და სახეზე შემოდგომის საავდრო ქარი სცემდა. იგი წითელი არმიის ალალსაც კი არ მიჰყავდა, იმიტომ რომ ყველა საბუთი დაეკარგა, ხოლო თავად საზარდულში იყო დაჭრილი და რატომღაც ტიროდა; იქნებ იმის გამო ატირდა, უპატრონოდ რომ ტოვებდნენ. ანდა იმიტომ, რომ საზარდული გამოფატრული ჰქონდა, ხოლო სიცოცხლე და თავი უვნებლად შერჩენოდა.

— დავიფარავდი, საშა, მწუხარე ადამიანს როცა ვნახავ. გული არ გამიძლებს, რომ არ დავეხმარო... მაგასაც ცხენზე შემოვისვამდი და შორეთისკენ წავიყვანდი...

— მაშასადამე, მწუხარება არ უნდა უსურვო, თორემ მერე შენი მოწინააღმდეგე შეგებრალება.

— ასეა, საშა, არც ვუსურვებ, — უთხრა დვანოვს კოპიონკინმა. — დაე, კომუნიზმში იარსებოს, ადამიანთა შემადგენლობას თვითონვე შეუერთდება.

საღამოთი ველზე წვიმა დაიწყო, ჩევენგურს კიდეზე გადაუარა, ხოლო ქალაქში წვეთიც არ ჩამოვარდნილა. ჩეპურნის ეს მოვლენა არ გაჰკვირვებია, იცოდა, რომ ბუნებამ ქალაქში კომუნიზმის არსებობა, დიდი ხანია, რაც უწყოდა, და იქაურობას უდროო დროს არ დაასველებდა, მაგრამ გარეშეთა მთელი ჯგუფი ჩეპურნისა და პიუსიასთან ერთად ველისკენ მაინც გაემართა, რათა დალტობილი ადგილი დაეთვალიერებინა და დარწმუნებულიყო. კოპიონკინი წვიმას ენდობოდა, ამიტომ არსადაც არ წასულა, დვანოვთან ერთად ღობეზე იჯდა და ისვენებდა. იგი საუბარს დიდ ფასს არ სდებდა და ახლა დვანოვს ეუბნებოდა, ჰაერი და წყალი იაფია, მაგრამ აუცილებელი, იგივე შეიძლება ითქვას ქვებზე — ქვებიც რაღაცისთვის საჭიროაო. კოპიონკინი სიტყვებით აზრს კი არა, დვანოვთან დამოკიდებულებას გამოხატავდა; როცა დუმდა, მაშინ კი ეწამებოდა.

— ამხანაგო კოპიონკინო, რა უფრო ძვირფასად მიგაჩნია, ჩევენგური თუ როზა ლუქსემბურგი? — ჰკითხა მას დვანოვმა.

— როზა, ამხანაგო დვანოვო, — უპასუხა შემკრთალმა კოპიონკინმა. — ის ჩევენგურზე უფრო მეტად იყო კომუნიზმით განმსჭვალული და ბურჟუაზიამ ამიტომაც მოკლა, ხოლო ქალაქი უვნებელია, თუმცა მის ირგვლივ სტიქიონია...

დვანოვს სიყვარულის არავითარი მარაგი სათადარიგოდ შემონახული არ ჰქონდა, მარტო ჩევენგურით სულდგმულობდა და ეშინოდა, ეს სიყვარული არ შემოხარჯოდა. იგი კოპიონკინთან, გოპნერთან, პაშინცევთან, გარეშეებთან — იმ ადამიანებთან ყოფნით არსებობდა, ვინც ყოველდღიურად თვალწინ ჰყავდა, მაგრამ ნიადაგ შიშობდა, ვაითუ ერთ დილას სადმე გადაიკარგონ, ანდა თანდათან დაიხოცონო. დვანოვი დაიხარა, ბალახი მოწყვიტა, მისი კრძალული

სხეული შეათვალიერა და გაიფიქრა, როცა აღარავინ იქნება, ამაზეც შეიძლება იზრუნოო.

კოპიონკინმა თვალი მოჰკრა, ველის მხრიდან კაცი რომ გამორბოდა და მის შესახვედრად წამოდგა. ჩეპურნიმ გვერდით ჩაურბინა და ქალაქისკენ ხმაამოუღებლად გაექანა. კოპიონკინმა მაზრის კალთაზე ხელი სტაცა და შეაჩერა:

— განგაშის გამოუცხადებლად სად მიიჩქარი?

— კაზაკები! კადეტი მხედრები! ამხანაგო კოპიონკინო, გეთაყვა, იქით გაეშურე და დასცხე. მე კი გავიქცევი, შაშხანას წამოვიღებ!

— საშა, შენ სამჭედლოში შედი და იქ მოიცადე, — უთხრა დვანოვს კოპიონკინმა. — იმათ მარტო დავხვდები და მუსრს გავავლებ, ოღონდ გარეთ ნუ გამოხვალ. მე კი ახლავე იქით გავეშურები.

ჩეპურნისთან ერთად ველზე გასულმა ოთხმა გარეშემ. უკანვე მოირბინა, პიუსია კი სადღაც მარტო ჩასაფრდა, რათა მწკრივის მაგივრობა გაეწია. მისმა რევოლვერმა საღამოს ბინდში ცეცხლი დააკვესა და სროლის ხმამ ველის მყუდროება გაჰკვეთა. დვანოვი იქით გაიქცა, საიდანაც სროლის ხმა მოესმა, ხელში რევოლვერი ეჭირა. ცოტა ხნის შემდეგ პროლეტარულ ძალაზე ამხედრებულმა კოპიონკინმა გაასწრო; იგი ფეხმძიმე ცხენს ველისკენ მიაჩქარებდა. პირველ მეომართა კვალდაკვალ ჩევენგურიდან გარეშეთა და ბოლშევიკთა ერთიანი შეიარაღებული ძალა დაიძრა, ქალაქის განაპირა ღობეს გასცდა და წინ გაემართა — ვისაც იარაღი არა ჰქონდა, ღობიდან ამოძრობილი შარგილი ანდა ღუმლის საჩხრეკი მოემარჯვებინა; მათ ქალებიც მიჰყვებოდნენ. სერბინოვი იაკოვ ტიტიჩის უკან გარბოდა, ხელში ქალის ბრაუნინგი ეჭირა და თვალებს აცეცებდა, ვის ვესროლოო. ჩეპურნი მტრისკენ იმ ცხენით მიემართებოდა, რომლითაც პროკოფი ქალაქში დაბრუნდა, ხოლო თვით პროკოფი ჩეპურნის კვალდაკვალ მისდევდა და რჩევას აძლევდა, ჯერ შტაბი ჩამოაყალიბე და მეთაური დანიშნე, თორემ დავიღუპებითო.

ჩეპურნიმ მთელი მჭიდე ცხენდაცხენ დაცალა, შორეთი სროლით დაცხრილა, თან ცდილობდა, კოპიონკინს დასწეოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. კოპიონკინი ჩასაფრებულ პიუსიას ცხენით გადაახტა, სროლას არ აპირებდა, ხმალი იშიშვლა და წინ სწრაფად გაეშურა, რათა მტერს გულდაგულ მისჭროდა.

მტრები ნაგზაურს მიუყვებოდნენ, მაღლა აღმართული შაშხანები გარდიგარდმო ეჭირათ. სროლას არ აპირებდნენ და ცხენებს აჩქარებდნენ. მათ წესსა და რიგზე გამართული რაზმი ჩევენგურელთა მხრიდან წამოწყებულ სროლას არ უფრთხოდა და მათკენ მწყობრად, უშიშრად მოემართებოდა. დვანოვი მათ უპირატესობას მიხვდა, ფეხები ლარტაფში აქეთ-იქით გადგა და ნაგანის მეოთხე ტყვიით რაზმის მეთაური მოცელა. მაგრამ მტრის მწყობრი მაინც არ დაიშალა, მოიერიშეებმა მეთაური თავიანთი რიგების სიღრმეში ისე შემალეს, რომ არც შეჩერებულან და ცხენები სწრაფი ჩორთით გამოაქანეს. ამ მშვიდ იერიშში გამარჯვების ანგარიშმიუცემელი ძალა იგრძნობოდა, მაგრამ ჩევენგურელებსაც სიცოცხლის დაცვის სტიქიური წადილი გაჩნდათ. ამას გარდა, ჩევენგურის მხარეზე კომუნიზმიც არსებობდა. ეს ჩეპურნიმ ჩინებულად იცოდა, ამიტომ ცხენი შეაჩერა, შაშხანა შემართა და მტრის რაზმის სამი მხედარი ცხენიდან მიწაზე ჩამოყარა. ბალახში ჩაწოლილმა პიუსიამ კი ორ ცხენს ტყვიით ფეხები დაუცხრილა; ფეხებმომსხვრეული ცხენები რაზმის უკან განერთხნენ, ცდილობდნენ, მუცელზე გახოხებულიყვნენ და მიწაზე დაფენილი მტვერს

დროუნჩებით ხვდებოდნენ. ჩაჩქნიანმა და ზარადიანმა პაშინცევმა დვანოვს მორიახლოს ჩაურბინა; მარჯვენა ხელით ხელის ბომბის გარსაცმი ადევნე ლითა, მტრის დაძლევა მარტოოდენ დაშინებით ეწადა, რადგან ბომბს ფული გამო- ცლილი ჰქონდა, სხვა იარაღი კი პაშინცევს არ გააჩნდა.

მტრის რაზმი თავისით ერთ ადგილზე ერთბაშად ისე შეჩერდა, თითქოს მხოლოდ ორი მხედარი ყოფილიყო. ჩევენგურელთათვის უცხო [illegible] თითქოს იდუმალ ბრძანებას დამორჩილებულებმა, შაშხანები მოახლოებული გარეშეებისა და ბოლშევიკებისკენ მიმართეს და ქალაქისკენ კვლავ სწრაფად გამოეშურნენ, ისე რომ სროლა არ დაუწყიათ.

საღამო ფერს არ იცვლიდა და ადამიანებს ღამის სიბნელე არ ფარავდა. ცხენების ფლოქვთა თქარათქურისგან ყამირ მიწას გრიალი გაჰქონდა, მტერი ანგარიშმიუცემლად მოემართებოდა, და გაშლილ ველს, მსოფლიოს მომავალი ქვეყნიერებისკენ ჩევენგურიდან აღსავალ გზას გარეშეთაგან მიჯნავდა. პაშინცევმა შეჰყვირა, — ბურჟუაზიავ, დაგვნებდით, — და ცარიელ ბომბში ამფეთქი გახსნა. მოიერიშე რაზმს იდუმალმა ბრძანებამ იაევ ჩაურბინა — შაშხანებმა იელვა და ჩაქრა. შვიდი გარეშე მიწას მოცელილი დაენარცხა, მათთან ერთად დაეცა პაშინცევიც. მათ გარდა ოთხ ჩევენგურელის ჭრილობებიდან სისხლი მოსჩქეფდა, მაგრამ ისინი ცდილობდნენ ჭრილობებისთვის გაეძლოთ. მტრისკენ გარბოდნენ, რათა ხელდახელ შებრძოლებოდნენ და მომხდურნი დაეხოცათ.

კოპიონკინმა რაზმს უკვე მიაღწია და პროლეტარული ძალა ყალყზე შეაყენა, რათა ბანდა ხმლით აეჩეხა. და ცხენის სიმძიმით დაეთრგუნა. პროლეტარულმა ძალამ წინ შემოხვედრილ ცხენს ფლოქვები დასცხო, ნეკნები ჩაუმსხვრია და ჩაკეცა, ხოლო კოპიონკინმა ხმალი ჰაერში გააშხივლა, მოქნევაა სხეულის მთელი ძალა ჩააყოლა, რათა კავალერისტი მანამდე გაეჩეხა, სანამ მისი სახე დაამახსოვრდებოდა. ხმალი უცხო მეომრის უნაგირზე ჟღრიალით დაეშვა და ამ ჟღრიალმა კოპიონკინს მკლავში ელვასავით ჩაურბინა. მაშინ კოპიონკინმა ახალგაზრდა მწითურ კავალერისტს თავში ხელი დასტაცა, მერე ხელი მოსაქნევად მყისვე გაითავისუფლა, იგივე მარცხენა ხელი კეფაში ჩასცხო, კაცი ცხენიდან ასხლტა და მიწაზე გადაისროლა. იმავე წამს ვიღაცის ხმალმა იელვა და კოპიონკინს თვალი მოსჭრა; კოპიონკინმა სხვა ველარაფერი მოახერხა, ერთი ხელი მოელვარე ხმალს სტაცა, ხოლო ძეორით თავდამსხმელს მკლავი ხმალთან ერთად მოჰკვეთა და ეს ხმალი, ზედ შერჩენილი, იდაყვში მოკვეთილი ხელიანურთ განზე მოისროლა. ამ დროს კოპიონკინმა გოპნერი დაინახა, ცხენების ჯგროში მომწყვდეულს ნაგანი ლულით რომ ეჭირა და მტერს ამ ნაგანის ქნევით იგერიებდა, დაძაბულობისა და სახის სიგამხდრისგან თუ ნაკვეთ ჭრილობათა გამო კანი ლაწვებზე და ყურების სიახლოვეს დასკდომოდა და იქიდან სისხლი მოსჩქეფდა. გოპნერი სისხლის მოწმენდას ცდილობდა, რადგან კისერში ჩამდინარე ნაკადი უღიტინებდა და ბრძოლაში ხელს უშლიდა. კოპიონკინს ვიღაც მხედარი მარჯვენა მხრიდან ელობებოდა და გოპნერთან მისასვლელს უკეტავდა, მან ამ მხედარს მუცელში წიხლი ჩააზილა და ჩამოაცილა, მერე კი ისღა შეძლო, რომ ცხენს ქუსლი ჰკრა და გადაახტუნა, თორემ უკვე აჩეხილ გოპნერს გადათქერავდა.

კოპიონკინი უცხოთა გარემოცვიდან გამოიჭრა, მეორე მხრიდან კი მტრის ცხენოსან პატრულს ჩეპურნი უტევდა; იგი უხეირო ცხენზე იჯდა და მხედრების აპორგებულ მწკრივთა შორის მიექანებოდა, თან ცარიელ შაშხანას იქ-

ნევდა და ცდილობდა, მომხდურნი კონდახით დაეხოცა. რადგან შაშხანაში ვაზნები აღარ ეწყო, ერთხელაც ცარიელი შაშხანა ძალზე მაღლა შემართა, გამძვინვარებით მოიქნია, მაგრამ მიზანში ამოღებულ მტერს დარტყმა ააცდინა. ცხენს თავად მოსწყდა, მოქნეულ შაშხანას გაჰყვა და ცხენთა ფეხქვეშ გაუჩინარდა, ერთ ადგილას რომ შეჯგუფებულიყვნენ და მიწას თქარუნებდნენ. კოპიონკინმა ხანმოკლე შესვენებით ისარგებლა, ხმლის პირზე [illegible] და გასისხლიანებული მარცხენა ხელი გამოიწურწნა და მერე მომხდურებს შეუტია, რათა ყველანი ამოეხოცა. მან მტრის რაზმი მთლიანად გაკვეთა, მეორე მხარეს უვნებლად გააღწია, ისე რომ არაფერი დამახსოვრებია, გაშმაგებით მოჰიხვირნე პროლეტარული ძალა კვლავ შემოატრიალა, რათა ახლა გონებაში ყველა აღერიცხა და დაემახსოვრებინა, თორემ ბრძოლით გულს ვერ მოიოხებდა, გამარჯვების მოპოვებითა და მტრის გაჟლეტაზე გაწეული ჯაფით სიამეს ვერ შეიგრძნობდა. ცხენოსან პატრულს ხუთი მხედარი გამოეყო. ისინი იმ გარეშეებს ჩეხავდნენ, რომელნიც მოშორებით იბრძოდნენ, მაგრამ გარეშეებსაც თავის დაცვა მოთმინებით, მარჯვედ შეეძლოთ; მტერი პირველად ხომ არ ცდილობდა, მათ არსებობას წინ აღდგომოდა. ისინი ჯარს აგურებს ესროდნენ, ქალაქის განაპირას ნამჯით კოცონები გააჩაღეს, ლაღარს მუჭებით იღებდნენ და ფიცხ ცხენებს დრუნჩში აყრიდნენ. იაკოვ ტიტიჩმა გავარვარებული მუგუზალი ერთ ცხენს გავაში ისე წაჰკრა, რომ მუგუზალმა კუდქვემოთ ოფლი ააშიშხინა — ჰოდა, ნერვულმა ფაშატმა ჭიხვინი ატეხა და მხედარი ჩივენგურიდან ორ ვერსზე გაიტაცა.

ამ დროს სხვა ჯარისკაცმა ცხენი მოაჭენა.

—ცეცხლით რატომ იბრძვი? — ჰკითხა მან იაკოვ ტიტიჩს — ახლავე მოგკლავ!

— მომკალი, — უთხრა იაკოვ ტიტიჩმა, — ცარიელი სხეულით ვერაფერს დაგაკლებთ, ხოლო რკინა ჩვენ არა გვაქვს...

— მოდი, შორიდან გამოვქანდები, რომ სიკვდილი ვერ შეამჩნიო.

— გამოქანდი, უკვე რამდენი კაცი მოკვდა და სიკვდილი არავის არაფრად ჩაუგდია.

ჯარისკაცმა უკან დაიხია, ცხენი გამოაქანა და ფეხზე მდგარი იაკოვ ტიტიჩი ხმლით გაკვეთა.

სერბინოვი აქეთ-იქით აწყდებოდა, — უკანასკნელი ვაზნა თავისთვის დაეტოვებინა და დროდადრო რევოლვერის მექანიზმს შეშინებული ამოწმებდა, ვაზნა შიგვეა თუ არა.

— ვეუბნები, მოგკლავ-მეთქი, და აჩეხე კიდევაც, — უთხრა სერბინოვს მხედარმა და ხმალი ცხენის ბალანზე შეაწმინდა. — მაშ რა ეგონა, ცეცხლით რომ იბრძოდა.

მხედარი ბრძოლაში ჩაბმას არ ჩქარობდა, თვალით დაეძებდა, კიდევ ვინ მოეკლა, დამნაშავე ვინ იყო. სერბინოვმა რევოლვერი მისკენ აღმართა.

— რას შვრები? — არ დაიჯერა ჯარისკაცმა. — მე ხომ შენთვის არაფერი დამიშავებია!

სერბინოვმა გაიფიქრა, ჯარისკაცი მართალს ამბობსო, და რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო, ჯარისკაცმა კი ცხენი შემოატრიალა და სერბინოვისკენ გამოქანა. სიმონს ცხენის ფლოქვი მუცელში მოხვდა, იგრძნო, გული როგორ ჩასწყდა და როგორ ცდილობდა კვლავ სიცოცხლის დაბრუნებას. სერბინოვი თავის გულს აკვირდებოდა და მისი ხსნა მაინცდამაინც არ სწადდა: სოფია

ალექსანდროვნა ხომ ცოცხალი დარჩებოდა, დაე, მისი სხეულის ნაკვალევი თავის წიაღში შემოენახა და თავად განეგრძო არსებობა. ჯარისკაცი დაიხარა და ხმალი არც მოუქნევია. მუცელი ისე გაუფატრა, მაგრამ იქიდან [illegible] გამოსულა — არც სიახლი და არც შიგნეული.

— თვითონ აპირებდი, ჩემთვის გესროლა, — თქვა მხედარმა. [illegible] რომ არ შემოგეტია, ახლაც ცოცხალი იქნებოდი.

დვანოვს ორი ნაგანი მოემარჯვებინა და ისე გამორბოდა, მეორე ნაგანი რაზმის მოკლული მეთაურისთვის აეღთმია. მას სამი მხედარი მოსდევდა, მაგრამ ისინი კირეიმ და ქეევმა თავისკენ გაიტყუეს.

— საით გარბიხარ? — შეაჩერა დვანოვი იმ ჯარისკაცმა, ვინც სერბინოვი მოკლა.

დვანოვმა პასუხი არ გასცა, ორივე ნაგანი დაახალა და ცხენიდან ჩამოაგდო, ხოლო თვითონ კოპიონკინის მისაშველებლად გაექანა, რომელიც სადღაც ილუპებოდა. ახლომახლო უკვე სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, ბრძოლამ შუა ჩევენგურში გადაინაცვლა და ცხენთა ფლოქვების თქარათქური იქიდან მოისმოდა.

— გრუშა! — გაისმა კირეის ხმა ველზე ჩამომდგარ სიმყუდროვეში. იგი მკერდგაჩეხილი იწვა და ძლივსღა ფეთქავდა.

— რა გინდა! — მიირბინა მასთან დვანოვმა.

კირეიმ სიტყვა ველარ ამოთქვა.

— მშვიდობით, — დაიხარა მისკენ საშა — მოდი, გაკოცო, რათა გულს მოგეშვას.

კირეიმ კოცნის მოლოდინში პირი დააღო და დვანოვმა ტუჩებში მისი ტუჩები მოიქცია.

— გრუშა ცოცხალია თუ არა? — ძლივძლივობით წარმოთქვა კირეიმ.

— მოკვდა, — უთხრა დვანოვმა, რათა ენუგეშებინა.

— ახლა მეც მოვკვდები, რადგან მომეწყინა, — ერთხელაც დასძლია თავს კირეიმ ამის სათქმელად და მოკვდა კიდევაც. გაყინული თვალები გახელილი დარჩა.

— შენ სახილველი აღარაფერი გაქვს, — ჩასჩურჩულა ალექსანდრემ, მზერა ქუთუთოებით დაუფარა და გახურებულ თავზე ხელი გადაუსვა. — მშვიდობით.

ჩევენგურის სივიწროვიდან გასისხლიანებული, მაგრამ კვლავ ბრძოლის ჟინით ანთებული კოპიონკინი უხმოდ გამოიჭრა. უკან ოთხი მხედარი მოსდევდა; მდევრები ქანცმილეულ ცხენებზე ისხდნენ. ორი მათგანი განცალკევდა. მათ ცხენები შეაჩერეს და კოპიონკინს სროლა დაუწყეს. კოპიონკინმა პროლეტარული ძალა შეატრიალა და მტრისკენ გააქროლა, უნდოდა, ახლოს მისჭროდა და ჯიქურ შებმოდა. მაგრამ დვანოვმა შეამჩნია, იგი სიკვდილისკენ რომ მიისწრაფოდა, ამიტომ ჩაიმუხლა, რათა უკეთ დაემიზნებინა, და ხან ერთი ნაგანით, ხან მეორით მხედრებს მოცელვა დაუწყო. კოპიონკინი როცა მდევრებს მიეჭრა, ისინი დაფეთებულ ცხენებს უკვე უზანგებზე ეკიდნენ; ორი ჯარისკაცი ძირს დაენარცხა, ხოლო ორს ფეხი უზანგში ჩარჩა და დაჭრილმა ცხენებმა ველისკენ გაიტაცეს, გვამებს მიწაზე მიათრევდნენ.

— საშა, ცოცხალი ხარ? — დაინახა დვანოვი კოპიონკინმა. — ქალაქში სხვისი ჯარია, ხალხი მთლად ამოჟლიტეს... მოიცა! სადღაც ტკივილი ვიგრძენი...

კოპიონკინმა თავი პროლეტარულ ძალას ფაფარზე დააყრდნო.

— საშა. ჩამომსვი. მიწაზე დამაწვინე...

დვანოვმა იგი ცხენიდან ჩამოსვა. პირველი ჭრილობებიდან გამონადენი სისხლი კოპიონკინს დახეულსა და ხმლებით დაფხრეწილ [illegible] ჭკვე შეხმობოდა. ხოლო ახალსა და თხიერ სისხლს გარეთ გამოჟონვა [illegible] მოისწრო

კოპიონკინი მოსასვენებლად გულაღმა დაწვა.

— საშა, პირი მოაბრუნე, ხომ ხედავ, რომ არსებობა აღარ შემიძლია...

დვანოვმა პირი გვერდზე მიაბრუნა.

— ჩემკენ ნულარ მოიხედავ, მრცხვენია. შენს წინაშე გვამად ქცეული რომ ვიწვე... ჩევენგურში დავყოვნდი და, აი, ახლა ვკვდები, ხოლო როზა მიწაში მარტო გაიტანჯება...

კოპიონკინი უცბად წამოჯდა და მეომრის ხმა ერთხელაც დააქუხა.

— ამხანაგო დვანოვო, ჩვენ ხომ მოგვკლიან! — მერე უსულო პირისახით მიწაზე დაემხო. მთელ სხეულში კი მხურვალებამ დაუარა.

პროლეტარულმა ძალამ მისი სხეული მაზარით ასწია და საითკენღაც, თავისი მშობლიური მხრისკენ, ველის მივიწყებული თავისუფლებისკენ წაიღო. დვანოვი ცხენს კვალდაკვალ მიჰყვებოდა. სანამ მაზარის კალთები არ დაიწყდა და კოპიონკინი ნახევრად შიშველი არ აღმოჩნდა. ახლა სხეული ჭრილობებით უფრო ჰქონდა დაჯიჯგნილი, ვიდრე ტანსაცმლით დაფარული. ცხენმა მიცვალებულს დასუნა და ჭრილობებიდან გამონადენ სისხლსა და სითხეს ლოკვა დაუწყო. რათა დაღუპული თანამგზავრის უკანასკნელი ქონება გაეზიარებინა და წყლულთა სასიკვდილო ნაჟური შეემცირებინა. დვანოვი პროლეტარულ ძალას ზურგზე შეაჯდა და ღამის სიბნელით მოცული გაშლილი ველისკენ დაძრა, დილამდე მიდიოდა. ოღონდ ცხენს არ აჩქარებდა; პროლეტარული ძალა ხანდახან ჩერდებოდა, უკან იხედებოდა დაყურ ისე ცქვეტდა, მაგრამ კოპიონკინი უკან დარჩენილ სიბნელეში დუმდა. ამიტომ ცხენი კვლავ თავისით განაგრძობდა გზას,

დღისით დვანოვმა ბავშვობაში ნანახი ძველი გზა იცნო და პროლეტარული ძალა ამ გზას გაუყენა. გზა ერთ სოფელზე გადიოდა, ხოლო შემდეგ მუტიოვოს ტბას ერთი ვერსის მანძილზე ჩაუვლიდა. დვანოვმა მშობლიურ სოფელშიც ცხენი ნაბიჯით ჩაატარა. სახლები და ეზო-ყურეები ყველგან განახლებინათ, საკვამურებიდან კვამლი ამოდიოდა; ხოლო მიწადქცეულ სახურავებზე გაბალდრული შამბნარი დიდი ხნის წინ მოეთიბათ. ეკლესიის დარაჯმა შუადღის მაუწყებლად ზარი ჩამოჰკრა და ნაცნობმა ხმამ დვანოვს ბავშვობის დრო-ჟამი გაახსენა. მან ცხენი ჭის ჩასადინართან შეაჩერა, რათა პროლეტარულ ძალას წყალი დაელია და დაესვენა. მახლობელი ქოხის მიწაყრილზე კუზიანი ბერიკაცი — პიოტრ ფიოდოროვიჩ კონდაევი ჩამომჯდარიყო. კონდაევმა დვანოვი ვერ იცნო, ხოლო ალექსანდრმა თავი აღარ გაახსენა. პიოტრ ფიოდოროვიჩი მზეს მიფიცხებულ ბუზებს იჭერდა და მერე წიწკნიდა, თანაც ამით ისეთ კმაყოფილებასა და ბედნიერებას გრძნობდა. რომ თავდავიწყებას ეძლეოდა და უცხო მხედარზე არ ფიქრობდა.

დვანოვმა მშობლიური სოფელი დაუნანებლად დატოვა. მის წინაშე კრძალული მინდორი უკაცრიელი სამკალივით განფენილიყო. მიწის პირიდან დაბე-

რებული ბალახის სევდიანობა მოილტვოდა, იქიდანვე იწყებოდა უიმედობის ძაუწყებელი ცა. მთელ ქვეყნიერებას ცარიელ ადგილად რომ აქცევდა.

მუტიოვოს ტბაში შუადღის ქარისგან აფორიაქებული წყალი ორჯერ ღელავდა; ახლა ქარი აღარ ქროდა, სადღაც შორს გაუჩინარებულიყო, ტალღები ტბის კიდეს მიადგა. თავისი ყრმობის გარიჟრაჟზე საშა ამ ტბაში იბანობდა, ეს ტბა ასაზრდოებდა, მამამისი ოდესღაც თავის წიაღში ამ ტბამ შეიწყნარა, ახლა კი დვანოვის უკანასკნელი და სისხლხორცეული ამხანაგი მიწის მარწუხებში იყო მოქცეული და ათეული წლების მანძილზე შვილს ტანჯვით მოელოდა. პროლეტარულმა ძალამ თავი დაღუნა და ფეხი დააბაკუნა, რადგან რაღაცა ბორკავდა. დვანოვმა დაბლა დაიხედა და ანკესი დაინახა, ტბის შემაღლებული ნაპირიდან ცხენს ფეხით რომ ჩამოეთრია. ნემსკავზე პატარა თევზის გადატეხილი, გამომხმარი ჩონჩხი ეკიდა; დვანოვმა თავისი ანკესი იცნო. ბავშვობაში აქ რომ დარჩა. მან სახეუცვლელ, მდუმარე ტბას თვალი მოავლო და ყურადღება დაძაბა, მამამისის ნაშთი ხომ კიდევ იყო დარჩენილი — მისი ძვლები, მისი ოდესღაც ცოცხალი სხეულის ნივთიერება, ოფლით გაჟღენთილი, ხრწნაშეპარული პერანგი, — მთელი სამკვდრო სიცოცხლისა და გულითადობისა ხომ კიდევ არსებობდა. იქ ჰქონდა ალექსანდრს განუყრელობის ვიწრო სამყოფელი, სადაც საუკუნო მეგობრობისათვის მოელოდნენ ამ სისხლის დაბრუნებას, ოდესღაც მამამ შვილს თავისი სხეულიდან რომ უწილადა. დვანოვმა პროლეტარული ძალა აიძულა, წყალში მკერდამდე შესულიყო, ცხენს არ გამომშვიდობებია, უნაგირიდან წყალში თვითონ გადავიდა სიცოცხლის განსაგრძობად და იმ გზის საძიებლად, მამამისმა ოდესღაც სიკვდილის შეცნობის წადილით რომ გაიარა; ხოლო დვანოვი იქით იმიტომ მიდიოდა, რომ სიცოცხლე ერცხვინებოდა უძლური, მივიწყებული სხეულის წინაშე, რომლის ნაშთი სამარეში იტანჯებოდა; მიდიოდა იმიტომ, რომ თვითონაც მამის არსებობის ჯერაც გაუმქრალი, მბჟუტავი კვალის ანარეკლი იყო.

პროლეტარულმა ძალამ გაიგონა, წყალქვეშ ბალახი როგორ აშარიშურდა, მერე მის თავთან ფსკერის ნალექი ამოიმღვრა, მაგრამ ცხენმა ჭუჭყიანი წყალი ღრუნჩით აქეთ-იქით მიმოფანტა და შუაში მოქცეული სუფთა ადგილიდან ცოტაოდენი წყალი ამოხვრიპა, მერე ნაპირზე გავიდა და შინისკენ, ჩევენგურისკენ, ნელი ნაბიჯით გაემართა.

ჩევენგურში ცხენი სამი დღის მერე მივიდა, იმიტომ რომ ერთ ლარტაფში დილამდის იწვა და ეძინა, ხოლო გამოძინებულს გზა გადაავიწყდა და ყამირზე დაეხეტებოდა, სანამ კარჩუკმა არ დაინახა და თავისთან არ მოუხმო. კარჩუკიც ჩევენგურისკენ მიდიოდა ერთ თანამგზავრ ბერიკაცთან ერთად. ბერიკაცი ზახარ პავლოვიჩი გამოდგა. იგი დვანოვს დიდხანს ელოდა, მაგრამ რაკიღა შვილობილი არ გამოჩნდა, მის წასაყვანად აქეთკენ თვითონ წამოვიდა.

ჩევენგურში კარჩუკმა და ზახარ პავლოვიჩმა ვერავინ იპოვეს, გაუკაცრიელებულ ქალაქში მოწყენილობას დაესადგურებინა; მხოლოდ ერთ ადგილას, აგურით ნაშენი სახლის წინ პროშკა მოჩანდა; მის კუთვნილებად დარჩენილი მთელი ქონებით გარემოცული იჯდა და ტიროდა.

— პროშკა, რა გატირებს, რატომ არავის შესჩივლებ, რა გაწუხებს? — ჰკითხა ზახარ პავლოვიჩმა. — თუ გინდა, მანეთიანს მოგცემ და საშა მომგვარე.

— მუქთად მოგგვრი, — შეჰპირდა პროკოფი და დვანოვის საძებნელად გაემართა.

1926-1929

# ლექსები

თარგმნა მედეა კახიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბლაგა დიმიტროვა
ბულგარელი პოეტი ქალი

### ერთი დალევით

ეს სიყვარული
ნუთუ იყო ისე ნამლევა,
რომ დავწყურვილდით
ერთი დალევით-
ან მაღალ ცაზე
რა ღრუბელი ჩადგა ამგვარი,
ერთი გადავლით დააბნელა
ჩვენი ცარგვალი.
ნუთუ დღესავით
სიყვარული არის ხანმოკლე,
მწუხრის შემოსვლით
ვისაც სული უნდა აღმოხდეს.

ნუთუ სიყვარულს
სული უნდა ისე აღმოხდეს,
ვერ დაინახოს
ცის ხომლებით სავსე სამოთხე.
წუთისოფელმა შენთან ყოფნა
თუ დამაცალა,
ბოლომდე დავცლი
სიყვარულის მწარე სამსალას.
მინდა შევიცნო
რასაც დღემდე თვალით ვუჭვრეტდი,
არის თუ არა სიყვარულის წყარო
უშრეტი.

### მაგრამ უშენოდ!

შენი ტრფიალი,
აღარ მინდა, ჩემს გულს ეფინოს,
ამიერიდან მსურს ვიცხოვრო
უტელეფონოდ.
არ ავიტკივებ არც ოცნებებს
შენზე ფიქრებით.
დაბორკილ ქარად,
ყინულწყალად გადავიქცევი.
უძილო ღამით
არ მექნება
სახე ფერმკრთალი,
ლაწვზე სინათლე
ლოწვზე სიწითლე
აღარ ამკრავს
ჩუმი შეფარვით.
ვეღარც სიკვდილი,
ვერც უძირო დარდი შემაკრთობს,
მაგრამ უშენოდ
ვეღარც ცაში ვიფრენ ვერასდროს.
მე არ ვიქნები ჰირვეული
ჰინჭყლი ბავშვივით,
ჰორიზონტივით არ ვიქნები
გულგადაშლილი;
ვერ დამიბნელებს მზიან თვალებს
ღამის იერი,
მაგრამ უშენოდ
მოკლე მექნება თვალსაწიერი,
აღარ მოგიცდი დაქანცული
გვიან საღამოს,
მაგრამ ვერც დილა შემომცინებს
კვლავ უსაბაბოდ.
ვეღარ ვიწამებ
მაცდურ სიტყვებს
ვიცი, მონურად,
მაგრამ ვერც ცეცხლი
ვერ გამათბობს ყინვის ლოლუას.
მე არ მოვკვდები,
შენი ერთი ცივი შეხედვით,
თუმცა სიცივით
სასიკვდილოდ ჩემს გულს ეხები.

## ჩემი ქალაქი

ჩემი ქალაქი გასაოცრად
არის წარმტაცი.
ქვეყანა ვ...
გადავვლახო, გინდა ზღვა მკაცრი,
ვერსად ვიპოვი ასეთ ლამაზს
თვალწარმტაც ქალაქს,
ჩვენს ჩუმ შეხვედრებს,
ჩვენს იდუმალ
ფიქრებს რომ მალავს,
საითაც წავალ,
თვალს შევავლებ შიშველ ქვაფენილს,
ფიქრში ვაცოცხლებ ფრთხილ ნაბიჯებს
ფეხქვეშ დაფენილს.
ჩვენს ძველ სილუეტს ინახავენ
ძველი კედლები.
ჩვენი სიტყვებით ჩურჩულებენ
გზაზე კედლები.
ის გულისცემა კვლავ ჩა...
მძინარე ქუჩებს.
თვალებს ვაცეცებ, იქნებ გზაზე
გამოჩნდე უცებ.
ვაითუ შემომხვდე
უცხო ქალთან აიდმე ხელკავით,
წარბი შეყარის,
გაგეცალო დარდით შემკრთალი,
მაგრამ მე მაინც
ვერ შევხვდები გულგრილად ქალაქს,
ჩემს ძველ ხვაშიადს,
ჩემს იდუმალ ფიქრებს რომ მალავს!

## სიყვარულის მწვერვალი

ისინი ჩუმად სხდებიან სკამზე,
ჩამოყრდნობიან ერთმანეთს მკლავზე.
თუმც ნაბიჯები ულარავთ უპეს,
რწმენა, იმედი ვერ გადაუპეს.
ჩაქრა გული ქმ
წავიდნენ დრონი,
ტკივილნარევნი
შემორჩნენ ორნი.
ისინი ერთად პოვებენ შვებას
და სიბერესთან
არ ძალუძთ შებმა.
გადაივლიან თუ ქუჩას საშიშს,
სხივი უდგებათ
ჩანაცრულ თვალში.
მათ ერთმანეთი
ხელიხელ დაჭყავთ.
ცალ-ცალკე
თავს გრძნობს ორივე საწყლად.
გადურჩნენ ბედად
ავ ბედისწერას,
და ერთმანეთი
კვლავ უყვართ წრფელად.
ნეტავ თუ შევძლებთ
ჩვენც ამგვარ ფრენას!

## იმეორებდი

იმეორებდი
ჩემა სახელს შვებით,
კოცნით მავსებდი
ხანგამოშვებით.
მეძახდი სახელს
სულის მოთქმამდე,
რომ ცხადად გვეგრძნო
ყოფნა ორთავეს.
მე დრო არ მქონდა
ამის მიხვედრის,
ახლა დღე დადგა
უკან მიხედვის.
დღეს მე შევძელი
თვალის ახელა,
რადგანაც დრო მაქვს
თავზე საყრელად.
მახსოვს, გიჟივით
სუნთქვაშეკრული,
როგორ ვყვიროდი,
„ჩემად მეგულვი"!

ის შეძახილი
გულს ახლაც ლახვრავს.
მე მინდა ის დღე
ვირწმუნო ახლაც,
რომ მე ვიყავი
მაშინ ის ქალი,
ვისი ტრფობითაც
იყავი მთვრალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთგულება

შენი ფეხის ხმა
მის ფეხის ხმაზე
უფრო სანდო,
შენი მკლავები
იმედიანი
გულში ექვს აღნობს.
სითბო, ალერსი
უხვად გაქვს ჩემთვის
შემოწირული,
იცი, რომ ჩემი უგულობით
ხარ განწირული.
რა ვქნა, სხვის ბილიკს
გულის კანკალით
ვუწყობ ნაბიჯებს.
მისი ფეხის ხმა
ჩემი გზებიდან
ვეღარ ავლიჯეს.
ჩემი თვალები
ძილ-ღვიძილშიც
მისკენ მახედებს.
მის თბილ ხელებში
ვათბობ მხოლოდ
გრძნობით ამ ხელებს.
მე არ ვითხოულობ მაგიერში
ალერსის პასუხს,
რამდენს მიბრუნებს,
რას მიბრუნებს
ვიცოდე არ მსურს.
ის წამი არის გატაცების
ერთგული რჩება,
მოუხელთებელს აფასებს და
ბედს ეურჩება.
მაგრამ საყვარულს
დრო ვერ აფერის
ვერ გამიქარვებს,
ვერ შევეელევი,
არ შევალევი,
არ შევეშვებ
გულში ამ ქარებს.
არ ვიცი ცხადში
თუ მოგონებით
მიძგერს ეს გული,
ან იქნებ უფრო
ჩემივე თავის
მე ვარ ერთგული.

## ხვალამდე!

— ხვალამდე! ამბობ და
გადიხარ მაშინვე.
მე შეშინებული
თვალებით გაცილებ.
ძალიან შორია
მანძილი ხვალამდე,
წუთს მრავალს და საათს
უშენოდ გავათევ
ხვალამდე დღე უნდა
უგულოდ დაღამდეს.
პულსს ვეღარ დაგითვლი
მცხუნვარე მაჯაზე,
ვერც შუბლზე ცვალებად
შუქ-ჩრდილებს შევამჩნევ,
ვერც შენი ფიქრები
მოაღწევენ ჩემამდე.
ხვალამდე მწყურვალ კაცს
წყალი რომ მოგწყურდეს,
წყაროს ვერ მოგაწვდი
გინდ ვიყო მოსურნე
— ხვალამდე! ბრძანებ და
სიტყვა ველავ დამსუსხავს,
ვერც ამჩნევ,
რომ დუმილს გადევნებ პასუხად!
და მინდა სიტყვა „ხვალ“
გულს არ ხმალიყლეს,
ჩემს გვერდით დარჩე და
არ მითხრა — „ხვალამდე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიყვარული

ლაღად სიარულის
ხალისი დავკარგე,
თავდაჯერებული
სიცილი დავკარგე.
სულში განფენილი,
სიმშვიდე დავკარგე,
უნისლო მზერა და
სიზმრები დავკარგე.
უდრეკი სული და
სიკერპე დავკარგე.

წარმტაცი დღეების
ბილიკი დავკარგე.
მაცდური სიტყვების
შეგრძნება დავკარგე,
შემთხვევის წყალობის
იმედი დავკარგე.
დავკარგე და გრძნობის
გულუხვი მდინარით,
ავივსე და გავხდი
მდიდარზე მდიდარი!

## ეს იმიტომ რომ

მაფრთხობდა მუდამ
პაწაწა ჩრდილი,
ჩუმი სიჩუმე
კარს შემოჭრილი.
ვერც ნიავ ქარის
ქროლის შიშს ვძლიე,
ეს იმიტომ რომ
მიყვარდი ძლიერ!
რატომ ვწუნობდი
მცირე ლხინს, ვერ ვხსნი,
რად არ მათბობდა
ან მცირე ცეცხლი.

ვერც დროის სრბოლა
მიცვლიდა იერს,
ეს იმიტომ რომ
მიყვარდი ძლიერ!
ბევრის ძებნაში
დავკარგე მცირეც,
და ზეცის რისხვა
ვერ ავიცილე,
დავთმე, რაც ლხენა შემომაძლიეს,
ეს იმიტომ რომ
მიყვარდი ძლიერ!

## სწრაფვა

სულ ახლოს მოდი,
ძალიან ახლოს,
ცეცხლის ჩაქრობა
ორივემ შევძლოთ.
თრთოლვის დაცხრობა
ორივემ შევძლოთ.

წყურვილის მოკვლა
ორივემ შევძლოთ,
შეუცნობელის შეცნობა შევძლოთ,
რომ გამჭვირვალე გახდეს სიმთვრალე,
რომ არაფერი ხელს არ გვიშლიდეს,
რათა ვიპოვოთ სულის სიმშვიდე.

## სიყვარულის წილ

ეს განშორება
იყო მარადი,
დავშორდით წყნარად,
დავთავთავადდით.
სიტყვის და მზერის
გაუცხოვებამ,
უცხო გახადა
ჩვენი ცხოვრება.

მერე ერთმანეთს
შევხვდით საღამოს,
რომ გვეთქვა
„გტოვებ სამარადჟამოდ"!
გვეგონა რაკი ღამე ჩამოწვა,
დავამთავრებდით სათქმელს
სამ-ორ წამს.

მაგრამ ანაზდად
მივხვდით ორივე,
რომ დიდ სიყვარულს
ვერ მოვერიეთ!
როგორც ცის იქით დასალიერი,

გულებს გვინათებს
ცა ხვავრიელი,
არის ქალივით [illegible]
გრძნობა, არც [illegible]
კვდება რომ[illegible]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მზის შვილი

როცა თავს ავწევ,
თვალებს მაფეთებს სავარსკვლავეთი,
ღამის სათევად პირისპირ ვრჩები
ცასთან კვლავ ერთი!
ღამით წკარუნით ჩამოიღვაროს
დაბლა ცა ღამის,
მიყვარს სამყაროს მოსალმება
ჩემი სალამით,
და წვეთწვეთობით
უკიდეგანო სამყაროს ძახილს,
მის ხმას და მზერას
გულზე არეკლილს,
ჩემს ფიქრებს ვახლი.

ვამბობ, თუ მზეა
მშობელი დედა წუთისოფლის,
მაშ, ჩემი დედაც მზე ყოფილა,
დედა მშობელი.
თუმც სიყვარული
დრომ სასტიკი ხელით ჩაჩუმქრა
და ტკივილები დაუტოვა
ჩემს გულს საჩუქრად,
მე მაინც მიყვარს ძველებური
ცეცხლით და ვნებით,
მკერდით ვატარებ დიდ სიყვარულს
და აღარ ვკვდები,
რადგან მზემ მშობა,
ქვეყანაზე გავჩნდი მზის ნებით!

## ხავსე კეშვი

მე მკლავებს გიწვდი
ვით ვაზის ყლორტებს,
რომ წრეგადასულ
ალერსით მოვკვდეთ.
თვალები ჩემი
არის ორი ტბა,
დალიე, თუკი
წყურვილს მოიკლავ!
დაე გულგრილი
მზერით მიცქირე,

არ მეშინია
შენი ქირქილის.
მთვარე თავზე რომ
სხივებს გადვრიდა,
გიძღვნი ცის სინით
ზეცის თაღიდან.
შენს გულში გრძნობა
რომც გამოთავდეს,
გაგვათბობს ჩემი
ცეცხლი ორთავეს.

## ნუთუ

ნუთუ შენ ჩემთან ხარ,
ნუთუ შენ მოხვედი,
ვიდაც არ გინდოდა
კვლავ ჩემსკენ მოხედვის.
არ ვიცი რად ვუცდი
პაემნის ახალ დღეს.
არ ვიცი, რად ვჩქარობ,
დღე ჩქარა დაღამდეს.
მიმწუხრზე მოგელი

დანიშნულ საათზე.
რომ გული კაშკაშა
სინათლით განათდეს.
როგორც კი ვიდროვებ.
შენ მოხვალ ბინდბუნდზე,
მოხვალ და აღარ მსურს
კვლავ უკან მიბრუნდე.
ლოდინის წუთები
მოღელავს ზვირთებად

და შენი დაკარგვის
შიში კვლავ იზრდება,
თუმცა ისევ ჩემთან ხარ,
თუმცა ისევ მოხვედი,
მაინც მაქვს სურვილი
კვლავ უკან მოხედვის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყვირილი

მე როცა წავალ,
შენ მოხვალ მაშინ
და ჩემს ნაბიჯებს
ნელ-ნელა წაშლი.
შენ როდის მოხვალ?
როდესაც ველარ
დაგლანდავ ცოცხალს!
როდის შემამჩნევ?
ჩაგივლით როცა
ორთავეს ერთ დღეს,
თვალების დახრას
მორჩილად შევძლებ.
მომიხმობ როდის?
როცა მიხვდები,
ეკიდება ჩემს სახელს ობი.
მწყურიხარ, სურვილს
ვერ ვუკლავ ვეღარ.
გამომიწოდე ხელი და მიხდე.
ვიდრემდე გულის
კარი მაქვს ღია,
თორემ ხვალ უკვე
იქნება გვიან

# იანა მორავცოვა

ჩეხი პოეტი ქალი

## მცირე ბალადა

ოდესღაც დიდი გამარჯვების
და მარცხის თავზე,
როცა ორთქლმავლის ანაორთქლით
სადგურებს რთავდნენ.
და სემაფორი
ბრძნული თვალით
უმზერდა შპალებს,
მეც შევყურებდი
შპალებს, ზეთით და სევდით
მთვრალებს
რომლებიც ჩუმად გვიმტკიცებდნენ
მუდამ ერთსავეს,
რომ ავცდებოდით,
ავცდებოდით სადმე ერთმანეთს.
პოეტი ამ დროს
სონეტს წერდა
შეტაკებაზე
— არა ვნებაზე!

## მატარებელი

გზაზე დავლანდე
ბევრი სისრე,
ბორბლების ხმებით.
უცხო გზების
ხმებით ავივსეთ.
ხევი, ალმართი
დასაძლევი არის რომელიც
მდინარეები ვისაც არსად
არვინ მოელის.
ჩვენ გადავლახეთ
შეუპოვარ გამბედაობით.
იმ მატარებლით,
ვინც დაცურავს
სიზმრის ქვიშში.
არავითარი არ არსებობს
სადაც სადგური
და სიჩუმეა
გზებზე გაბმული!

## რელსები

როგორც წერტილი
წრეწირის ირგვლივ,
რომელიც მიჰქრის
და უცებ მიშით ძოემწყვდევა
გზების წინაშე.
რელსით შექმნილი
ჩვენ მას გვერდს ვუვლით
ახლა კი ყველგან
უფრო კარგად [illegible]
კერძო რკინიგ[illegible]
ყოველი მისი
შორეთი და დაბოლოება.

## პატარა ოდა

ხარ იდუმალი,
სინათლე ხარ მიუწვდომელი,
ულრანი ტყე ხარ
ქარიშხლის და
ელვის მდომელი.
შენ შორს ხარ თითქოს,
ერთი შეხედვით,
გაჩეხილია გზა გაზაცხულში.
ჩვენ კი ვერ ვხვდებით,
ზამთარში ბილიკს
ფარავს ნამქერი,
დიდებულ ტყეში
ემუქრება სიცილს გაქცევა.
აქ ბატონობენ
მგლები, მწყრები
თავთავის გზით და
ბედისწერებით

## ამინდის ცნობის დამატება

თევზისფერი ღრუბელი
მიქრის ჩქარა-ჩქარა,
შენ არა ხარ თევზი
და არც კიბორჩხალა.
მცხუნვარე მზე ციდან
ოქროს სხივებს აფრქვევს,
მომიშორებ გზიდან,
თუ კვლავ მეტყვი სათქმელს?
მაღალ მთაზე აზორის,
ვით ხდებოდა წინათ,
ისევ გაიხმაურებს
სიყვარულის წვიმა.

## მელანქოლიური აკვარელი

მინდა გჯეროდეს,
კვლავ ყველაფერი ისე დარჩება,
ეს ხეივანი —
ჩამოყრილი ფოთლები ქარვის,
წაბლის ხეებქვეშ
მოყავისფრო წვიმის წკარუნში
ხავერდი დაბლა გაფენილი.
როგორც ნახატი,
ისე შეშლება
ეს ყველაფერი
ასე ძველი და ასე ახალი.
იმ თმებსაც
ასე წაბლისფერი
ფერი ეთქმოდა.

## ზამთრის შემდეგ

მშვიდობით!
ჩემო დათრთვილულო ქალბატონო,
ო, მაპატიეთ
მატარებლების მოძრაობის
ჩემი მკაცრი განრიგისათვის
ლალატის წიგნში რომ მიწერია,
რომელიც ნიშნავს ყინულებიდან
აღდგომას ჩემსას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამიშვებთ მე თუ
არ გამიშვებთ?
ანდა რამდენჯერ?
ჩემი მუდმივი სიზმარი კი
მუდამ ეს არის,
დიეზებიან პარტიტურაზე
ბაბუაწვერას წავაწყვეტო
ყვითელი თავი
და სალამურზე ოდნავ მეტი
გრძნობით დავუკრა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მეგობრის ხსოვნას

როდესაც ჩუმდება
ირგვლივ ყველაფერი,
დღე ქრება
მწუხრისფრად შენაფერი,
ყოველთვის, ყოველთვის
ამჩნევს გული,
ყველას რაღაცა გვაქვს
წაგებული.
რა ვუყოთ, ჯიბეებით დამაქვს თუკი
ვადაგადასული თამასუქი,
ისმის მუხრუჭების ცისფერი ხმა,
დამაქვს სადარბაზო ბარათები,
ჯიბეში უიმედოდ ლამეგანათევნი.

## თავბრუდამხვევი წამები
### სიყვარული

ლექსი გულების გამოძახილია,
ლექსი სანახევროდ
რწმენის სახმილია,
რომელსაც ასხია რტოები ახალი,
ამდიდრებს ცოდნის ხეს
და შვებით დახარის,
შემდეგ შორს დარჩება
აუცილებელი,
გასაოცარი და გაუმხილებელი.

## განშორება

არ დნება თურმე,
როგორც თოვლი
ჩვენი ბავშვობა,
არ ფანტავს ქარი,
არც მოუწევს
ბნელში დაშთობა,
საავადმყოფოს ცივ კალოშებს
კუთხეში ვაწყობ
და ძლივს ვშორდები
მომაკვდავი
დედის თბილ საწოლს.

## დიალოგი

გკითხავ — რა იყო
ქვეყნად ჩემამდე?
ვიცი: პასუხი ფიცხლად იელვებს,
მხოლოდ და მხოლოდ
სიცარიელე!
მე ველოდები,
დაიჩურჩულებ:
— იყო უწოტო მელოდიები
და მარტოობა.
ჰო, კიდევ მართლა,
სიცოცხლის წლები,
წლები მრავალი,
რისიც ვერ შეძლო
ვერავინ დათვლა!

## გაზაფხული, საავადმყოფო

მაღლდება მგრძნობიარე ტონი,
ჰორიზონტამდე რომელიც ქათქათებს.
ამასობაში მზე კურნავს ქუჩის
ზამთრისგან ნაჭრილობევს და ნაიარევს,
მე კი გამოვრბივარ
საწოლისათვის.
ნაკვეთში ათქვეფილი [illegible]ვისათვის,
[illegible]ლიც განკუთვნილი [illegible]ს მხოლოდ
სი[illegible]ული — [illegible]ებისთვის.
მაღლდება სევდიანი ტონი
ქათქათა ჰორიზონტის კართან.

## მცირე ევოლუცია

თეთრი ნავები და —
ჩვეულად შეგროვილი
ფაშატები
თბილ ზურგებს გვთავაზობენ,
უზანგზე ფეხი შევდგათ ამჩატებით.
ვეძახი, დაძახილზე მოქრის რაში,
ნიავი მეხმარება შეჯდომაში,
ვინ არის ყოველივე
ამის მოწმე?
ეს მე ვარ!
ნურც ნურავინ გაიოცებს.
— ვის მიჰყავს თეთრი ნავი?
მკითხავს ქარი.
ეს მე ვარ! ნიავივით ონავარი.
[illegible] ქაფს აშხეფებს,
ბრაზობს თითქოს,
წვეთებს ცხვირში ახლის
[illegible] კიჩოს,
[illegible] ხმელეთზეო,
ყვირის ქარი.
ეს მე ვარ,
ლელქაშში რომ მივიჩქარი.

## მცირე წაგება

ეცაბედად, უსწრაფესად,
სულ უბრალოდ, სულ,
როგორც ხელისგულზე ბუმბულს,
შეუბერავ სულს,
წაგებაა უწყინარი
და ყველასთან უცებ,
ლაპარაკობს შენობით და
[illegible] ქალებს,
ჩუმი ზოდიაქოს ნიშნით
ხარით შენიღბული მთვარე,
ვარსკვლავიან დაპირებებს
ციდან ჩუმად უთვალთვალებს;
დაპირებებს რქებზე იცვამს,
უიმედოდ მოქრის ციდან.

## მცირე გაკვეთილი

კონტინენტსა და იმ კუნძულს შორის
სიყვარულზე რომ
ვსაუბრობთ ორნი,
სანტიმეტრია ათეული
მე და შენს შორის.
გადაჭიმული ზღვა ამშვენებს
თვალუწვდენ შორეთს.
ზღვაზე ამ სივრცის გადაცურვა
[illegible]ც, გუშინაც
[illegible]ლებოდა ალბათ უშიშრად.

## წუწრვილი

თვითმფრინავს მისდევს
მოთეთრო ზოლი,
ვერ აფრინდება რომელზედაც
აფრენის მდომიც.
გაზაფხულის დღე ჰაერში ურევს
შიშით შეწოვილ
კარტოფილის ფორჩების სურნელს.
სადღაც შორს
[illegible] ხედავს მფრინავი,
[illegible]მვლობის ბურუსს,
[illegible]ორის გაფანტულს
წლების ნიავით.

## გამოთვლა

როდის დაბრუნდება
ჰალეის კომეტა,
ჩვენ ვიცით წვრილად,
მაგრამ ამ მომენტში
სად არის, არ ვიცით,
ვის თავზე ბრწყინავს?
სიცარიელეში
ლექსად ჩაიქროლა იქნებ,
სტროფები განსაზღვრა ზუსტად,
ასტრონომიულად
გამოთვლილ ციფრებს,
იქნება გავწყვიტო უცბად
სტრიქონთა რიგი.
როდის დაბრუნდები,
ჰალეის კომეტა,
სადა ხარ;
ვერ გხედავ ირგვლივ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თამაში

შენთან ლექსის გამოვაგზავნი
ძალიან მოკლეს,
პასუხის უკან დაბრუნებით
დაგიგებ ხაფანგს.
სხვა ვინ იფიქრებს
უკეთესს სხვა ფანდს.
სიტყვების ნაცვლად
სამ წერტილს დავსვამ...
შენ გაურს თუ არ გსურს,
დამიწერ პასუხს,
მორზეს ანბანით
ან სხვა ბოდვებით,
მე კი, ძვირფასო,
გამოვსწორდები,
და მომავალში
მადლობის ნიშნად
გამოგიგზავნი
სამ კითხვის ნიშანს!

## საშობაო გზა

თეთრი სიმშვიდე თეთრ ფერდობზე
მაგნიტურ
უმოძრაობის გზა შიშისმგვრელი,
გზაზე წკრიალა ხმით ირღვევა
თეთრი სიჩუმე,
მე ცოტა ტირილს,
ცოტა სიცილს
შენგან ვიჩუქებ,
და საშობაო ჰოროსკოპის
ჩუმი სინაღდე
გვპირდება ყველას ჩაფიქრებას
შიაბის წინადღეს.
ჩემში შემოდის შენი ფეხის ხმა
და ირგვლივ თეთრი შიში შეირხა,
ჩემს ყურს არ წყდება
შენი ალილო,
მიტომაც არ მსურს
სიტყვა გავილო.
ვერ შემოვბრუნდი
შენკენ ხალისით,
ხარ თუ არა ხარ, ისიც არ ვიცი,
მარადისობის საათის წიკწიკს
ეხება გულის სიმი და იწვის,
უჩუმარ ძალამ უცებ მიგანა,
შორს გადამტყორცნა როგორც ისარი,
ახლა ჩავკვრივარ მიწის სიმრგვალეს
და ვცდილობ, სადმე
დაგეწიო გულუშიშარი.

## ღამის დაბრუნება

სამყარო ცურავს
ნელსაცხებლის სურნელებაში
და თავშიშველი ვარსკვლავები
ცაში ფრთებგაშლით
მე მარწმუნებდნენ
ყვითელი ხმებით,
რომ მე მარგუნეს
ცოდვილის ხვედრი.
შავ ხელებს აჭერს
პირდბუნდი შავი
უშავეს კლავიშს;
ზუსტად გაყვანილ
სწორ ტრასაზე
მთვარის მონეტას
ღამე თავისკენ მიაგორებდა.

# მიგელ ოტერო სილვა

## როცა მეტირება, არ ვტირი[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანურიდან
თარგმნა თეა გვასალიამ

ჩემს მამას — მიგელ ენრიკე ოტეროს

### რომაელი იმპერატორის საძაგელი, აღსარებაშერეული ქრისტიანული პროლოგი

„ნამდვილი ისტორიკოსი თუმცა წარმოსახვის დიდი უნარით უნდა იყოს დაჯილდოებული, მაგრამ არასდროს არ უნდა აჰყვეს ცდუნებას, თავის ფანტაზიის ნაყოფი რეალური ფაქტების გვერდით დააყენოს და ამით შეავსოს ისტორიაში არსებული სიცარიელე"

ლორდ მაკოლეი[2]

ოთხი მეომარი — სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო, მტკიცედ დარწმუნებულნი, რომ სადაცაა შეიპყრობენ, ბაზრის ვიწრო გასასვლელებში მიიკვლევენ გზას. ფრთებით შემკული ოთხი მუზარადი ამაყად მიცურავს შაშხის ოხშივარსა და მოხეტიალე ვაჭართა გამყინავ კივილში.

— აჰა, კოჭზე შესაბმელი ცისფერი ზონარი საყვარელი ეფებისთვის![3] გასინჯე დედა ვენერას რძეზე უტკბესი ფინიკი! გაისველე გამომშრალი ყელი შვრიის ნაყენით! მიირთვი ვაზის ფოთლებში გახვეული თაფლისკვერი! აილე გალიმებული დიანას პროფილიანი კამეა!

ოთხი წყვილი სანდალი კი მძიმედ მიაბიჯებს ქვაფენილზე და აფრთხობს რომის ძაღლებს და კატებს. ხანდაზმული ქალი — ვიგინდარებო, უმაქნისებო — ლანძღავს მეომრებს, თუმცა გამოცდილ თვალებს არ აცილებს ოთხ შარვლის უბეს, რიგრიგობით რომ ელავენ მისი ფარდულის წინ. ოთხი ძმა—სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო პირდაპირ მიაბიჯებს და არც გაზაფხულის ფერებად აჭრელებულ ღახლებს აქცევენ ყურადღებას, არც ვაშლის ყვავილის სურნელით ტკბებიან და არც ნარეცხი წყლის სიმყრალეს არიდებენ ცხვირს. ოთხივემ იცის, რომ ამაღამ არც ერთს არ უწერია ძილი, არც საკუთარ, არც ბაზრის ქალების საწოლში. ისინი ქრისტიანები არიან და ღედის შეკრებაზე გასჯდომიათ ძვალ-რბილში, თვით სიყვარულის ღმერთის ისარიც ვერ აიძულებს მათ უარი თქვან მოწამებრივ სიკვდილზე და წმინდანის შარავანდედზე.

1. „როცა მეტირება, არ ვტირი" — სტრიქონები ცნობილი ნიკარაგუელი პოეტის რუბენ დარიოს ლექსიდან „შემოდგომის სიმღერა გაზაფხულზე".

2. მაკოლეი, თომას ბაბინგტონ (1800—1857), ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე.

3. ეფები — ძვ. საბერძნეთში: 18-20 წლის ჭაბუკი.

სევეროსი, სევერიანუსი, კარპოფოროსი და ვიქტორინი იმპერატორის გვარდიის მეომრები არიან, ბრძოლაში ტახივით ძლიერნი და დაუნდობლები, გაჭირვებაში დიდი ცირკის სვეტებივით მოუდრეკელნი და აკვედუკის წყლებივით საიმედო, ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯარისკაცები. ისინი ქრისტიანები არიან, პავლესა და ორიგენეს მიმდევრები. ქრისტიანობა კარგა ხანია აღარ [illegible]ში მხოლოდ სისხლიანი სანახაობა, გავეშებული გარეული მხეცების [illegible]ბის ტრიალი. ხალხის ცნობიერებაში ქრისტიანობა ავტორიტეტულ რელიგიად იქცა.

სენატორი კორნელიუს სავინუსი, ტრიბუნის შვილიშვილი და სეხნია, რომელმაც კალიგულას მუცელში ხმალი გაუყარა და ამით დიდად შეუწყო მის ჩამოგდებას, უკვე განთავისუფლდა მარსების, მკერდმოშიშვლებული ვენერების, ავხორცი სატირების, მთვლემარე ჰერმაფროდიტებისა და ბერძნულ-რომაული უსარგებლო სამშვენისებისგან, რათა ააგოს იესო ქრისტეს ტაძარი. დოროთეოსი, დიოკლეტიანეს სასახლის უფროსი მსახური, გუშინდელამდე თავგადაკლული ეპიკურეელი, ახლა საბინასა და ფალერნოს მაჭარს კი არ მიირთმევს ნაბახუსევზე, არამედ ევანგელეს წმინდა სიტყვებით ფხიზლდება. მავრიციუსი, თებეს ლეგიონის ყოჩაღი მეთაური, ბრძოლის წინ ნაჩქარევად გადაისახავს ხოლმე შუბლზე მისტიკურ ნიშანს, ახალი რელიგიის ad aeternum[1] გამარჯვებას მოწმობს ძველისა და ახალ რელიგიას შორის მოჭოჭმანე სამასი სუბიექტის განადგურება და ოცდათორმეტი ათას ხუთას თექვსმეტი რომაული ღმერთის განდევნა ერთი ყოვლისშემძლე ღმერთის მიერ. წარმართობის ეთიკური, ფილოსოფიური და მატერიალური კატასტროფა თითქოს გარდაუვალი იყო, როცა იმპერატორი დიოკლეტიანე, გამორჩეული არაჩვეულებრივი ჭკუითა და სიკეთით, აჰყვა თავის სიძისა და თანამებრძოლის გალერიუსის რჩევას და ბრძანა...

I. სარკოფაგში გადაბრუნდები ამის გამგონი, — ბრდღვინავს დიოკლეტიანე.

II. გალერიუსი ერთი ბინძური ბულგარელი მწყემსი იყო. მე ვაიძულე იგი სამოცი დღე ზედიზედ განბანილიყო ჩემს აბანოებში და, როცა თხის სუნი საბოლოოდ მოსცილდა, ჩემი ასული ვალერია შევრთე ცოლად და ვქმენ კეისრად ანუ ჩემს მემკვიდრედ და ამგვარად აღზევებული გავგზავნე იაზიგების, კარპებისა და სარმატების შესამუსრად, რაც აშკარად უფრო ეამა, ვიდრე ვალერიასთან საწოლში გორაობა, რადგან ამ აუტანელ, განსწავლულ პედანტს ყველაფერზე შეეძლო კამათის წამოწყება, იმაზეც კი, როგორ სჯობია წამოწვე სანოვაგით სავსე სუფრასთან.

III. ქრისტიანობისადმი გალერიუსის სიძულვილი აიხსნება არა რასობრივი ან რელიგიური უთანხმოებით, არამედ ერთადერთი სურვილით, ჯიბრში ჩადგომოდა თავის პატივცემულ თანამეცხედრეს. ჰოი, რა ძნელი იყო შენი ატანა, ვალერია, შვილო ჩემო, ჯვრებს რომ კოცნიდი და კატაკომბებში დაძვრებოდი დედაშენთან, ანუ ჩემს მეუღლე პრისკასთან ერთად, წმინდა ეტრუსკული ცბიერით და ეტრუსკულივე სიჯიუტით რომ დაეჯილდოვებინა ბუნებას.

IV. ხოლო ჩემს დიდებულ სახელმწიფოებრივ აქტს — ბრძანებას გამოვესახეთ ყველა ატრიბუტით აღჭურვილი იუპიტერის დარად, ზემოთ მოხსენებულმა პრისკამ იმით უპასუხა, რომ მისთვის ყოვლად შეუფერებელ — იუნონას

[1] ad aeternum — სამუდამოდ (ლათ.)

ფორმაში წარმომიდგა და ოლიმპიური სიმშვიდით ცდილობდა ჩემთვის ცხოვრებისა და გამგებლობის მოშხამვას. დიადემამდე ამომივიდა ეს ყველაფერი!

V. გალერიუსი კი ყველა სიკეთესთან ერთად დაკრულიც ყოფილა, თუ ქურუმის შვილი იყო და დედის რძესთან ერთად შეითვისა ყოველგვარი ალქაჯობა და იმის რწმენა, რომ ქრისტიანობა ყველა ბოროტების სათავეა, კაცმა რომ თქვას, არც მეპარება ეჭვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. მოკლედ, Feminam quaerite ანუ Cherchez la femme![1], როგორც ის ველური გალები შიშინებენ თავიანთ ველურ დიალექტზე და ვირგილიუსის წმინდა ენას შეურაცხყოფენ.

VII. სად ჰქონდა გალერიუსს იმის ლოგიკა, ვინმე რამეში დაერწმუნებინა, მით უმეტეს მე, დიოკლეტიანე, რომლის წინაშეც შენ, გალერიუს, პრიაპოსის ფალოსივით გაჭიმული იდექი, რადგან ჩემს უპირატესობას ყველაფერში გრძნობდი, სამხედრო საქმეშიც კი, რომელიც საკუთარი ხუთი თითივით იცოდი და გიყვარდა. ხომ არასდროს დაგავიწყდება სექტემბრის კალენდები, როცა სპარსელებთან ბრძოლაში მე თავად მომიხდა ჯარს გავძღოლოდი და გადამერჩინე ნერსეს იატაგანისგან, საბრალო ვალერიანუსივით რომ გიპოვებდა დასაჭურისება.

VIII. ლეგენდა, რომელიც ქრისტიანების წინააღმდეგ ბრძოლაში მთელ ჩემს ცოდვებს გალერიუსს აბრალებს, მტკნარი სიცრუეა, ახალგაზრდა პოეტის ლაქტანციუსის მიერ მონაჩმახი. მუდამდღე Ora pro nobis[2] და მსგავსი სისულელეები რომ ეკერა პირზე, ლაქტანციუსი ცდილობდა თავისი რწმენა ოჯახური ურთიერთობის ეთიკასთან შეეთავსებინა. საქმე ის არის, რომ იგი აფრიკელი კი არ იყო, როგორც ცნობილია, არამედ ჩემი უკანონო შვილი გახლდათ კორნელიუს მაქსიმუსის ცოლის პეტრონია ეგკუნასგან და თუ გეტყვით, რომ ეს ქალი ნამდვილი მეძავი იყო, ამით არავის ვაწყენ, რადგან მას შემდეგ ჩვიდმეტი საუკუნეა გასული. ლაქტანციუსი ადგა და ქვეყანას მოსდო, რომ ერთი კეთილი მოხუცი ვიყავი და მხოლოდ გალერიუსის თავხედობამ და სიჯიუტემ მაიძულა მე, დიოკლეტიანე, მეხად დავტყდომოდი ქრისტიანებს, განმეძარცვა მათი საყდრები, მიმეტაცებინა მათი ქონება, დამეწვა მათი პერგამენტები და, რაც მთავარია, მეიძულებინა ისინი მსხვერპლი შეეწირათ ჩვენი ღმერთებისთვის.

IX. და თუ ვერც სოკრატეს მიმდევრებმა გამახვიეს თავიანთ ბადეში და ვერც პლატონის ყბედებმა, თუ ენაწყლიანმა პოლიბიოსმა, ბრძენმა კორნელიუს ლაბეუსმა და გველაძუა ბერძენმა ჰიეროკლესმა კუდი აიქნიეს ჩემ წინაშე, თუ ფეხებზე დავიკიდე არისტოტელეს სილოგიზმები, სტოიკოსების მორალი და მთელი იმდროინდელი სიბრძნე, ჩახჩახივით რომ მეფრქვეოდა ჩემს სოფლელ ხის თავზე და ჩამჩიჩინებდა კართაგენივით გამენადგურებინა და ამომეძირკვა ახალი სენი — ქრისტიანობა — ბრიყვი გალერიუსი როგორღა მოახერხებდა გავეხელებინე და ამ საზარელი სისხლისღვრისთვის წავექეზებინე.

X. არც გალერიუსი, არც სოფისტები, არც ჰარუსპიკები, არც შავი მაგიის შიგნეული, არც ღმერთების სეისმური პროგნოზები არაფერად მიმაჩნდა, ვაკეთებდი, რაც ჩემს იუპიტერულ ჭკუას სურდა. ასე კი იმიტომ ვიქცეოდი, რომ ჩემი წილმიხვედრილი გახრწნილი და დამპალი იმპერია გადამერჩინა.

[1] დამნაშავე ქალი; სიტყვასიტყვით: ეძიეთ ქალი (ფრანგ.)

[2] Ora pro nobis — ილოცე ჩვენთვის (ლათ.)

სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო გასცდნენ სასახლის გარყვნილ მარმარილოს, საყვირების გამყინავ ხმას, ბაზრის ყაყანს და აპიას გზას შეუდგნენ. არც რაინისკენ უჭირავთ გეზი, არც დუნაისკენ ან ევფრატისკენ. სამწყობრო ნაბიჯით მიემართებიან და მდუმარედ [illegible] გვერდს იქროსკულულებიან და ანტილოპასთვალებიან, შიშისგან ყურებ[illegible] ღორ მწყემს ბიჭუნას, რომელიც არაერთხელ შეუჯორავთ რომის [illegible]რუებამში თხების ძოვებისთვის. პირდაპირ მიაბიჯებენ. არც ბირდებსა და ხოხამებს ერიდებიან, არც ჰაერში მოულოდნელად აფრთხიალებულ მტრედებს აქცევენ ყურადღებას და არც ცაში უმიზნოდ მონავარდე მერცხლებს. გზა ოთხივე შესანიშნავად იცის. იქ, ზეთისხილის ჭალისა და მუხნარის უკან, რუხი მდინარის გაღმა მდებარე სქელტკანალიანი მთიდან ათიოდე ნაბიჯზე კატაკომბებში ჩასასვლელი საიდუმლო ხვრელია. დიდი ვაი-ვაგლახით აძვრენენ ხვრელში ფარებს, შუბებს, მუზარადებს, სანდლებს, იდაყვებს, თავებს და ჯვრიან კისრებს. ხვრელი ისე ვიწროა, რომ მხოლოდ მწყემსთათვის, ამ მოკლეტუნიკებიანი პლებეებისთვის თუ გამოდგება, ფეხშიშველები და უიარაღონი რომ დასუნსულებენ გზებზე.

სუნთქვაშეკრული ძმები ხელიკებივით მიცოცავენ სველ, დამრეცძირიან მღვიმეში და უკვე გვარიანად გათელილ თიხის ლაფში ეცემიან. ოთხზე დამდგარი სევერიანუსი ხელის ცეცებით პოულობს დათქმულ ადგილას დამალულ სანათურს და ანთებს მას IV საუკუნის სანათურის ანთების ყველა წესის დაცვით (მიდი და გაიგე, როგორ აანთო). ძმები ბნელი გალერეის ლაბირინთებში მიაბიჯებენ, კედლის ნიშებში სამარხებია და გვირაბი ლეშის სუნად ყარს. ძმები ინსტინქტით მიიკვლევენ გზას და მალე ჩირაღდნებით განათებულ ნიშში შედიან, სადაც მონოტონურად ლოცულობენ მიცვალებულს გარშემოხვეული ქალები.

მიცვალებული, როგორც ჩანს, მდიდარი ქრისტიანია, რასაც მისი სქელლანჩიანი სანდლებიც მოწმობს და მოტირალი ქალების ფაფუკი ვარცხნილობაც. ვიქტორინო თვალს ვერ აცილებს მიცვალებულს კი არა, მის ძმისშვილს — ფილომენას, რომლის სახელსაც ერთი საათის შემდეგ გაიგებს. ქალიშვილს მხრებზე დაფენილი თმა და ნათელ შუბლზე ორმაგად შემოხვეული საფირონებით მოოჭვილი ლენტი ამშვენებს, მკერდი ალისფერი ზონრით აქვს აწეული, რომელიც ალბათ ზედ ძუძუსთავთან ეკვრება. გარშემო მისი ერთგული ქალები, ქრისტიანი მხევლები ახვევია, ერთი მათგანი მის თმას უვლის, მეორე თვალებს უხატავს, მესამე მისი კბილების სითეთრეზე ზრუნავს, მეოთხე ილლიის ქვეშ თმას პარსავს, მეხუთე მკერდს ბანს წაბლა ცხენის რძით, მეექვსე ზურგს უზელს სურნელოვანი ნელსაცხებით, მეშვიდე — მუცელს, მერვე — ჟასმინის ესენციას უსვამს წელზე, მეცხრე — მის მტრედისფერ ფეხებს უვლის (ვიქტორინო, ყოჩაღად!), მეათე დილდილობით გუნებაზე მოსაყვანად მარციალის ეპიგრამებს უკითხავს, საღამოობით კი მალე დასაძინებლად — სტაციუსის ნაწარმოებებს.

მარცელიანუსი, უმაღლესი პონტიფიკი საცაა დაამთავრებს საქმეს: requiem aeternum.[1] რა უნდა ამ ოთხ ჯარისკაცს აქ, ასეთ დროს? Dona eis Domine.[2] თან რამდენი ჭორი დადის რომში. Domine exaudi vocem meam.[3]

[1] სამუდამო სასუფეველი (ლათ.).

წუხელ მესიზმრა, თითქოს ნუმიდიის ვეება ლომმა შემჭამა. et lux perpetua luceat eis.[1] ცალკე ეს ქემორიო არ მასვენებს, ამინ!

— მოხდა რამე, შვილნო ჩემნო?[2] — თოვლივით თეთრი წვერი უთრთის ღვთისმოსავ და ბრძენ, მაგრამ ამავე დროს მშიშარა მარცელინუსს.

სევერუსი, ძმათა შორის უფროსი, ამცნობს: ძალაში შევიდა დიოკლეტიანეს ბრძანებულება, ორმოცამდე ქრისტიანი აწამეს ამ დილით [illegible]. მადლი უფალს, ხმის ამოუღებლად გაუძლო სხეულის გვემას, უარი თქვა კერპთათვის მსხვერპლშეწირვაზე, იესო ქრისტე ხმამაღლა ადიდა და მიიცვალა ბედნიერი იმ შეგნებით, რომ სული მათი ზეცად ამაღლდება.

— ე! ნამდვილი ჰეროიზმი იყო, ძმაო, სულის ნამდვილი ზეიმი.

— და ყველა სამოთხეში მოხვდა, ყველა?

სევერუსი უარყოფის ნიშნად თავს აქნევს. ოთხი თუ ხუთი გატყდა წამებამ. სხეულის გადასარჩენად სული გასწირეს და ძველ ღმერთებს მსხვერპლი შესწირეს. ერთმა კი, წყეულმაც იყოს მისი სახელი, თქვა, რაც არ უნდა ეთქვა.

— რა თქვა? — ცახცახებს თეთრი წვერი.

— კარიბჭეზე ფეხით დაკიდებულმა, ქვიაზე შეშლილმა მიწაფე კაპრონიუსმა, შიშველ ზურგზე მუგუზალი რომ აუშიშხინეს, უარყო ჭეშმარიტი ღმერთი, თვით ეშმაკი ალაპარაკდა მისი პირით, გასცა ქრისტიანები და ჩვენს ეკლესიებთან და კატაკომბებთან მისასვლელი საიდუმლო ბილიკები. ძაღლიშვილს შესანიშნავი მახსოვრობა აქვს. მალე ალბათ აქაც მოგვადგებიან. ჩვენ მხოლოდ იმან გადაგვარჩინა, რომ, როგორც გამორჩეული მებრძოლები, წამებას ვესწრებოდით. მორიგი წამების დროს, ეჭვი არაა, ჩვენც გაგვცემს.

ვიქტორინო თვალს ვერ აცილებს ბიძის ცხედართან მოტირალ მშვენიერ ქალწულს. ქალიშვილიც წამით წყვეტს ტირილს და ფიქრობს, ვინ უნდა იყოს ეს მეომარი, რომელიც მზადაა ამ წმინდა ადგილას მისი სიყვარულით მოკვდეს. ვენერასა და ვულკანის (ან იქნებ მარსის) შვილის — კუპიდონის ისრები არც ახალ რელიგიას ეპუებიან.

— წყეულმაც იყავი, დიოკლეტიანე![3] — ხელებს ცისკენ აღაპყრობს მარცელინუსი, — არ გეყო, კეისრისა და ავგუსტუსის მძლავრი იმპერია ოთხად რომ გაჰყავი და დაამახინჯე? ახლა...

XI. — მოწყალეო იუპიტერო, — ღმუის დიოკლეტიანე, — კიდევ რომ რომის იმპერიის დიდებულებაზე და ერთობაზე ლაპარაკობს ეს სამშობლოდაკარგული იუდეველი. ესა, კიდევაც რომ იწუნებს ჩემს, ხუმრობა იქით იყოს და, გენიალურ პოლიტიკურ ნაბიჯს, მმართველობის ტეტრაქტიულ სისტემას და ქვეყნის ოთხად გაყოფას.

XII. მე იმპერატორად არ დავბადებულვარ (ამას ჩემი გარეგნობაც ადასტურებს). მამაჩემი კონსული არ ყოფილა, არც ბაბუაჩემი იყო სენატორი და არც დედაჩემი გახლდათ მსუბუქი ყოფაქცევის თავადის ასული, რაც ასე აუცილებელია პოლიტიკური კარიერისთვის. მე, უფრო მეზვრე ან მეღორე უნდა ვყოფილიყავი, ან უკიდურეს შემთხვევაში ჯარისკაცის გმირული სიკვდი-

[1] მიეცი მათ, ღმერთო (ლათ.).
[2] უფალო, ისმინე ხმა ჩემი (ლათ.).
[3] და დაუშრეტელი ნათელი მათ (ლათ.).

ლი მომიხდებოდა, რადგან დედაჩემი უბირი გლეხის ქალი იყო, მამაჩემი კი განათლებულიsuffix მონა, რომელიც ახალგაზრდობაში ნიჟარების მოსატანად ყვინთავდა ზღვაში.

XIII. მაგრამ მე ადრე სიყმაწვილიდანვე ვგრძნობდი, რომ რომის ხსნა ჩემს ხელში იყო, რადგან მარსის ქანდაკება ჩემს გამოჩენაზე ოფლს ღვრიდა ხოლმე, ერთ ღამეს კი, ელვის შუქზე, თვით იუპიტერი გამომეცხადა გამძვინვარებული ხარის სახით. მეც დავემორჩილე განგების ნებას და ჯარისკაცი გავხდი, თუმც ბავშვობიდანვე მეზიზღებოდა იარაღი, თავი ვაიძულე მაღალფარდოვანი სიტყვებით მესაუბრა, თუმცა მანამდე სამხიარულო სახლების ბილწ ენაზე ვლაპარაკობდი, ფილოსოფიურ და დიპლომატიურ ყაიდაზე აზროვნება დავიწყე, თუმცა ღვთისგან ბოძებული ჩემი აზროვნება იმით შემოიფარგლებოდა, რომ ქუჩაში ხმამაღლა ვლანძღავდი და ენას ვუყოფდი მაღალი წრის ქალბატონებს. მალე პრეტორიის გვარდიის უფროსად დამნიშნეს მე, ვისაც ყოველთვის მეჯავრებოდა პოლიციელები, და ბოლოს მახვილი ვაძგერე პრეტორიის პრეფექტს, მიუხედავად იმისა, რომ სისხლს ვერ ვიტანდი და დაჭრილი მწყრის დანახვაზეც კი გული მერეოდა.

XIV. და როცა მკვლელობათა მთელი სერიალის შემდეგ იმპერატორის ტახტამდე მივედი; სადღა იყო ოქტავიანესა და მარკუს ავრელიუსის დიდებული რომის იმპერია — ათასი ჯურის ბარბაროსებით გარშემორტყმული თვით იმპერიაც ნელ-ნელა ივსებოდა ამ ველურების შთამომავლებით, ტროას ცხენის მსგავს ვნებიანი რომაელი ქალების საშოებით რომ შემოიპარენ და დამკვიდრდნენ ჩვენს მიწაზე. აი ასეთი, გალატაკებული და დაცემის გზაზე დამდგარი სახელმწიფო მხვდა წილად მე, ტარქი, რომელიც აღარავის ხიბლავდა, რადგან იმპერატორობა იმხანად თვითმკვლელობის ტოლფასი იყო.

XV. ასეთი სახელმწიფოს მმართველობის სათავეები ავიღე ხელში და მტკიცედ გადავწყვიტე აღმედგინა დაქცევის გზაზე დამდგარი იმპერია, ხოლო თავად საკუთარ საწოლში მოვმკვდარიყავი ბუნებრივი სიკვდილით, რაც შეუძლებლად მოგვეჩვენება, თუ მოვუსმენთ უკანასკნელი 50 წლის სამგლოვიარო მარშებს:

ბრწყინვალე მმართველი და სანიმუშო შვილი — ალექსანდრე სევეროსი საკუთარმა ჯარისკაცებმა აკუწეს დედამის მამეასთან ერთად.

ავირგვინი გორდიანე I-მა დაიდგა, რომელმაც საკუთარი ხელით მოისწრაფა სიცოცხლე, როცა შეიტყო, აყლაყუდა მაქსიმინუსმა (მისი სიმაღლე 1. 90 სანტიმეტრი იყო) შენი მემკვიდრე, გორდიანე II მოკლაო.

მაქსიმინესა და მის მიერ კეისრად დასმულ მაქსიმუს ჯარისკაცები გაუსწორდნენ.

დადგა ბალბინუსის რიგი, რომელიც პრეტორიანელების წერა აღმოჩნდა.

გორდიანე III და მისი რეგენტი მისისტეუსი ფილიპე არაბმა მოიცილა თავიდან.

არ გასულა ცოტა ხანი და ფილიპე არაბი დეციუსის გვარდიელებმა დაკლეს, და მის ვაჟს ფილიპე არაბიკოს, თორმეტი წლის არც იქნებოდა საწყალი, რომაული ქიანჭველებით აუვსეს პირი.

დეციუსს საკუთარმა გენერლებმა უმუხთლეს და გოთებს ჩაუგდეს ხელში. ამ ველურებმაც არ დააყოვნეს და დეციუსს ნაწლავები დააყრევინეს.

გალუსიც consumatum[1] იქნა თავისივე ჯარისკაცების მიერ, რომლებიც შემდეგ ემილიანეს მიემხრენ.

რამდენიმე თვეში იგივე ჯარისკაცებმა, ამჯერად ვალერიანეს რჩევით, ემილიანეც გალიუსის გზას გაუყენეს.

პროგრესულად მოაზროვნე ვალერიანე სპარს სასახ[illegible]ჩაუვარდა ხელში. აზიელებმა იგი ნელ ცეცხლზე შეტრუსეს, [illegible]ან შემალეს, შემდეგ გარეული მხეცივით გალიაში შეაგდეს და ნაკუწ-ნაკუწ დაგლიჯეს. კაციჭამიები!

პოეტი გალიენე, ვალერიანეს ვაჟი, გენერალ ავრელიუსის მიერ წაქეზებულმა შეთქმულებმა მალე გაუყენეს მამის გზას.

კლავდიუს II-მ პირველად ავრელიუსზე იძია შური და სწორადაც მოიქცა.

კლავდიუს II ჭირმა თუ რაღაც საწამლავმა შეიწირა, ჭირის ნიშნებს რომ ჰგავდა.

შემდგომ ამისა მოგვევლინა ვინმე კვინტილიანე, რომელიც თავისი გარდაცვლილის ძმად ასაღებდა. იმპერატორის ტანსაცმელში გამოწყობილმა კვინტილიანემ ტახტზე ასვლიდან 17 დღის თავზე მოიკლა თავი, ვფიქრობ, კილაცების ხელის შეწყობით.

მოულოდნელად სარბიელზე გამოჩნდა რკინის ხელი — ავრელიანუსი, ამ pay roll[2]-ში ერთადერთი ღირსეული იმპერატორი, რომელიც მონადყოფილი მნესტეს ხელით დაილუპა, უკანასკნელი კი მალევე დიიტირეს გენერალ მუკაპორას აქტიური ჩარევის შედეგად.

ამის შემდეგ უხმეს ტაციტუსს, 75 წლის თავმდაბალ მოხუცს, თითქმის ძალით გაამეფეს და მალე თავიც გააგდებინეს.

ტაციტუსის ძმა და მემკვიდრე ფლორიანი ფიქრობდა, ჯარისა და სენატის გარეშეც ილია მართვაო და შეეწირა კიდეც ამ აზრს.

სცენაზე გამოჩნდა ფრთხილი და არცთუ ისე სულელი პრობუსი. მან ექვსი წელი გასძლო ტახტზე და როცა გადაწყვიტა დროა ჯარისკაცები მინდვრის სამუშაოებზე გავამწესოო, ჯარისკაცებმა არ დაიზარეს და შესანიშნავი მუხის კუბო გაუმალამინეს.

ერთი წლის შემდეგ უგზოუკვლოდ გაქრა კარუსი. ერთნი ამბობენ, მეხმა დაარტყაო, მეორენი ამტკიცებენ — სიმამრმაო.

ნუმერიანუსი, კარუსის ვაჟი, პრეფექტმა არიუს აპრიუსმა მოიცილა თავიდან.

სწორედ ამ დროს, მე შემოვიჭრები სცენაზე და, თხა [illegible] ნაკლები მგელმა შეჭამაო, აპრიუსს თავი გავაგდებინე, კარინუსი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, უკვე მოკლული იყო ერთი ტრიბუნის მიერ, რომელსაც მან ცოლი წაჰგვარა.

ახლა თავად განსაჯეთ, რა მხვდა წილად — აღზევებული იმპერია თუ ესქილეს ტრაგიკული ტრილოგია.

XVI. მეფეთხოცვისთვის ბოლო რომ მომეღო, ვისარგებლე ევკლიდეს თეორიით პროპორციულობისა და თანაფარდობის შესახებ, რომელიც სხვა ბერძნულ სიბრძნესა და ღილღილობით მორთმეულ ჯამხმარ ხილთან [illegible], მესმის საუზმე!) ერთად შემომაპარა სწავლულმა მონამ ათელს ფლაკუსმა ელემენტა-

[1] დასრულებული (ლათ.).

[2] გადასახადის უწყისი (ინგლ.).

რული არითმეტიკაც საკმარისია იმის მისახვედრად, რომ თუ ერთის მაგიერად ოთხი იმპერატორი იმეფებს, უთავოდ დარჩენის შანსი თითოეულისთვის 25 პროცენტამდე დავა. ხოლო თუ არც ერთი მათგანი რომში არ იცხოვრებს, დედაქალაქის მოსახლეობას, ყველაზე სისხლიან ხალხს მთელ დუნიაზე, ტა-ვიანთი სურვილის დასაკმაყოფილებლად, რაც იმპერატორის თავ[illegible]-თი და მისი ტიბრში გადაგდებით გამოიხატება, [illegible] საჭირო ორი ალალი სანოვაგით დატვირთულებს შორეულ მოგზაურობაში წასვლა მოუხდებათ. აქედან გამომდინარე სიკვდილის შანსი 5 პროცენტამდე მცირდება. ხოლო თუკი მაქსიმიანეს მილანში გავგზავნი, კონსტანციუს ხლორუსს გერმანიაში, გალერიუსს მომავალ იუგოსლავიაში, თავად კი ნიკომედიაში, მცირე აზიაში, ამ ლომბროზელებისგან[1] შორს დავიდებ ბინას, სიკვდილის შანსი მინიმუმამდე დავა.

XVII. აბა დავუფიქრდეთ, რითი იღუპებიან ჩვეულებრივ რომაელი იმპერატორები. ბრძოლაში გამარჯვებულ გენერლებს საკუთარი უძლეველობის გრძნობა თავში აუვარდებათ ხოლმე და ტახტზე ასვლისკენ მიისწრაფიან იმპერატორის თავიდან მოცილების გზით. მე გენერლები მჭირდებოდა, რადგან ეს ფრანკები, ბრიტანელები, გერმანელები, ბურგუნდიელები, ლუზიტანები, იბერები, გოთები, აღმოსავლეთ გოთები, სირიელები, სომხები, სპარსელები და და სხვა მეზობლები საკუთარი მიწების დასაბრუნებლად შუდამდლე ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდნენ. ამიტომ გადავწყვიტე ამომერჩია იმპერიის სამი უმამაცესი გენერალი (პირველი — ჩემი საუკეთესო და ერთგული მეგობარი, მეორე — ჩემი სიძე, მესამე — ჩემი საუკეთესო, ერთგული მეგობრის სიძე), ვაკურთხე ისინი იმპერატორებად. და თუმცა საიმპერატორო ძოწისფერი ხავერდით უხვად შევმოსე, ძალაუფლება მაინც ჩემს ხელში დავიტოვე.

XVIII. აი, რას წარმოადგენდა ოთხთა მმართველობა, ტეტრარქია — ეს იყო ოთხფეხა მაგიდა, რომელიც მხოლოდ ერთი ფეხით ეყრდნობოდა მიწას, ეს იყო აბსოლუტიზმი — უდესპოტოდ, ცენტრალიზმი — უპიპოდ, წრეწირი უცენტროდ. ეს იყო ცდა სახელმწიფო რეფორმისა, რომლითაც რომის კარგა ხნის წინ ჩამკვდარი ძლიერება თუ ვერ აღსდგებოდა (ეს ისევე შეუძლებელი იყო როგორც მთვარის ჩამოხსნა ციდან), მისი ნეშტი მაინც შელამაზდებოდა, როგორც ეგვიპტელები ამზადებდნენ საყვარელი მიცვალებულებისგან მუმიებს: რადგან მკვდარს მაინც არაფერი ეშველებოდა და გახრწნილი გვამის ყურებას მუმიის ცქერა ერჩივნათ.

სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო განთავისუფლებული გლადიატორის — კართაგენელი კასიუს კაიუსის ფუნდუკის სიღრმეში მდგარ მაგიდასთან სხდებიან. კასიუს კაიუსმა არენაზე შუბითა და ბადით მრავალი ბრწყინვალე გამარჯვების მოპოვების შემდეგ ეს პატარა ფუნდუკი შეიძინა, სადაც ღვინოსა და საუზმეს ჰყიდიან და რისკითა და ცხოველების ხოცვა-ჟლეტვით შეძენილი პოპულარობის წყალობით უბატონოდ ხმას ვერავინ სცემს. ეს შავი ხისგან გამოჩორკნილი ციკლოპი თავად ემსახურება მუშტრებს, ღვინის დოქებსა და ოხშივარადენილ ბატკნის ხორციან ხონჩებს დაათრევს მაგიდებს შორის და ფულს უზარმაზარ, ქამარზე ჩამოკიდებულ ტყავის ქისაში მალავს.

[1] ლომბროზო, ჩეზარე (1835—1909) იტალიელი ფსიქიატრი და კრიმინალისტი, რომელიც ამტკიცებს, რომ არსებობს ადამიანის გარკვეული ტიპი — რაღაც ბიოლოგიური ნიშან-თვისებებით ჩამოყალიბებული მკვლელი.

სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო თანხმობის ნიშნად თავს უქნევენ ნეაპოლელ ტრუბადურს, რომაული ტაძრების მუდმივ სტუმარს, და ისიც სალამურისა და სხვა ეგვიპტურ-რომაული ღმერთების თანხლებით ევედრება სატრფოს, რისხვა წყალობით შეცვალოს და სორენტოში დაბრუნდეს. ხმელთაშუა ზღვის შესაფერის რომანტიკულ ... მდგარი ძმები ძმარში ჩადებულ რვაფეხასა და თითო-თითო დოქ ფალერნოსის სქელ ღვინოს უკვეთავენ. გამობრძმედილ მეომრებსა და თავგამოდებულ ქრისტიანებს მაინც გული ეკუმშებათ მოსალოდნელი წამების გახსენებაზე. წამებულის შარავანდედი, თქმა არ უნდა, დიდი პატივია, თვალის დახამხამებას ვერ მოასწრებ და უკვე სამოთხეში აღმოჩნდები, მაგრამ ცოტა ნაადრევი ხომ არ არის სამოთხე, როცა ჯერ ოცდაათი წელიც არ შეგსრულებია, განსაკუთრებით ვიქტორინოსთვის, რომელიც უკვე ოთხი საათია შეყვარებულია და ნეაპოლური ჰანგივით ტკბილი სახელი ფილომენა თაფლივით ელვრება ხელში.

ხანდახან რაღაც წვრილმანზე წამოიწყებენ ლაპარაკს და თავს იტყუებენ— ვლაპარაკობთო, თავს იტყუებენ — ვჭამთ და ვსვამთ, თავს იტყუებენ — სალამურს ვუსმენთო, სინამდვილეში კი თვალს ვერ აცილებენ ქუჩაში გამავალ მარმარილოს კიბეებს, რომელიც სპირალურად მაღლდება და გარს ეხვევა იქაურობის მფარველ ვაკუნას ქანდაკებას, რომელსაც მარცხენა ხელში ყურძნის მტევანი უჭირავს, მარჯვენა ხელის სამი თითით კი არცთუ სასიამოვნო კომბინაციას გიჩვენებს...

პრეტორიის პოლიციის გამოჩენა ენითაუწერელ დაბნეულობას იწვევს სტუმრებში, რომელთა შორის, როგორც წესი, არც ერთი რომაელი არ ურევია. რა რჯულის ასიმილირებულ ბარბაროსს არ ნახავთ აქ: ბრიტანელებს, თავიანთი განუყრელი ძაღლებით, გალებს, რვაფეხას საცეცებს რომ ვერ სწყვეტენ მსუნაგ თვალებს, იბერებს, ორი დოქი ღვინის შემდეგ ხმამაღლა რომ წყვეტენ საშინაო საქმეებს, ლაბადაში გახვეულ სირიელებს, ბანქოს რომ ჰრიან და მოურიდებლად ბილწსიტყვაობენ. პოლიციის დანახვაზე სამარისებური სიჩუმე დგება, ყველა დარწმუნებულია, რომ მის წასაყვანად არიან მოსულები და მშვიდდებიან, როცა პოლიცია ოთხ მეომართან ჩერდება:

— ჩაგვაბარეთ იარაღი, თქვენ დაპატიმრებულები ხართ! — ყვირის პრეტორიელთა უფროსი.

— აღსრულდეს ნება ღვთისა! — ამბობს სევერუსი.

— მას ვაბარებ სულს ჩემსას! — ამბობს სევერიანუსი.

— დე, დაგვიმკვიდროს სასუფეველი მან! — ამბობს კარპოფორუსი.

— წადით, თქვენი დედაც... — აგვირგვინებს ვიქტორინო.

ამ სიტყვების შემდეგ 12 პრეტორიელი ძმებს ეცხრება და იწყება, მაგრამ რა იწყება. ჰაერში ელავს მაგიდები, სკამები, ხონჩები, წითელი ღვინო სისხლივით აჩნდება კედლებს. გალების ცოლები ვირთხებივით წრიპინებენ, იბერები, თავად არ იციან, რატომ, ბრძოლაში ებმებიან. სირიელები ჩუმად მიიპარებიან გასასვლელისკენ, რომ ფულის გადაუხდელად მიეფარონ თვალს. კასიუს კაიუსს თავისი კუნთები არც ახსენდება და ფიქრადაც არ მოსდის მიეხმაროს სტუმრებს. ეს ამოდენა კაცი გზააბნეული ბატკანივით კედელთან ატუზულა და pax vobis[1]-ო ბურტყუნებს გვარდიელებს ძმებთან ერთად იბერე-

[1] pax vobis — მშვიდობა თქვენდა. (ლათ.).

ბიც მიჰყავთ, გალებიც და ყველასგან პატივცემული ბრიტებიც. მთელი ეს ამალა ფუნდუკს ტოვებს და აბეზარი ტურისტებითა და მეძავეებით სავსე ქუჩაში ითქვიფება. მოშორებით მდგარი ხალხით გაჭედილი დიდი ცირკიდან ბრბოს ღრიალი ისმის. როგორც ყოველთვის, რომაელი და მილანელი ათლეტები ეჭიბრებიან ერთმანეთს, და როგორც ყოველთვის, მილანელები სამით ნოლს იგებენ. ო, რომო, მარადიულო და უცვლელო!

— სულ დიოკლეტიანეს ბრალია, — სლუკუნებს მეფუნდუკე, ცოცხალმკვდარი ან ცოცხალი და იქნებ ვინმეს ცხელ გულზე შემოვეუპატიურო, — ამ იმედით იატაკზე დაგდებული ქალის თანდასწრებით ლანძღავს იმპერატორს კაიუსი — თვითკმაყოფილი ტირანი, მხოლოდ თავის გარდერობზე რომ ზრუნავს და მდიდრულ აბანოებს იშენებს. რაში ენაღვლება მშრომელი ხალხი. თითქოს ჩვენ არ ვიყოთ იმპერიის მამოძრავებელი ძალა. გაუმაძღარი ურჩხული, მძარცველი, მთელი დღეები იმაზე ფიქრობს, როგორ დაგვბეგროს და დაგვაძაბუნოს!

XIX. არასდროს მიცდია ჩემი ეკონომიკური დოქტრინებით მომეხიბლა ვაჭრები — ეგ გაუმაძღარი ნიანგები, მორიელები ეგენი! პირიქით, სწორედ მათი ღორობის აღსაკვეთად მივმართე ჩემი დოქტრინები.

XX. ფულის კურსი მერყეობდა: ხან დაეცემოდა, ხანაც ავარდებოდა, მე კი ოქრო შემოვიღე ხმარებაში და მკაცრი სტანდარტი დავაწესე, რაზეც ადრე ფიქრსაც ვერავინ ბედავდა.

XXI. გადამყიდველები — გაუმაძღარი წურბელები სანოვაგეს ათმაგ ფასს ადებდნენ, მე კი მკაცრი კანონით ვაიძულე ისინი ყველაფერი თავის ფასად გაეყიდათ.

XXII. ზოგიერთი ერთბაშად შეიძენდა საქონელს, რათა დეფიციტი შეექმნათ და შემდეგ, როგორც სურდა, ისე ჰყიდდა, ისინი ულაპარაკოდ შევყარე საპყრობილეში და დავბეგრე, ვინც წინააღმდეგობა გამიწია — თავი წავაგდებინე.

XXIII. ჩემამდე პროდუქციას ყოველგვარი გეგმისა და ურთიერთშეთანხმების გარეშე უშვებდნენ. მე ვაიძულე კერძო მწარმოებლები დაეგეგმათ წარმოება და სახელმწიფოში მომგებიანი მანუფაქტურები შევქმენი.

XXIV. ადრე მმართველობის აპარატი მცირერიცხოვანი იყო და ვერც პატიოსნებით დაიკვეხნიდა. მე შევქმენი ეფექტური ბიუროკრატიული მექანიზმი, ავავსე ათასობით მოქალაქე და მათ ერთმანეთის თვალყურის დევნება დავავალე.

XXV. ქვეყანას პოლიტიკური არეულობის გამო პროგრესი არცთუ ისე ჩქარა დაეტყო. მე საზოგადოებრივი მუშაობის გეგმები შევადგინე და ყველა ქალაქში სკოლები და აბანოები ავაშენებინე, თანამემამულეთათვის სხეული და გონება რომ განმეწმინდა.

XXVI. და თუ სინამდვილეში ჩემი დოქტრინები დასაღუპად იყო განწირული, როგორც დაიღუპა და დაიღუპება ყველა ეკონომიკური თეორია რეალურ სინამდვილესთან შეჯახებით, მაინც მე მეკუთვნის ოქროს სტანდარტისა და ფასების კონტროლის, ეკონომიკის დაგეგმვისა და გადასახადების სისტემის პირველაღმომჩენის დიდება და...

XXVII. და ბრიტანული ლეიბორიზმისაც, დასწყევლოს მერკურიმ.

განიარაღებული სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო

ტრიბუნალის წინ დგანან. მახინჯი და დიდშუბლიანი ათენელი მოსამართლე, რომის სველ და სუსხიან ნოემბერში რადიკულიტმა რომ შეახსენა თავი, დაკლული ხარის ირონიული ღიმილით შესცქერის ძმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იქვენ ბრალი გედებათ ქრისტიანობაში, — ამბობს მაჯული უკმაყოფილოდ.

— ვინ გვდებს ბრალს?

— ბრალს გდებთ საპინუს კაბრონიუსი, გუშინდღამდე თქვენებრ ქრისტიანი. წუხელ იგი დაუბრუნდა თავის წინაპრების, ჩვენი წინაპრების რელიგიას, რამეთუ თვით ღმერთთა მამამ — იუპიტერმა ამოიძახა მისი სახელი ჰექა-ქუხილში და თავისთან წაიყვანა იგი.

— არ გვჯერა შენი, — ამბობს სევერუსი.

— საპინუსი ფეხებით დაკიდეს კარიბჭეზე, — ამბობს კარპოფორუსი.

— ზურგი შანთით დაუდაღეს, — ამბობს სევერიანუსი.

— უკანალიც დაუნახშირეს, — ამბობს ვიქტორინი.

ათასობით გულშემატკივარი, რომელთა შორის მსჯავრდადებულთა ნათესავების გარდა მრავლად არიან უსაქმურები, ყოფილი გლადიატორები, შემწვარი სოსისის, ლათინურად canes calidi, ინგლისურად კი hot dog რომ ქვია, გამყიდველები, თვალს არ აცილებს ტრიბუნალს.

მოსამართლე ხის კვერთხს ურტყამს მაგიდას.

— ბოლოს და ბოლოს ხართ ქრისტიანები თუ არა? — იწილობიწილოს გარეშე კითხულობს მოსამართლე.

— ჩვენ გვწამს ყოვლისშემძლე მამა-ღმერთი, — ამბობს სევერუსი.

— და ძე მისი, — ამბობს სევერიანუსი.

— და სული წმინდა, — ამბობს კარპოფორუსი.

— და მიგვიფურთხებია ათენასთვისაც და ოლიმპოს სხვა მცხოვრებლებისთვისაც, — ამბობს ვიქტორინი.

მოსამართლე ზურგს უკან მდგარ მინერვას ქანდაკებისკენ ბრუნდება. აი, ახლა დაიქუხებს და მეხი დაატყდება დამნაშავესაც და უდანაშაულოსაც. მაგრამ მინერვა ლანძღვაზე არ რეაგირებს და ძველებურად დგას თვალებმილულული და ხეაპყრობილი მარჯვენით.

— ესე იგი, — ამბობს მოსამართლე, — თქვენ აცხადებთ, რომ უღალატეთ სამშობლოს, განუდექით ჩვენს ღმერთებს, ფეხქვეშ გათელეთ ოჯახის და მხედრის ღირსება და უცხოურ რელიგიას ავრცელებთ.

— ჩვენ სამშობლოს ერთგული შვილები, ოჯახის ღირსეული წარმომადგენლები, შეუდრეკელი მეომრები ვართ, ოღონდ ქრისტიანები.

— და უცხოურ რელიგიას კი არ ვავრცელებთ, არამედ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს ვემსახურებით და არა უცხოურს, არამედ ზოგადკაცობრიულს, — ამბობს კარპოფორუსი.

მოსამართლეს ინტელიგენტობის მაჩვენებელი სოკრატესეული სარკაზმისგან სტოიკოს-ორატორის პირდაპირობაღა დარჩა:

— რომი და მისი ღმერთები განუყოფელი მცნებაა, ergo[1], ღალატობთ რა ღმერთებს, ღალატობთ რომსაც. უავგუსტესი დიოკლეტიანე იუპიტერის იარაღი, მისი ნაცვალია დედამიწაზე, ergo, უარყოფთ რა იუპიტერს, უარყოფთ

[1] ergo — მაშასადამე (ლათ.).

დიოკლეტიანესაც და თუკი რომს ღალატობთ და დიოკლეტიანეს განუდექით, როგორღა ხართ იმპერატორის ღირსეული ჯარისკაცები?

— ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, — სევერუსი ზურგს აქცევს მოსამართლის ხის კვერთხს და მარმარილოს მინერვას და შეკრებილთ ღმერთებს, — ჩვენ ჩვენი ერთგულება ბრძოლის ველზე დავამტკიცეთ. რომ არა მამაცი ქრისტიანი ტრიბუნები, ჯარისკაცები და გენერლები, რომლებიც [illegible] დიოკლეტიანემ შეიპყრო და დასაჯა, შესძლებდა კი რომი ათასი ჯურის ბარბაროსთან გამკლავებას? განა ისინი გმირები არ არიან? თქვენ სცდებით, მოღალატეობას რომ გვწამებთ. მოღალატე თავად დიოკლეტიანეა. ქრისტიანობისადმი სიძულვილით დაბრმავებული უმოწყალოდ რომ ჟლეტს ყველას....

XXVIII. მოითმინეთ, მოითმინეთ. მე ვდევნი ქრისტიანებს არა სიძულვილის, არამედ შიშის (დიახ, შიშის) გამო. მათში მე ვხედავ ერთადერთ ძალას (დიახ, ძალას), რომელსაც შეუძლია დაიმორჩილოს, დაანგრიოს და აღგავოს პირისაგან მიწისა ჩვენი სისტემა. ქრისტიანები ჩამოღლეტილი, არაფრისმქონე მქადაგებლებიდან კარგად აწყობილ მექანიზმად იქცნენ. ისინი იუდეველებივით შეკრულნი, ბერძნებზე უკეთესი ფილოსოფოსები, არაბებივით ჯიუტები, ინდოელებივით მელოცნებენი, ჩინელებივით ამტანები არიან და რომაელებივით ძალუძთ მსოფლიოს დამორჩილება. ამავე დროს კეთილშობილებითაც გამოირჩევიან საზიზღრები და თავიანთ მცნებებს რომ ქადაგებენ: არა კაც კლა, არ იპარო, არ იმრუშო და სხვა, ამით ჩვენს საზოგადოებას სარკეში ახედებენ და სწორედ იმ ნაკლზე მიუთითებენ, რაც ადრე თუ გვიან დაღუპვამდე მიიყვანს რომს.

XXIX. მე საფრთხე ჯერ კიდევ მაშინ ვიყნოსე, როცა გავიგე, ქრისტიანებმა ასკეტ-დოგმატიკოსები და უტოპისტები გააძევეს თავიანთი რიგებიდანო. დოგმატიკოსებისა და უტოპისტების წყალობით ხომ ვერც ერთი დოქტრინა ვერ გაიმარჯვებს.

XXX თავდაპირველად მათ კონკორდატი შევთავაზე, რადგან ნერონისგან განსხვავებით არ მიყვარს ხალხის ტყუილუბრალოდ ხოცვა, მე თანახმა ვიყავი განვთავისუფლებულიყავით ბერძნული ღმერთების მთელი ამ gang-ისაგან[1], სიძვას და გენოციდს რომ თესდნენ და კომიკური თეატრების პერსონაჟებად იქცნენ.

XXXI. მე ვცადე გამეერთიანებინა იმპერიაში არსებული ყველა სექტა და მეღიარებინა ერთი ღმერთი — მზე ან იუპიტერი, მაგრამ აქაც ქრისტიანების წინააღმდეგობას წავაწყდი. მათ სიამოვნებით აიტაცეს ერთი ღმერთის იდეა, თუკი ის მათი ღმერთი იქნებოდა.

XXXII. ყველა ჩემს პრეფექტურაში ქრისტიანებმა თავიანთი ეპისკოპოსი დანიშნეს. ჯარში კატეხიზმოს ავრცელებდნენ და განთიადისას უჩუმრად ნათლავდნენ ჯარისკაცებს.

XXXIII. ხოლო როცა გავიგე, რომ სებასტიანე, ეს მამაცი ტრიბუნი პონტიფიკის ქადაგებას უსმენდა და ამით ჩემს ბრძანებას არღვევდა, რომ გამორჩეული მეომრები, ვეფხვებივით რომ ტრიალებდნენ ბრძოლის ველზე და თითო ათ ბარბაროსს კლავდა, მორჩილად უსმენდნენ კატეხიზმოს, რომელიც ასწავლიდა, მტერი შეიყვარე და მეორე ლოყა მიუშვირეო, მივხვ-

---

[1] gang — ბანდა (ინგ.).

დი, რომ რომის იმპერიის ბედი ბეწვზე ეკიდა, რადგან ჯარი უდისციპლინოდ უკვე აღარ არის ჯარი და თუ რომი თავის ჯარს დაკარგავს — Arrivederci Roma.

XXXIV. მე ვდევნი ქრისტიანებს, თუმცა გამარჯვების იმედი არ მაქვს. იმედი პირველია, რასაც კაცი ცხოვრებაში კარგავს. მე ვიცი, რომ რელიგიურ იდეებს, რაც არ უნდა უსუსური იყოს, სისხლში ვერ ჩაახრჩობ, ვერც ტკივილით ვერ შეაშინებ და სახელმწიფო, რომელიც ძალის გამოყენებით უმკლავდება მათ, დიდხანს ველარ იარსებებს. მეტსაც გეტყვით, მე ვიცი, რომ რომმა უკვე შეასრულა თავისი ისტორიული როლი, შექმნა და გაავრცელა ენა, კანონები და მართლმსაჯულება. რომ იგი ველარაფერ საინტერესოს ვერ მისცემს საზოგადოებას, თუ არ ჩავთვლით მის ნანგრევებს, რომლებიც მომავალ თაობებს დააინტერესებს და რომ მისი მესაფლავე სწორედ ქრისტიანები იქნებიან.

XXXV. მაგრამ რომაელ იმპერატორს, თუ იგი მართლა იმპერატორია, არ შეუძლია უბრძოლველად დანებება. მე ვიცი, მოვა ახალი იმპერატორი, პრინციპებისგან თავისუფალი, რამეთუ მე სწორედ პრინციპების გამო არ შევეკარი ქრისტიანებს, თავის უავგუსტეს შუბლს მირონით წაიბილწავს, დამარცხებულიც კი თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს, ცაში ღვთიურ ნიშანს — ჯვარს დაუწყებს ძებნას, რომ საკუთარი თავი და რომის ნარჩენები გადაარჩინოს, მაგრამ მას დიოკლეტიანე არ ერქმევა, მეგობრებო.

XXXVI. დიოკლეტიანე კი ცეცხლითა და მახვილით შეებმება ქრისტიანებს, შემდეგ უარს იტყვის ტახტზე, სახალხოდ ჩამოიგლეჯს იმპერატორის რეგალიებსა და ძოწისფერ მანტიას, ადრიატიკის სანაპიროზე ქვის რვაკუთხა სახლში ჩაიკეტება და დარჩენილ დღეებს კომბოსტოსა და სალათის მოყვანაში გაატარებს, ვიდრე ერთ დღეს სამუდამოდ არ დაიძინებს ქვისავე საწოლზე.

XXXVII. და თუ ოდესმე მეორე ტაციტუსი დაიბადება, რაშიც ეჭვი მეპარება, ალბათ ასე დაწერს: „დიოკლეტიანე იყო უკანასკნელი იმპერატორი, ღირსი ამ ტიტულისა".

ამით დავამთავრებ. ეშმაკსაც წაუღიხართ ყველანი.

სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო თავაწეულები მტკიცედ მიაბიჯებენ საწამებელ დარბაზში და ვერავინ ხედება, რომ ყელში რაღაც აწვებათ ბურთივით და საცაა მუხლები აუკანკალდებათ. ქრისტიანების საწამებლად ესკულაპეს ტაძარია გამოყოფილი, სადაც მუდმივად ბალახის, მინდვრის ყვავილებისა და ფიჭვის სურნელი დგას, რომელიც თითქოს არბილებს მარმარილოს სვეტების გოროზობას. ესკულაპე, აპოლონის ვაჟი, რომელმაც ღვთისგან ბოძებული ნიჭი ურთულეს საქმეს, ადამიანთა სიკვდილისგან და ტკივილისგან დახსნას მოანდომა, ახლა სწორედ ამ ტკივილისა და სიკვდილის ძალაუნებურ თანამონაწილედ ქცეულა. გულში კიცხავს ადამიანთა სისასტიკეს, მაგრამ განა რა შეუძლია მარმარილოს ქანდაკებას, რომელსაც ხელში მარმარილოს კვერთხი უპყრია?

სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო ქრისტიანთა სისხლით დასვრილი კედლის გასწვრივ მიაბიჯებენ. საწამებელ იარაღებთან ქრისტიანთა ძვლები ყრია. ვერც ღამის ნიავმა და ვერც ფიჭვის სურნელმა ვერ გაწმინდა ტაძარი აყროლებული ნაწლავების და გახრწნილი გვამების სუნისგან.

— Arrivederci Roma — ნახვამდის, რომო! (იტალ.).

პრომეთესავით გაშიშვლებულ ძმებს გალერეის თეთრ სვეტებზე აბამენ პირით მარმარილოსკენ.

ექვსი ჯალათი უკანასკნელად ამოწმებს ტყვიისბოლოიან შოლტებს, ყვე-ლაზე დაუნდობელი მათ შორის ცალთვალაა, რომელიც მსხვერპლს თვალით ზომავს იმის გადასაწყვეტად, რა მანძილიდან უკეთ გააძრობს ტყავს.

— უკანასკნელი შესაძლებლობა გეძლევათ... — მთავარი ჯალათის სიტყვე-ბი ხალხის ჩოჩქოლში ინთქმება, რომელიც თანდათან ახლოვდება და ვე-ლურ კაკაფონიად იქცევა. თვით დიოკლეტიანე, Jovius Diocletianus[1], ჩამობ-რძანდა ნიკომედიიდან, რათა დაესწროს დაკითხვას და, თუ სიმართლე გინდათ, რათა სიცოცხლე შეუნარჩუნოს in articulo mortis[2] ამ ოთხ არამზადას, მის დაუმარცხებელ მეომრებს.

— Nomen imperatoris...[3]

დიოკლეტიანე მოაბიჯებს, ექსტაზში ჩავარდნილი ბრბო მუხლებზე ემხობა და იმპერატორის მანტიის ნაოჭებს კოცნის. მხრებგანიერ, ხარისკისერა და გა-ბურძგნულ დიოკლეტიანეს ულვაშები აზიელი ბრძენივით ჰკიდია, მოჭუტუ-ლი თვალებით გამჭოლად იყურება, ყურები კი მრგვალი ქოთნის სახელურე-ბივით მოუჩანს (ასე გამოიყურება იგი თავის დროის მონეტებზე). საზოგა-დოებაში თავი კარგად უჭირავს და თავშეუკავებლად ლაპარაკობს (ასე აღ-წერს მას შატობრიანი თავის ერთ-ერთ მოსაწყენ რომანში).

სიბნელეში ელვასავით კრთიან მანტიის ძვირფასი თვლები, შუბლს მისტიკ-ური დიადემა უმშვენებს dominus imperii romaniu[4]. თმაში ლალი უბრწყინავს, ყელს საფირონი შემოვლებია, თითებზე კი ფირუზი მოუჩანს. ფარჩის ფართო მანტიაზე, რომელიც სპარსულ ფეხსაცმელს ეფინება, ბრილიანტები ელავენ, მარგალიტებით და თოპაზებით მოჭედილი ოქროს მასიური ქამარი ზედ ჭიპთან ეკვრება. თითქოს რომის იმპერატორი კი არა, ვია კონდოტის[5] ვიტრი-ნა მოაბიჯებს ამალის თავში.

დიოკლეტიანე ტაძარში შემოდის, ხელის მსუბუქი მოძრაობით განიხ-მობს ჯალათებს, სიკვდილის ოთხ სვეტთან ჩერდება და ისე ჩუმად იწყებს ლაპარაკს, ძმების გარდა არავის ესმის.

— შვილებო, მე აქ მეტაფიზიკური დისპუტის გასამართად არ მოვსულ-ვარ, მოვედი, რათა საშინელი ტანჯვისგან გიხსნათ. რაც უნდა იყოს, უმამა-ცესი მეომრები ხართ და სამშობლოსთვის ბრძოლაში რომ დაგეღვარათ სისხლი, ალბათ სიამაყით ავივსებოდი, ჯალათის შოლტით დაღვრილი კი სა-სოწარკვეთაში ჩამაგდებს. მე არ გთხოვთ საქვეყნოდ განუდგეთ თქვენს ღმერთს, არც იმას გაიძულებთ, ირემი შესწიროთ მარსს და მოსეს ფსალმუ-ნების ნაცვლად ჩემი ქება-დიდება წარმოთქვათ. თავისუფლების სანაცვლოდ ესკულაპეს ლოცვა უნდა წაიკითხოთ, რომელიც თქვენი ღმერთივით ჰუმანუ-რია, მასავით კურნავდა ავადმყოფებს და აცოცხლებდა მკვდრებს და თქვენი ღმერთივით დასჯილ იქნა, რადგან იუპიტერის, იგივე მამაღმერთის ნებართ-ვის გარეშე ახდენდა სასწაულებს დედამიწაზე. თქვენ მიერ წარმოთქმული

---

[1] დიოკლეტიანე ატარებდა სახელს Jovius. ანუ იუპიტერს.

[2] ბოლო მომენტში (ლათ.).

[3] იმპერატორის სახელით. (ლათ.).

[4] რომის იმპერიის მბრძანებელი (ლათ.).

[5] ვია კონდოტი — თანამედროვე რომის ერთ-ერთი ცენტრ. ქუჩა.

ორად-ორი სიტყვა: „გვწამს ესკულაპე“ დაამშვიდებს დანარჩენ ტეტრარქებს და სიკვდილისგან გიხსნით.

— არასოდეს, — ისმის სევერუსის მჭექარე ხმა და გაოცებული ბრბო შიშით უყურებს თავხედს.

— Jamais[1], — ამბობს სევერიანუსი.

— Never[2], — ამბობს კარპოფორუსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეშმაკსაც წაუღიხარ, იმპერატორო, — ამბობს ვიქტორინო და მშვენივრად ესმის, რომ მისი სიტყვები ღირსეულ ადგილს დაიკავებს წამებულთა წიგნში. —

დიოკლეტიანე გამჭოლავ, მელანქოლიურ მზერას ესვრის ძმებს, „იდიოტებიო“, ცრის კბილებში, თეატრალური ჟესტით ზურგს აქცევს სვეტებს და ძვირფასი მანტიით დამძიმებული მდუმარედ ჩადის კიბეზე.

მთავარი ჯალათი კმაყოფილია, უფრო კმაყოფილი კი ცალთვალაა, რომელსაც ბოლო წუთამდე ეშინოდა, ვაითუ იმპერატორის გულმოწყალებამ საღამო გამიფუჭოსო. ბრძანებამ მზის ჩასვლის წინ ამოხეთქილი შადრევანივით იფეთქა:

— დაიწყეთ!

დიდებულო წმინდა რამონ, მკვდარი დედის საშოდან რომ ამოგიყვანეს საკეისრო კვეთით, ჩანავლებული ცეცხლიდან რომ შეაბიჯე ცხოვრებაში მონების გამო, რომლებსაც შენ ახსენ ბორკილები, ლურსმნით წამებულო, წმინდა რამონ, წამებულო დედის გამო, რომელსაც არ იცნობდი, წამებულო, ტუჩებში რომ გაგიყარეს, რათა იესო ქრისტე არ გედიდებინა, პირზე ბოქლომი რომ დაგადეს, რომლის გასაღებიც ურჯულო მმართველს ეკიდა ქამარზე, შენ მოგმართავ, წამებულო წმინდა რამონ, რომში რომ ოთხი მესაფლავის ზურგით დაბრუნდი, დაეხმარე ამ ბავშვს დაბადებაში.

— დე, დაეხმაროს წმინდა ანტონის ბალახი მშობიარეს, დე, განდევნოს ბოროტი სულები მოციქულმა იაკობმა და დააშროს მშობიარის სისხლი ვერონიკას ცხვირსახოცმა და დააჩქაროს წმინდა ჯვარმა სიცოცხლის არხის გახსნა, — აქ სენიორა კონსუელომ სამჯერ გადაწერა პირჯვარი მშობიარეს, — ყველა წმინდანზე გულმოწყალე წამებულო რამონ, შენ მოგმართავ, რამეთუ სწორედ შენ ზრუნავ ადამიანებზე, როცა ისინი დედის საშოს ეხლებიან ოკეანის ტალღებზე მიტოვებული ნავივით. — სენიორა კონსუელო მუხლებზე ეცემა, — შენ წარმართე ჩემი ხელები, შენ დალოცე ახალი ადამიანი, დაეხმარე მას ამქვეყნად მოსვლაში, დაე იყოს იგი ტანმრთელი და სულით წმინდა, ამინ.

დარტყმებს აღარავინ ითვლის, ან კი რა აზრი აქვს დათვლას, ტრიბუნალის განაჩენი ბუნდოვანია და დაუნდობელი: „სანამ თავიანთ ღმერთს არ უარყოფენ და ჩვენს ღმერთებს მსხვერპლს არ შესწირავენ“. ჯალათები დარწმუნდნენ, რომ არც ერთი ძმათაგანი ევანგელეს არ უღალატებს. საპინო კაბრონიუსი, ქრისტიანების დაბეზღებაში რომ გაიწაფა, გველივით დასრიალებს ბოძებთან და, თუ საჭირო გახდა, მზადაა სიკვდილის წინ ახალი ბრალდება მოუგონოს ძმებს, მხოლოდ ვიქტორინოს ვერ უახლოვდება შიშით, რადგან მათრახის ეშინია, ვიქტორინოს საგანგებოდ გამყიდველისთვის რომ აქვს გა-

---

[1] jamais — არასოდეს (ფრანგ.)
[2] never — არასოდეს (ინგ.).

დანახული. ტყვიისბოლოიანი შოლტები ხორცს ფლეთენ და ხანჯლებივით ესობიან ზურგს, რომელზეც ტყავი ნაფლეთებადღა ჰკიდია. სხეული ერთ დიდ ჭრილობადაა ქცეული. მოულოდნელად შოლტის ზუზუნი წყდება და ფორმალური კითხვა ისმის:

— უარყოფთ თუ არა თქვენს ზღაპრებს და მონაჩმახს და უარყოფთ თუ არა ჭეშმარიტ ღმერთებს?

ბიბლიოთეკა

ძმები არ პასუხობენ, სევერუსი იმიტომ, რომ უკვე მკვდარია, სევერიანუსი — სიკვდილის პირზეა. კარპოფორუსს მეტყველების უნარი წაერთვა, ვიქტორინოს კი სიკვდილის მუსიკის მეტი არაფერი ესმის, რომელიც მდინარის თავზე ტრიალებს, თმას უწეწავს, შიშველ ფეხზე მარმარილოდ ელამუნება და გულს უბორკავს. მის სუნთქვას მსუბუქ წვიმაში არეულ შროშანისა და ვარდის სურნელად წვდება სიკვდილის სუნი და კატაკომბის ფილომენას პროფილით მოვლენილი სიკვდილის ანგელოზი უნაზესი კოცნით უმსუბუქებს აგონიას.

სევერუსმა, სევერიანუსმა, კარპოფორუსმა და ვიქტორინომ დაასრულეს მიწიერი არსებობა. სისხლით შეშინებული ღამე რომის გორაკებს ეფარება და ცრემლებად მდინარეები სდის: ძაღლები მოჩვენებებივით დაძრწიან და მთვარეს შეყმუიან. იმპერატორის სასახლის ტერასაზე მოულოდნელად ქრება სანათური.

სოროსავით ბნელ ოთახში სენიორა კონსუელო ლოცვას აგრძელებს, დედილოს წამით ავიწყდება შეტევები და ყუჩდება.

სწორედ ამ წუთებში დედა ტაქსით მიემართება სამშობიაროში, გვერდით ამაყად გაჯგიმული მეუღლე ხუან რამირო პერდომო უზის. დედა გრძნობს, როგორ ეწყება ტკივილი ხერხემალში, სალტესავით ერტყმის წელზე და ლითონის სადგისივით ერჭობა მუცელში. — ძალიან მტკივა, ხუან რამირო, — ამბობს დედა. — საცაა მივალთ, — ამშვიდებს ქმარი, მძღოლი ჰყავს ყველაზე საჭირო კაცად თვლის და სან-მარტინის ქუჩას სიგნალებით აყრუებს.

დედიკო კი ექიმ კარვახალს ურეკავს ტელეფონით. — მგონი, მეწყება, ექიმო, — ამბობს. — კლინიკაში გიცდით, — პასუხობს ექიმი. დედიკო სარკეში ლამაზდება და სანამ თვალებს ილებავს, სუნამოს ისხამს და ნაირ-ნაირ ხალათებს არჩევს (ალბათ რამდენი მნახველი ეყოლება), დროებით ავიწყდება ტკივილი.

დედიკო სულის სიმშვიდეს არასდროს კარგავს, რაშიც დიდად უწყობს ხელს დედამისი, ოჯახის ერთპიროვნული მმართველი დონია ადელაიდა, რომელიც ჩემოდანს ალაგებს და დედიკოს ეხმარება კიბეზე ჩასვლაში. ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია აღფრთოვანებულია სიდედრის სიმკვირცხლით.

სენიორა კონსუელომ იცის, რომ მეზობლები დედილოს მშობიარობას რელიგიური ცერემონიალივით უყურებენ და სულგანაბული იცდიან კედელს იქით. სენიორა კონსუელომ თანაშემწედ მხოლოდ დედილოს სანახავად მოსული ერთი ნათესავი ქალი დაიტოვა, და ახლა მოკლე-მოკლე ბრძანებებს იძლევა. გაზეთები მოიტანე, მაყალი მოამზადე, ქონის სანთელი მომაწოდე, — თვითონ კი ლოცვას აგრძელებს.

დედა კი უკვე რკინის კარებში შედის. ხუან რამირო პერდომოს მოსაცდელს იქით აღარ უშვებენ. აქედან პაციენტი მარტო უნდა წავიდესო,ეუბნებიან. პაციენტი შეტევებით გატანჯული დედაა. რომელსაც რამდენიმე კითხვას უსვამენ, ბარათს ავსებენ და აშიშვლებენ, ტანსაცმელს მეუღლეს ჩავაბა-

რებთო, ეუბნებიან და აძლევენ ხალათს, მუხლებამდე რომ სწვდება. შემდეგ გორგოლაჭებიან საკაცეზე აწვენენ და სადღაც მიაგორებენ.

სწორედ ამ წუთებში კლინიკაში მედიდურად შედის დედიკო, მეუღლით, დედითა და ორი ჩემოდნით. დილა მშვიდობისა, დომიტილა, ამბობს დედიკო. ბებიაქალი დომიტილა მოწიწებით უკრავს თავს [illegible] მიაცილებს, პალატა, მართალია, ერთსაწოლიანია, მაგრამ [illegible] ჰგავს დერეფანში განლაგებულ სხვა პალატებს. გამოცდილი ბებიაქალის, დომიტილას წინაშე დონია ადელაიდას ავტორიტეტი ერთბაშად ხუნდება. დომიტილა დედიკოს ფრთხილად აწვენს საწოლზე, აშიშვლებს და ექიმ კარვახალის გასაფრთხილებლად მიდის, ყველაფერი შეიძლება წუთი-წუთზე დაიწყოს.

სენიორა კონსუელო ბრძანებს წყალი აადუღონ და ზეწრები გააუთოონ, რომ სიცხემ მიკრობები დახოცოს. შემდეგ კეტავს ყველა კარს და ქოლავს ყველა ჭუჭრუტანას, რომ მუქი და სუფთა ჰაერი არ შემოვიდეს.

დედა გრძელ პალატაში შეჰყავთ, სადაც მწვანელებიან ექვს მაგიდაზე ექვსი ქალი მშობიარობს. ერთი — მულატი, უკანასკნელ ძალებს იკრებს და მეოთხე ვაჟიშვილს აგდებს მუცლიდან. დანარჩენი ხუთი ცივი ხმით კივის, განსაკუთრებით იტალიელი. Mamma mia, Dio mio, Non ne posso piú, Non ce la faccio piú[1] დედის გვერდითა მეზობელი უფრო პროზაულია. ალარ გამოდის ეს ოხერი, რამხელაა ეს შობელძაღლი! — ღმუის და ფერდაკარგული თითებით მაგიდის თავს ებღაუჭება.

დედიკო კი კარგად გაზეთილი გორგოლაჭებიანი საკაცით შეჰყავთ სამშობიარო ოთახში. მეუღლე არხიმირო პერალტა ერედია მომხიბლავი ღიმილით ამხნევებს ცოლს. ერთი ბავშვი სრულიად საკმარისია, ფიქრობს ვარდისფერ ფაფუკ პერანგში გამოწყობილი დედიკო, კაცები თვითონ უნდა სცდიდნენ ამ სიამოვნებას, ქალწულო მარიამ, არ დამტოვო, მძიმე წუთებში, ხმამაღლა ამბობს დედიკო. ექიმი კარვახალი უკვე საოპერაციოში იცდის.

სენიორა კონსუელო დედილოს გარდიგარდმო აწვენს საწოლზე, ფეხებს სკამზე აწყობინებს, ლეიბის ქვეშ კი გაზეთებს კუჭავს. დედილო მუხლებში ხრის ფეხებს და სენიორა კონსუელო თბილი წყლითა და კასტილიური საპნითბანს მას, შემდეგ ლოცულობს და იცდის. ლოცვა და ლოდინი, აი ნამდვილი ბებიაქალის ჭეშმარიტი საქმე... და შენ, უსპეტაკესო და უნაზესო, როცა მხსნელი სიკვდილის მაგიერ სიცილიის მეფის ცოლობა დაგიპირეს, რომელიც ღვინით გალეშილი დასცინოდა შენს სიბრძნეს, დაეცი მუხლებზე და ცისკენ ხელებაპყრობილმა ლოცვა აღავლინე: „იესო, მეუღლეო ჩემო, დამიფარე სახე წვერით, მკერდი ბანჯგვლითა და ფეხები ჯაგრით, რომ სიცილიის მეფემ უარი თქვას ჩემზე და ქალწული მოვკვდე".

დედა პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტისა და სანიტრის დახმარებით უკვე აფორთხდა საოპერაციო მაგიდაზე და ფეხები რკინის სატერფულზე შეაწყო. მაგიდას უაბაჟურო ნათურა ანათებს, სანიტარი რაღაც სითხით უწმინდავს დედას საჭირო ადგილს, ყოველ შეტევაზე დედა რკინის სახელურს ებღაუჭება.

— მალე დაიწყება, — ამბობს ბოლო კურსის სტუდენტი.

დედიკოც დედის პოზაში წევს, იმ განსხვავებით, რომ მისი საოპერაციო

[1] დედაჩემო, ღმერთო ჩემო, მეტი აღარ შემიძლია, მეტს ველარ გავუძლებ (იტალ.).

ოთახი უფრო ფართოა და ნათელი, ლეიბი უფრო თხელი და ზეწარი უფრო სუფთა. ექიმი კარვახალი დინჯად მუშაობს, დედიკოს უხერხულად წოლისგან ფეხები უოფლიანდება. ტკივილები ძლიერდება და ბავშვის თავი ჩნდება. მო-იტათ forceps,[1] ექიმო, მეტი აღარ შემიძლია, — ყვირის ცხოვრებაში პირველად მოთმინებადაკარგული დედიკო. თავის თავსა და ბუნებრივ მშობიარობაში დარწმუნებული ექიმი კარვახალი მარლის ნიღაბქვეშ იღიმება.

— და როცა უფალმა ისმინა შენი ლოცვა, — სინიორა კონსუელო ბნელ კუთხეს სტოვებს — გაიჭინთე, დროა, — ხმამაღლაეუბნება მშობიარეს. პატარა ზანგის თმა უკვე გამოჩნდა სისხლსა და ბინძურ წყლებში. ოთახი უცხო სუნით ივსება, ცუდით არა, მაგრამ მძიმე და უცნაურით, ნაყოფის მხრები თავად ეძებენ გამოსასვლელს და სენიორა კონსუელოს ისღა დარჩენია, ბავშვი აიყვანოს და ლოცვა დაასრულოს, — ...მოხდა სასწაული და ტანზე თმა ამოგივიდა, შეშინებული სიცილიის მეფე უკანმოუხედავად გაიქცა პალერმოში, მამაშენმა კი დაქირავებულ მკვლელებს უბრძანა ხეზე მიელურსმნეთ...

ამ დროს მეხუთე კურსის სტუდენტიც მიემართება დედისკენ. გაიჭინთეთ, სენიორა. გაიჭინთეთ, ამბობს ბაკალავრი. სანიტარიც იგივეს იმეორებს. დედაც იჭინთება, რაც შეუძლია და აი, ბაკალავრს უკვე კურდღელივით ფეხებით უჭირავს ახალშობილი, ჭიპლარს ჭრის და სანიტარს აწვდის.

— ბიჭია. რას დაარქმევთ? — კითხულობს სანიტარი.

— ვიქტორინოს, დღეს წმინდა ვიქტორინოს დღეა, — პასუხობს არცთუ კარგად დარწმუნებული დედა.

სწორედ იმ წუთებში ექიმი კარავახალიც ცირკის ბაჭიასავით სწევს დედიკოს პირმშოს, ზუსტი მოძრაობით კვეთს ჭიპლარს და ბიჭს დომიტილას აწვდის. სახელს მოგვიანებით შეურჩევს დონია ადელაიდა. ჯანმრთელი ბავშვია, ამბობს დომიტილა. ცისფერი ჩააცვით ჩემს ბიჭუნას, ბრძანებს დამშვიდებული ხმით დედა.

სენიორა კონსუელო სპირტიანი წყლით წმენდს პატარა ზანგს, რბილ ადგილზე ურტყამს, რომ ბავშვმა ჩაისუნთქოს და იტიროს, ჭიპზე სალბუნს ადებს, ჭინჭებში ახვევს და „ლას ლიავესის" საპნის ყუთში აწვენს. უკვე წუწუნებს მამაძაღლი, — ამბობს დედილო.

საბანწაფარებული დედა ჯერ ისევ გაუნძრევლად წევს საკაცეზე. სანიტარი ვიქტორინოს ახალშობილთა მაგიდაზე აწვენს, სპირტით და პარაფინით წმენდს, მაჯაზე ქაღალდს აბამს დედის სახელით, ჭიპზე წამალს უსვამს, თითის ანაბეჭდს უღებს, თავიდან ფეხებამდე ზომავს, თეთრ ნაჭერში ახვევს და ოთხკუთხა საწოლში აწვენს მასზე თხუთმეტი წუთით ადრე დაბადებულ იტალიელ ბავშვთან ერთად, რომელიც დედამისივით თეატრალურად ჭყავის, ვიქტორინო თითებს ამოძრავებს და თავი ერთობ ღირსეულად უჭირავს.

დედიკოსაც უნდა თავის პირმშოს ნახვა. პატარა ქერაა და სამ კილოსა და ორას გრამს იწონის. ექიმი თვალებსა და თითებს უმოწმებს ახალშობილს. გადასარევი ბავშვია, ამბობს და აიძულებს პატარას ჩაისუნთქოს, დომიტილა ჭიპს დასტრიალებს. საკაცეზე გადმოყვანილი დედიკო ტრიუმფალური სვლით შედის პალატაში. ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია ჯერაც ვერ გამორკვეულა ბიჭის დაბადებით გამოწვეული სიამაყისა და სიხარულისგან. სახელად

[1] forceps — მაშა (ინგლ.)

ვიქტორინო ერქმევა. ამბობს დონია ადელაიდა. ნახევარ საათში ყვავილების ცვენა დაიწყება.

დღეს 1948 წლის 8 ნოემბერია. რაღა თქმა უნდა, კვირაა. ქალაქის ქუჩებში გამოფენილი უამრავი ხალხი მოუთმენლად ელის ბუენოს-აირეს—კარაკასის რბოლაში მონაწილე მანქანების გამოჩენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომუნისტური ჩინეთის ჯარებმა მანჯურია დაიკავეს** და დედაქალაქ ჩანკაი-შიდან 200 მილზე იმყოფებიან. ნანკინი უკვე დაეცა. ომის კვალი ფინანსურ ოპერაციებსაც დაეტყო. ჩრდილო ამერიკელი კომერსანტები ერთბაშად ხურავენ მაღაზიებს პეიპინში.

გაიცა 1948 წლის ნობელის პრემიები. პრემია ლიტერატურაში მიიღო პოეტმა ტ. ს. ელიოტმა, უკვე დროა შევიდეს ისტორიაში, თუმცა History may be servitude, History may be freedom.[1] მედიცინის დარგში — დ. დ. ტ-ს გამომგონებელმა შვედმა მეცნიერმა პაულ მიულერმა. მოსკიტებისა და კოღოების ჰეროდე თავის მშვიდობისმოყვარე ქვეყნის მართლაც რომ ღირსეული წარმომადგენელია.

**50 მილიონი დოლარი,** დაუთმო ვაშინგტონის ექსპორტ-იმპორტ ბანკმა ვენესუელის მთავრობას **ბოლივარის პროსპექტის ასაგებად.**

რა საოცარი ხალხია! მთელი სამი ეტაპი ლიდერობდა ოსკარ გალვესი, მეტსახელად მიმინო. მისი გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს; წინაა ტრიუმფალური ფინიში კარაკასში. უახლოესი მოწინააღმდეგე მას საგრძნობლად ჩამორჩება. პოლიტიკოსებს ვერაფრით აუხსნიათ ჰარი ტრუმენის მოულოდნელი გამარჯვება, რომელმაც ტომას დიუიზე მეტი ხმა დააგროვა პრეზიდენტის არჩევნებში. პრესისა და მისტერ გელაპის პროგნოზებით დიუის უნდა გაემარჯვა დიდი უპირატესობით.

### ტრუმენის გამარჯვება

რატომ გაიმარჯვა ტრუმენმა? ბოლივარის მოედანზე დააკავეს ქალის ტანსაცმელში გადაცმული ფრანგი ინჟინერი, რომელსაც ლიფის ჩაცმაც კი არ დავიწყებოდა. პოლიციასთან საუბარში მან ასე ახსნა თავისი საქციელი: „კაბა მრავალფეროვნებისთვის ჩავიცვი. მთელი ცხოვრება შარვალში სიარული მომაწყენია..." ქალაქში ბინძური ჭორები დადის. **მორიგი სამხედრო შეთქმულებაზე პრეზიდენტ გალიეგოსის წინააღმდეგ**[2].

...რომ კომპრომეტირებულია თავდაცვის მინისტრი და მთელი გენერალური შტაბი. აშშ-ს საელჩოს სამხედრო ატაშემ პოლკოვნიკმა ადამსმა მოინახულა შეთქმულთა ოფიცრები მისტერ დენჯერი, პერნალეტე, მუხიკა, იუწყებიან, რომ ჩამოვიდა ჟილდო ფრანკი, რათა ვენესუელელ ხალხზე ბოლივარის იდეებით განმსჭვალული წიგნი დაწეროს. ეყოფა კი დრო? ბუენოს-აირესის ტრადიციული პრიზი „კარლოს პელეგრინი" მოიპოვა ცხენმა „აკა-

---

[1] ისტორია შეიძლება იყოს მონობა, შეიძლება იყოს თავისუფლება. (ინგლ.).

[2] რომულო გალიეგოსი — მწერალი-დემოკრატი, 1948 წ. ვენესუელის პრეზიდენტი, ჩამოაგდეს იმავე წელს.

დემიკოსმა“, სინდბადის შვილმა, ჟოკეი—ირინეო ლეგისამო. ვაშა, ლეგისამო!
ბევრ თაყვანისმცემელს კარგავ, გარდელ!

**გუშინ სიტყვა წარმოთქვა მარშალმა ტიმოშენკომ.**

რუსეთის რევოლუციის მორიგ წლისთავზე მან განაცხადა, რომ მშვიდო-
ბის მომხრე ძალები აღარასოდეს დაუშვებენ ახალ ომს. აშშ-ში [illegible]
დის“ ჯიშის ხარებს, რომლებიც ამ რამდენიმე წლის წინ, უფრო [illegible]
წელს ატომური ბომბის გამოცდის ადგილიდან მრავალ მილზე, მაღალი მთე-
ბის ძირში ცხოვრობდნენ, ტყავი გაუთეთრდათ და შემოდგომის ფოთლებივით
ნაფლეთ-ნაფლეთ დასცვივდათ, ზურგზე კი კიბო გაუჩნდათ. ხარები უკაცურ
კუნძულზე გადასხეს და თვითმფრინავებიდან აკვირდებიან.

**პრინცესა ელიზაბეტი მემკვიდრეს ელის**

იგი დაიბადება ამ კვირას, არა უგვიანეს შაბათისა, ბუკინგემის სასახლე
სავსეა ქრიზანთემებით და ღიმილით. ცისფერი ატლასით მორთული აკვანი
უკვე საბავშვო ოთახში დგას.

კარაკასის შესასვლელი ხალხს ვერ იტევს. მცხუნვარე მზეს არავინ ეპუ-
ება. საცაა მიმინო-გალვესის „ფორდი“ უნდა გამოჩნდეს. მისტერ პარნელ
ტომასი, რესპუბლიკელი სენატორი ნიუ-ჯერსის შტატიდან, ანტიამერიკულ
მოქმედებათა გამოძიების კომისიის თავმჯდომარე, დიდი ინკვიზიტორი, რო-
გორც მას უწოდებენ, მხილებულია აშშ-ს მთავრობის წინააღმდეგ მოქმედე-
ბის მცდელობაში. მას თავის ყოფილ მდივან ელენ კემპბელთან ერთად 32
წლით თავისუფლების აღკვეთა ან 40000 დოლარი ჯარიმა ემუქრება.

მისტერ გელაპი შერცხვენილია, როგორც კვაკერი ბორდელის კართან.
მისტერ გელაპი აზრზე ვერ მოსულა საარჩევნო კომპანიაში დამარცხების შემ-
დეგ, ხალხი მას აშკარად დასცინის ძველისძველი ანეკდოტით. ნაპოლეონი
ტყუილის სამ სახეობას არჩევდა: ვულგარულ ტყუილს, ფიცის დამრღვევ
ტყუილს და სტატისტიკურ ტყუილს. კორსიკელი სამივეს წარმატებით იყენე-
ბდა. თაყვანისმცემელთა კერპად ქცეული ოსკარ გალვესი ვალენსიის ქუჩაში
მიქრის — ფინიში სულ ახლოა, წვიმის წვეთები გულშემატკივართა ინტერესს
ვერ ანელებს. ხალხი ამბობს რომ...

**სამხედრო გადატრიალება გარდუვალია**

თუმცა მწერალი და რესპუბლიკის პრეზიდენტი რომულო გალიეგოსი პრესის
წარმომადგენლებს ამშვიდებს, რომ „ვენესუელა აღმავლობისა და დემოკ-
რატიის განმტკიცების პროცესშია“, სხვა მწერალი მარიო ბრისენიო ირაგორი
განსხვავებული აზრისაა: „ვენესუელა იჭყლიტება ბენზინსა და სიმინდს შო-
რის ბრძოლაში“. კინოთეატრებში გადის „Lassie, come home“[1], სადაც
მთავარ როლს დამწყები, იმედისმომცემი მსახიობი ელიზაბეტ ტეილორი ას-
რულებს, და „The Senator was indiscret“[2], გამოცდილი მსახიობის უილიამ
პოუელის მონაწილეობით. ყველაზე მეტი მაყურებელი ფილმ „მეცხვარეს“
ესწრება. კინოთეატრ აპოლოში თავისუფალი ადგილი არ არის. ბავშვები 18
წლამდე არ დაიშვებიან. ფილმის რეკლამა ასეთია: „მას კაცები დასდევენ.
კაცებს სურთ იგი! როცა მე ქუჩაში მივდივარ, ისინი ისე მიყურებენ, რო-

---

[1] „ლესი, წამოდი სახლში!“. (ინგლ.).
[2] „სენატორი არ იყო თავმდაბალი“ (ინგლ.).

გორც შიშველს, ღმერთო ჩემო, რა მოსწონთ ჩემი? რატომ მესევიან კაცები მშიერი მხეცებივით? იმიტომ, რომ მათ არ ელოდებათ ცხოვრება, ისინი მხოლოდ მკვდრებს სცემენ პატივს". „merde alors"[1].

**გენერალმა და გოლმა ყველაზე მეტი ხმა დააგროვა**

უმაღლეს პალატაში 99 საარჩევნო ადგილიდან. ორი მინისტრი გადადგა. მთავრობას უჭირს. გენერალი არ აქვეყნებს კონკრეტულ პროგრამას, ცნობილია მხოლოდ, რომ პროგრამა ანტიკომუნისტური იქნება. თავის გამარჯვებას და გოლი არამდგრად სამოქალაქო მთავრობას უნდა უმადლოდეს, რომელიც ყოველ ორ კვირაში იცვლება „merde alors"[1].

გზის ბოლო მონაკვეთზე ოსკარ გალვესს მოტორის ხმაური ესმის. უწესრიგობა ჯერ კიდევ ბუენოს-აირესთან შეამჩნია. წითელი ფორდი მოულოდნელად ჩერდება. ფინიშამდე რამდენიმე მეტრიღა რჩება, მოწინააღმდეგეები ერთიმეორის მიყოლებით უსწრებენ 30 ეტაპის ერთპიროვნულ ლიდერს. ტრუმენის მოულოდნელმა ტრიუმფმა გამოიწვია

**ბირჟაზე აქციების კურსის დაცემა**

ასეთი რამ 1940 წლის შემდეგ არ მომხდარა. პროგრესული ინტელიგენცია ტრუმენის გამარჯვებას აფასებს როგორც სამხედროებისა და რასისტების მარცხს. Forget Hiroshima, boys[2]. ჩრდილოელმა სოპრანომ კირსტენ ფლაგსტადმა იმღერა „ტრისტანი და იზოლდა" მუნიციპალური თეატრის სცენაზე. აფიშები იუწყებიან ალისია ალონსოს გასტროლებს. კუბელი ბალერინა იცეკვებს ჟიზელის პარტიას. როგორც ამტკიცებენ, სამხედრო შეთქმულებმა მოთხოვნათა მთელი სია წაუყენეს „დონია ბარბარას"[3] ავტორს. ეს სამხედრო ულტიმატუმია. პრეზიდენტმა წაუკითხავად გადადო იგი. კარაბაბოს შტატის ნომრიანმა „ბიუიკმა" ბუქსირით წაიყვანა ოსკარ გალვესი, თუმცა...

**ეს არალეგალური თანამშრომლობა.**

მსაჯებისთვის არაფერს ნიშნავს, ხალხს კი უკვე გალვესი მიაჩნდა გამარჯვებულად. ათასობით მიკროფონი გაჰყვიროდა, რომ მანქანები მოახლოვდა, მაგრამ სადაა მიმინოს „ფორდი?"

**ჩან კაი-შიმ გამოაცხადა.**

**რომ** იგი კიდევ ათ წელიწადს გასძლებს. ვაშინგტონი მშვენივრად ხვდება, რომ ომი წაგებულია. ნაიგუატელი თვითნასწავლი მხატვარი ფელისიანო კარვალიო თავის პირველ გამოფენას ხსნის. ეს ისეთივე სენსაციაა, როგორც თავის დროზე მესაზღვრე რუსოს გამოფენა, — აცხადებს კრიტიკოსი ფიფა ლისკანო. გამოფენაზე მოიწვიეს მუსიკას, თვალახვეულ მნახველებს შესაძლებლობა ექნებათ ამოირჩიონ და გატეხონ ფელისიანოს მიერ დამზადებული და მოხატული ორი ქოთანი. საბერძნეთის მთავრობა აცხადებს, რომ პარტიზანთა ჭკუის სასწავლებლად დახვრეტილია მხოლოდ 2000 კაცი და უარყოფს სხვა რიცხვს, როგორც პროვოკაციულად გაბერილს.

**დახვრეტილთა რიცხვი 2000-ს არ აღემატება.**

მორცხვად აცხადებს მთავრობა, დისკვალიფიცირებულმა მრბოლელმა ოსკარ გალვესმა პირველი ადგილი დაიკავა, თუმცა...

---

[1] უხეში ფრანგული გინება.

[2] დაივიწყეთ ჰიროსიმა, ბიჭებო! (ინგლ.).

[3] იგულისხმება გალეგოსი.

**რბოლის პრიზი ენიჭება დომინგო მარიმონს**

ასევე არგენტინელს, ამ სქელუა ლოთს ერთი სული აქვს, როდის და-ლევს. მიმინოს გამარჯვებაში დარწმუნებული 2000 კაცი იმედგაცრუებული იშლება.

**რომულო გალეგოსი რამდენიმე დღეში დაემხობა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან იქნებ რამდენიმე საათშიც, ამაზე ბავშვებიც კი ლაპარაკობენ გაკვე-თილებს შორის შესვენებებზე. სამხედროები მზად არიან აღკვეთონ ხალხის ყოველგვარი წინააღმდეგობა, მაგრამ წინააღმდეგობა არ ჩანს. პოლიტიკური პარტიები ერთმანეთს ებრძვიან, ყველა საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს და არა საერთო საქმეზე. ოსკარ გალვესი აპროტესტებს მსაჯების გადაწყ-ვეტილებას, რომლებმაც გამარჯვება მას არ მიაკუთვნეს, მაგრამ,ჩე[1], რაზეა ლაპარაკი, როცა ბუქსირით მოგათრიეს, ამშვიდებს მსუქანი მარიმონი. მიმი-ნო არღვევს გულშემატკივართა ბრბოს, მიდის ფინიშიდან 100 მეტრში მდგარ სან-მარტინის ძეგლთან და ცხარე ცრემლებს აფრქვევს განმათავისუფლებლის ფეხებთან.

ვიმეორებ, დღეს 1948 წლის 8 ნოემბერია. სენიორა კონსუელო პორ-ტუგალიელ ქონ ფრანსისკუ დი სოუზის დუქანში შერბის, სადაც უსაქმური პედრო კონტოს მეტი არავინ ჩანს და ბავშვის ასაყვანად აუცილებელ ქო-ნის სანთელსა და ასევე აუცილებელ შაქრის ლერწმის არაყს ყიდულობს. აქედან მეხუთე სახლში ქალი მშობიარობს და ყოველ შეტევაზე გაჰკივის: „საცაა გავსკდები, ღმერთო, შენ მიშველე, ვსკდები!“ სენიორა კონსუელო ტომრებს შორის იქექება და პორტუგალიელს კალენდარს სთხოვს. ნოემბერი, 8 და კვირა, წითელი ასოებით წერია, წმინდანების სახელები კი წვრი-ლად. სენიორა კონსუელომ 50 წელს კი გადააბიჯა, მაგრამ სათვალეს მაინც არ ხმარობს. ქალს კალენდარი თვალებთან მიაქვს და ძლივძლივობით კითხულობს. წმინდანები: სევერუსი, სევერიანუსი, კარპოფორუსი და ვიქტორინო.

პირველი სამი არ გამოდგება, ამბობს, თითქოს პორტუგალიელს ევაჭრე-ბა, თუ ბიჭი დაიბადა, თავს ვდებ, ვიქტორინოს დაარქმევენ.

## დღეს ვიქტორინო 18 წლის გახდა

ვ ი ქ ტ ო რ ი ნ ო  პ ე რ ე ს ი.

ახლა ზუსტად დილის ოთხი საათია. ვიქტორინომ ეს იცის, თუმცა არც საათი აქვს და არც ზარების რეკვა ესმის. ეს ღამის შავი წვეთებია, მისი პულ-სის ტაქტზე წკაპაწკუპით რომ ითვლიან წამებს, ეს მისი გულისცემა ამოძრა-ვებს ქანქარას, ეს მისი ნერვები იქცნენ ზამბარებად და ისრების სიარულს არეგულირებენ.

ამ ციხეში არ არის პატიმარი, არ არის მეთვალყურე, სიამოვნებით რომ არ დაეხმაროს მას გაქცევაში.

**ჩვენი საზოგადოების № 1 მტრის, ვიქტორინო პერესის თავხედური გაქ-ცევა,** — ასე დაწერენ გაზეთები. ორი პედერასტი, ღია პატიოში რომ სძინავთ, რადგან ერთნაირად საშიშია მათი როგორც კაცების, ისე ქალების საკანში დატოვება, ზუსტად 4 საათსა და 30 წუთზე (ერთ მათგანს რაღაც სასწაულად შემორჩა საათი) იტეხენ ჩხუბს, მცველები გასაშველებლად მისცვივდებიან,

---

[1] ჩე — მეგობრული მიმართვა არგენტინაში.

რადგან მათი მოვალეობა ეს არის და ჯალათის ბინძურ ფულსაც ამაში იღებენ. ამ დროს უკანა საკნიდან ოთხი ნიმფის გამყინავი კივილი გაისმება. მათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში ედებათ ბრალი. ერთმა მათგანმა დუქან „ვაგონის“ ოფიციანტს დანა გაუყარა მუცელში (დაკითხვაზე ოთხივემ პირში წყალი ჩაიგუბა და ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა, ვინ იყო მკვ[illegible]). მცველი ახლა მათ მივარდება, რათა გაიგოს, რა მოხდა და ქალები გაძოლანძლოს. ამ დროს ვიქტორინო თავის საკნიდან უნდა გამოძვრეს და უჩუმრად შეძვრეს მეზობელ საკანში, სადაც აფთიაქზე თავდასხმისათვის მკაცრ იზოლაციაში ჰყავთ ექვსი მცირეწლოვანი დამნაშავე, მათ უჩუმრად გატეხეს რკინის კარი, ჭერიც ამოანგრიეს, რისთვისაც მთელი ღამის კოლოსალური შრომა დასჭირდათ, და ახლა ვიქტორინოს უცდიან. მცირეწლოვანთა გადაჭდობილ ხელებსა და მხრებზე დაყრდნობით ვიქტორინო ჭერს მიაღწევს, საიდანაც უკვე დღის სინათლე ილვრება. დანარჩენი ჩემზეა დამოკიდებული, ჩემს სისწრაფესა და მოქნილობაზე, ჩემს ღონესა და იმ გაბედულ გეგმაზე, სხვის დაუხმარებლად რომ დავამუშავე მე, ვიქტორინო პერესმა, ყველაზე მამაცმა და უშიშარმა ბიჭმა მთელ კარაკასში, რესპუბლიკის დედაქალაქში, ბოლივარის სამშობლოში.

4 საათსა და 25 წუთზე ვიქტორინოს ხმამაღალი კვნესა წითურ ლაბადაში გახვეულ მთვლემარე დარაჯს აღვიძებს. ძილგამფრთხალი დარაჯი ბუზღუნით დგება ტყავის სკამიდან და ფეხარეული მიემართება ვიქტორინოს საკნისკენ.

— რა მოხდა, აქოთებულო ზანგო?

ვიქტორინო მშობიარე ქალივით იგრიხება, მუცელი ხელით უჭირავს და, ვკვდებიო, ხრიალებს. მის სიტყვებში ეჭვის შეტანა შეუძლებელია, რადგან თვალები უკვე შუშისა გაუხდა და პირზე დუჟი მოადგა. მცველსაც, ეტყობა, სჯერა, მაგრამ ეს ცოტაა, პატიმარმა ისე უნდა შეაცოდოს თავი, რომ რკინის კარი გააღებინოს იმ გასაღებით, წელზე რომ ჰკიდია, და ვიქტორინოც სატევართ მანქანადაჯახებული ღორივით იწყებს ჭყივილს. შეტევები ძლიერდება, აგონიაში ჩავარდნილი ტუსაღი აგურის იატაკზე გორავს და თავს ზარის ენასავით ურახუნებს რკინის კარს. ზუსტად 4 საათსა და 30 წუთზე დარაჯი კარს აღებს.

— აი, შე გათახსირებულო ბანდიტო, კბილებს ჩამოგიღებ, ვირიშვილო! — გამყინავი ხმით კივის ცეცხლოვანი როხა, ქალწვერა და გაბუშტულცხვირა მახინჯი პედერასტი.

— მომიახლოვდი, მომიახლოვდი და მიიღებ საკადრისს! — ვალში არ რჩება პატარა ისაბელი, მეორე ასეთივე ეგზემპლარი, რომელიც ხელ-ფეხით ჩაფრენია მეგობარს და სახეში აფურთხებს.

მცველი წამით ყოყმანობს, ჯერ კარის დაკეტვას ცდილობს, მაგრამ ვიქტორინოს მოცახცახე სხეული გარდიგარდმო გდია კარში, მაშინ მცველი ვიქტორინოს თავს ანებებს, მაინც კვდება ზანგი, და გაალმასებული მირბის პედერასტებისკენ. ამასობაში მეძავთა საკანში იწყება აურზაური, ოთხი ნიმფა ხმაშეწყობით გაჰკივის, თუკი რამ სიტყვა უსწავლიათ თავიანთი მძიმე ცხოვრების გზაზე, დაკავშირებული სქესობრივ აქტთან, სხეულის დაფარული ნაწილების სახელებთან და მეტსახელებთან. მათი სიტყვები დამპალი ლიმონებივით ეხეთქება საკნის კედლებს. ჟანდარმი ახლა მათკენ გარბის მუშტების ქნევით:

— გაჩერდით, ბოზებო, მე თქვენი... — და სასტვენით უხმობს სხვა მცვე-

ლებს. მალე ხუთი ჟანდარმი თავს ესხმის უმწეო მაგდალინებს, პირს პირსახოცით უკრავს და როზგით უმასპინძლდება.

ცეცხლოვანი როხას შეკვლებისთანავე ვიქტორინო ოთხ[illegible] ჩნდება მცირეწლოვანთა ღიად დატოვებულ კართან, აკრობატის [illegible] გაწვრთნილი, შებული პიჟების ხელებსა და მხრ[illegible] საფეხურებად [illegible] ში ჰყოფს. მცირეწლოვანები ქვემოდან აწვებიან და ვიქტორინო [illegible] დასველეიულ სახურავზე დგას. იქიდან კატასავით ძიცოცავს შვერილამდე და უკაცურ შესახვევში ხტება, მიწაზე დაცემისას ფეხი ელრძო, მაგრამ ტკივილს ჯერ ვერ გრძნობს და ბუჩქნარისკენ გარბის ზიგზაგურად, მდევართა ტყვიებს თავი რომ დააღწიოს.

საღამოს რადიოთი გაიგებს მასთან ერთად გაქცეული ორი მცირეწლოვანის ბედს. პირველი ვიქტორინოს შემდეგ ამოძვრა სახურავზე, მეორეს კი დანებით ნაუცბათევად ამოჭრილი ჰერი ჩაენგრა და პირდაპირ მკვლელებს ჩაუგორდა ფეხებში. რომლებიც ის-ის იყო საკანში შემოცვივდნენ. პირველმა ზუსტად გაიმეორა ვიქტორინოს ყველა მოძრაობა და სირბილით მისდია მას ათიოდე მეტრის დაცილებით, სანამ ნეკნებში მდევართა ტყვიამ არ გაუარა და მიწას არ მიალურსმა (ასე იქნება გამოსახული საღამოს გაზეთის ბოლო გვერდზე).

კორტეჟის თავში, თითქოს რვა პატარა ბორბალზე დევსო, ობობას გამომშრალი გვამი მოგორავდა, უკან ვინ მკვდარ ბუზს მოათრევდა, ვინ მოხარშული ბრინჯის მარცვალს. პროცესიამ ძირს დაფენილი სიმინდის ფოთლებს შორის გაიკვლია გზა, აგურის კორდილიერები გადალახა, ბოთლის ნამსხვრევებსა და დამყაყებულ გუბეებს გვერდი აუარა და შავი კედლის წინ შედგა, რომელიც მოულოდნელად აღიმარ[illegible] მათ წინ და რომელიც სინამდვილეში პატარა ბიჭის მარჯვენა ფეხი იყო. ჭიანჭველებმა იგრძნეს ადამიანის სუნი და სასოწარკვეთაში ჩაცვივდნენ. ფრთხილად დაუშვეს ობობა მიწაზე და სასწრაფო თათბირი გამართეს მის ირგვლივ. უხუცესთა საბჭომ გადაწყვიტა გვერდი აევლოთ წინააღმდეგობისთვის ისე, რომ გეზი არ დაეკარგათ და საბოლოო მიზნისკენ, გამოქვაბულისკენ წასულიყვნენ. ისინი დასავლეთისკენ შებრუნდნენ, მანევრირება განაგრძეს და რომ ეგონათ, გვეშველაო, ფეხი ისევ მათ წინ აღმოჩნდა. ისევ შეიკრიბა საბჭო, რომელმაც იგივე გადაწყვეტილება გამოიტანა, მაგრამ გულივერის მოთმინების ფიალა უკვე სავსე იყო. ქუსლის ერთი მოქნევა და ობობა და პროცესია ერთმანეთში აიზილა. ჭიანჭველათა ლაშქარმა სამოცი რჩეული მებრძოლი დაკარგა. ცოცხლად დარჩენილებმა ტვირთი დაყარეს და გაქცევით უშველეს თავს.

— სად ხარ, ვიქტორინო?

მან არ უპასუხა. დედილომ მშვენივრად იცოდა, რომ ბიჭი ეზოში იყო, ჭიანჭველებს ხოცავდა და კარმენ ეუხენიას სიმღერას უსმენდა, რომელიც პერანგებს აუთოებდა მეზობელ ოთახში. ვიქტორინოს ესმოდა ცომზე დედილოს ხელების ტყაპატყუპი, ხედავდა მისი სუნთქვით აფრიალებულ კრეტონის ფარდას და გრძნობდა ახალდაფქვილი ყავის სურნელს, დედილოს თმას რომ ასდიოდა მუდმივად.

მეზობლებიდან ვიქტორინოს ყველაზე მეტად თავის კარის მეზობელი, ეს მოუსვენარი რვაფეხა ეზიზღებოდა, რომელიც გამთენიისას ბრუნდებოდა თავის ოთახში ფეხის წვერებზე და შუადღისას ისევ მიდიოდა საქმიანად და

ჰქარი ნაბიჯით, რათა თავიდან აეცილებინა მეზობლების შეკითხვები. ადამიანებს ხომ ჩვევად ექცათ თავიანთი შეკითხვები სხვის ცხოვრებაში შეჭრა. იგი გულდაგულ ჩქმალავდა თავის მულატობას და ხუჭუჭ თმას ვაზელინით ისწორებდა. ყელზე მუდამ პეპელა ჰალსტუხი ან მყვირალა ყვითელი ფერის კაშნე ეკეთა, სახეზე კი მუწუკები ეყარა. დედილოსაც ეშინოდა მისი და ყოველთვის გაურბოდა დერეფანში პირისპირ შეხვედრას. ხანდახან მეზობლებში წაიჭორავებდა და, თუმცა სახელს არ ახსენებდა, ვიქტორინო გუმანით ხვდებოდა, ვისზეც იყო ლაპარაკი:

— ჩემთვის ცუდი არაფერი უკადრებია, საწყენი სიტყვაც კი, მაგრამ, ღმერთო, მაპატიე, თვალის დასანახად ვერ ვიტან.

სახლის სიხარული, კალატოზი რუპერტო ბელისარიო, ვიქტორინო რომ დონ რუპერტოს ეძახდა, მოპირდაპირე ოთახში ცხოვრობდა. მეზობლები ამბობდნენ, მის ოჯახში თუთიყუშის გარდა ყველას ერთ საწოლში სძინავსო, რაც ყოვლად უზნეო იყო, რადგან:

ა) დონ რუპერტოს ჯვარი არ ჰქონდა დაწერილი თავის ცოლზე.

ბ) დონ რუპერტოს ქალიშვილებმა თხუთმეტ წელიწადს გადააბიჯეს.

გ) და ისინი დონ რუპერტოს ღვიძლი შვილები კი არა, გერები იყვნენ.

ამ ცოდვებს თითებზე ჩამოთვლიდა ხოლმე ვიქტორინოს მამა, ყოველ ორ დღეში გალეშილი რომ ბრუნდებოდა შინ [illegible]და, რომ თავადაც არა აქვს ჯვარი დაწერილი დედაზე და საერთოდ, ამ სახლის არც ერთმა მცხოვრებმა არ იცის, რა არის ქორწინება, გარდა № 1 ოთახში მცხოვრები მსუქანი ქალბატონისა, რომელიც ბინის ქირას კრეფს, დეოეფნის სისუფთავეს ადევნებს თვალყურს და ხშირ-ხშირად ახსენებს მეზობლებს, რომ მისი ქორწინება ეკლესიაშიც არის რეგისტრირებული და მუნიციპალიტეტშიც, თითქოს ეს წვრილმანი რამეს ნიშნავდეს ჩვენს ქვეყანაში.

რუპერტო ბელისარიოს ოჯახის წევრებიდან ვიქტორინოს ყველაზე მეტად თუთიყუში, ეს ცოცხალი გრამაფონი უყვარდა, რომელიც მთელი დღეები სარეცხის საშრობ თოკზე ეკიდა და ხანდახან ახალგარეცხილ ზეწარს თავის ბეჭედს დაასვამდა ხოლმე, რისთვისაც ცოცხით სცემდნენ. ვიქტორინო მისი ერთგული მეგობარი და მასწავლებელი იყო. მისგან ისწავლა ჩიტმა მისალმება: „დილა მშვიდობისა, ბოზიშვილო“, რაც მეზობლებს ენით აუწერლად აბრაზებდა, რადგან თუთიყუში განურჩევლად ყველას ესალმებოდა. ხუთი კაცი ცემით დაემუქრა დონ რუპერტოს, თუკი თუთიყუში ერთხელ კიდევ მიესალმებოდა მათ, დონ რუპერტოს ქალიშვილები ჩუმ-ჩუმად ხითხითებდნენ, მათ იცოდნენ, რომ თუთიყუში ვიქტორინოს შეგირდი იყო, მაგრამ არასდროს დაუბეზღებიათ ბიჭი. ვიქტორინოს დონ რუპერტოს უმცროსი ქალიშვილი კარმენ ეუხენია უყვარდა. კარმენ ეუხენია არც ისე პატარა იყო და საკუთარი თავის ფასიც კარგად იცოდა, თუმცა გულის სწორი ჯერ არ ჰყავდა. ვიქტორინო ხან ჰუჰრუტუნას აკეთებდა კარზე, ხან უკანა პატიოში მდებარე საერთო აბანოს სახურავზე მიფორთხავდა, რომ როგორმე კარმენ ეუხენიას, სხვა თუ არაფერი, შიშველი მკერდი მაინც დაენახა, მაგრამ ფეხების მეტს ვერაფერს ხედავდა, რომლებსაც ისედაც ყოველდღე უყურებდა.

რამდენიმე დღეში ერთხელ ვიქტორინოს მამა ფაკუნდო გუტიერესი მთვრალი და გაბოროტებული ბრუნდებოდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, მორიგი სამუშაოც დაკარგა. ხანდახან, თუ ბედი გაუღიმებდა, სატვირთო მანქანის

მძღოლად წაიმუშავებდა, მაგრამ, როგორც ყველა ლოთი, მალევე კარგავდა სამსახურს, შინ მგელივით მშიერი ბრუნდებოდა, დედილოს გამომცხვარ ღვეზელს შეჭამდა და ნამცხვართ „კვაკერის" თუნუქის კოლოფში შენახულ ფულს ჩაჯიბავდა. შემდეგ დედილოსთან წვებოდა და ვიქტორინოს ესმოდა მისი ველური ღმუილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაც მცემს ხოლმე. დედილოც კი მცემს, მაგრამ მას უფლება აქვს, რადგან დედაჩემია. თან ეს რა ცემაა, ერთ-ორ სილას გამაწნავს და მერე საშინლად განიცდის. ფაკუნდო გუტიერესი კი, ასე ჰქვია მამაჩემს, ქამრით მცემს ხოლმე, როცა დედილო ჩემი სკოლიდან გამოპარვის ამბავს მოახსენებს. თითქოს სკოლაში ნაკლები მომხვდა ამისთვის! რა ვქნა, ვერ ვიტან მეზღვაურის ტანსაცმელში გამოპრანჭულ ლაწირაკებს. ვიცი, დედილოს არ უნდა გამცეს, მაგრამ თავისდა უნებურად ყველაფერს უყვება ფაკუნდო გუტიერესს. ხოლო ის რომ ქამარს შემოიხსნის, ვერც ქრისტე ღმერთი და ვერც მანდრეიკ ჯადოქარი[1] ველარ მიშველის.

არყის სუნით აყროლებულმა ფაკუნდო გუტიერესმა შვილს უხმოდ აუარა გვერდი და კრეტონის ფარდის უკან გაუჩინარდა. ვიქტორინოს ყურს მოგუდული ლაპარაკის ხმა მიწვდა, მართალია, სიტყვები ვერ გაარჩია, მაგრამ მშვენივრად მიხვდა მათ აზრს. — რას აკეთებს ასეთ დროს ბიჭი შინ, რატომ ზის ზღურბლზე მათხოვარივით, იმის ნაცვლად, რომ სკოლაში იყოს? — დედილო ჩუმად იყო და იმედი ჰქონდა, იქნებ ქმარს სხვა რამეზე გადაეტანა ყურადღება, როგორც ეს ხშირად ხდებოდა. — შენი ბრალია ყველაფერი, — არ ცხრებოდა მამა, — შენ გამოიბი ბიჭი კალთაზე, შენს საქმეებზე არბენინებ და სულ ფეხებზე გკიდია, რომ ბავშვი ვერასდროს ისწავლის კითხვას.— მაშინ დედილო გამოტყდა, რომ ვიქტორინომ გაკვეთილები გააცდინა, მაგრამ სასჯელიც მიიღო: ოთხი სილა, პანღური და პარმაღზე ჯდომა, სანამ სკოლიდან შინ დაბრუნების დრო არ დადგება, მაგრამ ფაკუნდო გუტიერესს სილა, პანღური და პარმაღზე ჯდომა არასაკმარის სასჯელად მოეჩვენა. — ვიქტორინო, მოდი აქ!

ფაკუნდო გუტიერესი შუა ოთახში იდგა და რაღაც ჯაგრიანი ცხოველის, ტახისა თუ თვით ეშმაკის ტყავისგან გაკეთებულ სქელ ქამარს მუხლებზე იტყლაშუნებდა. თუ დარტყმების თავიდან აცილებას შეეცდება ვიქტორინო, მით უარესი მისთვის. ამ დროს ყველაფერს სჯობს მოკრივესავით თავი მხრებში ჩარგო, ხელები მუცელქვეშ აიფარო და შოლტს მხრები, ხელ-ფეხი, უკანალი და სხვა მეორეხარისხოვანი ადგილები შეუშვირო, თან, რაც ძალი და ღონე გაქვს, იყვირო, რომ მეზობლებს აფიქრებინო, კლავენ ბიჭსო. ეს ხანდახან ანელებს ჯალათის მძვინვარებას. მაგრამ ამჯერად, ვიქტორინოს გადაწყვეტილი აქვს უხმოდ აიტანოს წამება, რათა კარმენ ეუხენიამ, მეორე ოთახში რომ აუთოებს და ბოლეროს ღიღინებს, არ გაიგოს მისი დამცირება.

ფაკუნდო გუტიერესი ჩუმი ჯალათი კი არა, მჭევრმეტყველი სადისტია და დარტყმას ლანძღვა-გინებას აყოლებს:

— შე ძაღლის ლეკვო, ვირიშვილო, ისე დაგამახინჯო, დედაშენმაც ვერ გიცნოს!

ამჯერად ალკოჰოლმა უფრო დაუნდობელი გახადა მამა და ვიქტორინოსაც ჩვეულებრივზე მეტი მოხვდა. ბოლოს, როგორც იქნა, დედილო ჩაერია

[1] კომიკური პერსონაჟი.

და ხვეწნა-მუდარით რომ ვერაფერი გააწყო, „მოკლავ ბავშვს, შე ნადირო“-ს ძახილით მამა-შვილს შორის ჩავარდა, ვიქტორინომაც დრო იხელთა და უკანმოუხედავად მოკურცხლა უკანა პატიოსკენ დაკოჟრილი აკაციის ჩრდილქვეშ სატირლად, სადაც ქონიანი ტაფებისა და ჭუჭყიანი ჩირ[illegible] ჩამოედინებოდა. ფაკუნდო გუტიერესი მისი მამა რომ იყო, [illegible] არ უარყოფდა, მაგრამ გაბოროტებულ პატარა ზანგს არ უყვარ[illegible] მთელი არსებით, უსაზღვრო სიძულვილით სძაგდა იგი. ასეთი ძლიერი გრძნობა ვიქტორინოს ჯერ არ გასჩენია, გრძნობა, რომელმაც დედილოს სიყვარულსა და შიშველი კარმენ ეუხენიას ნახვის სურვილსაც კი სძლია. რომც არ მცემდეს, მე მაინც შემძულდებოდა იგი. მეზობელ პატიოში დამჭკნარი ფოთლების გროვიდან ნისკარტში ჭიაყელა-გამოჩრილი ჭრელი ქათამი ჩამოხტა. ნეტა სად დაეთრევა ფაშფაშა დიასახლისის მამალი, აქ რომ იყოს, მიწაზე დასცემდა დედალს და ყოფას უტირებდა.

ვიქტორინოს გაახსენდა, როგორ წამოხტა ერთხელ სადილის დროს სკამიდან ფაკუნდო გუტიერესი და დედილოს გაარტყა. გეფიცებით, ჩემი თანდასწრებით გაარტყა ხელი! შემდეგ ვიქტორინოს დაბინდულ თვალებში, კარმენ ეუხენიამ გაიელვა მთელი თავისი მშვენებით და თეძოების რხევით გაემართა საერთო საპირფარეშოსკენ. ვიქტორინოს ისღა დარჩენოდა წარმოედგინა,როგორ დაჯდა შარვალჩახდილი გოგონა გატეხილ ჭურჭელზე და კარმენ ეუხენიას სიყვარულიც ნელ-ნელა გაქრა.

უცებ ჰაერში მწვანედ გაიფრთხიალა რაღაცამ და მოგრეხილი ფეხებით მიწას დაასკდა. „გამარჯობა, ბოზიშვილო“, ეს ნაცემი და დამცირებული მეგობრის გასამხნევებლად მოსული თუთიყუში იყო.

ვიქტორინომ დაივიწყა ძველი მეგობრობა, დაივიწყა, რომ თუთიყუში მხოლოდ იმეორებდა მის გაკვეთილებს, ქვას დასწვდა და ჩიტს ესროლა. ქვა მიზანს მოხვდა და მომაკვდავი თუთიყუში საცოდავად აფართხალდა. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უაზრო დანაშაულთაგანი, რაც ვიქტორინოს მანამდე და მას შემდეგ ჩაუდენია.

## ვიქტორინო პერალტა

აი, ისიც! ვის ეპარება ეჭვი? — ღვთიური, ნანატრი მანქანა და აი, ესეც! ვინ უარყოფს? — ყველაზე ბედნიერი დღე ვიქტორინოს ცხოვრებაში. ერთადერთი დღე, რომელიც იმსახურებს საცოდავ ეპითეტს „ბედნიერი“. ვიქტორინო ფრთხილად ამუხრუჭებს რამუნჩოს სახლიდან ორმოცდაათიოდე მეტრზე და ისეთი სიყვარულით ათვალიერებს სამართავ მოწყობილობას, როგორც ახალჯვარდაწერილი ვაჟი ეს-ესაა საქორწილო კაბაგახდილ თავის საყვარელ ცოლს.

ღილაკები, გადამრთველები, მრგვალი შუშები და მოცახცახე ისრები ისეთ სურათს ქმნის გაპრიალებული ხის ფონზე, ხელოვნების ყველაზე ჰარმონიულ ქმნილებასაც კი დაჩრდილავს. 1. ტაქომეტრი, 2. ამპერმეტრი, 3. სპიდომეტრი, 1. ფარების ჩამრთველი...

...ოჯახში არავის სჯეროდა, რომ მამამისი, ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია, ხასიათის ასეთ სისუსტეს გამოამჟღავნებდა და ძვირფას „მაზარეტის“ უყიდდა ვიქტორინოს, რომელიც მთელი თოთხმეტი თვე ხან ხვეწნა-მუდარით, ხან მტკიცე მოთხოვნით ცდილობდა მიზნის მიღწევას. რა დიპლომატიური

ხერხების გამოყენება არ დასჭირდა პირმშოსა და ერთადერთ მემკვიდრეს (ვიქტორინოს გარდა ოჯახში სამი სუსტი და უფერული გოგო იზრდებოდა), რომ თავისი გაეტანა... 5. ბენზინის მაჩვენებელი 6. ფარების ჩამრთველი. 7. კაპოტის ასახდელი...

...ინჟინერ არხიმირო პერალტა ერედიას ლოგიკაში გარკვევა [illegible] გაუჭირდებოდა. საქმე მარტო ფული როდი იყო. ინჟინერი ხომ [illegible] ლაპარაკებია, ისე გაატანა ქარს გვარიანი თანხა თავისი ულევი და მომგებიანი მემკვიდრეობიდან, რომელიც თავის ვაჟებს დონ არხიმირო პერალტა დაპომეიმ — ლატიფუნდისტმა პერალტას გვარიდან და კაპიტალისტმა დაპომეის გვარიდან, საძოვრებისა და მამულების პატრონმა (სადაც ახლა ქალაქის მშენებლობა მიმდინარეობს 1300 ბოლივარი კვადრატულ მეტრზე) და აქციონერული საზოგადოების პაკეტების მფლობელმა მამამ დაუტოვა.

ვიქტორინოს მამას, ინჟინერ არხიმირო პერალტა ერედიას არაფრად ეღირდა ჩეკზე ხელის მოწერა, ერთადერთი რაც მას აკავებდა, პოკერის მრგვალ მაგიდას შემომსხდარი ბირჟის პარტნიორების შენიშვნა იყო: „ხომ არ გაგიჟდი, არხიმირო, რომელი სულელი უყიდის „მაზარეტის" ბიჭს, რომელსაც თვრამეტი წელიც არ შესრულებია... ორი ჯვარი"...

...12. რადიატორის ჩამრთველი (რა ჯანდაბად მინდა რადიატორი ამ ტროპიკულ ქვეყანაში). 13. ხელის მუხრუჭი. 14. სიჩქარის გადასართავი წითელთავა ბერკეტი. 15. საათი — რასაკვირველია, შვეიცარული, 16. უძლიერესი გერმანული რადიომიმღები, რაღაც გაუგონარ სადგურებს რომ იჭერს, ულონგოვს, მაგალითად, სად ეშმაკებშია ნეტავ. 17. ბრილიანტის შესანახი ზარდახშის მსგავსი ხელთათმანების ყუთი...

ვიქტორინოს გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი მაინც დედიკომ შეასრულა, რომელიც მანამდე ნეიტრალიტეტს იცავდა, ერთ საღამოს კი, ჩვეულებისამებრ ლიმონიან ჩაის რომ სვამდნენ, მოულოდნელად თქვა: „არხიმირო, გეყიდა დაბადების დღისთვის „მაზარეტი", გაიხარებდა ბიჭი".

თანაც ღია ვერცხლისფერი რომაა! ზუსტად ასეთზე ვოცნებობდი. ამით 220 კილომეტრს გაქაჩავ კაცი. ზუსტად ასე სწერია სპიდომეტრის მარჯვენა კუთხეში — 220. ახლა შემეჯიბრეთ, ძაღლიშვილებო!

დედიკო შეუდარებელი იყო დილით. მაქმანებიანი პენუარით გამთენიისას შესრიალდა ვიქტორინოს ოთახში. შუბლზე კოცნით მიულოცა დაბადების დღე და სხვათა შორის უთხრა: „გადაიხედე ფანჯარაში, მამაშენმა საჩუქარი მოგიმზადა სრულწლოვანების აღსანიშნავად". და თუმცა ვიქტორინომ შესანიშნავად იცოდა, რა საჩუქარზე იყო ლაპარაკი (ჯონის წამოსცდა, მამამისის ტრინიდადელ მძღოლს), მაინც ველური ყვირილი აღმოხდა ვერცხლისფერი მანქანის დანახვაზე, რომელზეც საათობით ოცნებობდა ეზოში პალმებქვეშ.

რაღა თქმა უნდა, პირველად რამუნჩო-ლომგულს, ვიქტორინოს ბავშვობის მეგობარს აქვს უფლება გაისეირნოს იტალიური მანქანათმშენებლობის ამ სიამაყით, მთელ დიდ კოლუმბიაში[1] ერთადერთ ეგზემპლარით, ალტაცებისგან რეტდასხმული რამუნჩო სავარძელში იშხლართება და საღეჭი რეზინივით ატრიალებს პირში აღფრთოვანების სიტყვებს (ოუუ! ჯეიმს ბონდის ოცნება,

[1] 1819—1830 წლებში აერთიანებდა ვენესუელას, ახალ გრენადას (დღეს კოლუმბია) და ეკვადორს.

ბრიჯიტ ბარდოს ბუსჰალტერი, სუპერმენის ლაბადა! კოსმოსური ხომალდის კაპსულა!) და ცხვირს ჰყოფს ბერკეტებსა და ღილაკებში, „მაზარეტი" მინიმალური სიჩქარით მისრიალებს ქუჩაში, ფარაონის სპილოსავით პომპეზურად უვლის გვერდს ალტაცებისგან პირდაღებულ გოგოებს, ცერემონიალის დიდებულებას ვიქტორინოს ხარხარი არღვევს, — რა სიფათი ჰქონდა [illegible]რს! — მას რამუნჩოს ჰიხვინი უერთდება. ის რისი გახსენებ[illegible]ულებთ ბიჭებს, წინა ღამით მოხდა, როცა მეგობრებმა საზეიმოდ გააცილეს ვიქტორინოს 17 წელი. ვიქტორინო ყოველთვის ბრაზდება, როცა ლაპარაკობენ შიშზე, როგორც ავადმყოფობაზე, სულიერი ძალების გამოცდაზე (კოლეჯში ამაოდ ეცადნენ წაეკითხებინათ ვიქტორინოსთვის ერთი წიგნი, სადაც აღწერილია, დამფრთხალი ირემივით რომ გაურბის აქილევსს დაუმარცხებელი ჰექტორი და კიდევ უფრო ბრაზდება, როცა ნასადილევს ბერტრან რასელი მის ოჯახის წევრებს უმტკიცებს, რომ შიში ყველა რელიგიის პირველწყაროა (არც მეტი, არც ნაკლები, თვით ღმერთის შემქმნელი), რომ იგი ისტორიის მამოძრავებელი ძალა, პროგრესის სტიმულატორი, აბსტრაქტული ფერწერის სულის შთამბერი და არსია.

ვიქტორინოს არამცთუ სიცხიზლეში, ძილშიც კი არ გამოუცდია, რა არის შიში. თუმცა ხშირად გასჩენია სურვილი როგორც მიკროსკოპში, ისე დაეთვალიერებინა გაფითრებულ სახეზე შეყინული, გაფართოებულ თვალებში ჩამდგარი შიში. და აი, გუშინ მიეცა ამის საშუალება. რამუნჩომ თავისი მოტოციკლეტი მიყრუებულ, ერთი მიმქრალი ფარნით ოდნავ განათებულ ქუჩას მიაყენა. ქუჩაში ერთი კაცის მეტი არავინ ჩანდა. მთვრალი არ არის, გაიფიქრა ვიქტორინომ, კარტს თუ შემორჩა. ცოტა გვიან ხომ არ ბრუნდები სახლში, ოჯახის უფროსო? და როცა სილუეტი ფარანს მიუახლოვდა, ვიქტორინო სიბნელიდან გამოხტა და აქამდე მამამისის საწერი მაგიდის უჯრაში უქმად ნადები „კოლტი" მიაბჯინა მსხვერპლს მკერდზე.

— ხელები მაღლა! ჩვენ ბანდიტები ვართ!

თვალებთან გაჭრილი ქალის შავი კოლგოტკიდან ვიქტორინომ დაინახა, როგორ მოიმჩვარა კაცი, როგორ ჩაისველა შარვალში და შიშით ხელებიც კი ვერ ასწია მაღლა.

— ხელები ასწიე, ბებერო ძაღლო, თორემ მიგახვრიტეთ! — დაიძახა რამუნჩომ, რომელიც სიბნელიდან აკვირდებოდა მოვლენებს.

და როცა მოხუცს კბილები აუკაწკაწდა და ბიჭებს შეევედრა: — არ მომკლათ, ბატონებო, ხუთი შვილისა და ორი შვილიშვილის პატრონი ვარო, ვიქტორინომ ლამის ზედ შეაფურთხა ზიზღით. არა, თურმე არ ღირს შიში იმად, რომ თვალებში ჩახედო.

ნადავლად ოფლითა და ჭუჭყით გაზინთული საფულე დარჩათ, სადაც ორი ოცბოლივარიანი ბანკნოტი და დიდი ოჯახის სურათი იდო. ვიქტორინომ ფული რამუნჩოს მისცა. საფულე ბუჩქებში მოისროლა, სურათი კი თვითონ შეინახა სუვენირად.

— არა, მაინც რა სიფათი ჰქონდა.

„მაზარეტი" ტრიუმფალურ სვლას აგრძელებს. სალონში საქსაფონის ხმა ილვრუბა. „ხარს რომ მთვარე შეუყვარდა" — მღერის რადიო.

თამაშს ერქვა ამ ქვეყნიდან წასვლა. ვიქტორინოს სულ მარტო უწევდა თამაში, რადგან ვერც მეზობლის ბავშვები და მით უმეტეს ვერც სამონასტრო კოლეჯის ცხვირმოუხოცავი მოსწავლეები უბამდნენ მხარს. მის გარდა არავის

შეეძლო იმდენ ხანს გაწოლილიყო აუზის ფსკერზე, თევზივით ეყვინთა და წყალში თამამად გაეღო თვალები.

ტრინიდადელი მძღოლი ჯონი აუზის პირას იდგა. არა, დასახმარებლად კი არა, ვის სჭირდებოდა ან ვინ მიიღებდა მის დახმარებას. მას მხოლოდ ბრძანება ჰქონდა გადასაცემი ბიჭისთვის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიქტორინო, სენიორა ამბობს, რომ...

მან უკვე იცოდა, რას ამბობდა დედიკო: რომ დღეს ანგელოზ გლედისის დღეა. ვიქტორინოს არ სჯეროდა, რომ არსებობს ასეთი სულელური ინგლისური სახელის მქონე ანგელოზი, მაგრამ დის სახელობის დღეზე მაინც აუცილებელი იყო კოცნა, გლედისის შემდეგ დაიბადა ბეტი და ბოლოს მარგარეტი, ბებია ადელაიდას აქტიური ჩარევა რომ არა (რომელმაც შვილიშვილს წამებული წმინდა ვიქტორინოს სახელი დაარქვა, რადგან ბავშვი წმინდანის დღეს დაიბადა), ალბათ ვიქტორინოსაც რიჩარდი ან რიკი ერქმეოდა. გლედი, ბეტი და მარგარეტი, გაპუდრული, ფერად მაქმანებში ჩაფლული სამი მჩხავანა არსება დილიდან დაღამებამდე გაუთავებლად ჰყიოდა, სანამ ასევე ტირილ-ტირილით არ წაიყვანდნენ დასაძინებლად.

„დღეს გლედისის დღეობაა, შენ კი უკვე ერთი საათია წყალში ხარ, ამოდი, საცაა სტუმრები მოვლენ...“

მოსაწყენი და სულელური საღამო ელის ვიქტორინოს. გლედისის თეთრფეხსაცმლიანი და საჯდომზე ბაფთიანი თანატოლების მთელი ამალა მოფრინდება შავკანიანი გადიების თანხლებით, რომლებიც აბრეშუმის წინდებსა და მეხანძრეებზე ოცნებობენ. ლუსიც გამოცხადდება და ვიქტორინოს მიბნედილ მზერას არ მოაცილებს, სანამ ბიჭი ნაყინით არ გაუმასპინძლდება. ის საზიზღარი კი გაპრანჭული ხმით იტყვის: „დიდი მადლობა, ვიქტორინო“, რაც „მიყვარხარ და შენი ვარო“ ნიშნავს. ეჰ! საღამო იტალიურ ოპერასავით და დისნეის მრგვალი მხეცებივით ყალბი და მოსაწყენი იქნება.

დედიკოს დაქალებიც მოვლენ და ფრანგული სუნამოსა და ბილწი რომანების სურნელებას მიმოაფრქვევენ. ისინი ვიქტორინოსთვის უცხო ჟარგონზე, რებუსებით ლაპარაკობენ. დიდი ხანია გაქრა? — კითხულობს ერთი. — მეხი დამეცეს, თუ ვიცოდე! — ამბობს მეორე. — ერთ საღამოს — ამბობს მესამე. — რა ოჯახი, რა წინაპრები, — ამბობს მეოთხე. — რა შთამომავლობა, — ამბობს მეხუთე, — შიშისგან, მხოლოდ შიშისგან, — ამბობს მეექვსე, — Honni soit qui mal y penses[1], — ამბობს მეშვიდე, რომელსაც ლონდონში აქვს განათლება მიღებული. — ერთ საღამოს ორივეს მოვკარი თვალი და გავჩერდი, რომ მეკითხა, რა ღირდა ფუაგრა, თუმცა ფასი კოლოფზე ეწერა. ის მოვიდა და მომესალმა, მგონი,ორშაბათი იყო. ჰო, ორშაბათი, იმიტომ, რომ ალფრედი გაბრაზებული მოვიდა სამსახურიდან და საშინლად წვიმდა, — ამბობს მერვე . — მშრალ მარტინის ხომ არ მიირთმევთ? — კითხულობს დედიკო. ლუსის ჩამაქრული მზერის ატანა უკვე შეუძლებელი გახდა და ვიქტორინომ იგრძნო. როგორ გამოეზარდა შუბლზე ტკბილი სტალაქტიდები და თავს თუ არ უშველიდა, უეჭველად ტორტ „სენტ-ონორედ“ იქცეოდა. ამიტომ პროტესტის ნიშნად ჯერ ვერცხლის მექსიკურ საკომპოტეში მოშარდა, სადაც ფორთოხლის, ანანასისა და მარწყვის ნაჭრები დაცურავდნენ და მისი აზრით საგრძნობლად გააგემრიელა წვენი. წარმოიდგინა კიდეც, რა სიამოვნებით

[1] და შერცხვეს, ვინც ცუდად იფიქრებს (ფრ).

დალევდნენ გოგოები. შემდეგ ორი გომბეშო ჩასვა შავკანიანი გამზრდელების ასუნსიონისა და კარიდადის ლაქის ჩანთებში, რომლებიც თავიანთ აფრიკულ ენაზე აკაკანდებოდნენ, როცა გომბეშოები დაკარგულ [illegible] თავისუფლების მოპოვებას მოიწადინებდნენ. მალე ესეც მობეზრდა და [illegible]ით ბორიალს მიჰყვა, თან [illegible]ერდის წითელ ქურთუკზე მოსდიოდა [illegible], რომელიც დედიკომ ჩააცვა ძალით და რომელიც აშკარად ლახავდა [illegible] ასტრონავტის თავმოყვარეობას.

ეზოში განათება ჩართეს და ვიქტორინო მანგოსა და ლიმონის ხეებს შეეფარა. ბუნების წიაღში მას მართლაც რომ გენიალური აზრი დაებადა. ვიქტორინოსგან ერთი ხელის გაწვდენაზე საჩუქრების ოთახია, მისი ერთი ხელი ფანჯარაში შეძვრება და ბენზინს შეასხამს სოფას. შემდეგ იგივე ხელი ფანჯარაში ანთებულ ასანთის ღერს შეაგდებს. ცეცხლი, რომელიც ჰერაკლიტეს თანახმად მატერიის ყოველი ცვლილების პირველწყაროა, ცეკვა-ცეკვით ალოკავს სოფას. ცეცხლი, რომელიც სულიწმინდის სიმბოლოა, საჩუქრებს მისწვდება...

გლედისის დღესასწაული ძველი აღთქმის ერთ-ერთ თავს დაემსგავსა. პატიოში ჯერ გოგონები გამოცვივდნენ წივილ-კივილით, შემდეგ მათ შავკანიანი გადიები გამოენთნენ მარტორქებივით. ჯონიმ სასწრაფოდ შექმნა მეხანძრეთა ბრიგადა მოსამსახურეებისგან, რომლებიც ცარიელი ვედროებით მირბოდნენ აუზთან და „ღმერთო ჩემოს" ძახილით მოარბენინებდნენ წყალს. ვილაცამ მეხანძრეები გამოიძახა და მალე ღამე მათი ზარების წკარუნმა გაჰკვეთა. გლედისი, ბეტი და მარგარეტი გარაჟში იხრდნენ იარაღებსა და საბურავებს შორის და მწარედ მოსთქვამდნენ. მოვლენათა ცენტრში, რასაკვირველია, დედიკო მოექცა, გაფითრებული, აფორიაქებული მედეა, რომლის მთელი მღელვარება კივილმა გამოხატა:

— ვიქტორინო! სად არის ვიქტორინო?

ვიქტორინო მის გვერდით იდგა, ამაყი და მხიარული ბიჭის დანახვაზე დედიკოც დამშვიდდა, ღიმილმა მის სახეს გაზაფხულის ფერები დაუბრუნა. ბრძოლის ველზე ნაპოლეონის ბრძანებები გაისმა და ხუთი წუთიც არ გასულიყო, სახლში სრული წესრიგი დამყარდა.

## ვიქტორინო პერდომო

...და თუმცა ბელარმინო სოლისი, — იგი ჩვენი საბრძოლო ტაქტიკური ერთეულის (ს. ტ. ე.) მეთაურია და სახელიც გამოგონილი ჰქვია, — ფიქრობს, რომ ჩემთვის ჯერ ადრეა გაპარსვა, მე მაინც გავიპარსავ. აი, რა ჯაგარი მაქვს. გავიპარსავ და ცისფერლოყება ესპანელი ღვთისმსახურივით გავლამაზდები. ამ სამართებელს თავის დროზ „ჟილეტი" ერქვა, ახლა დაძველდა და დაიჟანგა, მაგრამ მე მეტი არა მაქვს, ფუნჯს ბღუჯა-ბღუჯა ცვივა თმა, სარკე კი ისეა დაკაწრული, საკუთარ სახეს ვერ ვარჩევ. მე ხომ იმიტომ წამოვედი სახლიდან და ამ მიყრუებულ პანსიონში დავსახლდი, რომ...

ვიქტორინო სარკის წინ დგას. მთელი ღამე ცდილობდა დაეძინა, მაგრამ ფიქრები ამის საშუალებას არ აძლევდა. თავის ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ვიქტორინო დარწმუნდა, რომ ყველაზე უსიამოვნო თვით მოქმედება კი არ არის, არამედ სულისშემხუთავი ცდა და იმის ფიქრი, კიდევ რის გაკეთება უნდა მომესწრო და ვერ გავაკეთეო. ისევ და ისევ იმეორებ მოქმედების

გეგმას, ყოველი მოძრაობა ზეპირად უნდა იცოდე, ისე, რომ ლამის ინსტიქტად გექცეს. ზუსტად 4 საათსა და 27 წუთზე იღებ რევოლვერს, 4 საათსა და 29 წუთზე იმ კარებში შედიხარ და ა. შ.

...რათა გავთავისუფლდე ოჯახის წევრების მეთვალყურეობისგან, მამის მეურვეობისა და დედის სიყვარულისგან. ეს ფუნჯიც სულ გაქუცულა, მაგრამ მე მაინც გავიპარსავ, ახლა მთელი გულისყურით თუ არ გავიპარსე, [illegible] გავიჭრი, მერე იოდი და...

მთავარი უკანდასახევი გზების ცოდნაა. მეათასედ იმეორებდა ს. ტ. ე-ს მეთაური ბელარმინო სოლისი. ყველამ უნდა იცოდეს, ოპერაციის შემდეგ რა გზით უნდა დაბრუნდეს უკან. მეთაურმა აიძულა ისინი სამი დილა ზედიზედ თავიანთი მარშრუტი გაევლოთ, შუადღისას კი რუკაზე ავარჯიშებდა მათ და გასაქცევ გზებს იოანე მოციქულივით საჩვენებელი თითით უჩვენებდა. აი, აქედან შენ გაიქცევი, აქ დაქოქილი მანქანა დაგიცდის, რევოლვერი მზად გქონდეს, ოღონდ უკიდურესი საჭიროების გარეშე არ ისროლო.

...ბამბა. ასეც ვიცოდი! სამართებელიც ბლაგვია, ფიქრიც სხვაგან გამირბის, ზედ ნიკაპქვეშ არ გამოვისვი! ჯერ ოკრობოკრო ხაზი დამაჩნდა. ახლა სისხლმაც გამოჟონა. ამ სარკეშიც კი ჩანს...

ოპერაციის დროს, აგრძელებდა ბელარმინო, მთავარია საღად აზროვნება და სწრაფად მოქმედება. წინასწარ ვერავინ გაითვალისწინებს ყველა მოულოდნელობას, როგორც ფეხბურთის მწვრთნელი ვერ იტყვის, თამაში რა ანგარიშით დამთავრდება, მიუხედავად იმისა, რომ თავისი გუნდის ყველა მოქმედება და წვრილმანი გათვლილი აქვს. ვინ გამოიცნობს მოწინააღმდეგის გუმანს, ფინტებს და სიჩქარეს? ან ჩვენ ვინ გვეტყვის, როგორ მოიქცევიან ჩვენი მოწინააღმდეგეები, ანუ თავდამსხმელები, რომლებიც აუცილებლად ჩაერევიან ჩვენს საქმეში? თვით ყველაზე კარგად გათვლილი ოპერაცია, როგორც წესი, მხოლოდ 40 პროცენტით სრულდება, დანარჩენ 60 პროცენტს მოწინააღმდეგე მხარის ჩარევა განაპირობებს, რომელიც შემთხვევის წყალობით ხელს შეგვიწყობს ან შეგვიშლის მიზნის მიღწევაში.

მეთაური ბელარმინო ნამდვილი მეომარია, ასეთები ცოტაღა დარჩნენ.

...და ყელისკენ მიედინება... მე პირსახოცს ვიჭერ ჭრილობაზე, სისხლის დენა მხოლოდ რამდენიმე წამით წყდება, და როცა კვლავ ჩნდება წითელი ძაფი, აღარ ვაქცევ ყურადღებას და სახეს კვლავ მარწყვის ნაღებისფერი საპნის ქაფით ვფარავ...

ისროლეთ მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმეორებს მეთაური ბელარმინო. სროლას ახალი, მოულოდნელი პრობლემები მოჰყვება, სროლის ხმაზე ცნობისმოყვარეები გროვდებიან, მტერს ავიწყდება, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია, ამიტომ უმჯობესია მზად გვქონდეს რევოლვერი, მოწინააღმდეგე კი სიტყვებით დავაშინოთ: — არ გაინძრე, თორემ ჩაგაძაღლებ! (რაც უფრო შთამბეჭდავად ჟღერს, ვიდრე: არ გაინძრე, თორემ გესვრი) ანდა — არ მომიახლოვდე, თორემ აგხადე თავის ქალა! (ვიდრე: — არ მომიახლოვდე, თორემ მოგკლავ!). მოკლედ, ყოველნაირად უნდა ვეცადოთ თავიდან ავიცილოთ სროლა, მაგრამ თუ დავალების შესასრულებლად საჭირო გახდა მათი დახოცვა, ლაჩარი იქნება ის, ვინც არ ისვრის, ამხანაგებო! — ამბობს ბელარმინო და რაღაც შორეული მოგონებისგან სახე უმკაცრდება.

...პირს ცივი წყლით ვიბან, რადგან ცხელის საშუალება არ არის, და ვიცვამ, თუმცა ვალენტინის მოსვლამდე მთელი საათია დარჩენილი. მაგრამ

სჯობს ადრე ადგე, ვიდრე ქალს დანატრებული სემინარისტივით საწოლში
იწრიალო, აი, მარჯვენა წინდა გახვრეტილი მაქვს და [illegible] მომიჩანს.
დედა ასეთ დროს საკითხავ სათვალეს გაიკეთებდა და. აი მომეცით, მეტ-
ყოდა...

ეროვნული

ოპერაცია ბანკის დახურვის წინ, 4 საათსა და 27 წუთზე დანიშნული.
მტანჯველი ათი საათიღაა დარჩენილი წუთამდე, რომელიც უნდა იქცეს ჩემს
მომავლად, აწმყოდ, ჰიპოთეზად, სინამდვილედ. სიკვდილად. ვიქტორინოს
ერჩივნა ბანკი არ ყოფილიყო. იგი მომხრეა კერძო საკუთრების განადგუ-
რებისა, მაგრამ ბანკზე თავდასხმა ხომ ჩვეულებრივ ყაჩაღობას წააგავს. რომე-
ლიც ნებისმიერ ქურდს შეუძლია ჩაიდინოს. ან იქნებ ვიქტორინოს წვრილ-
ბურჟუაზიული გადმონაშთები აწუხებს? და მაინც ვიქტორინოს ბანკი არ
უნდა, სხვა, თუნდაც უფრო სარისკო და სახიფათო ოპერაცია ურჩევნია. მან
ცენტრალური სალაროს ბაკენბარდებიან, მსუქან მოლარეს უნდა მიხედოს.
მისი ყველა მოძრაობა ვიქტორინოს ძირისძირობამდე აქვს შესწავლილი. მო-
ლარეს ფულის დათვლის შემდეგ გაქაჩავენ, როცა ასიგნაციებს ფერისა და
ღირებულების მიხედვით დაალაგებს ბანკის დაკეტვამდე რამდენიმე წუთით
ადრე. ვიქტორინო სწრაფად მივარდება გისოსს, რევოლვერს შუბლში დაუ-
მიზნებს მოლარეს და დაუყვირებს: „ხელები მაღლა! არ გაინძრე!“ მსუქანი
მოლარე გაფითრდება და აკანკალებულ ხელებს მექანიკურად აიშვერს მაღ-
ლა. მაგრამ ვიქტორინოს მაინც ურჩევნია ბანკი არ იყოს. მის უკან ბელარმი-
ნო უფრო სახიფათო საქმით, მცველი პოლიციელის განიარაღებით იქნება
დაკავებული. ვიქტორინო გაიგონებს მის ბრაზიან ხმას: „დააგდე რევოლვე-
რი, თორემ გაგათავე, უბედურო!“ და ისიც დაემორჩილება. ან იქნებ სულ
სხვაგვარად შეტრიალდეს საქმე, იქნებ პოლიციის მანქანა, რაღაც შემთხვევის
წყალობით, ზუსტად 4 საათსა და 27 წუთზე გამოჩნდეს ბანკის შესასვლელთან.
სხვა მხრივ კი ყველაფერი გათვლილია. ბანკიდან ოცი მეტრის დაშორებით,
ადვოკატ მოსკერას გარაჟიდან ორი დღის წინ მოპარულ და ნომრებშეცვლილ
„შევროლე“-ში ვალენტინი და კარმინია დაიცდიან გადაპრილი ავტომატით. მაგ-
რამ პოლიციის მანქანის წინ ოპერაციის დაწყება ხომ თვითმკვლელობაა. ვიქ-
ტორინო თვალებით მოძებნის მეთაურს და ისიც ალბათ უკანდახევის ბრძა-
ნებას გასცემს. აი, ხელის ტყვიამფრქვევის სიმძიმით წელში მოხრილი ბე-
ლარმინო ქუჩას კვეთს, პოლიციის პატრული ვიქტორინოს უყურებს, შეგო-
ბარს რაღაცას ანიშნებს და იწყება... ან იქნებ ისინი ს. ტ. ე-ს რომელიმე
წევრმა გასცა, რომლის სახელს ვერასდროს გაიგებენ. ბანკში უკვე პოლიციე-
ლები გამაგრებულან და. როცა ვიქტორინო და ფრედი შენობაში შევლენ, მსუ-
ქანი მოლარის ადგილიდან ორი ტყვიამფრქვევი გახსნის ჯერს, გასისხლია-
ნებული ბელარმინო ზედ ვიქტორინოს ფეხებთან დაეცემა. ან იქნებ... არა,
ასე დაუსრულებლად შეიძლება ფიქრი, ფაქტი ერთია: ადვილი შესაძლებელია
ყველა დაიღუპოს. სიკვდილის შიშს მთელი სხეული მოუცავს და ვიქტორინო
ნატრობს უკვე დაჭერილი ან მკვდარი იყოს.

...მომეცით, და ამომიკემსავდა. მე ნაცრისფერი ხალათი მაცვია, როგორც
ჩვენების უმრავლესობას, და მოწითალო-მოყავისფრო შარვალი. რევოლვერი
ჩემია, საკუთარი, რომელიც ათასჯერ დამიშლია და ამიწყვია. კამიერას ახლოს
უდაბურ ადგილას კონსერვის ქილებს ვესროდი ხოლმე ამ რევოლვერით
და ისიც შეეჩვია ჩემს ხელს. მებრძოლის უპირველესი ამოცანა იარაღთან

გაშინაურებაა, ამბობს ბელარმინო. ნეტა ხელს ხომ არ შემიშლის, ქუჩაში რომ ვივლი? ვალენტინი ათ წუთში უნდა მოვიდეს.

გუშინ, საღამოს სხდომაზე საბოლოოდ რომ დავამუშავეთ ოპერაციის ყოველი წვრილმანი, ერთი მოულოდნელობა მოხდა. ამხანაგი ფლორინი, ბი-ოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი (რომელიც ვიქტორინომ იმით გამოარჩია სხვებისგან, რომ ერთხელ აკრძალული წიგნით მოვიდა სხდომაზე [illegible] შეშინებული უსმენდა მეთაურს და თან ფანჯარაში იყურებოდა — [illegible] მა-საც ერჩივნა ბანკი არ ყოფილიყო. ბელარმინო თითქოს ვერ ამჩნევდა მის უცნაურ საქციელს და ინსტრუქციის კითხვას განაგრძობდა. გამომშვიდობე-ბისას კი გამოაცხადა: „ხვალ ფლორინის ნაცვლად კარმინია წამოვა". ფლორი-ნი ცოტა ნირშეცვლილი წავიდა კარისკენ, გულში კი, ვინ იცის, უხაროდა კიდეც.

ერთხელ, გულახდილ საუბარში, მეთაური ბელარმინო გამოუტყდა, რომ იგი შეიარაღებულ თავდასხმაში ქალების მონაწილეობის სასტიკი წინააღმდე-გია, ქალები შეუდარებელნი არიან დაზვერვაში, მათ შეუძლიათ ნებისმიერი საიდუმლო ინფორმაცია დასტყუონ პოლიციელს თუ ჯარისკაცს, ისინი შეუც-ვლელნი არიან, როცა საჭიროა კარზე დაკაკუნება, რათა უხმაუროდ გაგიღონ, მაგრამ, როცა ფიზიკური ძალის გამოყენებაზე მიდგება საქმე, რას გამოიყე-ნებენ, რაც არა აქვთ? უფროსებთან დაასველებენ სიტყვას ამ თემაზე და სენტი-მენტალობას, წვრილბურჟუაზიულობას ან სულაც ქალების დისკრიმინაციას დაგწამებენ და თან როზა ლუქსემბურგს, პასიონარიასა და სიერა-მაესტრელ სელიას[1] გაგახსენებენ. ჩვენი ორგანიზაციის გოგონები ხომ თვალებს დაგთხ-რიან, თუკი მათ გმირობის ჩადენაში შეუშლი ხელს, ასე თქვა მაშინ ბელარ-მინომ და თავზე იტაცა ხელი, დღეს კი კარმინია წამოვა ოპერაციაზე, თავის განუყრელი შავი სვიტერითა და ნახევარავტომატით.

...აი, ვალენტინიც გამოჩნდა. როგორც ყოველთვის, პუნქტუალური და სიტყვაძუნწი. შავ კოსტუმში გამოწყობილი ფილიპე მეორეს ჰგავს.

— მზად ხარ? — მეკითხება.

— ო, კეი.

ამ ნაცრისფერ, პლებეური შესახედაობის ჩიტებს სახელიც კი არ გა-აჩნდათ, ყოველ შემთხვევაში არც დედამ იცოდა და ვერც ვიქტორინომ მი-აგნო ფრანგი იეზუიტის მიერ შედგენილ ზოოლოგიის სახელმძღვანელოში. დილით ვიქტორინო მუშკეტერობანას თამაშობდა და პორთოსს განასახიერებ-და, მამაც ვიქტორინო-პორთოსს არც სიბნელის ეშინოდა, არც მოჩვენებები-სა, აი, ცოტა ვირთხების წრიპინზე ეწურებოდა გული, მერე ბაღის ღობეს მიადგა და თავი დატყვევებულ ბერად წარმოიდგინა, რომელიც სამყაროს ალსასრულს უყურებს. ვიქტორინომ დაინახა მთვრალი და გაბურძგნული პატ-რული ჯარისკაცი, უყურა, როგორ ასხამდნენ მზარეულები ერთმანეთს ნარეცხ წყალს, როგორ ბრუნდებოდნენ სკოლიდან ვირისყურება მოსწავლეები. მალე ბერად ყოფნაც მოსწყინდა და მუყაოს კოლოფისა და თოკმობმული წვრილი ჯოხისგან კაკანათი გააკეთა, რომელიც ნიინგის ხახას დაემგვანა, შიგ ჩიტების მისატყუებლად სიმინდის კაკლები მიმოაბნია და თვითონ წიგ-ნით ხელში თოკთან ახლოს ჩამოჯდა, აქაოდა, კითხვით ვარ გართულიო. პირ-ველად ბელადი, ყველაზე მსუქანი და თავხედი ჩიტი გაება. ჰაერში კამარა

[1] კუბის რევოლუციის მონაწილე.

შეკრა და სიმინდის კაკლებს დააცხრა. ხარბად აკენკა საჭმელი და მოულოდნელად მუყაოს კოლოფში აღმოჩნდა. ვიქტორინომ ფრთხილად გამოიყვანა ჩიტი და ჭკუის სწავლება დაუწყო:

— ხედავ, რა დღეში ჩავარდი? იმიტომ, რომ სულელი ხარ, განა გინახავს სადმე, რომ ადამიანი ჩიტის გამოსაკვებად სიმინდს აწვდიდეს? სიმინდი, ძმაო, საკუთარი ოფლით უნდა მოიპოვო. ახლა შენ ფიქრობ, როგორც მამაჩემი და სხვა სულელები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩვენს ქვეყანაში თავისუფლება არსებობს, მათ კი ფრთები აქვთ და ფრენა შეუძლიათ. შენდა ბედად მე დიქტატორი კი არა, შავი მეკობრე ვარ, მეკობრეობა კი სულ სხვა რამეა.

ვიქტორინომ ჩიტი ძირს დაუშვა და ტაშიც შემოჰკრა, ანიშნა, გაფრინდიო. ჩიტი რამდენიმე წამს ყოყმანობდა, ეშინოდა, ახალ ხათაბალაში არ გახვეულიყო, ცხოველური ინსტინქტით არ ენდობოდა ადამიანთა სიკეთეს. არც მზარეულ მიქაელას სჯეროდა, რომელიც ფანჯრის გისოსებიდან უთვალთვალებდა ამ სცენას.

— სულელი ბიჭი! მთელი ნახევარი საათი იჯდა, დაიჭირა ჩიტი, მორალი წაუკითხა და გაუშვა.

ვიქტორინოს ცხოვრება ჰქონდა გამწარებული ბრონქიტითა და მუდმივი გაციებით. ხველა ნეკნებს რომ მოასკდებოდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, ყელში თითქოს მშრალი ქაღალდი ჩაუფინეს და რიფები მიმოფანტესო, ახლაც ტალღებზე მოქანავე გემის საჭესთან მდგარმა ვიქტორინომ ცხვირი მოიხოცა და ჭოგრიტით ჰორიზონტს გახედა, სადაც განძთა კუნძული ეგულებოდა. იქ ფრთებით მორთული შიშველი მოსახლეობის თვალწინ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამართულიყო მოქიშპე მეკობრეებს — ცალთვალა ზღვის მგელსა და ცალფეხა ყვითელ კამზოლს შორის. ზღვა და ჭარხლისფერი ღამე ერთმანეთს გადაჭდობოდა. წითელი მთვარიდან კი გველები ცვიოდნენ და ტყაპატყუპით ეცემოდნენ ზვიგენებს თავზე. ვიქტორინომ იალქნების დაშვება ბრძანა და ხმალი ჩაბღუჯა. ზარბაზნის გასროლის ან იქნებ ბრონქიტის გამო ვიქტორინოს ხველება სწორედ მაშინ აუვარდა, როცა მის გემს საშიში ფლიბუსტიერის პიერ ქილიაკის გემი მოადგა.

— წინ, ჩემო მამაცო ლომებო! — დაიყვირა ვიქტორინომ და ბრძოლაში ჩაება.

ხმალაობაში გართულმა ვიქტორინომ ვერც კი შეამჩნია, როგორ შემოვიდა წიგნებითა და ფორთოხლით დატვირთული დედა.

— ისევ პატიოში ზიხარ? გინდა ფილტვების ანთება აიკიდო? — დედამ ბნელ ოთახში შეიყვანა შვილი, ბუფეტზე ხილი და ერთის გარდა ყველა წიგნი დააწყო, იმ ერთიდან კი წერილი ამოაძრო.

— ხუან რამიროსგანაა. — თქვა.

ხუან რამირო პერდომო, ვიქტორინოს მამა, ორინოკოს სანაპიროზე სიუდად-ბოლივარის ციხეში იჯდა და აზრადაც არ მოსდიოდა,რომ შავი მეკობრე მისი განთავისუფლების გეგმებს აწყობდა. დედამ შუქი აანთო, მაშინ ჯერ კიდევ არ ხმარობდა სათვალეს და ამ წერილით ხელში ლამაზი და ნაღვლიანი ჩანდა, კაბის მაქმანიდან ცხვირსახოცი ამოაძრო და დაისლუკუნა:

— ხუან რამიროსგანაა.

ეზოში კი ჩიტები დაბრუნდნენ და გაიცდნენ, ვერც საკენკი და ვერც შა-

ვი მეკობრე რომ ვერ ნახეს. ზღვათა რისხვა ამ დროს ოთახში იჯდა და
დედასთან ერთად ზლუქუნებდა.

### ვიქტორინო პერესი

არა, ამას ხე არ ჰქვია, არც ეს არის მდინარე, არც ეს დაგრეხილი ბუჩქე-
ბიდან ჰინჰარი იმსახურებს ბუნების დიად სახელს, განა ბუნება
მანქანებით გათელილი ლელქაში ან ეს ეკლები, სახეს რომ გიკაწრავენ და
თვალების დათხრით გემუქრებიან. ვიქტორინო, რაც ძალი და ღონე აქვს,
გაურბის მდევართა შუქს და ტყვიებს. როგორც იქნა, მდინარეს მიაღწია, ან
კი რა მდინარეა ეს დამყაყებული წყალი, დამპალი თევზის, მკვდარი ვირის,
ბინძური წინდებისა და შარდის სუნად რომ ყარს.

ვიქტორინომ ორასი მეტრი გაირბინა ე. წ. მდინარის გასწვრივ. ჟანდარ-
მები უკვე ველარ დაეწევიან, უკვე შორიდან ისმის ძაღლების ყეფა და უმიზ-
ნო სროლა.

რადაც არ უნდა დაუჯდეს, მდინარე უნდა გადაცუროს. მას შავი შარვა-
ლი, წელზე ქამარშემორტყმული მუქი ნაცრისფერი ხალათი და ყავისფერი მო-
კასინები აცვია. ისე ეცვა იმ დღეს, შენს სახლში რომ დაიჭირეს, ბლანკიტა.
ვიქტორინო შარვალს მუხლებამდე იკეცავს, ფეხსაცმელს კი არ იხდის, რომ
ფსკერზე მიმოფანტულ შუშის ნამტვრევებს, დაჟანგულ დანებსა და ცარიელ
კონსერვის ქილებზე არ გაიჭრას ფეხი. მდინარის მყრალი ტალღები მის
წვივებს ელამუნება, ფუ, რა საზიზღრობაა, ბლანკიტა! მეორე ნაპირზე სიმწ-
ვანე სულ არ არის. ვიქტორინო ფერდობზე მიფორთხავს და გრძნობს, რო-
როგორ სტეხს ფეხი, ციხის სახურავიდან ჩამოხტომისას რომ გადაუბრუნდა. აქ,
სადაც ჩაჭეჭყილი მანქანა აგდია, ერთ დროს წითელი და ლამაზი, ახლა ლი-
თონის გორად ქცეული უდაბნო მთავრდება და საცხოვრებელი მასივი იწ-
ყება. პირველივე ეზოში ვიქტორინო ონკანს ხსნის და ფეხსაცმელს რეცხავს.
მზე მაღლა და მაღლა იწევს და ვიქტორინოს ისლა დარჩენია, მერენგეს სტვენა-
სტვენით პელაესის ქუჩას ჩაუყვეს და თან ჯიბეები მოჩხრიკოს, მარცხენა
ჯიბეში ცეცხლოვანი როსას მიერ ჩაკუჭულ ერთ ბოლივარს პოულობს, მარ-
ჯვენაში კი კოლუმბიელი კამაჩიტოს ნაჩუქარ დანას, რომელმაც დანარჩენი
პატიმრების თანდასწრებით გამოაცხადა, რომ ეამაყება ვიქტორინოს ნაცნო-
ბობა. გაზეთები თქვენს უდიდებულესობაზე წერის მეტს არც არაფერს აკეთებე-
ნო, თქვა კიჩეს ტომის კარგად აღზრდილმა ინდიელმა. კამაჩიტომ ვიქტო-
რინოს პროპატრიაში მცხოვრები რამდენიმე მეგობრის მისამართი მისცა,
გამოგადგებაო. უკანა ჯიბეში კი შენი სურათი მიდევს, ბლანკიტა, ჩემო
სიყვარულო, რომელიც უჩუმრად გადმომეცი წერილთან ერთად. წერილი დავ-
ხიე, ჩემო კარგო, ბევრი ზედმეტი რამ ეწერა.

მთავარია მოგძებნო, ბლანკიტა, ორ მილიონ სიფათში გიპოვო. ვიქტორი-
ნოს ზეპირად ახსოვს შენი წერილის ბოლო სტრიქონები, „მე აღარ შემეძ-
ლო იქ გაჩერება, მეზობლების ატანა, რომლებიც, როგორც ეშმაკის ცოლს,
ისე მიყურებდნენ და ფიქრობდნენ: აი, ქურდის ცოლი, აი, ბანდიტის ცოლი,
აი, საზოგადოების ნომერი პირველი მტრის ცოლი, მე კი სულ ფეხებზე მკი-
დია ეგ ჭორიკნები. რაში მაინტერესებს, რა გაქვს ჩადენილი ან რას ჩაიდენ
მომავალში, ჩემთვის შენა ხარ მთავარი, იმ სიმღერის არ იყოს, ამიტომ ვტო-
ვებ აქაურობას და სან-ხუანში მივდივარ, სასტუმროში. გკოცნი“.

ამ კოცნის გულისთვის დაწია ვიქტორინომ წერილი, წარმოიდგინე, ბლანკიტა, კინდერმანმა რომ ენახათ და წაეკითხათ, ვიქტორინო ნამდვილად მოკლავდა რომელიმე მათგანს. შენ სასტუმროს სახელსაც კი არ მწერ, ბლანკიტა, თითქოს სან-ხუანი ერთი მიყრუებული ქუჩა იყოს და არა უზარმაზარი რაიონი, სავსე სასტუმროებით, გარაჟებით, სახლებით, საცხოვრებლებით, ბარებით, ფოსტებით, საფენთუშეებით, საროსკიპოებით, კინოებით, ფეხსაცმლის მაღაზიებითა და მდიდართა ვილებით.

როგორ დაიჯერე, ბლანკიტა, რომ ასე მალე დავნებდებოდი. როგორ მწერდი? გაზეთებმა ერთი აურზაური ატეხეს, დიდ გმირობად მიაჩნიათ შენი დაჭერა. შეიარაღებული, საშიში ბანდიტი ახლა ცხრაკლიტულში გვყავს საიმედოდ გამოკეტილი. სან-ხუანშიო, ამბობ? მაინც გიპოვი, ბლანკიტა.

სანამ ვიქტორინო სან-ხუანისკენ მიემართება, ქუჩები ხალხითა და ბოსტნეულით ივსება. ჟამიდვრიანი და წითელი კომბოსტოთი დატვირთული მანქანები კინტა კრესპოს ბაზრისკენ მიემართებიან. პორტუგალიელი მედუქნე ხმაურით აღებს დუქნის რკინის ქალუზებს. ვიქტორინო ყავის დასალევად შედის და პორტუგალიელს ერთ ბოლივარს აწვდის. გამყიდველი კეფას იქექავს და ხურდას უბრუნებს. მეზობელი სახლის სადარბაზოში ორი მეძავი უშვერი სიტყვებით ლანძღავს ერთმანეთს, კაცი კი არა, ფული ვერ გაუყვიათ და საცაა თმით დაითრევენ ერთმანეთს. ქუჩაში ქალაქის პოლიციელი ჩნდება, რომელსაც ორი ზომით დიდი ფორმა აცვია. ვიქტორინოს ერთი სული აქვს რევოლვერი აართვას, მაგრამ უცებ ქუჩაში მოტოციკლეტზე შემომჯდარ ნაცნობ სიფათს ხედავს და ახსენდება, რომ ეს ბიჭი საფუნთუშეში მუშაობს. დედაქალაქის მოტოციკლეტისტებს ბევრი რამ აერთიანებთ: რისკი, ხმაური და ავტომობილების გამონაბოლქვისადმი ზიზღი. თავიდან ვიქტორინოც მოტოციკლეტისტი იყო და მოურიდებლად გლეჯდა ხელიდან ქალებსა და მოხუცებს ჩანთებს.

— ცოტა ფული მასესხე, ძმაკაც!

მოტოციკლეტისტი გაოცებით უყურებს. არა, ადრე არ შეხვედრია, არც ხმა ეცნობა, აი, სახე კი ნაცნობია და საოცრად ჰგავს იმ ბანდიტის უმოძრაო სახეს, ყოველდღე რომ ბეჭდავენ გაზეთები. მაგრამ სურათქვეშ ისიც სწერია, რომ ბანდიტი დაჭერილია და ამ ინფორმაციით დამშვიდებულ ბიჭს სულაც არ უკანკალებს ხელი, ვიქტორინოს ხუთ ბოლივარს რომ უწვდის.

— განაღა თუ არა, დაგიბრუნებ, იცი, — გულწრფელად ეუბნება ვიქტორინო და შენი დაქალის სახლისკენ მიემართება, ბლანკიტა. მას ტანია ჰქვია, მაგრამ რომელი სულელი დაიჯერებს, რომ დაბადებიდან ეს სლავური სახელი დაანათლეს. მასთან ერთად ნადირობდი კლიენტებზე, ბლანკიტა, ბარ „სამოთხეში", სანამ ერთ დღეს ვიქტორინომ არ ამოგათრია ამ წუმპედან და ოჯახი არ გაგიჩინა. ტანიამ უეჭველად იცის, სად ხარ დამალული.

ტანიამ იცის, იგი ნახევრადღია კარში დგას ქვედატანის ამარა. ვინ არისო, კითხულობს წუწუნით და აშკარად ან პოლიციელს ელის, ან მოულოდნელად დაბრუნებულ კლიენტს ან სულაც მეფუნთუშეს, რომლის ვალი ჯერაც არ გადაუხდია. მისი შიში ათკეცდება, როცა ხედავს, რომ ვიღაც მეორეხარისხოვანი ნადირალა კი არა, თვით ვიქტორინო დასდგომია თავზე. ტანიამ ყველაფერი იცის მაღაზიის გაქურდვაზე, იტალიელის მკვლელობაზე (მისი ცოცხლად დატოვება არ შეიძლებოდა), დამნაშავეების შეპყრობაზე და აგერ თვით დამნაშავეც.

„ლუკანია“, — ორჯერ იმეორებს სასტუმროს მელოდიურ სახელს ტანია და კარს აჯახუნებს.

თავიდან როგორ არ გაგახსენდა, ზანგო, ეს ორსართულიანი, ფერდმოქცეული სასტუმრო, სადაც შენ და ბლანკიტა ერთობოდით. სანამ ის შენი ცოლი გახდებოდა. სასტუმროს ერთი შავებში ჩაცმული [illegible] დიდი პატრონი განაგებს. მაგრამ ახლა დილის შვიდი საათია და სასტუმრო ყრუდაა ჩაკეტილი. ვის მოუვა აზრად ამ დილაადრიანად ითხოვოს ოთახი.

კარს გორგონზოლას[1] სუნით აყროლებული იტალიელი უღებს. შავოსანი ქალის შემდეგ ეს სასტუმრო მას არენდით აუღია. რას ინებებს სენიორი? ახალ პატრონს სასტუმროში არაფერი შეუცვლია. აი, კედელთან ჩამწკრივებული ხის სკამები, იგივე გაზინთული ფარდები და ნიკელის ჩარჩოში ჩასმული განმანთავისუფლებლის პორტრეტი. რა გნებავთ, per la Madonna[2] ეს სენიორა ჩვენთან არ ცხოვრობს, — ამბობს იტალიელი. შენ სწორად მოიქეცი, სხვა გვარით რომ ჩაეწერე, ბლანკიტა, გაზეთები ჩემს სურათთან ერთად შენს გვარსაც იმეორებენ ხოლმე. ვიქტორინო უკანა ჯიბიდან სურათს იღებს.

— ეს ჩემი დაა. მე რიო-ჩიკოდან ჩამოვედი, სასწრაფო საქმე მაქვს.

იტალიელი სურათს უყურებს და მსუქან თითს მეორე სართულისკენ იშვერს, სწორედ იმ ოთახისკენ, მე და შენ რომ ვქირაობდით „სამოთხეში“ მთელი ღამე გართობის შემდეგ. ვიქტორინო, ფეხის ტკივილის მიუხედავად, ოთხი ნახტომით არბის კიბეზე და კარს მუშტებს უბრახუნებს, შენი ხმის ნაცვლად კი, ბლანკიტა, კაცის ჩახრინწული ხმა ესმის.

— ვინ ხარ ამ გაუთენებელზე, მე შენი დედა...

იმ შორეულ საღამოს, ვიქტორინომ მაშინ ჯერ კიდევ ენაწყლიანი და ჩამოძონძილი მულატი, კრისანტო გუანჩესი რომ გაიცნო, ფიქრადაც არ გაუვლია, რა როლს შეასრულებდა იგი მის ცხოვრებაში. იმ ხანად ვიქტორინო ყველა გაკვეთილს აცდენდა, რაზეც დედილო თვალებს ხუჭავდა, მთავარი ინკვიზიტორი — ფაკუნდო გუტიერესი კი წელიწადზე მეტი იყო სახლში არ გამოჩენილა. იმ საღამოს ვიქტორინო თავის კეტჩერის,[3] წყლის მაიმუნის მოსაძებნად ჩავიდა ხრამში. წყლის მაიმუნი გაკვეთილებს არ აცდენდა. რადგან სკოლაში საერთოდ არ დადიოდა. დედამისი ნარსისა სახლის საქმეებს მარტო ვერ აუდიოდა, ამიტომ წყლის მაიმუნს დაჰქონდა კლიენტებთან გარეცხილი თეთრეული [illegible]ადა ბრინჯსა და ბანანს და ზრდიდა თავის სამ მუცელგამობერილ და შიშველ ძმას, რომლებიც დილიდან დალამებამდე მიწაზე დახოხავდნენ და რაც ხელში მოხვდებოდათ — პირში იყრიდნენ. ნარსისას ოთხივე ვაჟი ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, რომ ცხადი იყო, ოთხივეს სხვადასხვა მამა ჰყავდა.

ვიქტორინოს ხიდქვეშ [illegible]ული ნარსისას ბინძური ოთახი უფრო მოსწონდა, ვიდრე თავისი მრავალბინიანი სახლი. დედილო მოთმინებით უსმენდა, როცა ვიქტორინო მსგავს სისულელეს წარმოროშავდა ხოლმე. ნარსისას სახლი მუყაოსა და მავთულებისგან იყო შეკრული. ან სად შეაგროვა ამდენი მუყაო. იატაკი მიწისა ჰქონდა, ჭერის მაგივრობას ორ დირეზე შემოდებული დაჟანგული თუთიის ფურცლები სწევდა. მშრალ ამინდში კიდევ არა

---

1 იტალიური ყველი.

2 მადონას გულისთვის (იტ.).

3 ბეისბოლის მოთამაშე.

უშავდა, მაგრამ ხანდახან ტროპიკული წვიმა რომ დაუშვებდა, აბობოქრებული წყალი წითური ცხენივით ბრდღვინავდა, ტოტებს ყრიდა, ხრამის მკვიდრთ წალეკვით ემუქრებოდა და ზოგჯერ მიჰქონდა კიდეც. თავზემოთ, ხიდზე კი მანქანები ღმუოდნენ. და მაინც ვიქტორინოს ეს ქოხი უფრო მოსწონდა, ვიდრე თავის ციხესავით სახლი, რომლის გრძელ დერეფანში 23 ერთნაირი ოთახი ესაზღვრებოდა ერთმანეთს. არა, დედილო ამას ვერ გაიგებს.

— წამო, კეტჩერ, ვითამაშოთ!

წყლის მაიმუნი თუთიის ნაგლეჯიდან წამოხტა, რომელზეც იწვა ხოლმე და ფიქრობდა, სანამ ჰორიკანა მეზობლებითა და ტიტლიკანა შვილებით გარშემორტყმული ნარსისა თეთრეულს ალბობდა, და ვიქტორინოს გაჰყვა. ბიჭები ფორთხვით შეუყვნენ ხრამის ბილიკს, რომელიც ნარსისას სახლთან იწყებოდა და ხიდთან მთავრდებოდა, და უეცებ იმავე ბილიკზე თავქვე მიმავალი კრისანტო გუანჩესი, ანუ კაჩირულო (ასე წარუდგა ბიჭებს) დაინახეს. კრისანტო გუანჩესი გაჩერდა და ლიანს სტაცა ხელი, ძირს რომ არ ჩაცურებულიყო.

— აქაურები ხართ? — იკითხა.

ჩვენზე უფროსია, გაიფიქრა ვიქტორინომ. ამას უცნობის ჩახრინწული ხმითა და გამჭოლი მზერით მიხვდა, თორემ კრისანტო გუანჩესი არც სიმაღლით გამოირჩეოდა და არც ღონით. ინდიელის სისხლშერეული მულატი იყო, თეთრკანიანივით წამახული ცხვირითა და ზანგის დაძაბული მზერით. პირის კუთხეში ჩამქრალი ნამწვავი გაერჭო. მისი შარვალი ერთ დროს ხაკისფერი უნდა ყოფილიყო, მარჯვნივ, მკერდქვეშ გახვრეტილი პერანგი კი მომწვანო-მონაცრისფრო.

— მე აქვე ვცხოვრობ, ხიდქვეშ, — თქვა ვიქტორინოს ზურგს უკან წყლის მაიმუნმა.

იმ საღამოს ვიქტორინო და წყლის მაიმუნი, პიტჩერი[1] და კეტჩერი ბეისბოლის სათამაშოდ მიდიოდნენ. პორტუგალიელი მედუქნის ბიჭები შეპირებულები იყვნენ, ახალ ბურთს მოვიტანთო, მაგრამ შემთხვევითმა შეხვედრამ მთელი მათი გეგმა არია.

— სალაპარაკო მაქვს, — თქვა კრისანტო გუანჩესმა. ბიჭები ზევით ავიდნენ და ხიდის თაღქვეშ ჩამოსხდნენ. — ჩემი საქმე წასულია, — თქვა კრისანტო გუანჩესმა და თავის თავგადასავლის მოყოლა დაიწყო. ბიჭები ჩუმად უსმენდნენ და ხანგამოშვებით თუ წამოსცდებოდათ აღტაცების შეძახილები.

— ჯერ იყო და, ლოს ტეკესის გამოსასწორებელი კოლონიიდან გამოვიპარე, — დაიწყო კრისანტო გუანჩესმა, — გაქცევის ათასი მიზეზი მქონდა. კოლონიაში კი საკუთარმა დედამ გამგზავნა, აბა საღ ჰქონდა ჩემი კვების და სწავლების ფული? როგორ უნდა მოევლო ხუთი უმამო ბანდიტისთვის? — იქ წერა-კითხვას მაინც ისწავლი, ეუბნებოდა დედა კოლონიის შესასვლელთან დამშვიდობებისას. წერა-კითხვა მართლაც ისწავლა, ასოები მოეწონა, მაგრამ ხელობა, ძმაკაცებმა რომ შეასწავლეს, სულ არ იყო ისეთი, როგორზეც დედა ოცნებობდა. ისწავლა ადამიანური ბოროტებისა თუ ადამიანური სიკეთისგან ღონით თავის დაცვა, საკეტების გატეხვა და კედლებზე ცოცვა. ერთხელ ხუთნი ერთად დაეცნენ მზარეულ ქალს და დანის დამუქრებით გააუპა-

[1] ბეისბოლის მოთამაშე.

ტიურეს. ამდენი ცოდნა რომ დაუგროვდა, კრისანტო გუანჩესი ერთ მშვენიერ დღეს გამოიპარა კიდეც კოლონიიდან, კარაკასში ჩავიდა და, სანამ ხელახლა არ შეიპყრეს მოტოციკლეტის ქურდობისთვის, გარეუბნის მიტოვებულ სახლებში ათევდა ღამეს ტარაკნებისგან თავდასაცავად გაზეთში გახვეული...

— ამჯერად კუნძულ ტაკარიგუას ცენტრში მდებარე გამოსასწორებელი სახლიდან, იგივე ციხიდან გამოვიქეცი, — ტრაბახობდა კრისანტო გუანჩესი; იქ მან საგრძნობლად აიმაღლა „პროფესიული კვალიფიკაცია“, გამოსცადა კარცერის სიმწარე, გაეცნო მცველებს, დაუნდობლად რომ შოლტავდნენ აღსაზრდელებს და უშვერად იგინებოდნენ, ნახა სამლოცველო, სადაც მესაზე დადიოდნენ, და სახელმწიფო დროშა, რომელსაც ყოველ დილით ანძაზე აღმართავდნენ ხოლმე. და როცა იქ ყოფნა აუტანელი შეიქნა, კრისანტო გუანჩესმა და მისმა ექვსმა მეგობარმა ფიცი დადეს გაქცეულიყვნენ და ხმელეთსა თუ ზღვაზე ერთმანეთს დახმარებოდნენ. დილაუთენია წყნარ ყურეში ჩაყვინთეს და მეზობელი კუნძულის სანაპიროზე ამოყვინთეს, რომელიც გველებით სავსე აღმოჩნდა. ვიღაცის ასიენდის გასწვრივ რომ მიცურავდნენ, მდევრებიც წამოეწივნენ და კრისანტო გუანჩესის გარდა ყველანი შეიპყრეს. ის კი დიდხანს მოგზაურობდა სატვირთო მანქანის საბარგულზე ტომრებს შორის ჩამალული, შემდეგ არაგუას სოფლების ეკლესიებთან თხოულობდა მოწყალებას და აი, ახლა მათ წინ დგას.

— აი, ეს მესმის! — აღფრთოვანება ვერ დამალა წყლის მაიმუნმა.

— ახლა რას აპირებ? — ჰკითხა ვიქტორინომ და შემთხვევით ხელთ მოხვედრილი ქაღალდი გაფხრიწა.

აღმოჩნდა რომ კრისანტო გუანჩესი იმ დღეს ჩამოსულიყო ქალაქში ანტიმანოს გავლით და ახლა მამაც თანაშემწეს ეძებდა საქმეზე წასაყვანად.

— გეყოლება თანაშემწე! — აღუთქვა ვიქტორინომ.

## ვიქტორინო პერალტა

რომელ ქალს გინდა, სული და გული, მარტოხელა შროშანას გაფურჩქვნის ასაკში, ქვრივ იასამანს თუ გათხოვილ მაგნოლიას, ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია რომ არ მოსწონებოდა და ისიც ლედი ჩატერლეის მეტყევესავით უცქერდა მათ. თვალის ერთი შევლებით შეაფასებდა ხოლმე ქალს, ისეთი იერით, თითქოს მზადაა ტანსაცმელი დაყაროს და საწოლში ჩაუგორდესო. ვიქტორინოს ვერაფრით აეხსნა ქალების ქმრების, მამებისა და ძმების უმოქმედობა, რომლებსაც ერთხელაც არ გაუწნავთ მამამისისთვის — იურიდიულად სრულიად გამართლებული სილა.

დედიკოს ეჭვიანობა კი ყოველთვის იოლად ქარწყლდებოდა ამის დათაფლული სიტყვების შემდეგ:

— ოჰ, დედიკო, დედიკო (ასე მიმართვის ნება ოჯახში მხოლოდ ვიქტორინოს ჰქონდა, მამა ამ ფორმას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა ხოლმე), ჩვენს ასაკში ეჭვიანობა, მეტი რომ არ ვთქვათ, ცუდ ტონად ჟღერს. 45 წლისა ხარ და სკოლის მოსწავლის ფანტაზიები გაქვს, ნუთუ შენ ფიქრობ, რომ...

მეორე დღეს სინამდვილეში 48 წლის დედიკო უცნობი მამაკაცისგან ყვავილების თაიგულს იღებდა და მომხიბლავად იღიმებოდა.

ნახევრად შიშველი ვიქტორინო გასახდელში ზის, სპორტულ ფორმას

იცვამს და ნაღვლიანად დაჰყურებს საკუთარი ფეხის ფრჩხილებს. მარჯვენა ფეხის ცერა თითის ფრჩხილი, რომელიც ხორცშია ჩაზრდილი და დაბადების შემდეგ არც გაზრდილა, მკვეთრ დისჰარმონიას ჰქმნის დანარჩენ ცხრა თეთრ და მხვართ თითებთან, ექიმ შოლის პრეპარატებიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ მასთან. ვიქტორინო სარკეში ათვალიერებს თავის ყავის მარცვალივით ჭიპს, ფართო მკერდს, იღლიის ქვეშ ამოსულ ღია ფერის თმის [illegible] ბარძაყებს. თქვენ კი, მალვინა, ჩემო ბიძაშვილო და სიყვა[illegible] შეუვალი ხართ, აბა, რაში მარგია თქვენი გულწასვლა, როცა გკოცნით, თქვენი ცახცახი, როცა მკერდზე გეფერებით და თქვენი არანათესაური სიტყვები, ყურში რომ მეჩურჩულებით, თუკი ყოველთვის დღის სინათლეზე და ჩაცმულები ვხვდებით ერთმანეთს.

ცისფერ სვიტერსა და თეთრ სპორტულ ფეხსაცმელში გამოწყობილი ვიქტორინო მოკრივის სირბილით შედის დარბაზში. მწვრთნელი ლუი ბრეტონი წამით თავს ანებებს ვარჯიშს და ვიქტორინოს bonjour-ს ეუბნება. ლუი ბრეტონი ოდესღაც ალჟირის ჩემპიონი იყო ქვემსუბუქ წონაში და ურწმუნოთათვის მუდამ მზადა აქვს ამ ფაქტის დამადასტურებელი გაზეთის ამონაჭრები. მართალია, დრომ და სამხრეთ ამერიკულმა სამზარეულომ იგი კასრივით დაამრგვალა და სათვალემ ველური მზერა დაუშვიდა, მაგრამ წინა ორი პლატინის კბილი მის ღიმილს ისევ რკინის ელვარებას აძლევს. ისიც თავის მოსწავლეებივით ცისფერ ფორმასა და თეთრ ბოტასებშია გამოწყობილი, იმ განსხვავებით, რომ სვიტერის ნაცვლად მაისურა აცვია და ყელზე ოქროს მედალიონი უბრწყინავს წმინდა როზასა და მისი ძაღლის გამოსახულებით, რომელიც საიმედოდაა ჩამალული მკერდის ბანჯგვლებში.

რამუნჩო, ესეკიელი და უილიამი, ვიქტორინოს სამი განუყრელი მეგობარი ტილოგადაფარებულ ხალიჩაზე ვარჯიშობენ. ბრძანებებს ლუის ბრეტონი იძლევა ალერსიანი ხმით (ხელები თავქვეშ! ფეხები გაასწორეთ! აიწიეთ, ბიჭებო! ბრუნი მარჯვნივ — მარცხნივ! მარჯვნივ — მარცხნივ! ერთდროულად! უფრო ძლიერად! როგორ მოძრაობ, ესეკიელ, კარაქისა ხომ არ ხარ!). კედლის საათის მელოდიური ხმის გაგონებაზე ლუის ბრეტონი შესვენების ნებას იძლევა. საათს ციფერბლატის ნაცვლად მონდრიანის[1] სტილში შესრულებული სამი ყვითელი და ერთი წითელი მეოთხედი აქვს, ისრების ნაცვლად შავი ბერკეტი მოძრაობს. შესვენების დროს ჯერ ოფლის სუნი დგება, შემდეგ საპონ „პირსით" დაბანილი კაცების. იოგის პოზაში დამჯდარი რამუნჩო უწმაწური სიტყვებით ისვენებს. ლუი ბრეტონის ბრძანებაზე „ალლე", ვარჯიში გრძელდება და ბიჭები ფეხებით ველოსიპედისტის მოძრაობას აკეთებენ ჰაერში. შემდეგ ვიქტორინო კუთხეში დაწყობილ გირებსა და შტანგებისკენ მირბის, ტყავის სკამზე გაწოლილი მხრების ვარჯიშს აკეთებს. შტანგას ხელებს სჭიდებს და ძალების დაძაბვით, რაც აწითლებულ კისერსა, კბილების ღრჭიალზე და მოქცეულ ტუჩებზე ეტყობა, სიმძიმეს მაღლა სწევს.

მე მაგარი ბიჭი ვარ, მალვინა. ნამდვილი ჭკუა ტვინის ხვეულებში კი არა, ამ კუნთებშია მოქცეული, ფიქრობს ვიქტორინო და დარწმუნებულია, რომ ბევრი ოცი წლის განსწავლული, ნაკითხი და სუსტი ფაუსტი ვერ გაუძლებს მეფისტოფელის მაცდურ წინადადებას ვიქტორინოს სხეული და ღონე მიიღოს მთელი თავისი ცოდ-

---

[1] ბელგიელი მხატვარი — აბსტრაქციონისტი.

ნის ნაცვლად და დაუფიქრებლად დასთმობს მორალისტებისა და სადისტების მიერ მოგონილ სულელურ, ურთიერთგამომრიცხავ თეორიებს. ვიქტორინო ღონიერია, მალვინა, და საკუთარი ძალის რწმენა მას სიცოცხლეს აზრიანსა და ბედნიერს ხდის. დილაობით მწეველივით ხველებით კი არ იღვიძებს, ლოთივით თავის ტკივილით კი არ იტანჯება, არამედ ხარივით ისუნთქავს მაცოცხლებელ ჰაერს და თავისუფლებას, ნათელი მზერით და [illegible] გონებით ხვდება განთიადს და ეზიზღება სხეულის დასაძაბუ[illegible] გონილი ნიკოტინი. ალკოჰოლი, ონანიზმი, ბანქო, ავადმყოფობა და სევდა და არ ესმის მათი, ვინც ორგანული ქიმიისა და ფილოსოფიის სახელმძღვანელოებს მიმჯდარი დროზე ადრე იბერებს თავს.

ახლა ის 40 კილოგრამს სწევს დაწოლილი, მალვინა, და თუ საჭირო გახდა, შეუძლია ორჯერ გაზარდოს სიმძიმე, იმიტომ, რომ ღონიერია და კუნთები ემორჩილება და ეს ღონე ღვთისგან ბოძებული საჩუქარი კი არ არის, არამედ შრომითა და ოფლითაა მიღწეული. ყოველი ადამიანი, თუ არ ჩავთვლით დაბადებით ავადმყოფებს, იმისთვის მოდის ამქვეყნად, რომ თავის კუთვნილი სასახლე აგოს და აღწევს კიდეც ამას, თუ დროს ფუჭად არ კარგავს და ფუძის აგურზე ადებს. რა ვიქტორინოს საქმეა, თუ ზოგიერთი მისი თანატოლი ლექსებს წერს ან მუსიკას თხზავს, მთავარი ის არის, რომ თუ ვიქტორინო, ვილაც მეორე და თქვენ, მალვინა, შიშველ-ტიტველი აღმოჩნდებით უკაცრიელ კუნძულზე, ვიქტორინო დიდი ძალისხმევის გარეშე მოისვრის იმ მეორეს ზღვაში მთელი თავისი ბერძნული იამბებითა და გასტრიტით და თქვენით დატკბება, მალვინა. დაე, იკითხონ მორალი ორატორებმა, ჟურნალისტებმა და ღვთისმსახურებმა, მათ ხომ არაფერი შეუქმნიათ ღირებული, გარდა იმისა, რომ ცდილობენ სუსტები ძლიერების თანასწორნი გახადონ, რისთვისაც მათ სასიკვდილო იარაღითა და ათასგვარი პრივილეგიებით აიარაღებენ, ასე იფიქრებდა ვიქტორინო, მისთვის ფიქრი რომ ესწავლებინათ, ახლა კი — მე ღონიერი ვარ, მალვინა, — ფიქრობს და შტანგას იატაკზე დებს. ფილტვები შვებით შიშინებენ.

უილიამი და ესიკიელი სავარჯიშო მსხლებს უახლოვდებიან, ფრთხილად უვლიან გარს, მარცხენა ხელით ცრუ მოძრაობას აკეთებენ, მარჯვენათი კი ძლიერად ურტყამენ ტომარას და თან სახეს იფარავენ, თითქოს ნახერხით გატენილ ამ მსხალს საპასუხო დარტყმა შეეძლოს. ლუის ბრეტონი განკარგულებებს იძლევა: უფრო სუფთა jab[1], უილიამ! ესეკიელ, სწრაფად იმოძრავე! ვიქტორინო გირებს თავს ანებებს და თავდაუზოგავად ურტყამს ზამბარაზე დამაგრებულ მსხალს, დარტყმის ხმა დილის ბაგუნივით ისმის დარბაზში, საშხაპეში ოთხივე ერთად შედის. ვიქტორინო ბოლომდე აღებს ონკანს და წყლის ჭავლს ჯერ ზურგს, შემდეგ კი მხრებს უშვერს. მარცხნიდან უილიამის ხმა ესმის:

— გაიგე? დღეს საღამოს პიბე ლონდონიოს სახლში წვეულებაა, ჩვენ კი არავინ დაგვპატიჟა.

ვიქტორინო ონკანს კეტავს და პირსახოცს იღებს. ახლა ესეკიელი ეხმაურება მარჯვნიდან:

— პიბეს დავურეკავთ და ყველაფერს გავარკვევთ. ამ ბოლო დროს რაღაც ეშლება მაგ ლაწირაკს. საღამოს ალგებრის გაკვეთილი მაქვსო, უსინდისოდ მიმტკიცებდა.

[1] დარტყმა (ინგლ.).

ბიჭები სამხაპედან გამოდიან და დერეფანში აგრძელებენ ლაპარაკს. თეთრ პირსახოცებში გახვეულები ტოგამოსხმულ განრისხებულ რომაელ იმპერატორებს გვანან. ფაქტები: ლონდონიოების პატივცემული ოჯახი ნენას დღეობას იხდის. ამასთან დაკავშირებით მათ უზარმაზარ სასახლეში მეჯლისი მზადდება, სადაც თითქმის მთელი კარაკასია მიწვეული. დასკვნა: ყველა შესაძლო გართულების გულდასმით განხილვის შემდეგ, ლონდონიოებმა თავი შეიკავეს პიპეს ოთხი ძმაკაცის მოწვევაზე, რათა თავიდან აიცილონ ჩხუბი, უსიამოვნება, სტუმრების დალილავება და უბედური პიბე ლონდონიო, დღევანდლამდე ძმა და მეგობარი, გაუპროტესტებლად დათანხმდა ბებრების ხუშტურებს. მაგრამ ესეკიელი რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტია, რამ დაგავიწყა, პიბე ძვირფასო?!

— ჩვენ მაინც მივალთ იქ და ვიმხიარულებთ, — მკაცრად აცხადებს ვიქტორინო განაჩენს.

ეს სიტყვები ბრალმდებელ ესეკიელ უსტარისის ხვიხვინს იწვევს, რომელიც pianissimo[1] იწყება, allegro ma non troppo-ში[2] გადადის და andante cantabile-თი[3] სრულდება.

— ჩვენ იქ წავალთ მონა ლიზას თანხლებით, — შეუბრალებლად აგრძელებს ვიქტორინო.

მონა ლიზა?! ესეკიელს ახლა დანარჩენი სამი აძლევს ბანს. ლეონარდო და ვინჩის ამ ქმნილებას არასდროს ასეთი მხიარულება არ გამოუწვევია. ალჟირის ჩემპიონი ქვემსუბუქ წონაში — ლუი ბრეტონიც კი იცინის ტარბაზის სიღრმეში, არ იცის კი რატომ.

ეს ოთხი ათლეტური აღნაგობის ჭაბუკი: რამუნჩო, უილიამი, ესეკიელი და ვიქტორინო იმ დროიდან ძმაკაცობენ, ჯერ კიდევ 14 წლის ვიქტორინომ პირველი ბრძოლა რომ მოუგო მამამისს და მოტოციკლეტი აყიდინა. განსაკუთრებით ძნელი დედიკოს დარწმუნება იყო, რომელსაც არაფრით არ უნდოდა მის შვილს თავაწყვეტილი სისწრაფით ექროლა ქალაქის ქუჩებში და მეტი დამაჯერებლობისთვის თვალის დაუხამხამებლად ჰყვებოდა გამოგონილ სიზმრებს, თუმცა მანამდე თავად არაერთხელ აღუნიშნავს, რომ წინათგრძნობისა არაფერი სწამდა:

— უკვე მერამდენე ღამეა საშინელ სიზმარს ვხედავ. ვიქტორინო, თითქოს ავარიაში მოჰყევი, ირგვლივ სისხლი და კვამლია ერთმანეთში არეული, ყველა გარბის, შენ კი ძირს გდიხარ, — და მეტი დამაჯერებლობისთვის ცხვირსახოცს იფარებდა თვალებზე.

— ისეთი კულტურული ქალი, როგორც შენ ხარ, დედიკო, არ უნდა აჰყვეს ბრიყვულ სიზმრებს, ჩვენ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ვცხოვრობთ,იცოდე,—ასე უპასუხა ერთხელ ვიქტორინომ და იმ წამს მოიგო მამამისის, ინჟინერ არხიმირო პერალტა ერედიას გული.

— ბიჭი მართალია, — თქვა მაშინ მამამ. — თუმცა მოტოციკლეტს მაინც არ ვუყიდი, ეს თვითმკვლელობას უდრის. სიზმრები კი სისულელეა. მე, მაგალითად, ყოველ ღამე მესიზმრება რომ სოფი ლორენთან მძინავს, პირდაპირ გაღვიძება არ მინდა, მაგრამ აბა თუ ამხდენია როდისმე.

---

1 ძალიან ჩუმად (იტალ.).

2 ცოცხლად, მაგრამ არც ისე ჩქარა (იტალ.).

3 სიმღერით (იტალ.).

მაშინ ვიქტორინომ გადაწყვიტა უილიამის მოტოციკლეტზე ესწავლა მართვა, რომლის ინგლისური წარმოშობის და ინგლისურ ყაიდაზე მოაზროვნე ოჯახი არათუ შორს იყო სულელური შიშისგან, არამედ ამაყობდა კიდეც გადაადგილების ამ საშუალებით, რომელმაც დიდ ბრიტანეთს შორის გაუთქვა სახელი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს უილიამის მოტოციკლეტზე შემომჯდარი ვიქტორინო აკრობატივით განზე გაშლილი ხელებით თავის ბაღში [illegible] დედიკომ სამი მოცახცახე თითით ძლივს დაიოკა კივილი. მამას კი ისლა დარჩენოდა, ბიჭისთვის მთელ ქალაქში ყველაზე სწრაფი და თავაწყვეტილი „ტრიუმფი" ეყიდა. „ტრიუმფის" მფლობელად გახდომა ბავშვობის ასფალტქვეშ, თეთრ ურნაში დამარხვას ნიშნავდა. 14 წლის ვიქტორინო მეორედ დაიბადა რკინის ცხენზე ამხედრებულ პრომეთეოსად.

მაშინაც კი, როცა ბიძია ანასტასიომ ვიქტორინო ჩაკაოს ბორდელში წაიყვანა, სადაც მან პირველი ღამე გაატარა ქალთან (ეს მოტოციკლეტის შეძენიდან ერთი წლის თავზე მოხდა), ბიჭს თავი ზრდასრულ და დამოუკიდებელ კაცად არ უგრძვნია. სულ სხვა, მათრობელ გრძნობას ბადებდა მოტოციკლეტზე მიტყეპებული იარლიყი „კერძო საკუთრება", რომელმაც ამხელა გავლენა მოახდინა ერის სოციალურ ისტორიასა და ხალხის პირად ცხოვრებაზე. სათამაშოები საკუთრებად არ ითვლებოდა. ის მხოლოდ მასალა იყო, რითაც მშობლები ზღუდეს მართავდნენ ვიქტორინოსა და მის თანატოლებს შორის. არც საძულველი სკოლის ნივთები იყო საკუთრება და არც ტანსაცმელი, რომელიც მხოლოდ ხელს უშლიდა ვიქტორინოს სულისშემხუთველ სიცხეში შიშველს გაესეირნა ბამბუკის ჭალაში, არც ძაღლი „იაგუარი" ითვლებოდა მის საკუთრებად, რომელიც მორჩილად, კუდის ქნევით ითმენდა ვიქტორინოსგან მიღებულ ალიყურს და მაზოხისტის მოთმინებით უცდიდა, როდის ესროდნენ ფეხსაცმელს. ბიჭს არც ჭრაჭუნა ველოსიპედი მიაჩნდა კერძო საკუთრებად, ასეთი ხომ აფთიაქის შიკრიკსაც კი ჰქონდა.

მოტოციკლეტი სულ სხვაა, ეს მამაკაცის განუყოფელი ნაწილია, როგორც, ვთქვათ, სასქესო ორგანო ან კბილები, როგორც სიამაყე და თავისუფლება. მოტოციკლეტი უფრო ცოცხალი არსებაა, ვიდრე იადონი. მოტოციკლეტს, როგორც საყვარელს, ისე ეალერსება ვიქტორინო თვალებით, როგორც საცოლეს რთავს ათასგვარი მოსართავით, პატარა ბავშვივით ბანს და აკრიალებს. მართლაც კარგი სანახავი იყო „ტრიუმფი" ვიქტორინოს ხელში, საჭეზე დამაგრებული ხარის რქებითა და გაპრიალებული ფარებით. ნამდვილად ღირდა ნახვად, როგორ ნელა და ამაყად ეშვებოდა „ტრიუმფი" ავილას გორაკიდან მიხვეულ-მოხვეული გზებით, როგორ წმინდა სისხლის ცხენივით ემორჩილებოდა ვიქტორინოს თითების ოდნავ მოძრაობასაც კი, როგორ ზედიზედ უსწრებდა მანქანებს და თავში უდგებოდა მათ, როგორ ეშვებოდა ღამღამობით ზღვისკენ დაკლაკნილი ბილიკებით, თითქოს პატრონის ვაჟკაცობას ცდისო. როგორ აღვიძებდა ბებრებს გამაყრუებელი გრუხუნით და როგორ მიჰქროდა ქუჩებში წითელ ქარიშხლად.

ნამდვილად ღირდა მისი ნახვა, როცა შენ მეჯექი უკან, მალვინა, კისერზე მეხვეოდი და ზურგზე მეკვროდი სვიტერის ქვეშ მოცახცახე ორი პატარა კოკორით. გააჩერე, მეშინიაო, ყვიროდი, თუმცა ორივე ვგრძნობდით, რომ კი არ გეშინოდა, ჩემთან ჩახუტება გინდოდა, მალვინა.

— სროლაში ხომ არ გვევარჯიშა, — თქვა ერთ სულისშემხუთველ საღამოს უილიამმა. ბიჭები სინოპტიკოსების მიერ შეპირებულ ჭექა-ქუხილს უც-

დიდნენ, რომელიც არა და არ იწყებოდა და მხოლოდ ცხელი ქარი აფრიალებდა გაზეთებსა და გამხმარ ფოთლებს.

შესანიშნავმა ექვსეულმა იმ წუთში აიტაცა წინადადება. აბა, ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს სპორტული გართობა მათ ინკვიზიტორის როლიც მიაწებებდა და მათ გახსენებაზე კიდევ დიდხანს მოექცეოდათ ზიზღით სახე აღმოსავლეთის რაიონის მცხოვრებლებს. თუმცა პოლიციის განყოფილებაში, სადაც უცერემონიოდ მიათრია ბიჭები პოლკოვნიკმა ა[illegible]ალმდებელზე მეტად ბიჭებს დაუჯერეს, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთ რამუნჩო და პიბე ლონდონიო ჰყავდათ მოწმეებად მოყვანილი, რომლებიც იფიცებოდნენ, საკუთარი თვალით ვნახეთ, როგორ მოცვივდნენ კომუნისტთა კვარტლებიდან გავეშებული ზანგები და მრავალსაუკუნოვანი რასობრივი და კლასობრივი ბოღმა გაზონებში სისხლისღვრით მოიკლესო.

ეს უწყინარი თამაში, რომელიც მზის ჩასვლისას დაიწყო, შუაღამისას უკვე სისხლიან ბრძოლად იქცა. თავდაპირველად ბიჭები სახლებში წავიდნენ იარაღის საშოვნელად და რომ დაბრუნდნენ, აღმოჩნდა, რომ მონადირის ორი თოფი, რომლებიც ულიამმა და ესიკიელმა იპოვეს თოვლიანი სახლების სხვენზე, ტირში სასროლად თუ გამოდგებოდა. იყო კიდევ ერთი თოფი, რომელიც პიბე ლონდონიომ აწაპნა თავის უფროს მიწათმფლობელ ძმას, რამუნჩოს ძველ კარადაში ეპოვნა გრძელლულიანი პრიალა რევოლვერი, რომელსაც ჯერ კიდევ ბაბუამისი ხმარობდა კანცლიარის სამოქალაქო უფროსად მუშაობისას. ვიქტორინოს მამამისის „მერსედეს-ბენციდან“ დროებით წამოღლო ახალთახალი ბრაუნინგი. ძველისძველი ფილთა თოფი თურქმა ხულიანმა მოათრია (მაშინ ეს იდიოტი ჯერ კიდევ მათი ბანდის წევრი იყო). ახლა, ოთხი წლის შემდეგ, ვიქტორინო ველარ იხსენებს ზუსტად, ამ ფილთა თოფის ბრალი იყო, თუ დები რამირესების ფოქსტერიერის სიძულვილით, ჯერ პატარა ძაღლებს რომ დაერივნენ. ძაღლს შადოუ ერქვა და თუმცა ბევრი ჰამისგან ძაღლის ფორმა ჰქონდა დაკარგული, სახეზე ჯერ კიდევ ეხატა მისი ჯიშისთვის დამახასიათებელი სარკაზმი და მედიდურობა.

მართალი რომ ითქვას, ექვსივე ბიჭი მეტ-ნაკლებად შეყვარებული იყო დებზე. ზოგს შავკულულებიანი და ნუმიზმატურ პროფილიანი უფროსი უყვარდა, ზოგს ნაზი, ჟასმინისფერ ხელებიანი უმცროსი, დები კი, ალტამირის ქუჩის ეს ორი ანგელოზი, ყურადღების ღირსად არ თვლიდნენ არც ერთს, უფროსს უიმედოდ უყვარდა სერ ლოურენს ოლივიე და არაერთი ღამე გაუტეხავს მის სურათთან, რომელზეც იგი თავის ქალით ხელშია გამოსახული. მეორე კი დილიდან საღამომდე გამებს უკრავდა და არც ერთ ბიჭს დედამიწის ზურგზე არ ძალუძდა მოეწყვიტა იგი ფორტეპიანოს. მხოლოდ შადოუ უყვარდათ გოგონებს და შადოუსიტო, ჩემო სიცოცხლეს ძახილით ხან ყურებს უგრეხდნენ ძაღლს, ხანაც ისე ეთამაშებოდნენ. შადოუც სკოტლენდიარდის მეძებარივით შორიდან იცავდა დებს და მოჭრილ კუდს დაცქვეტდა, როცა ხიფათს იგრძნობდა. ფოქსტერიერის მოკვლა თურქ ხულიანს დაევალა. მისი თოფის გასამასხარავებლად კი არა, ახლა ზუსტად ახსენდება ვიქტორინოს, არამედ იმიტომ, რომ თურქს ყველაზე მეტად უყვარდა უფროსი რამირესი, მუსულმანური მოთმინებით საათობით სეირნობდა მის ბაღთან, როცა გოგონა ლუქსების წიგნს კითხულობდა აკაციის ჩრდილში და ხულიანს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. დები ხშირად მარტო დადიოდნენ კინოში და

კონცერტებზე, მოკლედ რომ ვთქვათ, ხულიანს არაფერში ადგებოდა თანდაყოლილი სირიული ეშმაკობა და ლიბანური მოთმინება. ახლა კი ეს ორივე თვისება დასჭირდა თურქს, შადოუ რომ გაეტყუებინა ღია მინდორზე და თოფი დაემიზნებინა. პირველი ტყვია ძაღლს გასიებულ მუცელში მოხვდა (ფოქსტერიერის კვალობაზე ერთობ მსუქანი იყო საწყალი) და ტყვია გაუხვრიტა. მომაკვდავი შადოუ დაბარბაცდა, კედელს მიეყრდნო და [illegible] შეუღრინა უხილავ მტერს. მეორე ტყვია შიგ დალაქულ თვალში ჩააქედა თურქმა და კეთილი ძაღლისგან მოგონებაღა დატოვა. დები რამირესები კინოში თუ კონცერტზე იყვნენ, მსახურები მოშორებით, სამზარეულოსთან ცხოვრობდნენ, ამიტომ კაციშვილი არ შესწრებია ძაღლის გმირულ სიკვდილს.

დოქტორ ფორტიკის დობერმან-პინჩერებთან ბრძოლა უფრო საინტერესოდ, კოვბოური ფილმების მსგავსად წარიმართა. ეს ძაღლები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ არავის აზრად არ მოსვლია მათთვის სახელები შეერჩია. საკმარისი იყო დოქტორის ეზოს სიახლოვეს ვინმეს გაევლო, და სამი შავი ბოჩოლა ჭიშკართან იყო ასვეტილი. რომ არა მათი ნუშისებრი თვალების ელვარება, კაცი იფიქრებდა, ბაზალტის ქვისგან არიან გამოთლილებიო. იმ ღამესაც იგრძნეს ძაღლებმა ხიფათი და ჩორთით გაემართნენ ბუჩქებისკენ, სადაც უილიამი, ესეკიელი და პიბე ლონდონიო იყვნენ ჩასაფრებულები. შინაგანი ალღო კარნახობდა ძაღლებს, რომ მათი წამახული თავები, ექვსი გადაპრილი ყური და ექვსი ნუშის თვალი დასაღუპად იყო განწირული. პირველად უილიამმა გაისროლა და დაწინაურებულ ძაღლს გაუხვრიტა ფერდი, მაგრამ დანარჩენი ორი წამით არ შეყოვნებულა, ნამდვილი დობერმანი ბრძოლას არასდროს გაურბის. მაშინ ესეკიელმა გამოსწია სასხლეტი და ააცილა. ორი გაავთრებული ძაღლი უკვე ხუთიოდ ნაბიჯზე იყო, როცა პიბე ლონდონიომ შესანიშნავი გასროლით ერთ მათგანს თავის ქალა გაუხვრიტა. დოქტორის სახლში მხოლოდ მაშინ აინთო სინათლე. მესამე პინჩერი ის-ის იყო უილიამს უნდა დასხმოდა თავს, რომ რამუნჩოს ძველმა რევოლვერმა იგრიალა და იქაურობა გააყრუა. ძაღლი ყვავილნარს დაასკდა და გაყუჩდა. მე არ გამისვრია, მალვინა, ჯერ ჩემი დრო არ იყო მოსული. წვიმის პირველი წვეთები ცირკის არენაზე მსხვერპლად მიტანილი ხარებივით დაყრილ ძაღლებს დაეპკურა.

დადგა ვიქტორინოს პოლკოვნიკ არელიანოს გერმანულ ნაგაზთან შებრძოლების დრო. ძაღლს კაიზერი ერქვა. ზურგი მუქი ბეწვით ჰქონდა დაფარული, რომელიც ფერდებთან ყლაპში გადადიოდა, იატაგანივით კუდი თითქმის მიწამდე სცემდა, ბასრ ეშვებში კი ვეება ენა მოუჩანდა. ძაღლი მონური ერთგულებით ასრულებდა პატრონის ყველა ბრძანებას და ისიც ქებას არ იშურებდა მისთვის. ამაზე დისციპლინირებული ჯარისკაცი მე არ მყოლიაო, ხშირად იმეორებდა პოლკოვნიკი. პოლკოვნიკის პატარა ბავშვები ხელით აჭმევდნენ მას და პონივით ზურგზე ახტებოდნენ, მაშინ ძაღლი მოთმინებისა და ალერსის განსახიერებად იქცეოდა, მაგრამ საკმარისი იყო ფორთოხლის კორომს იქით უცხო ნაბიჯების ხმა გაეგო, რომ საზარელ ცერბერად ქცეულიყო. ვიქტორინომ ცხაურს იქიდან დაუწყო ძაღლს გაბრაზება. ბიჭი თითქოს ხედავდა კიდეც სიბნელეში მის დაძაბულ, ვეება სხეულს, ნახტომისათვის გამზადებულ უკანა თათებს, მგლის ყურებსა და ეშვებს (იგი ხომ მგლის ჩამომავალი იყო), ესმოდა მისი ღრენა და ქვიშაზე მძიმე ნაბიჯების ხმა. მოახლოებულს ვიქტორინომ თვალებს შორის დაუმიზნა და მოარტყა კიდეც. გასროლის ხმა და

ჰექა-ქუხილი ერთდროულად გაისმა. ბიჭი ერთი ნახტომით მოახტა მოტოციკლეტს და მეგობრებს გაეკიდა, რომლებიც უკვე პალმებს შორის მიქროდნენ. შეშფოთებული პოლკოვნიკი ძაღლს დაუძახებს, მას მოეჩვენება, რომ კაიზერს მშვიდად სძინავს ჭიშკრის ქვეშ და, როცა ფარანს მიანათებს ძაღლს და ბალახზე შედედებულ სისხლს დაინახავს, მიხვდება, რაც მოხდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვიქტორინო პერდომო

მე და ვალენტინი ჰუმანიტარული ფაკულტეტის დერეფანში გამოვდივართ, ალპინისტის კურტაკსა (იგი ცხოვრებაში გორაკზეც კი არასულა) და სპორტულ კედებში (მაყურებლადაც კი არასდროს არ ყოფილა სტადიონზე) გამოწყობილი ისიდორო უკვე მესამე სიგარეტს ეწევა. ისიდოროს პერუელი ინდიელის ნაღვლიანად დაშვებული ულვაშები აქვს და ცეკვა-ცეკვით დადის, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ნიშნებია. სინამდვილეში ისიდორო. ს. ტ. ე-ს პასუხისმგებელი ხელმძღვანელია და ჩვენ უნდა დაგვეხმაროს ჰოლანდიის ბანკის ფილიალზე თავდასხმაში. ისიდორო ხმის ამოუღებლად მოგვყვება გრძელ დერეფანში. კედლიდან კეთილმოსურნედ გვიღიმის წვერებიანი ფიდელი. მაგრამ ჩვენ არც ფირელს ვუყურებთ, არც მირიეტას, რომელიც პარტიზანების დასახმარებლად ფულს აგროვებს, ყულაბას ცხვირწინ გვიჩხრიალებს და, პატიმრებისთვის მაინც ჩააგდეთ რამე, თუკი პარტიზანების ასე გეშინიათო, გვეუბნება. ჩვენ გვერდს ვუვლით რექტორატს, აუდიტორიებს, მომავალ ექიმებს, ანატომიას რომ იზუთხავენ, და როგორც იქნა, მყუდრო ადგილს ვპოულობთ. სიტყვას მე ვიღებ.

— აი, ამ კარებიდან შემოდის მეთაური ბელარმინო, აი, აქედან მე შემოვდივარ, — თითს ვაყოლებ ცემენტის იატაკზე დახაზულ გეგმას და წუთით ვჩერდები, რადგან უნივერსიტეტის ჰოსპიტალის მხრიდან სასწრაფო დახმარების მანქანის გამაყრუებელი სიგნალი მესმის, — მეორე კარიდან ფრედი და სპარტაკი შემოდიან, — ჯვარს ვსვამ გეგმაზე, — მე მოლარეს ვაწევინებ ხელებს, ეს კი პოლიციელია, რომელიც ბელარმინომ უნდა განაიარაღოს, — ცარცი ხელში მეფშვნება მეორე ჯვრის დახატვისას, — მეორე მოლარე და წითური მემანქანე გოგო, რომელიც, კარმინიას თუ დავუჯერებთ, იმ წუთში გულწასული უნდა დაეცეს, ფრედის აბარია, აქ კი, — წრეს ვხაზავ იატაკზე, — სპარტაკი დებს ცარიელ ჩემოდანს და რევოლვერით ხელში ამ წერტილისკენ მიდის (ეს წერტილი მმართველის კაბინეტში შესასვლელია). გასაგებია, ამხანაგო?

ისიდორო ოდნავ მიკრავს თავს. კეჩუას ენაზე ეს ალბათ „რა არის გაუგებარი" ნიშნავს.

მე ვაგრძელებ ახსნას: ბელარმინო და ფრედი ყველა იქ მყოფს: ორ მოლარეს, გულწასულ მემანქანეს, განიარაღებულ მცველს და ერთ-ორ დაგვიანებულ კლიენტს ამოიღებენ მიზანში. ამ დროს სპარტაკიც გამოჩნდება ცოცხალ-მკვდარი მმართველით, რომელიც, სიკვდილის შიშით, რა თქმა უნდა, გაგვიღებს სეიფს. მე ფულს ჩემოდანში გადავალაგებ, ჩვენი ანგარიშით ორასი ათას ბოლივარამდე უნდა მოგროვდეს, ჩემოდანს ხაკის ტომარაში გავახვევ, სპარტაკს გადავცემ და ყველანი გავიქცევით.

— როგორღა? — კითხულობს სკეპტიკოსი ისიდორო.

— პირველად გამოვდივართ მე და სპარტაკი, მერე ფრედი და ბოლოს

ბელარმინო. მეთაური მცირე ხანს შეყოვნდება, რათა იქ მყოფნი დააშინოს: თუ ვინმე გამოდევნებას ეცდება, თავს წააცლიან ტყვიამფრქვევის ჯერით აი, ამ ქუჩიდან! ჩვენ სწრაფად გამოვალთ, მაგრამ სირბილით არა, თუმცა ფეხებზე მერკურის ფრთები გამოგვეზრდება. სწრაფი ნაბიჯით მივალთ შესახვევიდან ოც მეტრზე მდგარ „შევროლემდე", სადაც შეყვარებულებივით ჩახუტებული კარმინია და ვალენტინი დაგვიცდიან.

— მერე? — კითხულობს ისიდორო.

ახლა ვალენტინის ჯერია. ის კარაკასის გეგმას შლის და უჩვენებს ისიდოროს, თუ რა გზებით ივლის „შევროლე", როცა ყველანი შიგ მოვთავსდებით და ერთ ბურთად შეკრულნი სავარძლებს შორის ჩავიმალებით. ეს გზა უკვე სამოცჯერ გვაქვს გავლილი ფეხით, ოცჯერ მანქანით და ათასჯერ წარმოსახვით. არიადნას ძაფი (ვალენტინი ჭკუას კარგავს მითოლოგიაზე, მერკურის ფრთებიც მან ახსენა პირველად და მეც იმიტომ გამეცინა, რომ ვყვებოდი), დიახ, არიადნას ძაფი თქვენი ს. ტ. ე-ს მიერ მოპარულ მანქანამდე მიგვიყვანს, ამხანაგო ისიდორო.

— რომელ საათზე?

— ბანკში ოპერაციას შვიდი წუთი დასჭირდება, — ვამბობ მე.

— კიდევ შვიდი წუთი იმ ადგილამდე მისვლას, სადაც თქვენ დაგვიცდით, — ამატებს ვალენტინი.

— ჩვენ ბანკში 4 საათსა და 27 წუთზე შევდივართ, თქვენ 4 საათსა და 41 წუთზე დაგვიცდით. კარგი? — ვამბობ.

— ო' კეი, — მპასუხობს ისიდორო.

ისიდოროს განკარგულებაში ორი მოპარული მანქანა და ერთიც ლეგალურად შეძენილი საგორავია, რომელიც ბანკთან იდგება, ვალენტინის მანქანას ადგილი რომ შეუნახოს. ვალენტინის მანქანის მოსვლისთანავე საგორავი წავა, ჩვენ კი 4 საათსა და 30 წუთიდან აქ დაგიცდით, ამბობს ისიდორო და თითს ადებს რუკას.

მანქანები კათოლიკური კოლეჯის კუთხეში იდგებიან ცხვირით სამხრეთისკენ, ე. ი. სასაფლაოსკენ, ჩვენი მანქანა მათგან სამ მეტრზე გაჩერდება, ორი კაცი ფულით პირველში ჩავსხდებით, დანარჩენები მეორეში.

— კარგად დაიხსომეთ, — მე მომმართავს ისიდორო, — სპარტაკი და შენ ფულით პირველში, ბელარმინო და კარმინია მეორეში, შენ და ფრედი, — — ახლა ვიქტორინოს მიმართავს, — „შევროლეში" ისხდებით და უკან გამოგვყვებით, საჭიროების შემთხვევაში რომ დაგვიცვათ, თანახმა ხარ?

— თანახმა ვარ.

— კარმინიას ავტობუსის გაჩერებაზე ჩამოსვამენ, — აგრძელებს ისიდორო, — ბელარმინო იარაღს დაშლის და ჩემოდანში შეინახავს. მე ჯიბეში სამი ბოლივარი უნდა მქონდეს, რომ ტაქსით წავიდე (ყველაფერი გათვალისწინებული აქვს ისიდოროს).

და ბოლო შეკითხვა. რატომ თვით ბელარმინო არ მოვიდა მასთან მოსალაპარაკებლად. არ ივარგებს, უნივერსიტეტში რომ ნახონ, — ვამბობ მე, ისიდორო იღიმება, პირველად მთელი ჩვენი საუბრის მანძილზე, და დაუმშვიდობებლად უჩინარდება ბუჩქებში თავის ნაღვლიანი ულვაშით და კედებით. ის სიზარმაცისთვის ან ავადმყოფობისთვის გარიცხულ სტუდენტს ჰგავს.

— 20 საათზე იმავე ადგილას, — ვეუბნები ვალენტინს.

— ო' კეი! — მპასუხობს და ფეხსაცმლის წვერით შლის ჩემ მიერ დახა-

ზულ გეგმას. ახლა ზუსტად 19 საათი და 30 წუთია, ამპარა, და მე მოუთმენლად ველი 11 საათს, რომ განახო. მე, რა თქმა უნდა, ცოტათი ან ძალიან ცოტაზე მეტადაც კი მეშინია, მაგრამ ჩემს საქმეებზე მაინც არ მოგიყვები. შენ ისიც კი არ იცი, რომ მე მათს ბროშურებს ვკითხულობ, რომ [illegible] კიდევ, რადგან კუბის რევოლუციის გამარჯვებას „[illegible]", მახსოვს, ჩემი გამოხსნა გინდოდა პოლიციიდან, მაშინ, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოგსვლია, რომ მე შეიარაღებული აქტივისტი ფალნ-ის[1] წევრი ვარ და თავდასხმებში ვღებულობ მონაწილეობას, შენს დაუკითხავად სასწორზე ვდებ სიცოცხლეს. რამდენჯერ დამიპირებია ყველაფერი მომეყოლა შენთვის, მაგრამ მერე ის ლაწირაკები გამახსენებია, ტრაბახით რომ იკლებენ გოგოებს, ოღონდაც ერთი ღამე ერთად დაწოლა გამოსტყუონ და გავჩერებულვარ. ერთხელ ღამე დაესიზმრე ვიქტორინოს, ამპარა, და არც კი გითხრა. სიზმარში ორივე შიშვლები გარბოდით უკაცრიელ პლაჟზე. ვიქტორინო თვალს არ აცილებდა შენს ნაფეხურებს და რიტმულად მოქანავე, მკვრივ დუნდულებს.

ზღვის ტალღები თეთრ ქაფად რჩებოდა თქვენს ფეხებზე. ირგვლივ სულიერის ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ სამი ვარხვი მოგდევდათ უჩუმრად, შენ უფრო და უფრო ანელებდი სირბილს, ამპარა, და ბოლოს წაიქეცი კიდევ ქვიშაზე. ვიქტორინო ზედ დაგემხო და „ჩემო სიყვარულოს" ჩურჩულით ზურგზე დაფენილი თმა დაგიკოცნა. ზღვიდან უხილავი გუნდი რექვიემს მღეროდა, სიკვდილის ფსალმუნს.

ოპერაცია „ჰოლანდიური ბანკის" ყველა წვრილმანი გათვლილია, ამპარა, მხოლოდ ერთი კითხვა რჩება უპასუხოდ: სროლა რომ ატყდეს? სროლა რომ ატყდეს, ამპარა, ეს შესანიშნავი გეგმა ჩაიფუშება, ყველაფერი თავდაყირა დადგება და ყველა საკუთარი ინსტინქტის კარნახით იმოქმედებს, რომელიც გვასწავლის: გადააბიჯე სხვის გვამს, თუ არ გინდა შენსას სხვამ გადააბიჯოს. გახსოვს ის დღე? ვიღაცის დაბადების დღეზე რომ იყავი, მე მოგვიანებით მოვედი იმ წვეულებაზე, მე და მამაჩემს ის-ის იყო, კამათი მოგვივიდა პოლიტიკურ თემაზე და ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტებმა ძლივს ამგლიჯეს მაგიდას. ყველაზე საწყენი ის იყო, რომ მერე ქვეყნის არგუმენტი მომაგონდა, კამათში კი ვერც ერთი ვერ გამოვიყენე. შენ შავი კაბა გეცვა, მომიახლოვდი ჭიქით ხელში და საცეკვაოდ გამიწვიე. მე გითხარი, ცეკვა არ ვიცი-მეთქი. მერე რაო, მიპასუხე და ისე შემომხედე სხივჩამდგარი თვალებით რომ ავდექი და ანთროპოლოგიის პროფესორივით დავიწყე ფეხების ჩხლართვა. ხომ გითხარი, ცეკვა არ ვიცი და რატომ გამომიწვიე-მეთქი, რომ გკითხე, მიპასუხე, რომ ყოველთვის ასე იქცეოდი, როცა კაცი მოგეწონებოდა. მე უკვე ეჭვით ატანილმა — ხშირად მოგწონს კაცები-მეთქი, — შეგეკითხე. შენ კი ტუჩები ყურთან მომიტანე და, პირველად ცხოვრებაშიო, მითხარი. მაშინ არ დაგიჯერე, რადგან თვალები საოცრად გიელავდა, ტუჩები ვნებით აგნთებოდა, მკერდი ლიფიდან ამოხტომას ლამობდა და ვერც ერთი სტუმარი გულგრილად ვერ გიყურებდა. მაგრამ ყველაზე საშიში ის იქნება, მტერმა რომ წინასწარ გაიგოს ყველაფერი, ვინმემ რომ დაგვაბეზღოს და ოპერაციამდე ჩაგვაჭელონ, რომ გვაწამონ, დედა შეგვაგინონ, ხელ-ფეხი შეგვიკრან და სახეში ჩაგვაფურთხონ, მუცელში გვირტყან და კბილები დაგვაცალონ, ანთებული სიგარეტით ძუძუები ამოგვიწვან და რევოლვერი საფეთქელთან გვიტრიალონ.

[1] ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალები.

ვინ იცის, გეყოფა კი კაცს ვაჟკაცობა, ეს ყველაფერი ხმის ამოუღებლად აიტანო, გეფიცები, ამპარა, ამას მირჩევნია ადგილზე მომკლან. ო, რა სიურპრიზი მომიმზადე მაშინ ბნელ ბარში, „საბანა გრანდე“ რომ ჰქვია, როცა წითელი „კამპარი“ მოსვი და მითხარი, რაც იქნება, იქნება, ადამიანურად შევეყვაროთ ერთმანეთიო. ისიც მითხარი, ქალიშვილი ვარ, მაგრამ ეს ხელს [illegible] გიშლისო, და დილის თერთმეტ საათზე დამიბარე შენს სახლში, [illegible] მარტო რჩები ხოლმე. მე არ მჯეროდა, რომ ქალწული იყავი. ჩვენ ერთმანეთს შეჩვეული საყვარლებივით გავშიშვლდით და, როცა პატარა თაგუნასავით ამოიწუწუნე და ზეწარიც წითლად დაასველე, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი ჩემთვის შემოინახე და... მე დღესაც მოვალ თერთმეტ საათზე შენთან, ამპარა, როცა ნიკოლასი მაღაზიაში წავა, დედაშენი კი სამსახურში იქნება, და სველ ტუჩებს დაგიკოცნი, შენ ვერაფერს გაიგებ დღევანდელ ოპერაციაზე, რევოლუციის შენამდე მოსული ერთადერთი ნაყოფი ეს მაიაკოვსკის ლექსები და შოსტაკოვიჩის ლენინგრადის სიმფონიაა.

ვიქტორინო მოცელილივით დაეცა ხის ქვეშ. ალონსო კიხანოს ლანდი, (გუშინ საღამოს ვიქტორინომ „დონ კიხოტის“ კითხვა დაიწყო), წყალსადენი მილის ჩრდილს გამოეყო და ბიჭისკენ თავისი გრძელი ხელები გაიწოდა. დარაჯმა ჯერ იფიქრა, დაილალა ბიჭიო, შემდეგ: პროტესტის ნიშნად დაწვაო, ბოლოს, როგორც იქნა, ვიქტორინოს გაყინულ საფეთქლებს შეეხო, გაჩერებულ გულზე ყური დაადო და შიშით მთელი ხმით აღრიალდა. თბილ საბნებში გახვეული აღსაზრდელები ვიქტორინოს შემოეხვივნენ, ერთმა შუქი აანთო, მეორე უფროსობის გასაფრთხილებლად გაძვრა. მალე დირექტორის ბრიყვული სიფითრეც გამოჩნდა.

— ის მოკვდა! — ღრიალებენ მისი მეგობრები და დირექტორს გულს უწურავს მათი გამომცდელი მზერა და შეგნებული დანაშაულის გრძნობა.

— ჩვენ მოვითხოვთ სასწრაფოდ აცნობოთ მის ოჯახს! ჩვენ მოვითხოვთ ახლავე გასინჯოს ექიმმა! — ყვირის ვიქტორინოს საუკეთესო მეგობარი ვილიეგოტა.

სიკვდილი ერთი სიამოვნება იყო ვიქტორინოსთვის, სანამ ვილიეგოტამ, მისმა საუკეთესო მეგობარმა არ მოითხოვა, ოჯახს ვაცნობოთო, ვიქტორინომ წარმოიდგინა მტირალი დედა და იმ წუთში დაანება თავი საკუთარ დაკრძალვაზე ოცნებას. დედის ტირილს ჯობია არ მოკვდეს. ვიქტორინო უკვე მთელი საათია გაუნძრევლად დგას პატიოში, ხის ქვეშ და კიდევ ერთი საათი უნდა იდგეს, ვიდრე ზარის რეკვა საუზმის დროს არ აცნობს. ეს სასჯელი ლოგიკური გაგრძელება იყო იმ ღამის, როცა ვიქტორინოს საწოლის მეზობელმა მელესიომ დირექტორს მოახსენა, რომ ვიქტორინო ჩუმად ეწეოდა და სიგარეტს ლეიბქვეშ მალავდა. მეორე დღეს დირექტორმა აღსაზრდელები შეკრიბა და მთელი თავისი პედაგოგიური ჟარგონი ვიქტორინოზე გადმოანთხია: „ხულიგანო! დეგენერატო! ლამპალო!“ არა უშავს, იფიქრა მაშინ ვიქტორინომ. მთავარია, ლიცეუმისგან შორს, სადმე ბამბუკის ჭალაში მოვიხელთო მელესიო და სისხლი ვადინო, ანდა კბილები ჩამოვუღო მაბეზღარას. მაგრამ მელესიო არც ისე ხელწამოსაკრავი მეტოქე აღმოჩნდა, ვიქტორინო რომ ელოდა. ასეთ სასჯელს უკვე მიჩვეული იყო, მოხერხებულად იცილებდა დარტყმებს და კონტრშეტევაზეც კი გადადიოდა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ნახევარ საათს გაგრძელდა, სანამ ვიქტორინომ მარჯვენა ნესტო არ გაუხეთქა მოწინააღმდეგეს. მელესიომაც იგივე ადგილას ატაკა თავი და ახლა ვიქტორინოს წასკდა სისხ-

ლი. როცა მოშორებით მამა პელაიოს სუტანა აფრიალდა, ვიქტორინოს უკვე ქვეშ ჰყავდა მოგდებული მოწინააღმდეგე, მის საზიზღარ მაბეზღარა პირს ჩაფრენოდა და საცაა გამარჯვება უნდა ეზეიმა, მაგრამ მამა პელაიომ ღონიერი ხელებით აიტაცა ვიქტორინო, რომელიც მოგვიანებით ასე სამარცხვინოდ დასაჯეს, მელესიოს კი მხარზე მოუთათუნეს ხელი შექების ნიშნად, რადგან ლიცეუმში ფრიად აქებდნენ მაბეზღარებს, ურჩობა კი ყველაზე მძიმე ცოდვად ითვლებოდა.

ვიქტორინოს სასჯელი მარტივი და დამამცირებელი იყო, რამდენიმე დღის განმავლობაში, გამთენიისას, ორი საათით ხის ქვეშ უნდა მდგარიყო ხელებგაშლილი, შემოდგომის სუსხით აკანკალებული და წვიმით გალუმპული. ყოველ დილით ვიქტორინო შურისძიების ახალ-ახალ გეგმებს იგონებდა, დღესაც კი მოიფიქრა — სიკვდილი, მაგრამ იძულებული გახდა განზრახვაზე უარი ეთქვა, რომ დედის ტანჯვა არ გაეათკეცებინა, იგი ისედაც საწყალობელ წერილებს იწერებოდა და ვერაფრით შეჰგუებოდა ვიქტორინოს ლიცეუმში გამოკეტვას, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. კომუნისტი მამა მორიგ, ამჯერად ხუთწლიან სასჯელს იხდიდა რომელიღაც შორეულ ციხეში. დედა თავიდან საწვაულებს ახდენდა პედაგოგის მცირე ხელფასით, მაგრამ რამდენ ერთს გასწვდებოდა: ბინის ქირა, ვიქტორინოს ფეხსაცმელი, სინათლის გადასახადი, მიქაელას ხელფასი, ვიქტორინოს წიგნები, საჭმელი, ხუან რამიროსთვის გასაგზავნი ამანათის ფული. და აი, დადგა დრო, როცა დედას ერთადერთი გამოსავალიღა დარჩა — ვიქტორინოს ლიცეუმ-ინტერნატში გაგზავნა, თვითონ დედა კი დეიდა სოკორომ შეიფარა. ჩემს სახლში ყოველთვის მოიძებნება შენთვის საწოლი და ადგილი სუფრასთანო, ასე თქვა მაშინ ბრძენმა დეიდა სოკორომ. მას ვიქტორინოს კბილა გოგონა ჰყავდა, რომელმაც ბოლო დროს უმიზეზო ოხვრას მოუხშირა და ალბათ ამიტომ იყო, რომ ორი საწოლი და მაგიდასთან ორი ადგილი ვერ გამონახა დეიდა სოკორომ.

წვიმამ მოუხშირა და სიბნელე გაიცრიცა. დარაჯი ყურადღებით ამოწმებდა ბიჭს, შემთხვევით ხელები ხომ არ ჩამოუშვა ან მუხლში ხომ არ ჩაიხარაო. ვიქტორინოს მხრებზე უხილავი სიმძიმე აწვება, იდაყვებში ჭიანჭველები დაურბიან, ხანდახან ხელების ჩამოშვებასაც ახერხებს, კიდევ კარგი, დარაჯი ისეთი ავი არ გამოდგა, დირექტორს რომ სურდა.

მესამეკურსელი წითური ბიჭი, რომელიც ლიცეუმის აფთიაქს განაგებს, უკვე ადგა და ზუთხვას შეუდგა. ვიქტორინო ფანჯარაში ხედავს ფიზიკის წიგნში ჩარგულ წითურ თავს. ის თითით საჩვენებელი მოსწავლე როდია, პირიქით, ვიქტორინოსი არ იყოს, გამოუსწორებლის სახელი აქვს, ჩუმ-ჩუმად ეწევა, აკრძალულ თემებზე საუბრობს და ფეხბურთში მეგობრული მატჩის დროს მოწინააღმდეგეს სარმას უდებს, მაგრამ ზეგ ფიზიკის გამოცდაა და ფიქრობს ორ დღეში გაზუთხულით გავიდეს ფონს. ერთხელ, ფიჭვნარში უცოდველი სახეებით მოსეირნე ვიქტორინომ და წითურამ, სამულველი დირექტორის წინააღმდეგ შურისძიების გეგმას რომ აწყობდნენ, გადაწყვიტეს აეფეთქებინათ ეს ბარაკები, დირექტორი ამაყად „ლიცეუმს" რომ უწოდებდა.

წითურმა აფთიაქის კარადიდან სქელი, მოყვითალო ნიტროგლიცერინი და ფორთოხლისფერი ფხვნილი მოიპარა. შეთქმულები ყველაზე უხიფათო დროს (დილის საათებში, როცა დანარჩენი მოსწავლეები მამა პელაიოსთან მიდიოდნენ სალოცავად, ან კვირაობით, სანამ ბავშვები ქალაქში სეირნობდნენ) ხვდებოდნენ ერთმანეთს, აფთიაქში შეიყუჟებოდნენ და ალქიმიკოსობდნენ.

მათ არც მდინარის თბილი ტალღები აცდუნებდათ, არც საეკლესიო რიტუალები, რაც იმითაც იყო სასიამოვნო, რომ მრევლის მრგვალ-მრგვალი უკანალები შეეძლო გეთვალიერებინა. სამი თვის ჯოჯოხეთური შრომის შემდეგ მათ განკარგულებაში ოთხი დინამიტი დაგროვდა თავისი ხაოიანი პატრუქებით.

დინამიტები რიგ-რიგობით გადაიტანეს დანიშნულების ადგილას. ერთი სასადილოს ჭრაჭუნა კარს უკან დამალეს, საიდანაც მუდამდღე დამწვარი ლობიოსა და მწვანილის სუნი გამოდიოდა, მეორე მთავარ საკურთხეველთან დადეს, სადაც მამა პელაიოს უყვარდა დგომა და გაუთავებელი ლოცვა, სანამ დაჩოქილი ბიჭები ბრაზით ივსებოდნენ. ვერც ერთი რელიგია ამდენ ლოცვას ვერ გაუძლებს, პადრე! მესამე დინამიტი ბაკალავრ არისმენდის კათედრის ქვეშ აღმოჩნდა, რომელიც დაუფარავი ცინიზმით უყვებოდა მოსწავლეებს ადამიანთა უფლებების შესახებ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხოლო ბოლო დინამიტი, ყველაზე დიდი და სიყვარულით გაკეთებული, დირექტორის სკამქვეშ მოათავსეს. საღამოობით დირექტორი სკამზე არ ზის ხოლმე, ეს ორივემ იცის. მაგრამ საძულველი სკამიც რომ აფრინდეს ჰაერში, არც ეს არის ცოტა, არა, წითურავ?

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ოქტომბრის საღამო იყო. აღსაზრდელები დერეფანში დასეირნობდნენ ვახშმის ზარის მოლოდინში. ვიქტორინო და წითური შეუმჩნევლად ჩამოშორდნენ მეგობრების ჯგუფს, ორ-ორი პატრუქი აანთეს, ერთმა ჩრდილოეთის, მეორემ სამხრეთის მხარეს, და ისე სწრაფად დაბრუნდნენ უკან, მათი არყოფნა არც არავის შეუმჩნევია, თანაც ვითომ დაწყებული საუბარი გააგრძელეს არხეინად: ხომ გითხარი, პიარის[1] დახვრეტას არ ვეთანხმები-მეთქი...

პირველი დინამიტი სამზარეულოში აფეთქდა, რკინის კარი ჰაერში ქაღალდივით აფარფატდა და ცინკის ქვაბებსა და თეფშებზე პოლიფონიური ფუგა შესრულდა. სანამ გაოგნებული მზარეული ცეცხლის ბურთივით დაქროდა ნამტვრევებს შორის, სამლოცველოში აფეთქების ხმა გაისმა. იქ მხოლოდ ინტერიერი დაზიანდა, წითური და ვიქტორინო დაძაბული იცდიდნენ და შვებით ამოისუნთქეს, როცა დირექტორის კაბინეტის კარი გრუხუნით გაიღო და ჰაერში ატყორცნილი სკამი ნაფოტებად დაიშალა, გრუხუნის ხმამ ორი რაქეტიანი მეორეკურსელი დასცა ძირს, სხვა არავითარი მსხვერპლი არ მოჰყოლია. მხოლოდ ბაკალავრ არისმენდისთვის განკუთვნილი დინამიტი არ აფეთქდა. ან პატრუქს მოუვიდა რამე, ან კონსტრუქციაში დაუშვეს შეცდომა, ასე იყო თუ ისე, ბიჭებმა სავსებით დაიმსახურეს დაფნის გვირგვინი. არა, წითურავ?

მართლაც ასე რომ მომხდარიყო... მაგრამ წითური შეთქმულების დასაწყისშივე შეშინდა, ვიქტორინოსაც არ ეყო ვაჟკაცობა. მათ მხოლოდ ის გაბედეს, რომ საჭირო ფორმულები ამოიწერეს და სიყვარულით უმზერდნენ აფთიაქის კარადაში გამოდგმულ სინჯარებს. ახლა კი ვიქტორინო სიკვდილს ნატრობს, რომელიც, სხვა თუ არაფერი, ლორების სალაფავზე უარესი საჭმლისგან მაინც გაანთავისუფლებს: სუპი აუცილებელია, პერდომო, ჭამეთ სუპი! ნეტა რომელ ბაზარში ყიდულობს მზარეული (ესეც თუ მზარეულია!) ამ ძვლებს, გამომშრალ ლობიოს და დამპალ სიმინდის ფქვილს. ვიქტორინო თვალებს ხუჭავს და ხედავს ქურასთან მოფუსფუსე დედას, რომელიც ტაფაზე ხმაურით ურევს რაღაცას. ჩანგალმომარჯვებულ ვიქტორინოს მაგიდაზე იდაყვები და-

---

1 პიარი — ვენესუელის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლი XIX ს-ში.

ფურცლნია და იცდის. დედა ღორის ხორცის ქონიან ნაჭერს წვავს, ცხიმი შიშხინებს და ხახვის ფურცლები ერთიმეორის მიყოლებით სკდება. მხიარული ალეგრეტოთი. დედა ვიქტორინოსაკენ ბრუნდება და თეფშით ხელში მაგიდას უახლოვდება. თეფშზე კი კარტოფილითა და წიწაკით საიმედოდ შემომტკაცული უზარმაზარი, დაბრაწული კატლეტი დევს. ამ დროს [illegible] ისმის, რომელიც საუზმეზე უხმობს მოსწავლეებს. არც ისე ადვილი [illegible], — ფიქრობს ვიქტორინო.

### ვიქტორინო პერესი

ვიქტორინო ფეხის ერთი დარტყმით აღებს კარს და საკუთარ უბედურებას უსწორებს თვალს. პირველი, რაც თვალში ხვდება, სკამზე დაგდებული მამაკაცის პერანგი და დამარცხებულთა დროშასავით იატაკზე ჩამოცურებული ბლანკიტას წითელი კაბაა, რომელიც იმდენი ხანი იყო არ სცმია ქალს, რომ ვიქტორინომ იფიქრა, დააგირავა ან სულაც ვინმეს აჩუქაო. მეორე უბედურება საწოლში ელის, საითაც ვიქტორინო სიბრაზით დამანჭულ სახეს აბრუნებს.

ბლანკიტას ბრილიანტინით აპრიალებული თმა გიშრისფერ ჭავლად ღვრება ბალიშზე, მთელი მისი სამოსი მოკლე პერანგია, რომლის შიგნითაც შავი სამკუთხედი მოჩანს. ბლანკიტას თავის გვერდით მამაკაცის თეთრწინდებიანი ფეხები მოჩანს. მისი წოლის მანერა ძალიან განსხვავდება ტრადიციულისგან. მას ყოკეის მოკლე ტრუსი და თეთრი წინდები აცვია ზიარებაზე პირველად წასული ბავშვივით.

ვიქტორინო იცნობს მას. ეს მეტისი მარაკუჩიტოა, რომელიც, ეშმაკმა უწყის, რით ირჩენს თავს. ქურდიც კი არაა. ყოველ შაბათ საღამოს მარაკუჩიტო „სამოთხეში" ზის და ინდიელის მელანქოლიური მზერით მისჩერებია ქაფმოდებულ ლუდის ტოლჩას. არანაირ მუსიკას არ ძალუძს მისი სიცეკვაოდ დაძვრა, გულგრილი მზერით აცილებს იგი საპირფარეშოსკენ მიმავალ გოგონებს. კრისანტო გუანჩესი ამტკიცებდა, პოლიციის დამბეზღებელიაო, მაგრამ არც ეს იყო მართალი, უბრალოდ, კრისანტო გუანჩესს არავისი არ სჯეროდა.

მარაკუჩიტოც იცნობს ვიქტორინოს, თავში ავარდნილი სისხლი კარნახობს ინდიელს, რომ მისი აღსასრულის დღე მოვიდა, სადღაა ის უკმაყოფილო გამომეტყველება, კარზე კაკუნის გაგონებაზე რომ აღებეჭდა სახეზე. ის ხაფანგში გაბმული ვირთხის თავზარდამცემმა შიშმა შესცვალა, რომელიც დალუპავს კიდეც, თუკი არ გაინძრა. მეტისმა დაინახა, როგორ წაიღო ვიქტორინომ აკანკალებული ხელი ჯიბისკენ, იქიდან დასაკეცი დანა ამოიღო და ღილაკს თითი დააჭირა. მარაკუჩიტო ხვდება, რომ ხსნის ერთადერთი, თუმცა არასაიმედო გზა ღია კარის ჭრილია, რომელსაც ვიქტორინო ფარავს. თვითგადარჩენის ინსტინქტი და ინდიელი წინაპრების ლოგიკა კარნახობს, რომ ყველაზე უარესი ახლა ოთახში დარჩენაა. რაც დრო გადის, ვიქტორინო უფრო ცოფდება. სიბნელეში უმიზნოდ ფათური ახლა თავის სასაკლაოზე მიტანას ნიშნავს. მარაკუჩიტო კატასავით ეკვრის კედელს და გოჯა-გოჯა გადის კარამდე დარჩენილ ორ მეტრს, თან შავ მუშტს მისჩერებია თვალმოუშორებლად. მუშტი ჰაერში ელავს, მარაკუჩიტო ერთი ნახტომით ბრუნდება ვარდისფერ პირსაბანთან, აპრიალებული დანა მისი ჭიპიდან სამ მილიმეტრზე ჭრის ჰაერს.

—ამ ბოზანდარას გულისთვის მკლავ, ძმაო? — ბღავის მარაკუჩიტო.

ჰო, სწორედ იმიტომ, რომ ეს ბილწი სიტყვები თქვი, არ მოვკალი, ბლანკიტა. თუმცა სწორი იყო. შენ ბოზი იყავი, მაგრამ ახლა ჩემი ცოლი ხარ და

ის, რაც ჩვენ შორის მოხდება, მესამემ არ უნდა გაიგოს. ამიტომ იყო, იმის მაგივრად, რომ პირსახოცი მიეწოდებინა, აიღო შენი აქოთებული შარვალი და მოუსვი-მოუსვი, დაუწყვიტე. მანაც დაავლო ხელი ტანსაცმელს და კარში გავარდა, ფეხსაცმელი არც კი გახსენებია, სულ კისრისტეხით მი-ირბინა სასტუმროს კიბე და გუარატარის გორაკებამდე უკანმოუხედავად ირბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა ვიქტორინო შენს საწყალობელ წუწუნს უგდებს ყურს, რომელიც წყაროსავით მოწანწკარებს ავურის იატაკზე.

— არ მომკლა, ჩემო სიცოცხლე, გეფიცები, ცუდი არაფერი გამიკეთებია. დედას გეფიცები. ვიცი, არ გჯერა ჩემი. გუშინ „სამოთხეში" გამოვთვერი. შენზე ფიქრი აღარ შემეძლო, შენ ხომ იცი, ჩემო სიყვარულო, რომ მარტო წოლის მეშინია. როცა მთვრალი ვარ, მკვდრები მელანდება და მარაკუჩიტოს ვთხოვე სასტუმროში წამეყვანე და რადგან გვიანი იყო, ისიც აქ დარჩა. თავფეხშექცევით დავწექით და ცუდი არაფერი გვიქნია, გეფიცები დედას. არ მომკლა, ვიქტორინო! ბლანკიტა ცდება. ვიქტორინოს მისი მოკვლა არც უფიქრია, მხოლოდ ერთი-ორჯერ დაუსვამს დანას, რომ ყოველთვის ახსოვდეს ეს დღე. ჯერ მკერდს დაგისერავ! ვიქტორინო ნელა უახლოვდება ზეწარს, რომელზეც ცოცხალ-მკვდარი ბლანკიტა ცახცახებს და კედელს ეკვრის. დანა ოდნავ კაწრავს ცალ ძუძუს, ნაკაწრიდან სისხლი კი მოდის, მაგრამ ეს ცოტაა, ალბათ შრამიც არ დარჩება.

ვიქტორინოს დანასა და კედელს შორის მოქცეული აკანკალებული ბლანკიტა მექანიკურად იმეორებს: არ მომკლა, ჩემო სიცოცხლე, ცუდი არაფერი გამიკეთებია. პერანგი ზევით აწევია და შოკოლადისფერი ორი ლარნაკი — ბარძაყები მოუჩანს. ვიქტორინო ახლა მათ უმიზნებს, ამჯერად ხელი აღარ უკანკალებს და შესანიშნავ ჯვარს სვამს, ერთი ხაზი თვით ბუნებამ გააკეთა, მეორე ვიქტორინომ. ბლანკიტა თავს ვერ იკავებს და კივის, თუმცა მაშინვე ნანობს. მათი ამბავი ოთხ კედელს არ უნდა გასცდეს. ანგარიშსწორება მხოლოდ მათი საქმეა, აქამდე იგი მხოლოდ ტიროდა და ევედრებოდა, ახლა მშვიდად ეუბნება: გინდა მომკლა, ჩემო სიცოცხლე?

ბარძაყის ჭრილობა ძალიან განსხვავდება მკერდის ჭრილობისგან და ყასბის გაკეთებულს ჰგავს. კანი ბროწეულისფრად ელავს, მხოლოდ სისხლი აფუჭებს სურათს, ფეხებზე მოედინება, ზეწარს ასველებს და იატაკზე ეწვეთება. ბლანკიტას ხელები ცდილობენ ვიქტორინოს დანიანი მუშტი მოიგდონ. არ მომკლა, ჩემო სიცოცხლე! — იმეორებს ქალი გაფუჭებული პატეფონივით. და უცებ ვიქტორინო ტუჩებით გიშრობს მლაშე ცრემლებს, რადგან მას არავინ და არასდროს შენსავით არ უყვარებია და სწორედ ამიტომ დაკარგა თავი, სხვა მამაკაცთან რომ გნახა, ამიტომ ტკივა შენი ჭრილობა, წუთის წინ თავად რომ მოგაყენა. მაგრამ შენმა სისხლმა ყველაფერი გამოისყიდა, ახლა ვიქტორინო თამბაქოსა და პიტნისსუნიან ტუჩებს გიკოცნის და სულელივით ღრიალებს შენთან ერთად.

კიბის ბოლოს იტალიელი გაშეშებულა სპარაფუჩილეს პოზაში და ხელებგაშლილი უყურებს ვიქტორინოს დანახავაზე, რომელსაც დაჭრილი ქალი მოჰყავს.

— Per la Madonna! Che hai fatto?[1]

---

[1] მადონას გულისთვის! რა ჩაიდინე! (იტალ.).

იტალიელის სახე გემის ქიმზე დამაგრებულ ხის ნიღბად ქცეულა, რომელიც ბლანკიტას წითელი ნაფეხურების დანახვაზე ცოცხლდება.

— Carogna, che non sei altro![2]

ვიქტორინოს ფრთხილად ჩაჰყავს ბლანკიტა კიბეზე და კედელზე აყუდებს. გამვლელები ცერად უყურებენ ქალს, ოღონდ ვერ ხვდებიან, მკვდარია თუ ცოცხალი, მაგრამ პარალიზებული ადამიანი.

ვიქტორინო ხელების ქნევით აჩერებს ტაქსს:

— სასწრაფო დახმარების პუნქტში, მაესტრო! ჩქარა, სისხლის დენა დაეწყო.

მძღოლი ხვდება, რომ ეს სისხლისდენა კი არა, სისხლის გამოდენა უფროა და კბილების ღრჭიალით ეხმარება ვიქტორინოს ქალის უკანა სავარძელზე დასმაში. ცარციეით გაფითრებული ბლანკიტა კვნესასაც ვერ ახერხებს და გაშეშებული ზის. ვიქტორინო მოტოციკლეტისტისგან მიღებულ ფულს უკუჭავს მძღოლს და უმეორებს:

— სასწრაფო დახმარების პუნქტში, მაესტრო! ჩქარა!

მძღოლი ბოროტ მზერას ესვრის ვიქტორინოს და მანქანას ძრავს, ძნელი მისახვედრი არაა, რას ფიქრობს: ეს ქალი მთელ სავარძელს სისხლით დამისვრის, აი, დასვარა კიდეც, პოლიცია გაიგებს და ატყდება დაუსრულებელი დაკითხვები, და პირში წაყენება.. მანქანა მოსახვევს ეფარება. ვიქტორინო ისევ იმ ადგილას დგას გასისხლიანებული შარვლით და თავს მიტოვებული ბებერი ცხენივით გრძნობს. ძალიან მიყვარხარ, ბლანკიტა, ეს რა ჩამადენინე?

— გახსოვს დონ სანტიაგო? — იკითხა ვიქტორინომ მხოლოდ იმიტომ, რომ რამე ეთქვა და აუტანელი მდუმარება დაერღვია. ერთი სული ჰქონდა ფერფლი მოეხვეტა და კრისანტო გუანჩესის მიცვალებულივით გაყინულ თვალებში შეეყარა. ხრამში გამავალი ფანჯრიდან მამლების დილის ფსალმუნი ისმოდა.

— გახსოვს დონ სანტიაგო?

კრისანტო გუანჩესს მშვენივრად ახსოვდა თავაზიანი, უხმო და თავმდაბალი მოხუცი, მაგრამ ეს შეკითხვაც, როგორც ყველა დანარჩენი, უპასუხოდ დასტოვა. ქურდობა რომ დაიწყეს, დონ სანტიაგოს ხშირად აკითხავდნენ ბიჭები. მის სახელოსნოში გრძელი, უსახურავო დერეფნით შეიძლებოდა მოხვედრა, რომლის კედლებზე დაკანგული მილები და ნახმარი საბურავები იყო მიყუდებული, ამის შემდეგ კიდევ ორი კარი უნდა გაგეღო, ჯართის გროვაში გამძვრალიყავი და დონ სანტიაგოს წამოადგებოდი თავზე, რომელიც გალილეური მუყაითობით შრომობდა. ჭაღარა თმა და შუბლზე აწეული სათვალე დონ სანტიაგოს დარბაისელი მოხუცის შეხედულებას აძლევდა. სინამდვილეში იგი ქურდების ხელის დამცლელი იყო. თქვენ ვითომდა შესაკეთებლად მიგყავთ მასთან მოპარული მოტოციკლეტი, დონ სანტიაგო ერთს დახედავს საბურავებს და ამბობს: — ოც ბოლივარს მოგვცემენ! თქვენ ვაჭრობას იწყებთ და ახსენებთ, რომ ეს ახალთახალი „რალეიეა" თუ კარგ ხასიათზეა, დონ სანტიაგო ოდნავ აუწევს ფასს და თქვენც, უკვე ხელდაცლილი მთავარი შესასვლელიდან გამოდიხართ და ამაყად უსტვენთ ბირანკილიოში პოპულარულ სიმღერას „დახეტიალობდა ნიანგი". თქვენ მიერ მოყვანილი მოტოციკლეტი სხვა ფერად იღებება, ნაწილები ეცვლება და ახალი ნომრით

---

[2] მძორი, მეტი რომ არ ვთქვათ (იტალ.).

თავიდან იყიდება ვინ იცის, რა ფასად. ყველა ეს წვრილმანი დონ სანტიაგოს საქმეა, რომელიც თავის გავლენიანი ნაცნობების გამოისობით ერთხელაც არ ჩავარდნილა.

მოტოციკლეტების ქურდობა მეორე ეტაპი იყო. თავიდან ვიქტორინომ წვრილ-წვრილი ქურდბაცაცობით დაიწყო. ეს არც მოწოდება იყო მისი, არც ფული სჭირდებოდა მაინცდამაინც. უბრალოდ, უნდოდა თავისი მეგობრის კრისანტო გუანჩესის ღირსეული პარტნიორი გამხდარიყო.

— ბელიომონტელი ამერიკელი ქალი გახსოვს? — უკანასკნელად სცადა ვიქტორინომ ბედი. ამ ქალის ხსენებაზე კრისანტო გუანჩესი პლანჩარტის ციხეში გატარებულ საშინელ დღეებშიც კი იღიმებოდა. მაგრამ ამჯერად არც გაუღიმია, არც განძრეულა და თვალიც არ მოუცილებია ჭერისთვის, სადაც განთიადის შუქით დაბრმავებული ღამურა ეხლებოდა კედლებს.

ის ისტორია რომ შეემთხვათ ამერიკელ ქალთან, ბიჭებს ველოსიპედის ქურდობისთვის თავი დანებებული ჰქონდათ და ქალების ჩანთების მოპარვაზე იყვნენ გადასულნი. სწორედ დონ სანტიაგომ ალჭურვა ისინი კანონიერი მოტოციკლეტებით, უკანონოდ რომ ეშოვნათ ფული. საჭესთან მჯდარი ვიქტორინო ჩანთიან ქალს ნელა აედევნებოდა უკან, მის ზურგს უკან მჯდარი კრისანტო გუანჩესი მანძილს თვალით ზომავდა და ვეფხვივით ისკუპებდა, ქალი უჩანთოდ რჩებოდა, კრისანტო გუანჩესი კი ათიოდე მეტრს გაირბენდა, მოტოციკლეტს მოახტებოდა და ვიქტორინოც მთელი სისწრაფით გააქროლებდა მანქანას. სასაცილოდ გაშეშებული მსხვერპლის ნახვა მართლაც რომ ერთ რამედ ღირდა.

ის ამერიკელი ქალი ბელიომონტეს ბანკიდან გამოვიდა ისეთი ამაყი სახით, როგორიც მხოლოდ მარტოხელა ქალებს აქვთ, სოლიდური თანხის ჩეკი რომ ეგულებათ ჩანთაში. იგი მაღალი იყო და წითური, ზუსტად ისეთი, ტელევიზორში რომ აჩვენებენ ნიუ-იორკელ მეხანძრეთა სათავეში ან ახალი ორლეანის კარნავალებში. ვიქტორინო ნელა მიჰყვებოდა მას და რიტმულად მოქანავე უკანალის ყურებით ტკბებოდა, რომელიც, მისი აზრით, ნობელის პრემიას თუ არა, საპატიო ლეგიონის ორდენს ნამდვილად იმსახურებდა. მსხვერპლი ალბათ ჩოგბურთის ან რაიმე კაცური სპორტის ჩემპიონი იყო, რადგან კრისანტო გუანჩესმა ვერაფრით გამოგლიჯა ჩანთა ხელიდან და იძულებული გახდა პანღური ამოეცხო ქალისთვის, რომელმაც ჩანთას ხელი გაუშვა და წმინდა ინგლისურ ენაზე აყვირდა Police, Police[1]-ო, თითქოს პიკადილის მოედანზე ყოფილიყოს. პალო გრანდეს რკინიგზის მოსახვევში ბიჭებმა ჩანთა გახსნეს, საიდანაც ჯერ ფულის დამათრობელი სურნელი ამოვარდა, შემდეგ კი მსხვილი შეკვრა გამოჩნდა, თითო ქაღალდი არანაკლებ ხუთასი ბოლივარისა იყო. მაშინ მათ ინგლისური ფლანელის კოსტიუმები შეიძინეს და კაბარეებში დაიწყეს სიარული ოფიცრებთან და ადვოკატებთან ერთად. ერთ ასეთ საღამოს გაიცნო კიდეც ვიქტორინომ ბლანკიტა „სამოთხეში“ (ჯობდა კი არ გაეცნო!). კრისანტო გუანჩესს იქ ერთი ქერა გოგო მოეწონა, რომელმაც მოგვიანებით გონორეით დააჯილდოვა კიდეც.

მაგრამ ახლა სულ სხვა კრისანტო გუანჩესი აგდია ფიცრის ნამტვრევებსა და გამხმარ ფუნებს შორის. სისხლის ძაფი ტუჩებთან ეწყება და სადღაც კეფაში ეკარგება, შიშველ მკერდზე დანით მიყენებული ჭრილობა აჩნია და გაყინულ თვალებს ჭერს არ აცილებს. ეს მიგდებული სახლი არავის არ

---

1 პოლიცია (ინგლ.).

ეკუთვნის, შეყვარებული წყვილებიც კი გვერდს უვლიან მას გველების შიშით. აქ ათასში ერთხელ თუ შემოეხეტებიან მხეცები ან მოხეტიალე ბანდიტები.

ღამე, რომელიც ასე სამარცხვინოდ მთავრდებოდა მათთვის, დიდი ზარზეიმით დაიწყო. ეს იყო მათი პირველი შეიარაღებული ყაჩაღობა: ბიჭების ბანდიტებად კურთხევა. ისინი უკვე გაიცნეს ქალაქში, როგორც ქალების ჩანთების მოხერხებული გამტაცებლები, და ამიტომ არც ერთს არ გაჰკვირვებია, როცა ერთ დღეს, მაღაზიებში უმიზნოდ მოხეტიალეებს, კაიფასი მიუახლოვდა და შესთავაზა — ორი სანდო კაცი მჭირდება საქმისთვის. იკისრებთ?

მათ იკისრეს, მაგრამ პირველმა შეიარაღებულმა თავდასხმამ, რომლისთვისაც მთელი გულმოდგინებით ემზადებოდნენ ბიჭები, იმედიც კი გაუცრუათ. ვიქტორინოს მეხსიერებას ის ღამე მობეზრებული ამერიკული საბრძოლო ფილმივით შემორჩა: ფართო პლანით სახტა-მონიკას ქუჩის შესახვევი. კამერა სამრეწველო საქონლის მაღაზიას უახლოვდება, სადაც ფეხის წვერებზე დამდგარი ულვაშა მეპატრონე ქალუზების დაკეტვას ცდილობს. ახლო პლანით — იარაღმომარჯვებული კაიფასი, მის ზურგს უკან ვიქტორინო და კრისანტო გუანჩესი, რომლებიც სალაროს ასუფთავებენ, შენელებული კადრი — სამი ბანდიტი მაღაზიის პატრონს ურტყამს, კაიფასი მას რევოლვერის ტარით აბრუებს. ბოლო კადრი — ძირს დაგდებული მაღაზიის პატრონი, რომელიც რაღაცის თქმას ცდილობს. ახალი სცენა: მანქანა ღრჭიალით უხვევს მოსახვევში. დაძაბული მუსიკა. ახლო პლანით: საჭესთან მჯდომი კუბელი. კამერა მანქანაში იხედება. საქარე მინიდან გადაღებული გზა. კადრში სხვა მაღაზია ჩანს. ყუთებითა და ბოთლებით სავსე დახლის უკან სამი ბანდიტი ფულის შეკვრას პოულობს. შორი პლანით: ბანდიტები მაღაზიიდან გამოდიან, მაღაზიის გასისხლიანებული მფლობელი იატაკზე აგდია, ფქვილის თეთრი ტომრები წითლად ილებება. მანქანის საჭესთან ისევ კუბელი ზის, ძრავის გრუხუნი მთელ დანარჩენ სცენებს მუსიკასავით სდევს თან. სამი ბანდიტი მანქანისკენ გარბის, კარს აღებენ და შიგ სხდებიან. მანქანა ადგილს წყდება და მესამე მოსახვევში უჩინარდება. შენელებული კადრით: იგივე ქუჩა, იგივე მაღაზია. გამარჯვების მუსიკა... შემდეგ მთელ ეკრანს სისხლი ავსებს. ეს სისხლი ვიქტორინოსაც ესხმება, მაგრამ გატეხილი ლავიწის ძვალი და დაბეჟილი სხეული განძრევის საშუალებას არ აძლევს, კრისანტო გუანჩესს კი არაფრის გახსენება არ უნდა.

კოშმარი მაშინ დაიწყო, როდესაც მანქანა ერთ ხეივანში მიატოვეს და ამ მიგდებულ ქოხში ჩაჰყვნენ კაიფასსა და კუბელს ნადავლის ძმურად გასაყოფად. მოულოდნელად ქოხის წკვარამში ორმა უცნობმა სიფათმა გაიელვა, ისინი არც ვიქტორინოს უნახავს ოდესმე არც კრისანტო გუანჩესს. უცნობები საქმეში არ მონაწილეობდნენ, სამაგიეროდ სამი ბოთლი რომი და სოდის აბები მოიტანეს და ფარნის მკრთალ შუქზე გააზავეს; ვიქტორინომ და კრისანტო გუანჩესმა რომი კი გადაკრეს, უფროსებს ძუძუმწოვრებად რომ არ მოენათლათ, აბებზე კი უარი თქვეს, შეეშინდათ მეგობრების წინ არ წაქცეულიყვნენ და კუთხეში დასხდნენ ნადავლის გაყოფის ცერემონიალის მოლოდინში. რომელიღაცამ ვიქტორინოს საათი ჰკითხა. ორის ნახევარი იქნებაო, იცრუა ბიჭმა. კაიფასი, კუბელი და ორი უცნობი ქოხის მეორე კუთხეში ისხდნენ, პირდაპირ ბოთლიდან სვამდნენ და ბინძური ანეკდოტებით ერთობოდნენ, ოღონდ მოყოლას ბოლოდან იწყებდნენ, და, რომ აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ, ცხენებივით ჰიხვინებდნენ და სხვა საეჭვო ხმებს გამოსცემდნენ. უცებ ოთხივე

დადუმდა და ერთ-ერთმა უცნობმა, რომელსაც ცოფიან ძაღლს ეძახდნენ, დანარჩენებს შესთავაზა:

— მოდით, ამ ლაწირაკებით გავერთოთ!

ვიქტორინომ და კრისანტო გუანჩესმა ჯერ იფიქრეს, ხუმრობენო, მერე სხვებზე ლაპარაკობენო. ისინი ხომ აღარ იყვნენ ლაწირაკები, მამ[illegible]მეში მამაკაცური წვლილი შეიტანეს და ახლა მოთმინებით უცდიდნენ [illegible] წილს. მაგრამ ცოფიანი ძაღლის წინადადებას დანარჩენების წამქეზებლური ხვიხვინი მოჰყვა. ცოფიანი ძაღლი ისედაც ეშმაკის მოციქული იყო, თან რომითა და ნარკოტიკებით გამობრუჟული, და მისი სიტყვები რაღაც განსაკუთრებით ავის მომასწავებლად გაისმა. კაიფასი უკვე მათ უახლოვდებოდა ბარბაცით.

— აბა, ბიჭებო, გაიხადეთ ტანსაცმელი, გავერთოთ ცოტა!

ვიქტორინომ და კრისანტო გუანჩესმა გაიაზრეს, რა საშიშროება ელოდათ, და კატებივით ეცნენ კარს, სადაც ფარნიანი გოლიათი დახვდათ, ბანჯგვლიანი ხარი რომ ერქვა, და ბიჭები ერთი დარტყმით დააბრუნა ქოხის სიღრმეში. ვიქტორინომ ძლივს მოასწრო ჯიბეში დანის მოსინჯვა, რომ კაიფასმა მისი ორივე მაჯა თავის ხელებში მოიმწყვდია. კუბელმა და ცოფიანმა ძაღლმა კრისანტო გუანჩესი გაათრიეს ქოხის მეორე კუთხეში კლაკვნა-გრეხვით. ვიქტორინო კაიფასსა და ბანჯგვლიანი ხარის წინ აღმოჩნდა.

— ჯერ ჩემი მოკვლა მოგიწევთ, ძაღლებო! — რომით გამომტყვრალი კაცები ვერც მიხვდნენ, რომ ვიქტორინომ საშინელი სიმართლე წარმოთქვა, ბიჭს ტანსაცმელი შემოახიეს და მის მცდელობას, დაეკბინა თავდამსხმელები და დასხლტომოდა მათ, ყრუ დარტყმებით პასუხობდნენ, რომელიც ვიქტორინოს სხეულზე ისეთ ხმას გამოსცემდა, როგორც თიხის გუნდები კუბოს თავზე.

— გაჩერდი, ზანგო, მაინც ვერ დაგვისხლტები, — არიგებდა კაიფასი.

ბანჯგვლიანმა ხარმა მისი მარცხენა ხელი დაითრია, ზურგს უკან ამოუტრიალა და ისე ექაჩებოდა, რომ ვიქტორინო თავგატეხილივით აყვირდა:

— ხელი გამიშვი, შობელძაღლო!

— გეუბნები, ვერ დაგვისხლტები-მეთქი, ზანგო, — პასუხობდა კაიფასი. ბანჯგვლიანმა ხარმა ვიქტორინოს ცხვირი და ლავიწის ძვალი გაუტეხა, კაიფასმა კი ანთებული სიგარეტი ჩაუქრო უკანალზე და ღუნდულები ფრჩხილებით დაუკაწრა. ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა, ან იქნებ რამდენიმე საათსაც კი, ვინ იცის! ვიქტორინომ იგრძნო, როგორ გაეჩხირა ყელში ცივი ბურთი. ალბათ ეს იყო სიკვდილი.

— ეი, აქეთ მოდით! — მოესმათ უცებ კუბელის ჩახლეჩილი ხმა.

მხოლოდ მაშინ დაანებეს თავი. კინაღამ არ მომკალით, მე თქვენი... ვერ ამოთქვა ვიქტორინომ. ლავიწის ძვლის ტკივილი გონების დაკარგვის საშუალებას არ აძლევდა. მეორე კუთხიდან კაიფასის დამცინავი ხარხარი ისმოდა.

ისინი გამთენიისას წავიდნენ სლოკინ-სლოკინით. ანთებული ფარანი კი ბოთლების ნამტვრევებს შორის დატოვეს. მისი მკრთალი შუქი ახსენებდა ვიქტორინოს, თუ სად იმყოფებოდა. დაჭრილი და გასისხლიანებული კრისანტო გუანჩესი ბნელ გუბეში იწვა, ცოტა ხნის წინ მისი ჟინება ქოხს ჭერს ხდიდა და ცისკენ მიიწევდა. მან ვერ გაუძლო მხეცურ წამებას, არაადამიანურ ტკივილს. მას ახრჩობდნენ და იგი დანებდა. ახლა იწვა გუბეში, ჭერს არაფრისმთქმელი, მკვდრის თვალებით მისჩერებოდა და არაფერს არ იხსენებდა.

## ვიქტორინო პერალტა

ვიქტორინომ „მაზარეტი" მალვინას სახლს მიაყენა, რომ [illegible] თვალებმა მონათლონ მანქანა. მალვინას ხელისგულები უოფლიანდება სიხარულით. მისთვის სულ ერთია ვირით მოვა ვიქტორინო თუ [illegible]. მთავარია, მოვიდეს. თეთრ კაბაში გამოწყობილი მალვინა დილიდან ელოდება მას, თუმცა ისეთი სახე აქვს, თითქოს ბაღის ყვავილების მორწყვით იყოს გართული. მალვინა მაღალია, თითქმის ვიქტორინოს სიმაღლისა, თვალებქვეშ ბუნებრივი ცისფერი ზოლი გასდევს, თუმცა ეს უკვე აღარ არის მოდაში, და დაფიქრებული იყურება. იგი შეყვარებულია ვიქტორინოზე იმ დღიდან, როცა თხელ სვიტერში გამოწყობილი პირველად შემოუჯდა მოტოციკლეტზე და მის ზურგს მიეკრო ჯერ კიდევ ფორმამიუცემელი მკერდით. იმ დღიდან დასჩემდა მალვინას მენთოლის კარამელის წუწნა და კომიქსების კითხვა. ვიქტორინოს შეუძლია იქცეს სუპერმენად ან პოუპად[1], მანდრეიკად ან ნებისმიერ გმირად. ასაკის მომატებასთან ერთად მალვინას სიყვარულიც იზრდებოდა და აი, მის სინდისზე უკვე ორი წლის საიდუმლო პაემნები და აკრძალული ალერსია. ვიქტორინომ არაერთხელ დააპირა უფრო შორს წასვლა და საქმის ბოლომდე მიყვანა, ათასჯერ შეევედრა, თხოვნის გარეშეც სცადა სურვილის ასრულება, მაგრამ მალვინა კარგად იცნობს ვიქტორინოს და იცის, რომ როგორც კი ბიჭი მას დაეუფლება, მისი სიყვარულიც შენელდება და მალე ისევე აღარ ეყვარება გოგო, როგორც აღარ უყვარს ნივთები, რომლებიც უკვე ეკუთვნის. მალვინამ ეს იცის და ყოველთვის თავშეკავებულია, თუმცა ერთი სული აქვს ნიაღვარასავით გადაიხსნას ბიჭის სხეულქვეშ: ნუ ჯიუტობ, ჩემო სიყვარულო, ვიქტორინო კოცნის, როგორც ალბათ თვით მეფე სოლომონი არ კოცნიდა, ვიქტორინო მას იმ სიტკბოებას სთხოვს, რომელსაც მალვინა ვერ გასცემს. ყველაფერი დანარჩენი სულერთია მალვინასთვის. გაკვეთილები ფრანგულ კოლეჯში (Je vous salue, Marie, pleine de grâce, le Seigneur est avec vous, et caetera),[2] ფორტეპიანო, სენტიმენტალური ვალსები, ოჯახის ორი ორმოცი წლის მეგობარი, რომლებიც უარს არ იტყოდნენ მალვინას შერთვაზე, დედის მიერ შემოწმებული წესიერი რომანების კითხვა ძილის წინ. დღეს ვიქტორინოს დაბადების დღეა და იგი დათქმულ დროს არ მოვიდა. ერთადერთი ბედნიერება ამ გამოყრუებულ ქვეყანაზე — ვიქტორინოს ალერსზე ცახცახით უარის თქმა, შეპირვებული სუნთქვა და თვალების უპეების უფრო ჩამუქებაა.

ვიქტორინო „მაზარეტის" ხეივნის თავში ტოვებს და ზიზილებითა და გვირილებით გარშემორტყმულ მალვინასკენ მიემართება, შემდეგ ორივენი სახლისკენ მიდიან. მალვინამ უკვე გამოთქვა აღტაცება მზეზე მობრჭყვიალე ავტომობილის დანახვაზე. ისინი ფრთხილად უვლიან გვერდს ლიმოჟის ფაიფურს და ხალიჩას მიჰყვებიან, რომელიც ბიბლიოთეკაში იკარგება.

— ლონდონიოებმა არ დამპატიჟეს, — ამბობს ვიქტორინო, კართან ჩერდება და მალვინას გზას უთმობს.

— მაშინ არც მე წავალ, — სწორად გამოიცნო ვიქტორინომ მალვინას პასუხი.

---

[1] ყოჩაღი მეზღვაური.

[2] კათოლიკური ლოცვიდან „ავე მარია" — „ღვთისმშობელო, ქალწულო, გიხაროდეს, მადლიანო მარია, უფალი შენთანაა..." (ფრანგ.)

პერგამენტებით, ალ რაშიდისა და ჰიუგოს ნაწარმოებებით გამოტენილი ბიბლიოთეკა მთელ სახლში ყველაზე მყუდრო და წყნარი ადგილია. [illegible] მოჭიქული თანჯარა დღის სინათლეს ასუსტებს, ამიტომ თუკი ჩაყვით[illegible]ელი ფურცლებისა და წიგნის ყდების გარჩევა გსურს, შუქი უნდა [illegible]. ვიქტორინო და მალვინა სიბნელეს არჩევენ.

ნახევრად ჩაბნელებულ დარბაზს ერთადერთი პორტრეტი [illegible]. ეს დოქტორი ხასინტო პერალტა ერედიაა, მოწოდებით ადვოკატი, რესპუბლიკის ექს-სენატორი, მთავრობისა და მრავალი სააქციო საზოგადოების წევრი, ამ სახლის პატრონი, მალვინას მამა და ვიქტორინოს ბიძა. მისი ბრწყინვალება არც ამ ბნელ ოთახში იკარგება. ფანჯრიდან შემოსული შუქი თითქმის მთელ პორტრეტს ანათებს, სალამოს მოსამსახურე ულტრათანამედროვე ჩარჩოს ანთებს და პორტრეტს ავადმყოფური, მკრთალი სინათლე ეფინება. პორტრეტი კლასიკურ სტილშია შესრულებული, თუმცა გამომსახველობა არ აკლია. ის, რა თქმა უნდა, ცნობილმა ოსტატმა, ალფონსო მეცამეტის კარის მხატვარმა, მშვენიერი ოტეროს[1] პორტრეტის ავტორმა შეასრულა, აბა ვილაც ეროვნული მხატვრის ფუნჯს როგორ ანდობდა ფიზიონომიას დონ ხასინტო ეულოხიო.

პორტრეტი მოგვაგონებს აფორიზმს: „ყოველი გამარჯვება მრავალჯერადი და მიზანდასახული მოქმედების შედეგია", ეს პორტრეტი, თორემ თვით დონ ხასინტო ეულოხიოს, რომელიც ხან მთავრობის სხდომაზე ზის, ხან უთვალავი მეგობრების მიერ ქორწილის ან დაკრძალვის გამო მოწყობილ კოქტეილებზე დარბის და ხანაც ტელეფონით აგვარებს ათას საქმეს, ფილოსოფოსობის დრო სულ არ რჩება.

„ჩემი ბიოგრაფია ნებისა და გონების ჰიდილია,—იუწყება პორტრეტი. — მე ავაგე ეს სასახლე ჩემი ერთადერთი ქალიშვილისთვის, მე არც ქარაფშუტულად გავანიავე მამის მიერ დანატოვები უთვალავი ქონება, ამას ჩემი ძმის, არხიმიროს გასაგონად ვამბობ, და არც ლირიკულ მირაჟებს ვქმნი მისგან, როგორც ჩემი უმცროსი ძმა—ანასტასიო, რომელიც ამ ყურებამდე ვალებში ჩაფლული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე ოცნებობს. ჩემი კაპიტალი, — დონ ხასინტო ეულოხიოს პორტრეტს გულში სწყინს კიდეც, რომ მხატვარმა ტუჩებზე ოდნავშესამჩნევი თვითკმაყოფილი ღიმილი არ გამოუსახა, — ანგლო-ამერიკულ ბანკშია მოთავსებული. კუბის რევოლუციის შემდეგ, ეშმაკმა უწყის, რა მოხდება ამ არეულ ქვეყანაში. ჩემი კაპიტალი 840 807, 83 დოლარს შეადგენს წლიური 8 და 5/8 პროცენტის მოგებით. ეს ანგარიში სწორედ გუშინ მივიღე და ჩემი იუსტინიანეს მახსოვრობის წყალობით ყოველი ციფრი კარგად მახსოვს.

ვიქტორინო და მალვინა სწრაფად უვლიან გვერდს მოსაწყენ ენციკლოპედიებსა და ტყავის სავარძლებს. ახალგაზრდული გაგიჟებული სისხლი მათ ბიბლიოთეკის ბოლოსკენ მიერეკება, სადაც იურიდიული ფოლიანტებით სავსე თარო საიმედოდ დაიფარავთ უცხო თვალისგან. ყურადღება, ქალბატონებო და ბატონებო! თამაში იწყება: მალვინა სახით ვიქტორინოსკენ ბრუნდება და მის შეხებას არ უცდის, თავად ეყრდნობა რომაული კანონმდებლების ნაშრომებით გატენილ თაროს. ბურთი ცენტრშია. მსაჯი წამზომს უყურებს და უსტვენს. ცენტრალური თავდამსხმელი შეტევაზე გადადის.

„დანარჩენი თანხა უძრავ ქონებაში დავაბანდე. — ციცერონის მჭევრმეტ-

[1] იგულისხმება XX ს. დასაწყისის ფრანგი საესტრადო მომღერალი ქალი ლა ბელ ოტერო.

ყველებით აგრძელებს დონ ხასინტო ეულოხიოს პორტრეტი — აქვე აღვნიშნავ, რომ მთელი ჩემი წარმატების, ანუ „სიუზან გალიე"-ს საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ მე ძირისძირობამდე შევისწავლე ამ ქვეყნის [illegible] სწორად, ქვეყნის მმართველების — მუნდირიანი გენერლების, პრაგმატიკოს-პოლიტიკოსების და ნავთობის მეფეთა ფსიქოლოგია. [illegible] in illo tempore — ლატიფუნდისტებიც მართავდნენ ქვეყანას. [illegible] სილ მოხუცებად, ბალზამირებულ მუმიებად ან სებსიდიების გამომძალველებად იქცნენ. დღეს ამა ქვს მოყვა თავში აზრად ადგილობრივ კაკაოს მწარმოებელს შეუამხანაგდეს, თუკი სულ ოოდნავ შეიძლება „სტანდარტ ოილის" მმართველობის წევრთან მოლაპარაკება.)

მუნდირიანი გენერლების ფსიქოლოგია. მათი ძირითადი მიზანსწრაფვა იქითკენ არის მიმართული, რაც შეიძლება მეტად დაგვაშინონ, ე. ი. მათთან შიში უნდა გამოამჟღავნო. პრაგმატიკოს-პოლიტიკოსებს უნდა [illegible] მოაჩვენო, რომ შენც ზუსტად იმდენი კარტი გაქვს ხელში, რამდენიც მათ, ე. ი. სააქციო პაკეტის 40 პროცენტი. ნავთობის მეფეებს არავითარი ფსიქოლოგია არ გააჩნიათ, სამაგიეროდ ლოგიკა აქვთ, რომელიც შენც უნდა გაითავისო".

ვიქტორინო და მალვინა ერთმანეთის ალერსით ტკბებიან. ქალიშვილი თავის ენის ქვეშ ვიქტორინოს გაცილებით უფრო შემოსიამოვნებულ ტკბილ ენას გრძნობს, ბიჭის ცალი ხელი მალვინას მკერდს ეხება (აქ მალვინა თავის პირველ გაურკვეველ და დამთმობ „არა"-ს ამოთქვამს), მეორე ხელი კი გოგოს ზურგზე სრიალებს, წელს ქვემოთ ცურდება და მაგრად იკრავს ქალიშვილს თავის მუცელზე. ვიქტორინო კოცნას წყვეტს და მალვინას ერთიერთგამომრიცხავ ათასგვარ სისულელეს ჩასჩურჩულებს: ჩემი დედოფალო, ჩემი ცუგა, ჩემი ატამი, ჩემი ბუხარი, ჩემი საყვარელო იმა, ჩემი ეშმაკუნა, ჩემი ფრესკა, ჩემი სიყვარულო.

„ამას გარდა, მე გავიწაფე მეტიც საზოგადოებრივი მდგომარეობა და მუდამ ერის შუაგულში ვტრიალებ, — ნოემბრის დილა ნაზად სხივებს უგზავნის დონ ეულოხიოს პორტრეტს. შუქი მიჯრილ ფანჯარაში ტყდება და სუსტდება, — თუმცა ჩემი მოქმედება ვინმეს შეიძლება პასიურობად და აბსტენტიზმადაც კი მოეჩვენოს, რადგან მე არც არასდროს მიბრძოლია და არც ვიბრძოლებ მინისტრის პორტფელისთვის. რამდენი ბრწყინვალე მომავალი; ბრწყინვალე კარიერა შეეწირა იდიოტურ ოცნებებს — მოხვდე „კაბინეტში" გამოჯგიმულს ჩაიკლო ქურაში. საზოგადოდ მოდგმაში, თუ ის ოდნავ მაინც სცემს თავს პატივს, არასდროს დადებს თავის რეპუტაციას სასწორზე და მით უმეტეს არასდროს მიიღებს მთავრობის მიერ შემოთავაზებულ მინისტრის პორტფელს. დაფიქრდით, მეგობრებო, რამდენი ჩვენგან დამოუკიდებელი წინააღმდეგობა, რამდენი გაუთვალისწინებელი გართულება მოსდევს მინისტრობას. გზათა მინისტრის სინდისზე გზაზე დახოცილთა პროცენტებია, რაზედაც პასუხისმგებლობას საშინაო საქმეთა მინისტრიც ინაწილებს. იუსტიციის მინისტრის პატიოსანი სახელი რატომღაც ჩვენი ქვეყნის ოღროჩოღრო გზებზეა დამოკიდებული, რომელთა გამოისობით არ ხერხდება მძარცველთა სწრაფად დაკავშირება რთულდება. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მხრებზე ქვეყანაში ჩვენი მეკრთამე საბაჟოს წყალობით შემოტანილი კონტრაბანდის სიმძიმე აწევს. და თუკი ერთ დღეს მთავრობა დაეცემა და ქვეყნის სათავეში სამხედროები მოექცევიან, როგორც [illegible] ზვავივით მომსკდარ ხალხის მასებს, რომლებიც ფანჯრებიდან გადმოყრიან საგარეო საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთა სამინისტროს ბიბლიოთეკას, მის ჩინურ ფაიფურში მოისაქმებენ და უტრილოს! ტილოებს ფეხით შესდგებიან?! მთავრობის მეგობრად ყოფნა — კი ბატონო! მინისტრად — არასოდეს. ამ დევიზს მივაწერდი ჩემს [illegible], ჩვენს ქვეყანაში გერბები რომ არსებობდეს".

ვიქტორინოს სხეულის რიტმს აყოლილი მალვინა უკიდეგანო [illegible] ზღვის ტალღებზე ნანაობს. იგი ბიჭის ზურგს ჩაფრენია ფრჩხილებით და მტრედივით ღუღუნებს ნაზ სიტყვებს, რომლებზეც ადრე არც უფიქრია, ვიქტორინოს ნავარჯიშები სხეული კი მოუღლელად მოძრაობს: მომეცი ტუჩები, ჩემო საყვარელო! მოკვდი ჩემთან ერთად! ვერაფერს ვხედავ, დავბრმავდი!

და აი, სრულდება (და არც სრულდება, ისინი ხომ ჩაცმულები არიან) ბიძია ხასინტო ეულოხიოს შეურაცხმყოფელი აქტი. მიდი, ვიქტორინო! ფიქრი ნურაფრისა გაქვს, ბიძია ხასინტო საეკლესიო სამართალს ჩაუღრმავდება და ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს ვერაფერს ამჩნევს, თუკი ღმერთს ასე სურს...

ასეთი გასართობი ჯერ არ ჰქონიათ ბიჭებს!

არც მაშინ, როცა საღებავებით აჭრელებული მანქანებით სეირნობისას თან ქუჩის სამი პედერასტი წაიყვანეს, რომლებმაც უკუღმართი სიამოვნების მოლოდინში გამყინავი ხმით შეასრულეს სიმღერა: „გმადლობთ, ჩვენო ჰაილაიფელო[2] დებო, კოლეგებო ჩვენო". და თავიანთი ფარშევანგის კუდები გაშალეს სიმონ ბოლივარის ცენტრის თაღებქვეშ. შუაღამისას ბიჭებმა ისინი № 8 სტადიონზე, ვალიე არიბას კლუბთან მიიყვანეს, მუცლები საღებავით მოუხატეს, ურცხვი უკანალები ქამრით აუჭრელეს და სიცივისა და სიბრაზისგან აკანკალებულები დედიშობილა დაყარეს კლუბთან.

არც მაშინ, როცა თორმეტი ქილა წითელი საღებავი ჩაცალეს წყალსაცავში, საიდანაც ქანთრის მიეწოდება წყალი, და როცა მეორე დღეს ონკანებში წითელი წყალი წამოვიდა,ბიჭებმა ხმები დაყარეს, წყალი ექსტრემისტების მოწამლულიაო, და სამი დღის განმავლობაში ვერავინ ვერ სვამდა, ვერ ბანაობდა და საპირფარეშოშიც კი ვერ ხმარობდა წყალს.

არც მაშინ, როცა გორაკიდან პირდაპირ ტბის სიღრმეში გადაუძახეს დოქტორ ეჩენავუსიას ახალთახალი „როლს როისი" (მეორე დღეს პორტის ამწეს დახმარებით ძლივს ამოათრიეს მანქანა). დოქტორი იმისთვის დაისაჯა, რომ ბიჭებს ლაწირაკები და ბოროტი ვანდალები უწოდა, ბრიჯის პარტიის დროს კი დამნაშავეთა ბანდა და სხვა იდიოტური ეპითეტები არ დაიშურა მათ შესამკობად.

არც მაშინ, როცა მეკობრეებივით დაესხნენ თავს ებრაელ არისტოკრატთა წვეულებას, რომელსაც სინაგოგადან მოწვეული რაბინებიც ესწრებოდნენ. ბიჭებმა სუფრა დაითრიეს, გარეთ გაცვივდნენ და მთელ ქუჩაში მიმოფანტეს ერთმანეთში არეული გამომცხვარი კვერცხები, ქათმის კისრები და ნიგვზის ტორტები.

არც მაშინ, როცა კაზანოვას ქუჩაზე ზანტად მოხეტიალე ერთი ქერად შეღებილი და ერთი შავთმიანი ეკვადორელი ღამის მუშაკები ჩაისვეს მანქანაში. პიკნიკზე ლაპარაკით თავი მოუქონეს, მერე ქალაქგარეთ რომელიღაც მიყრუებული და დაკლაკნილი გზებით ატარეს, აიძულეს ეკალ-ბარდებიან გორაკზე აფორთხებულიყვნენ, შემდეგ საზეიმოდ დაწვეს მათი პროფესიულ ტანსაცმელი

---

[1] ფრანგი მხატვარი — (1883—1955):

[2] ინგლისური სიტყვიდან high life — მაღალი წრის ცხოვრება.

და ფეხსაცმელი, შიშველი გოგოები ბედის ანაბარა მიაგდეს და თან დაუბარეს, აბა თქვენ იცით, ყოჩაღად იყავით, მანდ უამრავი შხამიანი გველი იცისო.

არც მაშინ, როცა ბეხარანოების დიდებულ სახლში ორგია მოაწყვეს. სახლის პატრონები (დედა, მამა და ვაჟები) საბერძნეთში იყვნენ წასულები ანტიკური ხანის ძეგლების დასათვალიერებლად, სახლი კი კარბიდის სანათურების ეპოქაში დაბადებული პორტუგალიელი მოურავის ანაბარა დატოვეს, რომელსაც იმ ღამეს უშფოთველად ეძინა საკუთარ ოთახში. ბიჭებმა მის კარს ბოქლომი დაადეს, სარდაფიდან შამპანურის ბოთლები ამოიტანეს და მოუღხინეს. თან მონა ლიზას და მისი ორი, ასევე ურცხვი მეგობრის სტრიპტიზს უყურებდნენ. გამთენიისას სპარსული ხალიჩების მოხატულობას თავიანთი განავალი დაუმატეს და წავიდნენ.

არც მაშინ, როცა ფრენკ სინატრას კონცერტზე, კინოთეატრ „ალტამირას" ქანდარაზე სტრატეგიული პოზიცია დაიკავეს და როცა მომღერალი „Strangers in the night"[1] თუ რაღაც ამდაგვარ პლაგიატორულ სიმღერას ასრულებდა, რამუნჩომ ჰიპოპოტამის ხმა ამოუშვა, სიგნალზე ესკიელმა და პიბე ლონდონიომ აკრიახებული ქათმები და რაღაც აყროლებული სითხე გადაუშვეს პირდაპირ დარბაზში, რამუნჩო ამ დროს განწირული ხმით გაჰკიოდა: მიწისძვრაა, თავს უშველეთ, ვისაც შეგიძლიათო, ვიქტორინო კი გასასვლელისკენ გაქცეულ თავზარდაცემულ ბრბოს ცეცხლის ჩამქრობის ქაფით უმასპინძლდებოდა.

არც მაშინ, როცა პარკ ელ ხუნკიტოს ბნელ კუთხეში ამერიკული კოლეჯის ორი მოსწავლე გოგონა მოიმწყვდიეს, რომისა და ტეკილას ისეთი ნარევი დაალევინეს, ტრუხილიოელ პოლკოვნიკსაც რომ დაათრობდა, და შემდეგ გული იჯერეს მათთან ბლღარძუნით, თუმცა მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით უკიდურესობამდე არ მისულან.

არც მაშინ, როდესაც გამყიდველ დალილა მონტეკატინიზე იძიეს შური. ეს გოგო ჯერ მათი ბანდის წევრი და უილიამის მეგობარი იყო, ერთ დღეს წმინდანად იქცა, ნაცნობებს ჩამოუარა და გააფრთხილა, წვეულებაზე არ დაეპატიჟებინათ ეს ხულიგანი ბიჭები. ბიჭებმა იგი საკუთარი „ფოლკსვაგენიდან" გამოათრიეს, სატელევიზიო სცენარის მიხედვით ერთ მიგდებულ ქოხში შეათრიეს და დაემუქრნენ: თუ ახლავე შენდობა არ გითხოვია, ძუძუებს დაგაჭრითო. მეტი დამაჯერებლობისთვის ინკვიზიტორი რამუნჩო ბაღის სასხლავ მაკრატელს უქნევდა თვალებთან და გაჰყვიროდა: ყველას ფეხსაცმელი დაგვიკოცნე უილიამის ჩათვლით (თუმცა ის ჩუმად იდგა), თორემ შენი საქმე წასულიაო, და დალილა მონტეკატინიმ საკუთარი ძუძუების გადასარჩენად ზუსტად შეასრულა ბიჭების ბრძანება.

მოკლედ, არც ერთ ზემოთჩამოთვლილ შემთხვევას ისე არ გაუხალისებია ესეკიელ უსტარისის სპორტული სული, — იგი კათოლიკური უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია, მაგრამ სპორტული სული აქვს, — როგორც პრადოს დელ ესტესთან ერთ უკაცურ გზაზე გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო რბოლას.

ამ დღის გახსენებაზე შენ ტკბილი ღიმილი გეფინება სახეზე, ესეკიელ, და ყოველ მოყოლაზე ახალ-ახალ წვრილმანებს უმატებ, რომლებიც ან შენი ფანტაზიის ნაყოფია, ანდა წინა თხრობის დროს გამოგრჩა.

[1] ამერიკული საესტრადო სიმღერა.

— ვიქტორინომ და უილიამმა ლა კასტელიანში ჩიკაგოდან ან პიტსბურგიდან ახალი ჩამოყვანილი კრემისფერი „მუსტანგი“ იშოვეს, — იწყებს ესკიელი, — მრიცხველის მიხედვით ასი კილომეტრიც არ ჰქონდა გავლილი, და სალონშიც ჯერ კიდევ იდგა ახალი ფეხსაცმლის სუნი. მოკლედ, მანქანას ხელს ვერ უპოვიდი.

ეს მანქანა კი არა, მექანიზირებული მთავარანგელოზია, ესკიელ. მხოლოდ ამერიკელებს ძალუძთ ასეთი აეროდინამიკული ელეგანტურობის ლითონში მოქცევა, რომელიც პაოლო უჩელოს ჰედურობას ჩამოჰგავს. ვინ შეიძლება იყოს მისი პატრონი, ესკიელ? ალბათ რომელიმე კოკეტური ქალი, რომელიც ბოდიშს ფრანგულად იხდის, შავ ხელთათმანებს ატარებს და საღამოობით მომაბეზრებელ პანაშვიდებზე დადის. დღეიდან კი აზრი მიეცემა მის ცხოვრებას კარაკასში!

— ჩვენ, ე. ი. მე და პიბე ლონდონიომ წლევანდელი მოდელის „მერსედეს-ბენცი“ მოვიყვანეთ, „მუსტანგივით“ ახალთახალი არ იყო, მაგრამ მაინც არა უშავდა რა, კონდიციონერი, რადიომიმღები „ტელეფუნქენი“ და ფირსაკრავი „ფილიპსი“ თავის ადგილას ჰქონდა. მოკლედ, მანქანა არ დაიწუნებოდა.

მისი მფლობელი ნამდვილად კლასიკური მუსიკის მონა იყო, ესკიელ, და ყოფნიდა საშუალება და მოთმინება საათში 90 კილომეტრი სისწრაფით მიმავალს „ანდანტე“ ესმინა „იუპიტერიდან“. მაინც ვინ უნდა ყოფილიყო მისი მფლობელი, ესკიელ? შეიძლება სახელგანთქმული ექიმი, რომელიც ბრმა ნაწლავის ამოჭრისთვის რვა ათას ბოლივარს იღებს და, ფულს რომ ჯიბეში დაიგულებს ,ცინიკურად ამშვიდებს ადგილობრივი ნარკოზის ქვეშ მოხიხინე პაციენტს: ნუ გეშინიათ, სენიორა, ეს ისეთივე ადვილია, როგორც კბილის ამოღება. ფული ალბათ ჩეჩქივით აქვს! ჩვენ იმ გზაზე გავედით, პრადო დელ ესტესთან რომ უხვევს, იცით ალბათ, პირდაპირ სკვერის შემდეგ, — აგრძელებს ესკიელი, — ვიქტორინო წინ მიჰქროდა „მუსტანგით“, მე „მერსედესით“ მივყვებოდი უკან, ჩვენ შემდეგ კი პურის დამტარებელ მანქანაში მოთავსებული მსაჯები და მაყურებლები მოგვყვებოდნენ.

პურის მანქანას რამუნჩო მართავდა. რომელმა გამოშტერებულმა მეფუნთუშემ ანდო მანქანა რამუნჩოს, ესკიელ?

— შუაღამე იყო და ტრანსპორტი თითქმის არ მოძრაობდა. გორაკზე ასფალტი გათავდა და მშენებარე გზა დაიწყო, იქ მუშებს ფარნები დაეტოვებინათ, რომლებმაც სასტარტო ნათურების მაგივრობა გაგვიწია. პირველი ეტაპი ჩვენ წავაგეთ, რას ვიზამდით, დავნებდით.

მისი დამარცხება შეუძლებელია, ესკიელ! ვიქტორინო თავაწყვეტილი მიაქროლებს „მუსტანგს“. ბრინჯაოსფერი „მერსედესი“ უკან რჩება. უცებ ვიქტორინოს ცხვირწინ გორაკი იზრდება და მანქანაში უილიამის განწირული კივილი ისმის: „დაამუხრუჭე, თორემ დავიმტვრევით!“ მაგრამ მე მაინც გაჯობე, ესკიელ!

— მაშინ, — განაგრძობს ესკიელი, პირველი ეტაპის შესახებ ის გამოგონილი პათოსით ყვებოდა, ახლა კი ამაყად იჭიმება, — მაშინ უდაბნოში გავედით, რათა საბოლოოდ გაგვერკვია, ვინ იყო უძლიერესი.

უდაბნო მათ ხალხით გაჭედილ ავტოდრომად მოეჩვენათ. ავტოდრომი შენ ახსენე, ესკიელ, ისინი მზად იყვნენ გადამწყვეტი, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის, რომელსაც გამარჯვებული მანქანა უნდა გამოევლინა. შენ

გჯეროდა გამარჯვების, ესეკიელ, რწმენას პიბე ლონდონიოს სიტყვებიც გმატებდა ,რომელიც ამტკიცებდა, მართალია, გერმანელებმა გადარჩევის ნიცშეს წესისდის გამოყენებით უამრავი მოხუცი, ქალი და ბავშვი აწამეს საკონცენტრაციო ბანაკებში, მაგრამ ამით გერმანელ მანქანათმშენებლობას არაფერი დააკლებიაო. შენ გჯეროდა ამ სიტყვების, ესეკიელ, მაგრამ არც ის გავიწყდებოდა, რომ შენი მოწინააღმდეგე თვით ვიქტორინო იყო, რომელსაც მეორე საოცარი მანქანის საჭე ჩაებღუჯა ხელებში. მეფე დავითისა და ფიდელ კასტროს გამარჯვება ძირითადად საკუთარი თავის რწმენამ და თავგანწირვამ განაპირობა, ეს თვისებები კი ვიქტორინოს არასოდეს აკლდა, ესეკიელ!

— ჩვენ ერთმანეთის პირისპირ დავდექით, ჩვენ შორის ასე ოციოდე მეტრი იქნებოდა, რამუნჩომ პურის ფურგონიდან სიგნალი მოგვცა და...

ისინი მესამე სიჩქარით მიუახლოვდნენ ერთმანეთს. პირველად შენ დაუძვერი აშკარა შეტაკებას, ესეკიელ, რამდენიმე დიუმით მიაბრუნე მანქანა და სწორადაც მოიქეცი, რადგან ვიქტორინო ვერაფრით ვერ აიცილებდა ავარიას, შენ კი დრო მოიგე. ბოლო წამს საჭე მარჯვნივ გადახარე და „მერსედესის" ბამპერი „მუსტანგის" უკანა ფარებს შეასკდა. უდაბნოს ლითონის პრესის ხმა მოედო. ჩაჩვეთვალა, ესეკიელ!

— მე ვიფიქრე, აუცილებელია მანევრის გამეორება-მეთქი, და ისევ მოვაბრუნე მანქანა.

ბრავო, ესეკიელ! შენი ვირაჟის წყალობით „მუსტანგი" კუთხეში მოემწყვდა. „მერსედესის" მძლავრმა მკერდმა „მუსტანგის" რადიატორი აბოლებულ და ახველებულ აკორდეონად აქცია. თამაში დამთავრდა, ესეკიელ!

— მე ვიფიქრე, ბრძოლა დასრულდა-მეთქი, მაგრამ თქვენ ხომ იცნობთ ვიქტორინოს. პიბე ლონდონიომ მუჯლუგუნი მკრა და მივხვდი, „მუსტანგი" ისევ მოგვსდევდა.

მოტორის ხრიალს უილიამის ანგლოსაქსური ყვირილი ერთვოდა, გეგონებოდა, თვით რედიარდ კიპლინგი ყვირის მტრებით გარშემორტყმულიო. შენ ამაოდ ეცადე დარტყმა აგეცდინა, ესეკიელ, „მერსედესის" ნეკნები ჭრიალით დაიმტვრა და პიბე ლონდონიო პირდაპირ საქარე მინას შეასკდა, ეს ვიქტორინოს (ვიქტორინოს და არა დამარცხებული მანქანის) უკანასკნელი გაბრძოლება იყო, სამუდამოდ დადუმებული „მუსტანგი" შადრევანივით ასხამდა ცხელ წყალს. საჭის მხარეს კარი გაიღო და იქიდან ვიქტორინო გამოვარდა, ამ საქმეში სრულიად უდანაშაულო ჯორჯ ვაშინგტონის ლანძღვა-გინებით. მას უილიამი გამოჰყვა იმავე კარიდან, რადგან მეორე სამუდამოდ ჩაჭედილიყო.

— ჩვენ გვინდოდა „მერსედესის" გამარჯვება უდაბნოსთვის საპატიო წრის დარტყმით აგვენიშნა, მაგრამ ოც მეტრზე ისიც გაჩერდა.

დიახ, ის გაჩერდა უდაბნოში, ესეკიელ, გენერლის ქანდაკებასავით დიდებული, მაგრამ გამოუსადეგარი, პურის ფურგონის მგზავრები ნადავლის დატაცებას შეუდგნენ. შენ, როგორც გამარჯვებულს, „მერსედესის" რადიო გხვდა წილად, პიბე ლონდონიომ ასევე დამსახურებულად რეზინის ორი სათადარიგო სალტე მიითვისა. რამუნჩო ისე მონდომებით შიგნავდა „მერსედესის" მოტორს, თითქოს ქირურგია და ორგანოს გადანერგვის ოპერაცია უნდა გააკეთოსო. სხვა მაყურებლებიც არ დარჩენილან წაგებულები, მხოლოდ წითურ სადისტს არ აულია არაფერი და იმითაც დიდად ისიამოვნა, რომ სამართებლით, დაჭრა სავარძლის ტყავი. ვიქტორინო რაღას აკეთებდა, ესეკიელ?

— ვიქტორინო ოცნებში და სიზმრებში პარტიზანებთან მიაბიჯებდა ქალაქისკენ — [illegible] მაღლა ესკადრონი.

ვიქტორინო არ იყო ჩვეული დაშორებისა და ამას დიდად განიცდიდა.

— ხანჯალს [illegible] ჩავაწვინეთ და ვებრძვით, პოლის მანქანის [illegible]ლიყო, ბოლოს თავი დავანებეთ და იქვე დავტოვეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორინო კერძოზო

შენ მე მიცდი, ამბავი და ძველ სხეულში ქანცილი გიმლის, როგორც [illegible] ცხენი ღილის თეწყების წინ. შენი სახლის კართან მე დავიგიწყებ ჩემს ტანჯვას და [illegible]. ჩემს [illegible] გაზეთივით მოვკეცავ და ლოგინში დავტოვებ [illegible] გრილის დიდას, სადაც ბანკის გეგმა და [illegible] მაქვს მოხიშნული. დროებით უარს ვიტყვი ქაშუკის გიჟურ [illegible] [illegible] ლევავთ პირისაგან მიწისა და [illegible]ფრისგან ახალი სახოგადოება ავაშენო. მე შევძლებ, მგონი, შევძლებ გავნთავისუფლდე ამ [illegible] და დროისათვის შეუფერებელი აზრებისგან, ისეც როგორც [illegible] ტანსაცმლისგან და შენ წინ წარვსდგები, ამპარა. შენ [illegible] ხელით გეცმება, ხელზე ფაფუკი საპნისა და ხიხაზის სურნელი, სახეზე კი ისეთი ღიმილი გექნება...

ვიქტორინო მიდიოდა და [illegible] ლიმონივით გამოეწურა მეხსიერებიდან მოგონებები შენთან ერთად გატარებულ ათას ტკბილ წამზე, ათას ბედნიერებაზე, [illegible] ტყვილისგან რომ წამოიყვანე და ქალი გახდი, ვიქტორინოს საყვარელი ქალი. მეხსიერებაში პირველი დღეების [illegible] [illegible].

...მე გასწავლიდი და თავადაც ვსწავლობდი სიყვარულს. ცნობისმოყვარეობა და ტკბობა წუთ-წუთობით გვეძლეოდა. სადღა იყო პირველი დღეების სიმორცხვე. ერთ გადიოდა და ჩვენც უფრო ღრმად შევდიოდით სიყვარულის [illegible] [illegible], რომლის საიდუმლოებებზე აღარც წარმოდგენაც არ გვქონდა. რადგან [illegible] არც წიგნებით, არც ფილმებით არ ისწავლება, მე შენი სხეულის [illegible] ხალი, ყველა ნაჭრილი ვიცი, ჩემს სხეულზე ერთი გოჯიც არ არის, შენი ხელები და ტუჩები რომ არ შეხებოდეს. შენც ჩემთან ერთად [illegible] შენ თვალებს ვეწაფებოდი, ჩვენ ღმერ[illegible] [illegible] და [illegible] ჩვენი სისხლი [illegible] დუღდა და შეურაცხადი ნეტარებაც [illegible], მეხივით გვატყდებოდა თავზე.

ხანგრძლივი [illegible] შენ უსიტყვოდ წახვალ საწოლისკენ, ამპარო, [illegible] და გახსმებულ ზეწარს ქუფრად და მადისაღმძვრელად [illegible] შენი სხეული. მეთაური ბელარმინო მულატ პოლიციელს განაიარაღებს, რომელიც უბრძოლველად დასთმობს რევოლვერს და [illegible] [illegible] მე ნელ-ნელა გავიხდი, ამპარო, ტანსაცმელს იქვე [illegible] და მთელი ჩემი [illegible] და ინსტინქტი შენ ჰუჰელასთან, მორჩილ [illegible] [illegible] [illegible]. ჩემი სიძლიერის შეგრძნებით რომ [illegible], [illegible] ტუჩებთან და დახუჭულ ქუთუთოებთან [illegible] [illegible] ვალენტინის მკაცრი პროფილი გამოჩნდება, [illegible] მუხლებში ავტომატმოქცეული ქარშინა იქნება. მე უხმოდ, [illegible] მოგეახლოვდები, შენ ვერ გაიგებ, მხოლოდ [illegible] ჩემს [illegible] [illegible] გამომიწვდი ხელებს, შენი

ტუჩები ჩემსას მოძებნიან და ნაზად უკბენენ ჩემს მოჩურჩულე ბაგეებს. მე მას პირდაპირ შუბლზე მივაბჯენ რევოლვერს და დავუყვირებ: ხელები მაღლა! წინააღმდეგობის გაწევა არც იფიქრო! და შეშინებული მოლარეო, უცებ ვხვდები, ამპარა, რომ დღეს ბედნიერებას ვერ მოგანიჭებ, რაც არ უნდა გავაკეთოთ, დროს ფუჭად დავკარგავთ და მეტი არაფერი. ჩემი იარაღიც არ იმუშავებს, დასწყევლოს ღმერთმა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეც ხდება. შენს თითებს არ ძალუძს ჩემი გამოცოცხლება. გაწყენინა ვინმემ? — მეკითხები. შენი სხეული გულგრილობას ნაჩვევი არ არის — რაზე ფიქრობ? ავად ხომ არა ხარ, ჩემო სიცოცხლე? — შენი ტუჩები ჩემსას ეძებენ, ღონივრად მეხვევი ტანზე და მთლიანად ერთ სურვილად ექცევი. მე კი წყურვილს ვერ მოგიკლავ, ამპარა, არ შემიძლია, დასწყევლოს ღმერთმა!

რომელიღაც კეთილმა ანგელოზმა შთაგაგონა ამდგარიყავი და ჩემთვის თავი დაგენებებინა, ამპარა. მე ხმის ამოუღებლად გიყურებ ზურგში. შენ რადიოლასთან ჩერდები და ოთახი მუსიკით ივსება, იმ მუსიკით, მუდამ თან რომ ახლდა ჩვენს ყველაზე სახიფათო თამაშს. «I can't say nothing to you but repeat that love is just four letter word".[1] მღერის ჯოან ბაეზი. დღეს მისი სიმღერა განსაკუთრებით გულახდილია, ლოცვასავით, ნაღვლიანი ელეგიასავით, და უფრო მტკივნეულად მხვდება გულზე. ერთადერთი იმაზე ფიქრი მაწუხარებს, რომ მალე ჩემი ტანჯვა-წამება დასრულდება და რამდენიმე წუთში აქედან შორს ვიქნები, — ეს სიტყვები ჩაქუჩივით მირტყამს თავში. — აქედან შორს ვიქნები!

მაგრამ შენ არ ცხრები. აქამდე შიშველი და დაფიქრებული სიგარეტს ეწეოდი, კვამლში გახვეული, ახლა სიგარეტს მარმარილოს მაგიდაზე აქრობ და შენს ძალაში, საყვარელი ქალის ძალაში დარწმუნებული ჩემსკენ მოდიხარ, მკერდზე ათამაშებული მზის ათინათით. სროლა რომ ატყდეს? სროლა რომ ატყდეს, მაშინ ვინმეს გვამს უნდა გადავაბიჯო, თორემ სხვა გადააბიჯებს ჩემსას, დასწყევლოს ღმერთმა. არაფერი გამოგვივა, ამპარა, ტყუილად გეფერები მკერდზე ხაოიანი ენით, მხოლოდ მტკივა და მეტი არაფერი, ხომ გეუბნები, დღეს შეუძლებელია-მეთქი. შენ: ყოველთვის შესაძლებელიაო, მპასუხობ და ცდას არ აკლებ, რომ გამომაცოცხლო, მაგრამ მალე თვად რწმუნდები, რომ მართლა არაფერი გამოვა.

მაშინ საათს უყურებ, საცაა დედაშენი დაბრუნდება, ის უკვე გამოსულია სამსახურიდან და ავტობუსით სახლისკენ მოიჩქარის, — ჩქარა ჩაიცვი! მე ვიცმევ. მთავარია, აქაურობას გავეცალოდ, დაე, ვიტანჯო და ვიგვემო, ოღონდ აქედან შორს ვიყო. შენ კი ალერსიანად, ღიმილით მამხნევებ; ჩემი სულელი ბიჭი, ხვალ აქვე გიცდი, ამავე დროს, გესმის? სროლა რომ ატყდეს, ამპარა?

(დღეს, როცა გამგელებულ ხალხს უყურებ, ძნელი წარმოსადგენია, რომ არსებობდა ისეთი იდილიური ეპოქა, სადაც მშვიდობა და თანხმობა nemine discrepante სუფევდა. ვიცი, სკეპტიკოსო მკითხველო, არ გჯერა ჩემი, მაგრამ ახლავე აგიხსნი: ერთ დღეს ჩვენ მივხვდით, რომ ყელში ამოგვივიდა დიქტატორი, რომელმაც თავი ნაპოლეონად წარმოიდგინა და ისეთი სიამოვნებით სჩადიოდა ერთმანეთზე შემზარავ დანაშაულებს, რომ, ჩვენდა სამარცხვინოდ,

[1] მე ვერაფერს გეტყვი, მაგრამ გავიმეორებ, რომ სიტყვა სიყვარული (love) ოთხი ასოსგან შედგება (ინგლ.).

პატარა ბავშვებივით დაგვაშინა. მაგრამ გავიდა დრო და, როცა ის ყველაზე ნაკლებად ელოდა, ცხვრის ფარა კრაზანას ბუდედ იქცა, tandem[1] უნდა ვითმინოთ ეს პატივმოყვარე კასრი,—ვიკითხეთ ჩვენ და მე ის ჩამოვაგდე, შენ ის ჩამოაგდე, მან ის ჩამოაგდო, ჩვენ ის ჩამოვაგდეთ, თქვენ ის ჩამოაგდეთ, მათ ის ჩამოაგდეს და უკვე გამოფხიზლებულებს ფუენტეოვეხუნას ეიფორია დაგვეუფლა და ვხარობდით, როგორც ველური აფრიკელები ისრებით დაცხრილულ [illegible] მის გვამთან, ბატონი ათეისტი ხელკავით სეირნობდა ბატონ ეპისკოპოსთან, ბატონი ეპისკოპოსი კი შოკოლადით უმასპინძლდებოდა ბატონ ათეისტს (მიირთვით, გეთაყვა, ერთი ლამბაქი შოკოლადი, ძალიან გთხოვთ), მეგობარი კაპიტალისტი მეგობარ მუშას მეგობრულად უთათუნებდა ხელს გაოფლილ ზურგზე, მეგობარი მუშა კი მეგობრულ დალოცვას სთხოვდა მეგობარ კაპიტალისტს, ამხანაგი ახალგაზრდა ქუდს იხრიდა ამხანაგი უხუცესის გამოცდილების წინაშე, ამხანაგი უხუცესი კი დითირამბებს უმღერდა ამხანაგ ახალგაზრდას, ჯარისკაცები, ქუჩის ქალების გასაოცრად, პირდაპირ გაზონებიდან გლეჯდნენ ყვავილებს, გლეხების შვილები ბანკებში სეირნობდნენ და არახისის ნაჭუჭებს ესროდნენ ცხაურს იქით ჩამწყვდეულ ბანკის მმართველებს, რომლებიც მხიარულად უკრავდნენ თვალს ბავშვებს, უკეთილშობილესი მადამ Liberté[2] დარდიმანდი, ლოთ ქალმერთად იქცა, სასურველ მადამ Egalité[3]-საც უფროსი დის ბედი ეწია. სანთელი მხოლოდ მესამე დის ფეხებთან, კონკიადყოფილ მადამ Fraternité[4]-სთან იგივე სენიორა Unità[5]-სთან, იგივე მის Concord[6]-თან, იგივე ფროილაინ Einigkeit[7]-თან ენთო; ნოსტალგიამორეული გაქცეული დიქტატორი[8] კი მაიამი-ბიჩის ბარში იჯდა, Tom Collins[9]-ს სვამდა და ერთად აწყობდა დოლარებს, რომლებიც შვეიცარული ფრანკების გადახურდავებით მიიღო თავისი ბანკირებისაგან. მაგიდაზე 120 მილიონი დოლარი ეწყო და კმაყოფილი დიქტატორი მუჭში ქირქილებდა, როგორც უსამართლოდ დავიწყებული ესპანელი პოეტის ემილიო კარერეს დამცინავი ქო.

დიდი ხნის განშორების შემდეგ ისევ ერთად ვისხედით ჩვენ სამნი და სოფლური წვნიანისა და ახალგამომცხვარი პურის სურნელით ვტკბებოდით. მამაჩემი, ხუან რამირო პერდომო ის-ის იყო რომელიღაც შორეული ციხიდან დაბრუნდა საზოგადოებრივი შარავანდედით გარემოცული, რისკენაც არასდროს ილტვოდა. გაზეთები წერდნენ მის სტოიკურ ამტანობაზე და ღირსეულ თავდაჭერაზე დამამცირებელი დაკითხვებისას, გადატანილ შიმშილსა და წყურვილზე, საშინელ ტანჯვა-წამებაზე (ალესილ ლითონებზე ფეხშიშველა ატარებდნენ, რომ გაეტეხათ, ის კი ეშმაკებში გზავნიდა ყველას), სიუდად-ბოლივარის ციხეში ის ბოსტნეულს არიგებდა და პატიმრებს გრამატიკას, ის-

---

1 tandem (ლათ.) — სანამდე. ციცერონის პირველი გამოსვლის დასაწყისი კატილინას წინააღმდეგ: „სანამდე გამოიყენებ ბოროტად ჩვენს მოთმინებას"...

2 თავისუფლება (ფრანგ.).

3 თანასწორობა (ფრანგ.).

4 ძმობა (ფრანგ.).

5 ერთიანობა (იტალ.).

6 თანხმობა (ინგლ.).

7 ერთიანობა (გერმ.).

8 იგულისხმება ვენესუელის დიქტატორი მ. პერეს ხიმენესი, რომელიც 1958 წ. ჩამოაგდეს.

9 კოქტეილის წვენით.

ტორიისა და გეოგრაფიის ასწავლიდა. ახლა, როცა ყველაფერი უკან დარჩა, მისი მეგობრები მოდიოდნენ მოსალოცად, ისინი ამაყობდნენ მამით და ეუბნებოდნენ — შენ ნამდვილი კომუნისტი ხარო. ეს იყო ერთადერთი შექება, რომელიც მამას სიამოვნებას ანიჭებდა.

მამაჩემი ხუან რამირო პერდომო არ ამაყობს იმით, რომ ამდენ ხანს იჯდა ციხეში. ეს დიდ გმირობად არც მიაჩნია და ამბობს, ნებისმიერ ჩემს ამხანაგს შეეძლო იგივე გადაეტანაო. მე კი მეკითხებიან თუ არა, ყველას ვეუბნები, რომ ხუან რამირო პერდომო მამაჩემია. ახლა ის დედასა და ჩემ შორის ზის, დედის მიერ ბოსტნეულისა და სიყვარულისგან მომზადებულ წვნიანს სინჯავს და მოუთმენლად გვეუბნება: — მომიყევით, ყველაფერი მომიყევით.

მამაჩემი ისეთ ციხეში იჯდა გარედან ინფორმაცია კი არა, ძაღლის ყეფა არ შემოდიოდა, ამიტომ აინტერესებს, რა მოხდა ამ ხანებში, როდის და როგორ გაუშვეს საბჭოთა კავშირიდან პირველი თანამგზავრი, რა ითქვა მეოცე ყრილობაზე. დედაც ყვება მასწავლებლის დაბალი, თანაბარი ხმით, ზოგჯერ მე მითმობს სიტყვას:

— ამ საქმეში ვიქტორინო ჩემზე უკეთ ერკვევა.

მეც ვყვები, როგორ ჩამოვაგდე, როგორ ჩამოაგდე, როგორ ჩამოაგდო, როგორ ჩამოვაგდეთ, როგორ ჩამოაგდეთ, როგორ ჩამოაგდეს დიქტატორი. მამა ვერც კი ხვდება, რომ თავის საკანში ის უფრო აქტიურად მონაწილეობდა ტირანის დამხობაში, ვიდრე ჩვენ—თავისუფალი ხალხი. ეს თქვენ ჩამოაგდეთ დიქტატორი, პატიმრებო, მე კი, — სოციოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტ ვიქტორინო პერდომოს, პოლიციის ტყვიამფრქვევებს ქვაფენილიდან ამოყრილ ქვებს რომ ვესროდი, წვრილბურჟუაზიული მიზნები მამოძრავებდა — გამეთავისუფლებინა ჩემი ტუსაღი და ღირსეული ვყოფილიყავი ამ ტუსაღისა, ეს არის და ეს.

— რომანტიკის გარეშე, ვიქტორინო, — მეუბნება მამა, — სჯობს ამიხსნა, როგორ მოახერხეს ჩვენმა დაქსაქსულმა პროფკავშირებმა ამხელა გაფიცვის ორგანიზება, ვინ გააერთიანა ინტელიგენცია, როდის და რაში გამოიხატა მეზღვაურების სოლიდარობა, საიდან მოიტანა ხალხმა იარაღი.

მე და დედა ერთმანეთს არ ვაცლიდით პასუხის გაცემას. დედა ბედნიერების განსახიერებად ქცეულიყო. მან თავისი მწუხარება ქუჩაში დაწვა დიქტატორის სურათთან ერთად და ახლა გაზაფხულზე აფეთქებული ატმის ხესავით იდგა. მე არც მეგონა, რომ მისი სუსტი მხრები მოულოდნელად თავს დამტყდარ ამხელა ბედნიერებას გაუძლებენ. ის კი უფრო გალამაზდა და გაახალგაზრდავდა. უცებ წამოხტებოდა ხოლმე სკამიდან და უკან მიკაელას თანხლებით ბრუნდებოდა, რომელსაც ლანგრით სწორედ ისეთი კატლეტი მოჰქონდა, მე რომ ვნატრობდი ლიცეუმში. მამას უხერხულ ხუმრობებზე დედა სიხარულით და ბედნიერებით სავსე სიცილით იცინოდა და მე მეგონა, რომ მისი სიხარულის შიგნით ანთებული სანთელი იწვოდა. ის ალერსით და მაინც სინანულით ეფერებოდა მამას თმაზე, თითქოს მისი დაკარგვის ეშინიაო, და სიყვარულით ისე მიჩეჩავდა მეც თმას, თითქოს ჩემი დაკარგვისაც ეშინიაო. დედა ტიროდა.

## ვიქტორინო პერესი

მადლობა ღმერთს, ვიქტორინოს მშობლიური, მრავალბინიანი სახლი (დედილო ისევ იქ ცხოვრობს და ლეღვზელების ცხობით ირჩენს თავს), „[illegible]ნიას-გან“ არც ისე შორს დგას. ვიქტორინო იქითკენ მიემართება, ფეხი აუჩქარებლად სტკივა და გინებ-გინებით, ნაცემი ძაღლივით მიუყვება ლობეებსა და კედლებს. სახლამდე ორასიოდე მეტრი რჩება. ვიქტორინომ შესანიშნავად [illegible] გზებით უნდა იაროს, არასასურველი შეხვედრების თავიდან ასაცილებლად. ის კუთხეში უხვევს და გრძელ უჭიშკრო ღობეს მიჰყვება, რომელიც მანქანების თუ რაღაც დეტალების საწყობებს აკრავს გარს, გზაჯვარედინზე უკან იტოვებს დაკეტილ დუქნებს, მხრებში თავჩარგული უვლის გვერდს ნაცნობების ფანჯრებს და სამშვიდობოზე გასული მრავალბინიანი სახლის შესასვლელში უჩინარდება. სახლს ჯერ არ გაუღვიძია. ვიქტორინო კრეტონის ფარდას სწევს და, თითქოს ის-ისაა სკოლიდან დაბრუნდაო, დედილოსთან შედის, რომელიც აშიშხინებულ ტაფას დასტრიალებს თავს.

— ტანსაცმლის გამოცვლა მინდა, — ბავშვური წუწუნა ხმით ეუბნება ვიქტორინო (ასე მხოლოდ დედილოსთან შეიძლება ლაპარაკი).

დედილო არაფერს ეკითხება, ტანს უსინჯავს, დაჭრილი ხომ არ არისო, და. რომ ხვდება, სხვისი სისხლიაო, მშვიდდება. უკვე დამშვიდებული ხელებს იბანს და საწოლთან მდგარ სკივრთან მიდის. ვიქტორინო სისხლიან ტანსაცმელს იხდის, დედა კი ხაკისფერ შარვალსა და ცისფერ პერანგს აძლევს. ვიქტორინომ არ იცის და არც აინტერესებს, ვისია ტანსაცმელი, რომელიც ცოტა დიდი აქვს. დედილო ჩუმად ტირის და ვიქტორინოც ისეთ სახეს იღებს,ვითომ ვერ ამჩნევს მის ცრემლებს. დედილო ნამცხვარ „ქვაქერის“ კოლოფში შავი დღისთვის გადამალულ ფულს, მთელ თხუთმეტ ბოლივარს იღებს და ვიქტორინოს აძლევს. ორივემ კარგად იცის, რომ ვიქტორინოს შინ დიდხანს დარჩენა არ შეიძლება, ყველაზე ადრე სწორედ აქ მოვლენ პოლიციელები. მათ უკვე რამდენიმეჯერ ინახულეს დედილო, როცა ვიქტორინომ იტალიელი მოკლა (არ შეიძლებოდა რომ არ მოეკლა).

ვიქტორინო სასწრაფოდ იცმევს ტანსაცმელს, ფულს ჯიბეში ინახავს და დედილოს ემშვიდობება.

— ღმერთი გფარავდეს, შვილო, — მთელი ამ ხნის მანძილზე პირველად აღებს პირს დედილო.

ქუჩაში ვიქტორინო ტაქსს აჩერებს და კამაჩიტოს მიცემულ ერთ-ერთ მისამართს ეუბნება. პრო პატრიას რაიონში უკვე ჩვეულებრივი დილის ცხოვრებაა დაწყებული და მზე ფორთოხლისფერ სხივებს აფრქვევს მოედნის ხეებს. ვიღაც ფერმკრთალი, ყვითელკაბიანი გოგონა ქუჩაში ზის სახლის კარის წინ და საკუთარ თავთან ლაპარაკით ერთობა. კამაჩიტოს მიერ მიცემულ მისამართზე რკინა-კავეულის მაღაზია თუ ატელიე უნდა იყოს, რომელსაც რატომღაც შუშის ვიტრინების ნაცვლად ხის დარაბები აქვს. დახლთან გაურკვეველი ასაკის, ცხვირზე ანტიკვარულ პენსნეწამოცმული სუბიექტი ზის და ყურადღებით უსმენს რადიოს, რომელიც უკანასკნელ ცნობებს გადმოსცემს: ...დღეს გამთენიისას ლა პლანტას ციხიდან გაიქცა საზოგადოების № 1 მტერი, ვიქტორინო პერესი... არ გაუშვათ ხელიდან შანსი, შეიძინეთ ორიენტეს ლატარეა...

ვიქტორინომ იცის, რომ შუადღემდე რადიოში გალანძღავენ, რასაც რა-

დიო დააკლებს, საღამოს გაზეთები აუნაზღაურებენ, ხვალ კი დილის გაზეთის ბოლო გვერდზე მოათავსებენ მის სურათს.

ვიქტორინო სუბიექტს უახლოვდება და ეუბნება: კამაჩიტოსგან ვარო, შეშინებული მოხუცი მაშინვე ცნობს ვიქტორინოს. მის შიშს რადიო აძლიერებს:. ...გაქცეული შეიარაღებულია... პეპსი-კოლა ალამაზებს ცხოვრებას... მოხუცი დახლს ეკვრის და შიშით კბილს კბილზე აცემინებს, მთელ ძალას იკრეფს და კოლუმბიური თუ სოფლური აქცენტით უკანა ოთახში მოფუსფუსე ასისტენტს უხმობს: — ხუდას ტადეო!

ხუდას ტადეო დაახლოებით მეექვსე დაძახების შემდეგ გამოდის, ამასობაში მოხუცი ფეტრის ქუდს იხურავს, რომელიც მას ქვრივის შეხედულებას აძლევს და იბარებს: ათ წუთში დავბრუნდებით.

ვიქტორინოს არ ეშინია, რომ მოხუცი გასცემს. ამით ის უპირველეს ყოვლისა საკუთარ თავს ჩაიგდებს საფრთხეში და იძულებული გახდება ათას არასასიამოვნო კითხვას უპასუხოს: მაგალითად საიდან იცნობს კამაჩიტოს და ა. შ. რადიო ისევ მის გაქცევაზე ყვება. სადილობამდე ბარე ორმოცჯერ გაიმეორებენ ამ ცნობას. ხუდას ტადეო გონებაჩლუნგი ინდიელია და რადიოს მოსმენას დახლზე ბუზების ხოცვა ურჩევნია თითით. ვიქტორინო სკამზე ჯდება, რომელიც არავის შეუთავაზებია მისთვის. ხუდას ტადეო უყურებს მას და შეთქმულივით უღიმის, სინამდვილეში არაფერი არ იცის, ის იდიოტია და ღიმილიც იდიოტური აქვს. ამ დუქანში არც საქონელი ჩანს, არც მყიდველი. ნახევარ საათში მოხუცი ბრუნდება, წავედითო, ეუბნება ვიქტორინოს და ისევ გარეთ გადის. ვიქტორინო კოჭლობითა და გინებ-გინებით მისდევს უკან.

შეშინებული მოხუცი რომელიღაც კარზე აკაკუნებს. კარს ტიპიური მეძავი აღებს და მომსვლელებს სასტუმრო ოთახისკენ მიუძღვება, სადაც ორი ქალი მისვენებულა ტახტზე. მთელი ავეჯი ჭაობისფერ-მწვანეა, კედელზე ორი სურათი ჰკიდია, ერთზე საბრძოლო პოზაში გაშეშებული ზანგი მოკრივე ჩანს, მეორეზე — იესოს გული, ვიქტორინო ერთ-ერთ გამომწვევად მწვანე სავარძელში ეშვება. ქალები გამომცდელად შეცქერიან. ერთ მათგანს ცალ თვალზე ქვერცხისხელა ჯიბლიბო აქვს, მეორე უკბილოა. ვიქტორინო აცხადებს, რომ საშინლად სტკივა ფეხი, და ამით დანარჩენებს იწვევს სალაპარაკოდ. უკბილო სთავაზობს, ფეხსაცმელი და წინდა გაიხადე, მასაჟს გაგიკეთებო. მეძავს გულისამაჩუყებელი მონდომებით მოაქვს ყუთი და მტკივან ფეხს უდგამს ქვეშ. მასაჟისტი ფეხს ეჭიდება და ისეთი ძალით ქაჩავს, ვიქტორინოს თვალებიდან ნაპერწკლები სცვივა. უკბილო პიერო გრიმასებით ამშვიდებს ვიქტორინოს, ის კი კართან მოწრიალე შეშინებულ მოხუცს იხმობს თითით და ავალებს, კრისანტო გუანჩესი მოძებნოს ამა და ამ ადგილას. მოხუცს იმედის ნაპერწკალი უჩნდება, რომ დაუპატიჟებელი სტუმრისგან განთავისუფლდება, და სიხარულს ვერ ფარავს. მისი გასვლის შემდეგ ოთხივე უკეთ გრძნობს თავს. ქალს სურნელოვანი რძიანი ყავა და ნამცხვარი მოაქვს. უკბილო იკრიჭება და სახეზე ღიმილის პაროდია ეხატება, თვალგასიებულიც შესაძლებლობის ფარგლებში ცდილობს ვიქტორინოსადმი პროფესიული ალტაცების გამოხატვას, მეორე ოთახში გადის და ფუმფულა ბალიშით ბრუნდება, რომელზეც ვიქტორინო მტკივან ფეხს ასვენებს. უკბილო მარიხუანას ორ პაპიროსს იღებს და ვიქტორინოს სთავაზობს, ვიქტორინო თავის წილს იღებს.

ახლა გაეცნობით ვიქტორინო პერესის პირველ საოცარ ჰალუცინაციას, ალ-

წერილს რომანისტის მიერ, რომელიც მარიხუანას cannabis sativa-ს უწოდებს და არა ხუანიტას. მაჩიჩეს, მაფაფას, მალანგას, მარაბუნტას, მარანიას, მარია ჯოვანის, მარია ლაოს, მარიანჟას, მარილიონს, მერი უორნერს, ბეპელას, პეპის, კატაპულტას, როზალიას, როზა მარიას, ხოხმას და წამალს. ფიახ, მარიხუანას ის cannabis sativa-ს უწოდებს, ხანდახან კაიფს და, უფრო ლიტერატურულად — ჰაშიშს. ხოლო თუ როგორ მოქმედებს ის ადამიანზე თეორიულად შშვენივრად იცის (მომწამლავ ნივთიერებებზე დაწერილ ბროშურაში ამოიკითხა).

რაკეტა-ვიქტორინო ნარნარად წყდება დედამიწა-ვიქტორინოს და უზომოდ იწელება, რადგან ნაწილი ვიქტორინო სავარძელში ზის, ნაწილი კი ჰაერში მიფრინავს. მის მარჯვენა ხელის მტევანს სავარძლის მარჯვენა სახელური ჩაუბღუჯავს. ის არ მოგზაურობს და არც აინტერესებს როდის დაბრუნდება დანარჩენი ვიქტორინო. თავი კი (რომელიც ბენედიქტელი მამის, ფრანსუა რაბლესი არ იყოს, კაცობის უძველესი და უკეთილშობილესი სიმბოლოს შემდეგ სხეულის უმთავრესი ნაწილია) ველოსიპედის გაბერილი კამერასავით იზრდება ოთახთან და საერთოდ გარემომცველ სამყაროსთან ერთად, აი, ის უკვე სასწაულებრივ სამყაროშია, სადაც homo sapiens-ის ხსენება არ არის და პეიზაჟების ნაცვლად უწესრიგოდ გადლაბნილი ფერები, ხაზები, სივრცე, დრო, მატერია, მოძრაობა, სიმშვიდე. ერთმანეთს შერწყმია ნარკოტიკულ კინეტიზმად, ძვირფასო სოტო.[1] იესოს გული კი ამ ბინძურ დაწესებულებაშიც ინარჩუნებს ბუნებრივ შარავანდედს, ატმოსფეროს შუშისებურ ბრწყინვალებაში ითქვიფება, ზეცად მაღლდება და ა. შ. და ა. შ.

ვიქტორინო ახლა ციხიდან გამოქცეული ზანგი კი არა, მფრინავი აპარატია (გამონაკლისს მისი მარჯვენა ხელის მტევანი შეადგენს, რომელიც სავარძელში დარჩენილა დედამიწისადმი ერთგულების სიმბოლოდ). მოტორიზებული თავი სულ არ უშლის ხელს მკაფიოდ აზროვნებაში. სინგური, ოპალი, მარგალიტი (მთელი თავისი ძაღლური ცხოვრების მანძილზე ვიქტორინოს მსგავსი სიტყვები არც გაუგია, ფერებს კი ნათლად ხედავს და იასამნისფერ—კარმინისებრი სხივების გამაში იძირება). სპირალი, პარაბოლა, ელიპსი, დიამეტრი, გარშემოწერილობა (საიდან უნდა იცოდეს, ვიქტორინომ, რომელსაც თითქმის არ უვლია სკოლაში, იმ ხაზის სახელი, რომელზეც მიფრინავს). უცებ ეს ყველაფერი ქრება და ვიქტორინო ქვევით ეშვება. ვინ ოხერია, კოჰი რომ სტკივა? არა, ეს ვიქტორინო არ უნდა იყოს, რადგან იგი უტკბილესი ბანგის ქვეშაა. გული სიამით ეწურება და საიდანღაც სისხლის მოძრაობის ტაქტს აყოლილი უაზრო სიმღერა ესმის:

„მე ვიცი, რომ რძე და ბრინჯი გიყვარს,
შენი სახლის კართან ვიწყებ ცეკვას".

ვიღაცას ისევ ტკივა კოჰი. სტუმართმოყვარე მეძავი, რომელსაც გაზელს ეძახიან მსუბუქი ყოფაქცევის კი არა, მოულოდნელი ცელქი გამოხტომების გამო, საგანგებოდ ვიქტორინოსთვის შიშვლდება და ხელებაწეული კარში იკლაკნება. მისი თმით დაფარული სამი ბუდე გამომწვევ სამკუთხედს ხატავს. ღია ვარდისფერი ლიფი აშკარა დისჰარმონიას ქმნის ზეთის ხილისფერ სხეულზე. მალე ისიც იატაკზე ეცემა, ვიქტორინოს აუტანელი სურვილი ეუფლება და

[1] ხესუს სოტო — ვენესუელელი მხატვარი-აბსტრაქციონისტი, მოძრავი კომპოზიციების შემქმნელი.

საცაა იმ ორის დაუკითხავად მივარდეს კიდეც ქალს, მაგრამ საბრალო ბლანკიტას გამოცხადება ყველაფერს ცვლის. იწყება საოპერაციო ბალეტის პირველი განყოფილება. ერთი ნიღაბი ცეკვა-ცეკვით უახლოვდება საოპერაციო მაგიდაზე გაწოლილ ბლანკიტას და ჭრილობას უსუფთავებს ფიზიოლოგიური ხსნარით. მეორე ნემსით და ძაფით ხელში ჭრილობის კერვას იწყებს, მესამე ტეტანუსის საწინააღმდეგო ნემსს უკეთებს და ბოლოს სამივენი ერთად ტრიუმფით სტოვებს ოთახს. ჰოპ-ლა!

პრო-პატრიასგან ორი კილომეტრის დაშორებით ყველაფერი ზუსტად ისე ხდება, როგორც ვიქტორინოს ზმანებაში. ეს საეჭვოდ ზუსტი ტელეპათია აიძულებს ბიჭს დედამიწას დაუბრუნდეს. პრიზმა შემადგენელ ნაწილებად იშლება და რამდენიმე წამში სპირალად ეხვევა ვიქტორინოს ტვინს. სხეული ისევ პატრონის საკუთრება ხდება, იესოს გული მორჩილად უბრუნდება კედელს, გაზელი, რომელსაც გაშიშვლება არც უფიქრია, მხიარულად უკრავს თვალს ვიქტორინოს. მარიხუანა აღარ დარჩა?

### ვიქტორინო პერესის მეორე ჰალუცინაცია

თვალგასიებული ჯიბიდან ასანთის კოლოფში დამალულ მარიხუანას იღებს, თვითონ ახვევს ნარკოტიკს, უკიდებს და ვიქტორინოს აწვდის. ამჯერად დაუკითხავად გამოცხადებული ძველი მოგონებები ეჯარებიან ვიქტორინოს. ზოგიერთი ისტორიის, მაგალითად, იტალიელის მკვლელობის (მისი არმოკვლა არ შეიძლებოდა) გახსენებაც არ უნდა, თითქოს შესძლო კიდეც თავიდან ამოეგდო ამ დღის არასასიამოვნო წვრილმანები მაინც და, მიუხედავად ამისა, თეთრ კედელზე ამ დღის დემონსტრირება იწყება შენელებული კადრებით. აი, ის ქუჩაც.

პარასკევი. საღამოს ექვსი საათი. წინა ღამით ვიქტორინო სპორტის სასახლეში სვამდა და ბლანკიტასთან ცეკვავდა. ბლანკიტას შავი ნახევარნიღაბი ეკეთა და ნიკაპზე ხელოვნური ხალი მიეკრო. ბოთლი „თეთრი ცხენი“, ყინულითა და სოდით, მთელი ას ოცი ბოლივარი დაუჯდათ და მეორე დილით ჯიბეცარიელებმა რომ გაიღვიძეს, ვიქტორინომ გადაწყვიტა ვინმე გაეძარცვა და ცოტა ფული ეშოვა. კრისანტო გუანჩესმა უარი უთხრა გაყოლაზე მას საერთოდ არ უყვარს დღის სინათლეზე მუშაობა, მით უმეტეს ნაბახუსევზე. კრისანტო გუანჩესმა იცის რას აკეთებს.

ვიქტორინომ ადრე შეგულებული ატელიესკენ გასწია, რომელიც კარაკასის იმ მიყრუებულ უბანში მდებარეობდა, სადაც სკოლიდან გამოპარული პატარა ვიქტორინო ბეისბოლს თამაშობდა ხოლმე. ამ უბანს ის საკუთარი ხუთი თითივით იცნობს და იცის, სად წავიდეს გაქცევის შემთხვევაში. ატელიედან ოც მეტრზე კუთხეში უნდა შეუხვიოს. იქ, მანქანების სადგომს უკან ხრამი იწყება, ხრამიდან ერთი ბილიკი საცხოვრებელ მასივებში ადის. იქ კი, კიბეებისა და სადარბაზოების ლაბირინთებიდან თავის დაღწევა მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. თვით დიკ ტრეისიც ვერ იპოვის მის კვალს, არამცთუ ის სირისტიანი გამომძიებელი, სატელევიზიო ფილმში რომ აჩვენეს.

თეორიულად კი ყველაფერი გაითვალისწინა ვიქტორინომ, მაგრამ როცა ვიტრინასთან გაჩერდა და მარაკაიდან ჩამოტანილი ინგლისური ქიშმირის მატერიის თვალიერება დაიწყო, უხილავი ყინულის თითების გულისკოვზთან შეხებამ მიახვედრა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ვიქტორინო ყოველთვის წაგებული რჩებოდა, როცა შინაგან ხმას არ აქცევდა ყურად-

ლებას. ეს შიშმა აიშვა თავიო, იტყოდა და ოჩანი ცხენივით ალაგმავდა წინათგრძნობას.

იტალიელმა თერძმა უნდობლად შეათვალიერა ვიქტორინო, რომელიც არაფრით არ ჰგავდა ზომების ასაღებად მისულ კლიენტს, გადაწყვიტა სახელოსნო დაეკეტა და, რა გინდაო, უხეშად ჰკითხა სტუმარს. ვიქტორინომ ის-ის იყო დააპირა ეთქვა, არაფერიო, და განზრახვა სხვა დღისთვის გადაედო, რომ უცებ ბრაზი მოერია. რაო, ჩაისვარე, ზანგო? არა, ვიქტორინოს ვერაფერი შეაშინებს! და იმის მაგივრად, რომ რაიმე მიზეზით უკან დაეხია (შეიძლება თქვენგან დავრეკო, სენიორ?), რევოლვერი იძრო, ზედ ჰალსტუხის თავზე დაუმიზნა და ერთი ამოსუნთქვით მიაყარა: არ გაინძრე! ხელები მაღლა! საათი და საფულე დახლზე დააწყვე, თორემ გაგაგორე!

პიეტრო ლო მონაკომ. ასე ერქვა თერძს, დილის გაზეთების ინფორმაციის თანახმად, ხელები კი ასწია, მაგრამ თავდამსხმელისთვის ზიზღიანი მზერა არ მოუცილებია. აბა საიდან უნდა სცოდნოდა ვიქტორინოს (ეს გაზეთებმაც არ იცოდნენ), რომ პიეტრო ლო მონაკო ერთი უბრალო თერძი, ჩვეულებრივი სიცილიელი გლეხი კი არ იყო, არამედ ყოფილი ჯარისკაცი, უფრო სწორად, სამხედრო დამნაშავე, ყოფილი მოტომბრბოლელი ან საბრძოლო ტრიუკების მასწავლებელი. მან საათი მოიხსნა და ვიქტორინოს ბრძანებაზე — საფულეც ამოიღეო, კარატეს ილეთის გამოყენება სცადა, რისთვისაც ტყვია მიიღო ფეხში.

ვიქტორინომ იგრძნო, რომ როგორც ყველა თავდასხმა პირველივე გასროლის შემდეგ, ეს საქმეც ჩაიშალა. ახლა ყველაზე ჭკვიანური გაქცევა იყო, მაგრამ პიეტრო ლო მონაკო კოჭლობით ეცა კარს და გასასვლელი ჩაკეტა, გადააბიჯებ თუ რა — სიმაღლით მეტრი და ოთხმოცდაათია, მუსოლინივით დიდი, ხარისებური მკერდი აქვს. ვიქტორინომ მას ნადავლი მიუყარა და ზავი შესთავაზა—აჰა, აიღე და გამიშვი, ნუ მომაკვლევინებ თავს! მას კი ყურიც არ გაუპარტყუნებია და ვეება მაკრატლის ქნევას მოჰყვა. ვიქტორინომ გაიფიქრა, ალბათ ომიდან იმიტომ გამოძვრა უვნებელი, რომ ჩემი წერა გამხდარიყოო, და სამი ტყვია დაახალა გულში. გაქცევის წინ, ისტორიის წინაშე პირნათელი რომ ყოფილიყო, ვიქტორინო საფულის ართმევას შეეცადა, სიკვდილის აგონიაში ჩავარდნილი იტალიელი კი არაფრით არ თმობდა ლირებადსაქცევ ბოლივარებს. უკანასკნელი ძალებით ებღაუჭებოდა ამ ქვეყნის ბედნიერებას, თუმცა თავად ამ ქვეყნის აღარ იყო.

გარეთ გამოვარდნილ ვიქტორინოს სროლის ხმაზე თავშეყრილ ცნობისმოყვარეთა წრის გარღვევა მოუხდა ყვირილითა და რევოლვერის ქნევით (გაიწიეთ, თორემ სათითაოდ მიგახვრეტთ!). ხალხი ორად გაიყო. თუმცა წუთის შემდეგ ყველა ნანობდა თავის სიბრიყვეს. სასწრაფოდ მდევართა რაზმი შედგა, მაგრამ რაღა დროს... ვიქტორინო ხრამში ჩახტა და აღარც გამოჩენილა. მე მეორე დღეს ჩამავლეს შენს სახლში, ბლანკიტა, საწოლში რომ გეხვეოდი!

იტალიელის მკვლელობის (ახლა თქვენც ხვდებით, რომ მისი არმოკვლა არ შეიძლებოდა) სცენა მთავრდება და ვიქტორინოს თვალწინ მთელი მისი ცხოვრება ელავს, ოღონდ უკუღმა, აწმყოდან წარსულისკენ. დღეები წამებად ქცეულან, კილომეტრები მილიმეტრებად. მისი შფოთიანი ახალგაზრდობა ასე თუ ისე მშვიდ ბავშვობას ერწყმის, მარაზიაზე თავდასხმა მშობლიურ, მრავალბინიან სახლში ბურთის თამაშით სრულდება, ბლანკიტას თეთრ სუდარაში გახვეულ სხეულს ჭიანჭველები მიათრევენ დასამარხავად. ლა ფლორი-

დაში ფერმის გაძარცვას ტაკარიგუას კუნძულიდან გამოქცეული კრისანტო გუანჩესის გაცნობა ენაცვლება ხიდისთავზე. კრისანტო გუანჩესის გახსენებაზე ეკრანი შოშმინდება და კედელზე ერთი ნათელი კვირა დღე ჩნდება, იმ პარასკევივით შენელებული კადრებით. როცა აღსარების ფიქრებით აღესრულა პიეტრო ლო მონაკო.

წინა საღამოს ისინი ხალხით გაჭედილ სასადილოს დასხდნენ და კარგი ნადავლიც ერგოთ: 3200 ბოლივარი ნაღდ ფულად, თერთმეტი საათი, თოთხმეტი საფულე დოკუმენტებითა და სენტიმენტალური სურათებით და ერთი რევოლვერი რომელიც იქ მყოფ პოლიციის აგენტს აართვეს. კრისანტო გუანჩესის ოთახში ბიჭებმა პატიოსნად გაიყვეს ნადავლი: თითოეულს ორმოცდაათი პროცენტი ერგო, რევოლვერი კი, როგორც შრომის იარაღი, საერთო საკუთრებად გამოცხადდა. ვიქტორინომ ისარგებლა მომენტით და კრისანტო გუანჩესს შურისძიების გეგმა გადმოულაგა, რომელსაც წლების მანძილზე აწყობდა, ყოველ დეტალს ელაციცებოდა და ალამაზებდა, ახვაფერებდა და ისევ თავიდან აწყობდა. საქმე სამი წლის წინ მომხდარ სამარცხვინო შემთხვევას ეხებოდა, რომლის შესახებ აქამდე არც ერთ მათგანს სიტყვა არ დაუძრავს.

— შურისძიების საათმა ჩამოჰკრა, — ვიქტორინოს ლექსიკაში აშკარად იგრძნობოდა სატელევიზიო ფილმების გავლენა, — სამი წელიწადი ფეხდაფეხ დავყვებოდი იმ დამპლებს. ქუბელი ცენტრალურ სასაფლაოზე თავდასხმისას დაბრიდეს, ბანჯგვლიანი ხარი ერთი წლის წინ ითესა კოლუმბიაში, მაგრამ დაბრუნდება ძაღლიშვილი, აგერ ნახავ.

კრისანტო გუანჩესი ქვის ქანდაკებასავით გაშეშებულიყო და ხმას არ იღებდა.

— კაიფასი და ცოფიანი ძაღლი ლეონის ციხეში ყრიან ორ-ორი წლით. ჩვენც ავდგეთ, ძაღლობას თავი დავაჭეროთ და იმ ციხეში ჩავჯდეთ, სადაც ისინი ლპებიან, გეუბნები მე შენ...

კრისანტო გუანჩესი ქვის ქანდაკებასავით გაშეშებულიყო და ხმას არ იღებდა.

— ჩვენ თხუთმეტი წლის ბავშვები აღარ ვართ, მაშინდელივით არც ერთი ვიქნებით ორის წინააღმდეგ. მე კაიფასს მივაბრიდავ, შენ ცოფიან ძაღლს. რას იტყვი, ჰა?

კრისანტო გუანჩესი, ახლა უკვე ხორცშესხმული რისხვა, სკამიდან წამოიმართა და ცოფიანივით იყვირა:

— მე გიკრძალავ იმ ღამის გახსენებას. იმ ღამეს არაფერი არ მომხდარა! არაფერი! გაიგე, მე შენ...?!

და ისევ ქანდაკებად იქცა. ვიქტორინო მიხვდა, რომ ერთი სიტყვაც და უბედურება დატრიალდებოდა. მას კი არ სურდა უბედურება. პირველად მათი მეგობრობის მანძილზე კრისანტო გუანჩესს სძულდა ვიქტორინო, ეს სიძულვილი კიდევ ორ საათს გაჰყვა, მერე კი მინელდა.

ნათელი კვირა დღე წყდება და ვიქტორინო თავდაყირა ეცემა ფაფუკი ღრუბლებიდან. კოჭის ტკივილი ისევ ახსენებს თავს, რასაც აუტანელი შიმშილის გრძნობა ემატება. კიდევ კარგი, სამზარეულოდან ჭურჭლის იმედის მომცემი წკარუნი ისმის.

კარზე ვიღაც აკაკუნებს. შეშინებული უკბილო პიერო ფეხზე დგება, ამბობს, რომ მას გილერმო ჰქვია და გომბეშოსავით ხტის. ვიქტორინო აშ-

ვიდებს რომ ეს მისი მეგობარი კრისანტო გუანჩესია, მაგრამ უკბილო და
ურწმუნო თომას მეტაფიზიკური ნათელხილვებისა არ სჯერა და ფრთხილად
იხედება ჭუჭრუტანაში. კართან, რა თქმა უნდა, კრისანტო გუანჩესი დგას.
კრისანტო გუანჩესი ნახევარი საათი ეჩურჩულება ვიქტორინოს, ბოლოს,
შვიდ საათზე, დავბრუნდებიო, იბარებს და მართლაც შვიდზე ბრუნდება. გი-
ლერმოს აღარ ეშინია კარის გაღება. ამასობაში ვიქტორინომ [illegible]
ცოტა წაიძინა და უკვე გრძნობს, რომ ფეხი აღარ სტკივა, ის და კრისანტო
გუანდესი გარეთ გადიან. ტროტუართან რინკონადადან ახლად მოპარული
ცისფერი „ოლდსმობილი" იცდის. მისი ყოფილი მფლობელი ალბათ დოლის
დიდი მოყვარულია, მანქანა რბოლის პროგრამებითა და გამარჯვებული ცხე-
ნების სურათებითაა სავსე. საჭესთან მჯდომს კარგად იცნობს ვიქტორინო,
ოლონდ მისი ინგლისური თუ ტრინიდადული გვარი არ ახსენდება, რობინ-
სონი ან მედისონი უნდა იყოს. კრისანტო გუანჩესი სტვენა-სტვენით ჯდება
მძღოლის გვერდით. ვიქტორინო უკანა კარს აღებს და ჩაბნელებულ სალონში
ვიღაცას ეჯახება. ეს ხუცესია, ყოველი თავდასხმის წინ გულმხურვალედ ლო-
ცულობს და იმიტომაც მონათლეს ასე. ერთხელ „სამოთხეში" კინაღამ დანებით
იჩხუბეს მან და ვიქტორინომ იმის თაობაზე, თუ ვინ უფრო მაგარი იყო საწოლ-
ში. ხუცესი ყვიროდა, რომ მას შვიდჯერ შეუძლია ზედიზედ. არა, სჯობს არ
გაიხსენოს ის დღე. მაშინ კრისანტო გაუნჩესი ჩადგა მათ შორის და ერთი
თვის შემდეგ შეარიგა კიდეც ერთმანეთს. და აი, ახლა ვიქტორინოს გვერდით
უზის ხუცესი და პოლიციის არსენალის გრძელლულიან რევოლვერს აწვდის
მეგობრულად. კრისანტო გუანჩესს ავტომატი უდევს მუხლებშუა, შენ, კარე-
ნინიო? კარენინიოს უკანასკნელი მოდელის ბელგიური რევოლვერი უშოვია.
შენ , ხუცესო? ხუცესს ოცდათვრამეტკალიბრიანი ახალთახალი „კოლტი".
„ოლდსმობილი" რა ხანია გასცდა პრო-პატრიას ღარიბულ უბნებს, სან-მარ-
ტინის რაიონს, ელ პარაისოს ჩრდილიან ქუჩებს და პუენტე იეროში შე-
უერთდა მანქანების ნაკადს. შემხვედრი მანქანების ფარები და რეკლამათა
შუქი მთლიანად ანათებენ „ოლდსმობილს", მაგრამ ვის დააეჭვებს ქორწილში
მიმავალი მძღოლებივით გამოწკეპილმგზავრებიანი ახალთახალი მანქანა?!
„ოლდსმობილი" აღმოსავლეთის რაიონს უახლოვდება. ასე შეიარაღებულები
უბრალო საქმეზე არ უნდა მივდიოდეთ, ბლანკიტა, მაგრამ მე ზედმეტი კითხ-
ვები არ მიყვარს. ვნახოთ, რა მოხდება!

საიუველირო მაღაზიის არწივის ცხვირა პატრონი მაღაზიის დასაკეტად
ემზადება. იქვე გამყიდველი წრიალებს მოუსვენრად, შეიარაღებული ვიქტო-
რინო და კრისანტო გუანჩესი მაღაზიაში შერბიან და გაოგნებულ იუველირს
უხეშად ახეთქებენ საათების ვიტრინას. შეშინებული გამყიდველი ცხვრის
დუმასავით ცახცახებს. ხუცესი დროის დაუკარგავად ასუფთავებს სალაროს,
კარენინიო რევოლვერის ტარით ამტვრევს ვიტრინის მინას და იქიდან ძვირ-
ფასეულობას ხაპავს. — დანარჩენი ფული? — გულზე იარაღს აბჯენს ვიქ-
ტორინო იუველირს. კაცი ჩუმადაა, მაგრამ თავში რევოლვერის ტარის პირ-
ველივე ჩარტყმის შემდეგ უხმოდ ატრიალებს თვალებს საიდუმლო კარის-
კენ. კრისანტო გუანჩესი ავტომატის ლულას ჩრის ნეკნებში და ანიშნებს
წინ გაუძღვეს. ფული ტყავის შავ ჩანთაშია, ჩანთა კი საწერი მაგიდის უჯ-
რაშია, რომელსაც იუველირი ისეთი სახით აღებს, გეგონება, მუცელს იფატ-
რავს საკუთარი ხელითო. სულ რაღაც ორ წუთში კრისანტო გუანჩესი ოს-
ტატურად. საფოსტო ამანათივით კრავს იუველირს და პირში ცხვირსახოცს

ჩრის. კრისანტო გუანჩესი და ვიქტორინო ძირს ჩადიან, იქ თოკით შეკრული გამყიდველი დგას დაბალზამებული მუმიის გამომეტყველებით. ეს ხუცესის ნახელავია... პირი მასაც აკრული აქვს. კარენინომ უკვე [illegible] ჩემოდანი ძვირფასეულობით. მაღაზიას პირველად ვიქტორინო სტოვებს, მას კარენინო მოსდევს, კარენინოს ხუცესი და ბოლოს კრისანტო გუანჩესი ხურავს მსვლელობას. ტროტუართან „ოლდსმობილი" იცდის. [illegible] ძილისგან ფხიზლდება და ორივე ხელით ბღუჯავს საჭეს. ქუჩა კვლავ წყნარი და ცარიელია. მოშორებით მსუქანი ცოლ-ქმარი დგას და მშვიდად ათვალიერებენ რომელიღაც ვიტრინას. კარგად კი მოვაკვარახჭინეთ, ჰა, ხუცესო! ოცდაათი ათასამდე გვერგება თითოეულს. რას იტყვი, ვიქტორინო! მე მთელ ფულს გოგოებში დავხარჯავ, ამბობს კარენინო და ჩემოდნის მსუქან ფერდებს უფერება. მე სახლს ვუყიდი ჩემს ბებრუხანას, აცხადებს ხუცესი. მე მთელ ფულს ვისკში და გოგოებში დავხარჯავ, არ ითმობს კარენინო, დანარჩენები ჩუმად არიან. მე ცოტა ხნით კოლუმბიაში ავითესები, ბლანკიტა. თორემ იქ თუ ჩამავლეს, ვერ გადავრჩები, ვიცნობ მაგ ძაღლებს. დაჭრილი რომ არ იყო, შენც წაგიყვანდი, ბლანკიტა, და კუმბიას ვიცეკვებდით სანტა-მარტაში.

ვიქტორინო კრისანტო გუანჩესის ხელებიდან, უფრო ზუსტად, მკვდარი კრისანტო გუანჩესის ხელებიდან გავარდნილ ავტომატს იჭერს. კრისანტო გუანჩესს ტყვია შიგ კეფაში ჩაარჭედეს. ვიქტორინო ავტომატის კონდახით მანქანის უკანა შუშას ამტვრევს და ისვრის.

რა ოპერაცია ჩაიშალა! ახლა ისინი ვირთხებივით ხაფანგში არიან შეყრილნი და პოლიციელთა ალყაში მოქცეულნი, ამ ჩიხიდან ვერსად გაიქცევი. ცოცხალი ვერავინ გადავრჩებით კარენინოს გარდა, რომელიც ძვირფასეულობით სავსე ჩემოდნით გაიქცა და ახლა ალბათ სახლის სახურავებზე მიფორთხავს. არა, ისიც ვერ გადარჩება. სასწაული უნდა მოხდეს, რომ გადარჩეს.

მათ უკან ჩამოიტოვეს საიუველირო მაღაზია და საბანა გრანდეს სამხიარულო დაწესებულებები, ვენესუელას მოედანი და რუზველტის პროსპექტი. „ოლდსმობილი" ცენტრალური სასაფლაოსკენ მიჰქროდა, სადაც დროებით უნდა დასცილებოდნენ ერთმანეთს. მეორე დღეს კი ტარპეიას მთაზე, შავი კლოტილდას რანჩოში უნდა გაეყოთ ნადავლი. ხარბი და ლოთი შავი კლოტილდა უკვე მოუთმენლად ელოდა მათ.

კრიჭაშეკრული ვიქტორინო შეუსვენებლად ისვრის. იარაღი პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. ვიქტორინო იძულებულია ზედ გადმომხობილი კრისანტო გუანჩესის გვამი, რომელიც სისხლით სვრის და სროლაში ხელს უშლის, იდაყვით გასწიოს. მედისონი რა ხანია დაიჭრა და ახლა ჩუმად კვნესის საჭეს ჩახუტებული.

ყველაფერი მედისონის ბრალია. აბა ვინ იფიქრებდა, რომ ეს ბებერი მგელი, ცივი გონების პატრონი მედისონი, დამნაშავეთა სამყაროში აღიარებული და გამოცდილი მძღოლი პატარა ბავშვივით დაიბნეოდა?! ისინი როსალესიდან მომავალ პატრულის მანქანას შეხვდნენ. უწყინარ, რადიოიან მანქანას, რომელიც ზანტად დადიოდა ქუჩებში და ალბათ არც არასოდეს მიაქცევდა მათ ყურადღებას, მედისონს კონტროლი რომ არ დაეკარგა. ის მოულოდნელად გაიჭრა წინ, წითელ შუქსა და ამკრძალავ საგზაო ნიშანს ყურადღება არ მიაქცია და მოსახვევში შევარდა.

ახლა მედისონი ზურგშია დაჭრილი, პირიდან სისხლს ანთხევს და საცაა გრძნობას დაკარგავს. კარენინომ დანარჩენების თანხმობა მიიღო და

გაიქცა. კრისანტო გუანჩესის უკანასკნელი სიტყვებიც ეს იყო: „შენ, კარენინიო, აიღე ფული და ნადავლი და სახურავებით გაიქეცი. წადი, მერე შევხვდებით"... და დაეცა კიდეც ტყვიით განგმირული. კარენინო დაემორჩილა ახლა უკვე მკვდარი მეთაურის ბრძანებას. სასწაულით დაუძვრა ორ ტყვიას და სადარბაზოში შერგო თავი. მთელი კვარტალი პოლიციელებითაა გარშემორტყმული, მას მარტო სასწაული თუ იხსნის.

სწორედ იმ ამბით, რომ ასე საეჭვოდ გავარდა წინ, წითელ შუქზე გაიჭრა და აკრძალულ მოსახვევში შეუხვია, მედისონმა პატრულის მანქანის ყურადღება მიიპყრო, რომელიც ჯერ ნელა, ზრდილობისთვის გამოეკიდა მას და რომ ნახა, მედისონმა გაზს უმატაო, თვითონაც გამოცოცხლდა. საით, იდიოტო! მარჯვნივ შეუხვიე, კრეტინო! მაგრამ მედისონი ძველი მედისონი აღარ იყო და არც ვიქტორინოს და კრისანტო გუანჩესის ძახილი ესმოდა. პატრულმა გასაფრთხილებლად ისროლა ჰაერში. რა მოუვიდა მედისონს?

ის აღარ კვნესის და აღარ ცახცახებს, ეტყობა, მკვდარია. სულ მისი ბრალი კია! ვიქტორინოს ხუცესის ბოროტი სისინი ესმის: ტყვიები გამითავდა, მე ამისი..., უცებ ხუცესი კარს აღებს და გარეთ ხტება ხელებაწეული, პოლიციელთა მანქანის ფარები მუხლებზე მდგარ ხელებაწეულ კაცს ანათებენ: არ მომკლათ! გნებდებით! გნებდებით! ტირის კაცი. ვიქტორინო მარტო რჩება მანქანაში, კრისანტო გუანჩესის და მედისონის გვამებთან ერთად. ის მარტოა, ბლანკიტა, სულ მარტო და მაინც განაგრძობს სროლას.

სანამ პატრულმა სასიგნალო ფარნებისა და რადიოს საშუალებით დამხმარე ძალა გამოიძახა, სწრაფი „ოლდსმობილი" მდევარს დაუსხლტა. სირენის ხმა უკან დარჩა. მედისონს გონება დაეწმინდა და თვით ფანხიოზე[1] ოსტატურად მართავდა მანქანას. ხუცესმა ორჯერ გაისროლა პოლიციის მანქანის მიმართულებით, რითაც დელიკატურად გააფრთხილა მოწინააღმდეგე, ფრთხილად ყოფილიყო. არა, აუცილებლად უნდა წავიდეს კოლუმბიაში. კარენინიომ კიდევ ერთხელ დაასკვნა, რომ სჯობს მთელი თავისი წილი გოგოებს შეალიოს.

ხუცესი ისევ მუხლებზე დგას და, გნებდებითო, ყვირის. მას ყურადღებას არ აქცევენ. ვიქტორინომ უკვე შეაჩვია ყური ტყვიების წივილს და შეგნებულად ბღუჯავს ხელში ტყვიაგამოცლილ ავტომატს. საავადმყოფოს თეთრ საწოლზე ძილგამტყდარი ბლანკიტა წევს. ორივეს ესმის შორეული გასროლის ხმები და ყვირილი. ვიქტორინო აღარ ისვრის, ის იმ ხრამიდან ბრუნდება, რომლის თავზეც კრისანტო გუანჩესს შეხვდა პირველად. გახსოვს, კრისანტო, ძმაო?! ხმაურში და პოლიციელთა გინებაში დონ რუპერტოს თუთიყუშის ხმა ისმის: გამარჯობა, ბოზიშვილო!

არა, მედისონს ეშმაკეული შეუჩნდა, სხვა რა უნდა იფიქროს კაცმა. პოლიცია უკვე საგრძნობლად ჩამორჩა. — მოგვცილდნენ, ძაღლები! — თქვა მედისონმა და უცებ ამ ქუჩაზე, მაინცდამაინც ამ ჩიხში შეუხვია. მუხრუჭების წივილმა დევნის დასასრული აუწყათ. ისინი ყრუ კედლის წინ აღმოჩნდნენ. სამძებრო პოლიცია, პოლიციის განყოფილება, ქალაქის პოლიცია, ეროვნული გვარდია და რა ვიცი, კიდევ ვინ აღარ ჩაება ამ უთანასწორო ბრძოლაში. კრისანტო გუანჩესი მკვდარია, მედისონი მკვდარია, ხუცესი სა-

[1] არგენტინელი ავტომრბოლელი, 50-იან—60-იან წლებში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი.

კუთარ ცრემლებში იხრჩობა, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევს, ვიქტორინოს გონება დაებინდა და უაზროდ იქნევს ცარიელ ავტომატს სადღაც შორს, რეპროდუქტორში აუტანელი მუსიკა ისმის: „სულელ ხარს რომ მთვარე შეუყვარდა"... მე მინდოდა მეთქვა, ბლანკიტა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ვიქტორინო პერალტა

ალო, ხიომარა, მე ვარ, მომისმინე. განგებ ავდექი დილის შვიდ საათზე, შენთვის რომ დამერეკა. მოვკვდები, ლონდონიოების გუშინდელ წვეულებაზე რომ არ მოგიყვე. იქ ამბები მოხდა, გაგიჟდები! ხომ იცი, ნენა ლონდონიოს თხუთმეტი წელი შეუსრულდა, წარმოგიდგენია, თხუთმეტი წელი, თითქოს გუშინ არ იყო მათემატიკის გაკვეთილზე ცინგლები რომ მოსდიოდა, და გეოგრაფიაზე, გახსოვს? შენ არ დაგპატიჟეს? იცი რა, მე მგონი, იმიტომ, რომ ლას დელისიასში ცხოვრობ და არა ქანთრიში. შენ მაგაზე არ იდარდო. ვაი, რა შიში ვჭამეთ, რა სირცხვილი დაემართათ, რომ იცოდე, სტრიპტიზი სიწმინდის განსახიერებაა, იქ რაც მოხდა, იმასთან შედარებით. საუკუნის სკანდალი იყო! არა, მოკვდები რომ გაიგებ! მე ადრე მივედი დედაჩემსა და მამაჩემთან ერთად, ხომ იცი, ჩემს ძმასთან, ხულიტოსთან ერთად არსად არ მიშვებენ, ხულიტო ვისკის ბოთლს რომ დაინახავს, ჩემი არსებობა ავიწყდება. ისე, მართალი რომ გითხრა, ნენე ლონდონიო რომ მოვიდა ჩემთან დასაპატიჟებლად ერთი კვირის წინ მაქმანებში და ბაფთებში ჩაძირული, მაშინვე მივხვდი, უსიამოვნების მეტი არაფერი შემხვდებოდა. იმას ვამბობდი, ხიომარა, ისე ადრე შევედით, ნათესავების მეტი არც არავინ დაგვხვდა. ჰო, ჰო, კიდევ ის ჯუჯები იყვნენ, კასტრილიოები, საწყლები, კიდევ კარგი, ადრე მოვიდნენ, თორემ სუფრამდე ვერც მიაღწევდნენ. მოიცა, ერთი წუთით, ფისი მომინდა, აქ სადღაც ქოთანი იყო. არ დადო ყურმილი, ჰო, მოვრჩი. მომისმინე, რა სიტუაციაა, მთელი სახლი გაჩახჩახებულია და კარებში, გადაირევი, მუნდირიანი ორი პოლიციელი გაჭიმულა. ისინი გაჭიმულები დარჩნენ, სკანდალი რომ დაიწყო. ნენა საკმაოდ სიმპათიურად გამოიყურებოდა. წარმოგიდგენია? ალბათ პირველად თავის სიცოცხლეში. კაბაც პირდაპირ პარიზიდან ჩამოტანილი ეცვა. კარგა ძვირი დაუჯდებოდათ რომ იცოდე, მგონი, კრისტიან დიორის იყო, თეთრი, მძივებით გაწყობილი. ფეხსაცმელი — რა გრეის კელი, რის ჟაკლინი! მე ვარდისფერი კაბა მეცვა, შეხედავ — უბრალო გეგონება, ისე ძალიან ელეგანტურია. დედაჩემის მკერავმა შემიკერა. როგორ კერავს — გაგიჟდები. ახლა რასაც გეტყვი, არავის უთხრა, ამ ცოტა ხნის წინ ერთ ტიპთან გავაბი რომანი, ნაღდი სუპერმენია, ოღონდ თავი აქვს გადაპარსული, კათოლიკურ კოლეჯში სწავლობს და იმიტომ. მაგას ცალკე მოგიყვები. იქ კიდევ ქალებს პაწაწკინტელა წიგნები დაგვირიგეს, სადაც ცეკვაზე მიწვევები იწერებოდა, როგორც ბებიაჩემის დროს, ცეკვები კი უაზრო იყო. ნენა ლონდონიოს მშობლებს ჰგონიათ, ეს სამეჯლისო ცეკვები არ ძველდებაო, სინამდვილეში ყელში ამოუვიდა ყველას. ჰოდა, მთელი უბედურება იმაშია, რომ დედაჩემმა შეამჩნია, ჩემს წიგნში ოთხჯერ რომ მეორდებოდა ერთი და იგივე სახელი. ჩემს კაცს ჰეროლდი ჰქვია — წარმოგიდგენია! შეამჩნია და დამცოფა. სამი ჭიქა შამპანურის შემდეგ ისე ავდება, მტრისას, მერე რაც ბევრს სვამს, არა უშავს, ხავერდივით ხდება. სუფრა ჰქონდათ — გაგიჟდები! ისეთი არაფერი მინახავს. შენ, ხომ იცი, მარტო სუფრა გაინტე-

რესებს, ღორმუცელა! ახლა გეტყვი, რა იყო, ყველაფერი არ მახსოვს, მაგრამ მთავარს მოგიყვები — ესე იგი, ცივად გაკეთებული ინდაური ცალკე და შემწვარი ინდაური ცალკე, ღორის დიდი თავი, — დევს თავისთვის თეფშზე და იღიმება, მერე როსტბიფი — ყველაზე მეტი ეგ ვჭამე, ხორცი შამპინიონის სოუზით, მაიონეზში ჩადებული წითელი თევზი, ლორი, სალათები, პაშტეტ-საც არა უშავდა, და რა ვიცი, კიდევ ათასი რამე. მე ჩემს ხოტ[illegible]ად ვიჯექი. ჰეროლდი ჰქვია, გითხარი უკვე? და ერთ ალებაზე [illegible] მინ-დოდა. როსტბიფი — ორივესთვის, პაშტეტი ჩემთვის და შემწვარი ინდაური და წითელი ღვინო ჰეროლდისთვის. დალია ექვსჯერ, მივიდა მაგიდასთან. წარმოგიდგენია? ექვს ბიჭს გაუვსო თეფში. საცეკვაოდ კი მაინც არ გაიწვიეს ის საწყალი, ყველას ფეხს ადგამს, მსუქანი რომაა, იმიტომ, შენ ისევ გიყვარს ის შენი თავსივა? ეგეც იყო, მამამისის სმოკინგი ეცვა ორი ზომით დიდი. სუფრას არც გაჰკარებია, სამაგიეროდ სასმელს ვერ მოსწყვიტეს, გამოთვრა და გაიტრიტა, მთელი საღამო ფულს უკუჰავდა ლაქიებს და ისინიც პირვე-ლად მასთან მირბოდნენ. მაშინ სენიორ ლონდონიომ, სენიორა ლონდონიოს დაჟინებული თხოვნით, ხომ იცი, როგორ ჰყავს გამოჭერილი, ვისკის გატანა ბრძანა, ისიც ადგა და, ვითომ აქაც არაფერი, კანიაზე გადაერთო. რას გეტყ-ვი, იცი?! ამოიგდე ეგ ლოთი თავიდან ერთხელ და სამუდამოდ, „ტუჯურ", გესმის? მომღერალი ბილიოც იყო თავის ანსამბლით და ცეკვებს შორის შეს-ვენებებზე მღეროდა, მაგრა კი მოვიწყინე, არც კოცნაობა იყო, ჩარძაყ-ზეც არავინ გჩქმეტდა, ვინ იყო კიდევ, იცი, აი ის, მწვანეთვალება, ცოტა იმნაირი რომაა. ტელეფონში არ მინდა გითხრა სახელი, არავინ გვისმენ-დეს. მაგარი გოგო კია! ყველა ბიჭი ცდილობდა მაგასთან ცეკვას, პირდაპირ ხელებიდან გლეჯდნენ ერთმანეთს, ბოლოს „ოქროს ბარძაყი" შეარქვეს ტრიინის, მაინც წამომცდა! შენ არავის უთხრა! ცეკვები რომ მომბეზრდა, ტუ-ალეტში წავედი, იქ ქვეყნის ხალხი დამხვდა, ზოგს მართლა საქმე ჰქონდა, ზოგი დიდივით ეწეოდა. ლეონორსიტაც იქ იყო. გვატყუებდა, თავი მტკივაო, სინამდვილეში იმდენი ჭამა, გული ერეოდა, მიმიც იყო, ცისფერი კაბა ეცვა, ხომ იცნობ? ინესიტაც, ყველაფერს რომ იპარავს, რამხელა თავისმოჭრაა! ჯერ კი წვრილმანებს იღებს: სუნამოო, საპუდრეო, პომადაო, მაგრამ იქნებ ერთ დღეს ბრილიანტის ყელსაბამსაც დაავლოს ხელი. საწყალი ინესიტა, საკუთარ თავს ვერაფერს უხერხებს, ჩემი კაცი ამბობს, კლეპტომანი თუ კლეკტომანიაო. ასე ჰქვია, თურმე. მე კიდევ მგონია, ჩვეულებრივი ქურდია და მეტი არაფერი. მოიცა, ახლა მთავარზე გადავდივარ, არა, იცი, რა აუზი ჰქონდათ! სულ ცისფრად და ვარდისფრად განათებული, შიგ ათასი მცენარე დაცურავდა, შუაში კიდევ ლოტოსი და თეთრი გედი, თავი იაპონიაში მეგონა, მაგრამ მთავარი მაინც ტორტი იყო, მთელი სტუმრები იმას მიესიენ, მე ჩემი წილიც ვჭამე და დედაჩემისაც, ის, ხომ იცი, ტკბილს არ ჭამს. ტორტი რომ დაჭრეს, ხუთი ჭიქა ჰქონდა დალეული და საერთოდ ამ ქვეყნისა აღარ იყო. კარგი, კარგი, ვიწყებ, მოკლედ, კოტილიონის შემდეგ რაღაც უაზრობა გვა-თამაშეს, ამ დროს სერპანტინები და ფერადი ქაღალდები გადმოყარეს და ვალსი დაიწყო. ნეტა ვინ შეუკვეთა, ფუჰ, საზიზღარი მუსიკა იყო და უცებ, სკამზე დავჯექი, თორემ წავიქცევი, ვხედავთ, გორაკიდან პანტალონების ამარა მორბის ვიღაც ქალი, პირდაპირ ვერანდისკენ, არც ლიფი, არც არაფერი. პან-ტალონები კიდევ წითელი იყო შავი მაქმანებით. ვინ იყო და მონა-ლიზა, ჰო, სწორედ ეგ, ტიტემ მითხრა, თორემ მე საიდან გავიგებდი. მოკლედ, მორბის

და მორბის, მუსიკა შეწყდა, ყველა გაშეშდა, ის კიდევ აუზთან დადგა, თეძოები აათამაშა და მთელი ხმით იყვირა: აქ არის პიპე ლონდონიოს ბორდელი? მოიცა, ჯერ სად ხარ, ხომ არ გგონია, მარტო იყო, უკან მოყვებოდნენ ვიქტორინო პერალტა, ის ინგლისელი უილიამი და გადარეული რამუნჩო, სამივე ტრუსების ამარა იყო. იცნობ ხომ ყველას? მე არ ვიცოდი, [illegible] ხდებოდა. ისინი კი თავიანთი კუნთების დემონსტრირებას ახდენდნენ, [illegible]ადაც სიმძიმეებს სწევდნენ. ხომ იცი, ვერ ვიტან მაგათ წრეს. რა ზეიმი ჩაშალეს! არადა, რამხელა წარმოდგენა აქვთ თავიანთ თავზე! ველურები არიან, მეტი არაფერი. თურმე ისინი არ მოუწვევიათ და მათაც შურისძიება გადაწყვიტეს. მთელი უბედურება ისაა, რომ არავის თითი არ გაუნძრევია მათ გასაყრელად, ზოგი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა, ზოგი შიშით. ამ დროს კარში გაცოფებული დოქტორი ლონდონიო გამოჩნდა, დაიწყო ყვირილი, ბანდიტები და იდიოტები ხართო. და მუშტებივით ეცა ვიქტორინოს. იმან კიდევ ნენეს მამას, სახლის პატრონს მკერდში ხელი ჰკრა და აუზში გადაუძახა. ფრაკში გამოწყობილმა დოქტორმა პირდაპირ ლოტოსის გვერდით მოახდინა ტყაპანი და პინგვინივით აფართხალდა. რას იცინი ხიომარა, მე გულზე ვსკდებოდი ბრაზით. ჩინა გორდილესს ისტერიკა დაემართა, ხომ იცი, როგორი ქალია, რამუნჩო ადგა და ისიც აუზში მოისროლა. ნუ იცინი-მეთქი, მოკლედ, ჩინაც აუზში აფართხალდა თავისი თეთრი კაბით, ოფელიას ჰგავსო, ჩემმა ხოტორამ, ნეტა ვინ არის ოფელია? კიდევ ერთი ოცდამერვეელთა თაობელი ბებერი ჩაუძახეს აუზში, მისტერ ვილსონს კიდევ იმხელა ანანასი ესროლეს, ლამის თავი გაუტეხეს, შემდეგ სახლში შეცვივდნენ და მთელი ლარნაკები, მაგიდები, ფარდები ძირს ჩამოყარეს და ფეხებით შესდგნენ. წინ მონა-ლიზა დარბოდა, უკან ბიჭები. ველურები არ არიან, გეკითხები. რა თქვი? არა, რას ამბობ, პოლიციელები არც ჩარეულან. ხალხი კიდევ მხოლოდ მათი წასვლის შემდეგ აყვირდა, ვიჩივლებთო, მწარედ ვაზღვევინებთო, გაზეთებში გამოვწერთო, ერთმა რევოლვერიც კი იძრო. მაგრამ მე ხომ ვიცი, ვერაფერსაც ვერ იზამენ. ყველა იქ მყოფი მაგათი მამების მეგობრები არიან და რატომ დაკარგავენ მეგობრებს? არა, გეკითხები ინჟინერი არხიმრო პერალტა ერედია როდისმე წაეკიდება დონ ფილიბერტო უსტარისს? ამას იმიტომ გეუბნები, რომ ესეკიელ უსტარისიც იქ იყო. მე მაგათ თვალის დასანახად ვერ ვიტან, მარტო კუნთებზე და ჩხუბზე უჭირავთ თვალი! რა ენაღვლებათ, იციან, მაინც შერჩებათ. ჰო, ჩემი ხოტორაც წყალში ჩააგდეს. იმას კიდევ ახალთახალი სმოკინგი ეცვა, თან ცურვაც არ იცის, საწყალმა. მძღოლმა ამოათრია, როგორც იქნა, მასაჟები უკეთეს და ძლივს გადაარჩინეს. აი, ასე იყო, ხიომარა, ეჰ, წავედი, თორემ სულ გამიფუჭდა გუნება, ჩაო!

ბიჭებმა გული იჯერეს ნენა ლონდონიოს ჩაშლილი ზეიმის მოგონებით, მონა-ლიზამ პანტალონებიც გაიხადა და რამუნჩოს მოტოციკლეტზე ამხედრებული სულ დედიშობილა დაჰქროდა ქანთრის ქუჩებში. ვიქტორინო ბიჭებს დაემშვიდობა და „მაზარეტი" პანამერიკის გზატკეცილს გაუყენა, გასცდა ლოს ტეკესს, ლოს კოლორადოსს და გეზი გუაიასკენ აიღო, სადაც ერთ-ერთ გამოქვაბულში ტყის კაცები და ავი სულები იკრიბებიან. ან იქნებ მთების ხმა უხმობდა ვიქტორინოს. ზევით მიმავალი გზები დამთავრდა, „მაზარეტი" ახლა დაბლა ეშვება. ვიქტორინო რადიოს რთავს, ლითონის ყუთიდან ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის ხმა იღვრება. სრულდება „ფანტასტიკური სიმფონია". ეს მელოდია უცნობია ვიქტორინოსთვის, მაგრამ ვიოლინოების რო-

მანტიკული ვედრება არ ანებებს ბიჭს რადიოს გამორთვას. ვიოლინოები ჩაწყნარდნენ და ახლა მარტოსული და ნაღვლიანი ვალტორნა ატირდა. ვიქტორინო უნდა წავიდეს ამ დაწყევლილი ქვეყნიდან, უნდა გასცდეს ამ მყრალ, ამყაყებულ, სპირტის ბოთლში დალუქულ ქვეყნის ემბრიონს. მისი ერთადერთი ბარგი თქვენზე ფიქრი იქნება, მალვინა, ის ტრანსატლანტიკურ ლაინერ მალვინაში ჩაჯდება, მალვინასსურნელიან ზღვებს გადასცურავს [illegible] ცისქვეშ ჩამოვა ერთ-ერთ უცხო ნავსადგურში და მიყრუებულ ადგილას დასახლდება, სადაც შუაღამის მაუწყებელი საათი თორმეტჯერ ჩამოჰკრავს მალვინას სახელს. თქვენ კი ამ ციხე-ქვეყანაში ჩალპებით, ჩემო გლადიოლუსო, დაჩრდილული მოედნის შროშანო, სათბურის მიხაკო, ყვავილნარის ტიტავ, Virgo potens, virgo clemens, virgo prudentisima,[1] მერე კი გათხოვდებით, უფრო სწორად, გაგათხოვებენ ოჯახის ერთ-ერთ ორმოცი წლის მეგობარზე, რომელიც დოქტორი თუ არა, ინჟინერი მაინც იქნება. ასეთი ქორწილი კარაკასს არ ახსოვს. ეკლესია სავსეა მუსიკითა და სინათლით. ულამაზესი პატარძალი მიწაზე ჩამოსულ ანგელოზს ჰგავს. თანახმა ხართ, ცოლად გაჰყვეთ...? ვიქტორინო ამ ამბავს სადღაც კოპენჰაგენში შეიტყობს, საკონსულოში შემთხვევით ნანახი დეკემბრის გაზეთიდან, სადაც თქვენი სურათი და სტუმართა სია იქნება მოთავსებული. ამ ცნობის წაკითხვას ვიქტორინოს უდროოდ აღსრულებულ სენიორიტა მალვინა პერალტა ულოაზე ნეკროლოგის წაკითხვა ურჩევნია. ხომ ასეთი ლახვარი იქნება, მაინც უფრო იოლად გადაიტანს, ვიდრე... არა, ის უნდა წავიდეს და მიყრუებულ ნავსადგურში დასახლდეს, სადაც მეზღვაურებთან და მეძავ გოგოებთან გაიყოფს პურს. ვიქტორინო მათ მალვინაზე მოუყვება, ისინი დასცინებენ და ვიქტორინო თავის ჰიქას ბრინჯაოს სადგამზე დაახეთქებს. ის უნდა გასცდეს ამ შმორიან ქვეყანას და თან თქვენზე მოგონება წაიღოს, ვიოლინოს ხმებს წვიმაში მიტოვებული გედის ღუღუნად ემატება არფის ხმა. ორკესტრმა იქუხა კარაიანის ჯოხის აქნევაზე, „მაზარეტი“ ნარნარად მიცურავს მუსიკის ხმაზე. „ყველაფერი ძალპა და მეც დავლპი“, ფიქრობს ვიქტორინო. გახსოვს თქვენი დაბადების დღე, მალვინა?! იმ დღიდან შეუყვარდით ვიქტორინოს. იმ საღამოს ყველა ცეკვა თქვენთან იცეკვა, თუმცა თვითონ არ იცოდა, რატომ, ამის შემხედვარე ლუსი კი გულდათუთქული ტიროდა. ცუდია, როცა ბიძაშვილები ასე იქცევიან. ოდესღაც თქვენ ვიქტორინოს ზურგზე მიკრულს მოტოციკლეტით სეირნობა გიყვარდათ და ისიც საკუთარ სხეულზე თქვენი მკერდის სიმხურვალეს გრძნობდა. ოდესღაც თქვენ ერთად ცურავდით აუზში და ვიქტორინო შეუმჩნევლად ყვინთავდა, რომ უცებ თქვენ გვერდით ამოეყო თავი. ოდესღაც თქვენ მას ვიქტორინოს კი არა, ინდიელთა ბელადს ეძახდით? რატომ ნეტავ? მაგრამ თქვენი სიყვარული ვიქტორინოს მხოლოდ თქვენს დღეობაზე დაეუფლა, როცა ლუსი პალმებქვეშ ტიროდა და სიკვდილს ნატრობდა. ვიქტორინო სულ უფრო და უფრო გიკრავდათ მკერდში და ორივეს გავიწყდებოდათ, რომ ათასი თვალი გიყურებდათ. არა. შეუძლებელია, რომ ბიძაშვილები... ვიქტორინო უნდა გასცილდეს ამ მოწამლულ ქვეყანას, სადაც ყველა ერთმანეთის მტერია, სადაც ყველა ერთმანეთის სიძულვილის და ჭუჭყის ჭაობში ეფლობა, აქ სიძულვილი ლიანებად გაბმულა და ბუჩქებად ამოზრდილა. ვიქ-

[1] ყოვლისშემძლე ქალწულო, მომტევებელო ქალწულო, ბრძენო ქალწულო (ლათ.).

ტორინო თქვენთან ცეკვავდა და ტუჩებშიც გაკოცათ, მალვინა. გაფითრებული დედიკო გამომცდელ მზერას არ გაცილებდათ ბიძაშვილებს. ლუსი გაქრა. იქ ვიქტორინომ პირველად გიწოდათ „ჩემი ლამაზი ცუგა", მისი გული კი თქვენ ფეხქვეშ იყო გართხმული. მას არ შეუძლია თქვენი სხეულის გარეშე, მალვინა, ის უნდა გაიქცეს ამ ქვეყნიდ, უნდა გაიქცეს, რადგან არ უნდა დაუჯდეს. უკვე ნათდება. სიბნელიდან გორაკები ამოიზრდებიან. ნაცრისფერ ცაზე შავ ხარებად მიიზლაზნებიან ღრუბლები. ხეობიდან ახლად მოთიბული ბალახის და შაქრის ლერწმის სურნელი ამოდის. აყვავებული ხეები გაზაფხულის არომატს აფრქვევენ. ვიოლინოებს ახლა ფლეიტა და კლარნეტი უერთდება. მაინც რამდენი მწვანეა ირგვლივ, მოყვითალო-მომწვანოდან დაწყებული, მუქი მსუყე ჭაობისფრით დამთავრებული. არა, უნდა გასცილდეს გამთენიისას ამ ზედმეტად ლამაზ პეიზაჟებს. აბა წარმოიდგინეთ, მალვინა, ვიქტორინო რომ ამ ქვეყანაში დარჩეს, უნდა უარყოს აქამდე შეუზღუდავი თავისუფლება, ფეხქვეშ გათელოს პრინციპები, რომლებიც აიძულებენ მას მუდამ სხვებისგან განსხვავებული იყოს და თქვენ ჩრდილქვეშ დასამარდეს, უფრო სწორად, იარსებოს კურპანტურა სპანიელივით. ვიქტორინოს მამა ახალდაქორწინებულებს მწვანეში ჩაძირულ შესანიშნავ ვილას აჩუქებს, მამათქვენი კი სოლიდურ ანგარიშს გაგიხსნით National City Bank-ში. დონ ვიქტორინო პერალტა — სუფთასისხლიანი ცხენების მიმწოდებელი, დონ ვიქტორინო პერალტა — ჯიშიანი ხარებისა და ლიგორნის წიწილების მიმწოდებელი — ეს თვითონ იქნება, ჩალისფერ ცხენზე ამხედრებული მალვინა პერალტა დე პერალტა, მისი მშვენიერი მეუღლე კი თქვენ. საცოდავი ბედნიერება! სოფლური სიმყუდროვე, ვიქტორინოს ურჩევნია ამ ქვეყნიდან გაიქცეს და ჩანთასავით იღლიაში ამოჩრილი მოგონება წაიღოს თქვენზე, მალვინა. ის გიხმობთ თქვენ თავისი მომაბეზრებელი მარტოობიდან, რომელსაც მხოლოდ მისი ავტომობილის მოტორი იზიარებს, თქვენ მაგივრად კი შორს, ცაში შეკრებილი ღრუბლები პასუხობენ ჭექა-ქუხილით. მას თქვენი სხეული სჭირდება, მალვინა. ვიქტორინო უნდა გაექცეს ამ სიჩუმეს. ვიქტორინო სიჩქარეს უმატებს, რადიოში კორნეტის ომახიანი ხმა და კონტრაბასის ავისმომასწავებელი ზუილღუნი ისმის. მე ხომ ყველაზე მარჯვე და მამაცი ვარ ჩვენი ბიჭებიდან, ფიქრობს ვიქტორინო და ვერცხლისფერი ღმუილით ეშვება დაკლაკნილ გზებზე. დიახ, ეს ასეა. ვიქტორინო დასანახად ვერ იტანს დედიკოს ბიჭებს. მას ფეხებზე ჰკიდია თავის კბილა რევოლუციონერები, არც რაქიტიანი პოეტები აინტერესებს და არც იდეალი გააჩნია. სამაგიეროდ ძლიერი მკერდი, დაბერილი კუნთები და მრთელი გული აქვს. სამაგიეროდ მას „მაზარეტი" აქვს, რომელიც მის ხელებს, ფეხებს და ხმასაც კი ემორჩილება მეზობელი მეფუნთუშის ვირივით. მოსახვევში საბურავები ვიოლინოების პიცეკატოს უწყობენ ხმას. როცა იგი ძველ, კრემისფერ „დოჯ"-ს უსწრებს, სპიდომეტრი ას ოცს აჩვენებს, შავი „კადილაკის" გასწრების შემდეგ ას ოცდახუთს, ვიქტორინო უზადოდ მართავს ავტომობილს. საათში 130 კმ-ის სისწრაფით იგი სატვირთო ავტომობილს უსწრებს, მძღოლს არ უნდოდა მისი გაშვება და გინება მიაყოლა, რომელიც ქარმა წაიღო. მე ვერავინ მაჯობებს, — ფიქრობს ვიქტორინო. მას სრული უფლება აქვს საათში 140 კილომეტრი განავითაროს, „მაზარეტი" მეზობელი მეფუნთუშის ვირივით ემორჩილება პატრონს. ვიქტორინო მის ყოველ ჭანჭიკს, ბენზინის ყოველ წვეთს გრძნობს, ამას დაუმატეთ ვიქტორინოს გამოცდილება, კუნთები, რეაქცია, ნერვები.

მთის გზებზე 150 კილომეტრი სისწრაფით სიარული მისთვის იგივეა, რაც
ახალშობილისთვის საბავშვო ეტლით გასეირნება.

ვიქტორინო ოდესმე მაინც გაიქცევა ამ ქვეყნიდან, მალვინა, და მონსეს
ან ლე მანეს ნამდვილ, საერთაშორისო რბოლაში მიიღებს მონაწილეობას.
დაუმარცხებელი სამხრეთამერიკელი ვარსკვლავი! ახალი ფენომენი! შემხუ-
ნები, ყვავილები და ფინიშთან ქერა გოგონების კოცნა. ბოლო მოსახვევში
დაიმტვრა ინგლისელი ჩემპიონი! რა სამწუხაროა! ვიქტორინო პერალტამ
მოხსნა მსოფლიო რეკორდი! — აყვირდებიან ხმის გამაძლიერებლები.
ვიქტორინოს ფოტორეპორტიორები და ავტოგრაფების მოყვარულები შეუ-
ტევენ. აი, ის იქნება დროსთან და სიკვდილთან ბრძოლა, მალვინა, თორემ ეს
საცოდავი 160 კილომეტრი საათში რა არის ვიქტორინოსა და ამ შესანიშ-
ნავი მანქანისთვის. წვიმის პირველ წვეთებს ნამდვილი თავსხმა მოჰყვა, ას-
ფალტს გზისპირა გორაკებიდან ჩამორეცხილი ტალახი აჩნდება ზოლებად.
მანქანის მინასაწმენდებში ძლივს ასწრებენ მომსკდარი ნიაღვარისგან შუშის
გაწმენდას. ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის თეფშები ჰექა-ქუხილს
უწყობენ ხმას. ვიქტორინო სიჩქარეს არ ცვლის, მას ეს არ სჭირდება, მალვი-
ნა. ერთ-ერთ მოსახვევში. Orange Crush[1]-ის რეკლამის ქვეშ „მაზარეტის“
უკანა ბორბლები გვერდზე სრიალებს და მანქანა ხრამისკენ მიცურავს. ვიქ-
ტორინომ კარგად იცის, რომ ასეთ დროს დამუხრუჭება არ შეიძლება, ამი-
ტომ სიჩქარეს ზრდის და აქსელერატორს აწვება, მანევრი კი სუფთად სრულ-
დება, მაგრამ მოპირდაპირე მოსახვევიდან ქალებით, ბავშვებითა და ქათმებით
გატენილი იისფერი ავტობუსის გამოჩენა ყველაფერს ცვლის, ვიქტორინო
მკვეთრად აბრუნებს საჭეს და „მაზარეტი“ პირდაპირ ხრამში ვარდება. არა,
ეს ვიქტორინო არ გადამხტარა, მალვინა, ჩემო ცუგა, ძაღლიშვილებო, ვაიმე,
დედიკო... — ირევა ვიქტორინოს თავში. იისფერი ავტობუსის გაოგნებულ
მგზავრთა ყურს ლითონის პრესის ხმა და ტრომბონის ბღავილი წვდება. სიმ-
ფონია არ დამთავრებულა, იგი გრძელდება ხრამის ძირში გათელილი გვიმ-
რების, დაჭყლეტილი მანქანისა და მკვდარი ვიქტორინოსთვის. წვიმის ხმა
არ ცხრება, ოღონდ ვერ გაიგებ, მართლა წვიმა ხმაურობს თუ სასეირნოდ გა-
მოსული ავი სულები ზეიმობენ ბიჭის გვამთან. მხიარული და დამცინავი
წვიმა კლარნეტის ხმით მღერის გოიას ენაზე:

— რა ტყუილად გეგონა, რომ გაექცეოდი ამ მშვენიერ ქვეყანას, საბ-
რალო, მკვდარო ბიჭო. ჩვენ თესლს ამოგაცლით და გამომხმარ მკერდზე წა-
ვისვამთ. შენ სისხლს ბელადონას და მანდრაგას შევურევთ, ბალზამად ვაქ-
ცევთ და დანაოჭებულ უკანალს დავიზილავთ საბრალო, მკვდარო ბიჭო, დე-
ზერტირობას რომ აპირებდი ამ მშვენიერი ქვეყნიდან.

ქარიც ქრის ოღონდ ვერ გაიგებ, მართლა ქარია თუ ბებერი ალქაჯების
გუნდი ამახინჯებს უმოწყალო ღრიალით Dies Iral-ს:

Dies iral, dies illa
Solvet salchum in favilla,[2]

---

[1] ფორთოხლის წვენი.

[2] სიტყვები კათოლიკური სულის მოსახსენებელი მესიდან: „რისხვის დღე, დღე როდესაც მთელი სამყარო ფერფლად იქცევა“.

ეშმაკი იშვერს თავის კუდილას,
იქექავს უკანალილას.

ეს ალბათ ბერები არიან, რადგან უკვე დღეა და ავ სულებს ძალა დაკარგული აქვთ, სინათლეში ვეღარც მათი ცოცხები ფრენის და ძალთაც აკლდებათ. ბერების გუნდს კი ქარის მოტანილი, რომელიღაც შორეული სამრეკლოს ზარების ხმა ემატება.

Judex ergo cum sedebit,
Quidquid latet adparebit,[1]
აუწიე მას კუდიბიტ,
დაუკოცნე საჯდომებიტ.

წვიმა წყდება და გადაწმენდილ ცის კამარას საფოსტო მარკასავით ეწებება ცისარტყელა. ავტობუსის მგზავრები, ხრამის ბინადარი ხვლიკების გასაოცრად, ხმაურით ეშვებიან ძირს. მათ წითელფორმიანი მეხანძრეები და ზეთისხილისფერფორმიანი ჟანდარმები მისდევენ უკან. შავი მახინჯი ფრინველი, რომელმაც წუთის წინ მოიკალათა ვიქტორინოს მკერდზე, ამდენი დაუპატიჟებელი სტუმრის დანახვაზე ფრთების ფართხუნით სცილდება გვამს.

### ვიქტორ კერდომო

ამ სახლში მუდამ დღე სულისშემხუთველი სიცხე დგას და ჰაერიან-ნივთებიანად ყველაფერს არქივის მტვრის სუნი აქვს. ეს უცნაურსახელურებიანი, ზურგზე ღერბამოკვეთილი შავი სკამები საეკლესიო სალაროს უფრო მოუხდებოდა, ვიდრე ჩვენი ნავთობიან-ლითონიან-ელექტროფიცირებული ქალაქის ბინას. უზარმაზარი ზვიგენის თუ კატაფალკის ფორმის კარადის ვიტრინებიდან ფაიფურის საწვნეები და ოქროსცურვილიანი თეფშები გვითვალთვალებენ. ოთახს არც ფანჯარა აქვს, არც რაიმე სარკმელი. აქ გამეფებული მუქი ოქროსფერი—ტიციანის ქალების თმისფერი, იმაზე მიგვანიშნებს, რომ გვერდით ასეთივე ოთახია. ამ სახლში სენიორიტა ლარუსები ცხოვრობენ, ისინი ცნობილი ფრანგი მეცნიერის, ლექსიკონების გამომცემელის კუმანელი თუ კუმანაკოელი მოგვარეები არიან. მათ მუდამ რაულ როხას პაულის[2] სტილში აცვიათ, მაქმანიანი საყელოები უკეთიათ და ესენციების სასიამოვნო სურნელი ასდით. ახლა ვერავინ იტყვის, როგორ და ვისი გამოისობით დამყარდა კონტაქტი ამ სამ მოხუცსა და ჩვენს ს. ტ. ე-ს შორის. ისინი სპირიტები არიან, თუმცა მათი სპირიტიზმი მიწიერ, კომუნისტურ პლატფორმაზეა დამყარებული. დებს საკუთარი შვილები არ ჰყავთ და მათ მაგივრობას ჩვენ ვუწევთ. ქალებს ჩვენი მხიარულება, მღელვარება და ამაღლებული განწყობილება მოსწონთ, ფინიკის მურაბითა და ფორთოხლის ჯემით გვიმასპინძლდებიან, კოლონიური ეპოქის დროინდელი დოქიდან გვასმევენ ცივ წყალს და სიამოვნებით გვითმობენ სახლს ოპერაციის წინ უკანასკნელი შეკ-

---

[1] ივიეე მესიდან; მაშინ დაბრძანდებიან მსაჯულები და ყოველი საიდუმლო აშკარა გახდება.
[2] კარაკასში ეროვნული საისტორიო აკადემიის დამაარსებელი.

რებისთვის. ჩვენც ვსარგებლობთ იმით, რომ ლარუსები საზოგადოებაში გამოსული ქალბატონები არიან და მათ სახელზე ეჭვს ვერავინ აიღებს. უფროსი და ანხელა ემილია ლარუსი ორმოცდაათს გადაცილებული ბანოვანია, ის ჰენდელის კონცერტების ნაწყვეტებს უკრავს არფაზე და იმქვეყნის ყველაზე მეამბოხე სულებთან აქვს კავშირი. მაჰათმა განდისნაირებს კი არ ესაუბრება, პირდაპირ სავონაროლას ან სანდინოს სულებს იძახებს. საშუალო და, [illegible] მარია ამ სეანსებში მედიუმის როლს ასრულებს, საერთოდ კი აკვარელითაა გატაცებული. სინათლე რომ ქრება, ზურგში ჟრუანტელი უვლის და ვიღაცის უხილავი ხელი მის ხელს წარმართავს. გამოძახებულ სულთა ერთადერთი ნაკლი — სხვის საქმეებში ცხვირის ჩაყოფის მცდელობაა .ისინი თავს ვერ იკავებენ წინასწარმეტყველებისგან, რჩევებისგან და თუმცა არავინ სთხოვთ, ჩვენი ოპერაციის მოსალოდნელ შედეგებზე მსჯელობენ. აი, გუშინაც ანხელა ემილია მოგვიახლოვდა შეშფოთებული სახით და მარშალ დე აიაკუჩოს[1] დანაბარები გადმოგვცა: სჯობს სხვა დროისთვის გადავდოთ ოპერაცია, რადგან იგი დარწმუნებულია, რომ დღეს თავდასხმა ჩაიშლება, შესაფერის დროს თავად შეგვირჩევს მარშალი და ანხელა ემილიას საშუალებით გვაცნობებს. მეთაურმა ბელარმინომ ისეთი სახე მიიღო, თითქოს დიდად დავალებულიაო, და უფროს ლარუსს ოპერაციის გადადება აღუთქვა, თან მოწიწებული მოკითხვა დააბარა მარშალთან. უკვე შეკრების დროა, საცაა ჩვენებიც გამოჩნდებიან. ყველაზე ადრე სპარტაკი აღებს კარს (ჩვენი ს. ტ. ე-ს წევრი სპარტაკი და არა ის ამბოხებული მონა, ლარუსები რომ ელაპარაკებიან ლამლამობით), შემდეგ წითელ ქვედაკაბასა და შავ სვიტერში გამოწყობილი კარმინია ცხადდება, ბელარმინო აუცილებლად დაინტერესდება, რატომ სხვა ფერის ქვედაკაბა არ ჩაიცვიო. კარმინია ჩემ გვერდით ჯდება და თან მოტანილ წიგნს შლის. ნუთუ მას მართლა ჰყოფნის ვაჟკაცობა ამ მძიმე წუთებში პოლიტცერი[2] იკითხოს თუმცა ქალებისგან ყველაფერს უნდა ელოდე. მე ცალი თვალით ვეჭყიტები წიგნში. „შემოხვევა მოწამლული კანფეტებით", სერიიდან მეშვიდე წრე, აჰ ამას კიდევ არა უშავს რა. ვალენტინი და ფრედი თითქმის ერთდროულად შემოდიან, მე მათ ჩაპლინივით ვუღიმი, თუმცა მკერდში რაღაც მიფართხალებს გალუმპული ფრინველივით, მთავარია სხვებმა არ შემატყონ, რომ მეშინია.

ბელარმინო ჯერ არ მოსულა, მას არ სჩვევია დაგვიანება. იოლი შესამჩნევია, რომ ხუთივე მასზე ვფიქრობთ. რა შეიძლებოდა მომხდარიყო? მაგრამ ბელარმინოც მოდის და ყველაფერი იცვლება. სანამ ის გვესალმება, მუქი ოქროსფერი ფარდა იწევა და ანხელა ემილია ლარუსი შემოდის, რათა ერთხელ კიდევ გადმოგვცეს მარშლის დანაბარები. მას ერთ დროს წითური და ახლა ჭაღარა უმცროსი და — ანა როსარიო ლარუსი მოსდევს, რომელიც თავისუფალ დროს ლექსებს წერს ხოლმე. ის თანმოტანილ ლანგარს მაგიდაზე დებს და ყავას გვთავაზობს. მე ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარი ვარ და არ მწამს სულების, მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს რაიმე ფსიქიკური, მატერიალური ძალა, მაგალითად ვინმეს ტვინი გვიგზავნიდეს

[1] იგულისხმება ანტონიო ხოსე დე სუკრე (1793—1830). ვენესუელის ეროვნული გმირი. მონაწილეობდა ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლაში. მარშალ აიაკუჩოს წოდება აიაკუჩოსთან ისტორიული ბრძოლის შემდეგ (1824 წ.) მიიღო.

[2] ჟორჟ პოლიტცერი (1903—1942) — ფრანგი ფილოსოფოსი-მარქსისტი.

სიგნალებს, სილვია მარია ლარუსის თითებს ამოძრავებდეს და მარშლის სახელით გველაპარაკებოდეს. აზრების გადაცემა — ესეც ხომ მეცნიერებაა, დასწყევლოს ღმერთმა! ბელარმინო ერთხელ კიდევ გვახსენებს, ვინ როგორ უნდა ვიყოთ შეიარაღებული: სპარტაკს და მე რევოლვერები გვექნება, ფრედის—ნათხოვარი პისტოლეტი, ვალენტინსაც—პისტოლეტი, ოღონდ თავისი, ბელარმინო ავტომატს წამოიღებს, კარმინია გადაჭრილ ავტომატს. კარმინიას ოპერაციაში მონაწილეობა იმაში მდგომარეობს, რომ ვალენტინთან შეყვარებულივით გადახვეულმა უნდა დაგვიცადოს მანქანაში. ამ როლის კვალობაზე ზედმეტად შეიარაღებულიც კი მეჩვენება. მაგრამ აბა გაბედე და უთხარი რამე, იმ წუთში მშიშარას გიწოდებს. იარაღი ჯერ არ მოუტანიათ, ლარუსებს სულ არ ეშინიათ იარაღის და, როგორც უსაქმური ბავშვი სათამაშოების ვიტრინას, ისე ათვალიერებენ ხოლმე რევოლვერებს და ავტომატებს. კარმინია მის ფეხებთან მძინარე ანგორის კატას ეფერება, კმაყოფილი კატა ჩუმად კრუტუნებს. მაინც რა ძნელი ასატანია მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმე, როცა საკუთარ თავთან მარტო რჩები და ათასგვარი აზრი გაწუხებს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე: ვაი, რომ ასე მოხდეს: ვაი, რომ ის არ გამოვიდეს; ვაითუ სროლა ატყდეს. ეს ლარუსების მამის პორტრეტია. სპირიტული სეანსების უცვლელ მონაწილე კეთილშობილ და ბრძენ მოხუცს მარაოსავით გაუშლია ფილანტროპის წვერი, თუმცა თვალებში ეტყობა, ჭირვეული ხასიათისა უნდა ყოფილიყო, აცხონოს ღმერთმა! მთავარია, სხვებმა არ შემატყონ შიში, ისე კი ყველას, თვით ბელარმინოსაც ეშინია, თუმცა ერთი შეხედვით მშვიდად იქლიბავს ფრჩხილებს. ნეტა კარმინია მართლა კითხულობს თუ თვალთმაქცობს? კატა ტკბილად ეგლისება ფეხებზე მოფერების მოლოდინში, ეს სიჩუმე — ლოთობაა, მეტი არაფერი!

— ერთხელ ახალთახალი „ლინკოლნი" მოვიპარეთ, — ისევ ფრედი არღვევს სიჩუმეს და რესტორან „ლა ესტანსიაზე" თავდასხმის ამბავს გვიყვება, რომელიც თავის დროზე ნახევარი ხუმრობის ტონით გადმოსცეს ყველაზე სოლიდურმა გაზეთებმაც კი. — ღამურამ კუთხეში ჩამოგვსვა და თვითონ მანქანაში დარჩა, ჩვენ კი (შვიდნი ვიყავით ჩემიანად) რიხიანად შევაბიჯეთ იმ დაწყევლილ კარში, რომელიც რესტორნისა კი არა, რაღაც უბადრუკი სასადილოსი აღმოჩნდა, შიგნითა კარით რომ უკავშირდებოდა რესტორანს. რაღას ვიზამდით, იხტიბარი არ გავიტეხეთ, სასადილო გავიარეთ და რესტორნის ბარში აღმოვჩნდით. ბარში ხალიჩები ეგო და ნაბიჯების ხმა სულ არ ისმოდა, მაგრამ მაინც გვარიანი ხმაური იდგა. ერთი ბანკეტის სუფრაც იყო გაშლილი, მეტალურგიული თუ მანქანათმშენებლობის კომპანია აღნიშნავდა რაღაც იდიოტურ თარიღს. შუა დარბაზში რომ აღმოვჩნდით, ჩვენმა მეთაურმა, კოხტამ „ტომპსონი" იძრო და აღრიალდა: ჩვენ საიდუმლო პოლიციიდან ვართ და ყველანი უნდა გავჩხრიკოთ, რადგან განყოფილებაში სიგნალი მოვიდა, ამ ბარში ნარკოტიკებს ხმარობენო. მე ტელეფონზე მოლაპარაკე პოლკოვნიკს ვეცი, ყურმილი ჩამოვართვი და თავაზიანად შევთავაზე არ განძრეულიყო. ყველაზე მეტად მზარეული გაჯიუტდა, ვერაფრით მოვწყვიტეთ ქურას, წიწილები დამეწვებაო, მოგვიწია რევოლვერის ტარის თავში ჩაკაკუნება, რამაც მის შეგნებაზე კარგად იმოქმედა; იქ ერთი ჟანდარმიც აღმოჩნდა, რომელმაც იოლად დაიჯერა, რომ პოლიციელები ვიყავით, მხედრულად მოგვესალმა და მოგვიბოდიშა, იარაღი თან არ მაქვსო. მხოლოდ ერთი დიპლომატი გაგვიჯიუტდა, ჩემი გაჩხრეკის ნებას არ

მოგცემთო. მაგრამ როცა კოხტამ „ტომპსონი“ მიადო მუცელზე და უთხრა, შეგიძლიათ ხვალ ჩვენს განყოფილებაში გვიჩივლოთო, დაგვნებდა და თავი გაგვაჩხრეკინა. სხვებმა მალე ჩაისვარეს შიშით, თუმცა ჩვენ შვიდნი ვიყავით, ბარში კი ასზე მეტი კაცი იქნებოდა, ამდენი ხალხიდან მხოლოდ [illegible] ძუაჩხის, კოჩგად თავქეხაზული ქალი გვიყურებდა დაცინვით და ლაწირაკებს გვიწოდებდა, სანამ მსუქანმა თუთიყუშმა, რას მოგვჩერებიხართ [illegible] არ დაუყვირა და ხმა არ ჩააწყვეტინა. „ტომპსონისა“ და პოლკოვნიკის რევოლვერის გარდა, რომელიც, პირობის თანახმად, ჩხრეკის დამთავრებისთანავე უნდა დაგვებრუნებინა, კიდევ სამი დამბაჩა გვქონდა. მთელი ეს ფარა ერთ რიგში ჩავამწკრივეთ კედელთან, რომ მუშაობა გაგვადვილებოდა, თუმცა დაგეგმილი 15 წუთი მაინც არ გვეყო. ჯერ იყო და ვიღაც წყვილი შემოეხეტა ბარში. კაცმა მაშინვე იყნოსა საფრთხე და, სხვაგან წავიდეთ, ჩემო კარგოო, ქალს მიუბრუნდა, მაგრამ როგორც კი მისკენ მიმართული რევოლვერი დაინახა, ამაზე კარგ ადგილას სად წახვალთ, გვრიტებო! დაგვნებდა. მერე მსუქანმა თუთიყუშმა ვერ გაუძლო შემწვარი ხორცის, კარტოფილისა და სალათის სუნებს, მაგიდას მიუჯდა და ნახევარ წუთში დანთქა ყველაფერი, რისთვისაც მოხვდა კიდეც მეორე დღეს, ჩვენ რა, ნაკლებად გვშიოდა?! ის-ის იყო ჩხრეკა უნდა დაგვეწყო, რომ აყლაყუდა როდოლფოს ახალი იდეა მოუვიდა თავში, მოდით ყველანი მუხლებზე დავაჩოქოთო. ერთ ყავისფერშარვლიან (თუმცა შეიძლება მერე გაყავისფრდა) შეშინებულ ვაჟბატონს გაუგია როდოლფოს სიტყვები და თავად მიმართა ხალხს. ქალბატონებო და ბატონებო, ბატონ აგენტებს სურთ მუხლებზე დავდგეთო, და სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ყველა მუხლებზე დაეცა, კოხტამ კი დრო იხელთა და დაიყვირა, ჩვენ აგენტები კი არა, მძარცველები ვართ, ახლავე ფული და ძვირფასეულობა ამოალაგეთ, თორემ ვერც ერთი ვერ ადგებით მაქედანო. ხმა არავის ამოუღია ერთი ბებერი ქალბატონის გარდა, რომელსაც ანტიპატრიოტული სიტყვები — და ყველაფერი ეს ჩვენთან, ვენესუელაში ხდებაო, აღმოხდა. აყლაყუდა როდოლფომ და მსუქანმა თუთიყუშმა ნადავლი აკრიფეს და მეორე დღეს ყველაფერი: 4000 ბოლივარი, ქვეყნის ძვირფასეულობა და საათი ორგანიზაციას გადავეცით. შვიდივე უფულო და ნახევრადმშიერი ვიყავით, მაგრამ სირცხვილად მიგვაჩნდა რევოლუციის კუთვნილი ფულიდან ერთი სენტავოს აღებაც კი. ამგვარად, ოპერაცია მშვიდობიანად დავასრულეთ. კოხტამ ორჯერ გაიმეორა ხმამაღლა, გარეთ გავალ და ჩვენს პატრულებს გავაფრთხილებ, თუ ვინმე გამოგვეკიდა, დაუნდობლად ესროლონო, და მთავარი კარისკენ წავიდა, ჩვენც ნელ-ნელა დავიხიეთ უკან და უკვე მანქანაში, რესტორნიდან ორი კვარტლის შემდეგ შევამჩნიეთ, მონსენიორი სადღაც გამქრალიყო. ვერავინ გაიხსენა, ოპერაციის შემდეგ დაიკარგა ის თუ ოპერაციის დროს (ასეც ხდება ხოლმე).

მოკლედ, გაქრა კაცი, კოხტამ დაასკვნა, ახლა უკვე გვიანია მაგის ძებნაო, ვიქტორმა შეიგინა, წავიდეს, ერთი მაგისიცო, და პირდაპირ უნივერსიტეტისკენ გავწიეთ. ის პარაზიტი მონსენიორი კი ნახევარი საათის შემდეგ მშვიდად გამოგვეცხადა მთავარ აუდიტორიაში. თავს იმართლებდა, უკანდახევის ბრძანება არ გამიგია, რადგან ზედა სართულს ვჩხრეკდიო. ქვემოთ რომ ჩამოსულა, ხალხი ისევ მუხლებზე იდგა თურმე, რომის წმინდა პეტრეს ტაძარი გეგონებოდა, მე და ჩემმა ღმერთმაო, ამბობდა მონსენიორი. მერე გამოსულა ბარიდან, კოხტასგან ნასესხები სამი ბოლივარით ტაქსი გაუჩერებია

და პირდაპირ უნივერსიტეტში წამოსულა. აი, ასე იყო ეს ამბავი, ამთავრებს ფრედი.

მაგრამ ეს ლამაზი დრო წარსულს ჩაბარდა, ახლა ჩვენ ის ცელქი ბიჭები აღარა ვართ და უფრო სახიფათო სიტყვებიც ვისწავლეთ: სიძულვილი, ცემა, დახვრეტა, რეპრესიები, ყრილობები, საიდუმლო პოლიცია, ჩაძაღლდი! ხიშტი, ციხე, კაჩინო, ლა ისლა, სან კარლოსი, ელ ვიხია[1], შრიფტი, ავტომატი, პისტოლეტი, ბანკი, „კოლტი", დაგვნებდი! აგონია, დაკრძალვა, ჯაშუში, გადასახლება, დაკითხვა, სიჩუმე! შიმშილი, სასაფლაო, რაზმი, ბრძანება, სისხლი, ცეცხლი! საიდუმლო შეკრება, დაბეზღება, დახოცვა.

ვინ დაიწყო დახოცვა? ისინი გვდევნიდნენ, გვხოცავდნენ, ჩვენ თავს ვიცავდით, სხვისი სიცოცხლე ორ სენტავოზე მეტი არ ღირდა, საკუთარი ოთხი, ან იქნებ ცოტა მეტი. ძალის ხმარება აუცილებელი გახდა. ისინი პრესაში თავიანთი დახოცილების სურათებს ათავსებენ: თავგაპობილი ჟანდარმები და პოლიციელები, მთავრობის მიერ მოწყობილ მესამე ხარისხის დაკრძალვაზე მოტირალი მათი ქვრივები და ობლები. ჩვენ საიდუმლოდ ვბეჭდავთ და ვავრცელებთ ჩვენი დაღუპული ამხანაგების სურათებს, რომელთაგან ზოგი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი წამებით მოკლეს, ზოგმა თავი ჩამოიხრჩო.

მეთაური ბელარმინო შეიარაღებულ თავდასხმაში მონაწილეობდა (თვითონ არაფერი უთქვამს ამის შესახებ, მაგრამ მე გაზეთში წავიკითხე თავდამსხმელთა მეთაურის აღწერილობა, გავეცანი ოპერაციის მსვლელობას და მივხვდი, რომ ბელარმინო იყო), სადაც ოთხი კაცი მოკლა: ორი მოლარე და ორი კლიენტი, რომლებმაც უარი თქვეს ხელების აწევაზე, ერთი მათგანი კი ჯიბეში ჩაძვრა და ბელარმინომაც ოთხივე მიაწვინა ავტომატის ჯერით. გაზეთებმა ბოლო გვერდზე მოათავსეს გვამების სურათები, თან ისე, რომ ყველას დაენახა ნატყვიარები, ისინი გასისხლიანებულ ზეწრებზე იწვნენ და თეთრი, ცვილივით სახეები ჰქონდათ. აქ მყოფ სხვა ამხანაგებზე, ვალენტინის გარდა, ბევრი არაფერი ვიცი. ვალენტინი კი ჩემი ძმაკაცია. მას მხოლოდ მანქანა დაჰყავს ხოლმე და ოპერაციის დასასრულს მანქანაში უცდის, ამიტომ არც არავინ მოუკლავს. მე კი, მგონი, ერთი პოლიციელი მოვკალი ლა ჩერნეკაზე მიტინგის დროს. იქ ჩვენი ამხანაგები გამოდიოდნენ სიტყვით და პროკლამაციებს ავრცელებდნენ: გაუმარჯოს ახალ მთავრობას და ა. შ. მე და ბარეკიტო ერთ-ერთი სახლის სარდაფში ვისხედით შეიარაღებულები, საჭიროების შემთხვევაში ცეცხლი რომ გაგვეხსნა. უცებ ვხედავთ, ერთი პოლიციელი მორბის შაშხანით ხელში, ეტყობოდა, ახალბედა იყო, თორემ რა მოარბენინებდა მარტოს იმ რაიონში, რომელიც უკვე ჩვენებს ეკავათ. მე და ბარეკიტომ ერთდროულად გავისროლეთ, პოლიციელი წაიქცა, ჩვენ კი განგაშის ასატეხად გავიქეცით. მეორე დღეს გაზეთში ვნახეთ მისი ფოტო, ერთი ტყვია მოხვედროდა მარჯვენა საფეთქელში. ამიტომაც ვამბობ, მგონი მე მოვკალი-მეთქი, თუმცა ბარეკიტო ამტკიცებს, ჩემი ტყვია იყოო. მოკლულს ხულიო მარტინესი ერქვა, მულატი იყო, ოქროს კბილი ჰქონდა და სამი გოგო ჰყავდა — ასე ეწერა რეპორტაჟში. საინტერესოა, კარმინიას თუ მოუკლავს ვინმე ან ნახევარავტომატით? ან სპარტაკის სინდისზე თუა ვინმეს სისხლი, ის ხომ

[1] ციხეების და კოლონიების სახელწოდებები.

თვითონ არაფერს იტყვის, სულ ზის და ფიქრობს, ასეთი რომანტიკული სახელი კი აურჩევია!

ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო იქნება. მე არ ვაჭარბებ. ამას წინათ მთავრობის ჯარებმა ერთი სოფელი დაწვეს და სამი გლეხი დახვრიტეს, ეჭვი ჰქონდათ, პარტიზანებს ეხმარებიანო, პარტიზანებმა ორი გლეხი დახვრიტეს, რომლებიც მთავრობის ჯარებს მათი სადგომისკენ უჩვენებდნენ გზას. ჟანდარმებმა ერთი ტუსაღი მიწაში ჩასობილ გემის ანძას მიაბეს და ასჯერ უთავაზეს სქელი რკინის ჯოხი, მეორე დღეს მან თავი მოიკლა ციხეში. ქალაქში პარტიზანების მიერ დამონტაჟებულმა ბომბმა მთავრობის ჯარების ერთი ოფიცერი და ერთი უდანაშაულო კანფეტების გამყიდველი მოხუცი იმსხვერპლა. პოლიციელებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეაჩერეს ლიცეისტთა დემონსტრაცია. დაიღუპა ცამეტი წლის ბიჭი და ვერავინ გაბედა დედამისისთვის ამის თქმა. ერთმა ს. ტ. ე-მ ცეცხლი გაუხსნა „სტანდარტ ოილის“ ნავთობსაცავს. ხანძარში ორი მუშის ოჯახი დაიღუპა, უმცროსი ბავშვი რამდენიმე თვის იყო. რამდენიმე დღის წინ კი ჩვენი აქტივისტის, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტის გვამი იპოვეს, რომელიც ისე იყო დამახინჯებული, რომ დამ ძლივს ამოიცნო კბილებით. ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომია, გეფიცებით.

მამაჩემი, ხუან რამირო პერდომო ბევრ რამეში არ გვეთანხმება. იგი პრეისტორიული ხანის კომუნისტია და არ ესმის რევოლუციის ახალი ენა, რომელიც ქმნის თუ არა თეორიას, მაშინვე ცხოვრებაში ატარებს. მუშათა კლასი რევოლუციის ავანგარდი და ჰეგემონია, — იმეორებს მამაჩემი ოდესღაც წაკითხულ სიტყვებს. კი მაგრამ, თუ მუშათა კლასი მხოლოდ პურზე ფიქრობს, რა ქნას რევოლუციამ, დაიცადოს? მამაჩემი ამბობს, რომ მარქსიზმი დიალექტიკურად ვითარდება და ის არასოდეს შეიცვლის თავის პრინციპებს რევოლუციის სნობების სასარგებლოდ. მამაჩემი სიტყვას იღებს მაშინაც, როცა არავინ სთხოვს, და მაღალფარდოვან წინადადებებს წარმოთქვამს. ცხოვრებაში ასე არავინ ლაპარაკობს. ბელარმინო ფრჩხილების გაქლიბვას მორჩა, საათს დაჰყურებს და ორად მოკეცილი ცხვირსახოცით შუბლიდან ოფლს იწმენდს. კარმინია გვერდს ინიშნავს და წიგნს ხურავს. მე ვგრძნობ, როგორ მიღრღნის უხილავი მღლია შიგნეულს. რევოლუციას, რომლის მოხდენასაც მუშათა კლასის გარეშე ფიქრობენ და იქნება ამბოხებული ახალგაზრდა ინტელექტუალების წყალობით, რომლებსაც არც სათანადო თეორიული მომზადება გააჩნიათ და არც მუშათა კლასის როლს აღიარებენ, უწოდეთ, რაც გნებავთ, ოღონდ არა მარქსისტულ-ლენინური, ასე ფიქრობს მამაჩემი, ხუან რამირო პერდომო და მას ვეღარაფერი შეაცვლევინებს აზრს. შავ-წითელ ფერებში გამოწყობილი კარმინია 26 ივლისს გვაგონებს. ბელარმინო ჯერაც ვერ მოსულა აზრზე სიხარულით. ვინ იფიქრებდა, რომ კუბა, ტურიზმისა და თამბაქოს კუნძული, სავსე მეძავებითა და ბარებით, რომითა და კაზინოებით ჩვენზე ადრე მოახდენდა რევოლუციას, მაშინ როცა ჩვენ რამდენი ხანია ყველა პირობა გვაქვს რევოლუციის მოსახდენად. ანტიიმპერიალისტურად განწყობილი მასები, ლატიფუნდიები, ნავთი, რკინა, ელექტროობა და რა ვიცი, რა აღარ... ყველაზე ცუდი ისაა, რომ თუ ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა, ე. ი. თუ მამაჩემისნაირ ხალხს, რომლებსაც არც გამოცდილება აკლიათ და პატივისცემასაც იმსახურებენ, ოღონდ ჩვენს ატომურ-კოსმოსურ ერას ფეხს ვერ უწყობენ, არ ჩამოვართმევთ

მმართველობის სადავეებს, ადგილიდან ვერასოდეს დავიძვრებით. მამაჩემს ეს არ ესმის და ამბობს: ახალგაზრდობა თავისთავად რევოლუციურ ძალას არ წარმოადგენს. ეს ადამიანის ცხოვრების ეტაპია, რომელიც ყველამ უნდა გაიაროს, ფაშისტი იქნება, პოლიციელი თუ ჯარისკაცი. ახალგაზრდასა და ხნიერ რევოლუციონერს შორის ის განსხვავებაა, ვიქტორინო, რომ ამ უკანასკნელმა ყველაფერი გადაიტანა, დევნა, რეპრესიები, პატიმრობა და მაინც რევოლუციონერად დარჩა. დედა არ ერევა ჩვენს კამათში, იქნებ მასაც სურს რაიმეს თქმა, მაგრამ არ ამბობს, იქნებ ტირილი სურს და არ ტირის, მას ურჩევნია რაიმე ფიზიკური ტკივილი სტანჯავდეს, ოღონდ მე და მამა არ ვკამათობდეთ. მე ბანკში შესვლისთანავე მსუქან მოლარეს ვეცემი: არ გაინძრე! ხელები მაღლა! ამპარა სამიდან ოთხ საათამდე ხელოვნების ისტორიის ლექციაზე იჯდება „ვაზარის თანახმად ლუკა სინიორელის ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, რომელიც ჩვიდმეტი წლის ასაკში დაიღუპა". ამპარა ფიქრობს, რომ მე ვალენტინთან ვარ და ფროიდის თეორიებს ვსწავლობ. მეთაური ბელარმინო ისევ საათს დაჰყურებს, შემდეგ გაზეთს იღებს და ხმამაღლა კითხულობს რეკლამას, რომელიც ევროპაში სამოგზაუროდ გვიწვევს „ერ ფრანსის" თვითმფრინავებით. უკანა ხედზე ტრიუმფალური თაღი მოჩანს. ფსევდოფილოსოფოსები, რომლებიც საზოგადოებას თაობებად, ე. ი. ბიოლოგიურ-ასაკობრივი თვისებების მიხედვით ჰყოფენ და არა კლასებად, ბურჟუაზიას მიტმასნილი სოფისტები არიან, — ამბობს მამაჩემი. მაინც არასასიამოვნოა იმაზე ფიქრი, რომ დღეს საღამოს შეიძლება პოლიციას ჩაუვარდე ხელში, რომ შეიძლება დაუნდობლად გაწამონ, სახეში შეგაფურთხონ და გაგინონ. მე, დარწმუნებული ვარ, გავუძლებ ტანჯვას და არ გავცემ ამხანაგებს, მაგრამ მაინც არ მსურს ამ საშინელების გამოცდა. კარმინია კი ლამაზი გოგოა, თუმცა ბევრი ტენდენციური ფსიქოლოგი ამტკიცებს, რევოლუციონერ ქალთა უმრავლესობა მახინჯიაო. ახლა სამი საათი და ათი წუთია. ამ დროს მამაჩემი კლასიკოსების საკითხავად ჯდება, ან სტატიას წერს გაზეთისთვის, ან სულაც მოხსენებას ამზადებს. მამაჩემს დეპუტატად გახდომა უნდა, რათა მაღალი ტრიბუნიდან ამხილოს იმპერიალიზმის ხრიკები. სიტყვა ეძლევა მოქალაქე დეპუტატ ხუან რამირო პერდომოს, როგორია? მაგრამ მამაჩემს არ ესმის, რომ რევოლუცია ენის ტრიალით კი არ კეთდება, არამედ ძალადობით. მე არ უარვყოფ, ვიქტორინო, რომ ძალადობა შეიძლება რევოლუციის ბებიაქალი გახდეს, მაგრამ მე უარს ვამბობ ტერორის კულტზე და არ მწამს უაზრო, თეორიულ საყრდენგამოცლილი ძალადობა, ჯიუტად იმეორებს მამაჩემი. ლათინური ამერიკის ახალგაზრდობა კი ვულკანია და მისი სიტყვებით და არგუმენტებით ჩაქრობა არ შეიძლება. კუბის რევოლუციაზე რაღას იტყვი, მამაჩემო?! მე ფ. ა. ლ. ნ'-ის წევრი ვარ და საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ვაგდებ იმ ოპერაციებში მონაწილეობით, მამაჩემი რომ უარყოფს. ამით მე ასჯერ უფრო რევოლუციონერი ვარ, ვიდრე იგი მთელი თავისი თეზისებითა და ზედმეტი ღირებულების თეორიით. მე მას მისი თეზისებით ვებრძვი. ამ პაექრობების ერთადერთი უტყვი მოწმე დედაა, იგი არც ერთს არ გვემხრობა, მას არ უნდა ჩვენს მსაჯულად ყოფნა. იარაღი ერნესტომ მოიტანა ჩემოდნით.

---

[1] ფ. ა. ლ. ნ. — ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალები, აერთიანებდა პარტიზანულ ჯგუფებს და. დივერსიულ შენაერთებს.

იქ სანტა-როსალიას ს. ტ. ე-ს მიერ ფრედისთვის გამოგზავნილი პისტოლეტიცაა. ახლა ჩემოდანი მეზობელ ოთახშია და ჩვენ სათითაოდ შევდივართ იქ ჩვენ-ჩვენი იარაღის შესამოწმებლად. მთელი უბედურება ისაა, რომ ანარქიზმი, კარგა ხნის დასამარებული რომ გვეგონა მარქსის, ენგელსის, ლენინის, პლე-ხანოვის და სტალინის მიერ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში უკვე აღორ-ძინდა და შენც ანარქისტივით მსჯელობ, ვიქტორინო, ეს იგივეა კუჭ-ნაწ-ლავის სამკურნალოდ ექიმბაშს რომ მიაკითხო, — მამაჩემის ამ სიტყვების შემდეგ მე დავტოვე მშობლიური სახლი, რომელსაც მამაჩემისა და ჩემ გა-მო მუდმივად უთვალთვალებდა საიდუმლო და ჩვეულებრივი პოლიცია. დავ-ტოვე სახლი, რომელმაც ჩვენი გაუთავებელი კამათისა და დედის შეკავებული ცრემლების გამო ჩვეული სიმყუდროვე დაკარგა, და ამ საზიზღარ პანსიონში დავსახლდი მაწუელ პადილიას სახელით, სადაც ვერც ოჯახური უღელი მომ-წვდება და ვერც მამაჩემის დიალექტიკა. ოთხ საათსა და ოცდაორ წუთზე ტრეს კრასიასის მოედანზე ვიქნებით, იქ, კარსის მახლობლად, ყოველთვის დგას პოლიციის პატრული და, ვინ იცის, იქნებ ეჭვიც კი აიღოს ჩვენზე, ხუ-თი კაცი და ერთი ქალი ხომ მძარცველების ტიპიური შემადგენლობაა, თუ ჩვენზე ეჭვს აიღებენ და გამოგვეკიდებიან, ბელარმინო... ახლა მამაჩემი ისევ საპატიმროშია, ამჯერად სან-კარლოს ციხეში მოათავსეს. დედა ისევ მარტო დარჩა. ესეც მაგის დემოკრატია! ესეც მისი დეპუტატის ხელშეუ-ხებლობა! ზუსტად დეპუტატის სავარძელში დააპატიმრეს და განცხადების გაკეთების ნებაც არ მიუციათ, ისე გააქანეს სან-კარლოსში. ახლა ალბათ სა-კანში ზის და ენგელსის „ანტიდიურინგს" კითხულობს. ჩემი მოლარე ორმო-ცითდე წლის მსუქანი და ულვაშა კაცია, ალბათ შვილებიც ჰყავს. ის ცისფერ ფორმაშია გამოწყობილი და მონეტებს ახარისხებს: ალუბლისფერი ათიანები და მწვანე ოციანები ერთ მხარეს, სტაფილოსფერი ორმოცდაათიანები და შოკოლადისფერი ასიანები მეორე მხარეს. მე პირდაპირ ცხვირში ვატაკებ რე-ვოლვერს და ვუბრძანებ არ გაინძრეს. კარმინია ფეხიფეხზე გადადებული ზის, წითელი ქვედაკაბა მუხლებს ზემოთ ასწევია და ლამაზი ფეხები მოუჩანს. ნე-ტავ დილით რა დამემართა ამპარასთან, რა ლამაზი და რა ქალური ჩანდა, შიშველი რომ იდგა რადიოლასთან და ჯოან ბაეზის სიმღერას უსმენდა, სამაგიეროდ, სხვა დროს სასწა-ულებს ვახდენდით. სამაგიეროდ, რევოლუცია რომ გაიმარჯვებს, — რატომ არ უნდა გაიმარჯვოს ვითომ! და მთავრობა რომ დაემხობა. — ეს კი აუცილებ-ლად მოხდება! ამპარას მოვძებნი და მთელი სამი დღით ჩავიკეტებით მის ოთახ-ში, დედამისმა, თუ უნდა, კარი შემოგვიმტვრიოს. ყველას გაუკვირდება, სა-დაა ვიქტორინო, რატომ იმალება ამ ბედნიერ დღესო. ბელარმინოს ყველაზე სახიფათო საქმე — პოლიციელის განიარაღება ევალება. ზუსტად 4 საათსა და 27 წუთზე მე და ბელარმინო ბანკში შევალთ. რევოლვერმა რომ მიმტყუ-ნოს? მსუქანი მოლარე ფულის თვლით იქნება გართული. სროლა რომ ატყდეს? დღეს თუ მომკლავენ, იმედია, ლარუსები ერთი კვირა მაინც მაც-ლიან განსაწმენდელში ყოფნას და მერე გამოიძახებენ ჩემს სულს, — ეს ბელარმინოა. რა დროს ასეთი ხუმრობაა! 4 საათსა და 26 წუთზე მე მანქა-

ნის მარცხენა კარიდან გამოვალ ქამარში რევოლვერგაჩრილი, სპარტაკი, რომელმაც ბანკის მმართველს უნდა მიხედოს, მარჯვენა კარიდან გადმოვა ჩემოდნით ხელში. ისიდორო ს. ტ. ე. უკვე კათოლიკურ კოლეჯთან [illegible] მისული, მაგრამ რომელიმე ჩვენგანი რომ დაიჭირონ? გახურებული [illegible] რომ აწამონ, ცემით ღვიძლი გაუხეთქონ, კაუჭზე დაჰკიდონ და [illegible] საათს დააყურებს და დგება. ჩვენც ვდგებით, როგორც იქნა, [illegible] ამ აუტანელ მოლოდინს. ახლა ზუსტად 4 საათია. სროლა რომ ატყდეს, ამბარა?

არავის ძალუძს მომავლის გამოცნობა, არც ბელარმინოს, არც ფანტაზიორ ვიქტორინოს, არც ლარუსების მიერ გამოძახებულ სულებს. „ნუ ეცდები ხვალინდელი დღის განჭვრეტას“, — მგონი, ასე ამბობს ჰორაციუსი. მხოლოდ მოაზროვნე სპარტაკს აწუხებს წინათგრძნობა და ეჭვი. ისიც ფ. ა. ლ. ნ-ის წევრია, ოღონდ არავინ იცის, რა მიზნით შემოვიდა ორგანიზაციაში, იქნებ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე სიარული აუცილებელი იყო მისი მეამბოხე სულის დასაწყნარებლად, ან იქნებ სხვებისგან გამორჩეული უნდოდა ყოფილიყო, იქნებ მოსწყინდა დახუთულ კრებებზე ჯდომა, სადაც მამაკაცის ოფლისა და იაფფასიანი თამბაქოს სუნი დგას, მოსწყინდა პროპაგანდისტული მუშაობა (დაწერ კედელზე უწყინარ ლოზუნგს „გაუმარჯოს ჩე გევარას!“ და პოლიციელი ცემით გაგხეთქავს) და იარაღით ხელში ბრძოლა გადაწყვიტა. ეს რომანტიკული ზედმეტსახელი საიდანღა მოიტანა? სპარტაკი გულჩათხრობილი ბიჭია, თავის ფიქრებს არავის ანდობს და ამიტომ არც არავინ იცის რომ მას, ცოტა არ იყოს, მობეზრდა პარტიული ხელმძღვანელების ცენტრალისტური პედანტიზმი, მობეზრდა ს. ტ. ე.-ს მეთაურის ბრძანების უსიტყვოდ შესრულება და სიკვდილის შიშიც შეეპარა, რადგან მიხვდა, რომ არ ღირდა ნაადრევი, თუნდაც გმირული სიკვდილი. სპარტაკი ერთი კვირის წინ, თავის სადარბაზოს ლიფტთან დააპატიმრა საიდუმლო პოლიციამ და პირველივე მუქარის შემდეგ ...ით დაგკიდებთო, გატყდა... ახლა სპარტაკი ერთადერთია, ვინც გრძნობს, ვინც იცის, რომ ოპერაცია ჩასაშლელადაა განწირული.

4 საათსა და 3 წუთზე რაზმი ლარუსების სადარბაზოდან გამოდის.

დიახ, მომავალს ვერავინ იწინასწარმეტყველებს. ტრეს გრასიასის მოედანზე მდგარი პატრული ისე გაუშვებს შავ „შევროლეს“, რომელშიც ხუთი კაცი და ერთი ქალი იჯდება, თითქოს არაფერი საეჭვო არ შეუნიშნავსო. ბელარმინო მათ დასანახად ხელებს გაშლის, ვითომ რაღაცას ყვება, სინამდვილეში კი იტყვის, თუ ვინმეს შემთხვევით რაიმე ქაღალდი ჩაგრჩათ ჯიბეში, სხვა გზა არ არის, უნდა გადაყლაპოთო, და დაამატებს, საშიშროებას მხოლოდ მაშინ გაუმკლავდები კაცი თუ არ შეგეშინდებაო. დანარჩენები ჩუმად ისხდებიან. ყურებჩამოყრილი სპარტაკი თვალს ვერ მოსწყვეტს შერცხვენილ მუხლებს.

4 საათსა და 26 წუთზე ვალენტინი ბანკიდან შვიდიოდე მეტრზე გააჩერებს მანქანას. ვიქტორინო მარცხენა კარიდან გადავა, სპარტაკი და ფრედი — მარჯვენადან. წინა კვარტალში გადმოსული ბელარმინო მშვიდი სახით ჩაივლის ქუჩაში. მხარზე ლაბადა ექნება მოგდებული, რომელიც იღლიაში ამოჩრილ იარაღს დამალავს. ბანკთან ლატარიის ბილეთების გამყიდველი დგება და ბედნიერ ნომრებს იყვირებს. კუთხეში ჩაცუცქული ხეიბარი მათ-

ხოვარი ვედრებით გამოიწვდის ხელს. არჩევანი გაკეთებულია. ს. ტ. ე. შეტევაზე გადავა. ხელები მაღლა! არ გაინძრეთ!

მცველი პოლიციელი, მიღებული ინსტრუქციის თანახმად, წინააღმდეგობის გაუწევლად დაუთმობს ბელარმინოს ტყვიებამოცლილ რევოლვერს. მსუქანი მოლარე ვიქტორინოს პირველსავე სიტყვებზე აკანკალდება. არ მესროლოთ, სენიორ! აიღეთ, რამდენიც გნებავთ! არ მესროლოთ, მე ორი შვილი მყავს! მოლარე არ იქნება წინასწარ გაფრთხილებული, არც ქერა მდივანი, რომელსაც იარაღის დანახვაზე გული წაუვა (სწორი ყოფილა კარმინია) და გახსნილი ჩანთიდან საპუდრე, ცხვირსახოცი, სავარცხელი, ნემსი და ძაფი, საღეჭი რეზინა, ასპირინი, სანთებელა, ამულეტი, დეზოდორანტი, სავიზიტო ბარათები, პირადობის მოწმობა, წერილი და ფირმა „კიუტექსის" პატარა პაკეტი გადმოუცვივდება. დარბაზში ზურგზე კოლტმიბჯენილი მმართველი შემოვა სპარტაკის თანხლებით. მას ეცოდინება, რაც უნდა მოხდეს, მაგრამ სახეზე ისეთი შიში ეხატება, თითქოს არაფერი იცოდეს... ეს ბანდიტები ყველაფერზე წავლენ. მმართველს მელოტ თავზე ოფლის წვეთები უბრწყინავს. ეს ბანდიტები არაფერზე უკან არ დაიხევენ. ვიქტორინო სწრაფად ჩააწყობს ფულს ჩემოდანში და მეთაური ბელარმინო სიამოვნებით გაიფიქრებს, რომ არც ერთი ოპერაცია ჯერ ასე მშვიდად და წყნარად არ ჩატარებულა.

მაინც ვერავინ იწინასწარმეტყველებს მომავალს. 4 საათსა და 35 წუთზე, ოპერაციის დამთავრების შემდეგ, უკვე ქუჩაში შეამჩნევენ სპარტაკის არყოფნას. რა მოუვიდა ნეტავ? აღარც შავი „შევროლე" იქნება ადგილზე. ვალენტინს რაღა დაემართა? ან ქალის თავგანწირული კივილი რაღას ნიშნავს? ეს კარმინიას ხმაა. ლატარიის ბილეთის გამყიდველი ავტომატით შეიარაღებული მაძებარი აღმოჩნდება, ხეიბარი მათხოვარი, რომელიც სინამდვილეში სულაც არაა ხეიბარი, „ვალტერს" იძრობს. შემთხვევითი გამვლელები ტროტუართან მდგარი მანქანების უკან გაწვებიან, მეზობელი აივნებიდან სხვადასხვა ზომის ავტომატის ლულები იქნება მათკენ მომართული, ცრემლსადენი ბომბი მათ ფეხებთან აფეთქდება და მხოლოდ მაშინ მიხვდებიან ყველაფერს.

ფრედი, როგორც ყოველთვის, პირველი მიიღებს გადაწყვეტილებას და კუთხისკენ გაიქცევა, მაგრამ პოლიციელის ნაცადი ხელი ერთი დარტყმით დააბრუნებს უკან. ბელარმინო „ტომპსონს" შემართავს და წელში გამართულ მათხოვარს მიუშვებს ტყვიების ჯერს. ის კი მოკვდება, მაგრამ ათასი ტყვიით დაცხრილული ბელარმინოც საკუთარი სისხლის გუბეში ჩაემხობა, თვალებს ამოატრიალებს და უხმოდ, ნამდვილი მეთაურივით მოკვდება. შუა ქუჩაში მარტოდ დარჩენილ ვიქტორინოს მორჩილების გრძნობა დაეუფლება: რისთვის გაიქცეს? რისთვის ისროლოს? რისთვის იცოცხლოს? მას ექვსი კაცი დაესხმება თავს და სახეში რევოლვერის ტარის ცემით სადღაც წაათრევს, ჰამპარა!

ეს ყველაფერი 4 საათსა და 27 წუთიდან 4 საათსა და 36 წუთამდე მოხდება. ჯერ მხოლოდ 4 საათი და 3 წუთია. ს. ტ. ე-ს ექვსი წევრი ლარუსების სახლს სტოვებს და შავ „შევროლეში" ჯდება. ვალენტინის გვერდით კარმინია და ბელარმინო თავსდებიან, დანარჩენები — უკან. სპარტაკის გარდა არა-

ეის, თვით ლარუსების მიერ გამოძახებულ სულებსაც კი არ ძალუძთ მომავ-
ლის წინასწარმეტყველება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაკვეთის აქტის ერთ ნაწილში ნათქვამია:

„იგარდა იმ ტრავმებისა, რამაც მოქალაქე ვიქტორინო პერდომოს სიკვდი-
ლი გამოიწვია, გაკვეთამ გვიჩვენა:

ა) მარჯვენა ნეკნის მოტეხილობა.

ბ) ღვიძლისა და მარჯვენა ფილტვის სეროოზული დაზიანება.

გ) სისხლჩაქცევები მუცლის არესა და მკერდის მარჯვენა ნაწილში.

დ) ჭრილობები მუცელზე, მკერდზე და სასქესო ორგანოებზე.

ე) სუბპლევრიული (მარჯვენა მხარეს) და სუბეპიკარდიული სისხლჩაქ-
ცევები.

ვ) შარდის ბუშტის გადიდება და სისხლი შარდში.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, ეჭვი გვეპარება, რომ მხოლოდ ფანჯრი-
დან გადმოვარდნა გახდა მოქ. ვიქტორინო პერდომოს სიკვდილის მიზეზი".

აქტის მეორე ნაწილში ვკითხულობთ:

„ძნელი სათქმელია, დაზარალებული თავისით გადმოხტა მეოთხე სარ-
თულიდან, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, თუ ვინმემ გად-
მოაგდო. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საქმე გვექნება მკვლელობასთან, რომ-
ლის გამოძიება, შესაბამისი მტკიცებების უქონლობის გამო ჩვენს კომისიას
არ შეუძლია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რა პირობებში იმყოფებოდა პა-
ტიმარი (ხელები ზურგს უკან, ფეხები შებორკილი) სიკვდილის წინ, თუ გა-
ვითვალისწინებთ ფანჯრის სიმაღლეს, საიდანაც ვითომდა გადმოვარდა, და
აგრეთვე სხვა გარემოებებს, თვითმკვლელობის ვერსია საეჭვოდ მოგვეჩ-
ვენება. საჭიროდ მივაჩნია გამოძიების პროცესში წარმოდგენილი ყველა სა-
ბუთის ხელახლა გადამოწმება და გულდასმით გამოძიება."

დასასრულს ნათქვამია:

„მენჯის ძვლის სიმრუდე გამორიცხავს მტკიცებას თითქოსდა დაზარალე-
ბულს სისხლი შარდში მიწაზე დაცემის შემდეგ ჩაექცა. თუ ფილტვის დაზია-
ნება შეიძლება დავარდნის შედეგად მივიჩნიოთ, შარდში სისხლის აღმოჩენა
მხოლოდ და მხოლოდ ცემის შედეგია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდი-
ნარე, კომისია თვლის, რომ სიკვდილამდე მოქალაქე ვიქტორინო პერდომო
სასტიკად აწამეს და ცემეს".

1962 წლის 26 მაისს ასეთივე სიკვდილით დაიღუპა ხოსე გრეგორიო რო-
დრიგესი, რომელიც, როგორც პოლიტპატიმარი, პოლიციის გენერალურ სამ-
მართველოში იმყოფებოდა. ოღონდ ვიქტორინო პერდომოს სიკვდილის დღეს
18 წელი შეუსრულდა, ხოსე გრეგორიო როდრიგესი კი 35 წლის კაცი იყო,
ოთხი ობოლი დატოვა და არც რომანში მოხვედრილა. თუმცა ჩვენ თემას
გადავუხვიეთ.

## როცა მეტირება, არ ვტირი

დედილომ თიხის ქოთანი იყიდა და შავად მოფარდა. მანამდე მორგში
ინახულა შვილის გვამი, სახლში გადმოასვენა, სასაფლაოზე აუცილებელი
ფორმალობა მოაგვარა და ახლა შვილის ფერფლს მიასვენებს დასამარხად.
ურნა ორ მესაფლავეს მიაქვს, მათ დედილო მიყვება თორმეტ ბოლივარად

ნაყიდი ზიზილების თაიგულით და „მამაო ჩვენოს“ ჩურჩულით, ისინი გათხრილ საფლავთან ჩერდებიან და დედილოს ფაკუნდო გუტიერესი ახსენდება, რომელიც, აგერ უკვე რამდენი წელია არ უნახავს და, თუ ჯერაც არ [illegible]ლებულა, ალბათ მთვრალი გდია სადმე. მესაფლავეები თოკმობმულ ურნას საფლავში უშვებენ. დედილომ თავს სიტყვა მისცა. ხალხში არ[illegible] ვიქტორინო, მაგრამ ცრემლებს მაინც ვერ იკავებს. მესაფლავეები [illegible]რაკზე აგურის ნატეხს დებენ, რომელსაც ფისით 715 283 აწერია, შემდეგ მტვრიან შუბლს ჭუჭყიანი ცხვირსახოცებით იწმენდენ და ბილიკს მიუყვებიან. ვიქტორინო მარტო რჩება ღარიბთა ერთნაირ საფლავებს შორის, ახლა მას საკუთარი თიხის ურნა, თორმეტ ბოლივარად ნაყიდი თაიგული და დედის ცრემლები აქვს. დედა მესაფლავეებს ემშვიდობება და სასაფლაოს კანტორისკენ მიდის.

დედიკო ფეხზე ძლივს დგას. მარცხნიდან დონია ადელაიდა ამოსდგომია, მარჯვნიდან რომელიღაც დაქალი, ხვალ ვერც კი გაიხსენებს, რომელი. ადრე ჩამოწოლილი ბინდი თუ ცრემლები ხელს უშლის დედილოს მარმარილოს ანგელოზებსა და წმინდა ქალწულებს შორის გამოყოფილი ნაცნობი სახეები გაარჩიოს. ვიქტორინოს ექვს მეგობარს მხრებით მოაქვს ურნა. მათ უკან ყვავილების უწყვეტი ნაკადი მიედინება, ზამბახები, ვარდები, ჰორტენზიები, ჯილვარები, იები. ნარცისების სუნი დედიკოს თავის ტკივილს უძლიერებს. ურნას ფრთხილად უშვებენ საფლავში და დედიკოს ცრემლები სცვივა. ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია დაკრძალვას არ ესწრება. რამდენიმე დღის წინ იგი ლონდონში გაემგზავრა სასწრაფო საქმეზე (ყოველ შემთხვევაში, დედიკოს ასე უთხრა). ტრაგედიის შემდეგ შინაურებმა ავისმაუწყებელი დეპეშა გაუგზავნეს და ისიც ამაოდ ეცადა თვითმფრინავის ბილეთის აღებას. დედიკოს შორიდან ესმის კაპელანის ხმა: Libera me Domine de morte aeterna...[1] ინჟინერი არხიმირო პერალტა ერედია ხვალ დილით ჩამოფრინდება, მაგრამ ამ ლახვარს ვერ გადაიტანს. ვიქტორინო მისთვის ყველაფერი იყო... კაპელანი სულის მოსახსენებელ ლოცვას კითხულობს. ცერემონია დასრულდა. დედიკო პერალტების საგვარეულო აკლდამიდან გამოდის და ვიღაცის ხელებზე მიესვენება, ხვალ ვერც კი გაიხსენებს — ვისაზე.

ვიქტორინოს დაკრძალვაზე მოსულ ორმოცდაათ ახალგაზრდას შორის ჩამდგარი დედა თავის მარტოობას გლოვობს. ეს გოგო-ბიჭები ერთი წუთით არ მოსცილებიან მას. პოლიციის აგენტები მათ სახელებს იწერენ, პროცესიას მისდევენ, ვიქტორინოს ურნას დაუფარავი ზიზღით უცქერენ და დაბალ ხმაზე აგინებენ კიდეც. მადლობა ღმერთს, სასაფლაოს კართან მაინც გაჩერდნენ. ახალგაზრდები „Bella, ciao“[2]-ს სიმღერით მიაბიჯებენ. „მე თუ დავეცი ბრძოლაში, აიღე ჩემი იარაღი“... დედა უფრო და უფრო გრძნობს მარტოობას. ნათესავებმაც კი ვერაფერი შეიტყვეს ვიქტორინოს სიკვდილზე. გაზეთები მოკლე ინფორმაციას დასჯერდნენ. მოკლულებზე კრინტიც არ დაუძრავთ. დედას ვერაფრით გაუგია, ამ ორმოცდაათმა ახალგაზრდამ საიდან შეიტყო მისი უბედურება. ისინი მთელი ღამე ვიქტორინოს ცხედართან მორიგეობ-

---

[1] მიხსენ, უფალო, სამუდამო სიკვდილისგან (ლათ.).

[2] იტალიელი პარტიზანების სიმღერა: „მშვიდობით, ძვირფასო“.

დნენ, ახლა კი ფიცს სდებენ: ჩვენ შურს ვიძიებთ, ვიქტორინო! შურს ვიძიებთ! შემდეგ ურნას მხარზე იდგამენ და ვიწრო ბილიკს მიუყვებიან. ურნას წითელი დროშა და სამგლოვიარო შავი ბაფთი აქვს შემოხვეული. ხუან რამირო პერდომო სან კარლოსის ციხეში ზის. მას უფლება არ მისცეს შვილის დაკრძალვას დასწრებოდა. ვიქტორინოს გათხრილი საფლავის გვერდით ასობით ერთნაირი საფლავია, ყოველ მათგანზე შავ მარმარილოში გამოკვეთილი ქრისტეს პატარა ფიგურა დგას. ეს სერიული გამოშვების ქრისტე იაფი ღირს. დედამაც იყიდა ერთი ვიქტორინოს საფლავისთვის. „O, bella, ciao, bella, ciao, — მე კომუნისტი ვარ და კომუნისტად მოვკვდები...“ ვიღაც გოგო დედასთან ერთად ტირის. სტუდენტები ერთხელ კიდევ სდებენ ფიცს. ხუან რამირო პერდომო თავის საკანში ზის და სიმწრისგან მუშტებს იღრღნის. ქვეყნად ვერც ერთი მარტოობა ვერ შეედრება დედის მარტოობას. ახალგაზრდები მასთან მიდიან, სათითაოდ ეხვევიან და ისევ ისმის სიმღერა: „ნათელ მზიან დღეს მე მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად ავსდექი“... დედა ნელა მიუყვება ბილიკს ფიჭვებსა და მარმარილოს ქრისტეებს შორის, მის გვერდით ის მტირალი გოგონა მიდის.

და აი, პირველად და უკანასკნელად იკვეთება შავებში ჩაცმული სამი ქალის გზა. იმისი, ლატაკთა სექტორში რომ დამარხა შვილი, იმისი, პერალტების საგვარეულო აკლდამიდან რომ გამოვიდა, და იმისი, ჩუმად რომ მიუყვება ბილიკს. სამი შაოსანი ქალი გულგრილად უყურებს ერთმანეთს. თითქოს პირველად შეიყარნენო — ისინი მართლა პირველად ხედავენ ერთმანეთს, და თითქოს არაფერი საერთო არც აქვთ.

□

# ივან დრაჩი

## ლეონარდო და ვინჩი

(ნაწყვეტები სიმფონიიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინულიდან
თარგმნა ხოსო ჩოჩიამ

### III ნაწილი. ანდანტე

### ლეონარდო და ვინჩის აჩრდილი

უსასოობა, დღეს რომ ჩემში ასე ბატონობს,
შესაძლოა რომ დამეუფლა იტალიაში,
ალბათ სწორედ იქ, — ფლორენციაში, ოდეს ვიხილე
პროექტი იგი ლეონარდოს ტყვიამფრქვევისა
და აღარ ძალმიძს მოვათავსო ჩემს გონებაში
საოცრებათა ეგრე სადად შერწყმის უნარი —
აერთიანებს ეს ქმნილება ორ საოცრებას,
ორ ენერგიას: მნგრეველს და შემქმნელს,
ბოროტს და კეთილს განაზავებს თვის არსებაში.
იქნებ იფიქროთ რას მადარდებს ეს ყოველივე!
ცეცხლს რად მიშენს ლეონარდოს ტყვიამფრქვევი,
რად მიცხრილავს ჯვარედინად მკერდს?
რამ გაგვაკვირვოს იმდენი რამ გადაგვხდენია
და გვისწავლია ამ უკუღმართ ასწლეულებში, —
თვის სტომაქში რომ მოუქცევიათ
ოსვენციმებიც, ხიროსიმებიც!
ბაგეთ ნაკეცი ლეონარდოს, — უანალოგო!
წარბები მკაცრად ჩამოფხატვია
თვალებს, — ჭაღარა სევდით სავსე ჭას!
კაცური კაცი, დიდოსტატი დიდოსტატთ შორის, —
ალტაცებისგან ენები ჩაყლაპეს
ვაზარიმ და ჯიოვიომ პაოლომ,
ანონიმმა და ლომაცომ ბედკრულმა —
შენი გრაციის ჭეშმარიტმა დამფასებლებმა.
შენს გამჭრიახ და სხარტ გონებას, —
უდაბნოს ყოჩაღ, გაბედულ სამუმს
მათ ჯეროვანი პატივი მიაგეს!
აქ არაფერს აღარ ვამბობ შედევრებზე,
არ შევეხები საოცრებას, — „საიდუმლო სერობას",
სახტად ვრჩებით, მართლაც გვიკვირს გულწრფელად, —
მონა ლიზას იდუმალი ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ იშვა კატარინას ღიმისგან, —
საოცრად ჰგავს სოფლელ დედის ღიმილს...
რა იდეალებს უსახავდი კაცობრიობას.
იმასაც ვიტყვი საყოველთაოდ
და არ დავმალავ, ვაღიარებ იმ სიმყრალესაც,
გენიოსის სულმდაბლობას რომ უდის!
რად დაიმანჭე, ჩემო კარგო თანამედროვევ?
მე ჭეშმარიტად მაინტერესებს
მექანიკური ფიცხი ლომები,
რომ მიმოფანტეს შრომანა ირგვლივ
მხეცისთვალება ტირანთა ფერხთით!
როგორია ბუნებით მორალური ტაბუ?
ნუთუ ეს ბრძენთა მონაჭორია
გონებაჩლუნგი მასისათვის-მილიარდთათვის?!
იქნებ ბადეა შეგუებული
დანიშნულებას თევზისჭერისა,
თევზების მიერ რომ შეიქნა გატაცებული
და წალებული თევზებისვე სიცეტისაგან?!
აბა, შენი იცი თანამედროვევ,
არ შეუშინდე რაბლეანობას.
დიახაც მჯერა ორიგინალთა:
„მეფიქრება, რომ გაუხეშდა ხალხი ძალიან.
უხასიათო, ჭკუანაღრძობ ადამიანებს.
ეჭვგარეშეა, საერთო რომ არ გააჩნიათ
სპეტაკ, უმანკო და ზნეკეთილ კაცთა ჯილაგთან.
მართლაცდა: ზოგ-ზოგთ, კაც-კაცუნათ
უნდა ეწოდოთ
პატივცემული, დალექილი საჭმლის გამტარი, —
ნაყოფიერი წარმომშობი განავალისა
და მუყაითი შემვსებელი ტუალეტების,
რადგანაც მათგან სიკეთე არ ჩანს
და არც ველოდოთ უნდა არასდროს,
რადგანაც მათგან არ დარჩება აღარაფერი
გარდა გავსებულ ტუალეტისა“
ფერად ქაღალდში ვერ შეახვევთ ამ მკვახე სიტყვებს,
შემაძრწუნებლად ისე ავთ და ისე გესლიანთ,
როგორც ვიშხეველ ივანეს აქვს მოგვიანებით.
საფუძვლიანი, სარკაზმული სიტყვები კაცის
ზოგჯერ მწარე და შემზარავად ავადმყოფური
(ავადმყოფური?! რაო, რა თქვით?! ეს ლეონარდოს?!
მაშ ვის სიტყვას დაერქმევა ჯანმრთელი?!)
ადასტურებს ამ კლდე-კაცის ჯანმრთელობას, —
დიდოსტატისა დიდოსტატთ შორის
და ჭეშმარიტად კაცური კაცის.
„ყველა სულდგმული მოთენთილია,
ქანცგაწყვეტილი, ღონემიხდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰაერი სავსეა მოთქმა-გოდებით,
განადგურდა ტყეები და საძოვრები.
გადათხარეს მთები მათში დამალული
მეტალის და მსგავსი განძის საძებნად.
რაღას ვუწოდო უფრო დიდი ავაზაკობა
თუ არა ქებით ცაში აყვანას,
პატივისცემის ნიშნად იმათი,
ვინც უსასტიკეს გამძვინვარებით
ვნებდა თავის მამულს
და კაცთა მოდგმას?!"
ბაგეთ ნაკეცი ლეონარდოს, — უანალოგო,
წარბები მკაცრად ჩამოფხატვია
თვალებს, — ჭაღარა სევდით სავსე ჰას...
ტყვიამფრქვევი კი კაკანებს და
და ტყვიის ჯერს უშენს,
ბოროტ იუდას თვალებიდან
ქრისტეს ჯერ კიდევ,
დაუსრულებელ, უწმინდეს სახეს!
კვლავ ის სარკული რეცეპტები
ნებას არ მაძლევს,
რომ ჩავიმუხლო. — შევისვენო, თუნდაც ცოტათი:
„ეძიე, იპოვე ახალი ხერხები,
მხუთავი გაზის შემზადებისა.
დარიშხანი შეაზავე გოგირდთან ან რეალგართან.
მიიღება ფერადი ხსნარი.
დისტილირებული გომბეშო თან მიწიერი.
ცოფიანი ძაღლის დორბლი.
დისტილირებული შინდი.
ტარანტული. შაბიამანი."
ან შხამიანი კირქვა,
გემზე სასროლად გამოსადეგი.
კიდევ ერთი ვარიანტი
ვინჩის გიჟმაჟი ტექნოლოგიის:
„თუკი გსურს შექმნა მყრალი სუნი,
აიღე შარდი, განავალი ადამიანის,
ნაცარქათამა თუ თათაბო ამყრალებული;
თუ არ გაქვს ხელქვეშ ეს ყველაფერი,
მაშინ კომბოსტო და ჭარხალი აიღე მაინც,
მოხუფე მინის ფერად ქილაში
და ერთი თვე შეინახე ნეხვში".
შემდეგ იგი დაამსხვრიე! დაამსხვრიე! დაამსხვრიე!
აქვე კი ჰქონდეს პირველსახე აირწინაღის, —
ზელინსკის მიხედვით დამზადებული:
„მჭიდროდ აიკარ ცხვირპირი ისე
დასველებული, თხელი ნაჭრით რომ
შიგნით სიმყრალემ არ შეაღწიოს!"

აი, ასე გაუფრთხილდი თავს! გაუფრთხილდი!
გაუფრთხილდი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილდახინები, ხალხს რომ ცელავენ,
მოწამლული ნაყოფები თუ მხუთავი გაზები,
საოცარმა გენიოსმა შესთავაზა ტირანებს, —
ლუდოვიკო მოროსა და ბოროტ ჩაზარ ბორჯიას.
იქნებ ეს მხოლოდ მისი ცდების პროექტებია?
სით ისწრაფვის შხამხარევი ფანტაზია,
რომელ ჰუმანურ წყალსადენებში?
თუმც საოკული რეცეპტები იყვნენ გამოუცნობნი,
მაგრამ ისინი ჩაისახნენ მხოლოდ მის ტვინში
და წიწკნიდნენ, აწუხებდნენ მის სულს.
მადონების ანტითეზას რომ შობდა?!
ესეც შენ, ჩემო სკეპტიკოსო თანამედროვევ,
არ გეგონოს თავს გახვევდე სილოგიზმებს,
სულს მიშანთავს ერთადერთი ეჭვი:
ლეონარდოს ტყვიამფრქვევი რომ არა,
სხვა მარცვალი ასწლეულთა მტვერში ჩაიფლობოდა?
იქნებ ოპენჰეიმერსაც ძველ ფერმაში ეცხოვრა
და ეფიქრა უფრო მხოლოდ იმაზე,
თუ უკეთ როგორ შეეკრა თივა
და ფონ ბრაუნის მას ალარც კი შეშურებოდა
იმად რომ ასე ხელეწიფება თივის ბჯად შეკვრა?
ხიროსიმაში არასდროს გახლდით,
მაგრამ ძალმიძს კი მტკიცედ ვამტკიცო, —
სევდისმომგვრელი აჩრდილი იგი,
რომ დარჩენილა დაღად კედელზე ადამის ძისგან,
გაელვებაა ოპენჰეიმერის რეცეპტის
და ამ ჩრდილს კი ლეონარდოს პროფილი აქვს:
ბაგეთ ნაკეცი ლეონარდოს — უანალოგო,
წარბები მკაცრად ჩამოფხატვილ
თვალებს, — ჭალარა სევდით სავსე ჰას!..

p. s.

და მე ვინ მომცა იმის უფლება,
რომ ამ ჩრდილს ჩრდილი მივაყენო, —
მარადიულ მზეს?!
ო, მომიტევე თვალშეუდგამო...
შავი ატომის ყამყაში
ისე შეგვძრავს — მე და ეპოქას,
ისე გვიწრიტავს სინდისსაც, ტვინსაც,
მზად ვართ დავკაინოთ დედის ძუძუც კი...

## IV ნაწილი. ფინალი

### ლეონარდო

(ვოლტერ ლოუენფელსის მიხედვით)

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ტეხასში, ორბიტაზე გასული პირველი
კოსმოსური ხომალდის ზებგერითი სუნთქვა
და რადარის გულისცემა დააკავეს, სათვალთვალო
სადგურში, მზირები საკუთარ თავს
ეკითხებოდნენ: „ვინაა შიგ? ლომი?
მაიმუნები? ადამიანი?“
მე კი უმალ შეგიცანი, ლეონარდოვ,
შეგიცანი არა ისეთი, როგორიც აღესრულე —
შორს გაძევებული სამშობლოდან, არა ყმაწვილკაცობის
ფლორენციულ წლებში, როდესაც
გრაცხდნენ შენ „ასევე შემოქმედადაც“,
არა ისეთი, როდესაც დაღუპული ადამიანებისა და
ცხენების ესკიზებს წერდი „ომის
საშინელებისათვის“ — სურათისათვის ჩვენამდე
რომ ვერ მოაღწია, არამედ უფრო ისეთი, როგორიც
შენივე ჩანაწერებში ხარ, სადაც
გაშიფრულია თანამგზავრის შორსმჭვრეტელობა,
რამდენიმე ასწლეულით რომ ჩამორჩა იმ ღამურის
მსგავს აპარატს, რომლის გაშვებასაც ნატრობდი ზეცაში.
მოგვიტევე, ლეონარდოვ, იმ ღიმილისათვის,
შენი გაშლილი ხელები რომ იწვევს ჩვენში
და რომლის მიღმა მხოლოდ ღამურის ფრთებია.
დადგა ჟამი, როცა უნდა გალიაროთ არა მარტო
ტილოების, ქანდაკებების, საომარი მანქანებისა და
ჰერცოგებისა და მეფეებისათვის
განკუთვნილი შადრევნების შემოქმედად.
ეს შენი სუნთქვაა, შენი გულისცემა ისმის
ახალ კოსმოსურ ხომალდში, საუკუნეებს რომ
გადალახავს, მიწის მიზიდულებას რომ
გაარღვევს და იმ ადამიანებს მიეახლება,
პირველად რომ შეიცნო, საითაც მივალთ.

# ჰენრიკ იბსენი

## როსმერსჰოლმი

დრამა ოთხ მოქმედებად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

### მოქმედი პირნი

**იოჰანეს როსმერი** — როსმერსჰოლმის მფლობელი, ყოფილი პასტორი.
**რებეკა ვესტი** — როსმერის სახლში ცხოვრობს.
**რექტორი კროლი** — როსმერის ცოლისძმა.
**ულრიკ ბრენდელი.**
**პეტერ მორტენსგორი.**
**მადამ ჰელსეტი** — მნე ქალი როსმერსჰოლმში.

მოქმედება მიმდინარეობს როსმერსჰოლმში, ძველებურ მამულში, პატარა ქალაქის მახლობლად, რომელიც დახავლეთ ნორვეგიაში ერთ-ერთი ფიორდის პირას მდებარეობს.

### პირველი მოქმედება

ვრცელი, მყუდრო, ძველებური გემოვნებით მორთული სასტუმრო ოთახი როსმერსჰოლმში. წინ, მარჯვენა კედელთან, ახლად მოტეხილი არყის ხის ტოტებითა და მინდვრის ყვავილებით შემკული ღუმელია. ცოტა მოშორებით — კარი. შუა კედელში ორსაგდულიანი შემოსასვლელი კარია. მარცხენა კედელში დატანებულ ფანჯარასთან — საყვავილე. ღუმელთან მაგიდა, დივანი და სავარძლები დგას. კედლებზე პასტორების, ოფიცრებისა და მუნდირში გამოწყობილი მოხელეების ძველი თუ ახალი პორტრეტები ჰკიდია. ფანჯარაცა და ორივე კარიც ღიაა. შემოსასვლელიდან ტანმაღალი, ბებერი ხეების ხეივანი მოჩანს, რომელიც ეზომდე უწევს. ზაფხულის საღამოა, მზის ჩასვლის შემდეგ.

ფანჯარასთან, სავარძელში ზის **რებეკა** და მატყლის ხელმანდილს ქსოვს, რომელიც თითქმის უკვე მზადაა. დროდადრო ყვავილებს შუა იმზირება ფანჯარაში, თითქოს ხეივნის მხრიდან ვიღაცას მოელისო. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის **მადამ ჰელსეტი.**

**მადამ ჰელსეტი.** ვახშმობამაც მოაწია; ნელ-ნელა ხომ არ გავშალო სუფრა ფრიოკენ?

**რებეკა.** დიახ, გაშალეთ; პასტორი, ალბათ, მალე მოვა.

**მადამ ჰელსეტი.** არ გაცივდეთ, ფრიოკენ, საშინლად უბერავს.

**რებეკა.** დიახ, დახურეთ, თუ შეიძლება.

**მადამ ჰელსეტი (შემოსასვლელ კარს ხურავს და ფანჯრის დასაკეტად მიემართება; ერთხანს ჩერდება და ფანჯარაში იყურება).** რა ვქნა, პასტორი ხომ არ არის?

**რებეკა (სწრაფად).** სად? **(დგება).** დიახ, ის არის. **(ფარდას ეფარება).** აქეთ გამოდით. არ დაგვინახოს.

**მადამ ჰელსეტი (ფანჯარას სცილდება).** წარმოგიდგენიათ? კვლავ წისქვილის ბილიკით დაიწყო სიარული, ფრიოკენ.

**რებეკა.** გუშინწინაც ამ გზით გამოიარა. **(ფარდასა და ფანჯრის წირთხლს შორის დარჩენილ ჭუჭრუტანაში იჭყიტება).** მაგრამ ვნახოთ, რას იზამს დღეს...

**მადამ ჰელსეტი.** ნეტა თუ ეყოფა გამბედაობა, რომ ბოგირზე გადმოიაროს.

**რებეკა.** მეც სწორედ ეგ მაინტერესებს. **(ცოტა ხნის შემდეგ).** არა, გვერდი აუქცია. როგორც ჩანს, დღეს ზემოდან მოუვლის. **(ფანჯარას სცილდება).**

**მადამ ჰელსეტი.** ო, ღმერთო ჩემო. ალბათ, ძალიან უჭირს ბოგირზე გამოვლა. თუმცა იმ უბედურების შემდეგ, რაც იქ დატრიალდა...

**რებეკა (ხელსაქმეს გვერდზე გადადებს).** როგორც ჩანს, აქ, როსმერსჰოლმში, დიდხანს ვერ ელევით თქვენს მიცვალებულებს.

**მადამ ჰელსეტი.** პირიქით, მე თუ მკითხავთ, მიცვალებულები ვერ ელევიან როსმერსჰოლმს.

**რებეკა (უყურებს).** მიცვალებულები?

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, როგორც ჩანს, ვერასდიდებით ვერ სცილდებიან ცოცხლად დარჩენილთ.

**რებეკა.** ეგ რამ გაფიქრებინათ?

**მადამ ჰელსეტი.** რამ და... მაშ, რაღა მაინცდამაინც ახლა გამოჩნდა ეს თეთრი ცხენი?

**რებეკა.** ჰო, მართლა, ეს თეთრი ცხენი რაღაა, მადამ ჰელსეტ?

**მადამ ჰელსეტი.** აბა, რა გითხრათ? თქვენ ხომ არაფერი ამდაგვარი არ გჯერათ?

**რებეკა.** თქვენ კი გჯერათ?

**მადამ ჰელსეტი (ფანჯრის მიხურვას აპირებს).** რაღა მე ამომიჩემეთ?.. **(ფანჯარაში იყურება).** ვაი!., ამას რას ვხედავ? პასტორი ისევ წისქვილის ბილიკს დაადგა?

**რებეკა (თავისი ადგილიდან იყურება ფანჯარაში).** აგერ, ის კაცი! **(ფანჯარასთან მიდის).** არა, ეს ხომ რექტორია!

**მადამ ჰელსეტი.** მართლა ის არის!

**რებეკა.** მადლობა ღმერთს! ნამდვილად ჩვენთან მოდის.

**მადამ ჰელსეტი.** თანაც პირდაპირ ბოგირი გადმოიარა!.. არადა, ის ჩვენი საცოდავი ხომ მისი ღვიძლი და იყო?.. მე წავალ, სუფრას გავაწყობ, ფრიოკენ. **(ხელმარჯვნივ გადის).**

**რებეკა ერთხანს უძრავად დგას და ფანჯარაში იყურება, შემდეგ იღიმება და თავს აქნევს. ხინდდება.**

**რებეკა (მარჯვენა კარს უახლოვდება და მეორე ოთახში გასძახის).** ძვირფასო მადამ ჰელსეტ, თუ ღმერთი გწამთ, ნურაფერს დაიშურებთ. ხომ იცით, ყველაზე მეტად რა უყვარს რექტორს?

**მადამ ჰელსეტი (მეორე ოთახიდან).** კეთილი, ფრიოკენ. ვეცდები.

**რებეკა (შემოსასვლელ კარს აღებს)**. როგორც იქნა!.. საღამო მშვიდობისა, ძვირფასო რექტორო!

**კროლი (წინკარში; ჯოხს კუთხეში აყუდებს)**. გმადლობთ. მყუდროებას ხომ არ დაგირღვევთ?

**რებეკა.** თქვენ? როგორ არა გრცხვენიათ?

**კროლი (შემოდის).** ყოველთვის თავაზიანი ბრძანდებით! (ქუდ-ჯოხით იხედება). კი მაგრამ, როსმერი სადღაა, თავის ოთახშია?

**რებეკა.** არა, სასეირნოდ წავიდა და, ცოტა არ იყოს, შეაგვიანდა, რაც მას ნაკლებად სჩვევია. მაგრამ ალბათ ახლავე მოვა. **(დივანზე ანიშნებს).** დაბრძანდით, დაელოდეთ..

**კროლი (ქუდს მაგიდაზე დებს).** დიდი მადლობა. **(ჯდება და თვალს მიმოავლებს ოთახს.)** რა ლამაზად მოკირთავთ ეს ძველი ოთახი! თვალს უხარია. თანაც, ამდენი ყვავილები.

**რებეკა.** როსმერს ძალიან სიამოვნებს, როცა გარშემო ახლად დაკრეფილ, ქორფა ყვავილებს ხედავს.

**კროლი.** როგორც ჩანს, თქვენც.

**რებეკა.** დიახ, ისეთი მათრობელა სუნი აქვთ. უწინ კი ამ სიამოვნებისაგან თავს ვიკავებდით.

**კროლი (სევდიანად აქნევს თავს).** საწყალი ბეატა ვერ იტანდა ყვავილის სუნს.

**რებეკა.** ვერც ფერს. თავბრუ ეხვეოდა...

**კროლი.** მახსოვს, მახსოვს. **(ჩვეულებრივ სასაუბრო კილოზე გადადის).** აბა, ახლა როგორაა საქმე?

**რებეკა.** გმადლობთ, ნელ-ნელა; დღე დღეს მისდევს და ყველაფერი ჩვეული გზით მიედინება. თქვენ თვითონ რაღასა იქმთ? თქვენი მეუღლე ხომ კარგად ბრძანდება?

**კროლი.** ეჰ, ჩემო ძვირფასო ფრიოკენ ვესტ, ჩემს ამბავს ნუღარ იკითხავთ. ოჯახში უსიამოვნებას რა გამოლევს, მით უმეტეს, ამ ჩვენს დროში?

**რებეკა. (ცოტა ხნის შემდეგ დივანის გვერდით, სავარძელში ჯდება).** რატომ ერთხელაც არ შემოგვიარეთ მთელი ამ არდადეგების მანძილზე?

**კროლი.** არა, ხალხს თავს ხომ არ მოვაბეზრებ?..

**რებეკა.** რომ იცოდეთ, როგორ მოგვენატრეთ!..

**კროლი.** ...და, თანაც, წასული ვიყავი...

**რებეკა.** სულ ორი კვირით. ყრილობას ესწრებოდით?

**კროლი. (თავს უქნევს).** დიახ. რას იტყვით ამაზე? თუ წარმოიდგენდით, რომ ამ სიბერისას პოლიტიკურ აგიტატორებში ჩავეწერებოდი?

**რებეკა (იღიმება).** ისე, კაცმა რომ თქვას, ცოტ-ცოტას ყოველთვის აგიტატორობდით, ბატონო რექტორო.

**კროლი.** დიახ. მაგრამ მხოლოდ თავშესაქცევად. ახლა კი იძულებული ვარ, სერიოზულად მოვკიდო ხელი საქმეს... რადიკალურ გაზეთებს თუ კითხულობთ?

**რებეკა.** დიახ, ძვირფასო რექტორო, არ დაგიმალავთ...

**კროლი.** არა, დასამალი რა არის, ძვირფასო ფრიოკენ ვესტ? მით უმეტეს, თქვენთვის...

**რებეკა.** მეც ეგრე მგონია. დროს ხომ ვერ ჩამორჩები? უნდა იცოდე...

**კროლი.** ყოველ შემთხვევაში, თქვენ, ქალებს, ვერ მოგთხოვთ იმას, რომ

გადაჭრით მიემხროთ რომელიმე პარტიას ამ შინააშლილობაში, ან, უფრო სწორად, სამოქალაქო ომში, რომელიც ჩვენში მძვინვარებს... მაშასადამე, თქვენთვის ცნობილია, რა გააფთრებით მესხმიან თავს ეს „ხალხოსანი“ ვაჟბატონები; რა უხამსსა და უტიფარ გამოხდომებს მიმართავენ ჩემ წინააღმდეგ.

**რებეკა.** მე მგონია, არც თქვენ რჩებით ვალში.

**კროლი.** დიახ, დიახ. ახლა მეც ვილესავ ბრჭყალებს, მიფრთხილდნენ! მე ის კაცი არა ვარ, რომ მორჩილად მივუშვირო ზურგი მათ დარტყმებს... (**აღარ ამთავრებს**). მაგრამ მოვეშვათ ამ უსიამო თემაზე საუბარს.

**რებეკა.** კეთილი, როგორც გნებავთ, ბატონო რექტორო.

**კროლი.** ერთი ეს მითხარით, როგორ აეწყო ცხოვრება ახლა, როცა მარტონი დარჩით? საწყალი ბეატას სიკვდილის შემდეგ?..

**რებეკა.** გმადლობთ. არა უშავს რა. რა თქმა უნდა, უმისოდ სახლი თითქოს დაცარიელდა, ყველაფერმა მოიწყინა, პირქუში და სევდიანი გახდა, მაგრამ საერთოდ...

**კროლი.** აქ დარჩენას ხომ არ აპირებთ? ესე იგი, სამუდამოდ-მეთქი, მინდოდა მეთქვა.

**რებეკა.** აჰ, ძვირფასო რექტორო, ჯერჯერობით არაფერსაც არ ვაპირებ. თუმცა ისე კი შევეჩვიე როსმერსჰოლმს, რომ ხანდახან შინაური მგონია თავი.

**კროლი.** შინაური ხართ, აბა რა?

**რებეკა.** ამიტომ, სანამ ბატონი როსმერი თვლის, რომ შემიძლია ცოტათი მაინც გამოვადგე და ცხოვრება შევუმსუბუქო, მე აქ დავრჩები.

**კროლი (აღელვებული უცქერის).** იცით, რას ვაფასებ ქალში ყველაზე მეტად? — იმის უნარს, რომ სხვებს შესწიროს თავისი ახალგაზრდობა.

**რებეკა.** აჰ! მაშ, რისთვისღა უნდა ვიცოცხლო ამქვეყნად?

**კროლი.** ჯერ იყო და, დღედაღამ თავზე დაჰკანკალებდით ამ თქვენს ქონიან, უცნაურსა და დამბლადაცემულ მამინაცვალს...

**რებეკა.** არა, იცით, რა? სანამ ფინმარკენში ვცხოვრობდით, ექიმი ვესტი სულაც არ ყოფილა ასეთი აუტანელი. საცოდავს იმან მოუთავა ხელი, რომ ერთავად გზას იყო გაკრული. ხოლო როცა აქ გადმოვსახლდით... მართალი გითხრათ, ორი თუ სამი წელი ძალიან გამიჭირდა, სანამ საშინელი წამებით არ დალია სული.

**კროლი.** კი მაგრამ, განა შემდგომი წლები უფრო მძიმე არ იყო თქვენთვის?

**რებეკა (უფრო ახლო მიიწევს).** ძვირფასო რექტორო, ეს ისე გულითადად თქვით, რომ დარწმუნებული ვარ, თქვენი სიტყვების მიღმა უკმაყოფილების ნატამალიც არ იმალება.

**კროლი.** უკმაყოფილებისაო? ამით რისი თქმა გნებავთ?

**რებეკა.** სულაც არ გამიკვირდებოდა, თუ უსიამოვნოდ დაგრჩებოდათ ის, რომ როსმერსჰოლმის დიასახლისის როლში თქვენი დის მაგივრად მე გეხილეთ.

**კროლი.** რას ამბობთ? ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!..

**რებეკა.** ესე იგი, ჩემი ეჭვი უსაფუძვლოა! (**ხელს უწვდის**). გმადლობთ.

**კროლი.** ღმერთო დიდებულო, როგორ შეიძლებოდა, რომ ამნაირი აზრი მოგსვლოდათ თავში?

**რებეკა.** რა ვიცი, ცოტა არ იყოს, შევშინდი, ისე დაგვიძვირეთ სტუმრობა.

**კროლი.** ამ შემთხვევაში, ღმერთმანი, სასტიკად სცდებით, ფრიოკენ ვესტ.

ებიც არ იყოს... კაცმა რომ თქვას, რა შეიცვალა? განა თქვენ მარტოდმარტო არ განაგებდით მთელ სახლს საწყალი ბეატას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში?

**რებეკა.** ო, მაშინ მე მხოლოდ მის მაგივრობას ვწევდი.

**კროლი.** ეგ სულერთია... უნდა მოგახსენოთ, ფრიოკენ ვესტ, რომ პირადად, ჩემი მხრივ, არაფერი მექნებოდა საწინააღმდეგო, თქვენ იცით!.. თუმცა ამაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია...

**რებეკა.** მაინც რაზე?

**კროლი.** თუნდაც იმაზე, რომ თქვენ დაგეკავებინათ მისი ადგილი...

**რებეკა.** მე ის ადგილი მიკავია, რაც თვითონ მსურს, ბატონო რექტორო.

**კროლი.** ფაქტიურად, მაგრამ არა...

**რებეკა.** **(აწყვეტინებს; სერიოზულად).** გრცხვენოდეთ, ბატონო კროლ! ამაზე ხუმრობა გაგონილა?

**კროლი.** დიახ, ჩვენს ძვირფას იუჰანესს, რა თქმა უნდა, ყელში ამოუვიდა ცოლქმრული ცხოვრება, მაგრამ მაინც...

**რებეკა.** იცით, ეს უკვე სასაცილოა.

**კროლი.** ...მაგრამ მაინც!.. ერთი ეს მითხარით, ფრიოკენ ვესტ... თუ შეიძლება გკითხოთ, რამდენი წლისა ხართ?

**რებეკა.** მრცხვენია სიმართლის თქმა, — ოცდაცხრისა, ბატონო რექტორო, მალე ოცდაათს მივუკაკუნებ.

**კროლი.** მდა-ა, კი მაგრამ, როსმერი რა ხნისაა? მოითმინეთ... ხუთი წლით უმცროსია ჩემზე, მაშასადამე, ზუსტად ორმოცდასამი წლისაა. ჩემი აზრით, სწორედ ერთმანეთის შესაფერისნი ბრძანდებით.

**რებეკა (დგება).** დიახ, დიახ, სწორედ... ჩაის ხომ არ მიირთმევთ?

**კროლი.** გმადლობთ. ისედაც კაი ხანს ვაპირებდი თქვენთან დარჩენას. ერთ საქმეზე უნდა მოველაპარაკო ჩვენს ძვირფას იუჰანესს. ხოლო ასეთი უცნაური აზრები რომ აღარ მოგივიდეთ თავში, ამიერიდან კვლავაც ხშირ-ხშირად შემოგივლით, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** თუ შეიძლება. **(ხელს ართმევს).** გმადლობთ, გმადლობთ! მაინც რა კეთილი ბრძანდებით.

**კროლი.** მართლა? სახლში კი სულ სხვა აზრისანი არიან ჩემზე.

**მარჯვენა კარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.**

**რებეკა.** ბატონო როსმერ... ხედავთ, ვინ გვესტუმრა?

**როსმერი.** მადამ ჰელსეტმა უკვე მითხრა.

**კროლი.** **(დგება, ხელს ართმევს; ჩუმად, ალერსით).** გამარჯობა, ძალზე მოხარული ვარ, რომ კვლავ ჩვენსას გხედავ, ძვირფასო კროლ. **(ხელებს მხრებზე აწყობს და თვალებში ჩახედავს).** ჩემო ერთგულო მეგობარო! ასეც ვიცოდი, რომ ჩვენ შორის, ადრე თუ გვიან, ყველაფერი კვლავ ძველებურად წარიმართებოდა.

**კროლი.** ჩემო ძვირფასო, ნუთუ შენც ეჭვი შეგეპარა იმაში, თითქოს ჩვენს მეგობრობას ბზარი გაუჩნდა?

**რებეკა (როსმერს).** მადლობა ღმერთს, რომ ყველაფერი ეს მხოლოდ უსაფუძვლო ეჭვი გამოდგა.

**როსმერი.** მართლა, კროლ? კი მაგრამ, მაშინ რატომაა, რომ ასე მოგვანატრე თავი?

**კროლი (ხმადაბლა, სერიოზულად)** იმიტომ, რომ არ მინდოდა ჩემი აქ

ყოფნით ძალაუნებურად გამახსენებინა შენთვის ის უბედური წლები... და ის საცოდავი, წისქვილის წყალვარდნილში რომ დაიხრჩო თავი...

**როსმერი.** როგორც ჩანს, ძალზე კეთილშობილური საბაზა გქონია, შენ ყოველთვის ისეთი გულისხმიერი იყავი. მაგრამ ამის გამო ნამდვილად არ უნდა დამშორებოდი. მოდი, დივანზე ჩამოვსხდეთ. **(სხდებიან).** მე [illegible] სრულიად მშვიდად ვიგონებ ბეატას. ჩვენ ყოველდღე ვლაპარაკობთ მასზე. თითქოს დღესაც აქაა, ჩვენ გვერდით.

**კროლი.** მართლა?

**რებეკა.** **(ლამპას ანთებს).** რა თქმა უნდა.

**როსმერი.** რა გიკვირს? ჩვენ ორივეს სულით და გულით გვიყვარდა იგი. რებეკა... ფრიოკენ ვესტიც და მეც არაფერს ვიშურებდით მისი გულისთვის. ამ მხრივ ნამდვილად ვერაფერს ვუსაყვედურებთ ჩვენს თავს. ამიტომაც მგონია, რომ ჩვენი მოგონება ყოველთვის ესოდენ ნათელი და მსუბუქი სევდითაა მოსილი.

**კროლი.** აჰ, ჩემო ძვირფასებო, ჩემო კარგებო! ამიერიდან ყოველდღე თქვენთან ვიქნები.

**რებეკა.** **(სავარძელში ჯდება).** იცოდეთ, სიტყვა სიტყვაა.

**როსმერი** **(ცოტა არ იყოს, სიტყვას აჭიანურებს).** ღმერთმანი, კროლ, რას არ მივცემდი, რომ ჩვენი ურთიერთობა არასოდეს შეწყვეტილიყო. რაც ერთმანეთს ვიცნობთ, ყოველთვის ჩემს უპირველეს მეგობრად მიმაჩნდი. თვით ჩვენი სტუდენტობიდან მოყოლებული.

**კროლი.** მახსოვს. ჩემთვისაც ძალზე ძვირფასია ეს ჩვენი ურთიერთობა... მაგრამ ახლა რაღაც განსაკუთრებული გაქვს სათქმელი?..

**როსმერი.** ბევრი, ძალიან ბევრი რამაა, რაზედაც მინდოდა გულახდილად მოგლაპარაკებოდი.

**კროლი.** დამერწმუნე, მეც ბევრი რამ მაქვს შენთან სალაპარაკო. ალბათ მოგეხსენება, რომ აქტიურ პოლიტიკაში ჩავები.

**როსმერი.** ჰო, ვიცი. მაინც რა მოხდა?

**კროლი.** იძულებული შევიქენი. უკვე აღარ შეიძლება პასიურ მჭვრეტელად დარჩე. ახლა, როცა რადიკალები ისე გააქტიურდნენ, რომ, სამწუხაროდ, თითქმის მთელი ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში, სწორედ რომ დროაა... შევკრა ჩვენი რიგები. ღმერთმანი, დროა-მეთქი!

**რებეკა.** **(ოდნავ შესამჩნევი ღიმილით).** ცოტა გვიან ხომ არ არის?

**კროლი.** რა თქმა უნდა, აჯობებდა დინებისათვის სათავეშივე მოგვეკუპრა პირი. მაგრამ ვის შეეძლო იმის წინასწარ განჭვრეტა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის მომძლავრებას? ყოველ შემთხვევაში, მე ვერ შევძელი. **(წამოდგება და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვება).** მაგრამ ახლა თვალი ამეხილა. მეამბოხურმა სულისკვეთებამ თვით სკოლაშიც კი შემოაღწია!

**როსმერი.** როგორ, თვით შენს სკოლაშიც?

**კროლი.** დიახ, ჩემსაშიც. როგორ მოგწონს? ერთ მშვენიერ დღეს, ვგებულობ, რომ უფროსკლასელ ბიჭბუჭებს, უფრო სწორად, ზოგიერთ მათგანს, საიდუმლო წრე ჩამოუყალიბებიათ და თურმე მთელი ნახევარი წელია, რაც მორტენსჰორის გაზეთს იწერენ!

**რებეკა.** აა, „შუქურას"?

**კროლი.** დიახ. რას იტყვით? ძალზე სასარგებლო სულიერი საზრდოა, არა, მომავალ მოხელეთათვის? მაგრამ ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ პი-

რი შეუკრავთ და ჩემს წინააღმდეგ შეთქმულება მოუწყვიათ ყველაზე წარჩინებულ მოსწავლეებს! განზე მხოლოდ ყეყეჩებიღა დგანან.

**რებეკა.** და თქვენ ეს ასე ახლოს მიგაქვთ გულთან, ბატონო რექტორო?

**კროლი.** ახლოსო? ვინც მე ხელს მიშლის, ჩემი სასიცოცხლო საქმის დაუძინებელი მტერია! **(ხმას დაუწევს).** მაგრამ მე მზადა ვარ ვაღიარო, რომ ეს როდია ყველაზე დიდი უბედურება. არა, ყველაზე უარესი ის გახლავთ, რომ.... **(მიმოიხედავს).** იმედია, კარს უკან არავინ გვისმენს.

**რებეკა.** არავინ. ნუ გეშინიათ.

**კროლი.** მაშ, იცოდეთ, რომ შფოთმა და განხეთქილებამ ჩემს საკუთარ სახლშიაც შემოაღწია. ჩემს პატარა შინაურულ წრეშიც და ოჯახური ცხოვრების მყუდროება და სიამტკბილობა დაშირღვია.

**როსმერი (დგება).** რას ამბობ? შენს სახლშიც?..

**რებეკა (რექტორს უახლოვდება).** მაინც რა მოხდა, ძვირფასო რექტორო?

**კროლი.** წარმოგიდგენიათ? ჩემი შვილები .. ერთი სიტყვით... ჩემი ლაური ცი მოსწავლეთა ამ ბანდის მეთაური გახლავთ, ჰილდას კი წითელი ჩანთა მოუქსოვია და შიგ „მუქურას“ ნომრებს ინახავს!

**როსმერი.** ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდი... შენს ოჯახში... შენს სახლში...

**კროლი.** განა მარტო შენ? საერთოდ, ვინ წარმოიდგენდა? ჩემს სახლში, სადაც ყოველთვის სუფევდა წესრიგი. მორჩილება, ერთსულოვნება და ერთი ნება...

**რებეკა.** თქვენი მეუღლე როგორღა შეხვდა ამ ამბავს?

**კროლი.** ყველაზე გასაშტერებელი სწორედ ეს არის! მთელი ჩვენი ცოლქმრობის მანძილზე, ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანებსა თუ სერიოზულ საკითხებშიაც ის ყოველთვის უყოყმანოდ იზიარებდა ჩემს აზრსა თუ შეხედულებას, და, აი, ახლა უცებ ირკვევა, რომ ბევრ რამეში თურმე შვილების მხარე უჭირავს. ის კი არადა, აქეთ მადანაშაულებს იმაში, რაც მოხდა. ამტკიცებს, რომ მე ვთრგუნავ და გასაქანს არ ვაძლევ ახალგაზრდობას. თითქოს ეს აუცილებელი არ იყოს... აი, რანაირი განხეთქილება შემოიპარა ჩემს ოჯახში. მაგრამ მე, რასაკვირველია, შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებ ამაზე ლაპარაკს. ამ შემთხვევაში დუმილი უმჯობესია. **(ბოლთას სცემს).** ო-ჰო-ჰო-ჰო! **(ზურგზე ხელებშემოწყობილი ფანჯარასთან ჩერდება და სივრცეს გასცქერის).**

**რებეკა (როსმერს უახლოვდება და რექტორის ნამალევად ეჩურჩულება)** ბარემ უთხარი!

**როსმერი (ჩურჩულითვე).** არა, დღეს არა.

**რებეკა, (უწინდებურად).** არა, სწორედ დღეს! **(ხცილდება და ლამპას ასწორებს).**

**კროლი (შემობრუნდება).** მაშ, ასე, ჩემო ძვირფასო როსმერ, ახლა შენ უკვე იცი, რომ დროის სულმა თავისი შავი ფრთების ჩრდილი ჩემს ოჯახურ ცხოვრებასა და ჩემს საზოგადოებრივ ასპარეზსაც გადმოაფინა. მაგრამ მე ის კაცი არა ვარ, რომ თავგანწირვით არ შევებრძოლო დროის ამ შავბნელი სულისკვეთების გამხრწნელსა და ყოვლისმმუსვრელ ზემოქმედებას, და ამ ბრძოლისას არ გამოვიყენო ყოველგვარი იარაღი, რაზედაც კი ხელი მიმიწვდება. დიახ, მე მტკიცედ გადავწყვიტე, ვიბრძოლო; ვიბრძოლო სიტყვით თუ საქმით.

**როსმერი.** და იმედი გაქვს, რომ ამ გზით სასურველ მიზანს მიაღწევ?

**კროლი.** ყოველ შემთხვევაში, მინდა პირნათლად მოვიხადო მოქალაქის სამხედრო ვალდებულება, ჩემი აზრით, პატრიოტული ვალიც ამასვე მოუწოდებს თვითეულ ჩვენგანს, ვინც სიკეთისა და მართალი საქმის სადარაჯოზე დგას. მეც სწორედ ამ მიზნით გეახელი დღეს.

**როსმერი.** კი მაგრამ, რას მიბრძანებ? მე რა შემიძლია, ჩემო ძვირფასო?

**კროლი.** რადა — დაეხმარო შენს ძველ მეგობრებს; მხარში ამოგვიდგე და ხელი-ხელჩაკიდებულმა იარო ჩვენთან ერთად.

**რებეკა.** მაგრამ თქვენ ხომ იცით, ძვირფასო რექტორო, რომ ბატონ როსმერისათვის მიუღებელია ყოველივე ეს.

**კროლი.** მეტი გზა არ არის, თავის თავს უნდა მოერიოს. ფეხი ვერ აუწყვე ამ ჩვენს დროს, როსმერ. გამოკეტილხარ ამ შენს მამულში და ისტორიული კვლევა-ძიების მეტი აღარაფერი გახსოვს. არა, ცუდად ნუ გამიგებ, მე დიდ პატივს ვცემ ამ გენეალოგიებს და სხვა მისთანათ, მაგრამ დღევანდელობა, სამწუხაროდ, სულ სხვა რამეს მოითხოვს ჩვენგან. შენ ვერ წარმოიდგენ, რა დღეშია მთელი ქვეყანა. თითქმის ყველაფერი თავდაყირა დგას, ძირეულად შეიცვალა ყველა ცნება, გაგება, ფასეულობა. საჭიროა თავგანწირული ბრძოლა, რათა ყველაფერი თავ-თავის ადგილას დააყენო, დასძლიო ყოველგვარი ცთომა.

**როსმერი.** გეთანხმები. მაგრამ იმას აღარ კითხულობ, შემიძლია თუ არა ეს თავგანწირული ბრძოლა?

**რებეკა.** ეგეც არ იყოს, თვით ბატონი როსმერი ახლა გაცილებით უფრო ფართო თვალთახედვით აღიქვამს ცხოვრებას.

**კროლი (გაოგნებული).** უფრო ფართო თვალთახედვით?

**რებეკა.** დიახ. ან, თუ გნებავთ, — უფრო თავისუფლად; უფრო დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

**კროლი.** რას ნიშნავს ეს? არა, ვერ დავიჯერებ, თითქოს ისეთი სუსტი ხარ, როსმერ, რომ მყვირალა ფრაზებმა დაგაბრმავა და ბრბოს ბელადებმა თუნდაც დროებითი გამარჯვება მოიპოვეს შენზე.

**როსმერი.** ხომ მოგეხსენება, ჩემო ძვირფასო, რომ პოლიტიკის ბევრი არა გამეგება რა, მაგრამ ამ ბოლო დროს, რატომღაც შეჩვენება, რომ ადამიანებმა ცალკეულმა პიროვნებებმა გაცილებით უფრო დამოუკიდებელი აზროვნების უნარი შეიძინეს.

**კროლი.** და შენ ეს, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, სიკეთედ მიგაჩნია? ფრთხილად იყავი, თორემ სასტიკი იმედგაცრუება გელის, ჩემო ძვირფასო. აბა, კარგად დაუკვირდი, რანაირ აზრებს გამოსთქვამენ რადიკალები, როგორც სოფლად, ისე ქალაქშიც. ზუსტად იმავე „სიბრძნეს," რასაც ქადაგებს „შუქურა".

**რებეკა.** დიახ, მორტენსჰორს აქ საკმაოდ დიდი გავლენა აქვს.

**კროლი.** ვის? — ესოდენ სამარცხვინო წარსულის მქონე კაცს, რომელსაც უზნეობისათვის მასწავლებლობის უფლება ჩამოერთვა?.. და ეს ვაჟბატონი ახლა აპირებს ხალხის ბელადის როლში მოგვევლინოს! აპირებს და მიაღწევს კიდეც მიზანს. ღმერთმანი, მიაღწევს! როგორც გავიგე, გაზეთის გაფართოება განუზრახავს. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ გამოცდილ თანარედაქტორს ეძებს.

**რებეკა.** მიკვირს, რომ თქვენ და თქვენი მეგობრები არავითარ საწინააღმდეგო ზომებს არ იღებთ.

**კროლი.** სწორედ მაგისთვის ვემზადებით, დღეს შევიძინეთ „სამხარეო

გაზეთი". ფინანსური საკითხი თითქმის მთლიანად მოგვარებულია, მაგრამ... **(როსმერს მიმართავს).** სწორედ აქ მივადექი ჩემი დღევანდელი ვიზიტის ჭეშმარიტ მიზანს. საქმის, ანუ თვით გაზეთის გაძღოლა. — აი, რა გვინდა ყველაზე მეტად. მითხარი, როსმერ... შენ თვითონ ხომ არ ჩაუდგებოდი სათავეში, მართალი საქმის მხარდასაჭერად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როსმერი (თითქმის შეშინებული).** მე?..

**რებეკა.** ეგ რამ გაფიქრებინათ?

**კროლი.** ჩემთვის გასაგებია შენი შიში სახალხო თავყრილობებისა და ყოველივე იმისა, რაც ამ ყრილობებს მოსდევს შედეგად. მაგრამ მოღვაწეობა რედაქტორისა, რომელიც, უმეტესწილად, განზე რჩება, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ...

**როსმერი.** არა, არა, ჩემო ძვირფასო, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**კროლი.** მე თვითონაც დიდი სიამოვნებით მოვსინჯავდი ჩემს ძალას ამ ასპარეზზე, მაგრამ ნამდვილად ვერ ავუვალ. ისედაც ყელამდე ვარ ჩაფლული ათას საქმეში. შენ კი, პირიქით, ამჟამად ყოველგვარი სამსახურებრივი მოვალეობისაგან თავისუფალი ხარ. ჩვენ, შენი მეგობრები და თანამზრახველნი, რა თქმა უნდა, ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს.

**როსმერი.** არ შემიძლია, კროლ, ამ საქმისთვის არ გამოვდგები.

**კროლი.** არ გამოდგები? ამასვე ამბობდი მაშინაც, როცა მამაშენმა პასტორის ადგილი გიშოვა.

**როსმერი.** ვამბობდი და სწორიც ვიყავი. ამიტომაც გადავდექი.

**კროლი.** ოჰ, შენ მხოლოდ იმნაირი რედაქტორობა გასწიე, რანაირი პასტორიც იყავი, და ჩვენ მადლობელნი დავრჩებით.

**როსმერი.** ერთხელ და სამუდამოდ გეუბნები, ძვირფასო კროლ: ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებ-მეთქი.

**კროლი.** მაშინ იმის უფლება მაინც მოგვეცი, რომ შენი სახელით გამოვაქვეყნოთ გაზეთი.

**როსმერი.** ჩემი სახელით?

**კროლი.** დიახ, იუჰანეს როსმერის მარტოოდენ სახელიც კი დიდი შენაძენი იქნებოდა გაზეთისათვის. ჩვენ, დანარჩენები, ხომ წმინდა წყლის პარტიულ მოღვაწეებად ვითვლებით. რამდენადაც ვიცი, პირადად მე მძვინვარე ფანატიკოსადაც კი მთვლიან. ამიტომაც არა გვაქვს იმის იმედი, რომ რომელიმე ჩვენგანის სახელმა გზა გაუკაფოს გაზეთს ისედაც კალაპოტიდან ამოვარდნილსა და თავგზააბნეულ ხალხში. შენ კი, პირიქით, ყოველთვის თავს არიდებდი პარტიათა ბრძოლებს და განზე იდექი. შენი დიდსულოვნება და კეთილშობილება... შენი ნათელი აზრი და ეჭვშეუვალი პატიოსნება საყოველთაოდ ცნობილია, აღიარებული და დაფასებული, რასაც ზედ ერთვის ის მოწიწება და პატივისცემა, რაც შენი პასტორობისას მოიხვეჭე ხალხში. და, ბოლოს, ეს ძველისძველი და წარჩინებული გვარიშვილობა...

**როსმერი.** ოჰ, გვარიშვილობა...

**კროლი. (ხელით ანიშნებს კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ პორტრეტებზე).** როსმერები ყოველთვის პასტორები, ოფიცრები, ადმინისტრატორები იყვნენ; ყოველთვის მაღალი და საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავათ. ყველა უაღრესად წესიერი და პატიოსანი კაცი იყო; ამიტომაცაა, რომ თქვენი გვარი, აგერ უკვე ორი საუკუნე იქნება, უპირველეს გვარად ითვლება მთელ ჩვენს მხარეში. **(ხელს ადებს მხარზე).** პირადად შენი ღირსება და მთელი შენი

გვარის სახელოვანი ტრადიციები გავალდებულებს, როსმერ. შემოგვიერთდე და მტკიცედ დადგე ყოველივე იმის სადარაჯოზე, რასაც აქამდე სამართლიანობის სახელი ერქვა ჩვენი საზოგადოების თვალში. **(შებრუნდება).** რას ფიქრობთ, ფრიოკენ ვესტ?

**რებეკა (ჩაცინებით).** ძვირფასო რექტორო.. მართალი გითხრათ, მეცინება...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**კროლი.** რაო? სასაცილოს რას ხედავთ?

**რებეკა.** რასა და... თუმცა ბარემ პირდაპირ მოგახსენებთ...

**როსმერი (სწრაფად).** არა, არა!... ჯერ არა!

**კროლი (ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს).** რა ამბავია? ღვთის გულისათვის, მითხარით, რა მოხდა?... **(აღარ ამთავრებს).** ჰმ!..

**მარჯვნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.**

**მადამ ჰელსეტი.** ვიღაც კაცია: პასპორტის ნახვა მინდაო.

**როსმერი (შვებით ამოისუნთქავს).** აა, სთხოვეთ!

**მადამ ჰელსეტი.** აქ მიიღებთ?

**როსმერი.** რა თქმა უნდა.

**მადამ ჰელსეტი.** რა ვიცი, გარეგნულად ისეთია, რომ, მგონი, სახლში არც შემოიშვება.

**რებეკა.** მაინც როგორია გარეგნულად, მადამ ჰელსეტ?

**მადამ ჰელსეტი.** მტრისას.

**როსმერი.** რა გვარი ვარო, ხომ არ უთქვამს?

**მადამ ჰელსეტი.** მგონი, ჰეკმანიო თუ რაღაც ამგვარი.

**როსმერი.** პირველად მესმის.

**მადამ ჰელსეტი.** რა ვიცი, ულრიკი მქვიაო.

**როსმერი (გაოგნებული).** ულრიკ ჰეტმანი?!

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, დიახ, ჰეტმანი.

**კროლი.** თითქოს მეცნობა...

**რებეკა.** თუ არ ვცდები, ასე აწერდა ხელს ის... ახირებული კაცი...

**როსმერი. (კროლს).** ეს ულრიკ ბრენდელის ფსევდონიმია.

**კროლი.** აა, იმ წყალწაღებული ულრიკ ბრენდელისა? დიახ, დიახ!

**რებეკა.** მაშასადამე, ცოცხალია?

**როსმერი.** მე, მეგონა, მოხეტიალე მსახიობების დასთან ერთად დაწანწალობდა,

**კროლი.** სულ ბოლოს, მგონი, იძულებითი მუშაობა ჰქონდა მისჯილი.

**როსმერი.** სთხოვეთ, მადამ ჰელსეტ.

**მადამ ჰელსეტი.** კეთილი. **(გადის).**

**კროლი.** ნეტა თუ მართლა შემოუშვებ სახლში?

**როსმერი.** რა ვქნა, ხომ იცი, ოდესღაც ჩემი მასწავლებელი იყო.

**კროლი.** დიახ, ვიცი, რომ ათასნაირი მავნე და მეამბოხური აზრებით გიტენიდა თავს, სანამ მამაშენმა მათრახით არ დაითხოვნა სახლიდან.

**როსმერი (ცოტა არ იყოს, სიმწრით).** მამაჩემი სახლშიაც ისეთივე მაიორი იყო, როგორიც ყაზარმაში.

**კროლი.** ჰოდა, ღმერთს მადლობა შესწირე, ძვირფასო როსმერ... დიახ!

**მადამ ჰელსეტი მარჯვენა კარს აღებს, ულრიკ ბრენდელს შემოუშვებს და კვლავ ხურავს მას. ბრენდელი წარმოსადეგი მამაკაცია; ცოტა არ იყოს, გაცრეცილ-გახუნებულ სახეზე მაინც მკვირცხლი და ცოცხალი გამომეტყველება შერჩენია; ჭაღარა თმა-წვერი აქვს; ჩაცმულობით მაწანწალას მოგაგონებთ; დახეული სერთუკი, როგორც ჩანს, პირდაპირ შიშველ ტანზე შემოუცვამს; არც ფეხსაცმელებია უკეთეს დღეში, ძველი, ჰუჰუიანი ქუდი იღლიაში ამოუჩრია, ხელთათმნიან ხელში კი წვრილი ჯოხი უჭირავს.**

**ბრენდელი (ჯერ ცოტა არ იყოს, გაუბედავად, შემდეგ კი მკვირცხლად მიემართება რექტორისაკენ და ხელს უწვდის).** საღამო მშვიდობისა, იუჰანეს!

**კროლი** მომიტევეთ...

**ბრენდელი.** ალბათ, აღარ მოელოდი ჩემთან შეხვედრას! თანაც, ამ ჩემთვის ესოდენ საძულველ ჭერქვეშ!

**კროლი.** მომიტევეთ... **(ხელით ანიშნებს).** არ...

**ბრენდელი (შეტრიალდება).** დიახ, დიახ, აი, იუჰანესი... ჩემი საყვარელი მოწაფე, ჩემი კარგი ბიჭი!

**როსმერი (ხელს უწვდის).** ჩემო ძვირფასო მასწავლებელო!

**ბრენდელი.** ზოგიერთი უსიამოვნო მოგონების მიუხედავად, მაინც ვერ შევძელი ისე ამევლო გვერდი როსმერსჰოლმისათვის, რომ არ მენახე.

**როსმერი.** დიდად მოხარული ვარ, დამერწმუნეთ.

**ბრენდელი.** ეს მომხიბლავი ქალბატონი?.. **(ესალმება).** ალბათ შენი მეუღლეა!

**როსმერი.** ფრიოკენ ვესტი.

**ბრენდელი.** აა, ახლო ნათესავი?.. ეს უცნობი კი შენი თანამოძმე იქნება.

**როსმერი.** რექტორი კროლი.

**ბრენდელი.** კროლი! კროლი! მოითმინეთ, ახალგაზრდობაში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ხომ არ სწავლობდით?

**კროლი.** დიახ.

**ბრენდელი.** Donnerwetter! მე ხომ გიცნობდი?!

**კროლი.** მომიტევეთ...

**ბრენდელი.** განა შენ არ იყავი...

**კროლი.** მომიტევეთ...

**ბრენდელი.** ...სიქველის ერთი იმ ჟანდარმთაგანი, რომლებმაც „სადისკუსიო წრიდან“ გამაძევეს?

**კროლი.** ადვილი შესაძლებელია. მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ უფრო ახლო ნაცნობობის წინააღმდეგ.

**ბრენდელი.** ოჰ, ოჰ! Nach belieben ბატონო დოქტორო. ჩემთვის სულერთია. ულრიკ ბრენდელს არც რა მოემატება და არც რა დააკლდება ამით.

**რებეკა.** თქვენ ალბათ ქალაქს მიბრძანდებით, ბატონო ბრენდელ.

**ბრენდელი.** გამოიცანით, ძვირფასო ქალბატონო. დროდადრო, იძულებული ვხდები კვლავ ჩავება ხელჩართულ ომში არსობის პურის მოსაპოვებლად და პატარ-პატარა ბრძოლები გადავიხადო. ჭირივით მეზარება ეს ამბავი, მაგრამ... enfin!.. ხომ მოგეხსენებათ, აუცილებლობა...

**როსმერი.** ძვირფასო ბატონო ბრენდელ... თუ ნებას მომცემთ... ხომ არ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?..

**ბრენდელი.** აჰ! ნეტავი ეგ არ გეთქვა! შენ გინდა შებღალო ის წმინდათა-წმინდა კავშირი, რომელიც ერთმანეთთან... არასოდეს, იუჰანეს... არასოდეს!

**როსმერი.** მაგრამ მარტოდმარტო რას გახდებით ქალაქში [illegible]-ნეთ, გაგიჭირდებათ...

**ბრენდელი.** ჩემი საქმისა მე ვიცი, ჩემო ვაჟკაცო! წილი ნაყარია! შენს წინაშე დგას კაცი, რომელიც ხანგრძლივი ლაშქრობისთვის გამზადებულა. დიახ, უფრო ხანგრძლივი ლაშქრობისათვის, ვიდრე ყველა ჩემი ძველი თავდასხმა ერთად. **(რექტორს).** თუ შეიძლება გკითხოთ, ბატონო პროფესორო, — unter uns, ხომ არ მოიძებნება ამ თქვენს დიდებულ ქალაქში მეტ-ნაკლებად რიგიანი, რესპექტაბელური და ვრცელი დარბაზი, რომ კაი ბლომად ხალხი დაიტიოს?

**კროლი.** ყველაზე უფრო ტევადი დარბაზი „მუშათა კავშირსა“ აქვს.

**ბრენდელი.** ერთი ეს მითხარით, ბატონო დოცენტო, რაიმე გავლენით თუ სარგებლობთ ამ ძვირფას „კავშირში“?

**კროლი.** არავითარი ურთიერთობა არა მაქვს მასთან.

**რებეკა (ბრენდელს).** ამის თაობაზე პეტერ მორტენსჰორს უნდა მიმართოთ.

**ბრენდელი.** Pardon, madame, — ეს ვინღა იდიოტია?

**როსმერი.** რატომ გგონიათ, რომ მაინცდამაინც იდიოტი უნდა იყოს?

**ბრენდელი.** ასეთი მდაბიური სახელის პატრონი თვითონაც მდაბიო იქნება.

**კროლი.** ამნაირ პასუხს კი აღარ ველოდი.

**ბრენდელი.** მაგრამ მე თვითონ ავმაღლდები ჩემსავე თავზე... რა გაეწყობა?.. რაკიღა ჩემი ცხოვრების გზა გარდატეხის წერტილს მიუახლოვდა... ყველაფერი გადაწყვეტილია. ავდგები და ურთიერთობას დავამყარებ ზემორე აღნიშნულ პიროვნებასთან.

**როსმერი.** თქვენ მართლა სერიოზულად მიუახლოვდით გარდატეხის წერტილს?

**ბრენდელი.** უნდა მოგახსენო, ჩემო ძვირფასო, რომ რასაც უახლოვდება ულრიკ ბრენდელი, ყოველთვის სერიოზულად უახლოვდება. დიახ, მე მინდა ახალ ადამიანად ვიქცე; ხელი ავიღო ლოდინის პოზიციაზე, რომელზედაც აქამდე ვიდექი.

**როსმერი.** როგორ?

**ბრენდელი.** მინდა ჩემი მძლავრი და ქმედითი ხელით ზემოქმედება მოვახდინო ცხოვრებაზე; თხემით ტერფამდე აღჭურვილი გამოვიდე საასპარეზოდ. მოახლოვდა ქარიშხლისა და მეხთატეხის დრო. და მე მსურს ჩემი წვლილიც დავდო თავისუფლების საკურთხეველზე.

**კროლი.** თქვენც?..

**ბრენდელი (ყველას).** იცნობთ თუ არა ჩემს აქა-იქ მიმოფანტულ ლიტერატურულ ქმნილებებს?

**კროლი.** გულახდილად რომ გითხრათ, არა, არ ვიცნობ.

**რებეკა.** მე კი ზოგი რამ წამიკითხავს. ჩემს მამინაცვალსა ჰქონდა.

**ბრენდელი.** ჩემო მშვენიერო დიასახლისო, სულ ტყუილად დაგიკარგავთ თქვენი ძვირფასი დრო. ვინაიდან ყოველივე ეს არის მხოლოდ ნაგავი.

**რებეკა.** მართლა?

**ბრენდელი.** ის, რაც თქვენ წაგიკითხავთ — უეჭველად. ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჯერ არავინ არ იცის, ჩემს გარდა.

**რებეკა.** რატომ?

**ბრენდელი.** იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ დამიწერია.

**როსმერი.** კი მაგრამ, ძვირფასო ბატონო ბრენდელ...

**ბრენდელი.** შენ მაინც იცი, იუჰანეს, რომ მე ცოტა არ იყოს, სიბარიტი ვარ, — Feinschmecker. ყოველთვის ასეთი ვიყავი. ყველაფერს მირჩევნია განმარტოებით ტკბობა, წინათ კი სხვებთან ერთად ვტკბებოდი. რას იზამ, როცა ფრთხიალით მეხვეოდნენ გარს შთაგონების ოქროსფერი სიზმრები და თავიანთ გამჭვირვალე ბლონდებში მხვევდნენ; როცა ახალი, თავბრუდამხვევად თამამი და ლალი აზრები იბადებოდნენ ჩემს თავში და თავიანთი ჰაეროვანი ფრთების ფართქუნით მინანავებდნენ... მაშინ მე პოემის სტრიქონებში, მომხიბლავ სახეებსა თუ სურათებში ვაქსოვდი მათ. რა თქმა უნდა, ზოგადად, გესმით?

**როსმერი.** დიახ, დიახ.

**ბრენდელი.** მერედა, როგორ ვტკბებოდი საკუთარი ძალმოსილებით! შემოქმედების იდუმალ ნეტარებას — რასაკვირველია, ზოგადად, როგორც უკვე მოგახსენეთ, — წარმატებას, მადლიერებას, დიდებას, დაფნას, — ყოველივე ამას ხარბად ვკრეფდი სიხარულით მოცახცახე ხელით, და ჩემს ინტიმურ ზმანებებში მათრობელა ღვინოსავით ვეწაფებოდი ბედნიერებას და ნეტარებას. ერთის სიტყვით, მეცხრე ცაზე ვფრინავდი.

**კროლი.** ჰმ...

**როსმერი.** მაგრამ ქაღალდზე კი არაფერი გადაგქონდათ?

**ბრენდელი.** არცერთი სიტყვა. ეს ვულგარული ჯღაბნა და სუფთა ფურცლების თხუპნა, მართალი გითხრათ, გულს მირევდა. ან რატომ უნდა შემებღალა ჩემი საკუთარი იდეალები, როცა შემეძლო მარტოდმარტო დავმტკბარიყავი მათი შეურყვნელი და შეუმღვრეველი სიწმინდით? ახლა კი მეტი გზა არ არის, მათი სიწმინდე მსხვერპლად უნდა შევწირო ჩემს მიერ დასახულ მიზანს. მაგრამ, ამასთან, ზუსტად ისეთი განცდა მაქვს, როგორიც დედას, თავის უმანკო ასულებს ცოლად რომ აძლევს სასიძოებს. მიუხედავად ამისა, მაინც მსხვერპლად უნდა მივიტანო ისინი... თავისუფლების საკურთხეველზე. დიდოსტატური ხელოვნებით შედგენილი რამდენიმე ლექცია, რომლებითაც მთელ ქვეყანას მოვივლი...

**რებეკა. (ცოცხლად).** ო, ეს იქნება დიდი მსხვერპლი, ბატონო ბრენდელ. ვინაიდან თქვენ გაიღებთ ყველაზე ძვირფასს, რაც გაგაჩნიათ.

**როსმერი.** ყველაზე ძვირფასსა და ერთადერთს.

**რებეკა (მრავალმნიშვნელოვნად გადახედავს როსმერს).** ბევრი კი გაბედავს ამას?

**როსმერი (საპასუხო მზერით).** ვინ იცის?

**ბრენდელი.** საზოგადოება გულაჩუყებულია. ეს მე მალამოსავით მეცხება გულზე და... ნებას მიმტკიცებს, მხნეობას მმატებს. ამიტომაც, შემდგომ ამისა, უშუალოდ გადავდივარ საქმის არსზე... თუმცა მანამდე... **(რექტორს).** ხომ ვერ მეტყვით, ბატონო დამრიგებელო, არის თუ არა ქალაქში სიფხიზლის, აბსოლუტური სიფხიზლის მომხრეთა საზოგადოება? შეუძლებელია, რომ არ იყოს!

**კროლი.** რა თქმა უნდა. მე თვითონ გახლავართ თავმჯდომარე.

**ბრენდელი.** ასეც ვიცოდი! კეთილი და პატიოსანი. გამორიცხული არ არის, რომ გეახლებით და, ასე, ერთი კვირით, თქვენი დიდებული საზოგადოების წევრად ჩავეწერები.

**კროლი.** მომიტევეთ... ჩვენს რიგებში არ ვიღებთ ერთკვირიან წევრებს.

**ბრენდელი.** A la bonne heure.. ბატონო პედაგოგო. ულრიკ ბრენდელს არასოდეს აუტალახიანებია იმნაირ საზოგადოებათა კარი (**ზურგს შეაქცევს**). მაგრამ მე ველარ გავბედავ, უფრო მეტ ხანს გავაჭიანურო ჩემი ყოფნა ამ სახლში, რომელთანაც ამდენი მოგონება მაკავშირებს. უნდა ვიჩქარო, რომ ქალაქში ჩემი შესაფერისი თავშესაფარი ვიშოვო. იმედია, რიგიანი სასტუმროს მოძებნა არ გამიჭირდება.

**რებეკა.** ხომ არაფერს დალევდით წასვლისას?

**ბრენდელი.** მაინც რას, ჩემო კეთილმოწყალე ქალბატონო?

**რებეკა.** ჩაის, ან...

**ბრენდელი.** მადლობას მოვახსენებ გულუხვ დიასახლისს. მაგრამ მე იშვიათად ვსარგებლობ კერძო სტუმართმოყვარეობით. (**ხელს უქნევს გამოსამშვიდობებლად**). კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონებო! (**კარამდე მივა და შემობრუნდება**). ჰო მართლა!.. იუჰანეს... პასტორო როსმერ... ჩვენი მრავალწლიანი მეგობრობის ხათრით, პატარა სამსახურს ხომ არ გაუწევდი შენს ყოფილ მასწავლებელს?

**როსმერი.** სულით და გულით.

**ბრენდელი.** კეთილი, მაშინ, თუ შეიძლება, ორიოდე დღით მათხოვე... კარგად გარეცხილი და გახამებული პერანგი.

**როსმერი.** მეტი არაფერი?

**ბრენდელი.** თორემ, ხომ ხედავ?.. ამჯერად ისე ვარ ჩაცმული, როგორც შეშვენის ფეხით მოსიარულეს. ბარგი მოგვიანებით მომივა.

**როსმერი.** კეთილი. იქნებ სხვა რამეც გნებავთ?

**ბრენდელი.** მაშინ ერთი ზედმეტი, შენ რომ აღარ ხმარობ, ისეთი საზაფხულო სერთუკი თუ გექნებოდა...

**როსმერი.** დიახ, დიახ, რამეს მოვძებნით.

**ბრენდელი.** ერთი წყვილი რიგიანი ფეხსაცმელიც არ მაწყენდა...

**როსმერი.** ეგეც მოიძებნება. თქვენ მხოლოდ თქვენი მისამართი მაცნობეთ, — ყველაფერს ერთად გამოგიგზავნით.

**ბრენდელი.** რას ამბობ? შენ როგორ შეგაწუხებ? ამ ხარახურას მეც მოვერევი.

**როსმერი.** კეთილი. მაშინ იქნებ ზევით ავსულიყავით?

**რებეკა.** ნება მიბოძეთ, მე და მადამ ჰელსეტი უკეთ მოვაგვარებთ ყველაფერს.

**ბრენდელი.** ნება გიბოძოთ, რომ თქვენისთანა უკეთილშობილესმა ქალბატონმა ჩემი გულისთვის... აჰ, არა, არა!

**რებეკა.** კარგით, გეყოფათ! წამობრძანდით, ბატონო ბრენდელ! (**ხელმარჯვნივ გადის**).

**როსმერი (ბრენდელს შეაჩერებს).** მითხარით, კიდევ ხომ არაფრით შემიძლია გემსახუროთ?

**ბრენდელი.** აღარ კი ვიცი, ღმერთმანი!.. თუმცა, დალახვროს ეშმაკმა, თუ კარგად დავუფიქრდები.... იუჰანეს!.. შემთხვევით, რვა კრონი ხომ არ გექნება ჯიბეში?

**როსმერი.** ვნახავ. **(საფულეს იღებს).** აქ ორი ათკრონიანია.

**ბრენდელი.** რა უშავს? გამოდგება. ქალაქში ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეიძლება დახურდავება. გმადლობ. კარგად დაიხსომე: ორი ათიანი [illegible]. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო! ღამე მშვიდობისა, ღრმად პატივცემულო! **(ხელმარჯვნივ მიდის. როსმერი კარამდე მიაცილებს, შემდეგ კი ხურავს კარს).**

**კროლი.** ღმერთო დიდებულო, მაშ ეს სწორედ ის ულრიკ ბრენდელია, რომელსაც ოდესღაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ?

**როსმერი.** ასეა თუ ისე, მას ჰყო გამბედაობა, თავის ნებაზე და თავისი ჭკუით ეცხოვრა. მე თუ მკითხავ, არც ესაა პატარა საქმე.

**კროლი.** რა? ისე ცხოვრება, როგორც ის ცხოვრობს? ფრთხილად იყავი, ერთხელ კიდევ არ აგიბნიოს თავგზა.

**როსმერი.** შენ დარდი ნუ გაქვს; ახლა ყველაფერში მე თვითონ გავერკვევი საფუძვლიანად.

**კროლი.** ღმერთმა ქნას რომ ასე იყოს, ძვირფასო როსმერ, თორემ ძალზე ადვილად ემორჩილები ყოველგვარ უცხო გავლენას.

**როსმერი.** მოდი, ჩამოვსხდეთ და ისე ვილაპარაკოთ.

**კროლი.** მოდი.

დივანზე სხდებიან.

**როსმერი (ხანმოკლე დუმილის შემდეგ).** როგორ მოგწონს აქაურობა?

**კროლი.** ძალიან. ყველგან ისეთი სიფაქიზეა, სიმყუდროვე და სიმშვიდე. როგორც ჩანს, ნამდვილი ოჯახური კერა შეიძინე, როსმერ. მე კი ჩემი დავკარგე.

**როსმერი.** ასე ნუ ლაპარაკობ, ძვირფასო კროლ. რაც ახლა გათიშულია, კვლავ შეერთდება.

**კროლი.** აღარასოდეს, აღარასოდეს. ნესტარი რჩება. რაც იყო, ველარ დაიბრუნებ.

**როსმერი.** ყური მიგდე. რამდენი ხანია, ერთმანეთს ვიცნობთ, კროლ. თუ შეგიძლია დაუშვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ჩვენი მეგობრობა შეიძლება დაირღვეს?

**კროლი.** ამქვეყნად არ მეგულება მისი დამრღვევი ძალა. ეგ რამ გათქმევინა?

**როსმერი.** კი მაგრამ, შენ ხომ ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებ აზრებისა და შეხედულებების ერთობას?

**კროლი.** რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი შეხედულებები ხომ ერთმანეთს თანხვდება? ყოველ შემთხვევაში, ძირითად საკითხებში მაინც.

**როსმერი (ჩუმად).** არა, უკვე აღარ თანხვდება.

**კროლი (წამოხტომას აპირებს).** რაო?

**როსმერი (ხელით აჩერებს).** არა, იჯექი; გეხვეწები, კროლ.

**კროლი.** კი მაგრამ, მაინც რა მოხდა? აღარაფერი აღარ მესმის! გარკვევით მითხარი.

**როსმერი.** ჩემს გულში ახლა ნამდვილი გაზაფხულია. უჩვეულოდ განახლებული ჭაბუკური თვალთახედვით აღვიქვამ ცხოვრებას, და მეც იქამდე მივედი...

**კროლი.** მაინც სადამდე?

**როსმერი.** სადაც მივიდნენ შენი შვილები.

**კროლი.** შენ?! შეუძლებელია! რაო, რა თქვი, სად მივედით?

**როსმერი.** სადაც შენი შვილები — ლაურიცი და ჰილდა მივიდნენ-მეთქი.

**კროლი. (თავს აქნევს).** განდგომილო!.. იუჰანეს როსმერი — განდგომილი?..

**როსმერი.** სიხარულით ფეხზე აღარ უნდა ვიდგე... ფრთაშესხმული იმის შეგნებით, რომ შენივე თქმისა არ იყოს, თურმე განდგომილი ყოფილხარ. მაგრამ მე იმდენი ვეწამე, იმდენი ვიტანჯე, რადგანაც ვიცოდი, რა სასტიკად გატკენდი გულს.

**კროლი.** როსმერ... როსმერ! მე ამას ვერასოდეს შევურიგდები. **(წყრომით უყურებს).** და შენ, მათთან ერთად, მზადა ხარ, ხელი შეუწყო ამ ბედუკუღმართ ქვეყანაში შფოთისა და განხეთქილების თესლის გავრცელებას?

**როსმერი.** ეს განთავისუფლებაა, და მე მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო მასში.

**კროლი.** ჰო, ვიცი, ვიცი. განთავისუფლებას უწოდებენ ამას შფოთისთავები და გზააბნეულნი. მაგრამ ნუთუ მართლა გგონია, როსმერ, რომ თავისუფლებას მოგვიტანს ის მეამბოხური სულისკვეთება, რომელმაც ახლა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მოწამლა?

**როსმერი.** მე არც მეამბოხურ სულისკვეთებასთან მაქვს რაიმე საქმე და არც ერთმანეთის წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლაში ჩაბმულ რომელიმე პარტიასთან. მე მინდა ერთად შევკრიბო და რაც შეიძლება მჭიდროდ შევაკავშირო ერთმანეთისაგან გათიშული ადამიანები. მე მინდა მთელი ჩემი ძალა და უნარი, მთელი ჩემი სიცოცხლე მივუძღვნა ჭეშმარიტად სახალხო ხელისუფლების დამყარებას ჩვენს ქვეყანაში.

**კროლი.** რას იტყვი, ნუთუ ჩვენში საკმარისი არ არის ეს სახალხო ხელისუფლება? მე კი მგონია, რომ ჩვენ ყველანი ერთად მივექანებით ჭაობისაკენ, სადაც ლაღად მარტოოდენ ბრბო თუ გრძნობს თავს.

**როსმერი.** სწორედ ამიტომაც, მე ვაყალიბებ სახალხო ხელისუფლების ჭეშმარიტ ამოცანას.

**კროლი.** რა ამოცანას?

**როსმერი.** კეთილშობილი გავხადო ყველა მოქალაქე.

**კროლი.** ყველა?..

**როსმერი.** ყოველ შემთხვევაში, რაც შეიძლება მეტი.

**კროლი.** მაინც რა გზით?

**როსმერი.** მათი სულის განთავისუფლებითა და ნების განწმენდით.

**კროლი.** შენ მეოცნებე ხარ, როსმერ. შენ გინდა გაანთავისუფლო და განწმინდო ისინი?

**როსმერი.** არა, ძვირფასო მეგობარო... მე მხოლოდ ის მინდა ვცადო, რომ ამ მიზნისკენ სწრაფვა აღვძრა და გავაღვიძო მათში. დანარჩენი კი თვითონვე უნდა შესძლონ.

**კროლი.** და შენ გგონია, რომ შესძლებენ?

**როსმერი.** დიახ.

**კროლი.** თავისთავად, თავიანთი საკუთარი ძალებით?

**როსმერი.** დიახ, თავიანთი საკუთარი ძალებით. სხვა ძალა არ არსებობს.

**კროლი (დგება).** განა ასე ლაპარაკი შეშვენის პასტორს?

**როსმერი.** მე უკვე აღარა ვარ პასტორი.

**კროლი.** ჰო, მაგრამ, შენი ბავშვური რწმენა?

**როსმერი.** უკვე ჩაქრა და ჩაიფერფლა ჩემში.

**კროლი.** არა!..

**როსმერი.** მე თვითონვე ვთქვი უარი მასზე. ასე იყო საჭირო, კროლ.

**კროლი (გაოგნებული; ცდილობს თავი შეიკავოს).** მაშ, ასე?.. დიახ, დიახ. სადაც ერთი, იქაც მეორე. ამიტომ ხომ არ აიყარე საეკლესიო ხარისხიც?

**როსმერი.** დიახ. როცა კარგად გავერკვიე ჩემსავე თავში და დავრწმუნდი, რომ ეს მსწრაფლწარმავალი ცთუნება კი არ არის, არამედ რაღაც ისეთი, რასაც ველარასოდეს დავაღწევ თავს — ავდექი და წამოვედი.

**კროლი.** აი, თურმე რამდენ ხანს მწიფდებოდა შენში ეს აზრი. შენმა მეგობრებმა კი არაფერი ვიცოდით! როსმერ, როსმერ... რატომ დაგვიმალე ეს სამწუხარო ამბავი?

**როსმერი.** ჯერ ერთი, ჩემის აზრით, ეს საქმე მხოლოდ მე მეხებოდა, და, ეგეც არ იყოს, არ მინდოდა, ან შენ და ან ჩემი დანარჩენი მეგობრები ტყუილუბრალოდ დამემწუხრებინეთ. მეგონა, კვლავინდებურად შევძლებდი მეცხოვრა ჩემთვის, მშვიდი და უშფოთველი ცხოვრებით. მე მინდოდა წამეკითხა და შემესწავლა ყველა ის შრომა, რომელიც უწინ აკრძალული ხილი იყო ჩემთვის; მთელის არსებით მივცემოდი ჭეშმარიტებისა და თავისუფლების სამყაროს, რომელიც გადაიშალა ჩემს თვალწინ

**კროლი.** ო, განდგომილო. ყოველი შენი სიტყვა ამას ღაღადებს. მაგრამ მაინც რატომ აღიარებ ამ შენს იდუმალ განდგომილებას? და რატომ მაინცდამაინც ახლა?

**როსმერი.** შენ თვითონ მაიძულე, კროლ.

**კროლი.** მე, მე გაიძულე?

**როსმერი.** დიახ, როცა გავიგე, როგორ მძვინვარებყრილობებზე... როცა გავეცანი შენს სიტყვებსა და გააფთრებულ გამოხდომებს მათ წინააღმდეგ, ვინც საპირისპირო მხარეზე დგას... როცა ჩემთვის ცხადი შეიქნა შენი ზიზღნარევი სიძულვილი მოწინააღმდეგეთა მიმართ... ო, კროლ! რა შენი საკადრისია ეს?.. აი, სწორედ მაშინ, მთელი სიცხადით შევიგნე ჩემი საკუთარი მოვალეობა. ამ გამუდმებულმა ბრძოლებმა გააბოროტა ადამიანის სული, უნდა ვცადოთ და მშვიდობა, სიხარული, თანხმობა დავამკვიდროთ მასში. აი, ამიტომაც გამოვდივარ და საჯაროდ ვაღიარებ იმას, თუ რად ვიქეც. ეგეც არ იყოს, მე მინდა გამოვცადო ჩემივე თავი. იქნებ გეცადა და... შენც შემოგვიერთდებოდი, კროლ?

**კროლი.** არასოდეს! სანამ პირში სული მიდგას, არასოდეს დავუზავდები საზოგადოების დამანგრეველ ელემენტებს!

**როსმერი.** მაშ, რაკი ბრძოლა გარდაუვალი შეიქნა, მოდი, კეთილშობილური იარაღით მაინც ვიბრძოლოთ.

**კროლი.** ვინც ჩემს სასიცოცხლო პრინციპებს არ იზიარებს, მას ჩემს პირად მტრად ვსახავ. მტრის დინდობა კი მე არ მჩვევია.

**როსმერი.** ეს მეც მეხება?

**კროლი.** შენ თვითონ გაწყვიტე ჩემთან ყოველგვარი კავშირი, როსმერ.

**როსმერი.** განა ეს კავშირის გაწყვეტაა ყველასთან, ვისაც აქამდე მეგობრად თვლიდი. რაც ამას მოჰყვება შედეგად, შენს თავს დააბრალე.

**მარჯვნიდან შემოდის რებეკა და ფართოდ აღებს კარს.**

**რებეკა.** აი, ახლა ის უკვე თავისი დიადი მსხვერპლშეწირვის აღსასრულებლად მიემართება. ჩვენ კი დროა, სუფრას მივუსხდეთ. გთხოვთ, ბატონო რექტორო.

კროლი (ქუდს იღებს). ღამე მშვიდობისა, ფრიოკენ ვესტ. ამ სახლში მე აღარაფერი მესაქმება.

რებეკა (დაძაბულად). რას ნიშნავს ეს? (კარს ხურავს და მასთან მიდის). ილაპარაკეთ?

როსმერი. მან უკვე ყველაფერი იცის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროლი. ასე ადვილად ვერ წაგვიხვალ ხელიდან, როსმერ. ჩვენ გაიძულებთ, კვლავ დაგვიბრუნდე.

როსმერი. მე თქვენ აღარასოდეს დაგიბრუნდებით.

კროლი. ვნახოთ, შენ ის კაცი არა ხარ, რომ მარტოობას გაუძლო.

როსმერი. მე სულ მარტო არ დავრჩები. ჩვენ ორნი როგორმე გავუძლებთ მარტოობას.

კროლი. აა! (გულში რაღაცა ეჭვი გაჰკრავს). ახლა ესეც?!.. ბეატას სიტყვები!..

როსმერი. ბეატასი?..

კროლი (თითქოს აბეზარ აზრს იშორებსო). არა, არა... ეს რამ მათქმევინა?.. მომიტევე.

როსმერი. რაო? რას ამბობ?

კროლი. სიტყვაც აღარ დავძრათ ამაზე. ფუჰ! მომიტევე. კარგად იყავი! (წინკარისაკენ მიემართება).

როსმერი. (უკან მისდევს). კროლ! ასე ხომ არ დავცილდებით ერთმანეთს? ხვალ შემოგივლი.

კროლი (წინკარში, შემობრუნდება). შენი ფეხი არ ვნახო ჩემს სახლში! (ჯოხს იღებს და მიდის).

როსმერი ერთხანს უძრავად დგას, შემდეგ კარს ხურავს და მაგიდასთან მიდის.

როსმერი. რა ვუყოთ, რებეკა. როგორმე გავუძლებთ. ჩვენ ხომ ერთგული მეგობრები ვართ. მე და შენ.

რებეკა. როგორ გგონია, რა აზრმა გაუელვა თავში, როცა იყვირა „ფუჰ"?

როსმერი. ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჩემო კარგო. თვითონაც არ ენდო თავისსავე აზრს... ხვალ მაინც ვინახულებ. ღამე მშვიდობისა.

რებეკა. დღეს, ყოველივე ამის შემდეგაც, ასე ადრე განმარტოვდები?

როსმერი. დიახ, როგორც ყოველთვის. გულიდან თითქოს ლოდი ამეხსნა, როცა ყოველივე ეს უკან მოვიტოვე. ხომ ხედავ, რა მშვიდადა ვარ, ჩემო ძვირფასო? შენც ასევე მშვიდად იყავი. ღამე მშვიდობისა.

რებეკა. ღამე მშვიდობისა, ჩემო ძვირფასო მეგობარო! ძილი ნებისა!

როსმერი წინკარში გადის, შემდეგ კიბეზე მისი ფეხის ხმა ისმის. რებეკა ღუმელთან ზარს ჩამოჰკრავს და ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

რებეკა. სუფრა აალაგეთ, მადამ ჰელსეტ. პასტორი არაფერს არ მიირთმევს. რექტორი კი წავიდა.

მადამ ჰელსეტი. წავიდა? ვითომ რატომაო?

რებეკა (ხელსაქმეს დასწვდება). რა ვიცი, ასე თქვა, თავსხმა იქნებაო...

მადამ ჰელსეტი. სასწაული თუ გნებავთ, ეს არის! მთელი საღამო ერთი ღრუბელიც არ გამოჩენილა ცაზე.

რებეკა. ნეტავი თეთრ ცხენს არსად გადაეყაროს. მე მგონია, ეს მოჩვენებები აქ მალე სეირს გვიჩვენებენ.

**მადამ ჰელსეტი.** ღმერთო დიდებულო! ამ საშინელებაზე ასე ლაპარაკი გაგონილა, ფრიოკენ?

**რებეკა.** აბა, აბა...

**მადამ ჰელსეტი (ჩუმად).** ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჩვენსას ასე მალე მოკვდება ვინმე?

**რებეკა.** არა, კი არა მგონია... მაგრამ ამქვეყნად იმ[illegible]ხენია, მადამ ჰელსეტ... აბა, ღამე მშვიდობისა! მე წავალ.

**მადამ ჰელსეტი.** ღამე მშვიდობისა, ფრიოკენ.

**რებეკა. (ხელმარჯვნივ გადის. ლამპას აქრობს, თავს აქნევს და ბუტბუტებს).** ღმერთო დიდებულო... ხანდახან რაღას არ იტყვის ეს ფრიოკენ ვესტი!

## მეორე მოქმედება

**იუჰანეს როსმერის კაბინეტი. მარცხენა კედელში დატანებულია შემოსასვლელი კარი. ოთახის სიღრმეში კარის ჭრილია, აქეთ-იქით გადაწეული პორტიერებით; ამ კარით კაბინეტი საძილე ოთახს უკავშირდება. ხელმარჯვნივ ფანჯარაა, მის წინ კი — მაგიდა, რომელზედაც წიგნები და ქაღალდებია დახვავებული. კედლების გასწვრივ წიგნის თაროები და კარადებია. მთელი ავეჯი და მოწყობილობა საკმაოდ უბრალოა. ხელმარცხნივ ძველებური კანაპეა, მის წინ კი მაგიდა.**

**საშინაო სერთუკში გამოწყობილი იუჰანეს როსმერი საწერ მაგიდასთან ზის მაღალზურგიან სკამზე; რომელიღაც თხელყდიან წიგნს ჭრის და ათვალიერებს, მარცხენა კარზე აკაკუნებენ.**

**როსმერი (თავის მოუბრუნებლად).** მობრძანდით.

**რებეკა (შემოდის; საშინაო კაბა აცვია).** დილა მშვიდობისა.

**როსმერი (ჟურნალს ფურცლავს).** დილა მშვიდობისა, ძვირფასო. გინდოდა რამე?

**რებეკა.** მინდოდა გამეგო, როგორ გეძინა.

**როსმერი.** დიდებულად. სიზმარიც კი არ მინახავს. **(შემოტრიალდება).** შენ?

**რებეკა.** გმადლობ. ისე, გამთენიისას...

**როსმერი.** იცი რა? ღიდიხანია, ასე ლაღად აღარ მიგრძნია თავი... ოო, კიდევ კარგი, რომ გუშინ ყველაფრის თქმა მოვასწარი.

**რებეკა.** დიახ, აქამდე სულ ტყუილად სდუმდი, როსმერ.

**როსმერი.** მეც არ ვიცი, რისი მეშინოდა.

**რებეკა.** არა, ეს შიშის ბრალი ხომ არ ყოფილა..

**როსმერი.** კი მაგრამ... არა, თუ კარგად დავუკვირდებით, შიშიც ერია.

**რებეკა.** მით უფრო მეტი სიმამაცე იყო შენის მხრივ, რომ ასე ერთბაშად გაწყვიტე მათთან კავშირი. **(როსმერის გვერდით ჯდება სკამზე).** მე კი მინდა გიამბო, რა ჩავიდინე... ხომ არ გამიჯავრდები?

**როსმერი.** გაგიჯავრდები?.. ეგ რამ გაფიქრებინა, ჩემო ძვირფასო?

**რებეკა.** რამ და იმან, რომ, ცოტა არ იყოს, თვითნებურად მოვიქეცი.

**როსმერი.** მაინც?..

**რებეკა.** წუხელის, ულრიკ ბრენდელმა წასვლა რომ დააპირა, წერილი გავატანე მორტენსგორთან.

**როსმერი (ცოტა არ იყოს, ჩაფიქრებით).** აჰ, ჩემო კარგო... მაინც რა მისწერე?..

**რებეკა.** მივწერე, რომ დიდ სამსახურს გაგიწევდა, თუკი გარკვეულ თანაგრძნობას გამოიჩენდა ამ უბედური კაცის მიმართ და შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდა მას.

**როსმერი.** ნეტავი ეგ არ გექნა, ძვირფასო. ამით ბრენდელს მხოლოდ დათვური სამსახური გაუწიე. ეგეც არ იყოს, მორტენსჰორი ისეთი კაცია, რომ მე მერჩია, რაც შეიძლება შორს ვყოფილიყავი მისგან. თუ გახსოვს, ერთხელ კარგა გვარიანი შეტაკებაც მოგვივიდა.

**რებეკა.** კი მაგრამ, როგორ გგონია, ხომ არ დადგა დრო, რომ მეგობრული ურთიერთობა დაამყარო მასთან?

**როსმერი.** მე? მორტენსჰორთან? ვითომ რატომაო?

**რებეკა.** იმიტომ, რომ შენი მდგომარეობა, ცოტა არ იყოს, საეჭვო გახდა... მას შემდეგ, რაც კავშირი გაწყვიტე ძველ მეგობრებთან.

**როსმერი (უყურებს და თავს აქნევს).** ნუთუ მართლა გგონია, რომ კროლი ან რომელიმე მათგანი შურს იძიებს?.. რომ თუნდაც ერთ მათგანს შეუძლია უღირსი რამე იკადროს?..

**რებეკა.** ცხელ გულზე, ჩემო ძვირფასო, კაცმა არ იცის, ვინ რას მოიმოქმედებს. თუ რექტორის რეაქციის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ...

**როსმერი.** ო, შენ მაგას აღარ იტყოდი, უკეთ რომ იცნობდე რექტორს. კროლი უაღრესად კეთილშობილი კაცია. ნასადილევს ქალაქში წავალ და მოველაპარაკები მასაც და დანარჩენებსაც. აი, ნახავ, ყველაფერს მოევლება...

**მარცხენა კარიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.**

**რებეკა (წამოდგება).** რა მოხდა, მადამ ჰელსეტ?

**მადამ ჰელსეტი.** წინკარში რექტორი კროლი იცდის.

**როსმერი (სწრაფად დგება).** კროლი?

**რებეკა.** რექტორი? გესმის?..

**მადამ ჰელსეტი.** კითხულობს, თუ შეიძლება ზევით ავიდე და პასტორს მოველაპარაკოო.

**როსმერი (რებეკას).** რას გეუბნებოდი?.. რა თქმა უნდა, შეიძლება. **(კართან მიდის და ქვევით ჩასძახის).** ამოდი, ამოდი, ძმაო და მეგობარო! გამარჯობა! **(დგას და კარი ხელით უჭირავს, რომ არ მიიხუროს).**

**მადამ ჰელსეტი. (მიდის. რებეკა პორტიერებს გადმოსწევს და ოთახში რაღაცას ალაგებს. შემოდის რექტორი კროლი; ხელში ქუდი უჭირავს.**

**(ჩუმად, გულაჩუყებით).** ვიცოდი, რომ საბოლოოდ არ დაგვიკარგავს ერთმანეთი..

**კროლი.** დღეს ყველაფერი სულ სხვანაირად წარმომიდგა, ვიდრე გუშინ.

**როსმერი.** მართალს ამბობ, კროლ?.. როდისღა მოასწარი?..

**კროლი.** შენ უკუღმა გესმის ჩემი სიტყვები. **(ქუდს კანაპეხთან მდგარ მაგიდაზე დებს).** დაუყოვნებლივ უნდა მოგელაპარაკო, პირისპირ.

**როსმერი.** ფრიოკენ ვესტიც რომ დაგვესწროს, არ შეიძლება?

**რებეკა.** არა, არა, ბატონო როსმერ, მე წავალ.

**კროლი (ახედ-დახედავს).** ბოდიში უნდა მოვუხადო ფრიოკენ ვესტს, რომ ასე დილაადრიან დაგირღვიეთ მყუდროება. მოულოდნელად დაგადექით თავზე, და თქვენ ისიც კი ვერ მოასწარით, რომ...

**რებეკა (გაოგნებული).** როგორ? თქვენ ასე უჩვეულოდ მიგაჩნიათ, რომ საშინაო კაბა მაცვია დილით?

**კროლი.** როგორ გეკადრებათ? მე ხომ წარმოდგენაც არა მაქვს, რა ხდება ახლა როსმერსჰოლმში?

**როსმერი.** კი მაგრამ... დღეს ნამდვილად ვეღარ გცნობ, კროლ.

**რებეკა.** კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო რექტორო. (ხელმარჯვნივ გადის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კროლი.** შენის ნებართვით... (კანაპეზე ჩამოჯდება).

**როსმერი.** დიახ, ჩამოვსხდეთ და გულიანად მოვილაპარაკოთ. (რექტორის პირისპირ ჩამოჯდება სკამზე).

**კროლი.** წუხანდელს აქეთ თვალი არ მომიხუჭავს. მთელი ღამე ფიქრში გავათენე.

**როსმერი.** დღეს რაღას იტყვი?

**კროლი.** ბევრი რამე მაქვს სათქმელი, როსმერ. ნება მიბოძე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი შესავლით დავიწყო. მინდა რაღაცა გაცნობო ულრიკ ბრენდელზე.

**როსმერი.** შენთან ხომ არ ყოფილა?

**კროლი.** არა. ერთ ბინძურ დუქანში დაბინავდა და, რაღა თქმა უნდა, გარსაც ყველაზე ბინძური ამფსონები შემოიხვია. სვამდა და სხვებსაც უმასპინძლდებოდა სანამდის ფული ეყო. მერე კი გინება დაუწყო თავის ამფსონებს, სულ ღორები და ძაღლიშვილები უძახა. ისე, კაცმა რომ თქვას, მართალიც იყო. მაგრამ კაი გვარიანად ჟეჟეს და თხრილში ჩააგდეს.

**როსმერი.** სულ მთლად ხელიდან წასულა საწყალი.

**კროლი.** სერთუკიც დააგირავა. მაგრამ ამბობენ, გამოისყიდესო. აბა, თუ გამოიცნობ, ვინ?

**როსმერი.** შენ?

**კროლი.** არა. კეთილშობილმა ბატონმა მორტენსჰორმა.

**როსმერი.** მართლა?

**კროლი.** როგორც გადმომცეს, ბატონი ბრენდელი ყველაზე უმალ სწორედ ამ „იდიოტსა და მდაბიორს“ სწვევია თურმე.

**როსმერი.** როგორც ჩანს, არც შემცდარა...

**კროლი.** რა თქმა უნდა. (მაგიდას ეყრდნობა და ოდნავ იხრება როსმერისაკენ). მაგრამ აქ ჩვენ მივადექით საკითხს, რომელთან დაკავშირებითაც მე, ჩვენი ძველი... ჩვენი ყოფილი მეგობრობის სახელით, თავს მოვალედ ვთვლი, გაგაფრთხილო.

**როსმერი.** კი მაგრამ, მაინც რა მოხდა, ჩემო ძვირფასო?

**კროლი.** საქმე ისაა, რომ შენს საკუთარ სახლში და, როგორც ჩანს, შენს ზურგს უკან რაღაცას გიწყობენ...

**როსმერი.** ეგ რამ გაფიქრებინა? რებ... ფრიოკენ ვესტს ხომ არ გულისხმობ?

**კროლი.** დიახ, ამ შემთხვევაში, მშვენივრად მესმის მისი. რა ხანია მიეჩვია იმას, რომ ყველაფერს თვითონ განაგებს აქ. მაგრამ მაინც...

**როსმერი.** ღმერთმანი, სცდები, ჩემო ძვირფასო. ჩვენ არაფერს არ ვუმალავთ ერთიმეორეს.

**კროლი.** მაშინ მითხარი, თუ გამოგიტყდა, რომ „შუქურას“ რედაქტორთან მიმოწერა აქვს გაჩაღებული?

**როსმერი.** აჰ, შენ იმ ბარათს გულისხმობ, ულრიკ ბრენდელს რომ გაატანა?

**კროლი.** მაშ, უკვე იცი? და იწონებ იმას, რომ ფრიოკენ ვესტს ურთიერთობა აქვს ამ ბინძურ მჯღაბნელთან და ინტრიგანთან, რომელიც ყოველ[illegible]რა ცდილობს სამარცხვინო ბოძზე გამაკრას და გააფთრებით ესხმის თავს ჩემს სკოლასაც და ჩემს საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც?

**როსმერი.** ამაზე მას, როგორც ჩანს, არც უფიქრია, ჩემო ძვირფასო, [illegible] კი, ბოლოს და ბოლოს, ფრიოკენ ვესტს ჩემზე არანაკლები უფლება აქვს, ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს.

**კროლი.** მართლა? ეს ალბათ შენს ახალ მიმართულებას უკავშირდება. ფრიოკენ ვესტიც ხომ, რაღა თქმა უნდა, იქამდე მივიდოდა, სადამდისაც მიხვედი შენ.

**როსმერი.** დიახ, ისიც. ჩვენ ერთად ვმუშაობდით იმისთვის, რომ ახალ გზას დავდგომოდით.

**კროლი. (უყურებს და ნელა აქნევს თავს).** აჰ, შე დაბრმავებულო და მოტყუებულო კაცო!

**როსმერი.** მე?.. ვინ მოგახსენა?

**კროლი.** თუმცა მე რა უფლება მაქვს... ან როგორ გავბედავ, რომ უფრო უარესი ვიფიქრო? არა, არა, მხოლოდ ერთი კი მათქმევინე... მართლა აფასებ ჩემს მეგობრობას და პატივისცემას, როსმერ?

**როსმერი.** ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ზედმეტად მიმაჩნია.

**კროლი.** მაშინ სხვა კითხვები მოითხოვენ პასუხსაც და ახსნა-განმარტებასაც. თუ ნებას მომცემ, ერთგვარ დაკითხვას მოგიწყობ.

**როსმერი.** დაკითხვას?

**კროლი.** დიახ, თუ ნებას მომცემ, რამდენიმე კითხვას დაგისვამ იმასთან დაკავშირებით, რისი გახსენება, შენთვის, შესაძლოა, ძალზე მტკივნეულიც იყოს. იცი, რა?.. ეს შენი განდგომილება... ანუ, როგორც შენ თვითონ უწოდებ, „განთავისუფლება"... ყოველივე ეს უშუალოდ უკავშირდება ბევრ რამეს, რაც, თუ შენი თავისთვის სიკეთე გსურს, უთუოდ უნდა ამიხსნა.

**როსმერი.** რაც გინდა მკითხე, ჩემო ძვირფასო, მე დასამალი არაფერი მაქვს.

**კროლი.** მაშინ მითხარი, როგორ გგონია, მაინც რატომ მოიკლა თავი ბეატამ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

**როსმერი.** ნუთუ მართლა რამე გაეჭვებს? ან, უფრო სწორად, ნუთუ შეიძლება ესოდენ უბედური, შეურაცხადი ავადმყოფების ქცევის მიზეზთა გამოძიება?

**კროლი.** დარწმუნებული ხარ, რომ ბეატა მართლაც აბსოლუტურად შეურაცხადი იყო? ყოველ შემთხვევაში, ექიმებს ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილად არ მიაჩნდათ.

**როსმერი.** ექიმებს რომ იმ დღეში ენახათ, რა დღეშიაც პირადად მე გამუდმებით ვხედავდი მას, საეჭვო აღარაფერი ექნებოდათ.

**კროლი.** უწინ არც მე მეპარებოდა ეჭვი.

**როსმერი.** სამწუხაროდ, ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო. ხომ მითქვამს შენთვის, რა ველური და აღვირახსნილი ჟინი მოუვლიდა ხოლმე... ჩემგან კი მის დაკმაყოფილებას მოითხოვდა... ო, რა თავზარდამცემი იყო ამ დროს!.. შემდეგ კი მთელი ეს მისი უსაფუძვლო სინდისის ქენჯნა და გამუდმებული თვითგვემა უკანასკნელ წლებში...

**კროლი.** დიახ, როცა გაიგო, რომ შვილი არ ეყოლებოდა.

**როსმერი.** თავად განსაჯე: ყოველდღე სჯიჯგნიდე, სტანჯავდე და აწამებდე შენსავე თავს, მიუხედავად იმისა, რომ არაფერში არა ხარ დამნაშავე!.. შეურაცხადის საქციელია, აბა, რა არის?

**კროლი.** ჰმ... თუ გახსოვს, ხომ არ გქონდა სახლში წიგნები, რომლებშიაც ჩვენი დროის უახლესი თვალსაზრისით იყო განხილული ქორწინების დანიშნულება და მიზნები?

**როსმერი.** მახსოვს, ფრიოკენ ვესტმა წასაკითხად მომცა ერთი ასეთი თხზულება, როგორც მოგეხსენება, ექიმ ვესტის მთელი ბიბლიოთეკა მის ხელში გადავიდა. მაგრამ ხომ არ გგონია, ძვირფასო კროლ, თითქოს ისეთი წინდაუხედავები ვიყავით, რომ საბრალო ავადმყოფისთვის გაგვეზიარებინა ეს საკითხები. პატიოსნებას გეფიცები, ამ მხრივ ჩვენ არავითარი დანაშაული არ მიგვიძღვის. ყველაფრის მიზეზი მისი აწეწილ-დაწეწილი ნერვები იყო; სწორედ ისინი მიაქანებდნენ მოლიპული გზით.

**კროლი.** ყოველ შემთხვევაში ,ერთი რამ მაინც შემიძლია გაგანდო დღეს. კერძოდ ის, რომ საცოდავმა, გაწამებულმა და ეგზალტირებულმა ბეატამ მხოლოდ იმიტომ მოიკლა თავი, რომ საშუალება მოეცა შენთვის თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრებით გეცხოვრა.

**როსმერი** (**ნახევრად წამოიწევს სკამიდან**). მაგით რისი თქმა გნებავს?

**კროლი.** მშვიდად მისმინე, როსმერ. ახლა კი შემიძლია ყველაფერი გითხრა. თავისი სიცოცხლის ბოლო წელს ბეატა ორჯერ იყო ჩემთან, რათა თავისი შიში თუ სასოწარკვეთილება გაენდო და გული მოეოხებინა.

**როსმერი.** ისევ თავის ძველ?..

**კროლი.** არა. პირველად მარწმუნებდა, თითქოს შენ განდგომილების გზას დაადექი და მზადა ხარ უღალატო მამა-პაპათა რწმენას.

**როსმერი** (**ფიცხლად**). ეს შეუძლებელია, კროლ! ღმერთმანი, სცდები.

**კროლი.** რატომ?

**როსმერი.** იმიტომ, რომ ბეატას სიცოცხლეში მე თვითონაც ვეჭვობდი და გამუდმებით ვებრძოდი თავს და ეს ბრძოლა მარტოდმარტომ მივიყვანე ბოლომდე ისე, რომ არავისთვის ერთი სიტყვაც არ მითქვამს. არა მგონია, რომ თვით რებეკასაც...

**კროლი.** რებეკასაც?

**როსმერი.** დიახ... ფრიოკენ ვესტს... მე უბრალოდ რებეკას ვეძახი ხოლმე.

**კროლი.** უკვე შევნიშნე.

**როსმერი.** აი, რატომაა, რომ ვერასდიდებით ვერ გამიგია, როგორ უნდა მისულიყო ბეატა ამ დასკვნამდე. რატომ მე თვითონ არ მითხრა? ღმერთმანი, არასოდეს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია ეს.

**კროლი.** საცოდავი... მე კი მთხოვდა, მევედრებოდა, მოელაპარაკეო.

**როსმერი** მერედა, შენ მაინც გეთქვა რამე.

**კროლი.** კი მაგრამ, განა შემეძლო, თუნდაც ერთი წუთით ეჭვი შემეტანა მის არანორმალურობაში? ამ გაუგონარ ბრალდებას სხვა ვინ წაუყენებდა შენნაირ კაცს?... დაახლოებით ერთი თვის შემდეგ კი.. მეორედაც მოვიდა. ერთი შეხედვით, თითქოს მშვიდი ჩანდა. მაგრამ წასვლისას მითხრა: „ახლა როსმერსჰოლმში მალე უნდა ელოდნენ თეთრ ცხენსო".

**როსმერი.** დიახ, დიახ. თეთრი ცხენი... ხშირად ახსენებდა.

**კროლი.** როცა შევეცადე, ამნაირი სევდიანი აზრები გამექარწყლებინა

მისთვის, პასუხად მითხრა: „დიდი დღე აღარ დამრჩენია, იუჰანესმა სასწრაფოდ უნდა შეირთოს რებეკა".

**როსმერი. (ენა აღარ ემორჩილება).** რას ამბობ?.. ვინ უნდა შევირთო?..

**კროლი.** ეს მითხრა ხუთშაბათს, ნასადილევს. შაბათ საღამოს კი ბოგირიდან წყალვარდნილში გადაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როსმერი.** კი მაგრამ, რატომ არ გაგვაფრთხილე?..

**კროლი.** ხომ იცი, რა ხშირად გადაგვეიკრავდა სიტყვას, მალე მოვკვდებიო.

**როსმერი.** ვიცი, ვიცი... მაგრამ მაინც უნდა გაგეფრთხილებინეთ!

**კროლი.** დავაპირე კიდეც, მაგრამ, საუბედუროდ, დავიგვიანე.

**როსმერი.** მას მერე მაინც რატომღა სდუმდი?

**კროლი.** რა მექნა, ყველაფერზე ხელი ჩამექნია და მეთქვა, კიდევ უფრო მეტანჯე და მეწამებინე? მე, ხომ ეს სნეულის უსაგნო და უშინაარსო ზმანება მეგონა... თვით გუშინდლამდე.

**როსმერი.** დღეს კი სხვა რამე გგონია?

**კროლი.** განა ბეატა მართალი არ იყო, როცა ამბობდა, რომ მზად იყავი ხელი აგელო ბავშვობიდანვე შესისხლხორცებულ მრწამსზე?

**როსმერი (სივრცეს მიაპყრობს მზერას).** რა ვქნა, არ მესმის. ყოველივე ეს გონებამიუწვდომელია ჩემთვის.

**კროლი.** გონებამიუწვდომელია თუ მისაწვდომი, ეს ასეა. და, აი, მე გეკითხები, როსმერ, რამდენად მართალია მისი მეორე — უკანასკნელი ბრალდება?

**როსმერი.** ბრალდება? მაშ, ეს ბრალდება იყო?

**კროლი.** როგორც ჩანს, სათანადო ყურადღება არ მიგიქცევია მისი სიტყვებისთვის. მან თქვა, მალე მოვკვდებიო. კი მაგრამ, რატომ? ა?

**როსმერი.** იმიტომ, რომ რებეკა შემერთო...

**კროლი.** არა, მთლად ასე არ უთქვამს; აი, მისი სიტყვები: „დიდი დღე არ დამრჩენია. იუჰანესმა სასწრაფოდ უნდა შეირთოს რებეკა".

**როსმერი (ერთხანს უსიტყვოდ მისჩერებია, შემდეგ დგება).** ახლა კი მიგიხვდი, კროლ.

**კროლი.** მერედა, რას მიპასუხებ?

**როსმერი (კვლავინდებურად ხმადაბლა და აუმღვრევლად).** ამ გაუგონარ ბრალდებაზე?.. ერთადერთი პასუხი ალბათ ის იქნებოდა, რომ კარი მეჩვენებინა შენთვის.

**კროლი (დგება).** კეთილი.

**როსმერი (მის წინ ჩერდება).** ყური მიგდე. ბეატას სიკვდილის შემდეგ... აგერ უკვე წელზე მეტია... მე და რებეკა ვესტი ერთადა ვცხოვრობთ როსმერსჰოლმში. მთელი ამ ხნის მანძილზე შენ იცოდი, რაშიაც გვადანაშაულებდა ბეატა, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ გიგრძნობინებია, რომ საძრახისად მიგაჩნდა ჩვენი ერთ ჭერქვეშ ყოფნა.

**კროლი.** წუხანდლამდე აზრადაც არ მომსვლია, რომ ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ განდგომილი და... ქალი, რომელიც თავისუფალ შეხედულებებს იზიარებს.

**როსმერი.** აა! მაშ, შენი აზრით, განდგომილთა და თავისუფლად მოაზროვნეთათვის უცხოა ზნეთა სიწმინდე? არ გჯერა, რომ ისინიც ემორჩილებიან ზნეობის კანონებს თავიანთი ბუნების შინაგან მოთხოვნილებათა შესაბამისად?

**კროლი.** მართალი გითხრა, მე ნაკლებად ვენდობი ზნეობას, რომელიც საეკლესიო სარწმუნოებას არ ეფუძნება.

**როსმერი.** და ამ ადლით გვზომავ როგორც მე და რებეკას, ისე ჩვენს ურთიერთობასაც?

**კროლი.** მე არ შემიძლია თქვენ ორის გამო მცდარად მივიჩნიო ის აზრი, რომ გადაულახავი უფსკრული როდი ძევს თავისუფალ აზროვნებასა და... ჰმ...

**როსმერი.** დაამთავრე! —

**კროლი.** ...თავისუფალ აზროვნებასა და თავისუფალ სიყვარულს შორის, — თუკი ასე ძალიან გაინტერესებს.

**როსმერი** (**ჩუმად**). არც კი გრცხვენია, რომ ამას მეუბნები. შენ ხომ ბავშვობიდანვე მიცნობ.

**კროლი.** საქმეც ეგაა. მე ვიცი, რა ადვილად ემორჩილები გარეშე ხალხის გავლენას. ეს შენი რებეკა კი... დიახ, ეს ფრიოკენ ვესტი... წარმოდგენაც არა გვაქვს, ვინ არის, რა ადამიანია! ერთის სიტყვით... მე შენ არ უარგყოფ, როსმერ. მაგრამ შენც ეცადე და... დროულად უშველე თავს.

**როსმერი.** თავს ვუშველო? კი მაგრამ, რა მჭირს საშველი?..

მარცხენა კარში **შემოიხედავს მადამ ჰელსეტი.**

რა გნებავთ?

**მადამ ჰელსეტი.** მინდოდა მეთხოვა ფრიოკენისთვის, იქნებ ქვევით ჩამოსულიყო.

**როსმერი.** აქ რომ არ არის?

**მადამ ჰელსეტი.** არ არის?... (**აქეთ-იქით იყურება**). სასწაულია! (**მიდის**).

**როსმერი.** რას ამბობდი?..

**კროლი.** მომისმინე, რა ხდებოდა აქ მალულად ბეატას სიცოცხლეში... და რაც გრძელდებოდა მისი სიკვდილის შემდეგ, — ამას აღარ გამოვეკიდები. ვიცი, რა უბედურიც იყავი ოჯახურ ცხოვრებაში, და ეს ნაწილობრივ გამართლებს შენ.

**როსმერი.** რა ცუდად გცნობივარ?..

**კროლი.** ნუ მაწყვეტინებ. აი, რას გეტყვი: თუკი ეს შენი ურთიერთობა ფრიოკენ ვესტთან კვლავინდებურად უნდა გაგრძელდეს, ყოვლად აუცილებელია, რომ პირში წყალი ჩაიგუბო და კრინტი არ დასძრა იმ გარდატეხაზე... უფრო სწორად, შენს სავალალო განდგომილებაზე. რაშიაც ამ ქალბატონს მიუძღვის ბრალი... დამამთავრებინე! დამამთავრებინე-მეთქი! მე გეუბნები, თუკი საქმეს ალარაფერი ეშველება, ნება შენია, იფიქრე, იაზროვნე და გწამდეს ისე, როგორც შენ თვითონ გნებავს... როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებითაც. მაგრამ შენი აზრები შენთვისვე შეინახე. ეს ხომ შენი პირადი საქმეა, და სულაც არ არის სავალდებულო, მთელ ქვეყანას მოსდო შენი განდგომილების ამბავი.

**როსმერი.** მე მინდა თავი დავაღწიო ამ ყალბსა და ორჭოფულ მდგომარეობას,

**კროლი.** მაგრამ შენ შეკრული ხარ მოვალეობით, შენივე გვარის ტრადიციებით, როსმერ, ნუ დაივიწყებ, რომ როსმერსჰოლმი იმთავითვე ითვლებოდა თავისებურ წმინდა კერად, რომელიც ხელს უწყობდა წესრიგისა თუ კანონიერების განმტკიცებას... და პატივისცემის დანერგვას ყოველივე იმის მიმართ, რასაც საზოგადოების უკეთესი ნაწილი თავისი ღირსების საქმედ აღიარებდა. მთელი ჩვენი მხარის სულიერი ცხოვრება როსმერსჰოლმის გავლენი-

თაა აღბეჭდილი. და თუ გავარდა ხმა, რომ შენ თვითონვე აქციე ზურგი იმას, რასაც მე როსმერების საგვარეულო ცხოვრების წესს ვუწოდებდი, ეს გამოიწვევს უკიდურესად მავნე გავლენას და საზარელ ეჭვს დათესავს მართლმორწმუნეთა სულში.

**როსმერი.** მე კი სულ სხვანაირად მესახება საქმე... ძვირფასო კროლ, ამიტომაც ჩემს უშუალო მოვალეობად მიმაჩნია სინათლისა და სიხარულის სხივი მაინც მოვფინო აქაურობას, სადაც როსმერების გვარი ამდენი ხნის მანძილზე მხოლოდ სიბნელესა და მონობას ავრცელებდა ირგვლივ.

**კროლი (მკაცრად უყურებს).** ვერაფერს იტყვი, მართლაც რომ ღირსეული ამოცანაა იმ კაცისთვის, ვის სიკვდილთან ერთადაც მთელი გვარი უნდა გადაეგოს. მოეშვი ამას! ეს შენი საქმე არ არის. შენ იმისთვის ხარ შექმნილი, რომ სწავლულის მყუდრო და უშფოთველი ცხოვრებით იცხოვრო.

**როსმერი.** შესაძლოა, მაგრამ მე მაინც მინდა ჩავერიო ცხოვრებისეულ ბრძოლაში, დიახ, მეც...

**კროლი.** ცხოვრებისეულ ბრძოლაში?.. მაგრამ თუ იცი, რითი დამთავრდება ეს ბრძოლა შენთვის? გამარჯვებით კი არა, არამედ განადგურებით, დიახ, შენი და შენი მეგობრების განადგურებით.

**როსმერი (ჩუმად).** ყველა შენნაირი ფანატიკოსი ხომ არ იქნება.

**კროლი.** რა გულუბრყვილო ხარ, როსმერ... გულუბრყვილო და გამოუცდელი. წარმოდგენაც არა გაქვს, სრულიად მოულოდნელად, რა მეხი შეიძლება დაგატყდეს თავზე.

**მადამ ჰელსეთი (მარცხენა კარიდან შემოიხედავს).** ქალბატონმა მიბრძანა....

**როსმერი.** რა?

**მადამ ჰელსეთი.** ქვემოთ ვიღაც კაცი გელოდებათ, პატარა საქმე აქვს პასტორთანო.

**როსმერი.** ის ხომ არა, წუხელ რომ იყო?

**მადამ ჰელსეთი.** არა, ამას მორტენსჰორი ჰქვია...

**როსმერი.** მორტენსჰორი?

**კროლი.** აჰა! ხედავთ, სადამდის მისულა საქმე?

**როსმერი.** რა საქმე აქვს ჩემთან? რატომ უკანვე არ გააბრუნეთ?

**მადამ ჰელსეთი.** ფრიოკენმა მიბრძანა, მეკითხა თქვენთვის, შეიძლება თუ არა. ზევით ამოვიდესო?

**როსმერი.** უთხარით, რომ სტუმარი მყავს...

**კროლი (მადამ ჰელსეტს).** ჩემი ნუ მოგერიდებათ, სთხოვეთ, მადამ ჰელსეტ. (მადამ ჰელსეტის გასვლისთანავე ქუდს დასწვდება). მე ადგილს ვუთმობ... ჯერჯერობით. მაგრამ გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის.

**როსმერი.** გეფიცები, კროლ... მორტენსჰორთან არავითარი საქმე არა მაქვს.

**კროლი.** მე უკვე აღარ მჯერა შენი. ამიერიდან არაფერში აღარ გენდობი. კეთილი! თუ ბრძოლაა, ბრძოლა იყოს, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა! ჩვენ ვეცდებით განვაიარაღოთ... გაგაუვნებლოთ!

**როსმერი.** აჰ, კროლ, კროლ... როგორ დამდაბლდი და დაეცი?

**კროლი.** მე? შენ უნდა მკადრებდე მაგას? გირჩევნია, შენს თავს დაუკვირდე. აბა, გაიხსენე ბეატა!

**როსმერი.** კვლავ შენსას გაიძახი?

**კროლი.** არა, პირადად შენი და შენს სინდისს განდობთ ბეატას სიკვდილის მიზეზში გარკვევას, თუკი, რა თქმა უნდა, სინდისის ნასახი მაინც შეგრჩა.

**პეტერ მორტენსჰორი** ჩუმად და მოკრძალებით შემოდის მარცხენა კარიდან. კაფანდარა კაცია, ქერა, მეჩხერი თმა-წვერი აქვს.

**(მძულვარებით სავსე მზერით ეგებება).** აი, როგორც ჩანს, „შუქურას"... როსმერსჰოლმში ანთებენ! **(სერთუკს იკრავს)** რაღას ვყოყმანობ, გასაგებია, რა კურსიც უნდა ავიღო.

**მორტენსჰორი (თვინიერად).** „შუქურა" ყოველთვის მზადაა, თავისებურად გაუნათოს გზა ბატონ რექტორს.

**კროლი.** დიახ, დიახ, რა ხანია დაამტკიცეთ თქვენი მზადყოფნა. არადა, ხომ არსებობს აღთქმა, რომელიც მოყვასის მიმართ ცილისწამებას უკრძალავს კაცს.

**მორტენსჰორი.** თქვენ ვერ მასწავლით ვერცერთ აღთქმას.

**კროლი.** ვერც მეშვიდეს?

**როსმერი.** კროლ!..

**მორტენსჰორი.** თუ საქმე საქმეზე მიდგა, ეს უფრო პასტორს შეჰფერის.

**კროლი (ირონიით).** პასტორს? რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ეს სწორედ პასტორ როსმერს შეჰფერის... წარმატებას გისურვებთ, ბატონებო! **(გადის და კარს გაიჯახუნებს).**

**როსმერი (კარგა ხანს მისჩერებია კარს და თითქოს თავისთვის ამბობს).** დიახ, დიახ... რაც არის, არის. **(შემობრუნდება).** მითხარით, ბატონო მორტენსჰორ, რამ მოგიყვანათ ჩემთან?

**მორტენსჰორი.** მართალი გითხრათ, მე უფრო ფრიოკენ ვესტთან მქონდა საქმე. მინდოდა მადლობა მომეხსენებინა იმ გულთბილი წერილისათვის, რომელიც გუშინ გამომიგზავნა.

**როსმერი.** ვიცი, რომ წერილი მოგწერათ... მერედა, ელაპარაკეთ?

**მორტენსჰორი.** დიახ. **(ოდნავ შესამჩნევად ეღიმება).** ამბობენ, როსმერსჰოლმში, შეხედულებების თვალსაზრისით, გარკვეული ცვლილებები მოხდაო.

**როსმერი.** დიახ, ჩემმა შეხედულებებმა ძირეული ცვლილება განიცადა თითქმის ყველა საკითხში.

**მორტენსჰორი.** ფრიოკენ ვესტმა ასეც მითხრა. ამიტომაც საჭიროდ მიიჩნია, რომ შევხვედროდით და ამის თაობაზე ვველაპარაკა.

**როსმერი.** კერძოდ, რის თაობაზე, ბატონო მორტენსჰორ?

**მორტენსჰორი.** თუ ნებას მომცემთ, „შუქურაში" გამოვაქვეყნებთ ცნობას იმის შესახებ, რომ შეხედულებები შეიცვალეთ და ახლა თავისუფალ აზროვნებასა და პროგრესს უჭერთ მხარს.

**როსმერი.** დიდი სიამოვნებით. ნებას მოგცემთ კი არადა, გთხოვთ კიდეც.

**მორტენსჰორი.** თუ ასეა, ხვალ დილითვე გამოვაქვეყნებთ. ეს იქნება სრულიად უჩვეულო, ყველასთვის მოულოდნელი ამბავი. პასტორი როსმერი ახლა სულ სხვანაირ შეხედულებებს იზიარებს და შესაძლებლად მიიჩნევს, ამ თვალსაზრისით ითანამშრომლოს განათლებისათვის ბრძოლის საქმეში.

**როსმერი.** კარგად არ მესმის თქვენი.

**მორტენსჰორი.** მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პარტია დიდ მორალურ მხარდაჭერას იძენს ყოველი ახალი, სერიოზული და მორწმუნე თანამოაზრის შემომატებით.

**როსმერი (ცოტა არ იყოს, განცვიფრებით).** მაშ, თქვენ არ იცით?. განა ფრიოკენ ვესტს არაფერი უთქვამს?..

**მორტენსგორი.** მაინც რა უნდა ეთქვა, ბატონო პასტორო? ალბათ არ ეცალა. მხოლოდ ის მითხრა, რომ თქვენთან ამოვსულიყავი; დანარჩენს თვითონ გეტყვითო.

**როსმერი.** მაშინ უნდა მოგახსენოთ, რომ ამიერიდან, თხემით ტერფამდე თავისუფალ მოაზროვნედ ვთვლი ჩემს თავს. სამუდამოდ ზურგი ვაქციე საეკლესიო მოძღვრებას; საერთოდ აღარაფერი მესაქმება მასთან.

**მორტენსგორი. (გაოგნებული მისჩერებია).** არა... მთვარე რომ დედამიწაზე ჩამოვარდნილიყო, ასე არ.. თვით პასტორი განუდგა რწმენას?

**როსმერი.** მე იქ მივედი, სადაც თქვენ უკვე დიდი ხანია დგახართ. აი, ეს აცნობეთ ხვალ თქვენს მკითხველებს.

**მორტენსგორი.** ესეც?.. არა ძვირფასო ბატონო პასტორო... მომიტევეთ, მაგრამ უმჯობესია საქმის ამ მხარეს საერთოდ არ შევეხოთ.

**როსმერი.** არ შევეხოთ?..

**მორტენსგორი.** ესე იგი, პირველ ხანებში.

**როსმერი.** არ მესმის...

**მორტენსგორი.** იცით, რას გეტყვით, ბატონო პასტორო?.. როგორც ჩანს, ჩემსავით კარგად არ იცნობთ საქმის ვითარებას. თუკი თქვენ ახლა ლიბერალების მხარეზე გადმოხვედით, და თუ — როგორც ფრიოკენ ვესტმა ბრძანა, — მოძრაობაში მონაწილეობის მიღება გსურთ, ალბათ მიზნად ისახავთ იმას, მთელ ჩვენს მიმართულებას და თვით მოძრაობას რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოთ.

**როსმერი.** დიახ, სწორედ ეს გახლავთ ჩემი მიზანი.

**მორტენსგორი.** მაშინ უნდა მოგახსენოთ, ბატონო პასტორო, რომ თუკი ასე ერთბაშად გაამჟღავნებთ თქვენს განზრახვას და მთელ ქვეყანას გააგებინებთ, რომ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეთ, მაშინ დაუყოვნებლივ თქვენ თვითონვე შეიკრავთ ხელ-ფეხს.

**როსმერი.** თქვენ გგონიათ?

**მორტენსგორი.** დიახ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ბევრს ვერაფერს გახდებით ამ ჩვენს მხარეში. ეგეც არ იყოს... თავისუფლად მოაზროვნენი ჩვენს რიგებში ისეც ბევრია, ბატონო პასტორო. მე ვიტყოდი, მეტისმეტადაც კი მომრავლდა ეს ხალხი. პარტიას ქრისტიანული ელემენტი სჭირდება... ახალი წევრები, რომლებსაც ყველა ანგარიშს გაუწევდა და პატივს სცემდა. ამ მხრივ, მართლაც რომ დიდ ნაკლებობას განვიცდით. ამიტომაც უფრო მიზანშეწონილი იქნება, თქვენთვის შეინახოთ ის, რასთანაც პუბლიკას არაფერი ესაქმება. აი, ჩემი აზრი.

**როსმერი.** მაშასადამე, თქვენ ვერ გაბედავთ ჩემთან საქმის დაჭერას, თუკი სახალხოდ ვაღიარებ ჩემს განდგომილებას.

**მორტენსგორი (თავს აქნევს).** სახიფათოა, ბატონო პასტორო. ამ უკანასკნელ ხანს მე წესად დავრგე, მხარი არ დავუჭირო არავის, ვინც ეკლესიის წინააღმდეგ ილაშქრებს.

**როსმერი.** განა ამ უკანასკნელ ხანს თქვენ კვლავ დაუბრუნდით ეკლესიის წიაღს?

**მორტენსგორი.** ეგ სხვა საქმეა.

**როსმერი.** აჰა. მაშინ ყველაფერი გასაგებია.

ეროვნული

**მორტენსგორი.** ბატონო პასტორო... თქვენ მაინც არ უნდა გავიწყდებოდეთ, რომ მე... დიახ, სწორედ მე... არსებითად, წართმეული მაქვს მოქმედების თავისუფლება.

**როსმერი.** კი მაგრამ, რატომ?

**მორტენსგორი.** იმიტომ, რომ სახელგატეხილი კაცი ვარ.

**როსმერი.** აა... აი, თურმე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მორტენსგორი.** დიახ, დიახ, ბატონო პასტორო. თქვენ მაინც უნდა გახსოვდეთ, იმიტომ, რომ ძირითადად სწორედ თქვენ შებღალეთ ჩემი სახელი.

**როსმერი.** მაშინ რომ იგივე შეხედულებები მქონოდა, რაც ახლა, ალბათ უფრო მეტ სიფრთხილეს გამოვიჩენდი თქვენი შეცოდების შეფასებისას.

**მორტენსგორი.** მეც აგრე მგონია. მაგრამ ახლა უკვე გვიანაა. თქვენ სამუდამო დაღი დამასვით, რომელსაც სიკვდილამდე ვერ მოვიცილებ. ალბათ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა საცოდაობაა ამნაირი კაცის სიცოცხლე. მაგრამ, მე მგონია, მალე საკუთარ თავზე იწვნევთ ამას.

**როსმერი.** მე?

**მორტენსგორი.** დიახ, ხომ არ გგონიათ, რომ რექტორი კროლი და მისი დამქაშები ასე ადვილად გაპატიებენ ამნაირ განხეთქილებას? ო, „სამხარეო გაზეთი" მწარედ დაგიწყებთ კბენას; ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ, ადვილი შესაძლებელია, რომ თქვენც მოგცხონ ჩირქი.

**როსმერი.** მე პირადად ჩემი თავი მოუწყვლადი მგონია, ბატონო მორტენსგორ. ჩემი ქცევა არავითარ საბაბს არ იძლევა თავდასხმისთვის.

**მორტენსგორი** (ცბიერი ღიმილით). მაგარი ნათქვამია, ბატონო პასტორო.

**როსმერი.** შეიძლება. მაგრამ მე უფლება მაქვს, ასე ვილაპარაკო.

**მორტენსგორი.** მაშინაც კი, თუ ისევე გულმოდგინედ დაიწყებთ ქექვას თქვენს პირად ცხოვრებაში, როგორც ოდესღაც ქექავდით ჩემსას?

**როსმერი.** თქვენ ისე უცნაური კილოთი ამბობთ ამას. მაინც რას გულისხმობთ? რაიმე ფაქტს?

**მორტენსგორი.** დიახ, ერთ, მხოლოდ ერთადერთ ფაქტს. მაგრამ საკმარისია ბოროტმოსურნე მოწინააღმდეგეებმა ალღო აუღონ, რომ ყველაფერი უკუღმა შეტრიალდეს.

**როსმერი.** მაშ, იქნებ კეთილინებოთ და მითხრათ, მაინც რომელ ფაქტს გულისხმობთ?

**მორტენსგორი.** ნუთუ ბატონი პასტორი თვითონ ვერ ხვდება?

**როსმერი.** მართალი გითხრათ, ვერასდიდებით ვერ მივმხვდარვარ.

**მორტენსგორი.** კეთილი. როგორც ჩანს, მე უნდა გითხრათ... ჩემთან ინახება ერთი უცნაური წერილი, რომელიც აქ, როსმერსჰოლმშია დაწერილი.

**როსმერი.** აა, ფრიოკენ ვესტის წერილი? ნუთუ ასე უცნაურია?

**მორტენსგორი.** არა, მისი წერილი სულაც არ არის უცნაური. მაგრამ მე ერთხელ სხვა წერილიც მივიღე თქვენი სახლიდან.

**როსმერი.** ისიც ფრიოკენ ვესტისაგან?

**მორტენსგორი.** არა, ბატონო პასტორო.

**როსმერი.** მაშ, ვისგან? ვისგან?

**მორტენსგორი.** თქვენი განსვენებული მეუღლისაგან.

**როსმერი.** ჩემი მეუღლისაგან? თქვენ მიიღეთ წერილი ჩემი მეუღლისაგან?

**მორტენსგორი.** დიახ, მივიღე.

**როსმერი.** როდის?

**მორტენსგორი.** მის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ასე, წელიწადნახევარი იქნება. აი, სწორედ ეს წერილია უცნაური.

**როსმერი.** თქვენ ალბათ იცით, რომ ჩემი ცოლი იმ დროს სულით ავადმყოფი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მორტენსგორი.** დიახ, ვიცი, რომ ბევრს ეგონა ასე. მაგრამ მისი წერილის მიხედვით, ძნელად თუ იფიქრებთ ამას. და თუ მე ვამბობ, უცნაური წერილია-მეთქი, სულ სხვა აზრით ვამბობ.

**როსმერი.** ასეთი მაინც რა მოგწერათ ჩემმა საბრალო ცოლმა?

**მორტენსგორი.** წერილი სახლში მაქვს. დაახლოებით, ასე იწყება: შიშისაგან სული მელევა, იმიტომ, რომ აქ ამ ჩვენს მხარეში, იმდენი ბოროტი ხალხი ცხოვრობს, და ამ ხალხს მხოლოდ ერთი საფიქრალი აქვს, როგორმე ავნონ ჩემს ქმარსაო.

**როსმერი.** მე?

**მორტენსგორი.** დიახ, შავით თეთრზე ასე სწერია. ყველაზე უცნაური კი შემდეგ მოდის. ესეც გითხრათ, ბატონო პასტორო?

**როსმერი.** აუცილებლად! ყველაფერი! რა თქმა უნდა.

**მორტენსგორი.** განსვენებული ფრუ როსმერი მთხოვს და მევედრება, დიდსულოვანი ვიყო თქვენ მიმართ. ჩემთვის ცნობილია, — მწერს იგი, — რომ სწორედ პასტორის წყალობით გადააყენეს მასწავლებლის თანამდებობიდანო, და მთხოვს, შური არ ვიძიო თქვენზე.

**როსმერი.** მაინც რანაირ შურისძიებას უფრთხოდა თქვენი მხრიდან.?

**მორტენსგორი.** მწერდა, თუ თქვენამდე მოაღწევს ხმები იმ ცოდო-ბრალის შესახებ, რაც თითქოს როსმერსჰოლმში ტრიალებს, ყური არ ათხოვოთ მათო; ამ ხმებს განზრახ ავრცელებენ ბოროტი ადამიანები, რომ ჩემი ქმარი დაღუპონო.

**როსმერი.** ზუსტად ამ სიტყვებით გწერთ?

**მორტენსგორი.** თუ გაინტერესებთ, შემიძლია თვითონვე წაგაკითხოთ.

**როსმერი.** მაგრამ ვერ გამიგია... მაინც რამ მოუარა? რას გულისხმობდა ამ ბოროტ ხმებში?

**მორტენსგორი.** ჯერ ერთი, იმას, რომ პასტორი თითქოს განუდგა თავის ბავშვობისდროინდელ მრწამსს, რასაც ფრუ როსმერი მაშინ კატეგორიულად უარყოფდა; და მეორეც... ჰმ...

**როსმერი.** თქვით!

**მორტენსგორი.** დიახ, ის მწერს... საკმაოდ ბუნდოვნად... რომ წარმოდგენაც არა აქვს არავითარ უკეთურობაზე აქ, როსმერსჰოლმში; რომ მისთვის არასოდეს მიუყენებიათ შეურაცხყოფა. მაგრამ თუ ამნაირი ჭორები მაინც მოაღწევენ ჩემს ყურამდე, მთხოვს, გაკვრითაც არ მოვიხსენიო ისინი „შუქურაში“.

**როსმერი.** არავის სახელი არ უხსენებია?

**მორტენსგორი.** არა.

**როსმერი.** ვინ მოგიტანათ ეს წერილი?

**მორტენსგორი.** პირობა მაქვს დადებული, რომ საიდუმლოდ შევინახავ. საღამო ხანს გადმომცეს, ბინდბუნდში.

**როსმერი.** მაშინათვე რომ გეგეკითხ-გამოგეკითხათ, გაიგებდით, რომ ჩემი საცოდავი ცოლი თავის ჭკუაზე აღარ იყო.

**მორტენსგორი.** გავიკითხე კიდეც; მაგრამ, გამოგიტყდებით, სულ სხვანაირი შთაბეჭდილება დამრჩა.

**როსმერი.** სხვანაირი?.. კი მაგრამ, ჩვენში დარჩეს და, რაღა ახლა მიყვებით ამ ძველი და ბუნდოვანი წერილის ამბავს?

**მორტენსგორი.** რათა გირჩიოთ, რომ უკიდურესი სიფრთხილე გმართებთ, პასტორო როსმერ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**როსმერი.** ჩემს პირად ცხოვრებაში ხომ არა?

**მორტენსგორი.** დიახ, არ დაგავიწყდეთ, რომ ახლა უკვე აღარა ხართ ის კაცი, რომელსაც ხელს ვერავინ ახლებს.

**როსმერი.** მაშ, თქვენ კვლავინდებურად იმ აზრზე რჩებით, რომ მე ზოგ რამეს მაინც უნდა ვუმალავდე ხალხს?

**მორტენსგორი.** არ ვიცი, რატომ არ უნდა შეეძლოს თავისუფლად მოაზროვნე კაცს ცხოვრებით ტკბობა, თუკი ეს შესაძლებელია. მაგრამ, კვლავ გიმეორებთ, ამიერიდან სიფრთხილე გმართებთ. რადგან თუ ატყდა მითქმა-მოთქმა რაღაც ისეთზე, რაც აშკარად უპირისპირდება საყოველთაოდ გავრცელებულ ცრურწმენებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამან შეიძლება ძირი გამოუთხაროს ხალხის სულიერი განთავისუფლების მთელ საქმეს. კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო პასტორო.

**როსმერი.** კარგად ბრძანდებოდეთ.

**მორტენსგორი.** აქედან პირდაპირ ტიპოგრაფიაში გავწევ, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ცნობა ვაუწყო ჩემს მკითხველებს.

**როსმერი.** მთლიანად გამოაქვეყნეთ.

**მორტენსგორი.** მე გამოვაქვეყნებ ყველაფერს, რაც უნდა იცოდეს ხალხმა. **(თავს უკრავს და გადის).**

**როსმერი კარში დგას და მზერით აცილებს კიბეზე ჩამავალ სტუმარს. ისმის, როგორ ხურავენ ქვემოთ შემოსასვლელ კარს.**

**როსმერი (კარშივე; ხმადაბლა იძახის).** რებეკა. რე... ჰმ.. **(ხმამაღლა).** მადამ ჰელსეტ, ფრიოკენ რებეკა მანდაა?

**მადამ ჰელსეტი (ქვემოდან).** არა, ბატონო პასტორო, აქ არ არის.

**ოთახის სიღრმეში პორტიერები გადაიწევა და გამოჩნდება რებეკა.**

**რებეკა.** როსმერ!

**როსმერი (შემობრუნდება).** როგორ? შენ ჩემს საძინებელ ოთახში იყავი? კი მაგრამ, რას აკეთებდი, ჩემო ძვირფასო?

**რებეკა (უსმენდება).** ყურს გიგდებდით.

**როსმერი.** რას ამბობ, რებეკა? ეს როგორ იკადრე?

**რებეკა.** დიახ, ვიკადრე. ისეთი სიბილწე წამოაყრანტალა... ჩემი საშინაო კაბის გამო, რომ...

**როსმერი.** აა, ესე იგი, შენ აქ იყავი მაშინაც, როცა კროლი...

**რებეკა.** დიახ. მინდოდა გამეგო, რა ჩაიდო გულში.

**როსმერი.** კი მაგრამ, მე ხომ გეტყოდი...

**რებეკა.** არაფერსაც არ მეტყოდი. ყოველ შემთხვევაში, მისი საკუთარი სიტყვებით მაინც არა.

**როსმერი.** მაშ, ყველაფერი გაიგონე?

**რებეკა.** თითქმის. მხოლოდ ერთხელ ჩავედი ქვევით, როცა მორტენსგორი მოვიდა.

**როსმერი.** მერე კი ისევ ამოხვედი?..

**რებეკა.** ნუ გამიბრაზდები, ჩემო მეგობარო.

**როსმერი.** ყოველთვის ისე მოიქეცი, როგორც თვითონ მიიჩნევ უმჯობესად და მართებულად. შენ სრულიად თავისუფალი ხარ. მაგრამ ახლა რას იტყვი, რებეკა?.. ოჰ, ალბათ არასოდეს არ მჭირდებოდი ისე ძალიან, როგორც ახლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რებეკა.** მე და შენ ხომ მზად ვიყავით იმისთვის, რაც, კაცმა რომ თქვას, მოსალოდნელიც იყო.

**როსმერი.** არა, არა... ამისთვის არა.

**რებეკა.** არა?

**როსმერი:** მართალი გითხრა, ხანდახან კი მიფიქრია, რომ ჩვენს მშვენიერ, წმინდა და მეგობრულ ურთიერთობას, ერთხელაც იქნებოდა, ეჭვით დაუწყებდნენ ყურებას და ლაფში ამოსვრიდნენ, მაგრამ კროლისაგან მაინც არ მოველოდი ამას. სულ სხვა საქმეა ეს ტლანქი და გულხენეში ხალხი. დიახ, დიახ... ტყუილად როდი ვმალავდი ასე საგულდაგულოდ ჩვენს მეგობრობას. ეს იყო საშიში საიდუმლო.

**რებეკა.** კი მაგრამ, რა მნიშვნელობა აქვს, რას ყბედობს ხალხი ჩვენზე? ჩვენ ხომ ვიცით, რომ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის.

**როსმერი.** მე? მე არ მიმიძღვის ბრალი? დიახ, მეც ასე ვფიქრობდი, — დღევანდელ დღემდე. მაგრამ ახლა... ახლა, რებეკა...

**რებეკა.** რა ახლა?

**როსმერი.** რითი ავხსნა ბეატას ეს საშინელი ბრალდება?

**რებეკა (უნებურად).** აჰ, ნუ მელაპარაკები ბეატაზე! ნუ, ნუღარ ფიქრობ მასზე! აკი თავი დააღწიე მის გავლენას, ხელიდან დაუსხლტი მიცვალებულს!

**როსმერი.** როგორც კი ყოველივე ეს გავიგე, ბეატა თითქოს გაცოცხლდა... ო, რომ იცოდე, რა საზარელი განცდაა.

**რებეკა.** არა, არა.. არ აყვე ამ განცდას, როსმერ! არ აყვე!

**როსმერი.** მაშ, რა ვქნა? უნდა ვცადო და როგორმე ყველაფერი გავარკვიო. როგორ შეიძლებოდა, რომ ასე შემცდარიყო? რა უნდა ყოფილიყო ამ საბედისწერო გაუგებრობის მიზეზი?

**რებეკა.** იქნებ შენც ნელ-ნელა ეჭვი გეპარება იმაში, რომ ის თითქმის შეშლილი იყო?

**როსმერი.** დიახ... საქმეც ისაა, რომ უკვე აღარ შემიძლია, სავსებით დარწმუნებული ვიყო ამაში. მაგრამ დავუშვათ და, ასეც რომ ყოფილიყო...

**რებეკა.** მერე?

**როსმერი.** მე მინდა ვთქვა — მაშინ რაღაში უნდა ვეძიოთ მთავარი მიზეზი იმისა, რომ საცოდავის სულიერი მდგომარეობა თანდათანობით ნამდვილ შეშლილობაში გადაიზარდა?

**რებეკა.** კი მაგრამ, თავს რატომ იტანჯავ ამაზე ფიქრით? რა სარგებლობას მოგიტანს ეს?

**როსმერი.** სხვანაირად არ შემიძლია, რებეკა. ძალიანაც რომ მინდოდეს, თავს ვერ დავაღწევ ამ დამთრგუნველ ეჭვს.

**რებეკა.** მაგრამ ეს ხომ საშიშია, გამუდმებით ფიქრობდე ერთსა და იმავეზე, მით უმეტეს, თუ საფიქრალი ესოდენ მძიმეა.

**როსმერი (შეშფოთებული და ღრმად ჩაფიქრებული დააბიჯებს ოთახში).** ალბათ ჩემი თავი გავეცი, როგორც ჩანს, შეამჩნია. რა ბედნიერი ვიყავი მას შემდეგ, რაც შენ ჩვენს სახლში შემოხვედი.

**რებეკა.** კი მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ასეც რომ იყოს, მერე რა?..

**როსმერი.** დამერწმუნე, მხედველობიდან არ გამომპარვია, რომ მე და შენ ერთსა და იმავე წიგნებს ვკითხულობდით, გამუდმებით დავეძებდით და ჩვენს შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით ერთმანეთს. მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გამიგია!.. მე ხომ სულ იმას ვცდილობდი, რომ დამენდო და [illegible] უკან ვიხედები და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ერთთავად გაფაციცებული ვიყავი; სიცოცხლეს დავთმობდი და ბეატას კი არ შევამჩნევინებდი იმას, რაც ჩვენს შორის ხდებოდა. ასე არ არის, რებეკა?

**რებეკა.** დიახ, სწორედ ასეა, ასე.

**როსმერი.** შენც ზუსტად ჩემსავით იქცეოდი... და მაინც!.. რა საშინელებაა! მაშასადამე, უსიტყვოდ დაძრწოდა აქ... თავისი ავადმყოფური სიყვარულით განაწამები და ჩუმად, მალულად გვითვალთვალებდა... ალბათ ყველაფერს ამჩნევდა და თავისებურად განმარტავდა კიდეც.

**რებეკა (მუშტებზა კუმავს).** ო, ნეტა როსმერჰოლმში არასოდეს დამედგა ფეხი.

**როსმერი.** წარმომიდგენია, როგორ იტანჯებოდა საცოდავი! რა საშინელი წარმოდგენები ამღვრევდნენ მის ავადმყოფ ტვინს!.. ვინ იცის, ალბათ რაღას არ მოგვაწერდა მე და შენ!! შენთან ხომ არ წამოსცდენია ისეთი რამე, რასაც შეეძლო მიეხვედრებინე?..

**რებეკა (შეძრწუნებით).** ჩემთან?.. და შენ გგონია, რომ ამის შემდეგ თუნდაც ერთი დღე დავრჩებოდი აქ?

**როსმერი.** არა, რა თქმა უნდა, არა... ოო! რანაირი ბრძოლა უნდა გადაეტანა... მარტოდმარტოს, თავისივე თავის წინააღმდეგ, რებეკა! სასოწარკვეთილს და მარტოდმარტოს. და ბოლოს, ეს გამაოგნებელი გამარჯვება წყალვარდნილში! გამარჯვება, რომელიც პასუხს მოითხოვს ჩვენგან! **(სკამზე ეშვება, იდაყვებით ეყრდნობა საწერ მაგიდას და სახეზე ხელებს აიფარებს).**

**რებეკა (ფრთხილად უახლოვდება უკნიდან).** მომისმინე, როსმერ, რომ შეგეძლოს უკანვე გამოიხმო და აქ, შენთან, როსმერსჰოლმში დააბრუნო ბეატა, სთქვი, იზამდი ამას?

**როსმერი.** აბა, რა ვიცი, ვიზამდი თუ არ ვიზამდი? არაფრის თავი აღარა მაქვს. ჩემი ფიქრი მხოლოდ ერთ რამეს დასტრიალებს თავს, — იმას, რასაც აღარაფერი ეშველება, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია.

**რებეკა.** შენ ახალი ცხოვრება უნდა დაგეწყო, როსმერ... და დაიწყე კიდეც. ის იყო, თავისუფალი გახდი. ისეთი მხიარული იყავი, ისე ბედნიერად მიგაჩნდა თავი!

**როსმერი.** დიახ, დიახ... მართალი ხარ. მაგრამ სრულიად მოულოდნელად ეს საშინელი სიმძიმე დამეხო თავზე.

**რებეკა (მის უკან დგას და ხელებით სკამის ზურგს ეყრდნობა).** რა ბედნიერები ვიყავით, როცა შებინდებისას ერთად ვისხედით სასტუმრო ოთახში... ერთმანეთს ვეხმარებოდით და ცხოვრების გეგმებს ვაწყობდით. შენ გინდოდა გადაშვებულიყავი ბობოქარი ვნებების ორომტრიალში, ცხოვრების მორევში, თანამედროვეობის ცოცხალ ცხოვრებაშიო, — ამბობდი შენ. გინდოდა თავისუფლების მაცნედ გევლო კარდაკარ. დაგემორჩილებინა ხალხის სული და ნება... გარს შემოგეკრიბა კეთილშობილი ადამიანები... თანდათანობით გეზარდა მათი რიცხვი, გემრავლებინა ისინი.

**როსმერი.** სიხარულით სავსე და კეთილშობილი ადამიანები.

**რებეკა.** დიახ, სიხარულით სავსე.

**როსმერი.** რადგანაც სიხარული აკეთილშობილებს სულს, რებეკა.

**რებეკა.** კი მაგრამ, მწუხარება? დიდი მწუხარება?

**როსმერი.** დიახ, მწუხარებაც... თუ კაცმა გაუძლო, გადაა[illegible]

**რებეკა.** შენც სწორედ ეს გმართებს, როსმერ.

**როსმერი.** მაგრამ მე ვერასოდეს გადავაბიჯებ ამას; ყოველ შემთხვევაში, მთლიანად მაინც. ვერასოდეს დავაღწევ თავს სინანულს, საშინელ კითხვას. ვერასოდეს ველარ დავტკბები იმით, რაც თავის მომნუსხველ ხიბლს ანიჭებს ცხოვრებას.

**რებეკა (მისკენ იხრება).** მაინც რა, როსმერ?

**როსმერი (ახედავს).** ნათელი, უშფოთველი, უმწიკვლო სინდისი.

**რებეკა (ნაბიჯით უკან იწევს).** დიახ, უმწიკვლო სინდისი...

**ხანმოკლე დუმილი.**

**როსმერი (იდაყვით მაგიდას ეყრდნობა, ნიკაპი კი ხელისგულზე დაუყრდვნია და წინ იყურება).** მაინც როგორ მოახერხა ყოველივე ამის კომბინირება? რა სისტემატიურად შეუკავშირა ყველაფერი ერთიმეორეს? ჯერ იყო და ეჭვი შეიტანა რწმენისა და ეკლესიის მიმართ ჩემს ერთგულებაში. გაოცებას ვარ, როგორ უნდა მიმხვდარიყო მაშინ ამას. მაგრამ ხომ მიხვდა;. მერე ეს ეჭვი თანდათანობით განმტკიცდა და რწმენად იქცა. შემდეგ კი... შემდეგ ძნელი აღარ იყო, ყოველივე დანარჩენიც წარმოედგინა. **(სწორდება და ნერვიულად იწეწავს თმას)** ო, ეს შლეგური აზრები! ველარასოდეს მოვიშორებ თავიდან. ვიცი, მწამს, მჯერა! სრულიად უმიზეზოდ დამაცხრებიან თავს, რათა ხშირ-ხშირად გამახსენონ მიცვალებული.

**რებეკა.** როსმერსჰოლმის თეთრი ცხენივით.

**როსმერი.** დიახ, სიბნელესა და სიჩუმეში გაელვებულნი.

**რებეკა.** და ავადმყოფი ტვინის ამ შლეგური ბოდვის გამო მზადა ხარ ხელი აიღო ახალ ცხოვრებაზე, რომელსაც ეს-ესაა მოებღაუჭე?

**როსმერი.** მართალი ხარ, ძალზე მძიმეა ყოველივე ეს; მძიმე და მწარე, რებეკა. მაგრამ განა არჩევანი ჩემი ნებაა? რა ვქნა, რითი ვუშველო თავს?

**რებეკა. (კვლავ მის სკამს უკან დგას).** იმით, რომ ცხოვრების ახალი პირობები უნდა შეიქმნა.

**როსმერი. (თავს ასწევს და გაოგნებული ახედავს რებეკას).** ცხოვრების ახალი პირობები?

**რებეკა.** დიახ, ახალი დამოკიდებულება გარე სამყაროსადმი. უნდა იცხოვრო, იმოქმედო, იმუშაო, ნაცვლად იმისა, რომ უძრავად იჯდე და გადაუჭრელ პრობლემებზე იმტვრევდე თავს.

**როსმერი (დგება).** ახალი დამოკიდებულება? **(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, კართან ჩერდება და უკანვე ბრუნდება).** ერთი კითხვა მიტრიალებს თავში. იქნებ შენც შეჰკითხვიხარ შენს თავს, რებეკა?

**რებეკა (მძიმედ სუნთქავს).** მითხარი... რას?..

**როსმერი.** როგორ გგონია, რა ხასიათი უნდა მიიღოს ჩვენმა ურთიერთობამ ამიერიდან?

**რებეკა.** მე მგონია, ჩვენი მეგობრობა ყოველგვარ განსაცდელს გაუძლებს.

ბიბლიოთეკა

**როსმერი.** მე სულ სხვა რამეს ვგულისხმობ. მაგრამ ის, რამაც იმთავითვე დაგვაახლოვა... რამაც ასე მჭიდროდ დაგვაკავშირა ერთმანეთს... ჩვენი ნათელი რწმენა, რომლის თანახმადაც შესაძლებელია წმინდა და ურღვეველი ურთიერთობა კაცსა და ქალს შორის...

**რებეკა.** დიახ, დიახ... მერე?..

**როსმერი.** მე იმის თქმა მსურს, რომ ჩვენნაირი ურთიერთობა... უმეტესწილად შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანებს მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება აქვთ...

**რებეკა.** მაშასადამე...

**როსმერი.** მე კი წინ მელის ბრძოლით, შფოთითა და მძაფრი ვნებათაღელვით სავსე ცხოვრება. მე ხომ ვაპირებ, ამიერიდან სისხლსავსე ცხოვრებით ვიცხოვრო, რებეკა. ნურავის ექნება იმის იმედი, რომ თავიანთი ბილწი ეჭვებით დამამხობენ და ლაფში ამომსვრიან. არავის მივცემ იმის უფლებას, რომ თავიანთი ნება-სურვილი თავს მომახვიონ და მიკარნახონ, რა გზას დავადგე ცხოვრებაში; არც ცოცხლებს და არც... არავის, ვინც უნდა იყოს.

**რებეკა.** დიახ, დიახ, ნურავის ნუ მისცემ მაგის უფლებას! ბოლომდე თავისუფალი იყავი, როსმერ!

**როსმერი.** მაგრამ თუ იცი, რა აზრი მომდის თავში? არ იცი? ვერც იმას ხედავ, რა გზით შემიძლია ყველაზე ადვილად დავაღწიო თავი მტანჯველ მოგონებებს... მთელ ჩემს უბედურ წარსულს?

**რებეკა.** მაინც?..

**როსმერი.** იმით, რომ მკვდარ წარსულს დავუპირისპირებ ახალსა და სიცოცხლით სავსე აწმყოს.

**რებეკა. (სკამის ზურგს ჩააფრინდება).** სიცოცხლით სავსე აწმყოს.

**როსმერი (უახლოვდება).** რებეკა... ახლა რომ გკითხო შენთვის... თანახმა ხარ თუ არა, ჩემი მეორე ცოლი გახდე-მეთქი!

**რებეკა (ერთხანს ხმის ამოღებას ვერ ახერხებს, მერე კი სიხარულით შეჰკივლებს).** მე?.. შენი ცოლი?..

**როსმერი.** რა იქნება, რომ ვცადოთ? ჩვენ ორნი ერთ არსად შევერწყმით ერთმანეთს, ცარიელი ადგილიც აღარ უნდა დარჩეს მიცვალებულის შემდეგ.

**რებეკა.** მე... ბეატას ადგილას?!

**როსმერი.** მაშინ ის საბოლოოდ ამოიშლება ჩვენი ცხოვრებიდან. მთლიანად. ერთხელ და სამუდამოდ.

**რებეკა. (ჩუმად; მთრთოლავი ხმით).** შენ გგონია, როსმერ?

**როსმერი.** დიახ! დიახ! არ შემიძლია... არ მინდა მთელი სიცოცხლე მხრებზე აკიდებული გვამით ვიარო. დამეხმარე ამ საშინელი ტვირთის ჩამოხსნაში, რებეკა. მოდი, სიხარულით, თავისუფლებით, ვნებით, შევებით ჩავახშოთ ყველა მოგონება!.. შენ ჩემი ცოლი იქნები... ჩემი სიცოცხლე... ჩემი ერთადერთი...

**რებეკა (თავს ერევა).** არასოდეს აღარ გაიმეორო ეგ. მე არასოდეს არ ვიქნები შენი ცოლი.

**როსმერი.** რა?.. არასოდეს?.. თუ გგონია, რომ ვერასოდეს ვერ შემიყვარებ? მაგრამ ჩვენს მეგობრობაში განა უკვე არ გამოკრთის სიყვარულის სხივი?

**რებეკა (შეძრწუნებული ყურებს იცობს).** ნუ ამბობ ამას, როსმერ! ნუ ამბობ ამას!

**როსმერი (ხელში ხელს ხტაცებს).** დიახ, დიახ... ჩვენს ურთიერთობაში უკვე არის სიყვარულის თესლი, რომელიც მზადაა გაღვივდეს და ყლორტად

იქცეს... ო. ისე ცხადად ვკითხულობ შენს სახეზე, რომ თვითონაც გრძნობ ამას. ხომ მართალს ვამბობ, რებეკა?

**რებეკა (კვლავ გონს ეგება; მტკიცედ).** მომისმინე. აი, რას გეტყვი: თუ კვლავ დაიჟინებ, ავდგები და სულაც წავალ როსმერსჰოლმიდან.

**როსმერი.** წახვალ? შენ? ვერ შესძლებ. ეს შეუძლებელია!

**რებეკა.** ჩემთვის კიდევ უფრო შეუძლებელია, ცოლად გამოგყვე. არასო-დეს ეს არ მოხდება. არ შემიძლია.

**როსმერი (გაოგნებული უყურებს).** შენ ამბობ, არ შემიძლიაო. უცნაურია. კი მაგრამ, მაინც რატომ არ შეგიძლია?

**რებეკა (ორივე ხელს ჩაავლებს).** ჩემო ძვირფასო მეგობარო... ნუ მკითხავ, რატომ არ შემიძლია. ასე აჯობებს შენთვისაც და ჩემთვისაც. **(ხელს გაუშვებს).** ასეა, როსმერ. **(მარცხენა კარისკენ მიდის.).**

**როსმერი.** ამიერიდან მხოლოდ ერთი კითხვა მექნება — რატომ?

**რებეკა.** მაშინ ყველაფერი დამთავრდება.

**როსმერი.** ჩვენ შორის?

**რებეკა.** დიახ.

**როსმერი.** ჩვენ შორის არასოდეს არაფერი არ დამთავრდება. არასოდეს შენ არ წახვალ როსმერსჰოლმიდან.

**რებეკა (კარის სახელურს ჩასჭიდებს ხელს).** არა, მე ალბათ დავრჩები, მაგრამ თუ კვლავ მკითხავ, მაინც ყველაფერი დამთავრდება.

**როსმერი.** მაინც დამთავრდება?.. როგორ თუ დამთავრდება?

**რებეკა.** დიახ. ბეატას კვალს გავყვები... ახლა ხომ გესმის, როსმერ?

**როსმერი.** რებეკა!..

**რებეკა (კარში; ნელა ხრის თავს).** ახლა ხომ გესმის! **(გადის და კარს გაიხურავს).**

**როსმერი (გაოგნებული მისჩერებია კარს და თავისთვის ამბობს).** რა არის ეს?..

## მესამე მოქმედება

**სასტუმრო ოთახი როსმერსჰოლმში. კარ-ფანჯარა გაღებულია. მზიანი დილაა. რებეკა, ისევე ჩაცმული, როგორც წინა მოქმედებაში, ფანჯარასთან დგას და ყვავილებს რწყავს. მადამ ჰელსეთს ხელში ცოცხი და ჩვარი უჭირავს, ავეჯზე მტვერს წმენდს.**

**რებეკა (ხანმოკლე პაუზის შემდეგ).** უცნაურია, რომ პასტორი ამდენ ხანს არ ჩამოდის ქვემოთ.

**მადამ ჰელსეთი.** კი მაგრამ, განა პირველად იგვიანებს? თუმცა ალბათ მალე ჩამოვა.

**რებეკა.** დღეს თუ ნახეთ?

**მადამ ჰელსეთი.** თვალი მოვკარი. ყავა რომ შევუტანე, საძილე ოთახში იყო და იცვამდა.

**რებეკა.** იმიტომ გეკითხებით, რომ გუშინ ვერ იყო კარგად.

**მადამ ჰელსეთი.** დიახ, ეტყობოდა. ნეტავი, ცოლისძმასთან ხომ არ იჩხუბა?

**რებეკა.** საჩხუბარი რა ჰქონდათ?

**მადამ ჰელსეტი.** აბა, რა ვიცი? ნამდვილად მორტენსჰორმა წაჰკიდა ერთმანეთს.

**რებეკა.** შეიძლება... ამ პეტერ მორტენსჰორს თუ იცნობთ?

**მადამ ჰელსეტი.** ღმერთმა დამიფაროს! რა მესაქმება მასთან, ფრიოკენ?

**რებეკა.** იმიტომ, რომ ასეთ საშინელ გაზეთსა სცემ[illegible]

**მადამ ჰელსეტი.** არა, მარტო მაგიტომ არა... ფრიოკენს ალბათ გაუგონია, რომ ერთ გათხოვილ ქალთან ცხოვრობდა, რომელიც ქმარმა მიატოვა. ამ ქალბატონს ბავშვიც კი ეყოლა მისგან.

**რებეკა.** გამიგონია. მაგრამ, ეს მგონი, დიდი ხნის წინათ იყო, ჯერ კიდევ მანამ, სანამ აქ გადმოვიდოდი.

**მადამ ჰელსეტი.** რა თქმა უნდა! მორტენსჰორი მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, მაგრამ ქალს მაინც საღ ჰქონდა ჭკუა? ვაჟბატონი იმასაც კი აპირებდა, რომ ცოლად შეერთო. მაგრამ ვინ დააცალა?.. მერე კი ძვირად დაუჯდა თავისი სისულელე... თუმცა, ბოლოს, როგორც ჩანს, წელში გაიმართა და ფრთებიც გაშალა. ამბობენ, ბევრი მთხოვნელი ჰყავსო.

**რებეკა.** დიახ, გაჭირვებულები ხშირად მიმართავენ და თავიანთ უბედურებას შესჩივიან.

**მადამ ჰელსეტი.** თქვენ გგონიათ, მარტო გაჭირვებულები?..

**რებეკა (შეფარვით გახედავს).** აბა?..

**მადამ ჰელსეტი (დივანთან, გულმოდგინედ იქნევს ცოცხს და მტვერსა წმენდს).** გაჭირვებულები კი არა, თვით ისეთებიც, რომ გაგიკვირდებათ, ფრიოკენ.

**რებეკა (ყვავილებს დაჰფუსფუსებს).** ეს მხოლოდ თქვენ გეჩვენებათ, მადამ ჰელსეტ. დაბეჯითებით ხომ არა იცით რა.

**მადამ ჰელსეტი.** ვინ მოგახსენათ? დიახაც ვიცი. თუ ასეა, ერთხელ მე თვითონ წავუღე წერილი.

**რებეკა (შემობრუნდება).** მართლა?

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, დიახ. თანაც ეს წერილი აქ იყო დაწერილი, როსმერსჰოლმში.

**რებეკა.** რას მეუბნებით, მადამ ჰელსეტ?

**მადამ ჰელსეტი.** ღმერთმანი. ისეთ თხელ ქაღალდზე. ახლა იმას აღარ იკითხავთ, რა საუცხოო წითელი ლუქით იყო დალუქული?

**რებეკა.** და თქვენ გაგატანეს? მაშინ, ძვირფასო მადამ ჰელსეტ, ძნელი მისახვედრი როდია, თუ ვისი უნდა ყოფილიყო ეს წერილი.

**მადამ ჰელსეტი.** მაინც ვისი?

**რებეკა.** ვისი და, რა თქმა უნდა, საბრალო ფრუ როსმერისა.

**მადამ ჰელსეტი.** ამას თქვენ ამბობთ და არა მე, ფრიოკენ.

**რებეკა.** მაგრამ მაინც რა ეწერა შიგ? თუმცა თქვენ რა გეცოდინებათ?

**მადამ ჰელსეტი.** ჰმ!.. არც ესაა შეუძლებელი.

**რებეკა.** მაშ, თვითონ გითხრათ. რასაცა სწერდა?

**მადამ ჰელსეტი.** არა, თვითონ არაფერიც არ უთქვამს. მაგრამ მორტენსჰორმა რომ წაიკითხა, გამოკითხვა დამიწყო; ხან რას მეკითხებოდა და ხან რას... ჰოდა, მეც მივხვდი.

**რებეკა.** მაინც რას? ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო მადამ ჰელსეტ, რა იქნება, რომ მითხრათ?

**მადამ ჰელსეტი.** არა, არა, ფრიოკენ. ტყუილად ნუ მთხოვთ.

**რებეკა.** კი მაგრამ, რა იქნება, მე მაინც მითხრათ? ჩვენ ხომ ისეთი მეგობრები ვართ.

**მადამ ჰელსეტი.** ღმერთმა დამიფაროს! ერთ სიტყვასაც ვერ გეტყვით, ფრიოკენ. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ საცოდავს ძალიან ცუდი რალაცებით გამოუჭედეს თავი. მეტს ვერაფერს მათქმევინებთ.

**რებეკა.** მაინც ვინა ქნა ეგ?

**მადამ ჰელსეტი.** ბოროტმა ადამიანებმა, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** ბოროტმა ადამიანებმა?..

**მადამ ჰელსეტი.** დიახ. ერთხელ კიდევ გავიმეორებ: ძალიან ბოროტმა ადამიანებმა.

**რებეკა.** მაგრამ, მაინც ვისზე გაქვთ ეჭვი?

**მადამ ჰელსეტი.** ძალიან კარგად ვიცი, ვისზედაც. მაგრამ ღმერთმა დამიფაროს!.. არის ქალაქში ერთი ამნაირი არსება... ჰმ!..

**რებეკა.** როგორც ჩანს, ფრუ კროლს გულისხმობთ.

**მადამ ჰელსეტი.** დიახ. კაი გამოქექილი ვინმეა. მე ყოველთვის ცხვირს მიბზუებდა. ისე, არც თქვენ ახატიხართ გულზე.

**რებეკა.** როგორ გგონიათ, ფრუ როსმერი სრულ ჭკუაზე იყო, როცა მორტენსჰორს ამ წერილს სწერდა?

**მადამ ჰელსეტი.** რა მოგახსენოთ, სრულ ჭკუაზე იყო თუ არა. მაგრამ, ჩემის აზრით, მთლად შეშლილი ის არ ყოფილა.

**რებეკა.** მაგრამ თავში ხომ ყველაფერი აერ-დაერია, როცა გაიგო, რომ შვილი არ ეყოლებოდა. განა ჯერ კიდევ მაშინ არ დაიწყო ეს?..

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, ამან საშინლად იმოქმედა საცოდავზე.

**რებეკა** (*ხელსაქმეს იღებს და მაგიდასთან ჯდება*). თუმცა, რას იტყვით, განა პასტორისათვის ასე არ სჯობდა, მადამ ჰელსეტ?

**მადამ ჰელსეტი.** მაინც რა სჯობდა?

**რებეკა.** რადა, ის, რომ შვილი არ ეყოლებოდათ, ა?

**მადამ ჰელსეტი.** ჰმ... არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ.

**რებეკა.** დიახ, დამერწმუნეთ, მისთვის ასე სჯობდა. პასტორი როსმერი ის კაცი არ არის, რომ აქ იჯდეს და ბავშვების ჭყიპინს უსმინოს.

**მადამ ჰელსეტი.** როსმერსჰოლმში ბავშვები არ ტირიან, ფრიოკენ.

**რებეკა** (*უყურებს*). არ ტირიან?

**მადამ ჰელსეტი.** არა. ამ სახლში, რაც ხალხს თავი ახსოვს, არავინ მოსწრებია, რომ ბავშვებს ეტიროთ.

**რებეკა.** უცნაურია.

**მადამ ჰელსეტი.** მართლაც უცნაურია, არა? რას იზამ, მთელ გვარს ასე მოსდგამს. ერთ უცნაურობასაც მოგახსენებთ: სანამ პატარები არიან, არ ტირიან; გაიზრდებიან და, არ იცინიან. გესმით? არასოდეს არ იცინიან.

**რებეკა.** გასაშტერებელი ამბავია...

**მადამ ჰელსეტი.** ერთხელ მაინც თუ გაგიგონიათ, ფრიოკენ, პასტორის სიცილი?

**რებეკა.** არა, ღმერთმანი. აი, ვიგონებ, ვიგონებ და თანდათანობით ვრწმუნდები, რომ მართალი ხართ. და საერთოდაც, ამ თქვენს მხარეში, ადამიანები, ჩემი აზრით, ძალზე იშვიათად იცინიან.

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, ამბობენ, ამ გაუცინარობის სათავე როსმერსჰოლმშია, შემდეგ კი ყველგან მოარული სენივით გავრცელდაო.

**რებეკა.** ძალზე ჭკვიანი და გამჭრიახი ქალი ბრძანდებით, მადამ ჰელსეტ.

**მადამ ჰელსეტი.** აბა, აბა, რას დამცინით?.. **(რაღაცას აყურადებს).** ხსუ... პასტორი მობრძანდება. არ სიამოვნებს, როცა აქ ცოცხით... **(მარჯვენა კარში გადის).**

**წინკარიდან შემოდის იუჰან როსმერი; ხელში ჯოხი და ქუდი უჭირავს.**

**როსმერი.** გამარჯობა, რებეკა.

**რებეკა.** გამარჯობა, ძვირფასო. **(ქსოვას განაგრძობს; ცოტა ხნის შემდეგ).** უკვე მიდიხარ?

**როსმერი.** დიახ.

**რებეკა.** დღეს მშვენიერი ამინდია.

**როსმერი.** ამ დილას რატომ არ შემოიხედე ზემოთ?

**რებეკა.** ჰო... დღეს არ შემომიხედავს.

**როსმერი.** ამიერიდან საერთოდ აღარ აპირებ?

**რებეკა.** არ ვიცი.

**როსმერი.** ფოსტით ხომ არაფერი მოსულა ჩემთვის?

**რებეკა.** „სამხარეო გაზეთი“ გამოგიგზავნეს.

**როსმერი.** მართლა?

**რებეკა.** მაგიდაზე დევს.

**როსმერი (ქუდსა და ჯოხს დებს).** არის რამე?..

**რებეკა.** დიახ.

**როსმერი.** მერედა, რატომ ზევით არ ამომიგზავნე?

**რებეკა.** მოესწრები.

**როსმერი.** აჰ, ასე? **(გაზეთს იღებს და ფეხზე მდგარი კითხულობს).** რაო?.. განსაკუთრებით უნდა ვუფრთხილდეთ უნებისყოფო მოღალატეებს“... **(რებეკას გადახედავს).** გესმის, ისინი მოღალატედ მნათლავენ, რებეკა.

**რებეკა.** სახელს არ ახსენებენ.

**როსმერი.** ეგ სულერთია. **(კითხვას განაგრძობს).** „...კეთილი საქმის მზაკვარსა და ქვებუდანა გამყიდველებს... იუდას ბუნების ხალხს, რომლებიც თავხედურად აღიარებენ თავიანთ განდგომილებას, როგორც კი ხელსაყრელ მომენტს დაიგულებენ... ესაა წინაპართა ნათელი ხსოვნის ურცხვი ხელყოფა, იმის იმედით, რომ წამის ბატონ-პატრონნი უხვ ჯილდოს არ დაიშურებენ“... **(მაგიდაზე დებს გაზეთს).** გესმის, რას წერენ ჩემზე? კი მაგრამ, ისინი ხომ ამდენი ხანია და ასე კარგად მიცნობენ? თვითონაც არ სჯერათ თავიანთი სიტყვებისა. იციან, რომ მათ ნაჯღაბნში სიმართლის ნატამალიც არ ურევია, და მაინც წერენ.

**რებეკა.** ეს კიდევ რაა?

**როსმერი (ხელახლა იღებს გაზეთს).** — ასე თუ ისე გასასამართლებელ მიზეზად შეიძლება დავასახელოთ მხოლოდ უდისციპლინო აზროვნება... დამღუპველი გავლენა, რაც თვით იმ სფეროებზედაც ვრცელდება, რომლებიც ჯერჯერობით არ გვინდა საზოგადოებრივი მსჯელობისა და განკითხვის საგნად ვაქციოთ“... **(რებეკას მისჩერებია).** რა არის ეს?

**რებეკა.** ჩემი ფარული გმობა. სხვა რა უნდა იყოს?

**როსმერი (წელახლა დებს გაზეთს).** ეს კი აშკარა უპატიოსნებაა მათი მხრივ, რებეკა!

**რებეკა.** დიახ, დიახ, მე თუ მკითხავ, არაფრით არ ჩამოუვარდებიან მორტენსჰორს.

**როსმერი (ოთახში დააბიჯებს).** აუცილებლად უნდა გადავარჩინოთ ადამიანები. ყოველივე კარგი, რაც კია მათში, უთუოდ დაიღუპება, თუკი საქმეს ასე უპატრონოდ დავტოვებთ. არა, არ შეიძლება ამის დაშვება... ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი, თუკი შევძლებდი ოდნავ მაინც გამეფანტა სიმახინჯის ეს ბურუსი... სინათლის თუნდაც ერთი სხივი შემომეტანა ამ წყვდიადში.

**რებეკა (დგება).** მართლა? აი, ესეც შენი დიადი და ნათელი მიზანი, რომლის გულისთვისაც ღირს სიცოცხლე ამქვეყნად.

**როსმერი.** თავად განსაჯე, რა იქნება, რომ შევძლო და გამოვაღვიძო მათი თვითშეგნება და სინანული აღვუძრა გულში, იმ ზომამდე, რომ თავიანთი თავისა შერცხვეთ. ვაიძულო ისინი, ერთმანეთს დაუახლოვდნენ, შემწყნარებლობის სულისკვეთებითა და სიყვარულით განიმსჭვალონ ერთურთის მიმართ, რებეკა.

**რებეკა.** დიახ, ძალ-ღონეს ნუ დაიშურებ, და გწამდეს, რომ გამარჯვებას მიაღწევ.

**როსმერი.** მეც აგრე მგონია... ო, რა ბედნიერება იქნება მაშინ სიცოცხლე! არავითარი მტრობა, სისასტიკე, გულმხეცობა! მხოლოდ კეთილშობილური მეტოქეობა! ყველას მზერა ერთი მიზნისკენაა მიმართული. ყველა ნება, ყველა გონება მხოლოდ წინ და მაღლა ისწრაფვის. თვითეული მიაბიჯებს თავისი საკუთარი, მხოლოდ მისთვის ბუნებრივი გზით. ყველა ქმნის და ამკვიდრებს საყოველთაო ბედნიერებას. **(შემთხვევით გაიხედავს ფანჯარაში, შეკრთება და შეძრწუნებული პირქუშად წარმოთქვამს).** ოო!.. მხოლოდ მე ვარ გამონაკლისი.

**რებეკა.** მხოლოდ შენ?

**როსმერი.** დიახ. ამ ბედნიერების შექმნაში მხოლოდ მე არ ვმონაწილეობ და არც ჩემთვის იქმნება იგი.

**რებეკა.** აჰ, როსმერ, ნუ აჰყვები ამნაირ განცდებს.

**როსმერი.** ბედნიერება, ძვირფასო რებეკა, დიახ, ბედნიერება, ესაა უწინარეს ყოვლისა, ნათელი და მშვიდი შეგნება იმისა, რომ შენი სინდისი ბრალისაგან თავისუფალია.

**რებეკა (წინ იყურება).** ჰო, რაც შეეხება ბრალს...

**როსმერი.** აჰ, ეს შენ არ გეხება. მაგრამ მე...

**რებეკა.** შენ — ყველაზე ნაკლებ.

**როსმერი (ფანჯრიდან უჩვენებს).** წყალვარდნილო!

**რებეკა.** ო, როსმერ!

**მარჯვენა კარიდან შემოიხედავს მადამ ჰელსეტი.**

**მადამ ჰელსეტი.** ფრიოკენ.

**რებეკა.** მერე, მერე. ახლა არა მცალია.

**მადამ ჰელსეტი.** მხოლოდ ერთი სიტყვა, ფრიოკენ.

**რებეკა კართან მიდის; მადამ ჰელსეტი რაღაცას ეუბნება და მერე ორიოდე სიტყვას გადაუჩურჩულებენ ერთმანეთს, რის შემდეგაც მადამ ჰელსეტი თავს უკრავს და მიდის.**

**როსმერი (შეშფოთებით).** ჩემთან ხომ არაა ვინმე?

**რებეკა.** არა, რაღაცა მკითხა... კარგი იქნებოდა გაგესეირნა, სუფთა ჰაერი ჩაგეყლაპა, როსმერ.

**როსმერი (ქუდს იღებს).** ერთად წავიდეთ.

**რებეკა.** არა, ძვირფასო, ახლა არ შემიძლია. მარტო მოგიწევს წასვლა. აბა, შენ იცი, ერთი კარგად ჩამოიბერტყე ეგ უსიამო ფიქრები. ფეხსაცმელები?

**როსმერი.** ვშიშობ, რომ ველარასოდეს ვეღარ ჩამოვიბერტყო მათ.

**რებეკა.** კი მაგრამ, ასე როგორ უნდა დაიჩაგვრინო თავი რაღაც სრულიად უსაფუძვლოს?..

**როსმერი.** საუბედუროდ, ეს არც ისე უსაფუძვლოა. მთელი ღამე ვიწექი და ამაზე ვფიქრობდი. ბეატამ, როგორც ჩანს, არ შემცდარა.

**რებეკა.** რაში?

**როსმერი.** რაში და იმაში, რომ მე შენ მიყვარხარ, რებეკა.

**რებეკა.** მაშ, არ შემცდარა?

**როსმერი (მაგიდაზე დაადებს ქუდს).** აი, დავდივარ და სულ ერთი კითხვა მიბურღავს ტვინს — ხომ არ ვცდებოდით, როცა მეგობრობად მივიჩნევდით ჩვენს ურთიერთობას?

**რებეკა.** შენ გგონია, არანაკლები უფლება გვქონდა იმისა, რომ მისთვის გვეწოდებინა...

**როსმერ.** ...სიყვარული... დიახ, ჯერ კიდევ ბეატას სიცოცხლეშივე ჩემი ფიქრი მხოლოდ შენ დაგტრიალებდა თავს. მხოლოდ შენ მიზიდავდი ანდამატივით. მხოლოდ შენ გვერდით ვგრძნობდი ამ ჩუმ სიხარულს, ამ ნათელსა და აუმღვრეველ ნეტარებას. თუ კარგად დავუფიქრდებით, რებეკა, გრძნობა, რამაც ჩვენ იმთავითვე დაგვაახლოვა, ბავშვების იდუმალ სიყვარულს ჰგავდა. სიყვარულს, რომელიც არაფერს არ მოითხოვს და არც რას მიელტვის. მითხარი, განა შენ თვითონაც არ გრძნობდი ამას?

**რებეკა (თავს ებრძვის).** აჰ... არც კი ვიცი, რა გიპასუხო.

**როსმერი.** და ეს ერთურთის სიახლოვით ტკბობა, ჩვენ მეგობრობა გვეგონა... არა, ჩვენი ურთიერთობა, პირველივე დღეებიდანვე... სულიერი ქორწინება იყო. აი, ჩემი დანაშაული. მე არა მქონდა ამის უფლება... თავი უნდა შემეკავებინა ბეატას გამო.

**რებეკა.** თავი უნდა შეგეკავებინა ბედნიერებისაგან? შენ ასე გგონია, როსმერ?

**როსმერი.** ჩვენს ურთიერთობას ის თავისი სიყვარულის თვალით უცქერდა, თავისი სიყვარულის მიხედვით სჯიდა და მისავე საზომით ზომავდა. სავსებით ბუნებრივია. ბეატას სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო.

**რებეკა.** კი მაგრამ, მისი შეცდომა რა შენი ბრალია?

**როსმერი.** სწორედ ჩემდამი სიყვარულის გამო იყო, წყალვარდნილში რომ გადაეშვა. ამ ფაქტს ვერსად წაუვალ, რებეკა. და ვერც ვერასოდეს გადავაბიჯებ...

**რებეკა.** აჰ, ნურაფერზე ნუ ფიქრობ. იმ დიადი და ნათელი მიზნის გარდა, რომელსაც გადაწყვიტე მთელი სიცოცხლე მიუძღვნა.

**როსმერი (თავს აქნევს).** ამ მიზანს, როგორც ჩანს, ხორცშესხმა არ უწერია, მას შემდეგ, რაც ყოველივე ეს ცნობილი შეიქნა ჩემთვის.

**რებეკა.** ვითომ რატომ არ უწერია?

**როსმერი.** იმიტომ, რომ გამარჯვებას ვერასოდეს ვერ იზეიმებს საქმე, რომელიც ცოდვისაგან იღებს დასაბამს.

**რებეკა (აგზნებით).** აჰ, ეს წინაპართაგან მომდინარე ეჭვიანობაა... ეს მამაპაპური სიმხდალე... მამაპაპური ცრურწმენა! თქვენ ხომ გწამთ, რომ მიცვალებულნი გრიგალივით მქროლავი თეთრი ცხენების სახით ბრუნდებიან [illegible]-ზე. ჩემი აზრით, ყველაფერი, რასაც შენ ახლა ფიქრობ, ამ ცრურწმენას ჰგავს.

**როსმერი.** რასაც უნდა, იმასა ჰგავდეს. განა სულერთი არ არის, თუკი თავიდან ვერ ვიშორებ მას? დამერწმუნე, რებეკა, ყველაფერი მართლა ისეა, როგორც მე ვამბობ. საქმე, რომელსაც გამარჯვება უწერია, შეიძლება ბოლომდე მიიყვანოს მხოლოდ კაცმა, ვისაც სუფთა, მშვიდი სიხარულით სავსე და ყოველგვარი ბრალისაგან თავისუფალი სინდისი აქვს.

**რებეკა.** ნუთუ ასე ძალიან გჭირდება სიხარული, როსმერ?

**როსმერი.** სიხარული? დიახ.

**რებეკა.** შენ?.. ვისაც არასოდეს გაგიცინია?..

**როსმერი.** მით უმეტეს. დამერწმუნე, ჩემში ისე ძლიერია სიხარულისაკენ ლტოლვა.

**რებეკა.** აბა, ახლა კი დროა. ჩემო მეგობარო. წადი, გაიარ-გამოიარე... რაც შეიძლება, დიდხანს. აი, შენი ქუდი. აგერ, ჯოხიც.

**როსმერი (ქუდს და ჯოხს ჩამოართმევს).** გმადლობ. შენ არ წამოხვალ?

**რებეკა.** არა, არა, ახლა არ შემიძლია.

**როსმერი.** კეთილი. სულერთია, შენ მაინც ჩემთან ხარ. **(წინკარში გადის).**

**რებეკა (ცოტა ხნის შემდეგ ღია კარში იხედება, შემდეგ კი მარჯვენა კართან მიდის, აღებს და ხმადაბლა ამბობს).** აბა, მადამ ჰელსეტ, ახლა კი შეგიძლიათ სთხოვოთ.

**მალე მარჯვნიდან შემოდის რექტორი კროლი და უხმოდ, ცერემონიულად ესალმება რებეკას; ხელში ქუდი უჭირავს.**

**კროლი.** მაშ, წავიდა?

**რებეკა.** დიახ.

**კროლი.** შორს მიდის ხოლმე?

**რებეკა.** დიახ, მაგრამ დღეს ვერ გეტყვით, რას იზამს. ამიტომ, თუ მასთან შეხვედრა გნებავთ...

**კროლი.** არა, არა. მე მინდა თქვენ მოგელაპარაკოთ; პირისპირ.

**რებეკა.** მაშინ დროს ნუღარ ვკარგავთ. დაბრძანდით, ბატონო რექტორო. **(ფანჯარასთან, სავარძელში ჯდება).**

**კროლი მის გვერდით ჩამოჯდება სკამზე.**

**კროლი.** ფრიოკენ ვესტ... თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა მტკივნეულად იმოქმედა ჩემზე ამ გარდატეხამ... იუჰან როსმერის ამ ფერისცვალებამ.

**რებეკა.** ჩვენ მოველოდით, რომ თავდაპირველად ასეც იქნებოდა.

**კროლი.** მხოლოდ თავდაპირველად?

**რებეკა.** როსმერი დარწმუნებული იყო, რომ, ადრე თუ გვიან, მის მხარეზე გადახვიდოდით.

**კროლი.** მე?

**რებეკა.** თქვენც და მისი დანარჩენი მეგობრებიც.

**კროლი.** აი, ხომ ხედავთ, რა სუსტი ალღო აქვს; რა ცუდად იცნობს ცხოვრებას და ადამიანებს.

**რებეკა.** თუმცა, რაკი თვლის, რომ მისთვის აუცილებელია სრულიად თავისუფალი გახდეს...

**კროლი.** დიახ... მაგრამ მე სწორედ ეგ მაეჭვებს.

**რებეკა.** მაშ, თქვენის აზრით?..

**კროლი.** ჩემის აზრით, ყოველივე ამის უკან დგახართ მხოლოდ თქვენ.

**რებეკა.** ეგ თქვენმა ცოლმა ჩაგაგონათ, ბატონო რექტორო.

**კროლი.** სულერთია, ვინ ჩამაგონა. საქმე ისაა, რომ მე ეჭვი მეპარება... დიახ, დიახ, სასტიკი ეჭვი, როცა ვიგონებ და ვუკვირდები თქვენს ქცევას მას აქეთ, რაც როსმერსჰოლმში გამოჩნდით.

**რებეკა. (მისჩერებია).** მაგრამ იყო დრო, როცა ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდით, ბატონო რექტორო. დიახ, დიდ იმედებს ამყარებდით და, მე ვიტყოდი, მთელის არსებითაც მენდობოდით.

**კროლი. (ყრუდ).** მიზნად ნუ დაისახავთ, თორემ ვის არ მოაჯადოებთ.

**რებეკა.** მაშასადამე, მე ეს მიზანი დავისახე?

**კროლი.** დიახ. აღარც ისე მიამიტი გახლავართ, რომ დავიჯერო, თითქოს რაღაც გრძნობისმაგვარი გამოძრავებდათ, თქვენ მხოლოდ ის გინდოდათ, რომ როგორმე შემოგეღწიათ როსმერსჰოლმში, ფეხი მოგეკიდებინათ აქ. აი, რაში გჭირდებოდათ ჩემი დახმარება. ახლა კი ყველაფერი მესმის.

**რებეკა.** როგორც ჩანს, დაგავიწყდათ, რომ ბეატა თვითონ მთხოვდა, მევედრებოდა, როსმერსჰოლმში გადმოვსულიყავი.

**კროლი.** დიახ, როცა ისიც მოაჯადოვეთ. მართლაცდა, განა შეიძლება მეგობრობა ეწოდოს იმ გრძნობას, რასაც ის თქვენს მიმართ განიცდიდა? გრძნობას, რომელიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სასოწარკვეთილებამდე მისულ, თავდავიწყებულ სიყვარულში გადაიზარდა? ალბათ ესაა ყველაზე ზუსტი სიტყვა.

**რებეკა.** იქნებ კეთილ-ინებოთ და გაიხსენოთ თქვენი დის მდგომარეობა. რაც შემეხება მე, არა მგონია, ეგზალტირებულ არსებად მივაჩნდე ვინმეს.

**კროლი.** არა, რაც მართალია, მართალია, ამას ვერავინ დაგწამებთ. მაგრამ მით უფრო საშიში ხართ ადამიანებისათვის, რომლებიც გსურთ თქვენს გავლენას დაუმორჩილოთ. სწორედ ამიტომაც მოქმედებთ ასე თამამად და თქვენი უპირატესობის სრული შეგნებით, რომ გულის მაგივრად ქვა გიდევთ მკერდში.

**რებეკა.** ქვა? დარწმუნებული ბრძანდებით?

**კროლი.** ახლა — სავსებით. ასე რომ არა, განა შესძლებდით, წლების მანძილზე ასე განუხრელად და დაჟინებით გაგეხორციელებინათ თქვენი მიზანი?.. დიახ, დიახ... თქვენ მიაღწიეთ იმას, რაც გსურდათ. ყველაფერი ხელთ იგდეთ როსმერსჰოლმში, და თქვენი მიზნის მისაღწევად უკან არ დაგიხევიათ იმის წინაშეც, რომ გაგეუბედურებინათ მისი პატრონი.

**რებეკა.** სტყუით! მე კი არა, თქვენ გააუბედურეთ

**კროლი.** მე?

**რებეკა.** დიახ, სწორედ თქვენ ჩაუნერგეთ ის აზრი, თითქოს მას მიუძღვის ბრალი ბეატას სიკვდილში.

**კროლი.** მაშასადამე, ამ აზრმა მაინც ღრმად იმოქმედა მასზე?

**რებეკა.** ვითომ არ იცით... მასავით გულჩვილი კაცი...

**კროლი.** მე მეგონა, რომ კაცისთვის, რომელმაც თავიდან მოიშორა ეგრეთწოდებული ცრურწმენები, უცხო უნდა ყოფილიყო ესოდენ ფაქიზი მგრძნობიარობა. მაგრამ, ხომ ხედავთ, მაინც!.. თუმცა რა, ასეც ვიცოდი. იმ ადამიანების შთამომავალი, რომლებიც ამ კედლებიდან გვიმზერენ, ძნელად თუ შესძ-

ლებს თავი დააღწიოს ყოველივე იმას, რაც განუხრელად, მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში.

**რებეკა (ჩაფიქრებული იყურება წინ).** იუჰანეს როსმერი თავისი გვარის ღვიძლი შვილია, მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ეს ეჭვშეუვალი ჭეშმარიტება გახლავთ.

**კროლი.** და თქვენ გმართებდათ, ანგარიში გაგეწიათ ამისთვის, მართლაც გული რომ შეგტკიოდეთ მასზე. მაგრამ თქვენ და ამნაირი გულისხმიერება?.. თქვენი დასაბამიერი მონაცემები ძირეულად განსხვავდებიან მისი ამგვარივე მონაცემებისაგან.

**რებეკა.** ვერ გამიგია, რა მონაცემებზე მელაპარაკებით?

**კროლი.** მონაცემებზე, რომლებიც განპირობებულნი არიან თვით ბუნებით... ან, თუ გნებავთ, წარმომავლობით, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** აჰ, ასე?.. თუმცა, რა თქმა უნდა... მე ხომ ღარიბთა წრიდანა ვარ გამოსული. მაგრამ მაინც...

**კროლი.** არა, წოდებრივსა თუ სოციალურ მდგომარეობას როდი ვგულისხმობ. მე მხოლოდ მორალურ მონაცემებზე ვლაპარაკობ.

**რებეკა.** მაინც?..

**კროლი.** მონაცემებზე, რომლებიც საჭირო იყო იმისთვის, რომ თქვენ, საერთოდ, მოვლენოდით ამ ქვეყანას.

**რებეკა.** რას ამბობთ?

**კროლი.** ამ მონაცემებზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვაგდე სიტყვა, რომ ისინი შუქს ჰფენენ თქვენს ქცევას.

**რებეკა.** არაფერი არ მესმის. თუ შეიძლება, მიუკიბ-მოუკიბავად.

**კროლი.** მე კი რატომღაც მეგონა, რომ ყველაფერი იცოდით... არადა, რით აიხსნება ის, რომ ექიმ ვესტს თავი აშვილებინეთ?

**რებეკა.** აჰ, აი, თურმე რას გულისხმობთ. ახლა კი ვხვდები.

**კროლი.** ...და მისი გვარი მიიღეთ. დედათქვენის გვარი ჰამვიკი იყო.

**რებეკა (ოთახის მეორე მხარეს გადადის).** ეს მამაჩემის გვარი გახლავთ, ბატონო რექტორო.

**კროლი.** დედათქვენს, თავისი საქმიანობის გამო ალბათ ხშირად უწევდა ექიმთან შეხვედრა.

**რებეკა.** დიახ.

**კროლი.** და, აი, დედათქვენის სიკვდილისთანავე, ექიმი შვილად გიყვანთ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მკაცრად გექცევათ, თქვენ მაინც მასთან რჩებით. ისიც იცით, რომ გახვრეტილ გროშსაც არ დაგიტოვებთ. და მართლაც, მისგან გრჩებათ მხოლოდ წიგნებით სავსე ყუთი. ესაა და ეს. მაგრამ მაინც მოთმინებით იტანთ მის ჟინიანობას, გებრალებათ და სიკვდილამდე თავზე ევლებით.

**რებეკა (მაგიდასთან; ზიზღით უყურებს).** და ყოველივე ამას თქვენ იმით ხსნით, რომ ჩემი მოვლინება ამქვეყნად რაღაცა ამორალურსა და დამნაშავეობრივთან იყო დაკავშირებული?

**კროლი.** ყველაფერს, რასაც თქვენ აკეთებდით ექიმისათვის, მე ქვეცნობიერი შვილური გრძნობის გამოვლინებად მიმაჩნია. მთელი თქვენი დანარჩენი ქცევა კი ჩემთვის სხვა არა არის რა, თუ არა თქვენივე წარმომავლობის ანარეკლი.

**რებეკა (ცხარედ).** მაგრამ თქვენს სიტყვებში სიმართლის ნატამალიც არ ურევია. მე შემიძლია დაგიმტკიცოთ ეს. ექიმი ვესტი მხოლოდ ჩემი დაბადების შემდეგ გადმოსახლდა ფინმარკენში.

**კროლი.** მომიტევეთ, ფრიოკენ. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ ექიმი ვესტი თქვენს დაბადებამდე ერთი წლით ადრე გადმოსახლდა აქ...

**რებეკა.** მე გეუბნებით, სცდებით-მეთქი! სასტიკად სცდებით!

**კროლი.** გუშინწინ თქვენ თვითონ ბრძანეთ, ოცდაცხრა წელი შემისრულდა, ოცდამეათეში გადავდექიო.

**რებეკა.** მართლა ასე ვთქვი?

**კროლი.** სიტყვასიტყვით. ჰოდა, შეიძლება გამოვთვალოთ...

**რებეკა.** მოითმინეთ! ვერაფერსაც ვერ გამოთვლით. რას იზამ, გამოგიტყდებით: მე უფრო მეტი ხნისა ვარ, ვიდრე თავს ვასაღებ. მთელი ერთი წლით.

**კროლი (უნდოდ იღიმება).** მართლა? აი, ახალი ამბავი! კი მაგრამ, როგორ?

**რებეკა.** ოცდახუთისა რომ გავხდი, მომეჩვენა, რომ... გაუთხოვარი ქალის ქვალობაზე თითქმის დავბერდი. ჰოდა, ავდექი და წელი ჩამოვიკლე.

**კროლი.** ვთქვათ, ასეცაა. მაგრამ ჩემი გამოთვლა მაინც სწორია. ექიმი ვესტი ახალ თანამდებობაზე დანიშვნამდე ერთი წლით ადრე ცოტა ხნით ჩავიდა ფინმარკენში.

**რებეკა (წამოენთება).** ტყუილია!

**კროლი.** ტყუილი?

**რებეკა.** დიახ. დედაჩემს არაფერი უთქვამს.

**კროლი.** მართლა?

**რებეკა.** არასოდეს. არც ექიმ ვესტს. არცერთს სიტყვა არ დასცდენია.

**კროლი.** იქნებ იმიტომ, რომ მათაც თავისებური მიზეზი ჰქონდათ, როგორმე ერთი წელი დაეკლოთ თქვენსავით, ფრიოკენ ვესტ? როგორც ჩანს, ეს ოჯახური თავისებურება უნდა იყოს.

**რებეკა (ოთახში დადის და ხელებს იმტვრევს).** შეუძლებელია. თქვენ გინდათ ჩამაგონოთ, რომ... ვერ დამაჯერებთ! ვერასოდეს! ვერასდიდებით! ვერა! ვერა!

**კროლი. (დგება).** კი მაგრამ, ძვირფასო ფრიოკენ ვესტ... ღვთის გულისათვის... ასე რად ღელავთ? მართალი გითხრათ, მაშინებთ! რა ვიფიქრო, ან რა ვივარაუდო?..

**რებეკა.** არაფერი. არც რა უნდა იფიქროთ და არც ივარაუდოთ.

**კროლი.** მაშ, ამიხსენით, რატომაა, რომ ეს საქმე... ან, თუნდაც, ეს შესაძლებლობა ასე ახლოს მიგაქვთ გულთან?

**რებეკა (გონს ეგება).** რა ახსნა ამას უნდა, რექტორო კროლ? ვინ დათანხმდება იმას, რომ უკანონოდ შობილად გამოაცხადონ?

**კროლი.** ასე... კეთილი... ჯერჯერობით ამნაირ ახსნას დავჯერდეთ. მაგრამ თქვენ, როგორც ჩანს, ამ მხრივაც შემოგრჩათ ერთგვარი ცრურწმენა.

**რებეკა.** ალბათ.

**კროლი.** უნდა ვიფიქროთ, რომ იგივე ითქმის ამ თქვენი ყბადაღებული თავისუფლებისა და ბევრი სხვა რამის მიმართაც. იმდენი იკითხეთ, რომ ტვინი გადმოგიბრუნდათ, ათასგვარი აზრებით გამოიჭედეთ თავი. გარკვეული წარმოდგენა შეგექმნათ მეცნიერების ზოგიერთ მიღწევაზე, რაც, ერთის შეხედვით, თითქოს თავდაყირა აყენებს ბევრ რამეს, დღევანდელ დღემდე ურყევ ჭეშმარი-

ტებად რომ იყო მიჩნეული. მაგრამ ყოველივე ეს თქვენთვის მხოლოდ გარეგან ცოდნად დარჩა, ფრიოკენ ვესტ. თქვენ მხოლოდ ზერელედ და ზეპირულად შეითვისეთ იგი. ეს ცოდნა არ გაგჯდომიათ ძვალ-რბილში, არ ქცეულა თქვენს სისხლად და ხორცად.

**რებეკა. (ჩაფიქრებით).** შეიძლება.

**კროლი.** დიახ, თქვენს თავს დაუკვირდით და დაინახეთ! ხომ [illegible]ნი საქმე ასეა, იუჰან როსმერზე რაღა ითქმის? გიჟის მეტი ვინ დააჩქარებს თავის დაღუპვას, ვინ გამოაჭენებს საკუთარ თავს, ვინ განაცხადებს სახალხოდ განდგომილი ვარო? როსმერისნაირი მხდალი და განდგომილი?! აბა, წარმოიდგინეთ ის მოკვეთილი, შეჩვენებული, მისივე ძველი მეგობრის მიერ დევნილი, საზოგადოების უკეთესი წევრების მხრივ დაუნდობელი თავდასხმების საგნად ქცეული! ვერა, ვერასდიდებით ვერ გაუძლებს ამას, ვერ გადაიტანს.

**რებეკა.** უნდა გაუძლოს, უნდა აიტანოს. უკან დახევა უკვე გვიანაა.

**კროლი.** ვინ მოგახსენათ? სრულიადაც არ არის გვიან. რაც მოხდა, შეიძლება მივაჩუმათოთ... ან, ყოველ შემთხვევაში, დროებით, თუმცაღა ძალზე სამწუხარო შეცდომად გამოვაცხადოთ. მაგრამ, რასაკვირველია, დაუყოვნებლივ უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეზე. ხომ იცით, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**რებეკა.** მაინც რაზე?

**კროლი.** როგორმე უნდა დაიყოლიოთ, რომ თქვენს ურთიერთობას კანონიერი სახე მისცეთ, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** ჩვენს ურთიერთობას?

**კროლი.** დიახ. აუცილებლად უნდა დაიყოლიოთ.

**რებეკა.** მაშასადამე, თქვენ კვლავ იმ აზრზე დგახართ, რომ ჩვენს ურთიერთობას, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია, კანონიერი სახე მიეცეს?

**კროლი.** არ მინდა ჩავუღრმავდე ამ საკითხს, მაგრამ, ჩემის აზრით, — რამდენადაც შესაძლებლობა მქონდა დავკვირვებოდი, — ეგრეთ წოდებული ცრურწმენების დაძლევა ყველაზე ადვილია იმ სფეროში, რომელსაც... ჰმ...

**რებეკა.** ...ქალისა და კაცის ურთიერთობა ჰქვია, არა?

**კროლი.** დიახ... მართალი გითხრათ, ასეთია ჩემი აზრი.

**რებეკა (ოთახში დაბორიალობს და დროდადრო ფანჯარაში იყურება).** კინაღამ წამომცდა: ნეტავი მართალი იყოთ-მეთქი, რექტორო კროლ.

**კროლი.** ეგ როგორ გავიგოთ? რაღაც ისე უცნაურად თქვით.

**რებეკა.** ჰო, თუმცა!.. მოვეშვათ ამას... ვაიმე... მოდის.

**კროლი.** მოდის? მაშ, მე წავედი.

**რებეკა (უახლოვდება).** არა, დარჩით. ახლა თქვენ გაიგებთ რაღაც ძალზე მნიშვნელოვანს.

**კროლი.** არა, ახლა არა. რა ვქნა, არ შემიძლია მისი დანახვა.

**რებეკა.** გევედრებით... დარჩით. ნუ წახვალთ. თორემ შემდეგ ინანებთ. უკანასკნელად მოგმართავთ თხოვნით.

**კროლი (გაოცებული უყურებს და ქუდს დებს).** კეთილი, ფრიოკენ ვესტ. რა გაეწყობა, ვრჩები.

**ოთახში ერთხანს სიჩუმე იხადგურებს. წინკარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.**

**როსმერი (რექტორის დანახვაზე კარშივე ჩერდება).** როგორ? თქვენ აქა ხართ?

**რებეკა**. შენთან შეხვედრა არ უნდოდა, როსმერ.

**კროლი (უნებურად)**. მაშ, „შენობით"?..

**რებეკა**. დიახ, ბატონო რექტორო. მე და როსმერი „შენობით" მივმართავთ ერთმანეთს, ეს ჩვენმა ურთიერთობამ განაპირობა.

**კროლი**. მაშ, ესაა, რაც მე უნდა გამეგო, როგორც [illegible]

**რებეკა**. ესეც და სხვა რამეც.

**როსმერი (ოთახში შემოდის)**. რისთვის გარჯილხარ?

**კროლი**. მინდოდა, ერთხელ კიდევ მეცადა, შემეჩერებინე და კვლავ ჩვენს რიგებში დამებრუნებინე.

**როსმერი (გაზეთზე უთითებს)**. ყოველივე იმის შემდეგ, რაც აქ დაიბეჭდა?

**კროლი**. ეგ მე არ დამიწერია.

**როსმერი**. კი მაგრამ, თუ სცადე მაინც ხელი შეგეშალა, რომ არ დაებეჭდათ?

**კროლი**. ეგ დაუშვებელი იქნებოდა, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ საქმეს, რომელსაც მე ვემსახურები, და, ეგეც არ იყოს, არც შემეძლო.

**რებეკა (გაზეთს ნაფლეთებად აქცევს, დაჭმუჭნის და ღუმელში აგდებს)**. აი, ასე. თვალიდან შორს — ხსოვნიდან შორს. ამგვარი რამ აღარასოდეს განმეორდება, როსმერ.

**კროლი**. ნეტავი მართლა შესძლებდეთ მაგას!

**რებეკა (როსმერს)**. მოდი აქ, ჩამოვსხდეთ, ძვირფასო მეგობარო. სამივე. მე თქვენ ყველაფერს გეტყვით.

**როსმერი (ანგარიშმიუცემლად ჯდება)**. რა მოგივიდა, რებეკა? ეს უცნაური სიმშვიდე... ცოტა არ იყოს, მაშინებ კიდეც!.. რას ნიშნავს ეს?

**რებეკა**. ეს გადაწყვეტილების სიმშვიდეა. (ჯდება). თქვენც დაბრძანდით, რექტორო კროლ.

*კროლი დივანზე ჯდება.*

**როსმერი**. გადაწყვეტილების სიმშვიდეო, შენ ამბობ. მაინც რა გადაწყვიტე?

**რებეკა**. მე გადავწყვიტე დაგიბრუნო ის, რაც გჭირდება, რომ ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო. შენ კვლავ დაიბრუნებ ნათელი სიხარულით სავსე, ბრალისაგან თავისუფალ სინდისს, ძვირფასო მეგობარო.

**როსმერი**. კი მაგრამ!..

**რებეკა**. მე მხოლოდ მოგიყვები. მეტი არც არის საჭირო.

**როსმერი**. აბა!..

**რებეკა**. ფინმარკენიდან რომ ჩამოვედი... ექიმ ვესტთან ერთად... ჩემს წინაშე თითქოს ახალი, უზარმაზარი სამყარო გადაიშალა. ექიმი ყველაფერს მიხსნიდა და მასწავლიდა... ცოტ-ცოტა... და მე თანდათანობით დამიგროვდა ცოდნის ნაფლეთები, თავისებური თვალთახედვით აღვიქვამდი საგნებს, მოვლენებს, ცხოვრებას... **(გაჭირვებით; ძლივს გასაგონად)**. და, აი...

**კროლი**. რა?..

**როსმერი**. კი მაგრამ, რებეკა... ეგ ხომ უკვე ვიცი?

**რებეკა (ძალას იკრებს)**. დიახ, დიახ... კაცმა რომ თქვას, მართალი ხარ. შენ საკმაოდ ბევრი რამ იცი ამის შესახებ.

**კროლი (დაჟინებით უცქერის)**. მე მგონი, უმჯობესია წავიდე.

**რებეკა**. არა, ბრძანდებოდეთ, ძვირფასო რექტორო. **(როსმერს)**. და აი,

მეც მოვინდომე ვზიარებოდი ახალ დროებას, დაჟინებით რომ აკაკუნებდა კარზე. ვზიარებოდი ყველა იმ ახალ აზრს... რექტორმა კროლმა ერთხელ მიამბო, რომ ოდესღაც, შენი პატარაობისას, ულრიკ ბრენდელს უზარმაზარი გავლენა ჰქონია შენზე. ჰოდა, მე მომეჩვენა, რომ მივაგენი ჩემი ცხოვრების მიზანს, — განმეახლებინა ეს გავლენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როსმერი.** მაშ, შენ ფარული განზრახვით მოხვედი აქ?

**რებეკა.** მე მინდოდა, რომ ჩვენ ხელი-ხელ ჩაკიდებულებს ლაღად და თამამად გვევლო წინ, მხოლოდ წინ, თვით ქვეყნიერების დასასრულამდე... მაგრამ შენსა და სრულ თავისუფლებას შორის გადაულახავ დაბრკოლებად აღმართული იყო პირქუში გალავანი.

**როსმერი.** მაინც რა გალავანს გულისხმობ?

**რებეკა.** მე ვგულისხმობ იმას, რომ ვერასოდეს ეზიარებოდი თავისუფლებას მზისა და ბედნიერების გარეშე. გახევებული იჯექი აქ და უღიმღამო ცოლქმრული ცხოვრების ბინდბუნდში თანდათანობით ჰქნებოდი.

**როსმერი.** ჩემი და ბეატას ცოლქმრობაზე აქამდე არასოდეს გილაპარაკია ჩემთან ამნაირი ტონით.

**რებეკა.** ვერ ვბედავდი... მხოლოდ იმიტომ, რომ არ დამეშინებინე.

**კროლი (როსმერს).** გესმის?

**რებეკა (განაგრძობს).** მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, თუ რას შეეძლო შენი ხსნა. მხოლოდ ერთ, ერთადერთ რამეს. და მე მოქმედება დავიწყე.

**როსმერი.** მაინც?..

**კროლი.** იმის თქმა ხომ არ გნებავთ, რომ...

**რებეკა.** დიახ, როსმერ... **(დგება).** იჯექი, იჯექი. თქვენც, ბატონო რექტორო. ახლა კი დროა, ყველაფერი გავიმჟღავნოთ... არა, შენ არავითარი ბრალი არ მიგიძღვის, როსმერ... ეს მე ვაცთუნე... დიახ. იქამდე მივედი, რომ ვაცთუნე და მცდარ გზაზე დავაყენე ბეატა....

**როსმერი (წამოხტება).** რებეკა!

**კროლი (ახვევ).** მცდარ გზაზე?

**რებეკა.** გზაზე, რომელმაც ის... წყალვარდნილამდე მიიყვანა. ახლა ორივემ ყველაფერი იცით.

**როსმერი (თავზარდაცემული).** არ მესმის. რას ამბობს? არაფერი არ მესმის.

**კროლი.** ოო... მე კი, მგონი, თანდათან ვხვდები.

**როსმერი.** კი მაგრამ, მაინც რა ჩაიდინე? რა უნდა გეთქვა მისთვის? რომ არაფერი არ იყო? არაფერი! არაფერი!

**რებეკა.** მან გაიგო, რომ შენ აპირებდი ზურგი გექცია ძველი ცრურწმენისათვის.

**როსმერი.** კი მაგრამ, მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი.

**რებეკა.** მე ვიცოდი, რომ მალე საქმედ აქცევდი იმას, რაც განიზრახე.

**კროლი (თავს აქნევს).** აჰა!

**როსმერი.** მერე? მერე? მე მინდა ყველაფერი ვიცოდე.

**რებეკა.** ცოტა ხნის შემდეგ... თხოვნა დავუწყე. ვევედრებოდი, ნება მოეცა როსმერსჰოლმიდან წავიდე-მეთქი.

**როსმერი.** მაშინ მაინც რატომ გინდოდა წასვლა?

**რებეკა.** პირიქით, წასვლა კი არა, დარჩენა მინდოდა. მაგრამ მე ვუთხა-

რი ბეატას, სამივესათვის აჯობებს, თუ დროზე გაგეცლებით-მეთქი. ვაგრძნობინე, რომ თუკი აქ დავრჩებოდი.., შეიძლებოდა მომხდარიყო... რაღაც ისეთი...

**როსმერი.** აი, თურმე რა გითქვამს მისთვის.

**რებეკა.** დიახ, როსმერ.

**როსმერი.** მაშ, ამ აზრითა თქვი, მოქმედება დავიწყეო?

**რებეკა (ჩაწყვეტილი ხმით).** დიახ, ამ აზრით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**როსმერი (ხანმოკლე პაუზის შემდეგ).** უკვე დაამთავრე შენი აღსარება, რებეკა?

**რებეკა.** დიახ.

**კროლი.** არა, ჯერ არა.

**რებეკა (შეშინებული მიხჩერებია).** მაშ, რაღა დარჩა?

**კროლი.** ბოლოს, ისიც ხომ არ აგრძნობინეთ ბეატას, რომ უმჯობესი იქნებოდა... არა, უმჯობესი კი არა, თქვენთვისაც და როსმერისთვისაც აუცილებელი გახლდათ, რაც შეიძლება მალე წასულიყავით სადმე?.. ა?

**რებეკა (ჩუმად, ძლივს გასაგებად).** შეიძლება რაღაც ამგვარი ვუთხარი.

**როსმერი (მძიმედ ეშვება სავარძელში ფანჯარასთან).** და საცოდავი, სნეულებით გაწამებული თხემით ტერფამდე გაიხლართა სიცრუისა და თვალთმაქცობის ამ ქსელში! ყველაფერი დაიჯერა! მთელის არსებით გენდოთ! ურყევად! (რებეკას გადახედავს). და ერთხელაც არ მოუმართავს ჩემთვის, ერთხელაც არ დასცდენია არცერთი სიტყვა! ოო, რებეკა... სახეზე გატყობ, რომ შენ დაუშალე!

**რებეკა.** მას ხომ აკვიატებული ჰქონდა, რაკიღა უშვილო ვარ, ამიტომ აქ დარჩენის უფლებაც არა მაქვსო. წარმოიდგინა, რომ შენი ბედნიერების გულისთვის ადგილი უნდა დაეთმო.

**როსმერი.** და შენ... თითიც არ გაგინძრევია, რომ აზრი შეგეცვლევინებინა მისთვის?

**რებეკა.** არა.

**კროლი.** ის კი არადა, ალბათ კიდევაც განუმტკიცეთ ეს აზრი, მიპასუხეთ! ასე არ არის?

**რებეკა.** როგორც ჩანს, ასე ესმოდა ჩემი სიტყვები.

**როსმერი.** დიახ, დიახ. შენს გავლენას კი მთლიანად დაემორჩილა, ქედი მოიხარა მის წინაშე. **(წამოიჭრება).** რა გულმა მოგცა?.. რა გულმა მოგცა, ასეთი საშინელი თამაში დაგეწყო?

**რებეკა.** მე მეგონა, აუცილებელი იყო ორი სიცოცხლიდან ერთ-ერთი ამომერჩია, როსმერ.

**კროლი (მკაცრად და მბრძანებლურად).** ვინ მოგცათ იმის უფლება, რომ ამნაირი არჩევანი მოგეხდინათ, ფრიოკენ ვესტ?

**რებეკა (აგზნებულად).** ნუთუ გგონიათ, რომ გულგრილი განსჯისა და აწონ-დაწონის თავი მქონდა? მაშინ ისეთი როდი ვიყავი, როგორსაც ახლა მხედავთ, როცა, აი, აქ, თქვენს წინაშე ვდგავარ და ყოველივე ამას გიყვებით. ეგეც არ იყოს, ადამიანში, ჩემის აზრით, თითქოს ყოველთვის მოქმედებს ორი ნება. მინდოდა ნებისმიერი საშუალებით ჩამომეცილებინა ბეატა. მაგრამ ის კი არასოდეს მიფიქრია, რომ აქამდე მიეიდოდა საქმე. ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას, რაც პატარა გამბედაობას როდი მოითხოვდა ჩემგან, თითქოს იდუმალი ხმა ჩამჩურჩულებდა: გეყოფა! საკმარისია! მაგრამ მე მაინც ვერასდიდებით ვერ ვახერხებდი შეჩერებას, რაღაც წინააღუდგომელი ძალა მაქეზებ-

და, ცოტაც, სულ ცოტაც კიდევ გამბედაო. ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და, ბოლოს, აღსრულდა... აი, როგორ მოხდა ეს.

ხანმოკლე დუმილი.

როსმერი (რებეკას). კი მაგრამ, ამიერიდან რა გეშველებათ? ყოველივე ამის შემდეგ? [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებეკა. რაც იქნება, იქნება. ეგ ნაკლებად მადარდებს.

კროლი. ერთი სიტყვით მაინც ამჟღავნებდეთ სინანულს! თუმცა თქვენ ალბათ არც კი გრძნობთ მას.

რებეკა (გულგრილად, პირდაპირ პასუხს თავს არიდებს). მომიტევეთ, ბატონო რექტორო. ეს საქმე არავის არ ეხება, და მე თვითონვე მოვუვლი მას.

კროლი (როსმერს). და შენ ამნაირ ქალთან ცხოვრობ ერთ ჭერქვეშ! თანაც, რა ახლოს ხარ მასთან. (თვალს მოავლებს პორტრეტებს). ოო, მიცვალებულები რომ ხედავდნენ ამას!

როსმერი. ქალაქში მიდიხარ?

კროლი. (ქუდს იღებს). დიახ. და რაც უფრო მალე წავალ, მით უკეთესი.

როსმერი (თვითონაც იღებს ქუდს). მეც მოვდივარ!

კროლი. მართლა? დიახ, ასეც ვიცოდი, რომ საბოლოოდ არ დაგვკარგავიხარ.

როსმერი. წავიდეთ, კროლ, წავიდეთ! (რებეკას ზედაც არ შეხედავენ, ისე გადიან წინკარში).

ცოტა ხნის შემდეგ რებეკა ნელა უახლოვდება ფანჯარას და ყვავილებს შორის იხედება.

რებეკა (ხმადაბლა). დღესაც ვერ გაბედა ბოგირზე გავლა. შემოუარა. ვერც ვერასოდეს გაბედავს წყალვარდნილზე გადასვლას. ვერასოდეს. (ფანჯარას სცილდება). დიახ, დიახ. (მიდის და რეკავს).

მალე მარჯვნიდან შემოდის მადამ ჰელსეტი.

მადამ ჰელსეტი. რა გნებავთ, ფრიოკენ?

რებეკა. თუ შეიძლება, ჩემი სამგზავრო ჩემოდანი ჩამოიტანეთ სხვენიდან, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. სამგზავრო ჩემოდანი?

რებეკა. დიახ, ყავისფერი, სელაპის ტყავი რომ აქვს გადაკრული, — თქვენ იცით.

მადამ ჰელსეტი. ვიცი, ვიცი. კი მაგრამ, ღმერთო შენ შემიწყალე... წასვლას ხომ არ აპირებთ, ფრიოკენ?

რებეკა. დიახ, ვაპირებ და წავალ კიდეც, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. ახლავე, ამ წუთას?

რებეკა. როგორც კი ჩავალაგებ

მადამ ჰელსეტი. კი მაგრამ, მაინც რა მოხდა? ხომ დაბრუნდებით?

რებეკა. აღარასოდეს აღარ დავბრუნდები.

მადამ ჰელსეტი. აღარასოდეს? ღმერთო დიდებულო! კი მაგრამ, რა გვეშველება უთქვენოდ? საწყალ პასტორს როგორც იქნა ეღირსა სიმშვიდე და სიმყუდროვე.

რებეკა. დღეს რაღაც უცნაურმა შიშმა ამიტანა, მადამ ჰელსეტ.

მადამ ჰელსეტი. შიშმა? ღმერთო დიდებულო... მაინც რამ შეგაშინათ?

რებეკა. რა ვიცი, თითქოს თეთრი ცხენები მომეჩვენა...

მადამ ჰელსეტი. თეთრი ცხენები? დღისით, მზისით?..

**რებეკა.** აჰ, მგონი, დღედაღამ აქ დასეირნობენ... ეს თეთრი ცხენები. **(ხხვა კილოზე).** მაშ, ასე, სამგზავრო ჩემოდანი, მადამ ჰელსეტ.

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, დიახ, სამგზავრო ჩემოდანი.

**ორივე ხელმარჯვნივ გადის.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მეოთხე მოქმედება

**სასტუმრო ოთახი როსმერსჰოლმში, გვიანი საღამოა, მაგიდაზე აბაჟურიანი ლამპა ანთია. რებეკა ფანჯარასთან დგას და საკვოიაჟში სხვადასხვა ნივთებს ალაგებს. მისი პალტო, ქუდი და მისივე ხელით მოქსოვილი თეთრი თავშალი დივანის ზურგზე გადაკიდებული.**

მარჯვნიდან **შემოდის მადამ ჰელსეტი.**

**მადამ ჰელსეტი. (ხმადაბლა, ოდნავ თავშეკავებით).** ყველაფერი უკანა კიბეზე გავიტანე, ფრიოკენ.

**რებეკა.** მეეტლესაც უთხარით?

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, კითხულობს, როდის ვეახლოო?

**რებეკა.** მე მგონია, ასე, თერთმეტ საათზე. გემი შუაღამისას გადის.

**მადამ ჰელსეტი. (ენის ბორძიკით).** კი მაგრამ, პასტორი? წასვლამდე რომ ვერ მოგისწროთ?

**რებეკა.** მე მაინც წავალ, თუ ვერა ვნახე, გადაეცით, რომ წერილს მოვწერ, ვრცელ წერილს. დიახ, სწორედ ასე უთხარით.

**მადამ ჰელსეტი.** დიახ, ასე, წერილიც არ იქნება ურიგო, მაგრამ იქნებ ერთხელ კიდევ გეცადათ და პირადად მოლაპარაკებოდით.

**რებეკა.** ვნახოთ. თუმცა არა, რა საჭიროა?

**მადამ ჰელსეტი.** მართალი გითხრათ, პასტორ როსმერს წესიერ კაცად ვთვლიდი.

**რებეკა.** წესიერ კაცად?

**მადამ ჰელსეტი.** დიახ.

**რებეკა.** კი მაგრამ, მაინც რას გულისხმობთ, ჩემო ძვირფასო?

**მადამ ჰელსეტი.** სიმართლეს მოგახსენებთ, ფრიოკენ, როგორ იკადრა, რომ ასე მშრალად ამოსულიყო წყლიდან?

**რებეკა (მისჩერებია).** თუ შეიძლება, გულახდილად მითხარით, მადამ ჰელსეტ, — როგორ გგონიათ, მაინც რატომ მივდივარ, ა?

**მადამ ჰელსეტი.** ღმერთო ჩემო, ხომ გაგიგონიათ, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ფრიოკენ, ოჰო-ჰო-ჰო! მაგრამ პასტორს მაინც არ ეკადრებოდა!.. მორტენსგორს რას მოსთხოვდი? გათხოვილ ქალთან ჰქონდა საქმე, ასე რომ, ძალიანაც რომ სდომებოდა, ცოლად ვერ შეირთავდა, მაგრამ პასტორი... ჰმ!..

**რებეკა (ოდნავ შესამჩნევად იღიმება).** ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მე და პასტორი...

**მადამ ჰელსეტი.** ჩემს დღეში არ მიფიქრია, ესე იგი... დღევანდლამდე.

**რებეკა.** დღეს კი?..

**მადამ ჰელსეტი.** ოო..., იმდენი უკეთურობის შემდეგ, რაც, თუ ჭორებს ვენდობით, გაზეთებში დაიბეჭდა პასტორზე...

**რებეკა.** აჰ, აი, თურმე რას გულისხმობთ!

**მადამ ჰელსეტი.** ჩემის აზრით, იმ კაცისგან, რომელიც [illegible] რწმენაზე გადავიდა, ყველაფერია მოსალოდნელი.

**რებეკა.** შეიძლება... კი მაგრამ, მე? ჩემზე რაღას იტყვით?

**მადამ ჰელსეტი.** მომიტევეთ, ფრიოკენ... თქვენზე რა მეთქმის? მარტოხელა ქალს რა წინააღმდეგობის თავი აქვს?.. გასაგებია... ყველანი ადამიანები ვართ, ფრიოკენ ვესტ.

**რებეკა.** მართალს ბრძანებთ, მადამ ჰელსეტ. ყველანი ადამიანები ვართ... რა მოგეჩვენათ?

**მადამ ჰელსეტი** **(ჩუმად)** ღმერთო დიდებულო... ნამდვილად ისაა.

**რებეკა** **(შეკრთება).** ესე იგი, მაინც?.. **(მტკიცედ).** რაც არის, არის!

**წინკარიდან შემოდის იუჰანეს როსმერი.**

**როსმერი** **(სამგზავრო სამზადისის დანახვისას რებეკას მიუბრუნდება და ეკითხება).** რას ნიშნავს ეს?

**რებეკა.** მივდივარ.

**როსმერი.** ახლავე?

**რებეკა** **(მადამ ჰელსეტს მიუბრუნდება).** მაშ, ასე, თერთმეტ საათზე, არა?

**მადამ ჰელსეტი.** კეთილი, ფრიოკენ. **(ხელმარჯვნივ გადის).**

**როსმერი** **(ხანმოკლე დუმილის შემდეგ).** საით მიემგზავრები, რებეკა?

**რებეკა.** ჩრდილოეთში, გემს მივყვები.

**როსმერი.** ჩრდილოეთში? კი მაგრამ, რა დაგრჩენია ჩრდილოეთში?

**რებეკა.** მე ხომ იქიდან ჩამოვედი.

**როსმერი.** მაგრამ ახლა რა საქმე გაქვს იქ?

**რებეკა.** აწ აქ რა საქმე მაქვს?

**როსმერი.** მაინც რას აპირებ?

**რებეკა.** არ ვიცი. ვეცდები თავი დავაღწიო ყოველივე ამას.

**როსმერი.** ყოველივე ამას?

**რებეკა.** როსმერსჰოლმა წელში გამტეხა.

**როსმერი** **(გაოგნებული)** რას ამბობ?..

**რებეკა.** დიახ, გამტეხა და გამანადგურა... აქ რომ ჩამოვედი, ისეთი ლაღი და თამამი ვიყავი. ახლა კი უცხო კანონის უღელქვეშ მოვიხარე ქედი. არა მგონია, ამიერიდან კვლავ მეყოს გამბედაობა, რაიმე სიძნელეს შევეჭიდო.

**როსმერი.** რატომ? მაინც რა არის ეს კანონი, რომლის უღელქვეშაც, შენივე სიტყვებით რომ ვთქვათ...

**რებეკა.** მოვეშვათ ამას, ჩემო ძვირფასო... რა გადაწყვიტეთ შენ და რექტორმა?

**როსმერი.** ზავი დავდეთ.

**რებეკა.** აა! მაშასადამე, ყველაფერი მაინც ამით დამთავრდა?

**როსმერი.** მთელ ჩვენს მეგობრებს მოუყარა თავი, და მათ თვალნათლივ დამიმტკიცეს, რომ ჩემი გეგმა, რომელიც კაცთა სულების გაკეთილშობილებას ისახავდა მიზნად, თურმე სულაც არ ყოფილა საჩემო საქმე. და თვით ეს გეგმაც, თავისთავად, იმდენად უიმედოა, რომ... არა, მე ხელს ვიღებ მასზე.

**რებეკა.** დიახ, დიახ... ალბათ, ასე აჯობებს.

**როსმერი.** ასე აჯობებს? მაშ, ახლა შენც ამ აზრისა ხარ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რებეკა.** თანდათანობით მივედი ამ აზრამდე. ბოლო ორი დღის განმავლობაში.

**როსმერი.** სტყუი, რებეკა!

**რებეკა.** ვტყუი?..

**როსმერი.** დიახ, სტყუი. შენ არასოდეს არ გწამდა ჩემი. არასოდეს არ გჯეროდა, რომ მე შემეძლო ბოლომდე დამეცვა ეს საქმე და გამარჯვებამდე მიმეყვანა იგი.

**რებეკა.** მე მეგონა, ორივე ერთად როგორმე თავს გავართმევდით მას.

**როსმერი.** სტყუი. შენ გეგონა, რომ თვითონვე მიაღწევდი რაღაც არნახულს. მე კი მხოლოდ შენი განზრახვის იარაღად მთვლიდი, რომლის მეშვეობითაც ხორცს შეასხამდი შენს მიერ დასახულ მიზანს. აი, რას ფიქრობდი შენ.

**რებეკა.** მომისმინე, როსმერ...

**როსმერი** (**მძიმედ ეშვება დივანზე**). მორჩი... ახლა კი ყველაფერი ცხადია ჩემთვის , მე მხოლოდ სათამაშო ვიყავი შენს ხელში.

**რებეკა.** არა, მომისმინე, როსმერ, მოდი, სწორედ ამაზე ვილაპარაკოთ... უკანასკნელად. (**დივანის გვერდით, სკამზე ჯდება**). მე მინდოდა ყველაფერი იქიდან — ჩრდილოეთიდან მომეწერა შენთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, უმჯობესია, პირადად მოგახსენო.

**როსმერი.** მაშ, ჯერ კიდევ არ გითქვამს ყველაფერი?

**რებეკა.** ყველაზე მთავარი უთქმელი დამრჩა.

**როსმერი.** ყველაზე მთავარი?

**რებეკა.** დიახ, უნდა გაგიმჟღავნო ის, რაზედაც წარმოდგენაც არა გაქვს, და რაც ნათელს მოჰფენს ყოველივე დანარჩენს.

**როსმერი** (**თავს აქნევს**) არაფერი არ მესმის.

**რებეკა.** მართალია, ოდესღაც ცბიერებით ვცდილობდი როსმერსჰოლმში მოხვედრას, რადგანაც ვფიქრობდი, რომ სწორედ აქ შევძლებდი მეპოვა ჩემი იღბალი და ბედნიერება. ასე თუ ისე, გესმის?

**როსმერი.** მერედა, ხომ მიაღწიე საწადელს?

**რებეკა.** მე მგონია, რასაც კი მოვინდომებდი, ყველაფრის მიღწევა შემეძლო მაშინ. დიახ, მაშინ ჩემი ნება ჯერ კიდევ ლაღი, თამამი და თავისუფალი იყო. არავითარი სხვა აზრის გაგონებაც არ მინდოდა. ვერაფერი გადამახვევინებდა ერთხელ არჩეულ გზიდან. მაგრამ სწორედ მაშინ მეწია ის, რამაც გატეხა ჩემი ნება... სამუდამოდ დამთრგუნა და დამაშინა.

**როსმერი.** მაინც რა? უფრო გასაგებად ვერ მეტყვი?

**რებეკა.** სწორედ მაშინ დამეუფლა ეს დაუოკებელი, დაუძლეველი ვნება, როსმერ!

**როსმერი.** ვნება? შენ?.. ვის მიმართ?..

**რებეკა.** შენს მიმართ.

**როსმერი** (**მზადაა წამოხტეს**). იმის თქმა ხომ არ გინდა, რომ... შეგიყვარდი?..

**რებეკა.** ეს გრძნობა მაშინ მეც სიყვარული მეგონა, მაგრამ არა. გამოგიტყდები: ეს იყო დაუოკებელი, დაუძლეველი ვნება.

**როსმერი** (**თავს ძალას ატანს**). რებეკა... ნუთუ ეს შენა ხარ... აქ რომ ზიხარ და ყოველივე ამას მიყვები?

**რებეკა.** დიახ, რას იტყვი, როსმერ?

**როსმერი.** და სწორედ ამ გრძნობის გავლენით დაიწყე მოქმედება, როგორც თვითონა ბრძანე?..

**რებეკა.** ეს გრძნობა გრიგალივით დამატყდა თავს. ამნაირი გრიგალი მხოლოდ ჩვენში, ჩრდილოეთში იცის. აგიტაცებს და ეშმაკმა იცის, სად წაგილებს. წინააღმდეგობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

**როსმერი.** მაშ, სწორედ ამ გრიგალმა გადაჩეხა საცოდავი ბეატა წყალვარდნილში?

**რებეკა.** დიახ, მაშინ ხომ ჩვენ გააფრთებით ვებრძოდით ერთმანეთს, როგორც ორი დასახრჩობად განწირული, გადაყირავებულ ნავს რომ ჩაჰფრენიან გადასარჩენად.

**როსმერი.** და, რა თქმა უნდა, უძლიერესი შენ აღმოჩნდი აქ, როსმერსჰოლმში; უფრო ძლიერი, ვიდრე მე და ბეატა — ორივე ერთად.

**რებეკა.** მე მოვასწარი შენი გაცნობა და მივხვდი, რომ სიახლოვეს ვერ გაგეკარებოდი, სანამ არ განთავისუფლდებოდი სულიერადაც და ხორციელადაც.

**როსმერი.** მაგრამ არ მესმის შენი, რებეკა... შენ.. მთელი შენი ქცევა — ამოუხსნელი ამოცანაა ჩემთვის. ახლა ხომ თავისუფალი ვარ... სულიერადაც და ხორციელადაც. მაშასადამე, უკვე მიაღწიე იმთავითვე დასახულ მიზანს. მაგრამ მაინც...

**რებეკა.** არასოდეს ისე შორს არ ვყოფილვარ ჩემი მიზნისგან, როგორც ახლა.

**როსმერი.** ...მაგრამ მაინც, კვლავ ვიმეორებ, როცა გუშინ შემოგთავაზე, უფრო სწორად, გთხოვე, ჩემი ცოლი გახდი-მეთქი, შენ თითქმის შეშინებულმა და თავზარდაცემულმა წამოიკივლე, არასოდეს ეს არ მოხდებაო.

**რებეკა.** ეს იყო სასოწარკვეთილების კივილი.

**როსმერი.** რატომ?

**რებეკა.** იმიტომ, რომ როსმერსჰოლმმა უკანასკნელი ძალა წამართვა. აქ დაემსხვრა ფრთები ჩემს ლაღსა და თამამ ნებას. აქ დაასახიჩრეს და დაასაპყრეს იგი. წავიდა ის დრო, როცა შემეძლო ყველაფრისათვის შემებედა. მოქმედების უნარი დავკარგე, როსმერ.

**როსმერი.** როგორ თუ დაკარგე?

**რებეკა.** თვითონ ცხოვრებამ, შენთან ურთიერთობამ დამაკარგვინა.

**რებეკა.** როცა აქ მარტოკა დავრჩი შენთან... შენ კი ის გახდი, რაცა ხარ...

**როსმერი.** მერე?..

**რებეკა.** ...რადგან ბეატას სიცოცხლეში ხომ არ ყოფილხარ მთლიანად ის, რაც სინამდვილეში ხარ?..

**როსმერი.** სამწუხაროდ, მართალს ამბობ.

**რებეკა.** მაგრამ როცა სულ მარტო დავრჩი შენთან... აქ, ამ სიჩუმესა და სიმყუდროვეში... როცა მთლიანად მომენდე და მხოლოდ მე მიზიარებდი შენს საკუთარ აზრებს, შენი ნაზი და ფაქიზი სულის ყველა მოძრაობას, შენს სიხარულს თუ სევდას, — ჩემს არსებაში უცნაური გარდატეხა მოხდა. რაღა თქმა უნდა, თანდათან, გესმის?.. თითქმის შეუმჩნევლად... მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი სული ძირფესვიანად გადასხვაფერდა.

**როსმერი.** ოო, რა არის ეს, რა არის ეს, რებეკა?

**რებეკა.** ის... მახინჯი ხორციელი ვნება უკვალოდ გაქრა, განქარდა. მთელი ჩემი ამღვრეული და აბორგებული ძალა დაცხრა, დამშვიდდა, თავის კა-

ლაპოტს დაუბრუნდა. ჩემს სულში ისეთმა სიმშვიდემ და სიმყუდროვემ დაისადგურა, როგორც ჩრდილოეთში, ფრინველებით მოფენილ ქარაფზე შუაღამის მქრქალი და მცხრალი მზის ქვეშ.

**როსმერი.** მერე, მერე? მითხარი, ყველაფერი მითხარი, რისი თქმაც შეგიძლია.

**რებეკა.** მეტი არც არაფერი მაქვს სათქმელი, გარდა იმისა, რომ სწორედ მაშინ დამეუფლა სიყვარული, დიადი, თავდავიწყებული, ყოვლისმომცველი სიყვარული, რომელიც იმ ერთობლივი ცხოვრებითაც კმაყოფილდება, რომლითაც ვცხოვრობდით ჩვენ.

**როსმერი.** ო, აზრად მაინც რომ მომსვლოდა!..

**რებეკა.** ასე სჯობს, რაც არის. გუშინ, როცა შენ მკითხე, ცოლად ხომ არ გამომყვებიო, ისეთმა აღტაცებამ შემიპყრო...

**როსმერი.** ხომ მართალია, რებეკა? მეც ასე მომეჩვენა..

**რებეკა.** მხოლოდ ერთის წამით. თავდავიწყების ჟამს. ეს ჩემმა ძველმა, ლაღმა და თამამმა ნებამ გაიბრძოლა გალიიდან თავდასაღწევად. მაგრამ მას უკვე ღალატობს ძალა... მალე ილევა.

**როსმერი.** მაინც რით ახსნი ამ შენს ფერისცვალებას?

**რებეკა.** ეს როსმერთა საგვარეულო მსოფლმხედველობამ, ან, უფრო სწორად, პირადად შენმა მსოფლმხედველობამ მოწამლა ჩემი ნება.

**როსმერი.** მოწამლა?

**რებეკა.** დიახ, მოწამლა და ჩააჭკნო კიდეც. უცხო კანონებს დაუმონა იგი, რომლებსაც ადრე, საერთოდ, არ ვცნობდი... შენთან ურთიერთობამ გააკეთილშობილა ჩემი სული.

**როსმერი.** აჰ, ნეტა შემეძლოს, მართლა ვირწმუნო ეგ.

**რებეკა.** თამამად შეგიძლია ირწმუნო. როსმერსჰოლმური მსოფლმხედველობა აკეთილშობილებს სულს. მაგრამ... **(თავს აქნევს)** მაგრამ...

**როსმერი.** რა მაგრამ?..

**რებეკა.** ...მაგრამ იმავდროულად, ჰკლავს ბედნიერებას.

**როსმერი.** შენ ასე გგონია, რებეკა?

**რებეკა.** დიახ. ყოველ შემთხვევაში, მე ასე დამემართა.

**როსმერი.** მაგრამ ნუთუ ასე დარწმუნებული ხარ ამაში? კი მაგრამ, მე რომ კვლავ შემოგთავაზო?... გთხოვო, შეგევედრო?..

**რებეკა.** არასოდეს... სიტყვაც აღარ დასძრა ამაზე, ჩემო ძვირფასო. ეს შეუძლებელია!.. იმიტომ, რომ... დიახ, ესეც უნდა იცოდე, როსმერ, — იმიტომ, რომ მე წარსული მაქვს.

**როსმერი.** გარდა იმისა, რაც უკვე მიამბე?

**რებეკა.** დიახ, გარდა იმისა... და უფრო სერიოზული...

**როსმერი (ოდნავ შესამჩნევი ღიმილით).** რა უცნაურია, რებეკა! შენ წარმოიდგინე, ზოგჯერ მეც გამკრავდა ხოლმე ამგვარი ეჭვი.

**რებეკა.** მართლა? და შენ, მიუხედავად ამისა, მაინც?..

**როსმერი.** არასოდეს გასაქანი არ მიმიცია ჩემი ეჭვისთვის — ისე, ხანდახან, აზრით თუ გავეთამაშებოდი, გესმის?

**რებეკა.** თუ მომთხოვ, არც კი დავფიქრდები, ახლავე გეტყვი ამასაც.

**როსმერი (ხელის გაქნევით).** არა, არა, გაგონებაც არ მინდა. არაფერსაც არა გთხოვ... მე შემიძლია ყველაფერი დავივიწყო.

**რებეკა.** მე კი არ შემიძლია.

**როსმერი.** ო, რებეკა!..

**რებეკა.** დიახ, ხომ ხედავ, სწორედ ესაა საშინელება: ახლა, როცა ცხოვრება თვითონ მაწვდის ბედნიერებით სავსე ფიალას... მე ისეთი გავხდი, რომ თვით ჩემი საკუთარი წარსული მეღობება გზაზე.

**როსმერი.** შენი წარსული მოკვდა, რებეკა. მას არავითარი გავლენა აღარ აქვს შენზე.... ისეთთან, როგორიც ახლა გახდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რებეკა.** აჰ, ჩემო ძვირფასო, ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვებია. კი მაგრამ, ბრალისაგან თავისუფალი სინდისი? ვინ მომაშავებს?..

**როსმერი (დათრგუნვილი).** დიახ, დიახ... ბრალისაგან თავისუფალი სინდისი.

**რებეკა.** სწორედ მასშია სიხარული და ბედნიერება. აი, მოძღვრება, რომლისთვისაც გინდოდა სული ჩაგედგა და მომავლის კეთილშობილ, სიხარულით სავსე ადამიანთა მრწამსად გექცია იგი...

**როსმერი.** აჰ, ნუღარ გამახსენებ ამას. ეს იყო მხოლოდ უსაგნო ოცნება, რებეკა. მსწრაფლმავალი ზმანება, რომელიც მე თვითონაც აღარა მჯერა. ადამიანებს, როგორც ჩანს, გარეშე ძალის ზემოქმედებით ვერ გააკეთილშობილებ.

**რებეკა (ჩუმად).** ვერც თვით უანგარო სიყვარულით?

**როსმერი (ჩაფიქრებით).** დიახ, აი, ეს მართლაც რომ დიდი საქმე იქნებოდა: ჩემი აზრით, ლამის ყველაზე დიადი საქმე მთელ ცხოვრებაში... შესაძლებელი რომ იყოს. **(აღელვებული).** მაგრამ როგორ გავერკვე ამ საკითხში? როგორ გავიცხადო სიმართლე?

**რებეკა.** არ გჯერა ჩემი, როსმერ?

**როსმერი.** აჰ, რებეკა, როგორ უნდა მჯეროდეს შენი? რამდენს თამაშობდი, ცრუობდი, თვალს მიხვევდი! ახლა კი ამ სიახლეს მიმქლავნებ. თუ ამაშიაც რაიმე იმალება, ადექი და ბარემ ახლავე მითხარი, აბა, რა ვიცი, იქნებ რაღაცის მიღწევა გსურს? მე ხომ არაფერზე არ გეტყვი უარს, რაც კი შემიძლია.

**რებეკა (ხელების მტვრევით).** აჰ, ეს მომაკვდინებელი იჭვნეულობა!.. როსმერ!.. როსმერ!..

**როსმერი.** დიახ! განა საშინელება არ არის ეს? მაგრამ რა ვქნა, ვერასოდეს ველარ დავიხსნი თავს ამ ეჭვისაგან. ვერასოდეს ველარ დავიჯერებ, რომ წმინდა და უანგარო სიყვარულით მეკუთვნი მე.

**რებეკა.** კი მაგრამ, ნუთუ შენს სულში არაფერი არ მოწმობს იმას, რომ ჩემში მართლაც უცნაური გარდატეხა მოხდა? და რომ ამ გარდატეხის მიზეზი შენა ხარ... მხოლოდ შენ?

**როსმერი.** ეჰ, რა ვქნა, აღარა მჯერა, რომ ადამიანთა გარდაქმნის უნარი შემწევს. საერთოდ აღარა მჯერა ჩემივე თავის. აღარც ჩემი და აღარც შენი, რებეკა.

**რებეკა (პირქუშად).** როგორღა გინდა იცხოვრო ამის შემდეგ?

**როსმერი.** თვითონაც არ ვიცი... არ მესმის. არა მგონია, რომ შევძლო... არც არაფერი მეგულება ამქვეყნად ისეთი, რომ მისი გულისთვის ღირდეს ცხოვრება.

**რებეკა.** ოო, ცხოვრება, — თვით მასშივეა განახლება. ამიტომაც მაგრად ჩავებღაუჭოთ, როსმერ, მასთან გამომშვიდობებას ყოველთვის მოვასწრებთ.

**როსმერი** (აღელვებული წამოიჭრება). მაშინ დამიბრუნე რწმენა! შენდამი რწმენა, რებეკა! რწმენა შენი სიყვარულისა! საბუთი, საბუთი მომეცი, გესმის?

**რებეკა.** საბუთი? რა საბუთი შემიძლია მოგცე?

**როსმერი.** რაც მე მჭირდება! (ოთახში დაბორიალობს). არადა, ვერ ავიტან ამ სიცარიელეს... ამ საშინელ სიცარიელეს... ამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინკარზე მკვეთრი კაკუნი ისმის.

**რებეკა** (სკამიდან წამოხტება). ა!.. გესმის?

კარი იღება და შემოდის **ულრიკ ბრენდელი**. გახამებული პერანგი, შავი სერთუკი და მაღალყელიანი ფეხსაცმელები აცვია, რომლებშიაც შარვლის ტოტები აქვს ჩატნეული. დანარჩენი ტანსაცმელი იგივეა, რაც პირველ მოქმედებაში. ცოტა არ იყოს, დაბნეულად გამოიყურება.

**როსმერი.** ა, ეს თქვენა ხართ, ბატონო ბრენდელ?

**ბრენდელი.** იუჰანეს, ჩემო ძვირფასო... მოგესალმები... და გთხოვ მომიტევო!

**როსმერი.** ასე გვიან საით გაგიწევიათ?

**ბრენდელი.** ქვევით, მთის ძირას.

**როსმერი.** როგორ?..

**ბრენდელი.** შინ, ჩემო უძვირფასესო შეგირდო, შინ: საოცრად მომენატრა დიადი „არარაობა".

**როსმერი.** როგორც ჩანს, რაღაცა შეგემთხვათ, ბატონო ბრენდელ! მაინც რა?

**ბრენდელი.** მაშ, შენც შეამჩნიე ჩემი ფერისცვალება? თუმცა ალბათ არც ისე ძნელი შესამჩნევია. უკანასკნელად რომ შემოვედი ამ დარბაზში... შენ წინაშე წარვსდექი როგორც მდიდარი კაცი, ამაყად რომ იტყაპუნებდა ჯიბეზე ხელს.

**როსმერი.** როგორ? მართალი გითხრათ, არ მესმის...

**ბრენდელი.** ახლა კი, ამ საღამოს, შენ მხედავ ტახტიდან ჩამოგდებულსა და ჩემი დამწვარ-დანახშირებული სასახლის ფერფლში მუხლებამდე მდგარ მეფეს.

**როსმერი.** თუ შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ...

**ბრენდელი.** დღემდე შემოგრჩა შენი ბავშვური გული, იუჰანეს... ცოტაოდენს ხომ ვერ მასესხებ?..

**როსმერი.** დიახ, დიახ, სიამოვნებით!

**ბრენდელი.** ორიოდე ნახმარი და გაცვეთილი იდეალი ხომ არ მოგეძებნება?..

**როსმერი.** რას ბრძანებთ?

**ბრენდელი.** ორიოდე გაცვეთილ იდეალს ხომ ვერ მიწყალობებ-მეთქი? მადლი იქნება. ამ მხრივ, მე ახლა ნამდვილი ღატაკი ვარ, ჩემო ძვირფასო, აავფერიწე ალალიო...

**რებეკა.** მაშ, ვერ მოახერხეთ თქვენი ლექციების წაკითხვა?

**ბრენდელი.** ვერა, ჩემო გონის მიმხდელო ქალბატონო. რას იტყვით? ის იყო დავაპირე ჩემი სიუხვის რქა გადმომეპირქვავებინა და უცებ, ჩემდა სავალალოდ, შევნიშნე, რომ თურმე ბანკროტი ვარ.

**რებეკა.** კი მაგრამ, თქვენი დაუწერელი თხზულებები?

**ბრენდელი.** ოცდახუთი წელიწადი ნამდვილი კრიჟანგივით ვაჯექი დახურულ სკივრს, და, აი, გუშინ... როცა გავხსენი, რომ ჩემი დაფარული საუნჯე ამომელაგებინა, დავინახე, რომ შიგ არაფერიც არ არის. დროის ბასრმა კბილებმა დაღრღნა და გაალამტვერა ყოველი. აღარაფერი აღარ დარჩა.

**როსმერი.** ვითომ მართლა ასეა? დარწმუნებული ხართ?

**ბრენდელი.** უეჭველად, ჩემო ძვირფასო. პრეზიდენტმა თვალნათლივ დამიმტკიცა ეს.

**როსმერი.** პრეზიდენტმა?

**ბრენდელი.** დიახ... მისმა უდიდებულესობამ.

**როსმერი.** მაინც ვის გულისხმობთ?

**ბრენდელი.** რა თქმა უნდა, პეტერ მორტენსჰორს.

**როსმერი.** რაო?!

**ბრენდელი.** **(იდუმალი ხმით).** სსუ... სსუ!.. პეტერ მორტენსჰორი მომავლის წინამძღოლი და მბრძანებელია. არასოდეს არა ვმდგარვარ უფრო შთამბეჭდავი სიდიადის წინაშე. პეტერ მორტენსჰორი ყოვლისშძლე კაცი გახდება. მას შეუძლია მიაღწიოს ყველაფერს, რასაც მოისურვებს.

**როსმერი.** არ დაიჯეროთ!

**ბრენდელი.** დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო! რადგან პეტერ მორტენსჰორი არასოდეს არ მოისურვებს იმაზე მეტს, რისი მიღწევაც შეუძლია. პეტერ მორტენსჰორს შეუძლია იდეალების გარეშე იცხოვროს. ხოლო ეს, დიახ, სწორედ ეს გახლავს მოქმედებისა და წარმატების ერთადერთი დიდი საიდუმლო. აი, ამქვეყნიური სიბრძნის საბოლოო შედეგი. ბასტა!

**როსმერი (ჩუმად.)** ახლა კი მესმის, რომ უფრო ღარიბი მიდიხართ, ვიდრე მოხვედით.

**ბრენდელი.** Bien! შენი ბებერი მასწავლებლის მაგალითი გაკვეთილად გამოგადგება. ყველაფერი წყალში ჩაიყარა, რასაც ის აქ გასწავლიდა. ქვიშის საძირკველზე ნუ დააშენებ შენს ციხე-კოშკს. თვალი ფხიზლად გეჭიროს. კარგად მოსინჯე ნიადაგი ფეხქვეშ, ვიდრე საბოლოოდ დაეყრდნობოდე ამ მომხიბლავ არსებას, რომელიც ცხოვრებას გიმკობს და გილამაზებს.

**რებეკა.** თქვენ მე მგულისხმობთ?

**ბრენდელი.** დიახ, ჩემო გონის მიმხდელო ზღვის ასულო.

**რებეკა.** მაინც რატომ არ შეიძლება ჩემზე დაყრდნობა?

**ბრენდელი (ნაბიჯს გადადგამს მისკენ).** მე მითხრეს, რომ ჩემს ყოფილ მოწაფეს თავისი მისია აქვს, — საქმე, რომელიც მას სურს გამარჯვებით დააგვირგვინოს.

**რებეკა.** მერედა, რა?..

**ბრენდელი.** გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვს; მაგრამ, კარგად დაიხსომეთ, მხოლოდ ერთი აუცილებელი პირობით.

**რებეკა.** მაინც?

**ბრენდელი.** **(ხელში ფრთხილად ჩაჰკიდებს ხელს).** იმ პირობით, რომ ქალი, რომელსაც ის უყვარს, უყოყმანოდ გავა სამზარეულოში და თავის ნაზ, თოვლივით ქათქათა ნეკს მოიჭრის... აი, აქ, ზუსტად ამ შუა სახსრის ზემოთ... Item, აუცილებელია ისიც, რომ ზემოხსენებულმა შეყვარებულმა ქალბატონმა... ასევე უყოყმანოდ მოიჭრას თავისი უებრო ფორმის მარცხენა ყურიც. **(ხელს უშვებს და როსმერს მიუბრუნდება).** მშვიდობით, იუჰანეს ძლევამოსილო!

**როსმერი.** წასვლას აპირებთ? ახლა? ამ ბნელ ღამეში?

**ბრენდელი.** ეს ბნელი ღამე სწორედ ჩემთვისაა ზედგამოჭრილი. მშვიდობა თქვენდა! **(მიდის).**

**ოთახში ერთხანს სამარისებური სიჩუმე სუფევს.**

**რებეკა (მძიმედ სუნთქავს).** შეიძლება სული შეეხუთოს ადამიანს **(ფანჯარასთან მიდის, აღებს და იქვე ჩერდება).**

**როსმერი (ღუმლის გვერდით სავარძელში ჯდება).** დიახ, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არ არსებობს, რებეკა. ახლა კი ვხედავ, რომ უნდა წახვიდე.

**რებეკა.** ვერც მე ვხედავ სხვა გამოსავალს.

**როსმერი.** უკანასკნელი წუთებით მაინც ვისარგებლოთ. მოდი აქ, ჩემს გვერდით ჩამოჯექ.

**რებეკა (დივანზე ჯდება).** რა გინდა, როსმერ?

**როსმერი.** უწინარეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ შენს მომავალზე ზრუნვა არ დაგჭირდება.

**რებეკა (იღიმება).** ჰმ!.. ჩემს მომავალზე!

**როსმერი.** ყველა შესაძლებლობა გავითვალისწინე... რა ხანია... ასეა თუ ისე, შენ უზრუნველყოფილი ხარ.

**რებეკა.** ამაზეც იზრუნე, ჩემო ძვირფასო?

**როსმერი.** თვითონ უნდა მიმხვდარიყავი.

**რებეკა.** რა ხანია, ამისთანა რამეებზე აღარ მიფიქრია.

**როსმერი.** დიახ, დიახ... შენ ალბათ გეგონა, რომ ჩვენი ურთიერთობა არასოდეს აღარ შეიცვლებოდა.

**რებეკა.** დიახ, ასე მეგონა.

**როსმერი.** მეც. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მე აღარ ვიქნებოდი...

**რებეკა.** ო, როსმერ... შენ ჩემზე დიდხანს იცოცხლებ.

**როსმერი.** ეს ჩემი უბადრუკი სიცოცხლე ჩემს ხელთაა.

**რებეკა.** რას ამბობ? თავს ხომ არ გინდა აუტეხო რამე?

**როსმერი.** კი მაგრამ, ვითომ რა იქნება გასაკვირველი? იმ სამარცხვინო მარცხის შემდეგ, მე რომ განვიცადე! გამარჯვებაზე ვოცნებობდი და ლაჩრულად კი მივატოვე ბრძოლის ველი... მივატოვე მანამ, სანამ ნამდვილი ბრძოლა დაიწყებოდა!

**რებეკა.** განაახლე ბრძოლა, როსმერ! სცადე მაინც, და დაინახავ, რომ გამარჯვება შენ დაგრჩება... შენ გააკეთილშობილებ ათასობით... ათიათასობით სულს! ოღონდაც სცადე...

**როსმერი.** ო, რებეკა... თვითონვე აღარა მჯერა ჩემი მისიისა.

**რებეკა.** კი მაგრამ, შენ ხომ უკვე ჩააბარე გამოცდა. ერთი ადამიანი მაინც გააკეთილშობილე; კერძოდ, მე, — სამუდამოდ...

**როსმერი.** ეგ რომ მჯეროდეს!..

**რებეკა (ხელების მტვრევით).** ო, როსმერ! ნუთუ არ იცი, რითი შემიძლია დაგარწმუნო?

**როსმერი (გველნაკბენივით წამოვარდება).** მეორედ აღარ გაბედო მაგის თქმა! გესმის, რებეკა? არასოდეს აღარ გაბედო!

**რებეკა.** არა, სწორედ ეს უნდა გავარკვიო ახლა. იქნება იცი, მაინც რითი შეიძლება მაგ შენი ეჭვის გაქარწყლება? პირადად მე მთელ ქვეყანაზე არაფერი ამდაგვარი არ მეგულება.

**როსმერი.** მადლობა ღმერთს, რომ არ გეგულება. მით უკეთესი ორივე ჩვენგანისათვის.

**რებეკა.** არა, არა და არა! ეგ ვერ დამამშვიდებს. თუ იცი, რა გამამართლებს შენს თვალში, მე მოვითხოვ, უფლება მაქვს მოვითხოვო, რომ მეც მითხრა.

**როსმერი (თითქმის უნებურად).** კეთილი, ვნახოთ!.. შენ ამბობ, რომ სულის სიღრმემდე შეძრა დიადმა სიყვარულმა; რომ ჩემი წყალობით შენი სული გაფაქიზდა და გაკეთილშობილდა, მართლა ასეა? ყველაფერი ზუსტად გაიაზრე? რა იქნება, რომ შევამოწმოთ? ა?

**რებეკა.** მე მზადა ვარ.

**როსმერი.** ყოველ წამს?

**რებეკა.** როდესაც გნებავს. რაც მალე იქნება, მით უკეთესი.

**როსმერი.** მაშინ დამიმტკიცე, რებეკა... რომ შენ... ჩემი გულისთვის... ამ საღამოსვე... **(აღარ ამთავრებს).** არა, არა, არა!

**რებეკა.** დიახ, როსმერ! დიახ! მითხარი, და დაინახავ!

**როსმერი.** გეყოფა თუ არა გამბედაობა... და ნებისყოფა... რომ უყოყმანოდ, როგორცა თქვა ულრიკ ბრენდელმა... ჩემი გულისთვის... ამ ღამესვე... წახვიდე იქ, სადაც წავიდა ბეატა?

**რებეკა (ნელ-ნელა დგება და ძლივს გასაგონად ამბობს).** როსმერ!..

**როსმერი.** დიახ, აი, კითხვა, რომელსაც... შენი წასვლის შემდეგ... ვერასდიდებით ვერ მოვიცილებ თავიდან. ყოველდღე, ყოველწამს, კვლავ და კვლავ მივუბრუნდები მას. ო, თითქოს თვალნათლივ გხედავ ჩემ წინაშე, ბოგირზე მდგარს... ზედ შუა ბოგირზე... მოაჯირიდან იხრები... შენ ქვემოთ შმაგად მიგელავს წყალი... დაუძლეველი ძალით გიზიდავს... თავბრუ გესხმის... არა!.. უკანვე იხევ... გამბედაობა არ გყოფნის, არ შეგიძლია ის, რაც შესძლო მან.

**რებეკა.** კი მაგრამ, თუ მაინც გავბედე? და თანაც უყოყმანოდ? მაშინ?

**როსმერი.** მაშინ კი რა უფლება მექნება, არ გერწმუნო, არ დაგიჯერო?.. კვლავინდებურად არ დამიბრუნდეს ჩემი მისიის რწმენა, კვლავაც არ ვირწმუნო, რომ უნარი მაქვს, გავაკეთილშობილო ადამიანის სული... და ადამიანის სულსაც, თავის მხრივ, შესწევს იმის უნარი, რომ კეთილშობილებას ეზიაროს?

**რებეკა (ნელა დასწვდება თავშალს, მოიხურავს და მტკიცე ხმით ამბობს).** შენ დაიბრუნებ შენს რწმენას.

**როსმერი.** კი მაგრამ, გამბედაობა და ნებისყოფა გეყოფა, რებეკა?

**რებეკა.** ამაში ხვალვე... ან უფრო გვიან დარწმუნდები... როცა მიპოვნიან და ნაპირზე ამომათრევენ.

**როსმერი (შუბლზე ხელს ისვამს).** რა საშინელებაა...

**რებეკა.** არ მინდა, დიდხანს დავრჩე იქ, ფსკერზე... ეცადე, დროზე მიპოვონ.

**როსმერი (წამოვარდება).** კი მაგრამ... ეს ხომ... ეს ხომ... წმინდა წყლის სიგიჟეა! წადი... ან დარჩი! ამჯერადაც დაგიჯერებ. შენი სიტყვაც საკმარისია ჩემთვის.

**რებეკა.** არა, როსმერ! ახლა უკვე გვიანაა უკან დახევა. ამის შემდეგ როგორღა ერწმუნები ჩემს სიტყვას?

**როსმერი.** მაგრამ მე არ მინდა, შენი დამარცხების მოწმე გავხდე, რებეკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რებეკა.** მე არ დავმარცხდები.

**როსმერი.** დამარცხდები. არასოდეს არ გეყოფა გამბედაობა, რომ ბეატას კვალს გაჰყვე.

**რებეკა.** არა გჯერა?

**როსმერი.** არა. შენ არც ბეატა ხარ და არც ცხოვრებაზე ავადმყოფური შეხედულების ტყვე.

**რებეკა.** მაგრამ მე ახლა როსმერსჰოლმური მსოფლმხედველობის ტყვე ვარ. ჩემი ცოდვა მევე უნდა გამოვისყიდო.

**როსმერი (დაჟინებით მისჩერებია).** კეთილი. მე კი ჩვენი თავისუფალი მსოფლმხედველობის ტყვე ვარ, რებეკა. ჩვენ არა გვყავს მსაჯული. ამიტომ თვითონვე უნდა განვსაჯოთ და განვიკითხოთ ჩვენივე თავი.

**რებეკა (სწორად ვერ უგებს).** დიახ, ესეც. ესეც. ჩემი სიკვდილი გადაარჩენს ყველაფერს, რაც კი კარგია შენში.

**როსმერი.** ო, ჩემში აღარაფერია გადასარჩენი.

**რებეკა.** არის... მაგრამ მე... ამიერიდან მხოლოდ ალი თუ ვიქნებოდი, რომელიც თავგანწირვით ებღაუჭება ხომალდს, რათა მისი სვლა შეაჩეროს, მაშინ როდესაც ხომალდი ლაღად უნდა მიჰქროდეს წინ. ამიტომაც მე განზე უნდა მომისროლოს. ან იქნებ მიბრძანებ, დავრჩე და ჩემს უბადრუკ სიცოცხლეს ჩავებღაუჭო, რათა სიკვდილამდე დავსტიროდე ბედნიერებას, რომელიც ჩემმავე წარსულმა გამომგლიჯა ხელიდან. არა, მე საბოლოოდ უნდა გავიდე თამაშიდან, როსმერ.

**როსმერი.** გახვალ და მეც გამოგყვები.

**რებეკა. (თითქმის შეუმჩნევლად იღიმება, მისჩერებია და ჩუმად ამბობს).** ჰო, გამომყვები და... მოწმე იყავი.

**როსმერი.** თან გამოგყვები-მეთქი.

**რებეკა.** ჰო, ბოგირამდე. ზედ ფეხის შედგმას ხომ ვერასოდეს ვერ გაბედავ.

**როსმერი.** ესეც შენიშნე?

**რებეკა (პირქუშად, სახეწარკვეთით).** დიახ, სწორედ ამან მიხადა სასო ჩემს სიყვარულს.

**როსმერი.** რებეკა... ახლა მე ხელს დაგადებ თავზე... (**ახეც იქცევა**). და ჭეშმარიტი ცოლქმრული კავშირით შეგეუღლები.

**რებეკა (ხელს სტაცებს ხელში და თავს მკერდზე მიაყრდნობს).** გმადლობ, როსმერ. (**ხელს უშვებს**). ახლა კი მივდივარ.. უყოყმანოდ.

**როსმერი.** ცოლ-ქმარი. ერთად უნდა წავიდეს!

**რებეკა.** მხოლოდ ბოგირამდე, როსმერ.

**როსმერი.** ბოგირზედაც. სადაც შენ, იქაც მე. ახლა მაინც გავბედავ.

**რებეკა.** დარწმუნებული ხარ, რომ სხვა გზა არა გაქვს, როსმერ?

**როსმერი.** დიახ, ეს გზა ერთადერთია.

**რებეკა.** კი მაგრამ, ვაითუ სცდები? ვაითუ ეს მხოლოდ სიზმ[illegible], მირაჟი? როგორც როსმერჰოლმის თეთრი ცხენები?

**როსმერი.** შესაძლოა, მაგრამ როსმერსჰოლმელები ვერსად წა[illegible] მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რებეკა.** მაშ, დარჩი, როსმერ!

**როსმერი.** ორივე ერთად მივდივართ, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი, [illegible].

**რებეკა.** ლამის მეც ასე ვიფიქრო.

**როსმერი.** ახლა ჩვენ უკვე ერთი ვართ, ერთ სულ და ერთ ხორც.

**რებეკა.** დიახ, ერთ სულ და ერთ ხორც. წავიდეთ. წავიდეთ... უყოყმანოდ.

**ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გადიან წინკარში და მარცხნივ უხვევენ. კარი ღია რჩება.**

**ოთახი ერთხანს ცარიელია. შემდეგ მადამ ჰელსეთი შემოაღებს მარჯვენა კარს.**

**მადამ ჰელსეთი.** ეტლი გახლავთ... ფრიოკენ... (**აქეთ-იქით იყურება**). არავინაა! სად წავიდნენ ასე გვიან? უცნაურია!.. ჰმ!.. (**წინკარში გადის, სიბნელეში იყურება და უკანვე ბრუნდება**). არც მერხზე სხედან... არც იქ და არც აქ.... (**ფანჯარასთან მიდის და იხედება**). ღმერთო დიდებულო! რა არის, თეთრად რომ მოჩანს?.. ღმერთმანი, ისინი არიან... ბოგირზე დგანან! ღმერთო, შეუნდე ცოდვილთ! მგონი ერთმანეთს ეხვევიან! (**შეჰკივლებს**). ვაიმე! წყალში... ორივე! წყალვარდნილში! გვიშველეთ! გვიშველეთ! (**მუხლმოკვეთილი, ხელების ცახცახით ებღაუჭება სკამის ზურგს და ძლივსღა ჩურჩულებს**). არა... ვინღა გვიშველის?.. მიცვალებულმა წაიყვანა ორივე.

□

# ბჰაგვან შრი რაჯნეში

თარგმნა მერაბ ხერგიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტანტრა

### დიადი მოძღვრება

VI

მაჰამუდრაში იფერფლება ყველა
ცოდვები;
მაჰამუდრაში ჰპოვებთ განთავისუფლებას
ამქვეყნიურობის ბორკილებისაგან,
ეს არის დჰარმის უდიადესი კოცონი.
სულელები — რომელთაც იგი არა სწამთ,
საუკუნოდ დანთქმულან და გმინავენ
საწუთროის მტვერში.
თავისუფლების მაძიებელნი
უნდა მიენდოთ გურუს.
როდესაც თქვენი გონება დაილოცება
მისგან,
მაშინ ახლოა განთავისუფლება.
ყველაფერი ამაოა ამქვეყნიური
ყველაფერი არის მხოლოდ ტანჯვის
მარცვალი.
მცირე მოძღვრებები ბადებენ საქციელებს,
საჭიროა მისდიოთ მხოლოდ დიდ
მოძღვრებებს.

ტანტრას არ სჯერა სულის თანდათანობითი განვითარება. მას სწამს ნაუცბათევი, მოულოდნელი ნათელდება (ზიარება). იოგა ქადაგებს თანდათანობით განვითარებას: საბოლოოსკენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. იოგა გართულია არითმეტიკით: თითოეული ჩადენილი ცოდვის, ქველი საქციელებით გაწონასწორებული. საჭიროა ბოლომდე გაასწოროთ ანგარიში. არ გაუსწორებთ ამ ცხოვრებას ანგარიშში — არ გახდებით ნათელდებული. ეს არის მეცნიერულ-მათემატიკური წარმოდგენა და გონება ეთანხმება ამას: „რა თქმა უნდა, ეს ასეც უნდა იყოს, თქვენ შესცოდეთ, და ვიღაცამ უნდა აგოს პასუხი, ვიღაცამ უნდა იტანჯოს თქვენ შესცოდეთ, თქვენვე იტანჯეთ. და მხოლოდ ტანჯვის გზით მიაღწევთ განთავისუფლებას. თქვენ ჩადიოდით ცუდ საქციელებს — ახლა თქვენ უნდა გააწონასწოროთ ისინი, თქვენ უნდა გაუსწოროთ ანგარიში კეთილი საქმეებით, მხოლოდ წონასწორობისას არის განთავისუფლება შესაძლებელი, თუ არადა, კვლავ ბრუნდებით დედამიწაზე — იბადებით, ცხოვრობთ, იზრდებით. ამაშია სულთა გადასახლების და მეტემფსიქოზის მთელი ფილოსოფია. ტანტრა ამბობს საწინააღმდეგოს. მისი მიდგომა არითმეტიკული კი არა, მისი მიდგომა არის პოეტური. ტანტრას სწამს არა მათემატიკა, არამედ სიყვარული. მას სჯერა მოულოდნელი ზიარების, იგი ამბობს, რომ მცირე მოძღვრებები გასწავლიან — როგორ უნდა მოიქცეთ; ისინი გასწავლიან — ვინ უნდა იყოთ და რა უნდა იყოთ.

საქციელები მილიონია და თუკი საჭიროა, რომ თქვენ უნდა უზღოთ თითოეულ მათგანს, მაშინ საეჭვოა, რომ როდისმე შესაძლებელი გახდეს განთავისუფლება. თქვენ იცხოვრეთ მილიონი ცხოვრებები და თითოეულ მათგანში ჩაიდინეთ მილიონი საქციელი, ახლა კი თუ აპირებთ მიუზღოთ თითოეულ თქვენს საქციელს, იტანჯოთ მათთვის და გააწონასწოროთ ისინი კარგი საქციელებით, მაშინ თქვენ დაგჭირდებათ კიდევ მილიონი ცხოვრება, თანაც ცხოვრების რთულ პირობებში თქვენ მოგიწევთ ახალი საქციელების ჩადენა და სად დამთავრდება ეს ჯაჭვი? ისე ჩანს, რომ იგი არსად არ დამთავრდება. განთავისუფლება თითქმის შეუძლებელი ხდება — იგი არ შეიძლება მოხდეს. თუ გზა ისეთია, რომ საჭიროა ნაბიჯ-ნაბიჯ სვლა, მაშინ ზრდა წარმოადგენს განუხორციელებელ ოცნებას. თუ იოგას თვალსაზრისი გაიგეთ, მაშინ თქვენ იგრძნობთ აბსოლუტურ უიმედობას.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 3-4, 5-6.

ტანტრა არის დიადი იმედი. ტანტრა ჰგავს ოაზისს, რომელიც უდაბნოს უბედურებაში გამწვანდა.

ტანტრა ამბობს, რომ პრობლემას წარმოადგენს არა საქციელები. თქვენ ჩადიოდით საქციელებს უმეცრებით. თქვენ არ აგებთ მათზე პასუხს და თუკი ვინმე მაინც არის პასუხისმგებელი, მაშინ იგი უნდა აგოს მთლიანობამ, შეგიძლიათ უწოდოთ მას ღმერთი. ღმერთი იქნებ იყოს პასუხისმგებელი, თქვენ კი არ აგებთ ამაზე პასუხს. ტანტრა ამბობს, რომ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება ეგოისტობაც კი არის. იმის თქმა, რომ: „მე მომიხდება გაწონასწორება, მომიხდება კეთილი საქმეების კეთება, მე გავანთავისუფლებ ჩემს თავს ნაბიჯ-ნაბიჯ" — ეს იქნება ძალზე ეგოისტური, ეგოცენტრისტული პოზიცია.

რატომ ფიქრობთ, რომ თქვენ ხართ პასუხისმგებელი? თუ მაინც ვიღაცა უნდა იყოს პასუხისმგებელი, მაშინ იგი უნდა იყოს თვით უზენაესი. თქვენ არ შეგიქმნიათ თქვენი თავი, თქვენ არ გაგიჩენიათ იგი. თქვენ შეგქმნეს, თქვენ გაგაჩინეს და თქვენ კი არა, თვით გამჩენი უნდა იყოს პასუხისმგებელი.

თქვენ ჩაიდინეთ საქციელები უმეცრებაში ისე, რომ არ იცოდით, რას ჩადიოდით, თქვენ გაბრუებული იყავით უმეცრებით. თქვენ აფათურებდით ხელებს სიბნელეში და ყველაფერი მოხდა ამ სიბნელეში. ტანტრა ამბობს: „ერთადერთი, რაც საჭიროა, ეს არის სინათლე — ცნობიერების ნათელი. არ არის საჭირო პასუხი აგოთ მილიონობით საქციელზე. საჭიროა მხოლოდ ერთი რამ: ნუ დარჩებით უმეცრებაში — გაცნობიერდით". როგორც კი გაცნობიერებთ, ყველაფერი, რაც კი სიბნელის სამყაროს ეკუთვნის — გაქრება. იგი დაემსგავსება სიზმარს, კოშმარს. იგი არ ემსგავსება რეალობას. და იგი არც იყო რეალობა, რადგან ღრმა არაცნობიერ მდგომარეობაში არსებობს მხოლოდ სიზმრები და არა რეალობა.

თქვენ გესიზმრებათ, რომ გიყვართ, თქვენ არ იყავით აქ, რომ გყვარებოდათ. თქვენ ჯერაც არ არსებობთ, თქვენ არ გაგაჩნიათ ცენტრი, როგორ შეიძლება, რომ გიყვარდეთ? თქვენ მხოლოდ გეჩვენებათ ეს და მაშინ ეს თქვენი სიყვარული და ყველაფერი მასთან დაკავშირებული სიზმარი ხდება. როდესაც გაიღვიძებთ ამ სიზმრისაგან, თქვენ უბრალოდ იტყვით: „როგორ შემეძლო, რომ მყვარებოდა! პირველ რიგში, მე არ ვიყავი აქ. სინამდვილეში მე არ ვარსებობდი". ცნობიერების გარეშე რას ნიშნავს სიტყვები: „შენ ხარ?" ისინი არაფერს არ ნიშნავენ.

თქვენ ძალიან ღრმად გძინავთ. თქვენ იმყოფებით ისეთი ღრმა ძილის მდგომარეობაში, რომ თითქოს არც ხართ აქ. ღრმად მძინარე ადამიანი, რომელიც იმყოფება კომის მდგომარეობაში, განა ნამდვილად სახლში იმყოფება? არის იგი სახლში, თუ არ არის, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს — კვლავ იმყოფება კომის მდგომარეობაში. თუ მოვლენ ქურდები და გაძარცვავენ სახლს, განა შეიძლება ადამიანი, რომელიც წევს და კომის მდგომარეობაშია, იყოს პასუხისმგებელი? იქნება იგი დამნაშავე? განა მას გაასამართლებენ? — „მოვიდნენ ქურდები და შენ კი რას აკეთებდი?" როგორ შეიძლება პასუხისმგებლობა დააკისროთ ადამიანს, რომელიც იმყოფება არაცნობიერ მდგომარეობაში?

ტანტრა ამბობს, რომ მთელი ცხოვრება თქვენ იმყოფებოდით კომის მდგომარეობაში — თქვენ არა ხართ პასუხისმგებელნი. ეს არის პირველი თავისუფლება, რომელსაც ტანტრა გაძლევთ და ამის საფუძველზე ბევრი რამე ხდება შესაძლებელი. მაშინ თქვენ უკვე არ გიწევთ ცდა მილიონი ცხოვრების განმავლობაში — ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია გაიხსნას კარი — ეს არის გრძელი პროცესი, ეს არის უეცარი გამოღვიძება და ასეც უნდა იყოს.

როდესაც ღრმად გძინავთ და ვიღაცა გაღვიძებთ, განა ეს თანდათანობითი პროცესია? განა ეს ერთბაშად არ ხდება? შეიძლება, რომ ჯერ ცოტათი გაიღვიძოთ, მერე — უფრო და მერე კიდევ უფრო? ჯერ 10 პროცენტით, მერე 20%-ით, მერე 40%-ით, ხომ არ ხდება ეს ამ სახით? არა, თქვენ ან გღვიძავთ ან გძინავთ. არ არსებობს შუალედური საფეხური. თუ გაიგონეთ, რომ გეძახიან, ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაიღვიძეთ მთლიანად და არა 10%-ით, იქნებ ჯერაც თვალდახუჭული იყოთ, მაგრამ თქვენ უკვე გაიღვიძეთ.

ეს არ არის თანდათანობითი პროცესი. ეს არის უეცარი ნახტომი. ას გრადუსზე წყალი „ხტება" და ორთქლად იქცევა. ხდება ამ დროს თანდათანობითი ტრანსფორმაცია? იქცევა წყალი ორთქლად ჯერ 10%-ით, შემდეგ 40%-ით? არა, ან წყალი ან ორთქლი, არ არსებობს შუალედური მდგომარეობა.

როდესაც ადამიანი კვდება, ხომ არ კვდება იგი თანდათანობით? შეიძლება ითქვას, რომ იგი ნახევრად მკვდარია და ნახევრად ცოცხალი? იგი ან ცოცხალია ან მკვდარი. ნახევრად ცოცხალი ნიშნავს, რომ იგი არ არის მკვდარი. როდესაც ადამიანი გიყვართ, ხომ არ გიყვართ იგი ჯერ 10%-ით, მერე 40%-ით... თქვენ ან გიყვართ ან არ გიყვართ. არსებობს სიყვარულის დანაწილების საშუალება? იგი არ არსებობს.

სიყვარული, სიცოცხლე, სიკვდილი — ყველა ესენი ხდებიან ერთბაშად.

როდესაც იბადება ბავშვი, იგი ან იბადება ან არ იბადება. იგივე ითქმის ღმერთთან შიარებაზე, რადგან ეს არის უდიადესი დაბადება, უდიადესი ცხოვრება, უდიადესი სიყვარული, უდიადესი სიკვდილი. ნათელღებისას ყველაფერი მოდის თავისი მწვერვალით, ეს ხდება ერთბაშად.

ტანტრა ამბობს: ნუ ხართ მიპყრობილნი საქციელებზე, მთელი ყურადღება მიაპყარით ადამიანს, იმას, ვინც ჩაიდინა ეს საქციელები. იოგა ფოკუსირებულია საქციელებზე, ტანტრა — ადამიანებზე, ცნობიერებაზე, თქვენზე.

ტანტრა ამტკიცებს, რომ თუ უმეცარი ხართ, მაშინ თქვენ ჩადიხართ მხოლოდ ცოდვებს. თუნდაც ცდილობდეთ, რომ იყოთ კეთილხახიერები, ხულერთია, ეს თქვენი სიქველე მაინც თავისებური ცოდვა იქნება, იმიტომ რომ როგორ შეიძლება ადამიანი, ვისაც ღრმა ძილით ხძინავს და უმეცარია, იყოს კეთილსახიერი? — ეს შეუძლებელია. თქვენი კეთილსახიერება იქნება მხოლოდ ნიღაბი, მის მიღმა კი ნამდვილი ცოდვილი სახეა დამალული.

თქვენ შეგეძლებათ სიყვარულზე ლაპარაკი, მაგრამ არ შეგეძლებათ სიყვარული. თქვენ შეგეძლებათ ლაპარაკი თანაგრძნობაზე, მაგრამ ეს თანაგრძნობა მხოლოდ ფარდა იქნება თქვენი წყრომისათვის, თქვენი სიძუნწისათვის, თქვენი შურისათვის; თქვენი სიყვარული არის შხამიანი, თქვენი სიყვარულის სიღრმეში ფუთფუთებს მღრღნელი, რომელიც ხრავს მას. თქვენი სიყვარული ჭრილობას მგავს, მას სტკივა. თქვენი სიყვარული არ მგავს ყვავილს; ისინი, ვინც სიყვარულს მოელიან თქვენგან, სულელები არიან; ისინი ითხოულობენ შეუძლებელს. თქვენი მორალურობა სხვა არაფერია, თუ არა ამორალურობის ერთ-ერთი ნაირსახეობა.

დააკვირდით თქვენს წარჩინებულ ადამიანებს ე.წ. წმინდანებს, კარგად მიადევნეთ მათ თვალი და აღმოაჩენთ, რომ მათი სახე არის სიცრუის და ორპირობის სახე. ისინი ამბობენ ერთს და აკეთებენ მეორეს. თავიანთ საქციელებს ისინი გიმალავენ არა მარტო თქვენ, ისინი იმდენად გაიწაფნენ ამაში, რომ მას უმალავენ საკუთარ თავსაც.

უმეცრებაში ცოდვა არის ბუნებრივი,
განხივოსნებაში კეთილსახიერება.
შეუძლებელია შესცოდოს ბუდამ;
თქვენ კი მხოლოდ შეცოდება შეგიძლიათ,
თქვენ ვერ გადაწყვეტთ შეცოდებას, ვერც
სიკეთეს.
ისინი თქვენი საქციელები არიან.
ისინი თქვენი არსების ჩრდილებია...

თუ გაიღვიძეთ, ჩრდილები კვლავ ეცემიან, მაგრამ ისინი უკვე შუქით გაივსნენ, ისინი უკვე არავის არ ვნებენ და [illegible], უკვდავს არომატს აფრქვევენ [illegible] ლოცვასავით წაგეფინებათ. როდესაც [illegible] ბრაზობს, ეს მხოლოდ თანაგრძნ[illegible]ულია, ბუდას წყრომა რამეს გამო[illegible] თანაგრძნობის გარდა. თქვენი თანაგრძნობა არ შეიძლება იყოს ნამდვილი, ბუდას წყრომა არ შეიძლება იყოს ნამდვილი. ყველა თქვენი საქციელები, ცოდვები, თქვენი ბუნებრივი ჩრდილები, შეგიძლიათ მოაპირკეთოთ, შეგიძლიათ ტაძრის კედლებს შემოუწყოთ და მოაჩუქურთმოთ. მაგრამ ეს არ გიშველით, რადგან სიღრმეში თქვენ იგივე დარჩებით. ამიტომ პრობლემა ის კი არ არის, თუ რას აკეთებთ, პრობლემა არის — რა ხართ თქვენ.

ტანტრა დიადი მოძღვრებაა. იგი საქციელებზე კი არაა ორიენტირებული, იგი ორიენტირებულია თქვენს ყოფნაზე. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, როგორი ხართ თქვენ — მღვიძარე, ცნობიერი თუ ჰიპნოზის მდგომარეობაში მოარსებე? ან იქნებ მთვარეული?

ხართ თუ არა მღვიძარე და ფხიზელი მოქმედებისას? გახსოვთ თუ არა თქვენი თავი თქვენს საქციელებში? არა. გამოდის, რომ თქვენ არ იცით რატომ, საიდან, ქვეცნობიერების რომელი ნაწილიდან მოგდით იმპულსები, ის იმპულსები, რომლებიც გძალავენ და გაიძულებენ მოქმედებას.

ამ მოქმედებას, როგორიც არ უნდა მონათლოს იგი საზოგადოებამ, — მორალურად, უზნეოდ, ცოდვად თუ სიქველედ ტანტრასათვის მნიშვნელობა არ აქვს. ტანტრა იყურება თქვენს ცენტრში, თქვენი არსების გულისგულში, სადაც თქვენი საქციელები აღიძვრიან. თქვენი არსებობის შხამიდან არ შეიძლება სიცოცხლე გამოვიდეს, იქიდან მხოლოდ სიკვდილი გამოდის. თქვენში არსებული წყვდიადი შობს მხოლოდ წყვდიადს და ეს ბუ[illegible]იც არის. მაშინ როგორ უნდა მოიქცეთ? უნდა შევცვალოთ ჩვენი საქციელები, უნდა გავხდეთ უფრო მორალურები, უფრო კეთილსახიერნი და უფრო პატივცემულები? თუ საჭიროა, რომ შევცვალოთ ჩვენი არსება?

არსების გარდაქმნა შესაძლებელია. ამისთვის არ არის საჭირო მრავალი დაბადებანი. თუ შეცნობის ძალა გაგაჩნიათ, თუ მთელ თქვენს ენერგიას და არსებას ერთში მოუყრით თავს, მაშინ ამ ინტენსივობაში თქვენში მოულოდნელად შუქი აინთება. ელვარე ნათელი გამოანათებს თქვენი არსებიდან და ამ შუქზე თქვენ დაინახავთ თქვენს წარსულს, თქვენს მომავალს. თქვენ უკვე იცით — რაც მოხდა, რაც ხდება, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდება. ერთბაშად ყველაფერი ხდება ნათელი. ტანტრას სჯერა თქვენი შინაგანი შუქის ანთების და ტანტრა ამბობს, რომ ამ შუქზე მთელი წარსული არარელევანტური გახდება. იგი არასდროს თქვენ არ გეკუთვნოდათ, რა თქმა უნდა იგი მოხდა, მაგრამ იგი მოხდა, როგორც სიზმარში, ღრმა ძილში. იგი მოხდა — თქვენ ჩადიოდით ცუდ საქციელებს და კარგ საქციელებს, მაგრამ ყველაფერი ეს მოხდა არაცნობიერ მდგომარეობაში და თქვენ არა ხართ ამაზე პასუხისმგებელნი.

და ახე, მთელი წარსული დაიფერფლა, გაჩნდა ახალი, ხალასი არსება. და ეს არის ნათელდება.

იოგა მოსწონთ ადამიანებს, რადგან იგი ძალზე საქმიანად გამოიყურება. თქვენთვის უფრო ადვილია პატანჯალის გაგება, იგი უფრო შეესაბამება თქვენს ლოგიკურ, მათემატიკურ აზროვნებას. ტილოპას გაგება კი ძნელია, რადგან ტილოპები იშვიათად გვხვდებიან. პატანჯალი ადვილად მისაწვდომია, ამიტომ იყო მისი გავლენა დიდი და ხანგრძლივი.

ტილოპას მსგავსი ადამიანები უბრალოდ გაქრნენ, ისე რომ კვალიც კი არ დაუტოვებიათ ადამიანთა გონებაში, რადგან თქვენ ვერ ნახეთ ვერაფერი საერთო თქვენსა და მათ შორის. შესაძლოა, პატანჯალი ძალზე დიდი იყოს, მაგრამ იგი მიეკუთვნება იმავე განზომილებას, რომელსაც თქვენ თვითონ მიეკუთვნებით. იქნებ თქვენ მცირე მოაზროვნე ხართ, პატანჯალი კი დიდი მოაზროვნეა, მაგრამ თქვენ ახე თუ ისე, ერთი რიგის ადამიანები ხართ — თქვენ და პატანჯალი. თუკი ეცდებით, თქვენ შეძლებთ გაიგოთ პატანჯალი, მცირეოდენი მცდელობა და თქვენ შესძლებთ პატანჯალის პრაქტიკას. მაგრამ იმისათვის, რომ ტილოპა გაიგოთ, საჭიროა გადახვიდეთ სრულიად უცნობ განზომილებაში. ამისათვის საჭიროა გაიაროთ ქაოსი. იგი ანგრევს მთელ თქვენს შეხედულებებს, თქვენს ლოგიკას, მათემატიკას, ფილოსოფიას, იგი მთლიანად გაგანადგურებთ, იგი არ დაკმაყოფილდება მანამდე, სანამ თქვენ მთლიანად არ გაქრებით და არ გაჩნდება ახალი არსება.

პატანჯალი დაიწყებს თქვენი სახის შეცვლას, თქვენ თანდათანობით გახდებით უკეთესები, კარგები — ეს უსასრულო პროცესია. მრავალი ცხოვრების განმავლობაში თქვენ ხდებით უკეთესები. ტილოპასთან თქვენ შეგიძლიათ ერთ-ერთ წამში, ერთბაშად გახდეთ სრულყოფილები. აქ არის ლაპარაკი „უკეთესზე", რადგან იგი არ ოპერირებს ხარისხობრივი ტერმინებით.

აი რას გავს ეს: თქვენ დგახართ მწვერვალზე და თქვენ შეგიძლიათ დაეშვათ ბილიკ-ბილიკ, ნელ-ნელა, ანდა ლაბლობზე ხართ და მიიწევთ მწვერვალისაკენ თანდათან, ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ. ტილოპასთან ასე არ არის. ტილოპასთან თქვენ პირდაპირ ხტებით უფსკრულში: [illegible] ან შლით ფრთებს და მიფრინავთ მწვერვალისაკენ. პატანჯალისთან თქვენ მიიწევთ [illegible] ფეხით, ძალიან ნელა, უხიფათოდ, [illegible] გაშინიათ ავარიის, რადგან [illegible] მოძრაობს კონტროლირება. ფრთიდან გადასვლა შესაძლებელია ყოველ მომენტში, როცა გსურთ, შეგიძლიათ გაჩერდეთ, ყველაფერი თქვენს ნებითაა, თქვენ ხართ მდგომარეობის მაჰპინძელი. განზომილება ჰორიზონტალურია: თქვენი ზონინა ერემი მოძრაობს ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-მდე; ყველაფერი ეს ხდება ერთ სიბრტყეში. ტილოპასთან განზომილება სხვაა — იგი ვერტიკალურია, თქვენ უკვე არ მოძრაობთ ა-დან ბ-მდე, ბ-დან გ-მდე: არა, თქვენ მოძრაობთ როგორც თვითმფრინავი და არა როგორც ურემი. თქვენ მიიწევთ არა წინ, არამედ მაღლა.

ტილოპასთან თქვენ გადადიხართ
უდროობაში,
პატანჯალისთან თქვენ მოძრაობთ დროში.
ტილოპასთან უსასრულობა იქცევა
განზომილებად.

შესაძლოა ჩვენ ბოლომდე ვერ ვაცნობიერებდეთ, რომ ბოლო ათწლეულებში მოხდა სასწაული. იგი მდგომარეობს იმაში, რომ კოსმოსურმა ხომალდებმა მთლიანად დაანგრიეს ძველი შეხედულება დროზე. კოსმოსურ ხომალდებს შეუძლიათ რამდენიმე წუთის განმავლობაში შემოუფრინონ დედამიწას. შესაძლოა თქვენ ბოლომდე არ გესმოდეთ ამ პრობლემის თეორიული მხარე. რაკეტა კვირას გამოფრინდა მთვარიდან, შემდეგ იგი შემოუფრენს დედამიწს, სადაც ორშაბათია, სადაც კი შესაძლოა ჯერაც შაბათი იყოს, ამრიგად, კოსმოსური ხომალდი მოძრაობს კვირიდან უკან შაბათში, შემდეგ გადახტება წინ ორშაბათში და მთვარეზე ბრუნდება კვირას. მთლიანად დაირღვა წარმოდგენა დროზე. ეს აბსურდი ჩანს: თქვენ გაემგზავრეთ 18-ში, მოხვდით 17-ში და იმ დღესვე დაბრუნდით 16 რიცხვში. ყველაფერი ეს შეიძლება გაკეთდეს ხევრჯერ 24 საათის განმავლობაში. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ დროში უკან სვლა, კვირა დღიდან — შაბათში, 18-დან 16-ში, შეგიძლიათ წახვიდეთ წინ 17-ში. შემდეგ იმავე დღეს დაბრუნდეთ უკან, დიდი სიჩქარის დროს ვერტიკალურ განზომილებაში. დრო ხდება არარელევანტური. დრო რელევანტურია მხოლოდ მაშინ, თუ ზოზინით მიდიხართ.

ტილოპას გააჩნია ვერტიკალური გონება, ვერტიკალური ცნობიერება. ეს არის განსხვა-

ვება ტანტრასა და იოგას შორის. იოგა ჰორიზონტალურია, ტანტრა ვერტიკალური. იოგას მისაღწევად საჭიროა მილიონი ცხოვრებები, ტანტრას წამი სჭირდება. ტანტრა ამბობს, რომ დრო არარელევანტურია, რომ არ ღირს დროზე წუხილი. ტანტრა ფლობს ტექნიკას და მეთოდს, რასაც იგი არ თვლის ტექნიკურად და მეთოდად, და მისი საშუალებით თქვენ უცბად ტოვებთ ყოველივეს და ხტებით უძიროობაში.

იოგა ძალდატანებაა, ტანტრა არ მოითხოვს ძალდატანებას. ძალდატანებისას თქვენ თქვენი ბეჩავი ეგოთი, თქვენი უბადრუკი ენერგიით ებმებით სამყაროსთან ბრძოლაში. ამასობაში გავლენ მილიონობით ცხოვრებები და საეჭვოა, რომ თქვენ როდესმე მიაღწიოთ ნათელღებას. აბსურდია ებრძოლოთ სამყაროს, რომლის ნაწილსაც თავად თქვენვე წარმოადგენთ.

ეს იმას ჰგავს ტალღა ებრძოდეს ოკეანეს,
ფოთოლი ებრძოდეს ხეს.
თქვენი ხელი ებრძოდეს თქვენსავე
სხეულს.
აბა, დაფიქრდით, ვის ებრძვით?

იოგა არის ძალდა... ...ააბული მცდელობა, იოგა არის დინებასთან ბრძოლის გზა, დინების საწინააღმდეგოდ ცურვა. იოგა იშორებს ყოველივე ბუნებრივს და ისწრაფვის ყოველივე არაბუნებრივისაკენ. იოგა არის არაბუნებრივი გზა — ბრძოლა მდინარესთან, ცურვა დინების საწინააღმდეგოდ! რა თქმა უნდა, ეს გამოწვევაა და ჩვენ მოგვწონს, როცა გამოწვევას ვიღებთ. მაგრამ ვის მოსწონს გამოწვევა? — რა თქმა უნდა, თქვენს ეგოს.

ძნელია მოინახოს იოგი, რომელიც არ იქნება ეგოისტი, და თუ მაინც მონახეთ იგი — ეს სასწაული იქნება. იმიტომ რომ თვითონ მცდელობა, ბრძოლა შობს ეგოს. არიან ძალიან მდაბალი იოგები, მაგრამ თუ კარგად ჩაეძიეთ, მათ სიმდაბლეში თქვენ აღმოაჩენთ დაფარულ ეგოს, ძალზე გაფაქიზებულ ეგოს. ისინი იტყვიან: „ჩვენ მხოლოდ ფერფლი ვართ ამ სამყაროში, მტვერი"... მაგრამ ჩაიხედეთ მათ თვალებში, ისინი ამაყობენ თავიანთი უბრალოებით. მათი თვალები გეტყვიან: „ჩვენ მდაბალნი ვართ, მდაბლებზე უფრო უმდაბლესნი. არ არსებობენ ჩვენზე მდაბალი ადამიანები". სწორედ ეს არის ეგო.

თუ ბუნების წინააღმდეგ წახვალთ, თქვენ გააძლიერებთ თქვენს ეგოს — ეს გამოწვევა იქნება. ამიტომ უყვართ ადამიანებს გამოწვევა. ცხოვრება გამოწვევების გარეშე მოსაწყენი ხდება, იმიტომ, რომ ამ დროს „შიმშილობს" ეგო. ეგოს კვება სჭირდება, გამოწვევა კი შესაფერისი საკვებია მისთვის. თუ გამოწვევა არ არსებობს, ადამიანები ქმნიან მას, ისინი ქმნიან დაბრკოლებებს, რათა შემდეგ გადალახონ ისინი.

ტანტრა — ეს ბუნებრივი გზაა. მიზანს ბუნებრიობა და თავისუფლება წარმოადგენს. თქვენ არ გიხდებათ ბრძოლა დინებასთან. მხოლოდ მიენდობით მას, ეფერებით, მიჰყვებით მდინარეს. ჩაიღვარეთ მასში, მიენდეთ მას, მინდობა ტანტრას გასაღებია. ნებისყოფა კი არის იოგას გზა. იოგა — ეს არის ნებისყოფის გზა და არა მინდობის.

აი რატომ არის ტანტრა სიყვარული, სიყვარული არის მინდობა, მთლიანად მიცემა. საჭიროა ამის თავიდანვე გაგება, მაშინ ტილოპას სიტყვები გახდებიან კრისტალურად ნათელი და წმინდა. აუცილებელია გავიგოთ სხვა განზომილება. ტანტრას განზომილება — ვერტიკალური. ეს არის მიღების, ძალდაუტანებლობის, უარყოფის არყოფნის, ბუნებრიობის, სილაღის განზომილება. ჩუან-ძი ამბობდა: „ადვილი არის მართალი". იოგაში ძნელი არის მართალი. ტანტრაში კი ადვილია მართალი.

მოდუნდით და იგრძენით თავი შინ. ნუ გეჩქარებათ ნურსად. მთლიანობა თვითონვე ჩაგიხუტებთ თავის თავში, საჭირო არ არის თქვენი ინდივიდუალური მცდელობა. საჭირო არ არის მიაღწიოთ დროზე ადრე. თქვენ მიაღწევთ სწორედ მაშინ, როცა დრო მოვა. საჭიროა მხოლოდ დაელოდოთ ამას.

მთლიანობა თვითონვე მოდის, თქვენ კი რატომღა ჩქარობთ? რატომ გსურთ სხვებზე ადრე მიღწევა?

არსებობს მშვენიერი ისტორია ბუდაზე — იგი აღწევდა ზეცის კარებამდე და, რა თქმა უნდა, მას ელოდნენ იქ. მის წინ კარები გაიხსნა, მას მიესალმნენ. მაგრამ ბუდამ უკან მოიხედა და დაინახა სანსარა — ქვეყანა. მილიონობით სულები, იმავე გზით მიმავალნი — ტანჯულები, უბედურები, ზეცას, ბედნიერებას მოწყურებულნი. კარისკაცმა თქვა: „მობრძანდით ბეთაყვა, ჩვენ გელოდებით". ბუდამ უპასუხა: „მაგრამ როგორ შემოვიდე, როცა სხვებს ჯერაც ვერ მოუღწევიათ?

როგორც ჩანს, ჯერ ადრეა, როგორ შემოვიდე, როცა მთელი ჯერაც არ შემოსულა? მე მომიხდება მოცდა. ეს ხომ ისე იქნება, რომ ჩემმა ხელებმა მოაღწიონ კარებამდე, ფეხები კი დავტოვო უკან? მე უნდა დაველოდო, მხოლოდ ხელები ხომ ვერ შემოვლენ? ეს შეუძლებელია".

ეს ტანტრას ერთ-ერთ უღრმესი აზრია. იგი ამბობს, რომ ვერავინ ვერ მიაღწევს განთავისუფლებას ცალკე — განმარტოებით. ჩვენ ერთმანეთის ნაწილები ვართ, ჩვენ წარმოვადგენთ მთლიანობას! ერთი ადამიანი შეიძლება გახდეს მწვერვალი, იგი შეიძლება იქცეს დიდ ტალღად,

მაგრამ იგი ვერ მოწყდება პატარა ტალღებს, მცირე გორაკებს და პატარა მწვერვალებს, იგი დაკავშირებულია, გადაბმულია მათთან. ტალღა არ არსებობს თავისთვის, მარტო. იგი შერწყმულია ოკეანის ერთიანობასთან, ამავე ერთიანობაში ვიბრირებენ სხვა დანარჩენი ტალღებიც. და მაშინ როგორ შეიძლება, მხოლოდ ერთი ტალღა ეზიაროს ღმერთს და თავისუფლებას?

ამ მშვენიერ ისტორიაში ნათქვამია, რომ ბუდა ჯერაც იცდის. შესაძლებელია იგი არ იცდიდეს, რადგან არავინ არ არსებობს კუნძულივით ცალკე. ჩვენ ყველანი კონტინენტს წარმოვადგენთ ერთად. იქნებ მე რამდენიმე გადაგისწრებთ თქვენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე მოგწყდით, ჩემი სულის სიღრმეში მე ვიცი, რომ ეს ისტორია ჩემზეც ვრცელდება.

— მე გელოდებით თქვენ. ეს არ არის უბრალო არაკი. მე ვიცი, რომ არ არსებობს ინდივიდუალური ზიარება. ცალკეული ინდივიდები იქნებ წინ აღმოჩნდნენ, ეს არის და ეს, ისინი დაკავშირებულნი რჩებიან ერთიანობასთან.

თუ ნათელდებულმა ადამიანმა არ იცის, რომ იგი მთლიანობას წარმოადგენს სხვებთან ერთად, რომ იგი მთლიანობის ნაწილია, მაშინ ვინღა უნდა იცოდეს ეს? ჩვენ მივედინებით, როგორც ერთი არსება. ტანტრა ამბობს: „ნუ ჩქარობთ. ნუ ჯიკაობთ, ნუ ცდილობთ გადაასწროთ ერთმანეთს, ნუ გსურთ რიგის თავში ჩადგომა — იყავით ბუნებრივნი და თავისუფალნი, არ არის აუცილებელი იტანჯოთ ამისთვის“. როგორც კი შეძლებთ ამის გაგებას, თქვენ მიუხვდებით ამას, მოდუნდებით. ჩვეულებრივი რელიგიური ადამიანები ხდებიან ძალზე დაძაბულნი, პრაქტიკის ადამიანებიც კი არ არიან ამდენად დაძაბულები.

ცხოვრების ადამიანებს გააჩნიათ ცხოვრებისეული მიზნები. ისინი დაძაბულები არიან, მაგრამ არც იმდენად, როგორც რელიგიური ადამიანები, რადგან ამ უკანასკნელთა მიზანს წარმოადგენს ზენა ქვეყანა, ძალზე შორეული და უხილავი, ისინი მუდმივად ეჭვში იმყოფებიან — არსებობს იგი თუ არა. მათ ტანჯვას ემატება კიდევ სხვა ეჭვი: იქნებ ისინი კარგავენ ამ სოფელს, მაშინ როდესაც სხვა არც კი არსებობს? ისინი მუდმივად ტანჯვასა და ფსიქიკურ დაბნეულობაში იმყოფებიან. ნუ იქცევით ასეთი ტიპის ადამიანებად.

ჩემთვის რელიგიური ადამიანი არის ის, ვინც მუდამ ლაღია და ბუნებრივი. ვისაც არც ეს ქვეყანა აწუხებს და არც სხვა. ვინც არაფერზე არ დარდობს და ყველაფერით ტკბება. მისთვის არსებობს მხოლოდ ეს მომენტი, მომდევნო კი თავისთავად იზრუნებს თავისთვის. მოდის შემდეგი მომენტი და იგი ხვდება მას სიხარულით და სიცილით. რელიგიურ ადამიანს არ გააჩნია მიზანი. მიზანსწრაფულობა ნიშნავს — იყოთ პრაქტიკოსი, თუნდაც ღმერთი იყოს თქვენი მიზანი.

ტანტრა მშვენიერია, იგი არის უდიდესი გაგება, უდიდესი პრინციპი. თუ მას ვერ გებულობთ, მაშინ თქვენთვის საჭიროა [illegible] თუ შეგიძლიათ მისი გაგება, მაშინ ნუ მიაქცევთ ყურადღებას მცირე მოძღვრებებს, ისინი არაფერში არ გამოგადგებათ. რა საჭიროა პატარა ნავები, როცა არსებობს დიდი ხომალდები?

ბუდიზმში ორი სექტა არსებობს მრავლისმეტყველი სახელწოდებებით. ერთი სექტა ცნობილია, როგორც ჰინაიანა — პატარა ურემი; ეს არის იოგას გზა, პატარა ნავი. იგი იმდენად პატარაა, თქვენ ერთი თუ მოთავსდებით მასში. სხვისთვის კი ადგილი არაა. იოგა მიემგზავრება ერთი. ჰინაიანა ნიშნავს — ძალიან პატარა ნავს. ბუდიზმში მეორე სექტაც არსებობს — მაჰაიანა, დიდი ნავი, დიდი ურემი, მასში მილიონები მოთავსდებიან.

მაჰაიანა არის ტანტრას გზა. ჰინაიანა კი იოგას გზა. ტილოპა არის მაჰაიანისტი, ადამიანი, რომელსაც სწამს დიადი პრინციპი, დიდი ურემი.

პატარა ნავები განკუთვნილია ეგოისტებისათვის, რომლებიც ვერ იტანენ ვერავის ნავში, მათ უნდათ მგზავრობა მარტოობაში, ისინი ძრახავენ და კიცხავენ დანარჩენებს: „როგორ, თქვენც გინდათ რომ მიაღწიოთ? ეს ძალიან ძნელია და მხოლოდ მცირენი თუ მიაღწევენ“. ისინი არ ჩაგისვამენ თავიანთ ნავში.

ჩემთან მოდიან და მეკითხებიან: „როგორ ხდება, რომ თქვენ ყველას აზიარებთ სანიასას, ნებისმიერს?“ არასოდეს ასე არ აზიარებდნენ სანიასას, პირველად მსოფლიო ისტორიაში, მე ვაზიარებ სანიასას ყოველგვარი პირობების გარეშე.

სანიასა ყოველთვის იყო მხოლოდ ძალზე ეგოისტი ადამიანებისათვის, რომლებიც ზეგრძნობადი ქვეყნისაკენ მიისწრაფოდნენ, რომლებიც ათვალისწუნებით უყურებდნენ სხვებს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ყველაფერი და ყოველივე ცუდია, რომ ეს ცხოვრება ცოდვაა. მათ თვალებში შეგეძლოთ ამოგეკითხათ, რომ ისინი გკიცხავდნენ თქვენ, მათი თვალები გეტყოდნენ, რომ თქვენ ჯოჯოხეთი გელოდებათ, ისინი კი წმინდანები არიან. ისინი დიდი სანიასინები არიან, ისინი ქვეყნიერებიდან განდგნენ, მათ ცოდვის ტალახის და წარწყმედის ქვეყანა მიატოვეს, თქვენ კი ისევ აქ ცხოვრობთ. ისინი დიდი ეგოისტები იყვნენ.

პირველად კაცობრიობის ისტორიის მანძილზე, მე ნება დავრთე ყველას, კარები გავაღე, სინამდვილეში მე კარები ჩამოვიღე და ახლა შეუძლებელია მისი დაკეტვა. ახლა ყველას გულ-

თბილად მიიღებენ. რატომ? იმიტომ, რომ ჩემი დამოკიდებულება ტანტრისტულია და არა იოგური. მათთვის, ვისაც ტანტრის გაგება არ შეუძლიათ, მე ვქადაგებ იოგას; სიერთოდ კი მე ტანტრას ვაზიარებ, და მივესალმები თითოეულს. თუკი ღმერთი ლებულობს თითოეული თქვენგანის არსებობას, ვინ ვარ მე?.. თუნდაც ცოდვას ჩადიოდეთ, ყოფიერება არ გეუბნებათ: „შენ არ გეკუთვნის მეტი ენერგია, შენ ბევრ სიძაგლობას ჩადიხარ. შენი სუნთქვა უნდა შეწყდეს!" თქვენ მაინც გეძლევათ ენერგია. ისევ ისუნთქავთ ჰაერს, ყოფიერება კვლავ გასაზრდოებთ და გკვებავთ.

ერთხელ მუსულმანმა მისტიკოსმა ჯუნაიდმა სთხოვა ღმერთს: „ჩემი მეზობელი ისეთი მანკიერია, იმდენ ბოროტებას ჩადის, რომ მთელმა სოფელმა მთხოვა შეგეხვეწო, რომ მოგვაშორო იგი თავიდან". ლოცვის მერე ჯუნაიდმა გაიგონა ხმა: „თუკი მე ვლებულობ მას, შენ ვინ ხარ, რომ უარყოფ?" ჯუნაიდმა დაწერა თავის ბიოგრაფიაში: „არასდროს მეტად არ მითხოვია ასეთი რამ, თუ ღმერთმა მისცა მას სიცოცხლე, თუ იგი მხარს უჭერდა და ასაზრდოებდა მას, მე ვინ ვარ?..

ყოფიერება გასაზრდოებთ ყოველგვარი
პირობების გარეშე.
მე გაძლევთ სანიასს ყოველგვარი
პირობების გარეშე.
თუ ყოფიერებას ისე უსასრულოდ სწამს
თქვენი,

რომ არ შეგიძლია მისპოთ ეს რწმენა,
მე ვინ ვარ ასეთი?..

ტანტრა არსებობს ყველასათვის, მაგრამ იგი გახდა რჩეულთა გზა, რადგან ყველას არ შეუძლია მისი გაგება, ისე კი იგი არ არის რჩეულთათვის — იგი არსებობს ყველასათვის, თითოეულისათვის, ვინც კი მზადაა გადასახტომად.

შეეცადეთ გაიგოთ:
მაჰამუდრაში იფერფლება ყველა ცოდვები.
კეთილი საქმეებით გაწონასწორების გარეშე—
მაჰამუდრაში იფერფლება ყველა ცოდვები.

რა არის მაჰამუდრა? რა ხდება მასში? მაჰამუდრა — ეს არის თქვენი არსების მდგომარეობა, როდესაც იგი განცალკევებული არ არის მთლიანობისაგან, მაჰამუდრა ჰგავს ღრმა ორგაზმს მთელ სამყაროსთან.

როდესაც შეყვარებულები ღრმა ორგაზმს განიცდიან, ისინი თითქოს გაიხსნენ ერთმანეთში, მაშინ ქალი უკვე არ არის ქალი და მამაკაცი უკვე არ არის მამაკაცი. ისინი ინის და იანის წრე ხდებიან, ისინი გადადიან და იხსნებიან ერთმანეთში, იღვრებიან ერთმანეთში, მათ ავიწყდებათ საკუთარი პიროვნებები, ამიტომ არის სიყვარული ასე მშვენიერი. ამ მდგომარეობას მუდრა მქვია, საბოლოო ორგაზმს კი მთელ სამყაროსთან მქვია დიადი ორგაზმი — მაჰამუდრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება სექსუალური ორგაზმში? საჭიროა გაიგოთ იგი, რადგან მას შეუძლია მოგცეთ გასაღები საბოლოო ორგაზმისათვის, რა ხდება ამ დროს? როდესაც ხვდებიან შეყვარებულები — დაიმახსოვრეთ: შეყვარებულები და არა ცოლ-ქმარი. რადგან ეს თითქმის არასდროს არ ხდება ცოლ-ქმარს შორის, ისინი სულ უფრო და უფრო შედიან როლებში, ისინი არასდროს არ იხსნებიან და არ ნებდებიან მდინარებას. „ცოლი" გახდა როლი, „ქმარი" გახდა როლი, ისინი თამაშობენ. ცოლმა უნდა ითამაშოს „ცოლი" მოსწონს იგი თუ არა, ქმარმა უნდა შეასრულოს ქმრის როლი, ეს გახდა დაკანონებული, ერთხელ მოლა ნასრედინს ვკითხე: „რამდენი წელია რაც ცოლიანი ხარ?" მან მიპასუხა: „ოცი ზედმეტი წელიწადი". მე ვკითხე: „რატომ უწოდებ მათ ზედმეტ წელიწადებს?" მან მიპასუხა: „ამას მიხვდები, როდესაც ჩემს ცოლს ნახავ".

ცოლქმრობა ეს არის სოციალური ფენომენი, ქორწინება ურთიერთობა კი არაა, ეს არის ინსტიტუტი, თავს მოხვეული მოვლენა. მას სიყვარული კი არ წარმოშობს, არამედ სხვა მიზეზები — ეკონომიური, სხვადასხვა პრაქტიკული, ბავშვთა ყოლის მიზეზები, კულტურა, საზოგადოება, რელიგია, ყველაფერი სიყვარულის გარდა.

ორგაზმი არასდროს არ ხდება ცოლ-ქმარს შორის იმ გამონაკლისის გარდა, როცა ისინი შეყვარებულებიც არიან. ეს შესაძლებელია თუ თქვენ შეგიძლიათ იყოთ ცოლი ან ქმარი და თან შეყვარებული. თქვენ შეიძლება გიყვარდეთ თქვენი ცოლი, მაშინ ეს არ არის ქორწინება, ეს უკვე არ არის სოციალური ინსტიტუტი.

აღმოსავლეთში, ათასწლეულების განმავლობაში დაკანონებული ქორწინების გამო ადამიანებმა სრულიად დაივიწყეს ორგაზმის არსებობა, მე არ შემხვედრია არც ერთი ინდოელი ქალი, რომელსაც ეცოდინებოდა, რა არის ორგაზმი. ბოლო 25 წლის მანძილზე დასავლეთში ქალების მცირე ნაწილმა შეიგნო, რომ ორგაზმი ისეთი რამეა, რომ ღირს მისი განცდა. საერთოდ კი ქალებმა სრულიად დაივიწყეს, რომ მათ შეუძლიათ ორგაზმი განიცადონ.

კაცობრიობის ერთ-ერთი უბედურება სწორედ ეს არის, თუ ქალი ორგაზმს არ განიცდის, მაშინ არც მამაკაცს შეუძლია მთლიანად განიცადოს იგი, რადგან ორგაზმი რომ შედგეს, ამისათვის საჭიროა ორი, იმისათვის, რომ მოხდეს ორგაზმი, ორნი უნდა გაიხსნან ერთმანეთში, შე-

უძლებელია მხოლოდ ერთმა განიცადოს იგი, მაშინ ეს ორგაზმი კი არა, ეაკულაციაა, შემსუბუქება. რა არის ორგაზმი? ორგაზმი არის მდგომარეობა, როდესაც სხეული უკვე არ შეიგრძნობა როგორც მატერია. იგი ვიბრირებს როგორც ენერგია, როგორც ელექტრობა. იგი იმდენად ღრმად ვიბრირებს, რომ თქვენ გავიწყდებათ მისი მატერიალობა. იგი იქცევა ელექტრულ მოვლენად — რაც იგი სინამდვილეშია.

ახლა ფიზიკოსები ამბობენ, რომ მატერია არ არსებობს. მატერია მხოლოდ წარმოდგენაა, სინამდვილეში არსებობს მხოლოდ ელექტრობა. მატერია კი არ არსებობს, ორგაზმისას თქვენ შედიხართ თქვენი სხეულის ისეთ ღრმა მდგომარეობაში, როდესაც იგი უკვე არ არსებობს, როგორც მატერია, არსებობს მხოლოდ ენერგეტიკული ტალღები, თქვენ იქცევით მოვიბრირე, მოცეკვავე ენერგიად. თქვენ უკვე არაფერი არ გზღუდავთ — თქვენ პულსირებთ, თქვენ არა ხართ მატერიალური და ასევე პულსირებს თქვენი შეყვარებულიც.

და თანდათანობით, თუკი მათ ერთმანეთი უყვართ, თუ მთლიანად ენდობიან ერთმანეთს, მაშინ ისინი იხსნებიან პულსაციის ამ მომენტში, ენერგიის მოვიბრირე მდგომარეობაში, შესაძლოა შეშინდნენ კიდეცა. რადგან ეს სიკვდილს ჰგავს.

როდესაც სხეული ჰკარგავს საზღვრებს,
  როდესაც სხეული ხდება ილუზორული,
როდესაც სხეულიდან იდევნება
            მატერიალურობა
და რჩება მხოლოდ ენერგია და რიტმი,
თქვენ გეჩვენებათ, რომ უკვე აღარა ხართ.

მხოლოდ დიდი სიყვარულის განცდით შეიძლება შესვლა ამ მდგომარეობაში. სიყვარული სიკვდილს ჰგავს.

თქვენ მკვდარი ხართ, როგორც თქვენი
            მატერიალური გარსი,
თქვენ მკვდარი ხართ — რადგან თქვენს
            სხეულთან გაიგივდით,
თქვენ კვდებით როგორც სხეული —
როდესაც თქვენს სასიცოცხლო ენერგიაში
            გაიხსნებით,

და როდესაც ცოლი და ქმარი ან შეყვარებულები ან პარტნიორები იწყებენ რიტმულად ვიბრირებას, მათი გულისცემა ერთიანდება და მყარდება ჰარმონია — მაშინ ხდება ორგაზმი, ისინი უკვე არ არიან ორნი. ეს არის ინის და იანის სიმბოლო: ინი გადადის იანში, იანი გადადის ინში, მამაკაცი გადადის დედაკაცში, დედაკაცი გადადის მამაკაცში.

მათ შეკრეს წრე და ვიბრაცია ხდება ერთიანი,
ისინი პულსირებენ ერთად,
    იქცევიან მელოდიად, ჰარმონიად,
  ეს არის უდიადესი მუსიკა,
ყველა სხვა მუსიკები ფერმკრთალდება

ისინი გახდებიან ჩრდილები [illegible]
            შედარებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ორივე ვიბრაციები გაერთიანდნენ ეს არის — მუდრა, როდესაც ეს ხდება არა სხვა ადამიანთან, არამედ მთელ ყოფიერებასთან, მაშინ ეს არის მაჰამუდრა — დიადი ორგაზმი, ეს შესაძლებელია„. ახლა მე მოგიყვებით ტექნიკაზე, რისი საშუალებითაც მაჰამუდრა შეიძლება გახდეს თქვენთვისაც მისაწვდომი.

ინდონეზიაში ცხოვრობს არაჩვეულებრივი ადამიანი — ბაბაკ სუბუხი, იგი ისე, რომ თვითონ არ იცოდა, მივიდა მეთოდამდე, რომელიც ცნობილია, როგორც ლატიჰანი. მან შემთხვევით აღმოაჩინა იგი. მაგრამ ლატიჰანი უძველესი ტანტრისტული მეთოდია, ლატიჰანი პირველი ნაბიჯია მაჰამუდრისაკენ. იგი აძლევს სხეულს ვიბრირების საშუალებას, მისი საშუალებით სხეული იქცევა არამატერიალურ ენერგიად, იგი იხსნება და საზღვრები იკარგება.

ბაბაკ სუბუხი მუსულმანია, მის მეთოდს კი ეწოდება „სუბუდი" — ბუდისტური სახელწოდება, „სუბუდი" შედგება სამი სიტყვისაგან — „სუ", „ბუ", „დჰა". სუ — ნიშნავს საწრთობს — ბუ — ნიშნავს ბუდას, დჰა — ნიშნავს დჰარმას. მთლიანად კი საწრთობი, ბუდა, დჰარმა, ე. ი. უდიდესი კეთილსახიერების კანონი, ბუდას მიერ დადგენილი უდიადესი კანონი, ტილოპა დიდ მოძღვრებას უწოდებს მას. ლატიჰანი ძალიან უბრალოა, ეს პირველი ნაბიჯია. საჭიროა დაეგეთ მოშვებულ, მოდუნებულ, ბუნებრივ პოზაში, უკეთესია მარტო იყოთ, რათა არაფერმა არ მიიქციოს თქვენი ყურადღება, კარგია თუ გესწრებათ ვინმე, ვინც უკვე აითვისა ლატიჰანი, თვითონ მისი დასწრება ხდება კატალიზატორი, მისი დასწრებით მეთოდი უფრო ადვილად გაიხსნება, თქვენ მარტოც შეიძლება გაიხსნათ, მხოლოდ ცოტა მეტი დრო დაგჭირდებათ.

თუ ასეთი ადამიანი დგას თქვენს გვერდით და იწყებს თავის ლატიჰანს, მისი ენერგია დაიწყებს პულსირებას თქვენში, მისი ენერგია შემოგერტყმებათ, ავტომატურად მოგიცავთ და მოულოდნელად იგრძნობთ მუსიკას. როდესაც კარგი მომღერალი მღერის, ან ვიღაცა ინსტრუმენტზე უკრავს, თქვენ ჰყვებით რიტმს ფეხით, ან თითებით მაგიდაზე ან პულსირებთ მასთან ერთად. მისი სიღრმიდან აღიძვრება ენერგია და ამით მომსწრეთა განწყობილება დაუყოვნებლივ იცვლება.

თქვენ არ მოგეთხოვებათ — არაფერი, მხო-

ლოდ იდექით ბუნებრივნი და ლაღნი რაღაცის მომლოდინეები. თუ თქვენმა სხეულმა მოძრაობა დაიწყო ნუ შეუშლით მას, ხელს შეუწყობთ ამაში. ხელისშეწყობა არ უნდა იყოს ძალზე პირდაპირი, საჭიროა პასიური ხელისშეწყობა. თქვენი თანამშრომლობა მხოლოდ იმით უნდა გამოიხატოს, რომ ნება დართოთ ამის მოხდენას! უეცრად თქვენი სხეული დაიწყებს მოძრაობას, თითქოს რაღაცამ შეიპყრო, თითქოს რაღაც ენერგია დაგეცათ, თითქოს ღრუბელი შემოგერტყათ; თქვენ შეპყრობილი ხართ ამ ღრუბლით, მან შეაღწია თქვენს სხეულში და იწყებს მოძრაობას, თქვენ სწევთ ხელებს და აკეთებთ შეუმჩნეველ მოძრაობებს, იწყებთ ცეკვას, თქვენი მოძრაობები არის მსუბუქი, თქვენი სხეული არის შეპყრობილი,

თუ რამე იცით ავტომატური წერის შესახებ, თქვენ გაგიადვილდებათ იმის გაგება, რაც ლატიჰანში ხდება. ავტომატური წერისას იღებთ კალამს და ელოდებით. უეცრად თქვენი ხელი იგრძნობს ბიძგს, თითქოს რაღაცა შევიდა მასში და შეიპყრო იგი. თქვენ არაფერს არ აკეთებთ, რადგან მაშინ ეს იქნებოდა არა რაღაც გარეშე, არამედ თქვენი მოქმედება. თქვენ მხოლოდ მიანებეთ, ლაღი და ბუნებრივი. საუცხოოა ტილოპას ეს სიტყვები, შეუძლებელია ითქვას უკეთესად ლაღნი და ბუნებრივნი ელოდებით კალმით ხელში, თვალდახუჭულნი; როცა ხელი მოძრაობას დაიწყებს, თქვენ მხოლოდ მიანებეთ, ეს ყველაფერია. თქვენ არ უნდა შეეწინააღმდეგოთ, თორემ ეს არ მოხდება. ეს ძალზე ფაქიზი ენერგიაა და ადვილად შეიძლება მისი შეჩერება, თუ არ მიანებებთ, ეს არ მოხდება, თუ ებრძვით, თუ არ გჯერათ, არც მაშინ მოხდება ეს, რადგან ეჭვი დაბრკოლებაა.

აი რატომ აქვს ამხელა მნიშვნელობა რწმენას — შრადჰას, უბრალოდ ირწმუნეთ და მიადუნეთ ხელი: თანდათან ხელი დაიწყებს მოძრაობას, ქაღალდზე გადაადგილებას — შემდეგ ვინმე ან თქვენ თვითონ ეკითხებით, კითხვა უნდა იყოს მშვიდი და დაუყოვნებელი. შეეკითხეთ და დაელოდეთ, მოულოდნელად ქაღალდზე პასუხი დაიწერება.

ათ კაცში, ყველაზე მცირე სამს მაინც აქვს ავტომატური წერის უნარი, ადამიანთა ოცდაათი პროცენტი არც კი ეჭვობს, რომ ისინი შეიძლება იყონ ამდენად მგრძნობიარენი. ეს შეიძლება გახდეს დიადი ძალა თქვენს ცხოვრებაში. არსებობს მრავალი ახსნა თუ რა ხდება ამ დროს, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, ჩემი აზრით ყველაზე გონივრული ახსნა იქნება ის, რომ ამ დროს თქვენი უმაღლესი ცენტრი იპყრობს თქვენსავე უმდაბლეს ცენტრს, თქვენი ცნობიერების მწვერვალი იპყრობს თქვენს ქვეცნობიერებას, თქვენ ეკითხებით და თქვენი შინაგანი არსება გპასუხობთ. ამ დროს არ არის არავინ, მხოლოდ თქვენ და თქვენი შინაგანი არსება, რომელსაც თქვენ არ იცნობთ და რომელიც თქვენ აღემატებათ, თქვენი შინაგანი არსება ეს არის თქვენი უდიადესი გამოვლინების შესაძლებლობა.

ეს ჰგავს იმას, რომ ყვავილმა დაეუფლოს
მისსავე ფესვს და პასუხობდეს —
თესლმა კი არაფერი უწყის,
ეს ჰგავს იმას, რომ ყვავილი — თქვენი
შესაძლებლობა
დაეუფლოს თქვენს ახლანდელ რეალობას
და პასუხობდეს,
ეს ჰგავს, რომ თქვენი უმაღლესი
შესაძლებლობა
დაეუფლოს იმას, რაც თქვენ ახლა ხართ და
პასუხობდეს.
ან მომავალი დაეუფლოს წარსულს,
უცნობი დაეუფლოს ცნობილს
უფორმო დაეუფლოს ფორმას,
— ეს ყველაფერი მეტაფორებია, მაგრამ მე
ვგრძნობ — თქვენ ჩაწვდებით მნიშვნელობას.
როგორც თქვენი სიბერე დაეუფლოს
თქვენსავე ბავშვობას
და პასუხობდეს.

იგივე მოსდის ლატიჰანში მთელ სხეულს, ავტომატური წერისას თქვენ ადუნებთ და ათავისუფლებთ მხოლოდ ხელს, მაჯას, ლატიჰანში თქვენ ათავისუფლებთ მთელ სხეულს და ელით, მოულოდნელად თქვენ იგრძნობთ იმპულსს, ხელები თავისით აიწევა, თითქოს ვიღაცა უჩინარი ძაფით ეწეოდეს მათ — ნება დართეთ ამას, იწყებს მოძრაობას ფეხი, თქვენ შეტრიალდებით, იწყებთ ცეკვას, ძალზე ქაოტურს, ურიტმოდ, თქვენ თანდათან იძირებით ამაში და ჩნდება თავისთავადი რიტმი. იგი უკვე არ არის ქაოტური, იგი უკვე მწყობრია, წესიერი, მაგრამ ეს უთქვენოდ მოხდა. ეს თქვენი უმაღლესი შესაძლებლობა ეუფლება თქვენს დაბალ ფორმას და აიძულებს მას იმოძრაოს,

ლატიჰანი — ეს პირველი ნაბიჯია; თანდათან ამაში თქვენ იგრძნობთ ისეთ სიხარულს, რომ მოგეჩვენებათ თითქოს ერთიანდებით კოსმოსთან, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. აი რატომ არის, რომ ამ მეთოდს — სუბუდს რაღაცა აკლია, პირველი ნაბიჯი თავისთავად მშვენიერია, მაგრამ საჭიროა საბოლოო და თქვენ ისიც უნდა გადადგათ, დასაწყისში ყველაზე მცირე 40 წუთი დაუთმეთ ამას, თანდათანობით გაზარდეთ დრო და გახადეთ 60 წუთი.

60 წუთის განმავლობაში თქვენი სხეული გაიწმინდება უკანასკნელ უჯრედამდე, ხოლო ნახვრეტამდე; ეს არის კათარზისი, სრული განახლება, დიფერენცირდება ყველა უწმინდურობა. აი რატომ ამბობს ტილოპა: „მახამუდრაში იფერ-

ფლება ყველა ცოდვები". წარსული ცეცხლს მიეცემა, ეს არის თქვენი პირველი დაბადება, აღდგომა. თქვენ გრძნობთ, როგორ იღვრება და გადმოიღვრება ენერგია თქვენში და თქვენგან. ეს არ არის მხოლოდ გარეგნული ცეკვა, რომელსაც თქვენ შეეწყობით მას, თქვენ იგრძნობთ შინაგან ცეკვასაც, ცეკვავს არა მხოლოდ სხეული, ცეკვავს თქვენი შინაგანი ენერგია; ისინი ერთმანეთს ეხმარებიან. შემდეგ დაიწყება პულსაცია და იგრძნობთ, თითქოს თქვენ მთელ სამყაროსთან ერთად პულსირებთ — თქვენ მიაგენით სამყაროს რიტმს — მის პულსაციას.

აუცილებელი დროა 30-წუთიდან 60-წუთამდე: იწყებთ 30-წუთით და ამთავრებთ 60-წუთით. სადღაც შუაში თქვენ ნახავთ თქვენს დროს, ამას თქვენითვე მიხვდებით, თუ 40-წუთზე აღწევთ, ე. ი. თქვენი დროა, თუ 20-წუთზე აღწევთ მაშინ ეს ყოფილა თქვენი დრო. თქვენი მედიტაციის დრო უნდა გაორმაგდეს, თუ 10-წუთზე აღწევთ, მაშინ თქვენთვის აუცილებელია 20-წუთი, თუ 15-წუთზე მაშინ 30-წუთი, გაორმაგეთ დრო, საჭიროა სრულიად განიწმინდოთ. მედიტაცია ლოცვით დაამთავრეთ.

როდესაც სრულიად განიწმინდებით და თქვენი სხეული სიხალისეს გრძნობს — თქვენ იმყოფებით ენერგიის ქვეშ და სხეული გრძნობს მთლიანობას, დაუნაწილებლობას; გაქრა სხეულის მატერიალობა, თქვენ ახლა თქვენს თავს აღიქვამთ როგორც ენერგიას, მოძრაობას, პროცესს, არამატერიას, მაშინ თქვენ მზად ხართ, ახლა მუხლებით დაეშვით მიწაზე...

მუხლმოყრა მშვენიერია; როგორც მუსულმანები ან სუფიები მეჩეთში სხდებიან, დაჯექით მათსავით მუხლებზე, ეს საუკეთესო პოზაა ლოცვისათვის, აიშვირეთ ხელები ზეცისაკენ, დახუჭეთ თვალები და იგრძენით თავი ცარიელ ჭურჭლად, ღრუ ბამბუკად, იგრძენით თიხის ჭურჭლის სიცარიელე. თქვენი თავი ამ ჭურჭლის ყელს წარმოადგენს; ენერგია უზარმაზარი ძალით დაგეცემათ თავზე, ისე, თითქოს ჩანჩქერქვეშ იდგეთ და სინამდვილეშიც თქვენ ჩანჩქერქვეშ დგახართ, ლატიჰანის მერე თქვენ იგრძნობთ, რომ შხაპი კი არა, თავზე ჩანჩქერი გეცემათ, როცა თქვენ მზად იქნებით, ენერგია უზარმაზარი ძალით დაგეცემათ თავზე, თქვენი სხეული დაიკლაკნება, აცახცახდება როგორც ქარში მოცახცახე ფოთოლი, თუ რომელიმე ჩანჩქერქვეშ მდგარხართ, მაშინ თქვენ იცით რაც არის ეს, თუ არასდროს არ მდგარხართ, მაშინ წადით, დადექით, განიცადეთ. ეს მსგავსი შეგრძნება იქნება. ლატიჰანის შემდეგ იგრძენით სრული სიცარიელე. შიგნით არაფერია, მხოლოდ სიცარიელე და ენერგია გავსებთ პირთამდე. დაანებეთ მას, დაე შეაღწიოს თქვენი არსების უშორეს სიღრმემდე, რათა გაუჯდეს თქვენი სხეულის, გონების, სულის უშორეს კუნჭულებს და როცა იგრძნობთ, რომ თქვენ იმდენად გაივსეთ, რომ თქვენი სხეული ცახცახებს, დახარეთ თავი მიწამდე და ენერგია მიწაში გადა[illegible]ეთ, როდესაც იგრძენით ენერგიის გადმო[illegible]მდე სისავსე. გადაღვარეთ იგი მიწაში, მიიღეთ ზეციდან და მიეცით მიწას; თქვენ მხოლოდ ღრუ ბამბუკი ხართ მათ შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკეთეთ ეს შვიდჯერ. მიიღეთ ზეციდან და უბოძეთ მიწას, მთლიანად, ბოლომდე დაიცალეთ, როგორი სისრულითაც გაივსეთ, იმავე სისრულით დაიცალეთ. შემდეგ აიშვირეთ ხელები — ისევ გაივსეთ, ისევ დაიცალეთ. საჭიროა ამის შვიდჯერ გაკეთება, რადგან ყოველი ავსებისას ენერგია შვიდიდან ერთ რომელიმე ჩაკრას ავსებს, თქვენი სხეულის ერთ-ერთ ცენტრს. იგი უფრო და უფრო სიღრმისკენ მიიწევს. თუ ამას შვიდზე ნაკლებად გააკეთებთ, მაშინ თქვენ მოუსვენრობას იგრძნობთ, რადგან ენერგია სადღაც შუაში დარჩა.

თუ ამას ყოველდღიურად აკეთებთ, სადღაც სამი თვის შემდეგ, ერთხელაც იგრძნობთ, რომ თქვენ უკვე არა ხართ; მხოლოდ ენერგია პულსირებს მთელ სამყაროსთან, ეგო კი გაქრა, თქვენ უკვე არა ხართ. მოქმედი პირი არ არსებობს, არსებობს სამყარო და თქვენ ხართ ტალღა ოკეანეში, ოკეანესთან ერთად მოპულსარე— ეს არის მაჰამუდრა, ეს არის საბოლოო ორგაზმი, ცნობიერების უნეტარესი მდგომარეობა, ეს ჰგავს შეყვარებულთა მდგომარეობას, როცა ისინი სიყვარულში ჩაიძირნენ — ამ მდგომარეობას გამრავლებულს მილიონჯერ, რადგან თქვენ ამჯერად სამყაროსთან სიყვარულში ჩაიძირეთ, აი რატომ არის ტანტრა ცნობილი, როგორც სექს იოგა; როგორც სიყვარულის გზა.

მაჰამუდრაში იფერფლება ყველა ცოდვები:
მაჰამუდრაში თავისუფლდებით —
ამქვეყნიური სიბნელიდან,
ეს არის დჰარმის უდიადესი კანონი,
ვისაც ამისა არ სჯერა, ის ბრიყვები
იგლოვგნებიან საუკუნო ტანჯვასა და
მწუხარებაში.

ტილოპა ბოლომდე ნათელია, ბოლომდე გულახდილი, იგი ამბობს, რომ ვისაც არ სჯერა მისი, ისინი სულელები არიან.

რატომ უწოდებს მათ სულელებს? იგი არ თვლის მათ ცოდვილებად, არარელიგიურებად. იგი უბრალოდ ბრიყვებს უწოდებს მათ, რადგან ამგვარი ურწმუნოებით ისინი ჰკარგავენ უდიდეს ნეტარებას, რაც კი სიცოცხლეს შეუძლია მოგვცეს, ისინი უბრალოდ ბრიყვები არიან! სანამ თქვენ არ მიენდობით, მანამდე არაფერი არ მოხდება, ეს არ მოხდება, სანამ არ მიენდობით იმ დონემდე; რომ მთლიანად მიეცემით ამ-

ას, ბედნიერების ეველა მომენტი ხწორედ მაშინ ხდება, როდესაც ხრულიად მინდობილი ხართ. თვით ხიკვდილიც კი მშვენიერება ხდება თუ მიენდეთ მას — და მაშინ რა იქნება სიცოცხლეზე? თუ მიენდობით, სიცოცხლე იქცევა უდიადეს ლოცვა-კურთხევად. თქვენ კარგავთ ღვთით ნაბოძებს მხოლოდ იმიტომ, რომ მინდობა არ შეგიძლიათ.

თუ გსურთ რამე ისწავლოთ,
ისწავლეთ მინდობა — სხვა არაფერი არ
გჭირდებათ.

თუ უბედური ხართ,
ისწავლეთ მინდობა — ვერაფერი ვერ
გიშველით სხვა,

თუ ვერაფერთარ აზრს ვერ ხედავთ
ცხოვრებაში,

თუ ხედავთ მხოლოდ კოშმარს უაზრობის,
სხვა საშველი არ არის — მხოლოდ მინდობა,
მინდობას შემოაქვს აზრი, რადგან მინდობა
გზიდან უნარიანს შემოუშვებთ თქვენში
მადლიანობა.

ვისაც ამისი არ სჯერა ის ბრიყვები
საუკუნო ტანჯვასა და მწუხარებაში
იკლაკნებიან.

თუ განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვით,
აუცილებელია მიენდოთ გურუს,
როდესაც თქვენი გონება მიიღებს მის
დალოცვას,
მაშინ ახლოა განთავისუფლება.

რატომ ვერწმუნოთ გურუს? რატომ გვჭირდება მასწავლებელის? — იმიტომ რომ უცნობი ძალზე შორს არის ჩვენგან. იგი მხოლოდ იცნობია, ეუეოდს შემთხვევაში იმედი, ნატვრის ახრულება.

ან თქვენ მისმენთ და მე შემიძლია გელაპარაკო ნექტარებაზე, მაგრამ ეს ნექტარები მხოლოდ სიტყვებად რჩება. თქვენ შეგიძლიათ გხურდეთ იგი, მაგრამ თქვენ არ იცით რას წარმოადგენს ეს. თქვენ იგი არ გიგემიათ. იგი ძალზე შორეულია თქვენთვის, რადგან თქვენ ტანჯვასა და მწუხარებაში დანთქმულები ხართ, იქნებ იმედოვნებთ დაიწყოთ, ნოლოიდონი, ნექტარების ნატვრა, მაგრამ ეს არ გიშველით, თქვენ უნდა იგემოთ იგი. ვინ გაგიმხნევებთ ამას? მხოლოდ ის, ვინც თვითონ იგემა, მას შეუძლია თქვენი შველა, მას შეუძლია კატალიზატორივით იმოქმედოს თქვენზე. იგი არ მოიმოქმედებს არაფერს, საქმარისი იქნება მისი დახწრება, თქვენი ყოფნა მასთან, შეუცნობელი გამოადწევს მისგან, გამოჟონავს თქვენში. შეიძლება მისი შედარება ფანჯარასთან, თქვენი კარები დახურულია? — მისი კარები ღია. თქვენი ფანჯრები დაკეტილია და თქვენ დაგავიწყდათ, როგორ შეიძლება მათი გაღება? მისი ფანჯრები ღიაა. მისი ფანჯრიდან თქვენ შეგიძლიათ გაიხედოთ, მზერა ხტუროცნოთ ზეცას.

გურუ სხვა არაფერია თუ არა ფანჯარა, ხაჭიროა გახედოთ მასში, უბრალოდ, მაშინ თქვენ შეძლებთ თქვენივე საკუთარი ცის გაღებას. სხვანაირად ქველაფერი სიტყვებადღა რჩება, თქვენ შეგიძლიათ [illegible]. მაგრამ ვიდრე არ იგემებთ [illegible] არაფერი არ შეიცვლება, შესაძლოა თქვენმა გონებამ თქვას: „ეს კაცი უგონოა, მას ჰალუცინაციები სჭირს, იგი მხოლოდ მეოცნებეა, ფილოსოფოსი, პოეტი. როგორ შეიძლება ამის მოხდენა?" როგორ შეიძლება თქვენი ბედნიერება? თქვენ იცით მხოლოდ მწუხარება და ტანჯვა, თქვენ იცოდით მხოლოდ შხამი, თქვენ არ შეგიძლიათ ირწმუნოთ ელექსირი; თქვენ არ იცნობთ მას და როგორ ირწმუნებთ მას?

მასწავლებელი წარმოადგენს საყოველთაო ბედნიერების გამოზატულებას. ის ბედნიერება ვიბრირებს მასში და თუკი მიენდობით, მისი ვიბრირება თქვენშიც გადმოვა. გურუ — ეს მხოლოდ მასწავლებელი კი არ არის, იგი კი არ გასწავლით თქვენ, მას არ გააჩნია დამოკიდებულება დოქტრინებთან და პრინციპებთან, გურუ ნიშნავს — ღვთაებრივის დახწრებას, თუ მიენდობით, მას ძალა გააჩნია, გურუ არის შესაძლებლობა. იგი მოგცემთ პირველ წარმოდგენას ღვთაებრივზე, შემდეგ კი დამოუკიდებლადაც შეძლებთ ხვლას.

თუ განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვით,
აუცილებელია მიენდოთ გურუს.
როდესაც თქვენი გონება მიიღებს მის
დალოცვას,
მაშინ ახლოა განთავისუფლება.

მასწავლებელი ვერ მოგცემთ თავისუფლებას, მაგრამ მას შეუძლია მიგიყვანოთ მის ხაზღვართან, იგი ვერ მოგცემთ თავისუფლებას, თავისუფლება თქვენვე უნდა მოიპოვოთ, რადგან ის, რაც მიიღეთ ერთი ადამიანისაგან, შეიძლება წაგართვათ სხვამ. თქვენი მხოლოდ ის შეიძლება იყოს — რაც თქვენია, მასწავლებელი ვერ მოგცემთ ამას, იგი მხოლოდ დაგლოცავთ, მაგრამ მისი დალოცვა არსებითად მნიშვნელოვანია.

იგი გადაგიხედებთ თქვენს საკუთარ
მომავალში;
იგი შეგაცნობინებთ თქვენს საკუთარ ბედს,
იგი შორეულ მწვერვალებს მოგიახლოვებთ,
როგორც ნერგი მიიკლოტება ცისაკენ, ასევე
თქვენში მთელმარე მარცვალს გაალვივებს
მისი დალოცვა.

აღმოსავლეთში გურუს დალოცვას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. დასავლეთისთვის ეს

მოვლენა ჯერაც უცნობია. დასავლეთმა იცის მასწავლებელი და არა გურუ. მასწავლებლები არიან ადამიანები, რომლებიც გასწავლიან ჭეშმარიტების შესახებ. გურუ კი გაგაცნობინებთ ჭეშმარიტებას. მასწავლებელი არის ის, ვინც იქნებ თვითონაც არ იცის, მაგრამ მას სხვა მასწავლებლებმა ასწავლეს და აუწყეს, ეძებეთ გურუ, მასწავლებლები ბევრია, გურუ ცოტა. როგორ უნდა მონახოთ გურუ? თუ გაიგონებთ, რომ ვიღაცა ნათელღებული გახდა, იყავით მის ახლოს, ნუ იქნებით იმდენად მოაზროვნეები, რამდენადაც მოსიყვარულენი — რადგან გურუს სიყვარულით ნახულობენ, მასწავლებელს კი გონებით, იგი თავისი ლოგიკური არგუმენტებით მიგიზიდავთ. გურუ კი უნდა იგემოთ, იგი უნდა მოსვათ; მოსმენა არ გიშველით, რადგან იგი ცოცხალ მოვლენას წარმოადგენს, ცოცხალ ენერგიას, მხოლოდ მაშინ, თუკი მოსვამთ, თუკი იგემეთ მისგან, შეიგრძნობთ თვისობრივად განსხვავებულ არსებობას.

იმისათვის რომ გურუ ნახოთ, საჭიროა [illegible] მგრძნობიარობა, ქალური ალღო და, თუ მზადა ხართ და თუ გურუ არსებობს, მაშინ რაღაცა გამომუშავდება, თქვენ თქვენი მხრიდან ნუ აკეთებთ ნურაფერს, მხოლოდ იყავით მის ახლოს. ამ მოვლენაში არსებობს იმდენი სასიცოცხლო ენერგია, რომ, თუ მზად ხართ, რაღაცა თავისით გამოვიმუშავდება, უბრალოდ მისი ენერგია გარდაგქმნით უთქვენოდ. ეს სიყვარულის მოვლენაა, შეუძლებელია ვინმეს დაუმტკიცოთ, რომ გურუ ნახეთ, ნუ ეცდებით ვინმეს დაუმტკიცოთ ეს, რადგან ნებისმიერს შეუძლია დაამტკიცოს საწინააღმდეგო. თქვენ ნახეთ, თქვენ იგემეთ და იცით.

ეს გულის, გრძნობის ცოდნას წარმოადგენს.

ტილოპა ამბობს:

თუ განთავისუფლებას ესწრაფვით,
საჭიროა მიენდოთ გურუს,
როცა თქვენი გონება მიიღებს მის დალოცვას,
მაშინ ახლოა განთავისუფლება.

სიტყვა გურუ ნიშნავს ძალიან, ძალიან დამძიმებულ ადამიანს, ლეგა ღრუბელს, თქვენი წყურვილის მომლოდინეს, რათა ჩამოგაწვიმოთ; ყვავილს გამაბრუებელი არომატით, იმის მომლოდინეს ვინც მზად იქნება მის ჩასასუნთქად. სიტყვა გურუ ნიშნავს მძიმეს, ძალიან მძიმეს, ენერგიით და შეუცნობით დამძიმებულს, ღვთაებრივით სავსეს, ორსული ქალივით მძიმეს.

გურუ გავსებულია ღმერთით, ამიტომაც ვუწოდებთ მათ აღმოსავლეთში ღმერთებს. დასავლეთს არ შეუძლია გაიგოს ეს, რადგან იქ ფიქრობენ, რომ ღმერთი მხოლოდ შემოქმედია. ჩვენ კი გურუს ვუწოდებთ ღმერთს. რატომ? იმიტომ, რომ იგი სავსეა ღვთაებრიობით — იგი მზად არის გადმოსაღვრელად. აუცილებელია მხოლოდ თქვენი წყურვილი, მწყურვალი მიწა.

სინამდვილეში მას არ შეუწყვეტია [illegible] რი, მას არ გაუვლია არავითარი [illegible] ბი, არ არის პროფესიონალი რომელიმე [illegible] ში. იგი უბრალოდ ცხოვრობს [illegible], მისთვის ცხოვრება დისციპლინა [illegible] ბუნებრიობა და თავისუფლებაა. მან არ აიძულა თავი არაფერში; იგი ქარის ფრთებით მოძრაობდა, ნებას რთავდა ბუნებას თავისი გზით ედინა და მილიონობით განცდების, ტანჯვისა და ტკივილების, ნეტარებისა და ბედნიერების გამოვლის შემდეგ იგი მომწიფდა და დავაჟკაცდა.

გურუ — ეს არის მწიფე ნაყოფი, დამძიმებული, მზადმყოფი ჩამოსავარდნად.

თუ მზადა ხართ მიღებისათვის, იგი დაეცემა თქვენთან, გურუ საკუთრივ აღმოსავლური მოვლენაა, დასავლეთმა ჯერაც არ იცის მასზე არაფერი. დასავლეთისათვის ძნელია ამის გაგება: „რატომ ვემთხვიოთ გურუს? რატომ ვემთხვიოთ მის ფეხებს?" ეს მიაჩნიათ დამამცირებლად. მაგრამ თუ გსურთ მიიღოთ, მაშინ თქვენთვის აუცილებელია ემთხვიოთ მას, იგი მძიმეა, შეიძლება გადმოიღვრდეს. მაგრამ თქვენთვის აუცილებელია მუხლი მოიყაროთ, სხვანაირად ვერაფერს მიიღებთ.

როდესაც მოწაფე ნდობით მოიყრის მუხლს გურუს ფეხებთან, ხდება რაღაც თვალებისათვის უხილავი. გურუდან გადმოდინდება ენერგია და შეაღწევს მოწაფეში, ხდება რაღაც, თვალთათვის უჩინარი, თუ აცნობიერებთ, თქვენ შეძლებთ დაინახოთ, როგორ იღვრება გურუს აურა მოწაფეში. თქვენ დაინახავთ როგორ ხდება ეს სინამდვილეში.

გურუ სავსეა ღვთაებრივი ენერგიით. გურუ ფლობს უსასრულო ენერგიას და შეუძლია გადაღვაროს იგი უსასრულო რაოდენობის მოწაფეებზე, მას ერის შეუძლია იმუშაოს მილიონობით მოწაფესთან. მისი დაცლა შეუძლებელია, რადგან იგი შეერთებულია მთლიანობასთან, მან ნახა ყოველივეს წყარო. მისი საშუალებით თქვენც შეგიძლიათ უსასრულობაში გადახტომა.

ძნელია მიეცეთ ღმერთს, რადგან თქვენ არ იცით სად არის ღმერთი. მას არავისთვის არ მიუცია თავისი მისამართი, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ გურუ და, მე თუ მკითხავთ, რა არის გურუ, მე გიპასუხებთ, რომ გურუ — ეს ღმერთის მისამართია.

როცა თქვენი გონება დაილოცება მისგან,
მაშინ ახლოა განთავისუფლება.

მაშინ თქვენ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ მიგიღეს, როდესაც გრძნობთ, რომ გურუს ლოცვა იღვრება თქვენში, როდესაც იგი ევავილება-

ვით ზემოდან გაცვივათ, მაშინ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რომ განთავისუფლება ახლოსაა.

ერთხელ ბუდას მისი ერთ-ერთი მოწაფე სარიპუტრა ემთხვია ფეხებთან. თავდახრილმა მოულოდნელად იგრძნო, რომ მასში ენერგია იღვრებოდა. მან იგრძნო უეცარი გარდაქმნა, გონების სტრუქტურის უეცარი გადასხვაფერება, თითქოს ანადგურებდნენ და ხელახლა ქმნიდნენ. მან დაიყვირა: „არა, დაიცადე, ჯერ არა!" შეკრილ მოწაფეებს ვერ გაეგოთ რა ხდებოდა, მან თქვა: „ჯერ არა, ცოტა კიდევ დაიცადეთ." იმიტომ რომ, როცა გურუ გლოცავთ, როდესაც ეს მომენტი დგება, იგი დასასრულს ნიშნავს. ახლა საჭიროა გამოეთხოვოთ გურუს. ამიტომ სარიპუტრა ამბობს: „ჯერ არა, ცოტაც მამყოფე შენთან".

სარიპუტრა მოგვიანებით გახდა ხელდასხმული, ბუდამ უთხრა მას: „ახლა კი წადი, საკმარისად გიცადე: ახლა წადი და გაავრცელე ის, რაც მე მოგეცი, წადი და სხვებსაც მიეცი, რაც მიიღე!"

დაღონებული სარიპუტრა იძულებული გახდა წასულიყო, დაეტოვებინა თავისი გურუ, თავისი მასწავლებელი, წასვლისას ვიღაცამ ჰკითხა: „რატომ ტირი, შენ ხომ ხელდასხმული გახდი?" მან უპასუხა: „დიახ მე ნათელღებული გავხდი, მაგრამ მე მზად ვარ უარი ვთქვა ამ ნეტარებაზე, თუ ბუდა მის ფერხთით ცხოვრების ნებას დამრთავს".

ისე ღრმა იყო მისი მადლიერება, რომ ყოველ დილით თავს ხრიდა იმ მხარეს, სადაც მისი მასწავლებელი იმყოფებოდა. მას ეკითხებოდნენ: „რატომ იქცევი ასე? ვის ეთაყვანები?" იგი პასუხობდა: „ბუდა იქ არის, იგი სამხრეთშია". როცა მოვიდა სარიპუტრას ბოლო დღე, მან იკითხა: „სად არის ახლა ბუდა, რომელ მხარესაა? მე მინდა დავიჩოქო იმ მიმართულებით". იგი ამ მდგომარეობაში გარდაიცვალა.

როდესაც მიღებულია ენერგია, როდესაც გურუ საბოლოოდ გლოცავთ, მაშინ განთავისუფლება ახლოა და საჭიროა გურუსთან გამოთხოვება.

ძენში,[1] იაპონიაში, როდესაც მოწაფე მიდის გურუსთან, მას თავისი ნოხი მიაქვს თან, შლის მას და გურუს ფერხთით ჯდება, იგი მიდის მასთან ყოველდღე, უსმენს გურუს და ასრულებს მის ყოველ მოთხოვნას, იგი ტოვებს თავის ნოხს გურუსთან მრავალი წლის განმავლობაში. ბოლოს იგი ღებულობს უკანასკნელ დალოცვას და ახვევს თავის ნოხს, ეს ნოხი სიმბოლურია, როდესაც იგი გრაგნის მას, სხვებმა უკვე იციან, რომ მან მიიღო საბოლოო დალოცვა — ეს გამოთხოვებაა.

[1] ძენი — ძენბუდიზმი, ბუდიზმის იაპონური განვითარება.



ძაღა, ყოველივე ამქვეყნად ამაო არის,
ყველაფერი შობს აქ მხოლოდ წუხილს,
მცირე მოძღვრებები ბადებენ საქციელებს —
ხსნა არის მხოლოდ დიდ მოძღვრებებში.

ტანტრა დიდი მოძღვრებაა. მცირე მოძღვრებები ამბობენ რა უნდა აკეთოთ, რა უნდა აიკრძალოთ. ისინი გაძლევენ წესებს, აკრძალვებს: „აკეთეთ ეს და ნუ აკეთებთ ამას". დიდი მოძღვრებები არ იძლევიან მცნებებს, მათ არ აწუხებთ თქვენი საქციელები, დიდი მოძღვრებისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ რას წარმოადგენს თქვენი არსება, თქვენი ცენტრი, თქვენი ცნობიერება, აი რა არის მნიშვნელოვანი.

ტილოპა ამბობს:

ჩაღა, ყოველივე ამქვეყნად ამაო არის,
აქ ყველაფერი შობს მხოლოდ წუხილს,
მცირე მოძღვრებები ბადებენ საქციელებს,
ხსნას ჰპოვებთ მხოლოდ დიდ მოძღვრებებში.

ყველაფერი ამქვეყნად შობს მხოლოდ წუხილს, მაგრამ მზის სხივი შემოაღწევს ამ ქვეყანაში, როცა ადამიანი ხდება ნათელღებული. ყველაფერი ამქვეყნად მხოლოდ წუხილს შობს, მაგრამ ზეცის ნათელი ჩამოიღვრება, როცა ადამიანი ნათელღებული ხდება, მისდიეთ ამ ნათელს, ამ სხივს, და იგი მიგიძღვებათ მის დასაბამთან — მზესთან.

დაიმახსოვრეთ ტილოპას ნათქვამი: „ნუ გახდებით მცირე მოძღვრებათა მსხვერპლნი". მრავალი კი ხდება, ჩემთან მოდიან და ამბობენ: „ჩვენ ვეგეტარიანელები ვართ, ხომ გავხდებით ახლა ნათელღებულები?" ძალიან მცირე მოძღვრებაა. ამბობენ: „ჩვენ არ ვჭამთ ღამე, ხომ შეიძლება ასე ნათელღებამდე მისვლა?" ძალიან პატარა მოძღვრებაა, ამბობენ: „ჩვენ გვჯერა უქორწინობის". ისევ ძალიან მცირე მოძღვრებაა. ისინი გართულან უამრავი საგნებით და ერთადერთი, რასაც ისინი არ ეხებიან, ეს არის მათივე არსება, ისინი მართავენ თავიანთ ხასიათებს, ცდილობენ იყონ რაც შეიძლება წმინდანები, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მოკაზმულობაა — ზიზილპიპილოები.

დისციპლინა, რომელიც გარედან მოდის, მხოლოდ მოკაზმულობაა, დისციპლინა უნდა გამოვიდეს შიგნიდან; იგი უნდა გავრცელდეს პერიფერიებზე. იგი არ უნდა იყოს პერიფერიებიდან ცენტრისკენ მისწრაფული, აი დიადი მოძღვრება.

გაიგეთ — თქვენ უკვე ხართ ის, რაც უნდა იყოთ,
გააცნობიერეთ — თქვენ უკვე ხართ თქვენი მიზანი,
ამავე წამში შეიძლება განხორციელდეს თქვენი ბედი

და რილის უცდით?
ნუ გწყრით თანდათანობითი განვითარების—
იყავით მამაცები — გადახტით, გადაეშვით.

მხოლოდ მამაცები შეიძლება იყვნენ ტანტრის დიადი მოძღვრებას მიმდევარნი. თუ მშიშრები ხართ, გეშინიათ სიკვდილის — თავის დაკარგვის, გეშინიათ მინდობის, მაშინ მცირე მოძღვრებათა მსხვერპლნი გახდებით, რადგან თქვენ შეგიძლიათ მართოთ მცირე მოძღვრებანი. ნუ ჭამთ ამას, ნუ აკეთებთ იმას, თქვენ შეგიძლიათ ამის მართვა, ამის კონტროლირება.

დიადი მოძღვრება — არის მიცემა,
დაიგდეთ კონტროლი და მინებდით
მთლიანობას.

მინებდით, მოხდეს მოსახდენი,
ნუ ებრძვით დინებას,
გაიხსენით მასში.
თქვენც ეს მდინარე გახდით —
ზღვაში ჩამდინარე.
ეს არის დიადი მოძღვრება.

## გზა მეფის გარეშე

ორმაგობაზე ამაღლება — მიზანია მეფის
შესაფერი.
დაბნეულობის დაძლევა — საქციელია
მეფის შესაფერი.
უქმობის გზაა ყველა ბუდას გზა.
თითოეული, ამ გზაზე მდგომი —
მიაღწევს ბუდას მდგომარეობას.
წარმავალია ეს ქვეყანა ვით აჩრდილები და
სიზმრები. იგი არაა მატერიალური,
განდექი მისგან და მიატოვე ახლობლები,
დათრგუნე ავხორცობა და სიძულვილი —
იმედიტირე ტყეებსა და მთებში.
თუ ძალდატანების გარეშე
რჩები ლაღი და ბუნებრივი
მალე მიაღწევ მაჰამუდრას,
მიაღწევ მიუღწეველს.

არსებობს ორი გზა. ერთი — მეომრის, ქარისკაცის გზა; მეორე მეფის გზა, მეფური გზა. იოგა არის პირველი, ტანტრა — მეორე. და აქ. ახლა თქვენთვის საჭიროა გაიგოთ, რას წარმოადგენს ქარისკაცის, მეომრის გზა, მხოლოდ მერე მიხვდებით, რას გულისხმობს ტილოპა მეფურ გზაში.

მეომარმა უნდა იბრძოლოს ყოველი მტკაველისათვის; ქარისკაცი უნდა იყოს აგრესიული, იგი უნდა დაესხას თავს; მტერი ან უნდა განადგურდეს ან დამორჩილებული უნდა იქნეს.

იოგა ცდილობს თქვენს შიგნით კონფლიქტის შექმნას. იგი გაძლევთ ნათელ განსხვავებას რა არის სწორი და რა არის არასწორი. რა არის ღმერთის და რა არის ეშმაკისეული. და თითქმის ყველა რელიგია ტანტრის გარდა იოგას გზას მისდევს, ისინი ხლეჩენ რეალობას და ქმნიან შინაგან კონფლიქტს. ისინი ამ კონფლიქტში ვითარდებიან. მაგალითად: თქვენში არსებობს სიძულვილი; მეომრის გზა მდგომარეობს იმაში, რომ გაანეიტრალოს მასში არსებული სიძულვილი. თქვენ გაღიზიანებული ხართ, ავხორცი და ძუნწი — მეომრის გზა მდგომარეობს იმაში, რომ გაანადგურო ყველაფერი ცუდი, უარყოფითი და განავითარო ყოველივე კარგი და დადებითი. საჭიროა მოვსპოთ სიძულვილი და გამოვზარდოთ სიყვარული. საჭიროა მთლიანად მოვსპოთ წყრომა და მის ადგილას აღვზარდოთ თანაგრძნობა. სექსის ადგილი უნდა დაუთმოს ბრაჰმაჩარიას — სრულ თავშეკავებას. იოგა მახვილით გაგხლეჩს ორ ნაწილად. მართალ და არამართალ ნაწილებად. მართალმა უნდა გაიმარჯვოს არამართალზე! როგორ უნდა მოიქცეთ? არსებობს წყრომა — რას გთავაზობთ იოგა? იგი გთავაზობთ, რომ თქვენ უნდა განივითაროთ თანაგრძნობის ჩვევა, შექმნათ დაპირისპირება. გახდეთ იგი ჩვევად და თქვენ ფუნქციონირებთ როგორც რობოტი — აქედან სახელწოდება — მებრძოლის გზა. მთელ მსოფლიოში, ყველა დროში, ქარისკაცს წვრთნიდნენ რობოტის დონემდე: მან უნდა გამოიმუშაოს ჩვევები.

ჩვევები მოქმედებენ არაცნობიერად, მათ არ სჭირდებათ ცნობიერება, ისინი უთქვენოდაც იმოქმედებენ. თუ ჩვევები გაგაჩნიათ — ისინი კი თითოეულს ახასიათებს — თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ მათ: ვიღაცა სიგარეტის კოლოფს იღებს ჯიბიდან, დააკვირდით მას, შესაძლოა იგი სრულიად არ იცნობიერებს იმას, რასაც აკეთებს. იგი ავტომატურად მიიზიდება ჯიბისაკენ. თუ იგი გაღიზიანებულია შინაგანად, მისი ხელი დაუყოვნებლივ იწევს ჯიბისაკენ. იგი იღებს სიგარეტს, იწყებს მოწევას, შემდეგ გადააგდებს ნამწვს და სრულიად შესაძლებელია, რომ მან ყველა ეს მოქმედება ჩაიდინა ისე, არ გაეცნობიერებია რასაც ჩადიოდა.

ჩვენ ვასწავლით ქარისკაცებს ავტომატურ არსებობას. ქარისკაცმა უნდა შეასრულოს, იგი უნდა დაემორჩილოს; იგი არ უწევს ანგარიშს თავის საქციელებს. როცა მას უბრძანებენ მარჯვნივ შებრუნებას, იგი უნდა შებრუნდეს; მან ბრუნვისთვისაც არ უნდა იფიქროს იმაზე, შებრუნდეს თუ არა. იმიტომ რომ თუ იგი ფიქრს დაიწყებს, მაშინ ყველაფერი შეუძლებელი გახდება, მაშინ უკვე არ იარსებებს ომები. საჭირო არ არის არც ფიქრი, არც გაცნობიერება. საჭიროა მხოლოდ ბრძანების მიღება, სხვა არაფერი. ამისათვის საკმარისია მინიმუმი ცნობიერება: გაცემულია ბრძანება და დაუყოვნებლივ, როგორც რობოტი, იგი იწყებს ამის შესრულებას. ეს ის კი არ არის, რომ იგი ტრიალდებოდეს მა-

რცხნივ, როდესაც მას უბრძანეს შემობრუნება — მას ჩაესმის და ბრუნდება. ეს შემობრუნება კი არ არის, ეს ჩვევაა. ეს ჰგავს იმას, როდესაც რთავენ და გამორთავენ შუქს. თქვენ დააჭერეთ გამომრთველს და შუქი ინთება. იგი არ ფიქრობს იმაზე, აინთოს თუ არ აინთოს. ახლა თქვენ ამბობთ: „მარცხნივ" — ამუშავდება ჩამრთველი და ჯარისკაცი შებრუნდება.

უილიამ ჯეიმზი ყვება, რომ ერთხელ, როდესაც იგი ყავახანაში იჯდა, მის ახლოს ჩაიარა 20 წლის წინათ გადამდგარმა ჯარისკაცმა, რომელსაც ხელში კვერცხებით სავსე კალათა ეჭირა. უცბად ჯეიმზმა გადაწყვიტა ეხუმრა. მან დაიყვირა, „სწორდი". საწყალმა მოხუცმა დააგდო კალათა კვერცხებიანად და ჯარისკაცური სწორებით გაიჭიმა. შემდეგ იგი გაბრაზდა და მივარდა ჯეიმზს: „ეს რა ხუმრობაა! რა არის ეს?" მაგრამ უილიამ ჯეიმზმა უპასუხა: „თქვენთვის სრულიადაც არ იყო აუცილებელი ამის შესრულება, ყველას აქვს ნება დაიყვიროს „სწორდი". ვინ გაიძულებდათ ამის შესრულებას? წასულიყავით თქვენს გზაზე". მოხუცმა უპასუხა: „ეს შეუძლებელია, ეს ავტომატურად ხდება, ოცი წელი კი გავიდა, მაგრამ ეს იმდენადაა გამჯდარი... ეს ჩვევაა". წვრთნის მრავალმა წელიწადმა პირობითი რეფლექსი შექმნა.

ეს „პირობითი რეფლექსი" მშვენიერი ტერმინია. იგი შექმნა რუსმა ფიზიოლოგმა პავლოვმა. იგი ამბობს, რომ თქვენ მხოლოდ აირეკლავთ: რაღაცა გეხრილება თვალებში და თქვენ არ ფიქრობთ დახუჭოთ თვალები თუ არა, ისინი თავისით იხუჭებიან. გადმოიფრენს ხოჭო და თვალები იხუჭებიან, თქვენ არ ფიქრობთ ამაზე — ეს პირობითი რეფლექსია. იგი უბრალოდ ხდება. ეს ჩვევა გამჯდარია თქვენს სხეულში, თქვენს სისხლსა და ხორცში. ეს უბრალოდ ხდება. ამისთვის საჭირო არაა არაფერი.

ჯარისკაცი გაწვრთნილია არსებობისათვის, როგორც რობოტი. მან უნდა იცხოვროს პირობითი რეფლექსებით. იგივეს გთავაზობთ იოგაც. თქვენ გაგულისდებით — იოგა ამბობს: „ნუ ბრაზობ, აღზარდე შენში საწინააღმდეგო — თანაგრძნობა". თანდათანობით თქვენი ენერგია თანაგრძნობის ჩვევაში გადავა. თუ დიდი ხნის მანძილზე ეწინააღმდეგებით, წყრომა სრულიად გაქრება, თქვენ უკვე თანაუგრძნობთ. მაგრამ ახლა ცოცხალი კი არა, უკვე მკვდარი იქნებით. თქვენ იქნებით რობოტი და არა ადამიანი. თქვენ თანაუგრძნობთ არა იმიტომ, რომ თანაუგრძნობთ, არამედ იმიტომ, რომ ეს ჩვევად გაიხადეთ.

თქვენ შეგიძლიათ გამოიმუშაოთ კარგი ჩვევები, შეგიძლიათ გამოიმუშაოთ ცუდი ჩვევები. ერთნი მოწევას ეჩვევიან, მეორენი ეჩვევიან მოუწევლობას. ვიღაცები ეჩვევიან არავეგეტარიანულ საჭმელს, სხვები ეჩვევიან ვეგეტარიანელობას — მაგრამ ყველაფერი ეს გამომუშავებულია და საბოლოო ანგარიშში ორივე ერთია, რადგან ორივე შემთხვევაში მხოლოდ ჩვევას აქვს ადგილი.

საჭიროა ღრმად ჩავუფიქრდეთ ამ საკითხს, რადგან ადვილია, გამოვიმუშაოთ კარგი ჩვევები, მაგრამ ძნელია გავხდეთ კარგები. ადვილია ჩვენი სიკარგე შევცვალოთ ჩვენი კარგი ჩვევებით, მაგრამ ეს ცოტა რამეს თუ ცვლის.

ახლა, განსაკუთრებით რუსეთში, ვითარდება ე. წ. „თერაპია პირობითი რეფლექსით", ამტკიცებენ, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ მოიშალონ თავიანთი ჩვევები. თუ ადამიანი ეწეოდა 20 წლის განმავლობაში, როგორ შეიძლება მან მოიშალოს იგი? შეგიძლიათ აუხსნათ, რომ ეს მისთვის ცუდია, ექიმებს შეუძლიათ გააფრთხილონ იგი, რომ ამას შეუძლია კიბოს გამოწვევა, მაგრამ ეს 20 წლის ჩვევაა, ახლა იგი გაჯდა, მან შეაღწია მთელ სხეულში, იგი გახდა ნივთიერებათა ცვლის ნაწილი. ახლა თუნდაც უნდოდეს, გულწრფელად სურდეს ამ ჩვევის მოშლა, უკვე ძნელია, რადგან ეს უკვე არ არის დამოკიდებული გულწრფელ სურვილზე. 20 წლის მუდმივი პრაქტიკის მერე ეს თითქმის შეუძლებელია. აბა როგორღა მოვიქცეთ?

რუსეთში ფიქრობენ, რომ არაფრის გაკეთება არაა საჭირო, არაფერი არაა ახსნილი. მათ გამოიმუშავეს მკურნალობის მეთოდი: ადამიანი ეწევა და მას აძლევენ ელექტროშოკს. შოკი, ტკივილი და მოწევა დაკავშირებულნი ხდებიან, ჩნდება ასოციაცია. შვიდი დღის განმავლობაში პაციენტი იმყოფება საავადმყოფოში და როგორც კი მოსწევს, მაშინვე, დაუყოვნებლივ ავტომატურად იღებს ელექტროშოკს. შვიდი დღის შემდეგ ჩვევა დამარცხებულია. ახლა თუნდაც დაიძალოთ მოწევა, იგი უკვე ცახცახებს, როგორც კი აიღებს სიგარეტს ხელში. მისი სხეული იწყებს კანკალს, ელექტროშოკმა შეასრულა თავისი მისია.

ამბობენ, რომ იგი უკვე არასდროს არ მოწევს სიგარეტს, ჩვევა მოშლილი იქნა ძალზე ძლიერი შოკოთერაპიით. მაგრამ იგი ვერ გახდება ბუდა იმის გამო, რომ ძველი ჩვევა შოკოთერაპიის საშუალებით მოიშალა. ამ გზით შესაძლებელია ყველა ცუდი ჩვევის მოშორება, მაგრამ გახდებით კი ამიტომ ბუდა, ნათელღებული?! არა! იგი ახლაც არ იქნება ადამიანი — იგი მექანიზმი იქნება. მას ექნება შიში, იგი არ აკეთებს ამას, რადგან თქვენ მიეცით მას ახალი ჩვევა — შიშის ჩვევა.

ამაში გამოიხატება „ჯოჯოხეთის" მთელი მნიშვნელობა: ყველა რელიგია იყენებდა მას როგორც შოკოთერაპიას. „ჯოჯოხეთი" არ არსებობს, როგორც არ არსებობს არავითარი „სამოთხე". ორივე წარმოადგენს სიცრუეს, ძველ ფსიქოთერაპიულ შეხედულებას. მათ ისე საშინლად აღწერენ ჯოჯოხეთს, რომ ბავშვი შეიძლება შე-

შინდეს და ეს შიში გამოჰყვეს დიდობამდეც. „ჯოჯოხეთის" ხსენებისას ჩნდება შიში და კანკალი. ეს მხოლოდ ეშმაკობაა, რათა მოგაშლევინოთ ცუდი ჩვევები. „სამოთხეც" კარგ ჩვევათა ალსაზრდელად გამოყენებული ეშმაკობაა. თუ ხანი-მუშილ იქცევით, გპირდებიან სიამოვნებას სამოთხეში", ხილამაზეს და მარადიულ ცხოვრებას. თქვენ უნდა მისდიოთ მას, რასაც საზოგადოება ლიდეებს კარგს. „სამოთხე" უნდა დაგეხმაროთ პოზიტიურ პლანში, „ჯოჯოხეთი" კი უნდა იყოს თქვენი უარყოფითი განვითარების ხელისშემშლელი.

ტანტრა ერთადერთი რელიგიაა, რომელიც არ სარგებლობს ამგვარ პირობითი რეფლექსებით, რადგან ტანტრა თვლის, რომ თქვენ უნდა იქცეთ სრულქმნილ, მღვიძარა არსებად და არა მექანიკურ რობოტად. თუ ტანტრას გაგებას შეძლებთ, მაშინ მიხვდებით, რომ ცუდია თვითონ ჩვევა. არ არსებობს კარგი ჩვევა და არ არსებობს ცუდი ჩვევა — თვითონ ჩვევაა ცუდი. საჭიროა იყოთ მღვიძარე, ფხიზელი, რათა არ არსებობდეს არავითარი ჩვევები. უბრალოდ იცხოვრეთ მომენტიდან მომენტამდე სრული გაცნობიერებით და არა ჩვეულებით. თუ ეს შეგიძლიათ, მაშინ ეს არის მეფური გზა.

რატომ მეფური? იმიტომ რომ ჯარისკაცმა უნდა მისდიოს, იგი უნდა დაემორჩილოს, მეფე კი არა. მეფე ყველაზე მაღლა დგას, იგი იძლევა ბრძანებებს, მაგრამ არავისგან არ იღებს მას. მეფე არასდროს არ მონაწილეობს ბრძოლებში, იბრძვიან მხოლოდ ჯარისკაცები. მეფე არ არის მეომარი. მეფის ცხოვრება არის ყველაზე აშვებული ცხოვრება. ჯარისკაცი უნდა დაემორჩილოს, მეფე კი ცხოვრობს ლაღი და ბუნებრივი. არ არის არავინ მასზე მაღლა. ტანტრა ამბობს, რომ არ არსებობს არავინ თქვენზე მაღლა. ვის უნდა დაემორჩილოთ? რომელი ნიმუშის მიხედვით უნდა იცხოვროთ? ვისი იმიტირება გსურთ? — არავინ არ არის თქვენზე მაღლა. იცხოვრეთ ლაღ და ბუნებრივ დინადი სიცოცხლით — მნიშვნელოვანია ერთი — გაცნობიერება.

ბრძოლის გზით თქვენ შეძლებთ გამოიმუშაოთ ჩვევები, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვევები იქნება და არა ბუნებრიობა. ამბობენ, რომ ჩვევები მეორე ნატურას წარმოადგენენ. შესაძლებელია, მაგრამ ეს „მეორე" ნიშნავს არაბუნებრივს. ეს იქნება ბუნებრივი მოჩანდეს, მაგრამ ეს არ იქნება ბუნებრივი.

რა განსხვავება არსებობს ჭეშმარიტ და კულტივირებულ თანაგრძნობას შორის? ჭეშმარიტი თანაგრძნობა — ეს არის პასუხი; გაჩნდა სიტუაცია და გაჩნდა პასუხი. ჭეშმარიტი თანაგრძნობა მუდამ ნედლია; რაღაცა მოხდა და თქვენი გული გაეხსნა ამას. წაიქცა ბავშვი — თქვენ მიირბინეთ და მოეხმარეთ წამოდგომაში, ეს პასუხია. ცრუ-ყალბი თანაგრძნობა, კულტივირებული თანაგრძნობა, პასუხი კი არა, რეაქციაა.

ამ ორ სიტყვას „პასუხი" და „რეაქცია" ღრმესი მნიშვნელობა გააჩნია. პასუხი — ეს არის სიტუაციის ცოცხალი გამოძახილი, რეაქცია კი მხოლოდ გამჭდარი ჩვევაა. იმიტომ რომ წარსულში თქვენ ვარჯიშობდით თანაგრძნობის წამოყენებაში, თქვენ მიდიხართ და ეხმარებით წამოდგომაში, ამაში არ მონაწილეობს თქვენი გული. ვიღაც იხრჩობა მდინარეში, თქვენ მირბიხართ და ეშველებით, რადგან ასე გასწავლეს, რადგან ასეა წესი, თქვენ კი ამის გარეთ რჩებით, თქვენი გული არ მონაწილეობს ამაში — ეს არ იყო პასუხი. თქვენ არ უპასუხეთ ამ ადამიანს, წყალწაღებულს: თქვენ არ უპასუხეთ სიტუაციას, თქვენ მოიქეცით იდეოლოგიის შესაბამისად.

მსოფლმხედველობის მიმდევრობა კარგია: დაეხმარე ყველას, იყავი ხალხის მსახური, თანაუგრძენი! თქვენ გაგაჩნიათ იდეოლოგია და მოქმედებთ მის მიხედვით. თქვენი მოქმედება მოდის წარსულიდან, იგი უკვე მკვდარია. როდესაც სიტუაცია შობს მოქმედებას და თქვენ პასუხობთ სრული ცნობიერებით, მხოლოდ მაშინ შეგიმოხვევთ რაღაც მშვენიერი. თუ თქვენი მსოფლმხედველობის, თქვენი ძველი ჩვევების მიხედვით რეაგირებთ, მაშინ დიდი-დიდი, თქვენს ეგოს თუ გაზრდით ამით, რაც სულაც არ ჩაითვლება მიღწევად. თქვენ შეგიძლიათ იტრაბახოთ იმით, რომ წყალწაღებული გადაარჩინეთ, შეგიძლიათ ბაზარში მიხვიდეთ და იყვიროთ: „მომისმინეთ, მე ვიხსენი ადამიანი, მე სიცოცხლე გადავარჩინე!" შესაძლოა ამით გაზარდოთ თქვენი ეგო, თქვენ ხომ ქველი საქმე ჩაიდინეთ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მნიშვნელოვან რამეს მიაღწიეთ. თქვენ სინამდვილეში, უშუალობის დიადი მომენტი გაუშვით, უშუალო თანაგრძნობის დიადი მომენტი. რომ შეგძლებოდათ სიტუაციაზე პასუხი, გულწრფელი რომ ყოფილიყავით, თქვენში რაღაც ღვთაებრივი, დიადი გაიშლებოდა. თქვენ იგრძნობდით რაღაც სიჩუმეს, სიმშვიდეს, ლოცვას.

როდესაც პასუხობთ, გრძნობთ, რომ
თქვენში რაღაცა აყვავილდა.
როდესაც რეაგირებთ, მკვდრებადვე
რჩებით;
თქვენ იქცევით ვით ცოცხალ-მკვდარი,
ვით ავტომატი.
რეაქცია — სამაგელია, პასუხი მშვენიერი.
რეაქცია მუდამ ნაწილობრივია,
რეაქცია არასდროს არ არის მთლიანი.
პასუხი ყოველთვის მთლიანია, ტოტალური.

თქვენ მთლიანად ეშვებით მდინარეში,
ისე რომ არ ფიქრობთ ამაზე;
სიტუაცია მხოლოდ ნებას რთავს ამის
მოხდენას.

თუ თქვენი სიცოცხლე იქცა უშუალო სიცოცხლედ, მაშინ ერთ მშვენიერ დღეს ბუდა გახდებით. თუ თქვენი რეაქცია იქცა მკვდარი ჩვევების რეაქციად, თქვენ იქნებ გამოჩნდეთ ბუდად, მაგრამ ვერასდროს ვერ გახდებით ბუდა. შიგნით მკვდარი იქნებით, გარედან კი ბუდას ფიტული. ჩვევა კლავს სიცოცხლეს, ჩვევა უარყოფს ცხოვრებას.

ყოველდღე დილით, ჩვევად გაქვთ და, ადრე დგებით 5 საათზე. ინდოეთში მე ვაკვირდებოდი, მრავალი ადამიანი იქცევა ასე, რადგან ჩვენთან საუკუნეთა მანძილზე ასწავლიდნენ, რომ ბრაჰმა-მუჰურტი — მზის ამოსვლის წინა პერიოდი — ყველაზე წმინდა მომენტია. ეს ასეც არის, მაგრამ აქედან არ უნდა გამოვწუროთ ჩვევები, რადგან ყოველნაირი სიწმინდე არსებობს მხოლოდ ცოცხალ პასუხში. ისინი დგებიან ხუთ საათზე, მაგრამ მათ სახეზე ვერასდროს ვერ დაინახავთ იმ სიწმინდეს, რომელიც ჩნდება მაშინ, თუ თქვენი ადრე ადგომა იყო პასუხი.

თვითონ სიცოცხლე იღვიძებს თქვენს ირგვლივ: მთელი დედამიწა ელოდება მზის ამოსვლას, ვარსკვლავები ქრებიან. ყველაფერი, ყოველივე იღვიძებს; დედამიწას ეძინა, ეძინათ ხეებს; ფრინველები ახაფრენად ჟღურტულებენ; ირგვლივ ყველაფერი მზადებაშია, იწყება ახალი დღესასწაული — ახალი დღე.

თუ საქციელი პასუხია, მაშინ თქვენ ჩიტივით, ჟღურტულით იღვიძებთ; თქვენს მოძრაობაში მოჩანს დილის სიჭორფე, სიხალისე. ეს არ არის ჩვევა. ეს არ არის აუცილებელი, თქვენ ასე იქცევით არა იმიტომ, რომ საღვთო წერილში ასე წერია და თქვენ კი მართლმადიდებელი ინდუსი ხართ. თუ აქედან ჩვევას გააკეთებთ; მაშინ ვერ მოუსმენთ ჩიტებს, რადგან წერილში არაფერია ნათქვამი ჩიტებზე! თქვენ ვერ დაინახავთ ამომავალ მზეს, რადგან ჩვევათა ბრმად მიმდევარი ხართ.

იქნებ გაღიზიანებული ხართ; იქნება არ გსურთ ასე მოიქცეთ, რადგან წუხელ გვიან დაიძინეთ და გირჩევნიათ გამოიძინოთ, იქნებ მზად არა ხართ, დაიღალეთ, ან იქნებ ეს მოუსვენარი ღამე იყო, მრავალი სიზმარი ნახეთ და მთელი სხეული დაძაბულია — თქვენი სურვილია ცოტაც წაუძინოთ. მაგრამ ეს როგორ, წერილში ასე არ სწერია. თქვენ კი ბავშვობიდან გასწავლიდნენ...

ჩემი ბავშვობისას, ბაბუაჩემი ძალიან ადრე დგებოდა, იგი წამომაგდებდა ლოგინიდან სადღაც დილის სამ საათზე და სასეირნოდ მიმათრევდა. მე ჩუმად ვწყევლიდი მას, მაგრამ რა გაეწყობოდა — მე ძილი მინდოდა, იგი კი მიდიოდა და მიმათრევდა. ეს ძალადობა იყო და ამან მთელი სილამაზე გააუფერულა.

შემდეგ დრო გავიდა და [illegible] მიხდებოდა სეირნობა, დიდხანს ვერ ვპატიებდი ბაბუაჩემს. დიდხანს მახსენდებოდა, რომ [illegible] მაიძულებდა. იგი ფიქრობდა, რომ სასიკეთო საქმეს აკეთებდა, მეხმარებოდა ცხოვრების წესის გამომუშავებაში. მაგრამ ეს არ არის საშუალება. მე ძილი მინდოდა, იგი კი მიმათრევდა. გზა მშვენიერი იყო და დილაც, მაგრამ მან დაარღვია მთელი სილამაზე. მან განმაწყო წინააღმდეგ. მხოლოდ მრავალი წლის მერე გავთავისუფლდი ამისგან და შევძელი შევხვედროდი დილას ამ მოგონების გარეშე. მანამდე კი მუდამ მახსოვდა ეს და მისი სიკვდილის მერეც კი ეს მოგონება მაღიზიანებდა.

თუ ამისგან ჩვევა შექმენით, თუ ეს იძულებაა, მაშინ დილა სიძაგლობად იქცევა. მაშინ სჯობია იწვეთ და იძინოთ. იყავით უშუალონი! ზოგჯერ ვერ გაიღვიძებთ — ამაში არაფერია ცუდი. თქვენ არ ჩადიხართ ცოდვას. თუ ძილი გინდათ, იძინეთ, ძილიც ისეთივე მშვენიერია, როგორც დილა, როგორც მზის ამოსვლა, რადგან ძილი, ისევე როგორც მზის ამოსვლა, ღვთაებრივის ნაწილია. თუ მოთხოვნილება გაქვთ, მთელი დღე მოისვენეთ, ეს მშვენიერია!

აი, რას ამბობს ტანტრა: მისდიეთ მეფურ გზას — მოიქეცით როგორც მეფენი და არა ვით ჯარისკაცები; არ არსებობს არავინ თქვენს ზემოთ, ვისაც შეეძლება თქვენი მართვა, განკარგულებების მიცემა; არ უნდა არსებობდეს არავითარი ცხოვრების წესი — ეს არის მეფური გზა. უნდა იცხოვროთ მომენტიდან მომენტამდე, უნდა ტკბებოდეთ ყოველი მომენტით — სპონტანურობა უნდა იყოს თქვენი გზა. რატომღა სწუხართ ხვალინდელზე? — ეს აწმყო მომენტიც საკმარისია. იცხოვრეთ ამით! მოსვით იგი მთელი თავის სისრულით, უპასუხეთ, ნუ რეაგირებთ. დაე „ჩვევათა არ ქონა" იქცეს თქვენი ცხოვრების ფორმულად.

მე არ ვამბობ, რომ ქაოსში უნდა იცხოვროთ — ნუ იცხოვრებთ ჩვევებით. იქნებ სპონტანური ცხოვრების პროცესში რაღაც განსაზღვრული წესი გამომუშავდეს, მაგრამ ეს არ იქნება ნაძალადევი, თავს მოხვეული. თუ ყოველდღე ნეტარებთ დილით და ამის გამო დგებით ადრე, ამ სიამოვნების გამო და არა ჩვევის ხათრით, მაშინ შესაძლოა მთელი თქვენი ცხოვრება ყოველ დილით ადრე დგებოდეთ, მაშინ ეს უკვე არ იქნება ჩვევა. თქვენ არ აიძულებთ თავს, ეს უბრალოდ ხდება. ეს მშვენიერია, თქვენ ტკბებით ამით, მოგწონთ ეს.

თუ ეს იმიტომ ხდება, რომ მოგწონთ, მაშინ ეს არ არის ჩვევა. ეს არ არის პირობათა დაცვა, არ არის კომპიუტერიზებული მკვდარი სიგანი. ნაკლები ჩვევები და თქვენ აივსებით სიცოცხლით.

თუ ...ები სრულიად არ არის, მაშინ თვით სიცოცხლედ იქცევით. მაგრამ ჩვევები გერტყმა- [illegible] მკვდარი ქერქივით, თქვენ იკეტებით მათში, ისხლიტებით გარსით იფარებით. იყავით დრეკადნი!

თუკი გასწავლით, როგორ უნდა გამოიმუშაოთ ცუდის საწინააღმდეგო ჩვევები, გასწავლით ჯიუტობასთან ბრძოლას და სიკეთის მიღწევას. ჩაკალით თქვენში ძალადობა და გახდით მშვიდობიანნი, აღზარდეთ ძალდაუტანებლობა; ყოველთვის აკეთეთ საწინააღმდეგო და ავარჯიშეთ თავი საწინააღმდეგო მოქმედებაში. ეს ჭარისკაცის გზაა — მცირე მოძღვრება.

ტანტრა დიდი მოძღვრებაა, უმაღლესი. რას ამტკიცებს ტანტრა? იგი ამბობს: „ნუ შექმნით თქვენში ნურავითარ კონფლიქტებს. მიიღეთ ერთიც, მეორეც და ამ ორთავეს მიღებაში ხდება ტრანსცენდენტალობა, გამარჯვება კი არა — გასვლა, ამაღლება. იოგაში გამარჯვებები არსებობს, ტანტრაში ისინი არ არსებობენ. ტანტრაში არსებობს მხოლოდ ამაღლება. საქმე იმაში კი არ არის, რომ ძალადობას ძალდაუტანებლობით დაუპირისპირებდეთ, არა, თქვენ მაღლდებით ორივეზე, თქვენ ხდებით რაღაც მესამე — მოწმე.

ერთხელ ყასაბთან ვიჯექი ფარდულში. იგი ძალზე სახელოვანი ადამიანი იყო და მე ხშირად ვსტუმრობდი მასთან. საღამო იყო და უკვე ფარდულის დაკეტვას აპირებდა. როდესაც ვიღაცა შემოვიდა და ქათამი მოითხოვა. ზუსტად ერთი წუთით ადრე, ამ ყასაბმა მითხრა, რომ ყველაფერი გაიყიდა და მხოლოდ ერთი ქათამი დარჩა. მას ძალიან გაუხარდა, მოიტანა ქათამი, დააგდო იგი სასწორზე და თქვა: „ქათამი ღირს ხუთი რუპია“.

კაცმა თქვა: „ეს კარგი ქათამია, მაგრამ მეგობრებს ველოდები და შეიძლება არ მეყოს, მომიტანეთ უფრო დიდი ქათამი“.

მე ვიცოდი, რომ ეს ბოლო ქათამი იყო. მეხორცე დაფიქრდა, წაიღო ქათამი უკანა ოთახში, ცოტა ხანს დაყო. შემდეგ გამოვიდა, დააგდო იგივე ქათამი სასწორზე და თქვა: „ამას კი [illegible] შვიდი რუპია“.

მყიდველმა თქვა: „იცით, მე ვიღებ ორივეს“. მეხორცემ უკვე არ იცოდა რა ექნა. ასეთივე ჩიხში აგდებს ტანტრა თვით ყოფიერებას. ტანტრა ამბობს, „მე ვიღებ ორივეს“.

არ არსებობს ორი. სიძულვილი სხვა არაფერია, თუ არა სიყვარულის მეორე მხარე. წყრომა კი არაფერია, თუ არა თანაგრძნობის მეორე მხარე. ძალადობა კი ძალდაუტანებლობის მეორე მხარეა. ტანტრა ამბობს: „მე ვიღებ ორივეს“ და უეცრად ამ მიღებაში ხდება ტრანსცენდენცია, რადგან მაშინ „ორი ქრება. ძალადობა და ძალდაუტანებლობა არ წარმოადგენენ ორ განსხვავებულ რამეს. წყრომა და თანაგრძნობა არ არის ორი. სიყვარული და სიძულვილი არ არის ორი.

დააკვირდით და მიხვდებით, რომ ეს ასეა, მაგრამ რადგან ვერ აცნობიერებთ ამას, თქვენთვის ძნელია ამის გაგება. თქვენი სიყვარული გადადის წამებში, ამას წამებიც კი [illegible]რდება: ერთი და იგივე ადამიანი ერთ მომენტში გიყვართ, მეორე მომენტში გძულთ. დილას გიყვართ, შუადღისას გძულთ, საღამოს ისევ გიყვართ. სიყვარულის და სიძულვილის ეს თამაში უსასრულოდ გრძელდება. არსებითად სწორი არ არის ამის ორი სიტყვით გამოხატვა — სიყვარული და სიძულვილი; მართებული იქნებოდა გვეთქვა ერთი სიტყვით სიყვარულ-სიძულვილი, წყრომა-თანაგრძნობა, რადგან ეს ერთი და იგივე მოვლენაა, განსხვავების გარეშე. აი რატომ შეუძლია სიყვარულს გადავიდეს სიძულვილში. იმიტომაცაა შესაძლებელი სიძულვილი გადაიზარდოს სიყვარულში. წყრომას შეუძლია თანაგრძნობად იქცეს, თანაგრძნობას შეუძლია იქცეს წყრომად.

ტანტრა ამბობს, რომ ამ მოვლენას თქვენი გონება ჯერ წარმოშობს, მერე კი ებრძვის მას. თავიდან თქვენ აცალკევებთ: ერთ ასპექტს უარყოფთ, მეორეს ღებულობთ. თავიდან თქვენ ქმნით განსხვავებას, შემდეგ წარმოშობთ კონფლიქტს, ბოლოს კი ხვდებით უბედურებაში და ამ გზით თქვენ მოგიწევთ მუდმივად მასში ყოფნა. იოგა გამუდმებულ წუხილში იმყოფება, რადგან რასაც არ უნდა ჩადიოდეს, მისი გამარჯვება არ შეიძლება იყოს საბოლოო, უკეთეს შემთხვევაში, მას შეუძლია მოიპოვოს მხოლოდ დროებითი გამარჯვებები.

შესაძლებელია წყრომის სიღრმეში დამწყვდევა და თანაგრძნობის გათამაშება, მაგრამ თქვენ თავად კარგად გრძნობთ, რომ წყრომა ქვეცნობიერებაში ჩაამწყვდიეთ, შეავიწროვეთ, და იქ არის. ნებისმიერ მომენტში, მცირეოდენი უყურადღებობა და იგი მზად არის ზედაპირზე ამოსახეთქად. ამიტომ აუცილებელი ხდება მუდმივად ბრძოლა მასთან.

საძაგლობაა, თუ ჩაერთვებით გაუთავებელ ბრძოლა ნეგატიურობასთან — ამასობაში მთელი სიცოცხლე უაზროდ იხარჯება. როდისღა უნდა დატკბეთ ღვთაებრივით? ამისათვის უკვე არც დრო რჩება, არც ადგილი: თქვენ ებრძვით წყრომას, ავხორცობას, სიძუნწეს და ათას სხვა უბედურებას. ეს ათასი მტერი არსებობს და საჭიროა მუდმივი სიფხიზლე. თქვენ ვერ დაისვენებით, ვერ ხდებით ლაღნი და ბუნებრივნი, თქვენ მუდმივად დაძაბულები ხართ, დაჭიმულები, საჭიროა ბრძოლისათვის მუდმივი მზადყოფნა.

იოგებს დაძინებისაც კი ეშინიათ, რადგან ძილში შეუძლებელია სტარტზე ყოფნა. ძილში ამოხეთქავს ყველაფერი, რასაც კი თრგუნავდნენ

სიფხიზლისას. სიფხიზლეში ისინი იცავენ სქესობრივ თავშეკავებას. მაგრამ სიზმარში ეს შეუძლებელია. მათ წინ მშვენიერი ქალი ჩნდება და იოგა უძლურია რამე გააწყოს. ეს მშვენიერი ქალიშვილები ციდან კი არ ჩამოგზავნეს, როგორც ინდურ თქმულებებში ამბობენ: „ღმერთი მოავლენს მათ". რაში უნდა აინტერესებდეს ღმერთს საწყალი იოგა, რომელიც არავის არაფერს არ ვნებს, რომელიც ზის თვალდახუჭული ჰიმალაებში და თავის პრობლემებს ებრძვის? რაში სჭირდება ღმერთს ამ ქალწულთა მოვლინება და ამ იოგის გზიდან აცდენა? სრულიადაც არ არის საჭირო ვიღაცის მიერ მოვლინება, იოგა თვითონვე ქმნის თავის საკუთარ სიზმრებს. სიზმარში ამოხეთქავს ყველაფერი, რასაც სიფხიზლეში თრგუნავდნენ. სიზმრები — ეს ის ნაწილია, რომელსაც იოგა სიფხიზლეში უარყოფდა. თქვენი სიზმრები ისევე გეკუთვნიან თქვენ, როგორც თქვენი სიფხიზლის საათები. არ არის განსხვავება იმაში, ძილში გეყვარებათ ქალი თუ ღვიძილში — განსხვავება არ შეიძლება არსებობდეს, რადგან საქმე იმაში კი არ არის არსებობს ეს ქალი თუ არ არსებობს, პრობლემას თვითონ თქვენვე წარმოადგენთ. პორტრეტი გიყვართ, აზრობრივი სახე თუ ცოცხალი ქალი ეს სულერთია, განსხვავება არ არსებობს, რადგან ცოცხალი ქალიც, მხოლოდ ეს აზრობრივი სახეა, რადგან თქვენ არასდროს არ იცით ნამდვილი ქალი, თქვენ იცით მხოლოდ მისი გამოსახულება.

მე აქ ვიმყოფები. საიდან იცით, რომ მე ნამდვილად აქ ვარ? იქნებ ეს მხოლოდ სიზმარია და თქვენ გესიზმრებათ, რომ მე აქ ვარ? რა განსხვავება არსებობს იმაში, როცა თქვენ გესიზმრებათ, რომ მე აქ ვარ და იმაში, რომ თქვენ სიფხიზლეში მიყურებთ? — როგორ განასხვავებთ? რა კრიტერიუმი არსებობს? არავითარი, რადგან აქ ვარ მე თუ არა, ეს არ თამაშობს როლს — თქვენ მე გონებრივი ხედვით მიყურებთ, ორივე შემთხვევაში — ძილშიც და ღვიძილშიც. თქვენი თვალები აღიქვამენ ხატებს და დასკვნა ორივე შემთხვევაში თქვენს გონებას გამოაქვს. იგი დაასკვნის რომ ვიღაცა არის. თვით რეალური ადამიანი კი თქვენ არასდროს არ გინახავთ, თქვენ არ შეგიძლიათ მისი დანახვა.

აი, რატომ ამბობენ ინდოელები, რომ ყველაფერი ეს არის — მაია, ილუზორული სამყარო. ტილოპა ამბობს: „წარმავალია ეს ქვეყანა, ილუზორული, მოჩვენებითი". რატომ? იმიტომ რომ სიზმრებსა და სინამდვილეს შორის არ არსებობს განსხვავება. ორივე შემთხვევაში თქვენ ჩაკეტილი ხართ თქვენსავე გონებაში. თქვენ უყურებთ მხოლოდ ნახატებს და არა რეალობას — ეს შეუძლებელია. რადგან რეალობის დანახვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, **თუ თქვენ იქცევით რეალობად**, თქვენ მოჩვენებითი მოვლენა ხართ — ჩრდილი. როგორ შეიძლება ჩრდილი ხედავდეს რეალობას? ჩრდილს შეუძლია მხოლოდ ჩრდილები დაინახოს. თქვენ დაინახავთ რეალობას მხოლოდ მაშინ, თუ გონებას შეიშორებთ. სწორედ [illegible] გაქცევთ არარეალურ არსებად. გონება პროეცირებს, ქმნის, ლეპავს, ინტერპრეტირებს — ყველაფერი ხდება ირეალური. ამიტომ [illegible] მთელი მნიშვნელობა პრობლემა[illegible] განთავისუფლდეთ გონებისაგან.

ტანტრა ამბობს:: ნუ ეწინააღმდეგებით, თუ ბრძოლას დაიწყებთ, ეს ბრძოლა შეიძლება გაგრძელდეს მრავალი ცხოვრების განმავლობაში და არაფერი აქედან არ გამოვა, რადგან თქვენ თავშივე შეცდით — აქ, სადაც ორს უყურებდით, სინამდვილეში მხოლოდ ერთი იყო. და თუ თქვენი პირველი ნაბიჯი შეცდომაა, მაშინ მიზანს ვერ მიაღწევთ; მთელი თქვენი მოგზაურობა შეცდომა იქნება, აუცილებელია გადაიდგას პირველი სწორი ნაბიჯი. და რა იქნება აბსოლუტურად სწორი ნაბიჯი? ტანტრა ამბობს, რომ ეს იქნება — ხედავდეთ ერთს ორში, ხედავდეთ ერთს მრავლობითში, როგორც კი ამას შეძლებთ, დაიწყება ტრანსცენდენცია — და ეს არის ჭეშმარიტი გზა. ახლა კი დავუბრუნდეთ სუტრას:

**ორმაგობაზე ამაღლება — მიზანია მეფის შესაფერი.** ამაღლება, მისი დამარცხება კი არა, ამაღლება მასზე. ეს მშვენიერი სიტყვაა. რას ნიშნავს „ამაღლება?"

აი რას ჰგავს ეს: პატარა ბავშვს სათამაშოები აქვს და ერთობა, თქვენ უბრძანებთ მათ გადაყრას — იგი კივის, ბრაზობს. დაწოლისას კი იწვენს მათ ლოგინში და დედა აცლის მათ უკვე დაძინებულს. დილით იგი ისევ თავის სათამაშოებს ეძებს. შემდეგ, ერთხელაც უცბად ივიწყებს მათ. რამდენიმე დღის განმავლობაში ისინი მისი ოთახის კუთხეში აწყვია და შემდეგ კი გააქვთ ან სულაც გადაყრიან. იგი ამიერიდან არასდროს მოიკითხავს ამ სათამაშოებს. რა მოხდა? — მოხდა ტრანსცენდენცია, იგი ამაღლდა, გაიზარდა. ეს არ არის ბრძოლა და გამარჯვება. მას არ უბრძოლია სათამაშოების ქონების სურვილთან. არა, უეცრად, ერთხელ იგი ხვდება, რომ ეს ბავშვობა იყო, ის კი უკვე ბავშვი არ არის, ერთხელაც ის ხვდება, რომ სათამაშოები — ეს სათამაშოებია, ისინი არ წარმოადგენენ ნამდვილ ცხოვრებას. იგი უკვე მზადაა ნამდვილი ცხოვრებისათვის. იგი ტოვებს მათ, არასდროს უკვე არ იფიქრებს მათზე, არასდროს მეტად არ დაესიზმრება ისინი. და როდესაც დაინახავს სხვა მოთამაშე ბავშვებს, მას გაეცინება. იგი მცოდნე, ბრძნული ღიმილით გაიცინებს და იტყვის: „ეს კიდევ ბავშვია, იგი ჯერ კიდევ ერთობა სათამაშოებით". იგი ამაღლდა.

ტრანსცენდენცია სპონტანური მოვლენაა. არ შეიძლება იგი აიზარდოთ. თქვენ უბრალოდ გა-

იზარდეთ, უბრალოდ დაინახეთ განსაზღვრული საგნების აბსურდულობა და ამაღლდით მათზე.

ერთხელ ჩემთან ახალგაზრდა კაცი მოვიდა, რომელსაც ძალიან ლამაზი ცოლი ჰყავდა, ოღონდ ერთი ნაკლით —მას ნორმალურზე გრძელი ცხვირი ჰქონდა. კაცი ძალზე აღელვებული იყო და თქვა „პლასტიკური ოპერაცია გავაკეთოთ და ცხვირი კიდევ უფრო დამახინჯდა..." სინამდვილეში მასში არ იყო არაფერი ცუდი, მაგრამ, როცა გსურთ გააუმჯობესოთ ის, რაც სულაც არ არის ცუდი, მაშინ იგი უფრო მახინჯი ხდება. ახლა იგი უფრო დაიბნა და მოვიდა, რათა მერჩია როგორ მოქცეულიყო.

მე მოვუყევი მას სათამაშოებზე და ვუთხარი: „დადგება დრო და თქვენ მოგიხდებათ გაზრდა, ამაზე ამაღლება. აბა როგორ უნდა შეგაწუხოთ ცხვირმა? იგი მხოლოდ პატარა ნაწილია, თქვენი ცოლი კი ასე მშვენიერია, ასეთი კარგი ადამიანი — ცხვირმა ასე როგორ შეგაწუხათ?" თვითონ ცოლიც რამდენადმე გაღიზიანდა თავისი ცხვირის გამო და ეს ცხვირი ლამის მთელი ცხოვრების პრობლემად იქცა. და ამას ჰგავანან ყველა პრობლემები: ნუ ფიქრობთ, რომ თქვენ უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები გაგაჩნიათ. ყველა ისინი ერთნაირები არიან. პრობლემებს ბავშვურობა და ახალგაზრდობა შობს — მოუმწიფებლობა.

იგი იმდენად შეეწუხებინა ცხვირს, რომ არ უნდოდა ცოლისათვის სახეში შეეხედა, რადგან მაშინვე ღიზიანდებოდა. მაგრამ ეს ვერ გიშველით, თუ ცხვირის გამო ვერ უყურებთ, ე. ი. ისევ გახსოვთ ცხვირი. და ახლა მე ვურჩიე თავისი ცოლის ცხვირზე ემედიტირა. მან მიპასუხა: „როგორ, მე მისი შეხედვაც კი არ შემიძლია". მაგრამ მე ვუთხარი: „ეს გიშველით. საჭიროა მის ცხვირზე მედიტირება. ძველად ჩვეულებრივ საკუთარი ცხვირის წვერზე მედიტირებდნენ, თქვენ კი რა გიშლით? მშვენიერია, სცადეთ". მან იკითხა: „მერე რა უნდა გამოვიდეს აქედან?" — „თქვენ მიდით, სცადეთ,—ვუპასუხე მე — რამდენიმე თვის მერე მოდით და მომიყევით რა გამოვა აქედან. დასვით იგი ყოველდღე და იმედიტირეთ მის ცხვირზე!"

ერთხელ მან მოირბინა და მითხრა „რა სულელი ვიყავი! უცბად გავიაზრე ამაზე. ჩემთვის ცხადი გახდა რა სისულელე იყო ყოველივე. ახლა ეს უკვე არ წარმოადგენს პრობლემას".

მას არ მოუპოვებია გამარჯვება, რადგან სინამდვილეში მტერი არ არსებობდა, ვისი დამარცხებაც საჭირო იქნებოდა, თქვენ არ გყავთ მტერი — აი, რას გასწავლით ტანტრა. მთელი სიცოცხლე სავსეა თქვენდამი სიყვარულით. არ არსებობს არავინ, ვინც უნდა გაანადგუროთ, ვინც უნდა დაიმორჩილოთ. მტრები არ არსებობენ. მთელ არსებობას, მთელ სიცოცხლეს უყვარხართ. ყოველი მხრიდან იღვრება მხოლოდ სიყვარული და არც თქვენს შიგნით არსებობენ მტრები — ისინი გამოიგონეს ქურუმებმა. მათ გადააქციეს ბრძოლის არენად. ისინი ამბობდნენ „ეს საძაგელია, ცუდია, ამოძირკვეთ! ეს [illegible], ამოსაძირკვია!" და მათ იმდენი მტერი შექმნეს, რომ თქვენ გარშემორტყმული ხართ [illegible] ტომ დაგეკარგათ ცხოვრების [illegible].

მე გეუბნებოდით: „წყრომა არ არის თქვენი მტერი: სიძუნწე არ არის თქვენი მტერი. და თანაგრძნობა არ არის თქვენი მეგობარი, ისევე, როგორც სიქველე არ წარმოადგენს მას — რადგან მეგობარი თუ მტერი, ისინი ქმნიან ორმაგობას. ჩაუკვირდით თქვენი არსებობის მთლიანობას და დაინახავთ, რომ ეს ორი, სინამდვილეში არის ერთი. როდესაც მტერი იქცევა მეგობრად, მეგობარი კი ხდება მტერი, მაშინ ჰქრება ყოველგვარი ორმაგობა. ხდება მოულოდნელი ტრანსცენდენცია. თქვენ უეცრად გაიღვიძებთ. უეცრად, რადგან ბრძოლისას თქვენ მიიწევთ ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. ეს კი არ არის ბრძოლა, ტანტრა ბრძოლა კი არა — მეფური გზაა.

ტილოპა ამბობს: „ორმაგობაზე ამაღლება, მიზანია მეფის შესაფერი" — ორმაგობაზე ამაღლება! დააკვირდით და მალე მიხვდებით, რომ არ არსებობს ორმაგობა.

ბოდჰიდჰარმა, ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი, ვინც კი ოდესმე დაბადებულა, ჩინეთში წავიდა, ერთხელ მასთან მეფე მივიდა და უთხრა: „მე ხშირად ძალზე შეწუხებული ვარ. ზოგჯერ ძალზე დაძაბული ვხდები და ვიტანჯები", —ბოდჰიდჰარმამ შეხედა მას და უთხრა: „მოდი ხვალ დილის ოთხ საათზე და თან მოიტანე ყველა შენი საზრუნავები, ყველა შენი ტანჯვები და ტკივილები, ე. ი. დაიმახსოვრე, რომ შენ არ უნდა მოხვიდე მარტო, თან მოიტანე ეს ყველაფერი".

მეფემ შეხედა ბოდჰიდჰარმას, რომელიც ძალზე უცნაურად გამოიყურებოდა, რომელსაც შეეძლო ადამიანი სიკვდილამდე შეეშინებინა. მან თქვა: „მე ვერ გავიგე. ამიხსენი, რას გულისხმობ ამაში?".

ბოდჰიდჰარმამ უპასუხა „თუ ყველაფერს ამას თან არ მოიტან, მაშინ როგორ უნდა მოგეხმარო? მოიტანე ყველაფერი ეს და მე მათ წესრიგში მოვიყვან".

მეფემ იფიქრა: „ჯობია არ მივიდე. დილის ოთხ საათზე ჯერ კიდევ სიბნელე იქნება, იგი კი გიჟივით გამოიყურება. ესეც არ იყოს ხელში უშველებელი ჯოხი უჭირავს, ვინ იცის იქნებ დამარტყას, თანაც რას გულისხმობს იმაში, რომ ყველაფერს წესრიგში მოიყვანს?"

მას მთელი ღამე არ ეძინა. ბოდჰიდჰარმამ არ მოასვენა, იგი სდევნიდა მას. დილას კი მაინც გადაწყვიტა წასულიყო, რადგან — „ვინ იცის იქნებ შეძლოს დახმარება..."

იგი შეშინებით გაუდგა გზას. ბოდჰიდჰარმა თავის კვერთხიანად ტაძრის წინ იჯდა და სიბნე-

ლეში კიდევ უფრო საშინლად გამოიყურებოდა. მან თქვა: „და ასე, შენ მოხვედი! მაგრამ სად არიან დანარჩენები, რომლებიც თან უნდა მოგეყვანა?"

მეფემ უპასუხა: „შენ გამოცანებით მელაპარაკები, ამ საგნების თან ბლება შეუძლებელია, ისინი შიგნით იმყოფებიან".

ბოდჰიდჰარმამ თქვა: „კარგი, შიგნით არიან თუ გარეთ, ისინი არიან. დაჯექი, დახუჭე თვალები და ეცადე დაინახო ისინი. როცა დაინახავ დაიჭირე და მაშინვე მითხარი. ხედავ ჩემს ჯოხს, მე მათ წესრიგში მოვიყვან!"

მეფემ თვალები დახუჭა — სხვა რა უნდა ექნა — მან ცოტა შეშინებულმა თვალები დახუჭა და თავის სიღრმეში ჩაიხედა, მან დაიწყო დაკვირვება და უცბად გააცნობიერა — შიგნით არაფერი არ იყო, არც განგაში, არც მღელვარება, არც ტანჯვა. იგი ღრმა მედიტაციაში ჩაიძირა. გავიდა რამდენიმე საათი, მზე ამოვიდა: იგი კი მშვიდი სახით კვლავ აგრძელებდა ჯდომას.

მაშინ ბოდჰიდჰარმამ უთხრა მას: „გაახილე თვალები, ეს საკმარისია, შეძელი დანარჩენების მონახვა? სად არიან ისინი?"

მეფემ გაიცინა, დაიხარა ბოდჰიდჰარმას ფეხებთან და თქვა: „ჭეშმარიტად, შენ წესრიგში მოიყვანე ისინი, რადგან მე ვერ შევძელი მათი სიღრმეში აღმოჩენა, და ახლა მე ვიცი, როგორც ყოფილა, ყველაფერი დავიწყოთ იმით, რომ შიგნით არავინ არ იყო, ისინი იყვნენ იქ, რადგან მე არასდროს არ ჩამიხედავს ჩემში. ისინი იყვნენ იქ იმიტომ, რომ მე არასდროს ვყოფილვარ მანდ. მე ახლა ვიცი, რომ შენ მოახდინე სასწაული"

ეს არის ტრანსცენდენცია — პრობლემის გადაწყვეტა კი არა, იმის გაგება, არსებობს იგი საერთოდ თუ არა: თქვენ კი ჯერ ქმნით პრობლემას და მერე ცდილობთ გადაწყვიტოთ იგი — ჯერ ქმნით კითხვას, მერე დაზეტიალობთ ქვეყნად და ეძებთ მის პასუხს. ეს მე თვითონ გამოვცადე: თუ თვით კითხვაზე დაკვირვებას დაიწყებთ, კითხვა გაქრება, გაქრება მასზე პასუხის გაცემის აუცილებლობა... დააკვირდით, გააცნობიერეთ თვითონ კითხვა, მაშინ იგი გაქრება — ეს არის ტრანსცენდენცია. ეს არის პრობლემის გადაწყვეტა, რადგან ის კითხვა, რომლის პასუხს, რომლის გადაწყვეტასაც თქვენ ცდილობდით, სინამდვილეში არ არსებობს. თქვენში არ არის არავითარი ავადმყოფობა და მაშინ რა საჭიროა ეძებდეთ გადაწყვეტილებას?

თითოეული ადამიანი სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს, ყოველი ადამიანი მეფედ იბადება. თქვენში უკვე არის ყველაფერი, რაც საჭიროა თქვენთვის, ამიტომ არ არის აუცილებლობა, რამე გამოასწოროთ. ისინი, ვინც თქვენს გაკეთილშობილებას ცდილობენ, სინამდვილეში განადგურებენ თქვენ. ისინი პიროტებას ჩადიან. მრავალი ადამიანია ჩასაფრებული თქვენზე, როგორც თაგვებზე დადარაჯებული კატები, ისინი გელიან, ისინი ელოდებიან თქვენს გამოჩენას, რათა მაშინვე გეცნენ და გაუწყონ თქვენი გამოსწორება. ირგვლივ უამრავი რეფორმატორია, ყველას სურს თქვენი გამოსწორება — აი, რატომ იმყოფება მსოფლიო ასეთ ქაოსში.

ბიბლიოთეკა

ნუ მისცემთ თავს ნურავის
გამოსასწორებლად.
თქვენ უკვე სრულყოფილი ხართ.
მხოლოდ ალფა კი არა, ომეგაც:
თქვენ ხართ მთლიანობა,
სრულყოფილება

თუნდაც გრძნობდეთ, რომ სრულყოფილი არ ხართ, ტანტრა ამბობს, რომ ეს არასრულყოფილებაც სრულქმნილებაა. ნუ სწუხართ ამაზე. იქნებ უცნაური გეჩვენებათ, როცა ვამბობთ, რომ თქვენი არასრულყოფილება სრულქმნილებაა, რომ ყველაფერი საკმარისადაა. ფაქტიურად თქვენ იმიტომ კი არ ჩანხართ არასრულყოფილები, რომ მართლა არასრულყოფილები ხართ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ წარმოადგენთ მზარდ სრულქმნილებას. ეს აბსურდი და არალოგიკური გეჩვენება, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ სრულქმნილებას არ შეუძლია ზრდა, რადგან სრულქმნილების ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ რაღაცას, რამაც თავის ბოლო სტადიას მიაღწია. მაგრამ ასეთი სრულქმნილება მკვდარია. სრულქმნილება, რომელსაც ზრდა არ შეუძლია, მკვდარია.

ღმერთი უსასრულოდ იზრდება. ღმერთი სრულყოფილია არა იმ აზრით, რომ იგი არ ვითარდება, რომ იგი უკვე არის კულმინაცია. ღმერთი სრულყოფილია იმიტომ, რომ მასში არის ყველაფერი, რაც საჭიროა, მაგრამ იგი ერთი სრულყოფილებიდან მეორეში მიედინება — მიმდინარეობს განუწყვეტელი განვითარება. ღმერთი — ეს არის ევოლუცია; მაგრამ არა დინება არასრულყოფილებიდან სრულყოფილებაში, არამედ ერთი სრულყოფილებიდან მეორე, უფრო დიდ სრულყოფილებაში გადასვლა.

როდესაც სრულყოფილებას მომავალი არ გააჩნია, იგი მკვდარია. როდესაც სრულყოფილებას მომავალი გააჩნია, ზრდის რაღაც პერსპექტივა, მოძრაობა, მაშინ იგი არასრულყოფილი ჩანს. მე მინდა შემდეგი გითხრათ: იყავით არასრულქმნილები და იზარდეთ, რადგან ეს არის სიცოცხლე. ნუ ცდილობთ იყოთ სრულქმნილები რადგან მაშინ თქვენი ზრდა შეწყდება. მაშინ თქვენ დაემსგავსებით ბუდას ქანდაკებას, გაქვავებულს, მკვდარს.

იმის გამო, რომ სრულყოფილება შეუდმავად იზრდება, თქვენ იგი არასრულყოფილებად გეჩვენებათ. დიახ, ასეთი იყოს ყველაფერი, როგორც

არის იგი. დართეთ ყველაფერს ნება, იყოს ისეთი როგორიცაა. ეს არის მეფეთა გზა.

ორმაგობაზე ამაღლება, მიზანია მეფის შესაფერი:

**დაბნეულობის დაძლევა — მეფის შესაფერი საქციელია, თქვენ ძალზე დაფანტულები ხართ და ამის გამო შეცნობის სიცხადე ბევრჯერ დაგიკარგავთ. აი ჭდებით მედიტირებისათვის, უცბად მოდის აზრი და თქვენ მაშინვე გაგიწყდებათ; თქვენ მიჰყვებით აზრს, ერთვებით მასში. ტანტრა ამბობს, რომ უნდა დაეძლიოთ მხოლოდ ერთი რამ — დაფანტულობა.**

როგორ მოვიქცეთ? აუცილებელია მხოლოდ ერთი რამე: როდესაც მოდის აზრი, თქვენ უნდა დარჩეთ მოწმედ. უყურეთ, დააკვირდით მას. ნება მიეცით გაიაროს თქვენში, მაგრამ ნუ მიებმებით, ნუ გაიგივდებით მასთან. ნურც ეწინააღმდეგებით, ნურც ღებულობთ. შეიძლება ცუდი აზრი მოვიდეს, ვინმეს მოკვლის აზრი — ნუ შეეწინააღმდეგებით მას და ნუ იტყვით: „ეს ცუდი აზრია", თუ იწყებთ აზრების შეფასებას, რადგან ეს გამოიწვევს თქვენს მასში ჩათრევას, თქვენი ყურადღების გაფანტვას. ეს აზრი თავს მოგახვევთ სხვა აზრებს და თქვენ იწყებთ აზრიდან აზრზე ხტომას. როდესაც კარგი აზრი მოვა — აზრი თანაგრძნობაზე, ნუ იტყვით: „აჰა ეს მშვენიერია! მე დიდი წმინდანი ვარ. ჩემთან ისეთი კარგი აზრები მოდიან, რომ მე მსურს მსოფლიო ვიხსნა, მე მსურს ყველას განთავისუფლება". ნუ იტყვით ამას კარგი აზრია თუ ცუდი აზრია, თქვენთვის საჭიროა დარჩეთ მხოლოდ მოწმეებად.

მაგრამ თავიდან ყურადღება ძალიან ხშირად გაგეფანტებათ. რა ვქნათ? თუ გონებადაფანტულები ხართ — იყავით, ნუ სწუხართ ამაზე, რადგან წუხილი შეიძლება გექცეთ აკვიატებულ იდეად. იყავით დაბნეულნი! რამდენიმე წუთის განმავლობაში გონებადაფანტული იქნებით. შემდეგ კი გაიხსენეთ: „მე გონებადაფანტული ვარ". მაშინ ამას არა უშავს, თქვენ გაგახსენდათ. ნუ დაღონდებით ამის გამო და ნუ იტყვით: „რა ცუდია, მე ისევ დამეფანტა გონება, მე ისევ დავივიწყე". ეს ორმაგობას შექმნის — ცუდს და კარგს. გონებადაფანტული ხართ — ეს მშვენიერია, მიიღეთ ეს და დაბრუნდით, გაიხსენეთ. მთავარია, რომ ამ გონებადაფანტულობამ კონფლიქტი არ შეგიქმნათ.

ამას გამუდმებით იმეორებს კრიშნამურტი. იგი იყენებს მეტად პარადოქსულ ცნებებს. იგი ამბობს — თუ უყურადღებო ხართ, იყავით უყურადღებო ყურადღებიანად. მშვენიერია! უეცრად თქვენ აღმოაჩენთ, რომ უყურადღებოდ ხართ. მოეპყარით ამ უყურადღებობას ყურადღებით, გაიხსენეთ და დაბრუნდით სახლში. კრიშნამურტის ვერ გებულობენ და მიზეზი ის არის, რომ იგი მეფური გზის მიმდევარია. იგი რომ იოგი ყოფილიყო, მაშინ ადვილად გაუგებდნენ მას. აი, რატომ ამბობს იგი, რომ არ არსებობს საშუალება — მეფურ გზაზე არ არსებობს არავითარი საშუალება. იგი ამბობს, რომ მეფის გზაზე არ არსებობს არავითარი ტექნიკა, რომ საღვთო წიგნები ვერ გიშველიან. იგი ამბობს, რომ მეფურ გზას არც წერილები გააჩნია.

გონებადაფანტული ხართ, არა? — როგორც კი მოიკრიბეთ ყურადღება, როგორც კი გაგახსენდათ, რომ გონებადაფანტული ხართ, დაბრუნდით! ეს არის მთელი ფილოსოფია! ნუ შექმნით კონფლიქტებს. ნუ იტყვით, რომ ეს ცუდია. ნუ იგრძნობთ თავს დამნაშავედ და იმედგაცრუებულად იმის გამო, რომ ყურადღება დაგეკარგათ. დაბრუნებულობაში არაფერია ცუდი, საჭიროა დატკბეთ ამით, ესეც სასიამოვნოა.

თუ შეძლებთ ამ დაბნეულობით სიამოვნებას, მაშინ იგი დაიშვიათდება და ერთხელაც იქნება, საერთოდ გაქრება — მაგრამ ეს არ არის გამარჯვება. თქვენ გონების დაბნეულობისადმი მიდრეკილება ღრმა ქვეცნობიერში არ შეგიტანიათ. არა, თქვენ ნება მიეცით მას. თქვენ იგი სიამოვნებით აღიარეთ, მიიღეთ.

ასეთია ტანტრას გონება — ყველაფერი კარგია, წმინდა. თუნდაც გონებადაფანტულობა, ისიც კარგია, ისიც რაღაცისთვის საჭიროა. იქნებ თქვენ ვერ აცნობიერებთ, რისთვის, მაგრამ იგი რაღაცისთვის აუცილებელია. მეფური გზის მიმდევარი მხოლოდ მაშინ ხართ, თუ ყველა სიტუაციაში, კარგი მოაქვს მას თუ ცუდი, კარგად გრძნობთ თავს. თუ ბრძოლა დაიწყეთ, თუ ებრძვით და ეწინააღმდეგებით რაღაცას, ეს ნიშნავს, რომ თქვენ აცდით, გადაუხვიეთ ამ გზიდან; თქვენ მეფე კი არა, უკვე რიგითი ჯარისკაცი, ჩვეულებრივი მებრძოლი ხართ.

ორმაგობაზე ამაღლება — მიზანია მეფის
შესაფერი.
დაბნეულობის დაძლევა — საქციელია
მეფის შესაფერი.
უქმობის გზაა ყველა ბუდას გზა.

საჭირო არაა ივარჯიშოთ რამეში, რადგან პრაქტიკა ჩვევებს შეგიქმნით. საჭიროა გახდეთ მეტად ცნობიერი (გაცნობიერებული) და არა უფრო გავარჯიშებული. მშვენიერი, სპონტანურობის გზით შეგემთხვათ და არა პრაქტიკით. შესაძლებელია ივარჯიშოთ სიყვარულში, შესაძლებელია ხელოვნური კურსების გავლა. ამერიკაში ცდილობენ ასეთი კურსების შექმნას, სადაც სიყვარულის მწვრთნელები ეყოლებათ და მსურველები ივარჯიშებენ სიყვარულში, რადგან ადამიანებს დაავიწყდათ როგორია შესაძლებელი შეყვარება. ეს საშინელებაა. ფრინველები, ხეები და მხეცები, ისინი არავის არ ეკითხებიან, ისინი კოლეჯებში არ დადიან და მაინც, შეუძ-

ლიათ შეყვარება. ჩემთან კი მრავალი მოდის და...

რამდენიმე დღის წინ წერილი მივიღე ერთი ახალგაზრდა ადამიანისაგან; იგი წერს: „მე მეშინის... მაგრამ როგორ შეიძლება შეყვარება? როგორ მივუდგე ამას? რანაირად დავუახლოვდე ქალს?" ეს თითქოსდა სასაცილოა, მაგრამ ჩვენ მთლიანად დაგვავიწყდა, როგორ უნდა მოვიქცეთ ბუნებრივად და აშვებულად. ჩვენ სიყვარულიც კი არ შეგვიძლია მოუმზადებლად. და როდესაც გავარჯიშებული ხართ, თქვენ საძაგლად გამოიყურებით, რადგან ყველაფერი, რასაც თქვენ ჩადიხართ, მომზადების ნაწილია. ეს რეალობა კი არა თამაში იქნება. ეს არ იქნება ნამდვილი ცხოვრება, თქვენ იქცევით მსახიობებად.

მსახიობები გამოხატავენ, თამაშობენ სიყვარულს, მაგრამ თუ დაკვირვებიხართ, რომ ისინი სიყვარულში ყველაზე მეტად უიღბლონი არიან? მათი სასიყვარულო ცხოვრება თითქმის ყოველთვის უიღბლოა. ეს თითქოს არ უნდა ყოფილიყო ასე, რადგან 24-საათის განმავლობაში ისინი ვარჯიშობენ სიყვარულს. მრავალ ქალთან, სხვადასხვა სიტუაციაში, სხვადასხვა საშუალებებით ისინი ვარჯიშობენ ამას. ისინი პროფესიონალი საყვარლები არიან და თითქოს სიყვარული ადვილი უნდა ყოფილიყო მათთვის — მაგრამ სიყვარულში ისინი მუდამ უიღბლობას განიცდიან.

და რატომ ხდება ასე? მიზეზი ვარჯიშია, ისინი ძალიან ბევრს ვარჯიშობენ და ახლა მათ გულს არ შეუძლია ფუნქციონირება. ისინი აკეთებენ ამ მოძრაობებს, იკოცნებიან, მაგრამ ეს არ არის კოცნა. ეს მხოლოდ ტუჩების შეხვედრაა. მათი ტუჩები იკოცნებიან, მაგრამ არ არის კოცნა, ეს მხოლოდ ტუჩების ცივი შეხვედრაა. ამ დროს არ ხდება შინაგანი ენერგიის გადაცემა; მათი ტუჩები მოკუმული და ცივია. და თუ ბაგეები მოკუმული და ცივია, მათი საშუალებით თუ ენერგია არ გამოთავისუფლდა, მაშინ ეს კოცნა იქცევა მახინჯობად, არაჰიგიენურ მოვლენად. ეს მაშინ მხოლოდ ნერწყვით მიკრობის, ბაქტერიის და ავადმყოფობის გადაცემაა — არაფერი სხვა. კოცნა საზიზღრობაა, თუ მასში არ არის შინაგანი ენერგია. ერთმანეთს ხვდებიან ძვლები, ერთმანეთს ეხებიან სხეულები — ასე შესაძლებელია ქალის და კაცის მოტყუება, მაგრამ ამ დროს არ ხდება შინაგანი ენერგიის ძვრა, ამ დროს არც კი არსებობს არავითარი ენერგია, თქვენ მხოლოდ უმიზნო მოძრაობებს აკეთებთ და ეს ტანვარჯიში უფროა, ვიდრე სიყვარული.

დაიმახსოვრეთ: ჩვევა კლავს სიცოცხლეს, ცხოვრებას. ცხოვრება უფრო ცოცხალია, როდესაც იგი არ გამოდის ჩვევისაგან, როდესაც იგი ყველა მიმართულებით მიედინება, რომელიმე ნიმუშებით და დისციპლინით შეუზღუდავად. მაშინ მას თავისი საკუთარი სიმწყობრე და წესრიგი გააჩნია.

შაბლონის გარეშე ცხოვრება — ეს არის ძველი ბუდას გზა.

ყველა ამ გზაზე მდგარი მიაღწევს ბუდას მდგომარეობას.

რა ვქნათ? თუ ჩვევების გარეშე უნდა ვიცხოვროთ, მაშინ რაღა უნდა ვქნათ? — არაფერი, ვიცხოვროთ უბრალოდ, სპონტანურად. რისი გეშინოდეს? რატომ გგონიათ, რომ სპონტანური ცხოვრება საშიშია? რა თქმა უნდა, ეს იქნეს სარისკო და სახიფათოც — მაგრამ ეს მშვენიერია! ცხოვრება რკინიგზის ხაზი კი არაა, რომელზეც მატარებლები დადიან და რომლებიც ამავე ხაზზე მანევრირებენ. ცხოვრება — მდინარეა; იგი თვითონვე ქმნის თავის საკუთარ კალაპოტს; ეს არხი არაა. არხი ცუდია. არხი ჩვევებით ცხოვრებას ჰგავს. ხიფათი არსებობს, მაგრამ ხიფათია თვით ეს ცხოვრება. ხიფათი განუყოფელია ცხოვრებისაგან. უხიფათოდ მხოლოდ მკვდრები არსებობენ და ამიტომ ჩაკვდნენ ადამიანები ამდენად.

თქვენი სახლები საფლავებს ჰგვანან. თქვენ ძალზე ჩაეყვინთეთ უშიშრად ცხოვრებას. უშიშროებაზე ზრუნვა კი კლავს, რადგან არასაიმედოა თვითონ ცხოვრება. სწორედ ახლა! შეუძლებელია რამე გააწყოთ ამასთან, არავის არ შეუძლია ხიფათის ამოცლა ცხოვრებიდან.

ყოველგვარი გარანტიები ყალბია, ყველანაირი უშიშროება ილუზორულია. დღეს უყვარხართ ქალს და ვინ იცის ხვალ ეყვარებით თუ არა? ვინ იცის, რა იქნება ხვალ? შესაძლებელია სასამართლოში წასვლა, ხელისმოწერა, კანონიერი ქორწინების გაფორმება, რათა ქალი ხვალაც დარჩეს თქვენთან. იქნებ იგი ამ კანონის გამო დარჩეს თქვენთან, მაგრამ სიყვარული შეიძლება გაქრეს, რადგან სიყვარულმა არ იცის კანონიერება. და როდესაც სიყვარული ქრება და ცოლი ისევ ცოლად რჩება და ქმარი ქმრად, მაშინ მათ შორის ყველაფერი მკვდარია.

გარანტიისათვის ჩვენ ვქმნით ქორწინებას. უშიშროებისათვის ვქმნით საზოგადოებას. უშიშროების ხელისათვის ყოველთვის ვადგებით უკვე გაკვალულ გზას.

სიცოცხლე ველურია,
სიყვარული ველურია,
და ღმერთი აბსოლუტურად ველურია.

ის არასდროს არ ეწვევა თქვენს ეზო-ბაღებს, რადგან ისინი ძალზე ადამიანურნი არიან. იგი არასდროს არ შემოვა თქვენს სახლებში, რადგან ისინი ძალზე პატარები არიან. მას ვერ შეხვდებით თქვენს გაკვალულ გზებზე. იგი მოუთვინიერებელია.

გახსოვდეთ, ტანტრა ამბობს, რომ სიცოცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეში არ არსებობს გარანტია. საჭიროა ხიფათთაბის მიღება და ეს მშვენიერია, მაშინ სიცოცხლე თავგადასავალი ხდება. ნუ ცხოვრობთ წინასწარ დადგენილი ნიმუშებით. დაანებეთ ცხოვრებას თავის კალაპოტით დენა. მიიღეთ ყველაფერი; ამაღლდით ორმაგობაზე; ამაღლდით შიდების გზით, მიუშვით, დაე, თავის გზაზე იდინოს ყველაფერმა — და თქვენ მიაღწევთ აუცილებლად. მე ვამბობ „აუცილებლად" არა თქვენს დასამშვიდებლად, ეს ფაქტია და იმიტომ ვამტკიცებ ამას. ეს არ არის გარანტია, ისინი ვინც ვერაფერის მიღწევას ვერ ახერხებენ, ყოველთვის აღწევენ ამას.

> წარმავალია ეს ქვეყანა: ვით აჩრდილები
> და სიზმრები
> იგი არაა მატერიალური.
> განდექი მისგან და მიატოვე ახლობლები;
> დათრგუნე აჯხორცობა და სიძულვილი!
> იმედიტირე ტყეებსა და მთებში.
>
> და ძალდატანების გარეშე
> რჩები აშვებული და ბუნებრივი,
> მალე მიაღწევ მაჰამუდრას,
> მიაღწევ მიუღწეველს.

საჭიროა ამ სუტრის ღრმად ჩაწვდომა, რადგან შესაძლებელია მისი არასწორად გაგება. ტილოპას სწორედ ამ სუტრამ მრავალი გაუგებრობა გამოიწვია. ვერც ერთი, ვინც ამას ჩემამდე განმარტავდა, ვერ მიხვდა სუტრის არსს. სუტრა ამბობს „წარმავალია ეს ქვეყანა". — ეს ქვეყანა შექმნილია იმავე სუბსტანციიდან, რომლისგანაც სიზმრები შედგება. სიზმრებსა და ამ წუთისოფელს შორის არ არსებობს არავითარი განსხვავება. თქვენ ცხოვრობთ როგორც სიზმარში, თქვენივე ზმანებების სამყაროში. იცოდეთ, რომ არ არსებობს ერთი სამყარო, სამყარო იმდენია, რამდენიც თქვენ ხართ, [illegible] ადამიანს თავისი სამყარო გააჩნია, [illegible] თქვენი სამყაროები ერთმანეთს ხვდებიან [illegible], მაგრამ [illegible] ჩვენს სამყაროებს [illegible]ტილები.

წარმავალია ეს ქვეყანა, გონების შექმნილი.

როგორც აჩრდილები და სიზმრები, იგი არამატერიალურია. ფიზიკოსები ამბობენ, რომ მას არ გააჩნია სუბსტანცია. ბოლო 30-40 წლის მანძილზე, სიტყვა „მატერია" გაქრა ფიზიკოსების ლექსიკონებიდან. 70-75 წლის წინათ ნიცშემ თქვა — „ღმერთი მკვდარია". მან ეს თქვა იმის ხაზგასასმელად, რომ არსებობს მხოლოდ მატერია. ნიცშეს სიკვდილიდან 25 წლის შემდეგ (იგი 1900 წელს გარდაიცვალა) — 1925 წელს ფიზიკოსები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით ღმერთზე, მაგრამ შეთანხმდნენ ერთში, [illegible] მატერია მკვდარია.

ჩვენ [illegible] არსებობს არაფერი მატერიალური. ყველაფერი ეს მხოლოდ ვიბრაციაა; ვიბრაციათა გადაკვეთა ქმნის მატერიის ილუზიას.

იგივე ხდება კინოშიც: ეკრანზე [illegible] არაფერია, იქ მარტო ელექტრონებები ციმციმებიან და ისინი ქმნიან მთელ ამ ილუზიას. [illegible] უკვე არსებობენ სამ განზომილებიანი ფილმები და ისინი სამი განზომილების სრულ ილუზიას ქმნიან. მთელი სამყაროც ამგვარ ფილმს ეკრანზე, რადგან იგი ელექტრონული მოვლენაა. მხოლოდ თქვენ ხართ რეალური, მხოლოდ თქვენ — მოწმე. ყველაფერი დანარჩენი კი სიზმარია. ბუდას მდგომარეობა ნიშნავს, რომ თქვენ გადალახეთ მთელი ეს სიზმრები და აწლა დასანახი არაფერია, მხოლოდ მაყურებელი ზის მშვიდად. აწლა საცქერალი არაფერია, არაფერია დასანახი, მხოლოდ მაყურებელი დარჩა — მაშინ თქვენ მიაღწევთ ბუდას მდგომარეობას, რეალობას.

> წარმავალია ეს ქვეყანა:
> ვით აჩრდილები და სიზმრები, იგი
> არამატერიალურია.
> განდექი მისგან და მიატოვე ახლობლები...

ეს სიტყვები — განდექი მისგან და მიატოვე ახლობლები, არასწორად იყო გაგებული. ეს იმით აიხსნება, რომ ყველა ისინი ვინც განუდგნენ ამ ცხოვრებას, თვლიან, რომ ტილოპა ადასტურებს მათ შეხედულებას. შეუძლებელია ტილოპას რამე მსგავსი ეთქვა, რადგან ეს ეწინააღმდეგება მის აზრთა მსვლელობას. თუ ყველაფერი სიზმარია, რა აზრი აქვს მაშინ მათგან განდგომას? შესაძლებელია განდგომა მატერიალური სამყაროსაგან, მაგრამ შეუძლებელია განდგომა აჩრდილთა სამყაროსაგან. აძვერით დილას საწოლიდან, მოუხმეთ ყველას ირგვლივ და განაცხადეთ: მე უნდა განვდგე სიზმრებისაგან! ღამე მე ვნახე მრავალი სიზმარი და ახლა მე ვაპირებ განდგომას მათგან! ყველანი სიცილს დაგაყრიან და იფიქრებენ, რომ თქვენ გაგიჟდით — შეუძლებელია სიზმრებიდან განდგომა, შესაძლებელია მხოლოდ გამოღვიძება მათგან.

ერთხელ ძენის ერთმა მასწავლებელმა გაიღვიძა დილას და თავის ერთ-ერთ მოწაფეს უთხრა: „წუხელ სიზმარი ვნახე, ვერ განმიმარტავ მის მნიშვნელობას?" მოწაფემ უპასუხა: „დამიცადე, ჯერ ფინჯანი ჩაი მოგიტანო". მასწავლებელმა ჩაი გამოართვა და ისევ მიუბრუნდა: „და რა ვუყოთ სიზმარს?" მოსწავლემ მიუგო: „დაივიწყე იგი, რადგან სიზმარი მხოლოდ სიზმარია და არ საჭიროებს ახსნა-განმარტებას. ფინჯანი ყავა საკმარისი განმარტებაა — გაიღვიძე!"

მასწავლებელმა თქვა „შენ აბსოლუტურად სწორი ხარ! შენ რომ ამ სიზმრის ახსნა დაგეწყო, მე გაგაძევებდი მონასტრიდან, რადგან სიზმრებს მხოლოდ ბრიყვები ხსნიან. შენ სწორად მოიქ-

ცი, სხვანაირად მე გავაძევებდი და არც მოვიშვებდი არასდროს".

როდესაც სიზმარში ხართ, საჭიროა ფინჯანი ჩაი მისგან განთავისუფლებლად. ფროიდი, იუნგი, ადლერი საშინლად განაწყენდებოდნენ, ეს ახლა რომ მოესმინათ, რადგან მათ ამაოდ შეალიეს თავიანთი ცხოვრებანი სხვათა სიზმრების ახსნას. საჭიროა სიზმრების გადალახვა. უბრალოდ იმის ცოდნით, რომ ეს სიზმარია, თქვენ გადალახავთ იგი. და ეს იქნება განდგომა.

ტილოპას არასწორად გებულობდნენ, რადგან ქვეყნად ამდენი განდეგილი და გამკიცხავია. ისინი თვლიდნენ, რომ ტილოპა მოითხოვდა ქვეყნიდან განდგომას. მაგრამ ტილოპას არაფერი ასეთი არ უთქვამს. იგი ამბობდა: „იცოდეთ, რომ ქვეყანა წარმავალია, და ეს არის განდგომა". „განდექი მისგან" — ამბობს იგი და გულისხმობს, რომ იგი ოცნებაა, სიზმარია.

„მიატოვეთ ახლობლები" — ფიქრობდნენ, რომ იგი ამბობდა „დაავდეთ ოჯახი, მიატოვეთ ნათესავები, მამა, დედა, შვილები". არა, მან მსგავსიც არაფერი უთქვამს, შეუძლებელია ტილოპას ასეთი რამე ეთქვა. იგი ამბობს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ შინაგან დამოკიდებულებებზე ადამიანებთან. თქვენ არ უნდა თვლიდეთ, რომ ვიღაცა — თქვენი ცოლია. ეს „თქვენი" ზმანება, სიზმარია. თქვენ არ უნდა ამბობდეთ — „ეს ბავშვი ჩემი შვილია". ეს „ჩემი" ისევ სიზმარია, არავინ არ არის თქვენი, შეუძლებელია ვინმე თქვენი იყოს. უარი თქვით ამ აზრზე, რომ ვიღაცა წარმოადგენს თქვენსას — ქმარი, ცოლი, მეგობარი, მტერი; განდექით ამგვარი დამოკიდებულებისაგან, ნუ შექმნით ხიდებს — ჩემი, შენი — ეს მხოლოდ სიტყვებია, მოეშვით ამას.

როგორც კი მიხვდებით ამ სიტყვების ამაოებას, თქვენ მაშინვე განდგებით ახლობლებისაგან, არავინ უკვე „თქვენი" არ იქნება. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ მიატოვეთ, გარბიხართ თქვენი ცოლისაგან, რადგან გაქცევა ნიშნავს, რომ თქვენ მატერიალურად თვლით მას. გაქცევა ნიშნავს, რომ თქვენ მას თქვენად თვლით და თუ არა, მაშინ რატომღა მირბიხართ?

ერთხელ ინდოელი სანიასინი სვამი რამბერტი ამერიკიდან დაბრუნდა. იგი ჰიმალაებში ცხოვრობდა: ამის შემდეგ მას ცოლი ესტუმრა და მისმა ვიზიტმა იგი რამდენადმე აღელვა. მისი მოწაფე სორდარ პური სინგხი მის გვერდით იჯდა და ამ სცენას აკვირდებოდა. მან შეამჩნია რამბერტის აღელვება. როდესაც ცოლი წავიდა, რამბერტმა უცბად გაიძრო თავისი ყვითელი ტანსაცმელი. პური სინგხმა ჰკითხა — „რაშია საქმე? მე გაკვირდებოდი და შევატყვეთ თქვენ აღელვებული ხართ. თქვენ რაღაცა მოგივიდათ".

მან უპასუხა: „აი, რატომ ვიხდი ამ ტანსაცმელს. ამდენი ქალი ვნახე და არასდროს არ ავღელვებულვარ. ამ ქალში არაფერია განსაკუთრებული, იმის გარდა, რომ იგი ჩემი ცოლია და ეს „ჩემი" ისევ არსებობს. ამიტომ მე არა ვარ ღირსი, რომ ეს ტანსაცმელი ვატარო. მე ვერ განვდექი ამ „ჩემისაგან". მე უარი ვთქვი ცოლზე, მაგრამ ცოლი არაა [illegible] მე შემოვიარე მთელი მსოფლიო და [illegible] არ ავუღელვებივარ, ახლა კი მოდის ჩემი ცოლი — იგი ისეთივე ჩვეულებრივი ქალია, როგორც ყველა სხვა და მე ვღელავ. ხიდი კვლავ არსებობს. იგი ჩვეულებრივ ტანსაცმელში გარდაიცვალა. ამის მერე მას არ უტარებია ყვითელი ტანისამოსი. იგი ამბობდა: „მე ღირსი არა ვარ".

ტილოპა არ გეუბნებათ, რომ თქვენ უნდა გაიქცეთ ცოლის, შვილებისა და ახლობლებისაგან. არა, იგი ამბობს, რომ თქვენ უარი უნდა თქვათ ამ ხიდებზე. ეს მხოლოდ თქვენ გეხებათ. ამას არ აქვს არავითარი კავშირი ცოლთან. თუ იგი კვლავ თვლის, რომ თქვენ მისი ქმარი ხართ — ეს მისი პრობლემაა. ეს არ არის თქვენი პრობლემა. თუ შვილი ფიქრობს, რომ თქვენ მამამისი ხართ — ეს მისი პრობლემაა, იგი ბავშვია, იგი ჯერ ვერ მომწიფებულა.

ე. ი. მე გეუბნებით თქვენ, რომ ტილოპა გულისხმობს შინაგან ოცნებებზე უარის თქმას.

...იმედიტირე ტყეებსა და მთებში.

იგი ტყედ გავარდნას კი არ მოგიწოდებთ, როგორც განმარტავდნენ ამას და შედეგად ის მოყვა, რომ მრავალმა მიატოვა ცოლი, შვილები, და მთებს შეეხიზნა — რაც აბსოლუტურად გაუმართლებელია. ის, რასაც ტილოპა ამბობს, გაცილებით ღრმაა, შესაძლებელია მთებში გაქცევა და იმავე დროს ბაზარში დარჩენა. მთელი საკითხი თქვენს გონებაშია. შესაძლოა მთებში გაიქცეთ და ფიქრით კი ბაზარში იყოთ, — ცოლ-შვილთან, მათ საზრუნავებთან.

ერთხელ ვიღაცამ ოჯახი, ცოლი და შვილები მიატოვა და ტილოპასთან მივიდა, რათა სანიასას ზიარებოდა მასთან. ტილოპა იმ დროს ქალაქგარეთ მონასტერში ცხოვრობდა. ეს კაცი მარტო მივიდა და ტილოპაც მონასტერში მარტო იჯდა. მან მოიხედა და თქვა: „კარგია, რომ მოხვედი, მაგრამ ეს ბრბო რად მოგიყვანია?" იმ კაცმა მიმოიხედა და ვერავინ ვერ დაინახა. ტილოპამ უთხრა: „ნუ იხედები უკან, ეს ბრბო შიგნითაა, შენშია". ადამიანმა თვალები დახუჭა და ბრბო დაინახა: ცოლი ჯერაც ტიროდა, ბავშვები ღრიალებდნენ; აქვე იყვნენ ყველანი, ვინც იგი ქალაქის ჭიშკართან გამოაცილა — მეგობრები, ნათესავები, და კიდევ სხვები — ეს მათი ბრბო იყო აქ. ტილოპამ უთხრა: „წადი და დატოვე ეს ყრილობა! მე ვაზიარებ ადამიანებს და არა ყრილობას".

არა, ტილოპას არ შეუძლია მოგიწოდოთ ქვეყნიდან გაქცევა და მთებში წასვლა. იგი სულელი როდია. ის არ გულისხმობს ამას — იგი

მღვიძარეა. იგი გულისხმობს შემდეგს: „თუ თქვენ განდგებით არა ნათესავებისაგან, არამედ განთავისუფლდებით სიზმრების, ხიდების და დამოკიდებულებებისაგან თუ განთავისუფლდებით გონებისაგან, მოულოდნელად ტყეებსა და მთებში აღმოჩნდებით. იქნებ ბაზარში იჯდეთ — ბაზარი გაქრება. თუ საკუთარ სახლში ზიხართ — სახლი გაქრება. თქვენ ტყეებსა და მთებში აღმოჩნდებით უეცრად, თქვენ დარჩებით მარტო,ირგვლივ არავინ არ იქნება.

შესაძლებელია ბრბოში იყოთ და იყოთ მარტო, შესაძლებელია მარტო იყოთ და ბრბო გერტყათ გარს. შესაძლებელია იყოთ ქვეყნად და არ იყოთ ქვეყნისაგან. შესაძლოა ტყეებსა და მთებში იყოთ და ცხოვრობდეთ ქვეყნად.

ეს შინაგანი მოვლენაა. ეს ტყეები და მთები იქ არის, თქვენს შიგნითაა. ტილოპა არ ლაპარაკობს გარეგან მთებზე, რადგან ისინიც მხოლოდ ზმანებებია. ჰიმალაებიც მხოლოდ ქარია და ჩვენებაა, როგორც ბაზარი პუნაში, რადგან ჰიმალაებიც და ბაზარიც მხოლოდ გარეგანი მოვლენებია. ჩვენებას წარმოადგენენ ტყეებიც. საჭიროა შიგნით ჩაზიდვა — რეალობა იქაა. საჭიროა საკუთარი სიღრმისაკენ მოძრაობა, საკუთარი არსების სიღრმეში ჩაძირვა. მაშინ თქვენ ნახავთ ნამდვილ ჰიმალაებს, მაშინ თქვენ ნახავთ თქვენივე არსების ტყეთა შრიალს, პიკებს და დაბლობებს. თქვენი არსების მწვერვალებს და უძიროობას, ტილოპა გულისხმობს სწორედ ამას.

თუ ძალდატანების გარეშე,
რჩები აშვებული და ბუნებრივი...

იგი გულისხმობს ამას, მას ეს აქვს მხედველობაში, რადგან იგი ბუნებრიობის და აშვებულობის მომხრეა. ცოლისა და შვილებისაგან გაქცევა არაბუნებრივია, ეს არაა თავისუფლება. ადამიანი, ვინც ცოლ-შვილს, მეგობრებს და ქვეყანას გაექცევა, დამაბული ხდება, მას არ შეუძლია თავისუფლება. თვითონ განდგომის მცდელობა ქმნის დაძაბულობას.

ბუნებრიობა ნიშნავს — იყოთ იქ, სადაც ხართ. იყოთ ბუნებრივი, ნიშნავს, სადაც აღმოჩნდით, იქ ყოფნას. თუ ქმარი ხართ, კარგია; თუ ცოლი — მშვენიერია; თუ დედა ხართ, სწორია — ასეც უნდა იყოს. მიიღეთ — რაც ხართ, სადაც ხართ, და რაც შეგემთხვევათ. მხოლოდ მაშინ შეძლებთ იყოთ ბუნებრივი და თავისუფალი, სხვანაირად ეს შეუძლებელია. თქვენი ე. წ. ბერები, (სანიასინები) ისინი, ვინც გაიქცნენ ცხოვრებიდან, არსებითად ლაჩრები არიან, თავიანთ მონასტრებში მჯდომარეები. ისინი არ არიან ბუნებრივნი და აშვებულნი. ისინი შებორკილები უნდა იყონ, ისინი მოიქცნენ არაბუნებრივად. ისინი დინების წინააღმდეგ წავიდნენ.

დიან. ზოგისთვის ეს შეიძლება ბუნებრივი იყოს. მე არ ვამბობ, რომ თქვენ ძალით უნდა მიეკედლოთ ბაზარს, რადგან ეს მეორე უკიდურესობა იქნება, მაშინ თქვენ იმავე ხაზის ხიბრიუჯებ ჩადიხართ.

ზოგიერთისათვის შესაძლოა აბსოლუტურად ბუნებრივი იყოს მონასტერში ცხოვრება. მაშინ მონასტერი კარგია. სხვებისთვის იქნებ მთებში ხეტიალი იყოს ბუნებრივი მდგომარეობა, მათთვის საჭიროა მთებში ყოფნა. კრიტერიუმი ბუნებრიობა და თავისუფლებაა, თუ ბაზარში ხართ ბუნებრივი — მშვენიერია, რადგან ბაზარიც ღვთაებრივია. თუ ჰიმალაებში გრძნობთ თავს ბუნებრივად და თავისუფლად, კარგია — ამაში ცუდი არაფერია. გაიგეთ მხოლოდ ერთი: საჭიროა ბუნებრიობა და აშვებულობა. ნუ დაიძაბებით! ნუ შექმნით დაძაბულობას თქვენი არსების სიღრმეში. მოდუნდით.

...მალე მიაღწევთ მაჰამუდრას...

აშვებულ და ბუნებრივ მდგომარეობაში, მალე მიაღწევთ ორგაზმს ყოფიერებასთან.

...მიაღწევთ მიუღწეველს...

და მიაღწევთ იმას, რისი მიღწევაც შეუძლებელია. რატომ ამბობენ, რომ ეს მიუღწეველია?

იმიტომ, რომ, არ შეიძლება ეს მიზნად გაიხადო. შეუძლებელია მიზანსწრაფული გონებით ამის მიღწევა. მრავალს გააჩნია ასეთი გონება, ისინი დაძაბულები არიან, მათ ის გაიხადეს მიზნად, რისი მიზნად ქცევაც არ შეიძლება, ეს შეიძლება შეგემთხვეთ, მიღწევით კი ვერასდროს ვერ მიაღწევთ მაჰამუდრას. იგი თავისით მოვა თქვენთან, საჭიროა მხოლოდ თქვენი პასიურობა, ბუნებრიობა და აშვებულობა. ამ მდგომარეობაში დაელოდეთ და იგი მოვა, რადგან ყველაფერს თავისი დრო გააჩნია. რა საჭიროა აჩქარება? თუ ჩქარობთ, მაშინ დაიძაბებით, თქვენ გამუდმებით ელოდებით რაღაცას. აი, რატომ ამბობს ტილოპა:... მიაღწევთ მიუღწეველს... ეს არ არის მიზანი, არ შეიძლება მისი ისრით მოპოვება. გონება, რომელიც ისარივით მიისწრაფვის მიზნისაკენ, დაძაბული გონებაა.

როცა მზად იქნებით, იგი უეცრად მოვა.
ვერ გაიგონებთ მისი ნაბიჯების ხმას, ისე
მოულოდნელად მოგადგებათ.
თქვენ ვერც კი ხვდებით, რომ იგი მოდის,
იგი კი უკვე აყვავილდა. მოულოდნელად
თქვენ უცქერით
ყოვლის საყვავილებას.
მოულოდნელად თქვენ იგრძნობთ ყოფნის
არომატს.

## მოკვეთეთ ძირი

ძოჯერით ხეს ძირი და ფოთლები დაჭკნება;
მოკვეთეთ თქვენი გონების ძირი და
სანსარა დაეცემა.
ყოველი სინთლის შუქი ერთ წამში
გაფანტავს
გრძელ კალპათა სიბნელეს.
გონების ნათელი ერთ გაელვებაში
მოსპობს უმეცრების გარსს.
ვინც გონებას მოსჭიდებია (ეჭიდება),
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება გონების მიღმა.
იგი, ვინც ვარჯიშობს დჰარმას,
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება პრაქტიკის მიღმა.
იმის შესაცნობად, რაც გონების და
პრაქტიკის მიღმაა,
საჭიროა ძირშივე მოიკვეთოს გონება
(იგი თვალთა შეიარაღებაა)
საჭიროა ყურება შეუიარაღებლად,
ასე მიიღწევა განსხვავებისაგან
განთავისუფლება
და სიმშვიდეში არსებობა.
არჩევანი — ეს მონობაა. მისი არყოფნაა
თავისუფლება.
იმ მომენტში, როცა თქვენ ირჩევთ რაღაცას,
თქვენ უვარდებით ქვეყნიური ხაფანგის
ხახას.
თუ შეგიძლიათ არ წამოეგოთ არჩევის
ცდუნებაზე,
თუ შეგიძლიათ დარჩეთ ცნობიერად
თავისუფალი არჩევისაგან,
ხაფანგი გაქრება თავისთავად.
რადგან არჩევანის არსებობა
აძლევს მას მახეს არსებობას.

აუცილებელია სიტყვა „არჩევანის" ღრმად გაგება, იმიტომ რომ მხოლოდ მისი შეცნობის გზით გაიშლება თქვენში „არჩევანის" ararsebობა.

რატომ არის შეუძლებელი არჩევის გარეშე ცხოვრება? იმიტომ, რომ იმ მომენტში, როდესაც თქვენ დაინახავთ ადამიანს ან საგანს, თქვენში აღიძვრება არჩევის უხილავი ტალღა, თუნდაც თქვენ ვერ აცნობიერებდეთ მას. ჩაიარა ქალმა და თქვენ ამბობთ, რომ იგი მშვენიერია. თქვენ არაფერს ამბობთ თქვენს არჩევანზე, მაგრამ იგი გაჩნდა, რადგან იმის თქმა, რომ ეს ქალი მშვენიერია, ნიშნავს: მე ვირჩევ მას. სინამდვილეში, სულის სიღრმეში, თქვენ უკვე აირჩიეთ: თქვენ უკვე ხაფანგში ხართ. თესლში ჩავარდა: იგი მალე გაღვივდება, მალე ხეც გაიზრდება.

როგორც კი იტყვით, რომ ეს მანქანა მშვენიერია, მაშინვე არჩევანიც გაჩნდება. იქნებ ვერ აცნობიერებდეთ, რომ აირჩიეთ, რომ თქვენ გსურთ მანქანის ფლობა, მაგრამ გონებაში უკვე ნება აღიძრა, გაჩნდა სურვილი. როდესაც რაიმეზე ამბობთ, რომ იგი ლამაზია, თქვენ გულისხმობთ, რომ ამის ფლობა გსურთ. როდესაც ამბობთ, რომ რაღაცა მახინჯია, ეს გულისხმება, რომ თქვენ არ გინდათ იგი, არ ირჩევთ მას.

არჩევანის გრძნობა ძალზე გაფაქიზებულია და საჭიროა ამის სრული გაცნობიერება. როდესაც თქვენ რაღაცას ამბობთ, იცოდეთ, რომ თქვენ უბრალოდ კი არ ამბობთ, უბრალოდ მხოლოდ სიტყვები კი არ წარმოიქმნებიან, ამ დროს ქვეცნობიერებაში რაღაცა ხდება. ნუ ანსხვავებთ — ეს მახინჯია, ეს მშვენიერია; ეს კარგია, ეს ცუდია. ნუ ანსხვავებთ, იყავით გულგრილნი! არ არსებობს კარგი და არ არსებობს ცუდი. ცუდის და კარგის გაგება თქვენვე შემოგაქვთ. არ არსებობს ლამაზი და მახინჯი საგნები, ისინი ისეთები არიან, როგორნიც არიან. სილამაზის თუ სიმახინჯის ხარისხი თქვენ შემოგაქვთ, ეს თქვენი ინტერპრეტაციაა.

რა გაქვთ მხედველობაში, როდესაც ამბობთ, რომ რაღაცა ლამაზია, განა სადმე არსებობს სილამაზის კრიტერიუმი? შეიძლება იმის დამტკიცება, რომ რამე ლამაზია? ვიღაცა თქვენს გვერდზე მდგომი გაიფიქრებს: „ეს რა უშნოსხობაა!" — და ასე, სილამაზე არაობიექტურია: არავის არ შეუძლია დაამტკიცოს, რომ რაღაცა ლამაზია.

ესთეტიკაზე ათასობით ათასი წიგნი დაწერილა: ინტელექტუალები, მოაზროვნეები, ფილოსოფოსები დაუღალავად ცდილობდნენ ნახონ სილამაზის განსაზღვრება და ეს ჯერაც ვერავინ ვერ მოახერხა. მათ დაწერეს უამრავი წიგნი და ტრაქტატი. ისინი უტრიალებენ ამას, მაგრამ ჯერაც არავის გამოჩენილა, რომ მოეცა სილამაზის ზუსტი განსაზღვრება. და ეს შეუძლებელია არა იმიტომ, თითქოს სილამაზე არ არსებობდეს, არამედ იმიტომ, რომ ეს თქვენი განწარტებაა.

თავიდან თქვენ სილამაზეს მიაწებებთ საგანს. აი რატომ ვამბობ, რომ ჯერ თქვენ დაგებთ ხაფანგს, შემდეგ კი მასში ცვივდებით. ჯერ თქვენ ჩათვლით, რომ ეს სახე ლამაზია — ეს თქვენი ქმნილებაა, თქვენი გონების განსჯა; ეს არარეალურია: იგი ფსიქოლოგიის სფეროს მიეკუთვნება — შემდეგ კი თვითონვე ებმებით ამ ხაფანგში, მერე ყვირიხართ და ითხოვთ შველას, იხოვულობთ, რომ გიხსნან აქედან.

ტანტრა ამბობს, რომ ყველაფერი ეს ზედმეტია, საჭიროა მხოლოდ ამ უმბაკობის გაცნობიერება — იგი თქვენსავე საკუთარი ქმნილებაა.

რა არის მახინჯობა? დედამიწაზე რომ ადამიანი არ ყოფილიყო, განა სილამაზე და მახინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭობა მაინც იარსებებდა? იქნებოდა ხეები, მათი აღმოცენება და დაბერება; იქნებოდა წვიმები, წელიწადის დროთა ცვლა და არსად სილამაზე და სიმახინჯე არ იქნებოდა. ისინი გაქრებოდნენ ადამიანთან და მის გონებასთან ერთად. ამობრწყინდება მზე; დაბინდება ცა ვარსკვლავებით გაიჭედება — მაგრამ არაფერი ლამაზი და არაფერი მახინჯი არ იქნება. ეს ზომები ადამიანმა შექმნა. ახლა კი, როდესაც იგი უკვე არ არის, გაქრა ინტერპრეტაცია, მაშინ რა არის კარგი და რა არის ცუდი?

ბუნებაში არ არსებობს კარგი და ცუდი. დაიმახსოვრეთ, რომ ტანტრა ბუნებრივი და თავისუფალი გზაა. მას სურს მოგიძღვეთ სიცოცხლის უღრმეს, ბუნებრივ მოვლენებთან. მას სურს დაგეხმაროთ, გონების გადალახვაში, რომელიც შობს ამ განსხვავებას, რომელიც გიჩვენებთ, რა უნდა აირჩიოთ და უარი რაზე უნდა თქვათ; რას უნდა მოერიდოთ და რისკენ არის საჭირო გაქცევა. შეხედეთ მოვლენას მთლიანად. საჭიროა მთლიანობაში შეხედვა — ეს ყველაფერია, საჭიროა მხოლოდ სიტუაციის მთლიანობის დაჭერა.

მთვარე მშვენიერია — რატომ? იმიტომ, რომ საუკუნეთა განმავლობაში გეუბნებოდნენ, რომ იგი მშვენიერია. საუკუნეთა განმავლობაში პოეტები უმღეროდნენ მას. საუკუნეთა განმავლობაში სჯეროდათ ადამიანებს მთვარის მშვენიერება — ეს გამჯდარ ჩვევად იქცა. რა თქმა უნდა, მთვარეში არის რაღაცა, იგი ძალიან ამშვიდებს. მისი შუქი მთელ ბუნებას აძლევს იდუმალების არომატს; იგი თითქოსდა აჰიპნოზებს. თქვენ გძინავთ და იმავდროულად გღვიძავთ, საგნები უფრო მშვენიერი მოჩანს, იგი სამყაროს ანიჭებს მეოცნებეობას. აი რატომ ეწოდებათ გიჟებს მთვარეულებს.

მთვარე იწვევს ნერვთა თავისებურ არევას, ნევროზს. შესაძლებელია ეს დაკავშირებული იყოს წყალთან, რომელსაც სხეული შეიცავს და რომლის მოქმედებაც ზღვის მოქცევა-მიქცევას ემსგავსება. თქვენი სხეულის 80 პროცენტი ზღვის (მარილიანი) წყლისაგან შედგება. ფიზიოლოგები გეტყვიან, რომ მთვარე რაღაც გავლენას ახდენს თქვენს სხეულზე, რადგან იგი კვლავ ზღვის ნაწილად რჩება; სიცოცხლე თავიდან სწორედ ზღვაში ჩაისახა როგორც მთელი ოკეანე. ზღვის ცხოველებიც განიცდიან მთვარის გავლენას, რადგან ეს ცხოველები ოკეანის ნაწილია და ადამიანიც ზღვიდან გამოვიდა. მან გამოიარა ძალზე გრძელი გზა, მაგრამ სხეული კვლავ ძველებურად რეაგირებს და სხეულის 80 პროცენტი კი წყალია, უბრალოდ წყალი კი არა, მას ზუსტად იგივე ქიმიური შემადგენლობა გააჩნია, როგორიც ზღვის წყალს. ცხრა თვის განმავლობაში ჩვილი დედის მუცელში, ზღვის წყალში ცურავს. იგი სავსეა ზღვის წყლით. ამიტომ არის, რომ ორსულ ქალს ასეთი დიდი მოთხოვნილება გააჩნია მარილიან საკვებზე. მარილი საჭიროა რათა შეინარჩუნოს მუცელში არსებული წყლის შემადგენლობა. ბავშვი [illegible] გაივლის ყველა საფეხურს, რაც კაცობრიობამ გაიარა. თავიდან იგი თევზივითაა და დედის მუცელში არსებულ ოკეანეში ცურავს. [illegible] — ცხრა თვის განმავლობაში იგი გაივლის მილიონობით წლების გზას. ფიზიოლოგები ამტკიცებენ, რომ ცხრა თვის განმავლობაში იგი გაივლის სიცოცხლის ყველა სტადიას.

შესაძლოა მთვარე მოქმედებდეს თქვენზე, მაგრამ ეს სილამაზე კი არაა, ეს ქიმიური მოვლენაა.

რომელიღაც სხვის თვალები ლამაზი გეჩვენებათ. რატომ, რა ხდება? ამ თვალებს გააჩნიათ განსაზღვრული ქიმიური და ელექტრული თვისებები, ისინი ენერგიას ასხივებენ, რომელიც გავლენას ახდენს თქვენზე. ამბობენ, რომ არსებობს თვალები, რომელთაც ჰიპნოზირება შეუძლიათ. ასეთი თვალები ჰქონდა ადოლფ ჰიტლერს. როცა იგი შემოგხედავთ, თქვენში რაღაცა ხდება, თქვენ ამბობთ, რომ მას ლამაზი თვალები აქვს. ე. ი. თვალებმა გავლენა იქონიეს თქვენზე.

სინამდვილეში, როდესაც თქვენ ამბობთ, რომ რაღაცა ლამაზია, ეს ნიშნავს, რომ მან სასიამოვნო გავლენა მოახდინა თქვენზე, ხოლო როდესაც ფიქრობთ, რომ მახინჯია, იგულისხმება, რომ მან თქვენში ანტაგონიზმი გამოიწვია. თქვენ ან მიიზიდებით ან განიზიდებით. როდესაც მიიზიდებით — ეს სილამაზეა, როდესაც განიზიდებით — მაშინ სიმახინჯეა. მაგრამ თავი და თავი თქვენა ხართ და არა სხვები, რადგან იმავე საგანმა, რომელიც თქვენ არ მოგეწონათ, შესაძლებელია მიიზიდოს სხვა.

ადამიანები აკვირდებიან ერთმანეთს ყოველდღიურად, ისინი ამბობენ: „საოცარია, ამ ქალში რა მოეწონა?" ეს მათთვის დაუჯერებელია, ეს ქალი მათთვის უმსგავსობაა, მაგრამ იმ კაცისათვის კი ეს ქალი სილამაზის განსახიერებაა. რა ხდება? არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ობიექტური კრიტერიუმები.

ტანტრა ამტკიცებს, რომ როდესაც თქვენ რაღაცას ირჩევთ, როდესაც თქვენ არჩევანის გადაწყვეტილებაში ხართ, ეს თქვენმა გონებამ შეგაცდინათ. ნუ ამბობთ „ეს საგანი ლამაზია!" ამან ჩემზე სასიამოვნოდ იმოქმედა". მაშინ პრობლემის ცენტრად „მე" რჩება, ეს კარგია, ხოლო თუ ეს მოვლენა ობიექტზე გადაგაქვთ, მისი გადაწყვეტა აბსოლუტურად შეუძლებელია, რადგან თქვენ თავიდანვე ვერ მიხვდით საქმის არსს, მის მიზეზს. მიზეზი თქვენ ხართ, თუ თქვენ რაღაცა შეგეხოთ, ეს ნიშნავს, რომ თქვენს გონებაზე რაღაცამ გავლენა იქონია. მაშინ ეს მი-

კერძოება, ეს თვალთმაქცობა შექმნის ხაფანგს და თქვენ მოძრაობაში მოდიხართ.

თავიდან „თქვენ ქმნით ლამაზ ადამიანს, შემდეგ ცდილობთ მის დაუფლებას, იწყებთ მის დევნას. ამ ქალთან თუ კაცთან ცხოვრების რამდენიმე დღის მერე კი მთელი ილუზია იფანტება. თქვენ უცბად იმედგაცრუებული გრძნობთ, რომ ეს ქალი ძალზე ორდინარულია. თქვენ იგი ლეილად წარმოგედგინათ ან ჯულიეტად ან თვლიდით, რომ იგი რომეო იყო ან მეჯნუნი: მაგრამ რამდენიმე დღის ერთად ცხოვრება და ოცნებები გადნა — კაცი თუ ქალი იქცნენ ჩვეულებრივ რიგით ადამიანებად: თქვენ დაგეუფლათ იმედგაცრუების გრძნობა, ისე თითქოს სხვამ შეგაცდინათ.

არავის არავინ არ მოუტყუებია, ქალიც და კაციც ისეთნივე დარჩნენ, როგორებიც იყვნენ მთელი ცხოვრება — მხოლოდ ილუზიები გაქრა, რადგან შეუძლებელია ილუზიების შენარჩუნება. შესაძლებელია მათი შექმნა, მაგრამ მათი შენარჩუნება შეუძლებელია. ფანტაზია — ეს მხოლოდ ფანტაზიაა, თუ ფანტაზიათა სამყაროში გსურთ ცხოვრება, მაშინათვე, როგორც კი ქალი ლამაზი მოგეჩვენებათ, გაეცალეთ მას და თქვენს მეხსიერებაში იგი სამუდამოდ ლამაზი დარჩება. მაშინ ფანტაზია არასდროს არ შეემსხვრევა რეალობას. მაშინ თქვენ შეგეძლებათ იმ ლამაზ ქალზე თუ კაცზე ტირილი და მოთქმა — მხოლოდ არასდროს არ დაუახლოვდეთ მას.

რაც მეტად დაუახლოვდებით, მით მეტი ობიექტური რეალობა გამოაჩენს თავს, ხოლო როდესაც მოხდება სრული შეხება ობიექტურ რეალობასა და თქვენს წარმოსახვას შორის, თქვენთვის უკვე ცხადი გახდება, რომ თქვენი ილუზიები სრულებით გაცამტვერდა. ობიექტური რეალობა არასდროს არ დაიმსხვრევა.

ასეთია საქმის ვითარება და ტანტრა გაფრთხილებთ: არავინ არ გატყუებთ, თქვენივე თავის გარდა. ქალი არც ცდილა, მის გარშემო ილუზიები მოეფრქვია. თქვენ შექმენით ისინი: თქვენ ირწმუნეთ ისინი და ახლა არ იცით, როგორ მოიქცეთ, რადგან ილუზიას არ შეუძლია თანაარსებობა რეალობასთან. ოცნება აუცილებლად დაიმსხვრევა — კრიტერიუმი ასეთია.

აღმოსავლეთში ინდოელებმა ჭეშმარიტების ასეთი კრიტერიუმი შექმნეს. ჭეშმარიტება — ეს არის ის, რაც არსებობს მარადიულად. დაბნეულობა (სიცრუე) — ეს არის ის, რაც მხოლოდ წამიერად გრძელდება. არავითარი განსხვავება. წამიერი — სიცრუეა. მარადიული — ჭეშმარიტება. სიცოცხლე — მარადიული ყოფიერება — მარადიულია; გონება წამიერია, რადგან გონება ანიჭებს სიცოცხლეს წამიერებას. გონება ღებავს სიცოცხლეს, აძლევს ინტერპრეტაციას. იმ დროისთვის, როდესაც გონებამ დაამთავრა განმარტება — იგი უკვე შეიცვალა. შეუძლებელია განმარტების შენარჩუნება, რადგან ამისათვის საჭიროა გონება არ შეიცვალოს. იგი კი ყოველ მომდევნო წამში იცვლება. გონება — ეს არის განუწყვეტელი მოძრაობა. იმ მომენტში, როცა თქვენ თქვით, რომ ეს ადამიანი ლამაზია, გონება უკვე შეიცვალა: თქვენ შეიყვარეთ ის, ვინც უკვე არ არსებობს, იგი უკვე არ არსებობს თქვენს გონებაშიც კი.

ტანტრა ამბობს: „შეიცანით გონების მექანიზმი და მოკვეთეთ ძირი. ნუ აკეთებთ არჩევანს, რადგან, როდესაც ირჩევთ, თქვენ თავისებურად იგივდებით იმასთან, რაც აირჩიეთ".

როცა მანქანა მოგწონთ, თქვენ რაღაც დონემდე იგივდებით ამ მანქანასთან, თქვენ იქცევით ამ მანქანად, თქვენ უახლოვდებით მას; თუ მანქანას მოგპარავენ, რაღაცა მოპარულია თქვენი არსებიდან. თუ იგი დაიმტვრა, რაღაცა დაიმტვრა თქვენს შიგნითაც. თუ სახლი მოგწონთ თქვენ იგივდებით ამ სახლთან. არჩევანი — ეს გაიგივებაა, ეს ჰგავს იმას, როდესაც ორი სანთელი ისე ახლოს გიჭირავთ ერთმანეთთან, რომ მათი ალები ერთიანდებიან, ისინი ხდებიან ერთი. ეს არის გაიგივება.

როდესაც თქვენ იგივდებით რაღაცასთან, ამ დროს თქვენ თქვენსავე სულს ჰკარგავთ. დაკარგოთ თქვენი თავი სამყაროში — ეს ნიშნავს, რომ თქვენ გაიგივდით მილიონობით საგანთან, თქვენი სული ამ საგნებში გაიმქრა, ნაწილ-ნაწილ ამ საგნებად განსხეულდა.

არჩევანს გაიგივება მოჰყვება
და გაიგივება იწვევს ძილის ჰიპნოზურ
მდგომარეობას

გურჯიევი თავის მოწაფეებს ასწავლიდა მხოლოდ ამას — არგაიგივებას. მთელი მისი სკოლა, ყველა მისი მეთოდი, ტექნიკა, სიტუაციები დაფუძნებულია ამაზე — არგაიგივება არაფერთან.

როცა ტირიხართ, თქვენ იქცევით ტირილად. უკვე ვერავინ აკვირდება. ვერავინ ხედავს და აცნობიერებს ამას. თქვენ თქვენი თავი ტირილში დაჰკარგეთ — თქვენ იქეცით ცრემლად და დასიებულ თვალებად. თქვენი გული კი კრიზისს განიცდის იმის საჩვენებლად, რომ საჭირო არ არის გაიგივება, გურჯიევისეული მასწავლებლები გეუბნებიან —

იტირეთ, ამაში ცუდი არაფერია, მხოლოდ იდექით განზე და გააცნობიერეთ, დააკვირდით, ნუ გაიგივდებით ამასთან". და თუ შეძლებთ განზე დგომას, თქვენ განიცდით საოცარ შეგრძნებას. იტირეთ, დაე იტიროს სხეულმა, დაე წამოვიდნენ ცრემლები, ნუ ახშობთ ამას, ჩახშობა არასდროს არავის არ გამოსდგომია, მაგრამ იდექით გვერდზე და გააცნობიერეთ.

ეს შესაძლებელია — რადგან თქვენი შინაგანი არსება ყოველთვის მოწმეა, იგი არასდროს მოქმედი არაა. გაიგივება ხდება მაშინ, როცა თქვენ მოქმედად თვლით მას, მაგრამ იგი არ ჩადის მოქმედებას. თქვენ შეგიძლიათ მთელი მსოფლიო შემოიაროთ, თქვენი შინაგანი არსება კი ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს, თქვენ იქნებ მილიონობით სიზმარი ნახოთ, თქვენს შინაგან არსებას კი არც ერთი სიზმარი არ დაესიზმრება. ყველა მოძრაობა ზედაპირზე ხდება. სიღრმეში, თქვენი არსების უშორეს სიღრმეებში სრული უძრაობაა. ყოველგვარი მოძრაობა პერიფერიებზე ხდება, როცა ბორბალი ტრიალებს, მისი ცენტრი უძრავია. ცენტრში ყველაფერი ისევე რჩება. ტრიალი ცენტრის გარშემო ხორციელდება.

გახსოვდეთ ცენტრი! დააკვირდით თქვენს მოქმედებებს, საქციელებს, გაიგივებას და მანძილი გაჩნდება, თანდათან გაჩნდება მანძილი, გაჩნდება ორი — მოწმე და მოქმედი. თქვენ დაინახავთ როგორ დადიხართ, ჭამთ, გიყვართ; თქვენ ჩადიხართ მრავალ მოქმედებას და რჩებით მოთვალთვალედ. თქვენ უკვე არ იგივდებით ხედვის ობიექტთან.

ამაშია თქვენი უბედურება: თქვენ გშიათ და ამბობთ: „მე მშიერი ვარ" — თქვენ აიგივებთ თავს შიმშილთან. მაგრამ შიმშილი ხართ, თუ უბრალოდ აცნობიერებთ იმას, რომ თქვენს სხეულში შიმშილი ხდება? შეუძლებელია შიმშილი იყოთ, რადგან სად გაქრებით მაშინ, როცა შიმშილი გაქრა? როცა უკვე შეჭამეთ, კუჭი სავსე გაქვთ და თქვენ კმაყოფილი ხართ. სად უნდა გაქრეთ მაშინ, თუ შიმშილი ხართ? არა, ახლა თქვენ იქცევით კმაყოფილებად. სანამ შიმშილი გაქრება, მანამდე საჭიროა შეიქმნას ახალი გაიგივება, თქვენ იქცევით მაძღრობად, იგივდებით მასთან.

ბავშვი იყავით და ბავშვად თვლიდით თავს; ახლა როცა უკვე ბავშვი აღარა ხართ, სად ხართ ახლა? ახალგაზრდა ხართ თუ მოხუცი ხართ — ვინა ხართ ახლა? თქვენ ისევ იგივდებით ახალგაზრდობასთან თუ სიბერესთან?

შინაგანი არსება სარკეს ჰგავს. იგი აირეკლავს იმას, რაც მის წინ ჩნდება, იგი მოწმე ხდება. მოდის ავადმყოფობა და ჯანმრთელობა, შიმშილი და სიუხვე, ზაფხული თუ შემოდგომა, ბავშვობა თუ სიბერე, სიკვდილი თუ დაბადება — ყველაფერი, რაც კი რამ ხდება, სარკის წინ ხდება და თვითონ სარკეს არ გადაბმება.

ეს არის სწორედ არგაიგივება, ეს არის ძირის, თვით მიზეზის მოკვეთა — იქცევით სარკედ, დაემსგავსეთ მას — ჩემთვის ეს არის სანიასა. ნუ იქცევით მგრძნობიარე ფირად, ფირი გაიგივებაა. ფირი დაუყოვნებლივ ეწებება ამას, რაც აპარატის წინ გაჩნდება, იგივდება მასთან. დაემსგავსეთ სარკეს! მრავალი რამე ჩაივლის წინ, მრავალი რამ მოხდება — სარკე კი ცარიელი რჩება, გაუსვრელი, სუფთა.

ეს არის ის, რასაც ტილოპა უწოდებს არა-მეს. სარკეს არ გააჩნია „მე", რომელთანაც იგი გაიგივდებოდა, იგი მხოლოდ აირეკლავს. იგი არ რეაგირებს. იგი უბრალოდ პასუხობს. იგი არ ამბობს „ეს ლამაზია, ეს მახინჯი". როდესაც უშნო ქალი დგას მის წინ, სარკე ისევე ბედნიერია, როგორიც მაშინ, როდესაც მის წინ ლამაზი ქალი აკეკლუცდება. იგი არ ასხვავებს, მხოლოდ აირეკლავს იმას რაც არის, იგი არ ინტერპრეტირებს. იგი არ ამბობს: „მომშორდი, მე შენ ვერ გიტან" ან „მოდი, შენ მშვენიერი ხარ". სარკე არაფერს არ ამბობს. სარკე მხოლოდ უცქერის, უცქერის განურჩევლად, მტერსაც, მეგობარსაც. სარკემ არ უნდა განასხვაოს.

და როდესაც სარკის წინ აივლიან და ჩაივლიან, იგი არ ეჭიდება მათ. სარკეს წარსული არ გააჩნია. როდესაც თქვენ გაივლით, სარკე ერთი წუთითაც არ დაიკავებს თქვენს ხატებას, არც ერთი წამით თქვენს ჩრდილს არ შეინახავს. იგი არ ეცდება მასში არეკლილი ჩრდილების შენახვას, ასეთია ბუდას გონება, თქვენ ჩნდებით მის წინ, იგი ივსება თქვენით; თქვენ წახვალთ, თქვენ ქრებით მისი გონებიდან, მოგონებაც კი არ დარჩება. სარკეს არ გააჩნია წარსული, არც ბუდას. სარკეს არ გააჩნია მომავალი — არც ბუდას. სარკე არ ელოდება: „ნეტა ახლა ვინ ჩაივლის ჩემ წინ, ვის ავირეკლავ? მე მინდა ეს ქალი და არა ის ვილაცა". სარკეს არ გააჩნია არჩევანი, არჩევანი არ ახასიათებს მას.

ეცადეთ გაიგოთ სარკის ეს მეტაფორა, რადგან იგივე ფენომენს წარმოადგენს შინაგანი ცნობიერება. ნუ გაიგივდებით იმასთან, რაც თქვენს ირგვლივ ხდება. დარჩით თქვენი არსების ცენტრად. რაღაც მოვლენებს კვლავ ექნებათ ადგილი, მაგრამ თუ მიეჭიდებით სარკისმაგვარ ცნობიერებას, მაშინ ძველებური უკვე არაფერი არ იქნება. — ყველაფერი შეიცვლება. თქვენ გახდებით უმანკო, უცოდველი, წმინდა. უკვე ვერაფერი ვერ მოგცხებთ ტალახს, რადგან უკვე არაფერი არ რჩება — თქვენ უკვე აირეკლავთ. წამიერად რაღაცა გაივლებს და მაშინვე ქრება. თქვენი სიცარიელე მუდამ ხელუხლებელია.

მაშინაც კი, როცა სარკე აირეკლავს
ვილაცას,
[illegible] ჩრდილშეც [illegible]
[illegible] რჩება [illegible],
[illegible] ძირის [illegible].

არსებობენ ორი ტიპის ადამიანები. ერთნი — ვინც მხოლოდ სიმპტომებს ანადგურებენ, მიზეზს კი არა, მხოლოდ ავადმყოფობის სიმპტომებს. მაგალითად, თქვენ სიცხე გაქვთ, 40 გრადუსიანი ტემპერატურა. შესაძლებელია ცივი შხაპის მიღება, სხეულის გაგრილება და სიცხეც დაიწევს — მაგრამ თქვენ ებრძვით მხოლოდ სიმპტომს, რადგან ტემპერატურა ჯერაც არ არის ავადმყოფობა. ტემპერატურა მხოლოდ უჩვენებს, რომ სხეულში რაღაც უწესრიგობაა, არეულობაა, სხეული განიცდის კრიზისს. მასში მიმდინარეობს ბრძოლა. ბაქტერიათა ერთი ჯგუფი მეორეს ეომება, ამიტომ აიწია ტემპერატურამ. თქვენ გცხელათ, მაგრამ მთავარი ეს სიცხე კი არაა — იგი მხოლოდ სიმპტომია. სიცხე თქვენი მოკავშირეა, იგი გიჩვენებთ, რომ საჭიროა ზომების მიღება, რომ მიდის ბრძოლა და თუ თქვენ ავადმყოფს მოკლავთ. არ უშველის შუბლზე ყინულის დადება, არ უშველის ცივი შხაპის მიღება, ისინი მავნებლები იქნებიან, რადგან ზედაპირულ, მოჩვენებით სიგრილეს შექმნიან... რატომ გგონიათ, რომ ცივი შხაპით შეძლებთ ბაქტერიათა შინაგანი ბრძოლის შეჩერებას? — იგი კვლავ გაგრილდება და იქნებ მოგკლათ კიდეც.

ბრიყვი მუდამ სიმპტომების მკურნალობაშია, ბრძენი ეძებს მიზეზებს, იგი იკვლევს ძირს. იგი ცდილობს შეცვალოს სიცხის გამომწვევი ძირი, როდესაც ეს ძირი შეიცვალა, მიზეზიც იცვლება, იწყება გამოჯანსაღება. ტემპერატურა თავისით ეცემა. ტემპერატურა არ წარმოადგენს საქმის არსს, მაგრამ ცხოვრება ბრიყვებით სავსეა და ბრძენი კი ცოტაა, ჩვენ დავუკვიანდით მხოლოდ მედიცინის სფეროში, ცხოვრებაში კი ისევ ძველებური რუტინაა.

ცხოვრებაში თქვენ კვლავ უამრავ სისულელეს სჩადით, აი, თქვენ გაბრაზებული ხართ და ცდილობთ ბრაზის ჩახშობას. ბრაზი — ეს მხოლოდ ტემპერატურაა: მხოლოდ სიცხეა, ტემპერატურა. როდესაც ნამდვილად გაბრაზებული ხართ, თქვენი სხეული ხურდება, მაგრამ ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სისხლში რაღაც განსაზღვრული ქიმიური ელემენტები მოხვდა, მაგრამ მიზეზი ესეც არაა. ეს ქიმიური ელემენტები განსაზღვრული მიზეზით გამოთავისუფლდებიან — რადგან, თქვენ შექმენით ისეთი სიტუაცია, როდესაც საჭიროა ან ბრძოლა ან გაქცევა.

როდესაც ცხოველი სახიფათო მომენტში ხვდება, მას ორი გზა გააჩნია: ბრძოლა ან გაქცევა. ორივე შემთხვევაში სისხლისთვის საჭიროა განსაკუთრებული სახის ნივთიერებანი, რადგან ბრძოლისას საჭიროა უფრო ენერგიული სისხლისმიმოქცევა. ფუნქციონირებისათვის საჭიროა დამატებითი ენერგიის წყაროები. საგანგებო შემთხვევისათვის [illegible] სხეულს ამგვარი წყაროები გააჩნია. იგი ჯირკვლებში აგროვებს შხამებს, ჰორმონებს და მრავალ სხვას. საჭირო შემთხვევაში ეს ყველაფერი სისხლში იგზავნება.

აი რატომ არის, რომ გაბრაზებულზე თითქმის სამჯერ მეტად ძლიერი ხდებით ვიდრე ჩვეულებრივ მდგომარეობაში ხართ. გაბრაზებულზე თქვენ შეგიძლიათ ბევრი ისეთი რამის გაკეთება, რაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში შეუძლებელია. შეგიძლიათ ასწიოთ დიდი ქვა, რასაც სხვა დროს ვერც დაძრავდით ადგილიდან, ბრძოლისას ეს საჭიროა და ბუნებამ იზრუნა ამაზე. ეს ენერგია საჭიროა აგრეთვე გაქცევისას, რადგან ამ დროს მტრისაგან დევნილი ხართ.

ყველაფერი შეიცვალა, როდესაც ადამიანმა ცივილიზაცია შექმნა, საზოგადოება, კულტურა, სადაც ცხოველთა სამყაროს სიტუაციებისათვის უკვე ადგილი არ დარჩა, მაგრამ სიღრმეში არსებული მექანიზმის ფუნქციონირება არ შეცვლილა. როდესაც გგონიათ, რომ შესაძლებელია თავს დაგესხან, დაგარტყან, შეურაცხგყონ, მოგაყენონ ზიანი, თქვენი სხეული დაუყოვნებლად რეაგირებს სიტუაციაზე — სისხლში შხამები ემატება, იწევს ტემპერატურა, სახე და თვალები წითლდება — თქვენ მზად ხართ ბრძოლისათვის ან გასაქცევად.

ესეც კი არ წარმოადგენს ძალზე ღრმა მიზეზს, ყველაფერი ეს მოდის სხეულიდან, გაბრაზებული სახე და სხეული — ეს არაა სინამდვილე, ეს მხოლოდ იმის გამოხატულებაა, რომ გონებაში რაღაცა ხდება, ეს გამომდინარეობს თქვენი ინტერპრეტაციიდან, ისეც ხდება, რომ სინამდვილეში ყველაფერი ეს ნამდვილი მიზეზის გარეშე ხდება. ბნელ ღამეში უკაცრიელ გზაზე მიდიხართ, დაინახეთ ბოძი და იგი აჩრდილად ჩათვალეთ — დაუყოვნებლივ სისხლს ნივთიერებანი მიეწოდება, სხეული იწყებს ბრძოლისათვის ან გაქცევისათვის მზადებას, თქვენმა გონებამ ჩათვალა, რომ ბოძი აჩრდილია, ასევე თქვენმა სხეულმა, ვილაცას მეგობრად თვლით, ასევე ჰგონია სხეულსაც..

და ასე, მიზეზი გონებაშია, ეს თქვენი ინტერპრეტაციაა. ბუდა ამბობს: „მთელი ქვეყანა ჩათვალე შენს მეგობრად" რატომ? იესო ამბობს: „შეუნდე შენს მტრებს". უფრო მეტიც — „შეიყვარე შენი მტრები". რატომ? ბუდა და იესო ცდილობენ თქვენი ინტერპრეტაციის გარდაქმნას. მაგრამ ტილოპა მიდის კიდევ უფრო შორს, იგი ამბობს, რომ თუნდაც მთელ სამყაროს თვლიდეთ თქვენს მეგობრად, თქვენ კვლავ აგრძელებთ

მეგობრობის და მტრობის ტერმინებით ფიქრს და ლაპარაკს, თუნდაც გიყვარდეთ მტერი, სულერთია, თქვენ მაინც მტრად თვლით მას, თქვენ გიყვართ იგი იმიტომ, რომ იესომ ასე მოგვიწოდათ, რა თქმა უნდა, თქვენ აღმოჩნდებით უცნაურ მდგომარეობაში, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანი, რადგან თქვენში ნაკლები ხორიტები იქნება, მაგრამ ტილოპა ამბობს, რომ უკვე ამგვარი ფიქრი, რომ ვიღაცა მეგობარია და ვიღაცა მტერი, ნიშნავს განსხვავებას — თქვენ ხაფანგში ხართ, არ არსებობენ არც მეგობრები და არც მტრები — ეს არის დიადი მოძღვრება.

ზოგჯერ ტილოპა აღემატება ბუდას, ეს ალბათ იმიტომ, რომ ბუდა ლაპარაკობდა ბრბოსთან, ტილოპა კი ძალზე ფაქიზ მოწაფეს ელაპარაკება — ნაროპას. როდესაც ლაპარაკობ უკვე გაფაქიზებულ მოწაფეებთან, მაშინ შესაძლებელია ლაპარაკი ძალზე ამაღლებულზე, მაგრამ როდესაც ბრბოს ელაპარაკები, საჭიროა კომპრომისზე წასვლა. განუწყვეტლად 15 წლის მანძილზე მე ვლაპარაკობდი მასებთან და თანდათან მომინდა უარი მეთქვა ამაზე; როდესაც მიმართავ ოცი ათასს, საჭირო ხდება კომპრომისზე წასვლა, საჭიროა დათმობა, დაშვება, რადგან ისინი ვერ გაიგებენ, ამის გამო მე მომინდა ამაზე უარის თქმა, ახლა მე მირჩევნია ლაპარაკი ნაროპებთან, იქნებ თქვენ ვერ აცნობიერებთ ამას, მაგრამ თუ აქ შემოდის თუნდაც ერთი ახალი ადამიანი, მე რომც არ ვიცოდე ამის შესახებ, ატმოსფერო მაშინვე იცვლება. იგი თქვენ დაბლა გწევთ და მე ვგრძნობ, რომ საჭიროა კომპრომისზე წასვლა.

რაც მაღლა მიდიხართ, მით ინტენსიური ხდება თქვენი ენერგია. მით უფრო დიდი მოძღვრების გადმოცემა შეიძლება. და მოდის მომენტი, როდესაც ნაროპა სრულყოფილი ხდება და ტილოპა დუმდება. ახლა უკვე საჭირო არაა რაიმეს თქმა, რადგან ახლა ლაპარაკიც კი კომპრომისია. ახლა დუმილიც საკმარისია; საკმარისია უბრალოდ ერთად ჯდომა, ახლა მახწავლებელი ზის მოწაფესთან, ისინი არაფერს არ აკეთებენ, ისინი მხოლოდ ერთმანეთის გვერდით იმყოფებიან და მხოლოდ მაშინ ხდება უდიადესი მოძღვრება.

ყველაფერი მოწაფეებზეა დამოკიდებული.

ეს ეხება არა მარტო თქვენს საკუთარ შეცნობას, რა თქმა უნდა, ესეც მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენზეა დამოკიდებული აგრეთვე რამდენის ჩამოტანას შევძლებ დედამიწაზე, რადგან ამან თქვენში უნდა გაიაროს, თქვენ გამტარი ხართ.

იესოს ძალზე საშუალო მოწაფეები ჰყავდა და ამიტომ თავიდანვე იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო. იმ ღამეს, როცა იესო უნდა შეეპყროთ, მოწაფეები ეკითხებიან მას: „მოძღვარო, გვითხარი, აქ ცის სასუფეველში შენ, რა თქმა უნდა, უზენაესის გვერდით იჯდები, ტახტზე შენ იჯდები მის გვერდით, მაგრამ ჩვენ თორმეტნი ვართ და როგორ იქნება ჩვენი იერარქია? როგორი იქნება ჩვენი თანამიმდევრობა? შენს გვერდით ვინ დაჯდება? ვინ მოუვლის მას?" ისიც მალე უნდა მოკვდეს და ეს ბრიყვები კი აძლევენ ასეთ სულელურ შეკითხვებს. მათ აწუხებთ იერარქია და ა.შ. ვინ იჯდება მის გვერდით ცის სასუფეველში. რა თქმა უნდა, [illegible] იესო პირველი იქნება, იგი იჯდება ღმერთთან, მაგრამ თვით იესოს გვერდით რომელი მოხვდება?

ბუდას არ უხდება ურთიერთობა ასეთ ბრიყვებთან, მას არავინ არ აძლევდა ასეთ ბრიყვულ შეკითხვებს, მაგრამ იგი ვერ შეედრება ტილოპას...

ტილოპა არ ქადაგებდა მასებთან, მან ერთი ადამიანი ნახა, ერთი განვითარებული სული — ნაროპა და უთხრა — „იმის წყალობით, რომ შენ ამდენად ფაქიზი ხარ, მე შემიძლია გითხრას, რისი თქმაც შეუძლებელია. შენი რწმენის გამო, შენი ნდობის გამო მე შემიძლია ამის თქმა", აი რატომ ავიდა მოძღვრება ამ სიმაღლეზე.

ახლა შევეცადოთ სუტრის გაგებას:

> მოჭერით ხეს ძირი და ფოთლები დაჭკნება:
> მოკვეთეთ თქვენი გონების ძირი და
> სანსარა დაეცემა.
> ყოველი სანთლის შუქი ერთ წამში
> გაფანტავს
> გრძელ კალპათა სიბნელეს;
> გონების ნათელი ერთ გაელვებაში
> მოსპობს უმეცრების გარსს.

„მოკვეთეთ ხეს ძირი და ფოთოლი დაცვივა", მაგრამ ადამიანები ჩვეულებრივად ფოთლებს აცლიან, ფესვები გასხმებიან ახეთნაირად, პირიქით, თუ ფოთლებს დაუწყებთ მოცლას, ისინი უფრო გამრავლდება. მოწყვიტეთ ერთი და მის ადგილას სამი გაჩნდება, იმიტომ რომ ამ დროს ფესვები აქტიურდებიან ხის დასაცავად. ყველა მეხალემ იცის, როგორ შეიძლება დაბურული ვარჯის ფორმირება — საჭიროა მისი გასხვლა და იგი უფრო დაბურული გახდება, თქვენ გამოიწვიეთ ფესვები, ეს გამოწვევაა. თქვენ ერთი ტოტი შეაჭერით, ძირიდან სამი გამოგზავნა ხის დასაცავად.

ფოთლები არ არსებობენ თქვენს გასახარად, საცქერლად ან მათ ჩრდილში განსასვენებლად: არა, ფოთოლი ხის დამცველი საბურველია, მათი საშუალებით ხე მზის სხივებს შთანთქავს, გამოყოფს ნესტს, მათი საშუალებით ხე ურთიერთობს კოსმოსთან, ფოთოლი ხის ქერქია, მათი მოვლა ნიშნავს კონფლიქტს ძირებთან, ისინი აქტიურდებიან, ისინი უკვე არ იძინებენ, ისინი მზადყოფნაში არიან როცა ხის გახმობა უნდათ,

ფესვებმა იგი უნდა დაიცვან. იგივე ხდება სიცოცხლეში, სიცოცხლეც ხეა. მას ფესვები და ფოთლები გააჩნია. თქვენ მოსხიპეთ წყრომა — მისი ერთი ტოტი და გაჩნდება სამი ახალი ტოტი — თქვენ გახდებით სამჯერ უფრო მწყრალი, მოჰკვეთეთ სექსი და იგი გახდება აკვიატებული აზრი. მოიკვეთეთ რაც გსურთ და დაინახავთ, რომ იგი გახდება სამჯერ მეტად აბეზარი, მაშინ თქვენი გონება იტყვის: „მოიკვეთე უფრო მეტი, ეს საკმარისი არ ყოფილა", და თქვენ მოსხიპავთ უფრო მეტს და გაჩნდება უფრო მეტი — ამრიგად თქვენ აღმოჩნდებით მოჯადოებულ წრეში. გონება დაიჟინებს: „კიდევ მოსხიპე, კიდევ, ეს არაა საკმარისი." ამიტომ გაჩნდება უამრავი ფოთოლი, შესაძლებელია ტოტების მოჭრა, მაგრამ ასეც არ შეიცვლება არაფერი, რადგან ხეს ფესვები ასაზრდოებენ და არა ფოთლები. ნუ ებრძვით ფოთლებს — წყრომას, სიძუნწეს, სექსს — ნუ ფიქრობთ მათზე, ეს სისულელეა, მონახეთ ძირი და მოკვეთეთ იგი, მაშინ ხე თავისით გახმება, გაქრებიან ფოთლები, ტოტები — საჭიროა მოკვეთოთ ძირი.

გაიგივებაა ძირი, სხვა ყველაფერი კი მხოლოდ ფოთლებია. გაიგივება სიძუნწესთან, გაიგივება წყრომასთან, გაიგივება სექსთან — აი სად არის ძირი, იცოდეთ, მნიშვნელობა არა აქვს რასთან გაიგივეთ თავი — სიძუნწესთან, სექსთან თუ ზედიდაცეასთან, სიყვარული, მოქშა,[1] ღმერთი — სულერთია, ეს ერთი და იგივეა. თვითონ გაიგივება არის ძირი, სხვა ყველაფერი მხოლოდ ფოთლებია, შეეშვით მათ, მათში არ არის ცოდვა.

აი რატომ არ სჭირა ტანტრას თვითგანვითარების, ამან იქნებ შეალამაზოს თქვენი ფორმა — გასხვლის საშუალებით ხეს შეგიძლიათ მისცეთ ნებისმიერი ფორმა — მაგრამ ხე იგივე დარჩება, სახიათი — ეს გარეგნული ფორმაა, მაგრამ თქვენ კვლავ ძველებურნი რჩებით, შინაგანი ტრანსფორმაციის გარეშე. ტანტრა მიდის სიღრმეში და ამბობს „მოკვეთე ძირი!" ბევრი ვერ გებულობს ტანტრას, რადგან იგი ამბობს „თუ ძუნწი ხართ, იყავით ძუნწი, ნუ ფიქრობთ ამაზე! თუ სექსუალური ხართ, იყავით, ნუ აიმღვრევით ამით", საზოგადოება ვერ ღებულობს ასეთ მოძღვრებას: „რას გვასწავლიან ისინი? ისინი ქმნიან ქაოსს, ისინი ანგრევენ წესრიგს". მაგრამ ვერ გაიგეს, რომ მხოლოდ ტანტრას შეუძლია მოიტანოს ნამდვილი წესრიგი, ბუნებრივი წესრიგი, შინაგანი დისციპლინის ბუნებრივი აყვავება, ეს ძალზე ღრმა პროცესია, საჭიროა ძირის მოკვეთა.

გააცნობიერეთ სიძუნწე, სექსი, დააკვირდით წყრომას, მესაკუთრეობას, შურს. მხოლოდ გახსოვდეთ ერთი — ნუ გაიგივდებით, მხოლოდ დააკვირდით, გააცნობიერეთ, იყავით მოწმეები, თანდათან გაიზრდება დაკვირვების, გაცნობიერების ხარისხი; თქვენ დაინახავთ თქვენს სიძუნწეს, ყველაფერი ეს ძალზე ფაქიზია. თქვენ შეძლებთ დაინახოთ, როგორი [illegible] ეგო, ყველაფერი ეს შეუმჩნეველია, ყველაფერი ეს ძალზე ფაქიზია და სიღრმეში ჩამალული.

რაც მეტს აკვირდებით, მით უფრო კარგად ხედავენ თქვენი თვალები, მით უფრო მგრძნობიარე ხდებიან ისინი, მით უფრო მეტს და უფრო ღრმად დაინახავთ, მით უფრო მეტი მანძილი გაჩნდება თქვენსა და თქვენს მოქმედებას შორის, ეს მანძილი გაწევს დიდ სამსახურს, მანძილის გარეშე შეუძლებელია შეცნობა. როგორ დაინახავთ იმას, რაც ახლოა? სარკესთან ახლოს მდგარი ვერ დაინახავთ თქვენს გამოსახულებას, თუ თვალები მიბჯენილია სარკეზე, მაშინ რისი დანახვაა შესაძლებელი? აუცილებელია მანძილი და მხოლოდ ცნობიერება აჩენს მანძილს, ეცადეთ, დაინახავთ.

ჩაიძირეთ სექსში, ამაში არაფერია ცუდი, მაგრამ დარჩით მაყურებელი, მოწმე. დააკვირდით სხეულის ყველა მოძრაობას; დააკვირდით ენერგიის მოძრაობას, მის დაცემას, გააცნობიერეთ ის, რაც ხდება ორგაზმში — რა რიტმულად მოძრაობენ სხეულები; დააკვირდით გულისცემას — მისი მოქმედება ჩქარდება, ჩქარდება და დგება მომენტი, როდესაც იგი თითქოს უნდა გადმოხტეს მკერდიდან, დააკვირდით როგორ ხურდება სხეული, სისხლის მიმოქცევა ხდება უფრო სწრაფი. დააკვირდით სუნთქვას, იგი გახდება აჩქარებული და ქაოტური.

გააცნობიერეთ მომენტი, როდესაც წყდება თქვენი ნებისმიერი მოქმედება და მოქმედება გადადის არანებისმიერში. დაინახეთ ის მომენტი, როდესაც თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ შეჩერება და რომლის მერეც უკვე ვერ დაბრუნდებით, სხეულის მოქმედება უკვე ავტომატური გახდა, რადგან კონტროლი დაიკარგა, ეაკულაციის წინა მომენტში აბსოლუტურად ითიშება კონტროლი და მდგომარეობის პატრონი სხეული ხდება.

გააცნობიერეთ ყველაფერი — ნებისმიერი და არანებისმიერი მოძრაობანი, აი, მომენტი, როდესაც თქვენ ფლობთ თავს და შეგიძლიათ შეჩერება, შეგიძლიათ დაბრუნება, მაგრამ აი მომენტი, როცა უკვე ვერ დაბრუნდებით, დაბრუნება გახდა შეუძლებელი — ახლა მდგომარეობას სხეული დაეუფლა. თქვენ გადახვედით მის მფლობელობაში, გააცნობიერეთ ყველაფერი — თქვენ დაინახავთ ამის ერთობლიობას, ყველაფერი ისე რთულია, არაფერი არ არის სექსზე რთული, რადგან მასში ჩართულია გონება და სხეული — მხოლოდ მოწმე არ არის მასში ჩართული, მხოლოდ ერთი რაღაცა რჩება ჩაურთველი,

---

[1] მოქშა — ბუდისტური ტერმინი, რომელიც ნიშნავს საბოლოო განთავისუფლებას მიის (ამქვეყნიურის) ბორკილების და დაბადებებისაგან.

მოწმე არის გარეშე (აუტსაიდერი), თვითონ თავის ბუნებით იგი არ შეიძლება იყოს შინაგანი (არაგარეშე, ინსაიდერი). მონახეთ ეს მოწმე და მაშინ თქვენ აღმოჩნდებით მწვერვალზე და ყველაფერი დანარჩენი დაგრჩებათ ქვევით, დაბლობში. თქვენ უკვე არა გაქვთ საქმე ამასთან, თქვენ ამაღლდით და მხოლოდ უცქერით; უკვე რა საქმე გაქვთ ყოველივე ამასთან? თქვენ ამაღლდით ისე, თითქოს სხვას ემთხვეოდეს ეს ყველაფერი, იგივე ხდება სიძუნწის და წყრომის შემთხვევაში; ყველაფერი ძალზე რთულია, თუ შეძლებთ ყველა გრძნობის გაცნობიერებას — დადებითის, უარყოფითის — თქვენ მიიღებთ დიდ სიამოვნებას, მხოლოდ დაიმახსოვრეთ ერთი: თქვენ უნდა იყოთ მოწმეები, მაშინ გაწყდება გაიგივება, ეს იქნება ხის ამოძირკვა: და როცა ძირი მოკვეთილია, მაშინ თქვენ უკვე აღარ ჩათვლით თავს მოქმედ პირად, უეცრად ყველაფერი შეიცვლება, ეს იქნება ნაუცბათევი ტრანსფორმაცია, თანდათანობის გარეშე.

მოჭერით ხეს ძირი და ფოთოლი დაჭკნება;
მოკვეთეთ თქვენი გონების ძირი და
სანსარა დაეცემა.

იმ მომენტში, როდესაც თქვენ მოკვეთეთ გონების ძირი და მასთან გაიგივება, დაეცემა სანსარა. დაეცემა ეს ქვეყანა — წუთისოფელი, იგი დაეცემა როგორც ქაღალდის სათამაშო ბუნული, უცბად თქვენ აქ ხართ, მეტად აღარა ხართ წუთისოფელში, თქვენ ამაღლდით. ცხოვრებას აგრძელებთ ძველებურად, საქმიანობთ, როგორც საქმიანობდით — მაგრამ არაფერი უკვე არ არის ძველებური, რადგან თქვენ თვითონ არა ხართ წინანდელი ახლა თქვენ იქეცით სრულიად ახალ არსებად — ეს არის მეორედ დაბადება, ასე ეძახიან ამას ინდოელები — მეორედ დაბადებული, ვინც ამას მიაღწია, იგი ორჯერ დაბადებულია, მეორედ დაბადება არის სულის დაბადება. ეს ის არის, რასაც იესო აღდგომას უწოდებდა, აღდგომა — ეს სხეულის აღდგომა კი არ არის, ეს არის ცნობიერების ახალი დაბადება.

მოკვეთეთ გონებას ძირი და სანსარა
დაეცემა.
ყოველი სანთელი ერთ წამში გაქფანტავს
გრძელ კალპათა, მრავალ საუკუნეთა
სიბნელეს.

ნუ წუხხართ იმაზე, რანაირად უნდა გაფანტოს უეცარმა ნათელმა მილიონი ცხოვრების ბნელი. იგი გაფანტავს მას, რადგან ბნელს არ გააჩნია სიმკვრივე — სუბსტანცია; არ არის მნიშვნელოვანი მისი ასაკი — ერთი წუთი თუ მრავალი ათასი წელიწადი, არყოფნას არ შეუძლია ზრდა და შემცირება, არყოფნა მხოლოდ ერთ მდგომარეობაშია: შუქი მატერიალურია, იგი რეალაა. ბნელი კი მხოლოდ არყოფნაა, როცა არის ნათელი — არ არის ბნელი.

არსებითად სიბნელე არ იდენტურია, რადგან არაფერია განათებული, რომელსაც მიეცემა ნათელი; ბნელი კი არ მიდის, რატომ მიდის? სინათლეში არ არის არაფერი, — მხოლოდ შუქის არყოფნა. მოდის ნათელი და არ არის ბნელი.

გონის ნათელი ერთ გაელვებაში
მოსპობს უმეცრების გარსს

ბუდისტები ხმარობენ სიტყვა „გონებას" ორი მნიშვნელობით: გონება პატარა ასოთი და გონება ასომთავრულით. „გონება" დიდი ასოთი ნიშნავს მოწმეს, ცნობიერებას. როდესაც „გონებას" ხმარობენ პატარა ასოთი, ისინი გულისხმობენ იმას, რისი ობიექტირებაც შესაძლებელია დასაკვირვებლად (ქართულში შესაძლებელია ამ სიტყვების ასეთნაირად ხმარება: გონი, ეს იქნება „გონება" ასომთავრულით და „გონება" პატარა ასოთი იქნება გონება), ორივე წარმოადგენს გონებას, ამიტომ აღინიშნება ორივე ერთი სიტყვით, მაგრამ არსებობს განსხვავება. გონით თქვენ მოწმე ხართ, ცნობიერება, გონებით კი თქვენ ხართ ის, რაც ცნობიერდება, რისი დაკვირვებაც ხდება გონით—აზრები, ემოციები, წყრომა, სიძუნწე, ყველაფერი...

რატომ იხმარება ორი სიტყვა ერთის ნაცვლად? რატომ ვქმნით არეულობას? ამისთვის არსებობს მიზეზი — როდესაც ითება გონი, მაშინ იგი შთანთქავს გონებას. როდესაც მდინარეები იქცევიან ოკეანეში —მილიონი გონებები გონის გარშემო —ყველა ისინი ჩაინთქმებიან მასში. ენერგია უბრუნდება თავის თავს (რეაბსორბირდება).

სიძუნწე, წყრომა, შური — ყველაფერი ეს არის ენერგიის ცენტრიდანული ძალები, ცენტრიდან გამომართულები. და როდესაც ჩნდება გონი, რომელშიც ზის მოწმე — უტყვი მაყურებელი, მდინარეები იცვლიან თავიანთ მიმართულებას, აქამდე ისინი მიიქცეოდნენ ცენტრიდან პერიფერიებისაკენ, უცბად ისინი უბრუნდებიან უკან, ხდებიან ცენტრისკენულნი: ისინი უკვე იქცევიან გონში, ყოველივე შთაინთქმება მისით, აი რატომ იხმარება ერთი სიტყვა ორივეს აღსანიშნავად.

გონის ნათელი ერთ გაელვებაში
მოსპობს უმეცრების გარსს.

ერთი მომენტი და დაიფერფლება ყველაფერი, რაც მიეკუთვნება უმეცრებას — ეს არის უეცარი ნათლდება.

ვინც გონებას მოსჭიდებია,
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება გონების მიღმა

თუ ჩაეჭიდებით გონებას, აზრებს, გრძნობებს, შეუძლებელია დაინახოთ ის, რაც გონების მიღმაა — დ ი ა დ ი  გ ო ნ ი — რადგან თუ ებღაუჭებით, როგორღა დაინახავთ? თქვენი თვალები დაკავებულია თვით ამ პროცესით. თუ ობიექტს ებღაუჭებით, როგორ გინდათ დაინახოთ სუბიექტი? საჭიროა გადავაგდოთ თვითონ ეს მობღაუჭება.

ვინც გონებას ეჭიდება, იგი იგივდება,
ის ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება გონების მიღმა.
იგი, ვინც ვარჯიშობს ტაძრში,
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება პრაქტიკის მიღმა.

ყოველგვარი მოქმედება გონებისაგან მოდის, ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ, არის გონება გონებისაგან. იცოდეთ, მხოლოდ გაცნობიერება არ არის გონებისეული.

მაშინაც კი, როდესაც მედიტირებთ, დარჩით მოწმეები, ყოველთვის დააკვირდით იმას, რაც ხდება. თქვენ ტრიალებთ დერვიშის მედიტაციაში? — იტრიალეთ ისე ჩქარა, როგორც შეგიძლიათ, მაგრამ იყავით შინაგანი მოწმეები და დაინახეთ სხეულის ტრიალი, თქვენი სხეული ტრიალებს ჩქარა და ჩქარა, მაგრამ რაც უფრო სწრაფია ტრიალი, მით ცხადად გრძნობთ, რომ თქვენი ცენტრი უძრავია, სხეული ტრიალებს როგორც ბორბალი, თქვენ კი უძრავად ცენტრში დგახართ. რაც სწრაფად ტრიალებს სხეული, მით უფრო ღრმად შეიცნობთ, რომ თქვენ რჩებით უძრავი და გაჩნდება მანძილი.

მედიტირების დროსაც კი მე არ ვუშვებ არავითარ გამონაკლისს, ნუ მოეჭიდებით მედიტაციას, მოვა დრო, როცა უნდა გადააგდოთ ეს მოჭიდებაც. მედიტაცია მიაღწევს სრულყოფილებას და მაშინ ესეც უნდა დააგდოთ. სრულყოფილ მედიტაციას თუ მიაღწევთ, მაშინ საჭირო არ არის მედიტირება.

ამიტომ გახსოვდეთ, რომ მედიტაცია — არის ხიდი, იგი უნდა გაიაროთ და წახვიდეთ იქით. მედიტაცია ხიდია, იყავით ფხიზლები მის მიმართ, სხვანაირად თქვენ შეწყვეტთ გაიგივებას წყრომასთან, სიძულვილთან, თანაგრძნობასთან და მედიტაციასთან გაიგივდებით. მაშინ თქვენ იგივე ხაფანგში ხართ; თქვენ იმავე სახლში შეხვედით, ამჯერად სხვა კარით.

ერთხელ მოლა ნასრედინი, უკვე მთვრალი, ქალაქის ერთ სალუდეში მივიდა. მფლობელმა უთხრა: „წადი, შენ უკვე მთვრალი ხარ და არაფერსაც არ მოგცემ, წადი სახლში!" მაგრამ მოლა მაინც მოითხოვდა და მფლობელმა გააგდო იგი. მან დიდხანს იტრიალა სხვა სალუდის ძებნაში, ბოლოს იგი მივიდა იმავე სალუდეში, მაგრამ სხვა კარით შევიდა. [illegible] დაეჭვებული თვალით შეხედა მასპინძელს, რადგან ნაცნობი მოეჩვენა და ლუდი [illegible]ბელმა უთხრა: „მე ერთხელ უკვე [illegible] არაფერსაც არ მოგცემ, წადი მომშორდი!" და ისევ გამოაგდო.

მოლა დიდხანს ეძებდა სალუდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალაქში მხოლოდ ერთი სალუდე იყო და აი, იგი მესამე კარით კვლავ ამ სალუდეში შევიდა, დაინახა ნაცნობი მასპინძელი და თქვა: „ეს რა ხდება? ამ ქალაქში არსებული ყველა სალუდის მასპინძელი შენა ხარ?"

ასე ხდება, თქვენ გამოგაგდებენ ერთი კარით და ბრუნდებით მეორეთი, ჯერ იგივდებით წყრომასთან, ახლა კი მედიტაციასთან გაიგივდით. წინათ სექსის სიამოვნებასთან იგივდებოდით, ახლა კი იმ ალტაცებასთან, რასაც გაძლევთ მედიტაცია, არაფერი არ შეცვლილა, ქალაქში მხოლოდ ერთი ბარია, ნუ შედიხართ კიდევ და კიდევ ამ ბარში. საიდანაც არ უნდა შეხვიდეთ, ყოველთვის ის მასპინძელი დაგხვდებათ — მოწმე, ნუ დაივიწყებთ ამას, რათა ამაოდ არ დახარჯოთ დიდი ენერგია, თქვენ ამაოდ გადიხართ დიდ მანძილს და იმავე ადგილს უბრუნდებით.

ვინც გონებას მოსჭიდებია
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება გონების მიღმა,

რა იმყოფება გონების მიღმა? — თქვენ. რა არის გონების მიღმა? — ცნობიერება. რა არის გონების მიღმა? — სატ-ჩიტ-ანანდა, ჭეშმარიტება, ცნობიერება, ნეტარება.

იგი ვინც ვარჯიშობს ტაძრში,
ვერ ხედავს იმის ჭეშმარიტებას, რაც
იმყოფება გონების მიღმა,

როგორც არ უნდა ვარჯიშობდეთ, იცოდეთ, რომ პრაქტიკა ვერ მიგიყვანთ ბუნებრიობასთან, რადგან პრაქტიკა არის ვარჯიში იმაში, რაც არ არის, პრაქტიკისას ხდება ვარჯიში ხელოვნურში, არ არის საჭირო ვარჯიში ბუნებრიობაში — იგი ისედაც აქ არის. სწავლობენ იმას, რაც არ არის, როგორ უნდა გაიგოთ ის, რაც არის? განა შესაძლებელია ისწავლოთ ბუნება, ტაო? იგი უკვე არის! თქვენ მასში დაიბადეთ. არ არის საჭირო მასწავლებელი ამის სასწავლებლად. ამაში მდგომარეობს განსხვავება მასწავლებელსა და გურუს შორის, მასწავლებელი არის ის, ვინც რაღაცას გასწავლით, გურუ კი გეხმარებათ ნასწავლის დავიწყებაში, გურუ იმისთვის არის, რომ „გადაგასწავლოთ", გურუ იმისთვის არის, რომ

უქმობა გაგაგებინოთ. აქ არის ყველაფერი, მაგრამ სწავლებამ ყველაფერი დაგაკარგვინათ. გადასწავლებით კვლავ ჰპოვებთ მას.

> ჭეშმარიტება არ არის აღმოჩენა, იგი
> დავიწყებულის შეცნობაა,
> იგი იყო ყოველთვის,
> თქვენ ელოდით მას, როცა მოხვედით,
> თქვენ დაიბადეთ ჭეშმარიტებასთან ერთად,
> რადგან თქვენ — ეს ის ხართ.

სხვანაირად არ შეიძლება იყოს. ჭეშმარიტება არ არის რაღაც გარეგანი, იგი დამახასიათებელია თქვენთვის, იგი წარმოადგენს თქვენს არსებას. ამიტომ ამბობს ტილოპა, რომ პრაქტიკით ვერ ჰპოვებთ იმას, რაც ყოველგვარი მოქმედების იქით იმყოფება.

შეახსენეთ თავს კიდევ და კიდევ, რომ რასაც თქვენ აკეთებთ, ხდება გონების ნაწილი, მცირე გონების ნაწილი, გარეგანი გარემოს ნაწილი და საჭირო კია ამის მიღმა წასვლა. როგორ შევძლოთ ეს? იმოქმედეთ, არაფერი ცუდი არ არის ამაში, მაგრამ იყავით ფხიზელნი — რადგან თავისი საბოლოო მნიშვნელობით მედიტირება ნიშნავს ყოფნას.

სხვადასხვა ტექნიკები შესაძლოა სასარგებლონი იყოს, მაგრამ ისინი თავისთავად არ წარმოადგენენ მედიტაციას. ტექნიკა მხოლოდ სიბნელეში მოთითვაა, როცა რაღაცას აკეთებთ და ერთხელაც, უცბად მოწმე ხდებით. ეს შეიძლება იყოს დინამიკური მედიტაცია, კუნდალინი ან ტრიალი, მაგრამ როცა იქნება იგრძნობთ, რომ მედიტაცია გრძელდება და თქვენ უკვე არ იგივდებით მასთან, თქვენ უსიტყვოდ აკვირდებით — მაშინ მედიტაცია შეგემთხვათ, მაშინ მედიტაცია უკვე არ წარმოადგენს არც ხელშეწყობას და არც ხელის შეშლას. როგორც ვარჯიშმა, მან შეიძლება კვლავ მოგიტანოთ სიამოვნება, მაგრამ ეს უკვე არ არის აუცილებელი, რადგან თქვენ უკვე შეგემთხვათ ნამდვილი მედიტაცია.

მედიტაცია — ეს დაკვირვებაა. მედიტირება ნიშნავს გახდეთ მოწმე. მედიტაცია არ არის ტექნიკა, ყოველივე ამან შესაძლოა დაგაბნიოთ, რადგან მე ამავე დროს გაძლევთ სხვადასხვა ტექნიკებს, მაგრამ თავისი უმაღლესი გაგებით მედიტაცია არ ნიშნავს ტექნიკას. მედიტაცია — არის შეგნება, გაცნობიერება. მაგრამ თქვენთვის აუცილებელია ტექნიკა, რადგან საბოლოო გაგება ჯერ ძალზე შორეულია. იგი დამარხულია თქვენს სიღრმეში და ჯერ ძალიან შორს იმყოფებით მისგან. ამავე მომენტში შეიძლება მიაღწიოთ მას, მაგრამ ვერ აღწევთ, რადგან ეს თქვენი მომენტი გრძელდება, თქვენი გონება აგრძელებს არსებობას. ამავე მომენტში ეს შესაძლებელია და ეს შეუძლებელია. სხვადასხვა ტექნიკები გიშველიან უფსკრულის გადალახვაში, მაგრამ ისინი თავისთავად მხოლოდ ხიდები არიან.

ამიტომ დასაწყისში ტექნიკა მედიტაციაა; მაგრამ ბოლოს თქვენ გაგეცინებათ, რადგან ტექნიკა სრულიადაც არ არის მედიტაცია. მედიტაცია არსებობის აბსოლუტურად განსხვავებული ხარისხია; იგი არაფერს არ ჰგავს. მაგრამ მედიტაცია მხოლოდ ბოლოს მოდის. ნუ იფიქრობთ, რომ თქვენ ის დასაწყისშივე შეგემთხვათ, სხვანაირად უფსკრულს ვერ გადალახავთ.

აქ ჩნდება კრიშნამურტის და მაჰარიში მაჰეშ იოგას პრობლემა, ისინი დიამეტრულად დაპირისპირებულნი არიან. მაჰეშ იოგა თვლის, რომ ტექნიკა მედიტაციაა, როგორც კი დაეუფლეთ რომელიმე ტექნიკას — ტრანსცენდენტურ მედიტაციას ან ნებისმიერ სხვას, მაჰარიში მაჰეშ იოგა თვლის, რომ თქვენ უკვე შეგემთხვათ მედიტაცია. ეს ასეც არის და არც არის ასე, იმიტომ რომ თავიდან დამწყებისათვის აუცილებელია დაეუფლოს რომელიმე ტექნიკას, რადგან მისი გაგება ჯერ არ მომწიფებულა უმაღლესის გასაცნობიერებლად. ამიტომ მიახლოებით შეიძლება, რომ ტექნიკას ვუწოდოთ მედიტაცია.

ეს ჰგავს იმას, როდესაც ბავშვი ანბანს სწავლობს — მას უხსნებიან, რომ „ბ" ეს იგივეა რაც ბურთი, ბურთი ნიშნავს ასო „ბ"-ს, ასო „ბ"-სთან დაკავშირებულია ბურთი და ბავშვი სწავლობს ამრიგად. არ არსებობს არავითარი კავშირი ასო „ბ"-სა და ბურთს შორის, „ბ"-ს შეუძლია წარმოადგინოს ათასი სხვადასხვა საგანი, რომელთანაც მას არავითარი კავშირი არ აქვს. მაგრამ საჭიროა ბავშვს ვუჩვენოთ რამე. ბურთი კი აქვეა. ბურთი კარგადაა ცნობილი ბავშვისათვის. „ბ" კი უცნობია მისთვის და ბურთის საშუალებით იგი ეცნობა მას, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია; დასასრული ასეთი არ იქნება.

მაჰარიში მაჰეშ იოგა კარგია დასაწყისად, თქვენს დასაძვრელად, მაგრამ თუ ჩარჩით მასში, ეს ნიშნავს, რომ დაიკარგეთ. საჭიროა მისი გავლა და უკან მიტოვება, ის მხოლოდ დაწყებითი სკოლაა, იგი თავის დროზე კარგია, მაგრამ არ შეიძლება მთელი ცხოვრების დაწყებით სკოლაში გატარება. ეს არ არის უნივერსიტეტი, არ არის სამყარო, საჭიროა მისი გავლა. დამწყების წარმოდგენა ასეთია, რომ მედიტაცია არის ტექნიკა.

კრიშნამურტი მეორე პოლუსზე იმყოფება. იგი ამბობს, რომ არ არსებობს არავითარი ტექნიკა და არავითარი მედიტაცია, საჭირო არაა ტექნიკით მცდელობა — ეს არის უბრალო გაცნობიერება, გაცნობიერება არჩევანის გარეშე, აბსოლუტური სიმართლეა! მაგრამ იგი ცდილობს თქვენ უნივერსიტეტში გაგაგზავნოთ როდესაც დაწყებითი სკოლის კურსი არ გაგივლიათ, ეს საშიშია, რადგან იგი ლაპარაკობს უმაღლესზე. თქვენ ვერ გაიგებთ ამას, თქვენი შეგნების ახლა-

ნდელ სტადიაზე ეს შეუძლებელია — თქვენ გადახვალთ ჭკუიდან, თუ კრიშნამურტის მოუსმენთ — თქვენ დაიკარგებით, რადგან ინტელექტით თქვენ ეთანხმებით მას, მაგრამ თქვენი არსება კი სრულიად უგრძნობელია ამის მიმართ.

კრიშნამურტის მრავალი მიმდევარი მოდის ჩემთან. ისინი ამბობენ, რომ გონებით შეუძლიათ ამის გაგება: „რა თქმა უნდა, იგი მართალია, არ არსებობს არავითარი ტექნიკა და მედიტაცია — ეს გაცნობიერებაა. მაგრამ როგორ მოვიქცეთ? და მე ვეუბნები მათ, რომ, როდესაც კითხულობენ „როგორ მოვიქცეთ"! ეს ნიშნავს, — მათ ტექნიკა უნდათ, ისინი ითხოვენ ტექნიკას, ისინი სინამდვილეში კითხულობენ — როგორ შეიძლება ამის გაკეთება? კრიშნამურტი ვერ გიშველით, თქვენთვის მაჰარიში მაჰეშ იოგა უკეთესია, მაგრამ ნუ გაიხირებით ნურც მაჰარიშისთან და ნურც კრიშნამურტისთან.

რომელიმე ერთი მათგანი კი არა, საჭიროა ორივე და ჩემი ამგვარი მიდგომა ჩიხში გამწყვდევთ, ორივე მათგანი ძალზე ცხადია, მათი თვალსაზრისები ძალზე უბრალოა. თუ ენა გესმით და იცით, მაჰარიში მაჰეშ იოგას და კრიშნამურტის გაგება არ გაგიჭირდებათ; ჩემთან კი სიძნელეებს წააწყდებით, რადგან დასაწყისზე ლაპარაკისას არ მოგცემთ ნებას, რომ დასასრული დაივიწყოთ. მე მუდამ ვლაპარაკობ დასასრულზე და ამავე დროს ვიზრუნებ დასაწყისზე, თქვენ დაიბნევით და კითხვები გაგიჩნდებათ „რა გაქვთ მხედველობაში? თუ მედიტაცია მხოლოდ გაცნობიერებაა, მაშინ რა საჭიროა მთელი ეს ვარჯიში".

თქვენთვის საჭიროა ამის გავლა, მხოლოდ ასე შეგემთხვევათ უბრალო ცნობიერების მედიტაცია, აგრეთვე იცოდეთ — „თუ მთელი საქმე ტექნიკაა, მაშინ რატომღა იმეორებთ, რომ დასანახია იმის მიტოვება, რაც შეისწავლეთ ასე ღრმად და ასე ძნელად. თქვენ მოისურვებთ დასაწყისზე ჩაბღაუჭებას, მაგრამ არა, მე არ მოგცემთ ამის ნებას, თუკი გზას შეუდგებით, მე უკვე გიბიძგებთ მის დასასრულთან.

ეს არის ის სიძნელე, რაც ჩემთან დამოკიდებულებაში გაგიჩნდებათ, საჭიროა ამის დანახვა და გაგება. მე წინააღმდეგობრივი ვჩანვარ და მე ასეთიც ვარ, პარადოქსული, რადგან ვცდილობ მოგცეთ დასაწყისი და დასასრული — პირველი და საბოლოო ნაბიჯი.

ტილოპა უმაღლესზე ლაპარაკობს, იგი გვეუბნება:

> იგი, ვინც ცდილობს დჰარმის პრაქტიკას,
> ვერ პოულობს იმ ჭეშმარიტებას, რაც
> იმყოფება პრაქტიკის მიღმა,
> იმის შესაცნობად, რაც გონების და
> პრაქტიკის მიღმაა
> საჭიროა არმოჭიდება:
> საჭიროა ძირშივე მოიკვეთოს გონება
> და ყურება შეუიარაღებელი.

ეს არის ის, რასაც მე ვუწოდებ დაკვირვებას: ყურება შეუიარაღებელი თვალით. ეს საკმარისია, ძირი მოჭრილია და შეუფერადებელი ცქერა მაზეთის მგავს.

> ასე მიიღწევა განსხვავებისაგან
> განთავისუფლება
> და სიმშვიდეში მოსვენება,

თავისუფალი, ბუნებრივი, მიუკერძოებელი მზერა თავისთავში — არის ბოლო სიტყვა.

მაგრამ ნუ იჩქარებთ, რადგან გონება ძალზე ეშმაკური მექანიზმია. თუ მოუთმენლად ხართ და იღებთ ტილოპას ძალიან დიდ დოზას, თქვენ ვერ შეძლებთ მის მონელებას. ნუ ჩქარობთ, მიიღეთ ზუსტად იმდენი, რამდენის მიღება და მონელებაც შეგიძლიათ.

მე ახლა თქვენს წინაშე ვლაპარაკობ მრავალ, განსხვავებულ საგნებზე, იმიტომ რომ თქვენ ძალიან ბევრნი ხართ, მე განვიხილავ მრავალ ასპექტს, ეს ასეა, რადგან თქვენ ბევრნი ხართ, მაგრამ თითოეულმა მიიღეთ მხოლოდ ის, რაც მოდის თქვენზე, მიიღეთ და მოინელეთ.

წინა დღეებში ჩემთან სანიასინი მოვიდა, გულწრფელად მაძიებელი ადამიანი, რომელიც შეეშფოთებინა იმას, რომ ლაპარაკისას მე ვუწოდე ტანტრას უმაღლესი და იოგას უდაბლესი მოძღვრება, იგი კი ორი წელია თბათბა — იოგას მისდევს და მშვენივრად გრძნობს თავს.

ამან იგი დააბნია და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ნუ დაიბნევით ასე ადვილად. თუ იოგას კარგად მოერგეთ, მისდიეთ ამ თქვენს ბუნებრივ გატაცებას. ნუ დაიბნევით ჩემ გამო. ჩემმა სიტყვებმა ხოგჯერ შეიძლება აგამღვრიოთ, მაგრამ ნუ ამოვარდებით გზიდან, მისდიეთ მას ლაღად და ბუნებრივად. თუ კარგად გრძნობთ თავს, ე. ი. ეს კარგია, სწორია, რატომღა გაწუხებთ, უდაბლესია ეს თუ უმაღლესი? დაე იყოს უდაბლესი. აქ ეგო გამოაჩენს თავს, ეგო ამბობს: „თუ ეს უდაბლესი საფეხურია, რატომ მივდიოთ მას?" ასეთი მიდგომა არ გიშველით, მისდიეთ თქვენს გზას, თუნდაც უდაბლესი იყოს ეს გზა, იგი კარგია თქვენთვის. მოვა დრო და უდაბლესი საფეხურიდან უმაღლესზე ამაღლდებით.

კიბეს ორი ბოლო გააჩნია — უდაბლესი და უმაღლესი. იოგა და ტანტრა ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, პირიქით შესაძლებელია ისინი ერთმანეთის შევსებასაც კი წარმოადგენდნენ. იოგა დასაწყისია, საფუძველი, საიდანაც უნდა დაიწყოთ, მაგრამ ნუ გაჩერდებით მასზე, მოვა დრო, როდესაც უნდა დატოვოთ იოგა და ამაღ-

ლდეთ ტანტრამდე; ბოლოს კი საერთოდ უნდა დატოვოთ კიბე-იოგაც და ტანტრაც, თქვენსავე თავში მყოფთ, ღრმა სიმშვიდეში, თქვენ უკვე ყოველივე გარეგანი გავიწყდებათ.

შემომხედეთ მე:

მე არც იოგი ვარ და არც ტანტრისტი,
მე არ ვაკეთებ არაფერს — არც საქმობას,
არც უქმობას,
მე არ ვეჭიდები არც მეთოდს, არც
უმეთოდობას.
მე მხოლოდ ვისვენებ აქ ყველაფრისგან
თავისუფალი,
კიბეები უკვე არ არსებობენ ჩემთვის —
გზა უკვე გაქრა...
არავითარი მოძრაობა, სრული სიმშვიდე...
შინ მისული ვეძლევი სრულ მოსვენებას.
ვივიწყებ ყოველივეს და ნეტარებ —
ღმერთი — ეს მარადი მოსვენებაა.

გახსოვდეთ ეს. რადგან ზოგჯერ მე ვილაპარაკებ ტანტრაზე, იმათთვის, ვისაც ტანტრით ეშველებათ. ზოგჯერ ვილაპარაკებ იოგაზე, აქ მრავალია, ვისთვისაც იოგა სასარგებლო იქნება, უბრალოდ იფიქრეთ თქვენს მიდრეკილებებზე, მიჰყევით თქვენს ალღოს, მე აქ იმისათვის ვარ, რომ მოგეხმაროთ და არა იმისთვის, ამოგაგდოთ გზიდან. მაგრამ მე მიხდება ლაპარაკი სხვადასხვაზე, რადგან აქ სხვადასხვა ხასიათის ადამიანები არიან. მაშინ როგორღა უნდა მოიქცეთ? მისმინეთ და მიიღეთ მხოლოდ ის, რაც სათქვენოა, გადაღეჭეთ, გადაამუშავეთ. დაე ის იქცეს თქვენს სისხლად და ხორცად, მაგრამ მისდიეთ თქვენს მიდრეკილებებს. როდესაც ტანტრაზე ვლაპარაკობ, მე მთლიანად შთანთქმული ვარ ამით, იმიტომ რომ ასეთი ვარ, და არაფერს ვაკეთებ სანახევროდ, მე მთლიანად ჩემს საქციელში ვარ. როდესაც ტანტრაზე ვლაპარაკობ — მთლიანად მასში ვარ, არაფერს ტანტრას გარდა მნიშვნელობა არა აქვს. ამან შესაძლოა თქვენში არასწორი შთაბეჭდილება გამოიწვიოს. ტანტრა — უმაღლესი ყვავილია. თუ მთლიანობაში შეხედავთ, ეს ასეა: მაგრამ იგივე ხდება, როდესაც იოგაზე ვლაპარაკობ, რადგან მე მთლიანობა ვარ. საქმე არც იოგაშია, არც ტანტრაში —საქმე ჩემს მთლიანობაშია, რაც არ უნდა იყოს, მე ვუძღვნი მას ამ ჩემს მთლიანობას. როდესაც იგი იოგას და პატანჯალის ვუძღვენი, მე ვლაპარაკობ ისევ და ისევ, რომ ეს მწვერვალია.

ამიტომ ნუ აიმღვრევით; გახსოვდეთ, რომ ეს ჩემი მთლიანობაა, ჩემი თვისება. თუ ეს გემახსოვრებათ, თქვენ მიიღებთ დახმარებას, ჩემი პარადოქსული პიროვნებაც კი არ აგაცდენთ გზიდან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ნიკოლაი ბერდიაევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ზეინაბ სარაძემ

## თვითშემეცნება*

(წიგნის ნაწყვეტები)

### მარტოობა

მარტოობის თემა ძირეულია. მისი მეორე მხარე ურთიერთობის თემაა. გაუცხოება და ურთიერთცნობა, აი, რა არის მთავარი ადამიანის არსებობაში. ადამიანის მთელი რელიგიური ცხოვრებაც ამის ირგვლივ ტრიალებს. როგორ უნდა გადაილახოს უცხოობა და დაშორებულობა? რელიგია სხვა არაფერია, თუ არა სიახლოვის, ნათესაობის მიღწევა. ობიექტური სამყაროს ნაწილად და მასში გარკვეული ადგილის მქონედ არასოდეს მიგრძვნია თავი. ჩემი „მეს" ბირთვს ჩემ წინაშე მდგომი ობიექტური სამყაროს გარეშე განვიცდიდი. ამ სამყაროს მხოლოდ პერიფერიაზე ვეხებოდი. ფესვგაუდგმელობა სამყაროში, რომელსაც ფილოსოფიური გააზრების შედეგად ობიექტივირებული ვუწოდე, ჩემი მსოფლშეგრძნების უღრმესი საფუძველია. ბავშვობიდან ვცხოვრობდი სამყაროში, რომელიც არა მგავდა იმას, რაც მე გარს მერტყა; მხოლოდ ვთვალთმაქცობდი, ვითომ ამ გარემომცველ სამყაროში ვმონაწილეობდი. თავს ვიცავდი ამ სამყაროსაგან, ვდარაჯობდი ჩემს თავისუფლებას. მე გამოვხატე „პიროვნების" ამბოხი „გვარის" წინააღმდეგ. ამიტომ განდიდებისა და წარჩინებისაკენ, ძალისა და გამარჯვებისაკენ სწრაფვა უცხოა ჩემთვის. ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობდი რომანებსა და დრამებს, ნაკლებად — ლექსებს; ამან მხოლოდ განამტკიცა გრძნობა, რომ გამორჩეულ სამყაროში ვიმყოფებოდი. დიდებულ ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირები გარშემომყოფ ადამიანებზე უფრო რეალურებად წარმომესახებოდნენ. ბავშვობაში ოფიცერი თოჯინა მყავდა. ამ თოჯინას ყველა იმ თვისებას მივაწერდი, მე რომ მომწონდა. ეს მითის შექმნის პროცესი გახლავთ. ძალიან ადრეულ ბავშვობაში წავიკითხე „ომი და მშვიდობა" და შეუმჩნევლად თოჯინა, სახელად ანდრეი, გახდა თავადი ანდრეი ბოლკონსკი. შეიქმნა ბიოგრაფია არსებისა, რომელსაც სრულიად რეალურად მივიჩნევდი, ყოველ შემთხვევაში, უფრო რეალურად, ვიდრე ჩემს ამხანაგებს კადეტთა კორპუსიდან. თავისებურ სამყაროში ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ წარმოსახვასა და ფანტაზიაში ცხოვრებას არ ნიშნავდა. უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული ვარ, რომ წარმოსახვა ერთადერთი გზაა ამ სამყაროდან სხვა სამყაროში გაჭრისა. საკუთარ თავში თქვენ სხვა სამყაროს ხატებას იწვევთ. მაგრამ არც საზოგადოდ რეალობის და არც ამ უამური სინამდვილის რეალობის გრძნობა მქონია შესუსტებული. ობიექტურ სამყაროს იმდენად არარეალურად კი არ განვიცდიდი, რამდენადაც უცხოდ. სულაც არ ვცხოვრობდი ილუზორულ მდგომარეობაში. თუ მოინდომებენ ჩემს მსოფლშეგრძნებას რომანტიზმი უწოდონ, მაშინ ეს გახლავთ არა პასიური, არამედ აქტიური, არა ნაზად მეოცნებე, არამედ მკაცრი და შემტევი რომანტიზმი. მეტისმეტად ფხიზლად და რეალისტურად აღვიქვამდი გარე სამყაროს, მაგრამ ის ჩემგან შორს იყო და არ მერწყმოდა. შემდეგ ფილოსოფიური ცნობიერების დონეზე განვსჯიდი, რომ ადამიანის ბუნება გაუცხოებას, ექსტერიორიზაციას განიცდის და ამაში მონობის წყაროს ვხედავდი. მაგრამ მე მუდამ დიახაც რომ ვუძალიანდებოდი გაუცხოებასა და ექსტერიორიზაციას, მსურდა დავრჩენილიყავ საკუთარ სა-

---

* ფილოსოფიური ავტობიოგრაფია, გამოქვეყნდა 1949 წელს. თარგმნილია ჟურნალ „ნაშე ნასლედიე"-ს პუბლიკაციის მიხედვით (1988, VI, პუბლიკაცია მოამზადა და კომენტარები დაურთო ალ. ვადიმოვმა).

მყაროში, არ მინდოდა იგი გარეთ გამომეფინა, თავს აღვიქვამდი არსებად, რომელიც „ამა ქვეყნისა" არ არის და ვერც ჰგუობს „ამ ქვეყანას". არ მიფიქრია, რომ ვჯობდი იმ ადამიანებს, ვინც ფესვგამდგარნი არიან სამყაროში. ზოგჯერ მიფიქრია, მათზე უარესიცა ვარ-მეთქი. მწვავედ განვიცდიდი გარემოს, ყოველგვარი დაჯგუფების, მიმართულების, პარტიის უცხოობას. არასოდეს დავთანხმებულვარ რაიმე კატეგორიისათვის მივეწერე. თავს არ მივაკუთვნებდი ადამიანური ცხოვრების ზოგად-საშუალო მდგომარეობას. უცხოობის ამ გრძნობას, ზოგჯერ აშკარა ტანჯვას რომ მაყენებდა, ჩემში იწვევდა ნებისმიერი თავყრილობა, ცხოვრებისეული შემთხვევა. თვითონ ჩემშიც ბევრი რამ უცხოა ჩემთვის. სინამდვილეში მაშინაც განზე ვიდექ, როცა ცხოვრებაში ვაქტიურობდი. მაგრამ ჩემი უცხოობა გულგრილი არა ყოფილა. გულგრილობა მაკლია კიდეც. მე უფრო აქტიური ადამიანი ვარ, ვიდრე პასიური. მაგრამ ძალიან ცუდად ვარ სოციალიზებული, ცხოვრების გრძნობის მიხედვით ასოციალურიც კი ვარ. ხასიათით ფეოდალი ვარ, რომელიც თავის ციხე-კოშკში ზის, ხიდი ამოუზიდავს და მტერს იგერიებს. მიუხედავად ამისა, სოციალურიცა ვარ, მიყვარს ადამიანთა საზოგადოება და ბევრი ურთიერთობაც მქონია ადამიანებთან, ბევრჯერაც გავრეულვარ სოციალურ ღონისძიებებში. აზროვნება არ მაქვს განმხოლოებული: ადამიანებთან ურთიერთობა აზრს აღმიგზნებდა და მამძაფრებდა. მუდამ მოკამათე ვიყავ. აქაა წინააღმდეგობა, რაც ჩემზე ადამიანთა მცდარ წარმოდგენას იწვევდა. ხშირად მესმოდა ჩემზე გამოთქმული აზრი, რაც თავისი უზუსტობით მანცვიფრებდა. ძალიან ხშირად გარეგნულად ისეთი არ ვჩანდი, როგორიც სინამდვილეში ვიყავ. ვატარებდი ნიღაბს, რითაც ჩემს სამყაროს ვიცავდი. ადამიანთა თავყრილობებში აქტიურად რომ ვმონაწილეობდი, არ ვიცი, თუ გრძნობდა ვინმე, რაოდენ შორს ვიყავ, რაოდენ უცხო. უკიდურესი გულჩახვეულობისა და თავშეკავებულობის გამო ჩემზე მცდარი შეხედულება ექმნებოდათ. მარტოობას უფრო მეტად სწორედ ადამიანთა საზოგადოებაში, ადამიანებთან ურთიერთობისას ვგრძნობდი. მარტოხული ადამიანები გამორჩეულად მჭვრეტელური ბუნებისანი და ასოციალურნი არიან. მაგრამ მე შევუხამე მარტოხულობა სოციალურობას (არ უნდა ავურიოთ ხასიათის სოციალიზებულობაში). ჩემი შემთხვევა ყველაზე უფრო მძიმე მგონია; ესაა უღრმესი მარტოობა. სოციალური რიგის საკითხები ჩემს ვნებათაღელვას იწვევდა და ახლაც იწვევს. ამასთან ნებისმიერი სოციალური წყობა ჩემთვის უცხოა და შორი. სიჭაბუკეში მარქსისტულ წრეებში ძალიან ვაქტიურობდი, ვკითხულობდი მოხსენებებს, ვკამათობდი, ვეწეოდი პროპაგანდას, მაგრამ მუდამ თითქოს სხვა სამყაროდან ვიყავ მოსული და იმ სამყაროში ვეშურებოდი დაბრუნებას. რეალობაში ვერასოდეს ვაღწევდი იმას, რაცა მქონდა სულის სიღრმეში. ჩემთვის უცხო იყო ქვეყნიური გარემო და [illegible] საური გარემოს შექმნას, მაგრამ ბევრს ვერას ვაღწევდი. არაფერი მაქვს [illegible]გადოების ხურჯებთან", დარ[illegible]ებთან, მყარი საფუძვლების, თუნდაც ლიბერალური ან სოციალისტური ყაიდის დამცველებთან.

არსებობს ადამიანთა ორი ძირითადი ტიპი: ერთი ჰარმონიაშია სამყაროსთან, მეორე — დისჰარმონიაში. მე მეორე ტიპს მივეკუთვნები. მე მუდამ ვგრძნობდი მტანჯველ დისჰარმონიას „მესა" და „არამეს" შორის, ჩემს არსობრივ შეუგუებლობას. იმის გამო, რომ გულჩათხრობილი ვიყავ და შემეძლო ჩემს შინაგან სამყაროსთან შეუსაბამო იერი შემექმნა; უმრავლეს შემთხვევაში ჩემზე ექმნებოდათ მცდარი შეხედულება, სულ ერთია, დადებითი იყო ეს თუ უარყოფითი. სიჭაბუკეში ჩემდამი კეთილად განწყობილი ადამიანები „ქალებისა და ღმერთების რჩეულს" მიწოდებდნენ. კაცის გულს ეს შეიძლება კიდევაც ხიბლავდეს, მაგრამ ჩემს ტიპს ეს სახელდება არ შეესაბამებოდა. იგი მსუბუქსა და ბედნიერ ტიპს მოუხდებოდა, მე კი ვიყავ ძალიან რთული ტიპი და ცხოვრებასაც უფრო ტანჯვად აღვიქვამდი. მარტოობისა და სევდის განცდა ადამიანს ბედნიერს არ ხდის. მარტოობა დაკავშირებულია იმასთან, რომ სამყაროულ მოცემულობას არ იღებ. ეს მიუღებლობა, შეუგუებლობა გამოხატა ალბათ ქვეყნად მოვლინებისას პირველი მეტაფიზიკური დაყვირებით. ცნობიერების გამოღვიძებისთანავე შევიცან, რომ ყოველდღიურობა უკიდურესად განმაზიდავდა. მაგრამ საზოგადო ცხოვრება, ცხოვრება კაცისა მნიშვნელოვანწილად ყოველდღიურობაა, ისაა რასაც ჰაიდეგერი უწოდებს das Man. განმზიდავდა ყოველგვარი ადამიანური ყოფა და ვესწრაფოდი სადაგი სამყაროდან გაჭრას. ჩემში თავმოთნეობისა და პატივმოყვარეობის შედარებით სუსტი განვითარება ალბათ იმის გაცნობიერებით აიხსნება, რომ სამყარო უცხოა და მასში მყარი ადგილის დაკავება შეუძლებელია. ბევრი რამის მიმართ ვიყავ გულგრილი, თუმცა კი არა ვარ გულგრილი კაცი. ადამიანთა შეფასებებს ჩემი არსების მხოლოდ ზედაპირი, სულის მხოლოდ გარსი დაეჩხაპნა ბირთვთან შეუხებლად. მე ვუყვარდი ცალკეულ ადამიანებს, ზოგჯერ აღტაცებულნიც ყოფილან ჩემით, მაგრამ მე მუდამ მეჩვენებოდა, რომ არ ვუყვარდი „საზოგადოებრივ აზრს", არ ვუყვარდი ზეპურ საზოგადოებას, არ ვუყვარდი მარქსისტებს, არ ვუყვარდი რუსი ინტელიგენციის ფართო ფენებს, არ ვუყვარდი პოლიტიკურ მოღვაწეებს, არ ვუყვარდი ოფიციალური აკადემიური ფილოსოფიისა და მეცნიერების წა-

რჩომადგენლებს, არ ვუყვარდი ლიტერატურულ ჯგუფებს, არ ვუყვარდი საეკლესიო წრეებს. არასოდეს შემეძლო შეგუება და კოლაბორაცია. გამუდმებით ოპოზიციასა და კონფლიქტში ვიყავ. მე ვუჯანყდებოდი თავადაზნაურულ საზოგადოებას, რევოლუციურ ინტელიგენციას, ლიტერატურულ სამყაროს, კომუნიზმს, ემიგრაციას, ფრანგულ საზოგადოებას. მუდამ ქალებს მეტად ვუყვარდი, ვიდრე მამაკაცებს. მაგრამ მათმა სიყვარულმა ახალგაზრდობა ჩამიმწარა. მეტისმეტად ვიცავდი ჩემს ბედს. მუდამ ვუცრუებდი მოლოდინს. ახლაც ვუცრუებდი მოლოდინს ყველა იდეურ მიმართულებას, რომელთაც ეგონათ, რომ მათი კაცი ვიყავ. მე მუდამ არავისი ვიყავ; მხოლოდ საკუთარ თავს, საკუთარ იდეას, საკუთარ მოწოდებას, ჭეშმარიტების საკუთარ ძიებას ვეკუთვნოდი. ეს კი მუდამ გულისხმობს ობიექტურ სამყაროსთან განხეთქილებას. ამას ბნელი მხარეცა ჰქონდა. იგი ნიშნავდა საკუთარი თავის გაღების მცირე ნიჭს. არასოდეს მიგრძვნია ,რომ ქვეყნად მთლიანად რაიმეს ან ვინმეს ვეკუთვნი. ყოველივეში მონაწილეობას თითქოს შორიდან უცხოსავით ვიღებდი. არაფერს ვერწყმოდი. არც რელიგიური, არც ეროვნული, არც სოციალური, არც ეროტიკული შერწყმით გამოწვეული ალტაცება და ექსტაზი მიგრძვნია. არასოდეს. სამაგიეროდ ბევრჯერ გამომიცდია განხეთქილებისა და ამბოხის ექსტაზი. სრულებით არ ვეპუები კოლექტიური ინფექციის ზეწოლას, თუნდაც დადებითი იყოს. სრულიად გაუგებარია, რას ნიშნავს კოლექტივთან შერწყმა. ექსტაზში მოვყავარ არა ყოფნას, არამედ — თავისუფლებას. ეს განსაზღვრავს ჩემი ფილოსოფიური მსოფლჭვრეტის მთელ ტიპს. მაგრამ სულაც არ გახლავართ სოლიფსისტი. მიმართული ვარ სხვაზე და სხვებზე და მძაფრად შევიგრძნობ რეალობას. მიზიდავს ყოველთვის და ყველაფერში ტრანსცენდენტური, სხვაგვარი, რაც მიჯნებსა და საზღვრებს მიღმაა გასული და მომცემია იდუმალების. სულაც არა ვარ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ თავში ჩაძირული და საკუთარი თავის ანალიზით დაკავებული. მაგრამ ვერაფერი დასძლევს ჩემს მარტოობას. ეს მარტოობა ძალიან მტანჯველია. ზოგჯერ მარტოობა გამხარებია როგორც უცხო ქვეყნიდან შინ დაბრუნება. ეს მშობლიური სამყარო თვითონ კი არ ვიყავ, ის იყო ჩემში. რასაც მე ვლაპარაკობ, იმის გასაგებად გამოთქმა ადვილი არაა. მე ხომ ჩემი თავისთვისაც უცხო ვარ, მოძულებულ, haissabli. მაგრამ ჩემშია ისიც, რაც ჩემთვის საკუთარ თავზე მაღლობელია, ეს საცოცხლის უიდუმალესი მხარეა. მას შეეხებიან ნეტარი ავგუსტინე, პასკალი.

ბავშვობიდან მქონდა მოწოდების ძლიერი გრძნობა. არასოდეს ვიცოდი, რა იყო რეფლექსია იმაზე, თუ რა უნდა ამერჩია ცხოვრებაში და რომელი გზით წავსულიყავი. ჯერ კიდევ ყმაწვილი ვგრძნობდი, რომ ფილოსოფოსისათვის ვიყავ მოწოდებული. ფილოსოფიის მოწოდებაში სულაც არ მესმოდა ის, რომ ცოდნის რომელიმე დისციპლინას დავუფლებოდი, დავწერდი დისერტაციას, გავმხდარიყავი პროფესორი. საერთოდ არასოდეს მქონია რაიმეგვარი ცხოვრებისეული კარიერის პერსპექტივა. ყოველივე აკადემიურს გავურბოდი. არ მიყვარდა სწავლულთა ფენა. ვერ ვიტანდი სქოლარობას, პირობითი სწავლულობა აბირებად მიმაჩნდა. ცუდად წარმომედგინა თავი პროფესორისა და აკადემიკოსის როლში, ისევე როგორც ოფიცრის და ჩინოვნიკის. ანდაც ოჯახის მამის როლში, საერთოდ ნებისმიერ ცხოვრებისეულ როლში. როცა გავაცნობიერე, რომ მოწოდებით ფილოსოფოსი ვარ, მაშინ შევიგნე, რომ ვარ ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტების ძიებასა და ცხოვრების საზრისის გახსნას უძღვნის თავს. ფილოსოფიური წიგნების კითხვა წარმოუდგენლად ადრე დავიწყე. მე გახლდით ძალიან ნაადრევად განვითარებული ყმაწვილი, თუმცა კი მიჭირდა რეგულარული მეცადინეობა. საერთოდაც მთელი ცხოვრება არარეგულარული ადამიანი ვიყავ. თოთხმეტი წლისა ვკითხულობდი შოპენჰაუერს, კანტსა და ჰეგელს. მამაჩემის ბიბლიოთეკაში ვიპოვე კანტის „წმინდა გონების კრიტიკა" და ჰეგელის „გონის ფილოსოფია" (ენციკლოპედიის მესამე ნაწილი). ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო ჩემში სუბიექტური სამყაროს ჩამოყალიბებას, რასაც ობიექტურ სამყაროს ვუპირისპირებდი. ზოგჯერ მეჩვენებოდა, ვერასოდეს შევალ-მეთქი ობიექტურ სამყაროში. ყოველ ადამიანს გამორჩეული შინაგანი სამყარო გააჩნია. ერთი ადამიანისათვის ერთნაირია სამყარო, მეორესათვის — მეორენაირი. იგი ყველას განსხვავებულად წარმოუდგება. ამასთან მიჭირს გამოვხატო „მეს", ხოლო ამ „მეში" საკუთარი სამყაროს შეგრძნების მთელი სიმძაფრე, სიტყვებს ვერ ვპოულობ საამისოდ. „არამეს" სამყარო მუდამ ნაკლებად საინტერესო მეჩვენებოდა. მე ვწვდებოდი „არამეს" სამყაროს, ვეზიარებოდი მას, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის მესახებოდა როგორც ჩემი „მეს" სამყაროს შინაგანი შემადგენელი ნაწილი. არსებითად, მხოლოდ მაშინ შემეძლო კანტი და ჰეგელი გამეგო, თუკი ჩემშიც გავხსნიდი კანტისეული და ჰეგელისეული აზროვნების სამყაროს. ობიექტში ჩაძირვით ვერაფერს ვიგებდი, რაიმეს გაგება მხოლოდ სუბიექტში ჩაძირვით შემიძლია. ვინძლო ამ თავისებურების წყალობით მეჩვენებოდა მუდამ, რომ ჩემი ცუდად ესმით, მთავარს ვერ მიგებენ. ეს ნაწილობრივ ჩემს გულჩათხრობილობას უკავშირდება. აზრთა გამოხატვა კიდევ შემეძლო, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობდი მაინც გამომეხატა. მაგრამ არა-

სოდეს შემეძლო გრძნობათა გამოხატვა. ჩემი სიცოცხლე შესაძლოა თავდაცვა იყო, მოფრთხილება საკუთარი სამყაროსი. გარდა ამისა, გრძნობათა გამოხატვას მიშლიდა სიმორცხვეც. დიახ, სიმორცხვე და არა მორიდებულობა. მუდამ მიჭირდა მეორე ადამიანთან ინტიმური ურთიერთობა, მიჭირდა პირისპირ დიალოგი. ჩემთვის გაცილებით იოლი იყო მოლაპარაკე ადამიანთა საზოგადოებაში, ხალხმრავლობაში. მეორე ადამიანთან პირისპირ კიდევ უფრო აშკარავდებოდა ჩემი სიმარტოვე, მიმძაფრდებოდა გულჩათხრობილობა. ამიტომ არასოდეს ვტოვებდი ლირიკული ადამიანის შთაბეჭდილებას, მაგრამ შინაგანი, გამოუხატავი ლირიზმი კი გამაჩნდა. უაღრესად მგრძნობიარეც ვიყავი, გულჩვილიც. მაგრამ ადამიანებთან შეხებისას ვხდებოდი ცივი. ა. ჟიდი თავის „დღიურში" წერს, რომ ვერ იტანდა პათეტიკას და სხვათა პათეტიკურობა გრძნობებს უცივებდა. ამის თქმა ჩემზეც ზედგამოჭრილი იქნებოდა. გრძნობათა პათეტიკური გამოხატვის ატანა მიჭირს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ არავინ მჭირდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, მეტაფიზიკურად და მორალურადაც მცდარია. სინამდვილეში ახლობელნი მესაჭიროებოდნენ და ძალიან ვიყავ მათგან დავალებული. „არამეს" სამყაროსადმი, სოციალური გარემოსადმი ცხოვრებაში შეხვედრილი ადამიანებისადმი ჩემს დამოკიდებულებას ის ახასიათებს, რომ რაიმე ცხოვრებისეული სიკეთის მოპოვებას არასოდეს ვცდილობდი, არ ვესწრაფოდი წარმატებას ან კეთილდღეობას ამა თუ იმ თვალსაზრისით. ჩემი მოწოდება განვახორციელე იმ უპირატესობათა გარეშე, რაც „არამეს" სამყაროს შეეძლო მოეცა. მუდამ განცვიფრებული ვრჩებოდი, თუ რაიმე უპირატესობას მანიჭებდნენ. რაიმეს მოსაპოვებლად თითიც არასოდეს გამინძრევია. ადამიანებთან ურთიერთობაში საკმაოდ ძლიერი პირადი შემწყნარებლობა მახასიათებდა, ადამიანთა განკითხვა არ მიყვარდა. მაგრამ ამას შეუწყნარებლობაც ერწყმოდა. შეუწყნარებელი ვხდებოდი, როცა შეეხებოდნენ თემას, რომელსაც მოცემულ მომენტში უკავშირდებოდა ჩემი ბრძოლა. მაგრამ მაწუხებდა იმის შეგნება, რომ არასაკმარისია ინტერიორიზაცია, არასაკმარისია სამყაროს თავისთავში განვითარება, რომ აუცილებელია ექსტერიორიზაციაც, გარეთ მიმართული მოქმედებაც. იუნგის ტერმინოლოგიით რომ ვთქვა, მე ვარ არა მხოლოდ ინტროვერტი, არამედ ექსტრავერტიც. მაგრამ ამასთან შეგნებული მქონდა ყოველგვარი გარე მიმართული მოქმედების ტრაგიკული წარუმატებლობა. მე არაფერი მაკმაყოფილებს: არც ერთი ჩემ მიერ დაწერილი წიგნი, არც ერთი ჩემ მიერ [illegible] სიტყვა. მქონდა მოუთოკავი მოთხოვნილება [illegible] ჩემი მოწოდება განმეხორციელებინა — მეწერა, საკუთარი აზრი ამ სამყარო[illegible]. მე რომ წერით განუწყვეტელ[illegible]ციელებინა, ალბათ სისხლძარღვები დამეწყდებოდა. შემოქმედებით აქტზე არავითარი რეფლექსია არა მქონია. შემოქმედებითი აქტისას არასოდეს მიფიქრია საკუთარ თავზე, არ მაინტერესებდა, როგორ აღმიქვამდნენ. ამაზე კიდევ ვილაპარაკებ. ჩემი მარტოობის თემას მცდარად გაიგებდნენ, რომ დაესკვნათ, თითქოს მე ახლობლები არა მყოლია, არ მყვარებია არავინ და არავის მიმართ არა ვგრძნობ საუკუნო მადლიერებას. ჩემს ცხოვრებას არ ჩაუვლია მარტოობაში, ჩემი ცხოვრების მრავალი მიღწევა ჩემი დამსახურება არ არის. მაგრამ მარტოობის მეტაფიზიკური თემის გადაწყვეტად ეს არ კმარა. ჩემი ცხოვრების შინაგანი ტრაგიზმის გამოხატვა არასოდეს შემეძლო და არც მინდოდა. ამიტომ არასოდეს განმიცდია ბედნიერება და გამოსავალს ესქატოლოგიურ მოლოდინში ვეძებდი.

* ფრანგი მწერლის ა. ჟიდის (1869-1951) „დღიური" მოიცავს 1889-1949 წლების პერიოდს. ბერდიაევის სიცოცხლეში გამოდიოდა ნაწილ-ნაწილ.

## ურვა

სხვა ძირითადი თემაა ურვა. მთელი ცხოვრება ჩემი თანამდევი იყო ურვა, თუმცა გააჩნია ცხოვრების პერიოდებსაც; ზოგჯერ უკიდურესად მძაფრდებოდა იგი და იძაბებოდა, ზოგჯერ სუსტდებოდა. ერთმანეთისგან უნდა გაირჩეს ურვა, შიში და მოწყენილობა. ურვა უმაღლესი სამყაროსადმი არის მიმართული და თან ახლავს ამა სოფლის არარაობის, სიცარიელის, ამაოების განცდა. ურვა მიმართულია ტრანსცენდენტურზე, მაგრამ ამავე დროს გულისხმობს ტრანსცენდენტურთან შეურწყმელობას, უფსკრულს ჩემსა და ტრანსცენდენტურს შორის. ესაა ურვა ტრანსცენდენტურზე, ამ სამყაროსგან განსხვავებულ, ამ სამყაროს საზღვრებს იქითა სამყაროზე, მაგრამ იგი ტრანსცენდენტურის წინაშე მარტოობაზე მეტყველებს. ესაა უკანასკნელ წვეთამდე მიყვანილი კონფლიქტი ამქვეყნად ჩემს ცხოვრებასა და ტრანსცენდენტურს შორის. ურვას შეუძლია გამოაღვიძოს ღვთისცნობიერება, მაგრამ ერთდროულად იგი ღმრთისმიტოვებულობის განცდაცაა. იგი ამყოფებს ტრანსცენდენტურსა და არყოფნის უფსკრულს შუა. შიში და მოწყენილობა ზენა სამყაროსადმი როდია მიმართული, ისინი მიმართულნი არიან დაბლითა სამყაროსადმი. შიში მეტყველებს საფრთხეზე, რომელიც დაბლითა სამყაროსაგან მემუქრება. მოწყენილობა ამ დაბლითა სამყაროს სიცარიელესა და უაზრობა-

ზე მეტყველებს. მოწყენილობის სიცარიელეზე უფრო უიმედო და საშინელი არაფერია. ურვაში იმედია, მოწყენილობაში — უიმედობა, მოწყენილობა მხოლოდ შემოქმედებით გადაილახება. შიში, რომელიც მუდამ ემპირიულ საფრთხეს უკავშირდება, უნდა გავარჩიოთ ძრწოლისაგან, რომელიც არა ემპირიულ საფრთხეს, არამედ ტრანსცენდენტურს, ყოფნასა და არყოფნაზე ურვას უკავშირდება. კირკეგორი Angst-ს Furcht-ისგან განარჩევს. მისთვის Angst პირველადი რელიგიური ფენომენია. ურვას და ძრწოლას საერთოც გააჩნიათ. მაგრამ ძრწოლა უფრო მძაფრია, ძრწოლაში არის რაღაც ადამიანის გამაოგნებელი. ურვა რბილია და წელვადი. ძრწოლის ღრმა განცდამ შეიძლება შეურვებისგან განკურნოს კაცი. ხოლო ძრწოლის გადაზრდა ურვაში მწვავე ავადმყოფობის ქრონიკულში გადასვლა არის. ნიშანდობლივია, რომ შემეძლო ამეტანა ურვაც. მაგრამ ვერ ვუძლებდი სევდას და ვესწრაფოდი, იმისაგან თავი რაც შეიძლება სწრაფად დამეხსნა. უნდა აღვნიშნო, რომ ვერ ვიტანდი გულაჩუყებას, მეტისმეტად მიპყრობდა იგი. სევდა სულისმიერია და წარსულს უკავშირდება. ტურგენევი უმეტეს წილ სევდის მხატვარია, დოსტოევსკი — ძრწოლისა, ძრწოლა მარადიულთან არის კავშირში. სევდა ლირიკულია, ძრწოლა — დრამატული. საოცარია, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ გავუძლებ ჩემთვის ეგზომ დამახასიათებელ ურვას, გავუძლებ ძრწოლას, მაგრამ თუ სევდამ დამძლია, გამალხობს და გამაქრობს. ჩემში სევდა მჭიდროდ ებმის სიბრალულს, რასაც ძალიან ვუფრთხოდი, რადგანაც ვგრძნობდი, იმას დიდი ძალა შეიძლება ჰქონოდა ჩემს სულზე, სიბრალულისა და სევდისაგან, ისევე როგორც გულაჩუყებისაგან მუდამ ვიცავდი თავს. ურვის საწინააღმდეგოდ არაფერი შემეძლო მეღონა, მაგრამ მე იგი არა მშუხრავდა. ტემპერამენტთა ძველი და საკმაოდ მცდარი კლასიფიკაციის მიხედვით ჩემში ორი ტიპი უნდა იყოს შერწყმული, რომლებიც ჩვეულებრივ დაპირისპირებულად ითვლება. სანგვინიკიც ვარ და მელანქოლიკიც. ვინძლო თვალში მოსახვედრი უფრო სანგვინიკური ნიშნები ყოფილიყო: თავში ადვილად ამივარდება სისხლი, არაჩვეულებრივად სწრაფი რეაქცია მქონდა ყველაფერზე, გაცეცხლების შეტევებიც მჭირდა. ტემპერამენტის მელანქოლიკური ნიშნები უფრო სიღრმეში იყო შეყუჟული. მე ვიურვოდი და პესიმისტურად ვიყავ განწყობილი, მაშინაც კი, როცა გარეგნულად მხიარული ვჩანდი, მომღიმარი, სიცოცხლით სავსე. ჩემს ბუნებაში პესიმისტური ელემენტია. ნიშანდობლივია, რომ ჩემი სულიერი გამოღვიძების ჟამს ბიბლია კი არა, შოპენჰაუერის ფილოსოფია დაეუფლა ჩემს შეგნებას. ამას ხანგრძლივი შედეგები მოჰყვა. მიჭირდა შესაქმის მადლი მეღიარებინა. ამის მეორე მხარე იყო ადამიანური შემოქმედების კულტი. საოცარია, ყველაზე მძაფრად ურვა მიპყრობდა ცხოვრების ეგრეთ წოდებულ „ბედნიერ" წუთებში, თუკი საერთოდ შესაძლებელია ბედნიერი წუთები. ბედნიერი, სიხარულის მომნიჭებელი წუთებისა მეშინოდა. ამ წუთებში განსაკუთრებული სიმძაფრით მახსენდებოდა არსებობის გამტანჯველობა. თითქმის ყოველ დიდ დღესასწაულზე მიპყრობდა ურვა, ალბათ იმიტომ, რომ სადაგი დროის ჯადოსნურ ფერისცვალებას ველოდებოდი, ეს კი არ ხდებოდა. მიჭირდა იმიტომაც, რომ სხვასავით არ შემეძლო ისეთი სულიერი მდგომარეობის იდეალიზაცია და პოეტიზაცია, როგორიცაა: ურვა, სასოწარკვეთა, წინააღმდეგობანი, ეჭვი, ტანჯვა; ხშირად ასეთი მდგომარეობანი სიმახინჯედ მიმიჩნევია.

არსებობს ურვა ყრმობისა. ურვა ყმაწვილკაცობაში უფრო ძლიერად მფლობდა, ვიდრე მოწიფულობის ჟამს. ესაა ურვა იმის გამო, რომ მოჭარბებული ძალები ვერ გამოგიყენებია და არ ხარ დარწმუნებული, მათ სრულად გამოყენებას თუ შეძლებ. ჭაბუკობაში გაქვს იმედი, რომ ცხოვრება საინტერესო იქნება — შესანიშნავი, უჩვეულო შეხვედრებითა და ამბებით უხვი. მუდამ კი შეუსაბამობაა ამ იმედსა და გაწბილებებით, ტანჯვითა და სევდით სავსე აწმყოს შორის, რომელშიც ცხოვრება ულმობლად მიედინება. მცდარია აზრი, თითქოს ურვას ძალთა ნაკლებობა იწვევს, მას ძალთა სიჭარბეც ბადებს. ვფიქრობ, ჭაბუკობა უფრო იურვის, ვიდრე ეს ჩვეულებრივ გვგონიათ. მაგრამ სხვადასხვა ადამიანი მას სხვადასხვანაირად გამოავლენს. მე განსაკუთრებით შეურვების პერიოდები მახასიათებდა. ვიურვოდი ცხოვრების სწორედ იმ პერიოდებში, რომელთაც უფრო სასიხარულოდ თვლიან. აუტანელია კონტრასტი მოცემული წუთის ბედნიერებასა და ტანჯვას, ზოგადად სიცოცხლის ტრაგიზმს შორის. ურვა არსებითად მუდამ მარადიულზე ურვაა, იგი დროსთან შეგუების შეუძლებლობაა. მომავლისადმი შიშის მიპყრობაში მარტო იმედი არაა, ურვაცაა. ბოლოს და ბოლოს მომავალს სიკვდილი მოაქვს და არ იქნება არ აღძრას ურვა. ისევე როგორც წარსული, მომავალიც მტერია მარადიულობისა. მაგრამ არაფერია საინტერესო გარდა მარადიულისა. ხშირად მწველ ურვას შევუპყრივარ საამურ, მთვარიან საღამოს მშვენიერ ბაღში, მზიან დღეს მინდვრად მოღელავე ყანაში, ქალის მომხიბვლელ სახებასთან შეყრისას, სიყვარულის აფეთქებისას. ეს ბედნიერი შემთხვევები კონტრასტს ქმნიდნენ წუთიერთან, სიმახინჯესთან,

ხრწნასთან, რითაც ხავსვა ცხოვრება. ნიადაგ დროის ნამდვილი ხენი მჭირდა. წარმოსახვაში დასასრულს ვჭვრეტდი და მინდოდა შევეგუებოდი პროცესს, რომელსაც დასასრულისაკენ მივყავართ; აქედან მოდის ჩემი სულსწრაფობა. არსებობის განსაკუთრებული ურვა დაკავშირებული სიყვარულის განცდასთან. მუდამ მაკვირვებდნენ ისინი, ვინც ცხოვრების ამ დაძაბულ აღმავლობაში მხოლოდ სიხარულსა და ბედნიერებას ხედავდნენ. ეროსს ღრმად ახასიათებს ურვის ელემენტი და ეს ურვა დროისა და მარადისობის ურთიერთმიმართებასთან არის კავშირში. დრო არის ურვა, დაუცხრომლობა, კვდომა. არსებობს ურვა სქესისა. სქესი მხოლოდ მოთხოვნილება არ არის, დაკმაყოფილებას რომ საჭიროებს. სქესი ურვაა, რადგანაც აზის მას ბეჭედი ადამიანის დაცემისა, სქესის ურვის განქარვება ამ სამყაროს პირობებში შეუძლებელია. სქესი ბადებს ილუზიებს, რაც ადამიანს არაადამიანური პროცესის საშუალებად აქცევს. დიონისიზმი, სიცოცხლის მოზღვავებას რომ ნიშნავს, ბადებს ტრაგედიას. მაგრამ სქესის სტიქია დიონისურ სტიქიას უკავშირდება. დიონისე და ჰადესი ერთი და იგივე ღმერთია. სქესი ადამიანის ნაკლულობაა, გახლეჩილობაა. მაგრამ ადამიანის მთლიანობა სქესის გზით ვერასოდეს მიიღწევა. სქესი მოითხოვს საკუთარი თავიდან გამოსვლას, სხვასთან მისვლას. მაგრამ ადამიანი ისევ საკუთარ თავს უბრუნდება და ურვა იპყრობს. ადამიანი, ელტვის რა მთლიანობას, იურვის მთლიანობაზე. მაგრამ სქესობრივი ცხოვრება იმდენად არის დამახინჯებული, რომ იგი ადამიანის გახლეჩილობას ამძაფრებს. სქესი თავისი ბუნებით უმანკოება არაა, ე. ი. მთლიანობა აკლია. მთლიანობისაკენ მხოლოდ ნაღდ სიყვარულს მივყავართ. მაგრამ ეს ერთი ყველაზე ტრაგიკული პრობლემათაგანია და მასზე კიდევ მოგვიწევს ლაპარაკი.

საამური მთვარიანი საღამოსაგან სრულიად განსხვავებულ წუთებშიც შემომაწვება ხოლმე ურვა, დიდი ქალაქის ქუჩებში. განსაკუთრებით პარიზსა და პეტერბურგში შებინდებისას თითქმის მუდამ მიპყრობს ურვა. საერთოდ ვერ ვიტანდი შებინდებას. შებინდება გარდამავალი მდგომარეობაა ნათელსა და წყვდიადს შორის, როცა დღის განათების წყარო თვალსაა მიფარებული, მაგრამ არ დამდგარა ღირსეული სინათლე. არც ხელოვნური, ადამიანისმიერი განათება, ადამიანს რომ იცავს ხელოვნური წყვდიადისაგან, და არც ვარსკვლავების ნათება. სწორედ ბინდი ამძაფრებს ურვას მარადიულზე, მარადიულ სინათლეზე. დიდი ქალაქის ბინდში ადამიანური ცხოვრების ბოროტება კიდევ უფრო თვალსაჩინოვდება. ღამის ურვა სხვაა, სხვაა ურვა შებინდებისა. იგი უფრო ღრმაა, უფრო მიღმური. მე განვიცდიდი ღამისეულ მწველ ურვას, ვძრწოდი ამ შეურვების გამო. დროთა განმავლობაში ეს შემისუსტდა. ადრე ხელოვნური განათების გარეშე, ვერც ვიძინებდი. მაგრამ ეს დავძლიე. ვხედავდი სულისშემხუთველ სიზმრებს, კოშმარებს. სიზმრები ხშირად მტანჯავს, თუმცა ზოგჯერ შესანიშნავ სიზმრებსაც მინახავს. ღამღამობით ხშირად მიგრძნია ვიღაც უცხოს სიახლოვე. ეს უცნაური შეგრძნება დღისითაც მქონია. ვსეირნობთ სოფელში — ტყეში ან მინდვრად. ოთხნი ვართ, მაგრამ ვგრძნობ, არის მეხუთეც და არ ვიცი, ვინაა ეს მეხუთე. ყველაფერი ეს ურვას უკავშირდება. თანამედროვე ფსიქოპათოლოგია ამ მოვლენას არაცნობიერითა ხსნის. მაგრამ ეს არაფერს არკვევს და არაფერს წყვეტს. ღრმადა ვარ დარწმუნებული, ადამიანის ცხოვრებაში არის ტრანსცენდენტური, არის ტრანსცენდენტურის მიზიდულობა და ტრანსცენდენტურის ზემოქმედება. მიგრძვნია არაცნობიერის წიაღში ანუ ქვემო სკნელში ჩაძირვა, მაგრამ უფრო მეტი ძალით მიგრძვნია ტრანსცენდენტურის ზემო სკნელის მიზიდულობა.

ურვა მჭიდროდ უკავშირდება იმასთან დაცილებას, რასაც ადამიანები „ცხოვრებას" ეძახიან, ამ სიტყვის მნიშვნელობის გაუაზრებლად. „ცხოვრებაში", თავად „ცხოვრების" ძალაში გამაზიეებული ურვაა. „თეორია უფერულია, ხოლო ცხოვრების ოქროს ხე კი მწვანეა მარად"*. ზოგჯერ პარადოქსულად უკუღმა მინდოდა გამომეთქვა: „უფერულია ხე ცხოვრებისა, მარადმწვანეა თეორია". აღშფოთება რომ არ გამოვიწვიო, აუცილებელია ამის ახსნა. ამას ვამბობ კაცი, რომლისთვისაც უცხოა სქოლასტიკა, სწავლულობა, ყოველგვარი გამომშრალი თეორია, კაცი, რომელიც უფრო ფაუსტია, ვიდრე ვაგნერი. ის, რასაც „ცხოვრებას" ეძახიან, უფრო ხშირად მხოლოდ ზრუნვა-ფუსფუსით სავსე ყოველდღიურობაა. თეორია კი ყოფაზე ამაღლებული შემოქმედებითი შემეცნება გახლავთ. თეორია ბერძნულად „ჭვრეტას" ნიშნავს. ფილოსოფია (მარადმწვანე „თეორია") თავისუფალია „ცხოვრების" ურვისა და მოწყენილობისაგან. მე შევიქენ ფილოსოფოსი, გავხდი „თეორიის" ტყვე, რათა ყოველდღიური ცხოვრების გამოუთქმელი ურვისაგან განვთავისუფლებულიყავი. ფილოსოფიური აზრი მუდამ მათავისუფლებდა „ცხოვრების" დამთრგუნველი ურვისაგან, იმის სიმახინჯისაგან. „ყოფნას" „შემოქმედებას" ვუპირისპირებდი. შემოქმედება „ცხოვრება" არაა, შემოქმედება არის მიჯნის გარღვევა და აღმაფრენა. იგი ამაღლებულია ცხოვრებაზე და მიისწრაფის სამზღვარს იქით, სამანს გარეთ, ტრანსცენდენტურისაკენ. ურვა

* გოეთე ი. ვ., „ფაუსტი", 1987 წ., თბილისი, გვ. 73.

ამოდის „ცხოვრებიდან", ბინდიდან და „ცხოვრების" წყვდიადიდან. მიმართულია ტრანსცენდენტურზე. შემოქმედება სხვა არაფერია, თუ არა ტრანსცენდენტურისაკენ სვლა. შემოქმედება ამოატივტივებს ხატებს იმისას, რაც განსხვავებულია „ცხოვრებისაგან". სიტყვა „ცხოვრებას" ბრჭყალებით ვხმარობ. შემოქმედებით სამყაროში ყველაფერი უფრო საინტერესოა, მნიშვნელოვანი, ორიგინალური, ღრმა, ვიდრე ნამდვილ ცხოვრებაში, ისტორიაში ან რეფლექსიისა და აზრის სამყაროში. ჩემში იხსნებოდა ამ ობიექტურ, სიმახინჯით გაჯერებულ სამყაროზე უფრო მშვენიერი სამყარო. მაგრამ ეს გულისხმობს შემოქმედებით აღმავლობას.

მახასიათებს თუ არა მოწყენილობა, რომელიც სიცარიელის, ქვემო სკნელის მიზიდულობაა? თითქმის არასოდეს მომიწყენია. მუდამ არა მყოფნიდა დრო ცხოვრებისეული საქმეებისათვის, ჩემი მოწოდების ღირსეულად აღსასრულებლად. ცარიელი დრო არა მქონია, მაგრამ ბევრი, მეტისმეტად ბევრი რამ მოსაწყენი იყო ჩემთვის. მოსაწყენი იყო ადამიანთა დიდი ნაწილის მსოფლშეგრძნება და მსოფლმხედველობა, პოლიტიკა, ეროვნული, სახელმწიფოებრივი იდეოლოგია და პრაქტიკა. ცხოვრების ყოველდღიურობა, განმეორებადობა, ერთფეროვნება, შებოჭილობა, ბოლოვადობა იწვევს მოწყენილობას, სიცარიელისაკენ მიზიდულობას. ხოლო როცა ამ დაბლითა სამყაროს მიზიდულობის მიმართ პასიური ვხდებით, როცა საკუთარი უღონობის გამო სამყარო ცარიელი, ბრტყელი, სიღრმის განზომილებას მოკლებული წარმოგვიდგება, მაშინ მოწყენილობა სატანურ ხასიათს იღებს და ქოქობილური არყოფნის წინასწარგანჭვრეტად იქცევა. ტანჯვა ამ მდგომარეობასთან შედარებით სხვა არის, მასში სიღრმეა. ინფერნალური მოწყენილობის მიჯნა ისაა, როცა ადამიანი თავს არწმუნებს, არაფერი არ არსებობს. ტრაგიკის აღძვრა უკვე სხვაა. არიან ადამიანები რომლებიც უდაბნოში თავს მხიარულად გრძნობენ. სწორედ ეს გახლავთ უხამსობა. ბევრი ამბობს, რომ შეყვარებულია ცხოვრებაზე. ამისი თქმა მე არასოდეს შემეძლო. მე ვამბობდი, რომ მიყვარს შემოქმედება, შემოქმედებითი ექსტაზი. ცხოვრების ბოლოვადიანობა ურჯად გრძნობასა ბადებს. საინტერესო მხოლოდ ის კაცია, რომელშიც მოცემულია უსასრულობაში გაჭრა. მუდამ გავურბოდი ცხოვრების ბოლოვადიანობას. ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულება იწვევდა იმას, რომ ვერა ვფლობდი ცხოვრების ხელოვნებას. არ შემეძლო ცხოვრების გამოყენება. „ცხოვრების ხელოვნება" მოითხოვს, რომ სასრულოზე შეაჩერო მთელი გულისყური, მასში ჩაიძირო, შეიყვარო ცხოვრება დროში. კარლაილი ამბობს: „ადამიანის უბედურება მისი სიდიადისაგან მოდის". იმისაგან, რომ მასში უსასრულო ძევს, იმისაგან, რომ ვერ ახერხებს, საბოლოოდ ჩაასამაროს თავი სასრულოში. ეს „ობიექტური" სამყარო, ეს „ობიექტური" ცხოვრება არის სწორედ სასრულოში დასამარება. ამიტომ „ცხოვრება" თითქოს უსასრულოს კვდ[illegible]ში. მარადისობისა — დრო[illegible] ძლიერია მეტაფიზიკურ-ანარქისტული ელემენტი: ესაა ჯანყი სასრულოს ძალაუფლების წინააღმდეგ. სხვაგვარად მისთვის აპოფატიკური ელემენტი შეიძლება გვეწოდებინა. როგორც ყოველდღიურ, ისე ისტორიულ ცხოვრებაში მეტისმეტად ბევრი რამ მეჩვენებოდა ან უმნიშვნელო ან აღმაშფოთებელი. მზარავს სასრულოს ყოველგვარი საკრალიზაცია. სევდა შეიძლება რელიგიური გახდეს. რელიგიური სევდა მიმართულია უკვდავებასა და მარადისობაზე, უსასრულო ცხოვრებაზე, რომელიც ამ ბოლოვადიან ცხოვრებას არ ჰგავს. ჩემთვის ხელოვნება ყოველთვის იყო ამ ყოველდღიური სამყაროსაგან, მობეზრებული ცხოვრებისაგან გაქცევა და განსხვავებულ სამყაროში მოხვედრა. სწორედ ამ ცხოვრებისაგან განსხვავებულთან ზიარებაა ხელოვნების მაგია. მუდმივი ურვა ჩემს აქტივობას ცხოვრებაში ასუსტებდა. ბევრ რამეს მაშინ ვცილდებოდი, როცა საჭირო იყო ბევრი რამის გარდაქმნა. იშვიათად, საკმაოდ იშვიათად მიგრძვნია თავი ბედნიერად. ზოგჯერ მომჩვენებია, ცხოვრება კარგი და სიხარულის მომნიჭებელი იქნებოდა, რომ გამქრალიყო იმის მიზეზი, რაც ახლა მაწუხებს. მაგრამ როცა ის მიზეზი გამქრალა, მაშინვე გაჩენილა ახალი. სრულ კმაყოფილებას არც არასოდეს მანიჭებდა, რადგან სულის სიღრმეში ამას ცოდვად მივიჩნევდი.

## თავისუფლება

მე თავისუფლების ფილოსოფოსს მიწოდებენ. რომელიღაც შავრაზმელ იერარქს ჩემზე უთქვამს, ეგაო თავისუფლების ტყვეაო. და მართლაც ყველაზე მეტად თავისუფლება შევიყვარე. მე ვიშვი თავისუფლებისაგან, ის არის ჩემი მშობელი. თავისუფლება ჩემთვის პირველადი ყოფნაა. ჩემი ფილოსოფიური ტიპის თავისებურება ისაა, რომ **ფილოსოფიას საფუძვლად თავისუფლება დავუდე და არა ყოფნა**. ასეთი რადიკალური ფორმით ეს, მგონი, არ გაუკეთებია არც ერთ ფილოსოფოსს. თავისუფლებაში სამყაროს საიდუმლოა ჩამალული. ღმერთმა ისურვა თავისუფლება და აქედან წარმოიშვა სამყაროს ტრაგედია. თავისუფლებაა დასაბამში და თავისუფლებაა აღსასრულში. არსებითად, მთელი ცხოვრება თავისუფლების ფილოსოფიას ვწერ. ვცდილობ მის დახვეწასა და შევსებას. ჩემი ძირითადი მრწამსი

ისაა, რომ ღმერთი არსებობს მხოლოდ თავისუფლებაში და მოქმედებს მხოლოდ თავისუფლების მეოხებით. მხოლოდ თავისუფლება უნდა იქნას საკრალიზებული, ხოლო ხხვა ყველა საკრალიზაცია, ისტორიას რომ ავსებს, — დესაკრალიზებული. უპირველეს ყოვლისა, თავს ემანსიპატორად ვცნობ და ვუთანაგრძნობ ყოველგვარ ემანსიპაციას. ქრისტიანობაც გავიგე და მივიღე, როგორც ემანსიპაცია. დასაბამითგან მიყვარდა თავისუფლება და ჯერ კიდევ კადეტთა კორპუსის მეორე კლასში ვოცნებობდი თავისუფლების დღესასწაულზე. რაიმეზე დამოკიდებულებას ვერასოდეს ვიტანდი. მუდამ მახასიათებდა დიდი შინაგანი დამოუკიდებლობა და, როგორც კი ვიგრძნობდი ვიღაცაზე ან რაღაცაზე სულ მცირე დამოკიდებულებასაც კი, ქარიშხლიანი პროტესტი და მტრობა ღვივდებოდა ჩემში. არასოდეს დავთანხმებულვარ, უარი მეთქვა თავისუფლებაზე. ან თუნდაც შემეკვეცა იგი, არასოდეს ვყოფილვარ ყაბულს, თავისუფლების დათმობის ფასად რამე შემეძინა. ბევრ რამეზე შემეძლო უარის თქმა, მაგრამ არა ვალდებულებისა ან რელიგიურ აკრძალვათა გამო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლების და შეიძლება კიდევ სიბრალულის გამო. არასოდეს მნდომებია რამეს შევებოჯე, ამან, ეტყობა, შეასუსტა ჩემი აქტიურობა, შეზღუდა რეალიზაციის შესაძლებლობანი. მაგრამ მე მუდამ ვიცოდი, რომ თავისუფლება შობს ტანჯვას, თავისუფლებაზე უარის თქმა კი ამცირებს ტანჯვას. თავისუფლება ადვილი არაა, როგორც ფიქრობენ მისი მტრები, თავისუფლება ძნელია, იგი მძიმე ტვირთია. და ადამიანებიც ადვილად თმობენ მას, რათა გაიიოლონ ცხოვრება. ეს თემა განსაკუთრებით ახლობელია დოსტოევსკისთვის. ახალგაზრდობაში შემარქვეს „ლაღი ძე ეთერისა"*. ეს სწორია იმ აზრით, რომ მე არა ვარ ძე მიწისა, არ ვარ ნაშობი მასის სტიქიის მიერ, მე მშვა თავისუფლებამ. მაგრამ თუ ამ სასიუნჯო გამოთქმაში „ლაღი ძე ეთერისა" ვიგულისხმებთ სიმსუბუქეს, უტკივილობას, მაშინ იგი მე არ შემფერის. თავისუფლებას გაჭირვებით მოვიპოვებდი, მას ტკივილი ახლდა. „თავისუფლებამ გაიოღრაჯისაკ მიმიყვანა გზაჯვარედინზე", — ამბობს ერთი პოეტი. ყველაფერი, რასაც ვამტკიცებდი, ვამტკიცებდი თავისუფლების შედეგად და თავისუფლებიდან გამომდინარე. თავისუფლების გამოცდილება არის პირველადი გამოცდილება. თავისუფლება კი არ არის აუცილებლობის ქმნილება (მეგელი), არამედ აუცილებლობას ქმნის თავისუფლება ან მისი გარკვეული მიმართულება. არა ვარ ყაბულს, მივიღო რამენაირი ჭეშმარიტება თუ არა თავისუფლებიდან ან თავისუფლების გზით. სიტყვა თავისუფლებას მე აქ არ ვხმარობ სასკოლო აზრით, როგორც „ნების თავისუფლებას", მასში გაცილებით ღრმა მეტაფიზიკურ აზრს ვდებ. ჭეშმარიტებას შეუძლია მომანიჭოს განთავისუფლება, ამიტომ ჭეშმარიტება შემეძლოა მივიღო მხოლოდ თავისუფლების მეშვეობით. ამიტომ ორი თავისუფლება არსებობს. ამაზე ბევრი დამიწერია. ჩემი თავისუფლების პირველადობა, ხელთუქმნელობა იმაში გამოიხატებოდა, რომ „არა მე" მხოლოდ იმ შემთხვევაში შემეძლო მიმეღო, თუ „მეს" შინაარსად გარდაქმნილს, ჩემს თავისუფლებაში შემოვიყვანდი: თავისუფლებისათვის ბრძოლა, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეწეოდი, იყო ყველაზე დადებითი და ღირებული, მაგრამ მას უარყოფითი მომენტიც ახლდა: განხეთქილება, გაუცხოება, შეურწყმელობა, მტრობაც კი. თავისუფლება შეიძლება სიყვარულს შესჯახებოდა. გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ მუდამ მიმაჩნდა, რომ თავისუფლება არისტოკრატიულია და არა — დემოკრატიული. ადამიანთა დიდ მასას სულაც არ უყვარს თავისუფლება და არ ეძებს მას. რევოლუციურ მასებს არ უყვართ თავისუფლება. ცხოვრებისეული გამოცდილებით ბევრი რამ შევიძინე სულიერ გზაზე, მაგრამ თავისუფლება რჩება ჩემთვის თავდაპირველი. იგი შეძენილი არაა, იგი ჩემი ცხოვრების a priori გახლავთ. თავისუფლების იდეა ჩემთვის სრულქმნილების იდეაზე პირველადია, რადგან არ შეიძლება სრულყოფილება იძულებით, ძალდატანებით მიიღო.

ადამიანურ ცხოვრებაში ყველაფერმა თავისუფლებაზე უნდა გაიაროს, თავისუფლებით უნდა გამოიცადოს, თავისუფლების ცთუნებანი უნდა დაგმოს. შეიძლება ამაშია პირველცოდვის აზრი. ვიხსენებ რა მთელ ჩემს ცხოვრებას პირველივე ნაბიჯებიდან, ვხედავ, არასოდეს მიცვნია ავტორიტეტი და არასოდეს არანაირი ავტორიტეტი არ მიღიარებია. უბრალოდ არასოდეს მქონია ავტორიტეტის განცდა. არ ვიცოდი ავტორიტეტი ოჯახში, არ ვიცოდი ავტორიტეტი სასწავლებლებში, არ ვიცოდი ავტორიტეტი ფილოსოფიის შესწავლისას და განსაკუთრებით არ ვიცოდი ავტორიტეტი რელიგიურ ცხოვრებაში. ბავშვობაშივე გადავწყვიტე, არასოდეს მემსახურა, რადგან ვერასოდეს დავთანხმდებოდი ვერანაირი უფროსისადმი მორჩილებას. აზრადაც არა მქონია, პროფესორი გავმხდარიყავი, რადგან ეს მაინც გულისხმობდა უფროსებისა და ავტორიტეტების ყოლას. ჩემს აზრს მუდამ აღვიქვამდი როგორც პირველითგანვე თავისუფლებაში შობილს. ძველ

* გამოთქმა მ. ი. ლერმონტოვის „დემონის" მეათე თავში.

აზრსაც პირველშობილად აღვიქვამდი და არა როგორც ჩემში ჩამოყალიბებულ აზრის ტრადიციას. ეს, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს, რომ სხვათაგან, აზროვნების უდიდეს მოძღვართაგან არა მხურდა მესწავლა რამე, რომ არ განმიცდია არავითარი გავლენა, რომ არავისგან არ ვყოფილვარ დავალებული. გამუდმებით ვსაზრდოობდი მსოფლიო აზრით, ვილებდი გონებრივ ბიძგებს, ბევრი შევიძინე იმ მოაზროვნეთა და მწერალთაგან, რომელთაც მთელი ცხოვრება ვკითხულობდი, იმ ადამიანთაგან, ვისთანაც ახლოს ვიყავ. მაგრამ ყოველივე ეს ჩემში თავისუფლების გავლით შემოდიოდა. ხანამ მივიღებდი, გაივლიდა ჩემი „მე-ს" სიღრმეს და მხოლოდ ამის შემდეგ დავიტოვებდი. ვერ დავუშვებდი ვერანაირ გონებრივ ზეგავლენას, თუ ჩემი თავისუფლებისაგან არ მექნებოდა სანქცია. ამიტომ ქვეყნად ყველაზე არატრადიციული ადამიანი ვარ. არც დამქირვებია რომელიმე ავტორიტეტისაგან განთავისუფლება, მე ისინი არა მყოლია. მაგრამ იყვნენ ფილოსოფოსები და მწერლები, რომელნიც განსაკუთრებით ასაზრდოებდნენ ჩემს სიყვარულს გონის თავისუფლებისადმი. განმიმტკიცებდნენ, შეეწეოდნენ მის განვითარებას. ამ მხრივ უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა „ლეგენდას დიდ ინკვიზიტორზე" და საერთოდ დოსტოევსკის. ფილოსოფოსთაგან კი ყველაზე მეტს ნიშნავდა კანტი. კანტის ფილოსოფია არის თავისუფლების ფილოსოფია, თუმც შესაძლოა არასაკმაოდ თანმიმდევრული, ბოლომდე განუვითარებელი. იბსენმაც იქონია ჩემზე ზემოქმედება, თუმც მოგვიანებით. იბსენში ვხედავდი არაჩვეულებრივად ძლიერ ნებას თავისუფლებისადმი. ყველა შეჯახება ადამიანებთან და მიმართულებებთან თავისუფლების გამო მქონდა. თავისუფლებისათვის ბრძოლა პირველ რიგში მესმოდა არა როგორც საზოგადოებრივი ბრძოლა, არამედ როგორც პიროვნების ბრძოლა საზოგადოების ძალაუფლების წინააღმდეგ.

უკვე ჩემი წიგნის დამთავრების შემდეგ წავიკითხე როჟე სეკრეტენის წიგნი „პეგი, თავისუფლების ჯარისკაცი"*, ესაა საინტერესო წიგნი პეგის შესახებ. გამაოცა ერთმა გამონათქვამმა პეგიზე, რომელიც სავსებით შესაძლებელი იყო ჩემზეც თქმულიყო. მომყავს სიტყვასიტყვით:

„ჩვენ იმ გამორჩეულ თავისუფლებისმოყვარულთა თუ თავისუფალმოაზროვნეთაგანი გახლავართ, ვისაც ვერანაირ ხელისუფლებას ვერ მიიღებს" — ეს ფრაზა წიგნიდან ჩემთვის ნაკარნახევია ფსიქოლოგიით და არა დოქტრინით. როცა 1900 წელს პეგი ამას ამბობდა, იგი არ ლაპარაკობდა როგორც მებრძოლი სოციოლოგი, არამედ — როგორც პეგი ადამიანი მთელ თავის ცხოვრებაზე. ანარქიზმი მისი ფარული სიყვარული იყო. ის, რა თქმა უნდა, ნიჰილისტი არაა, არაა დამანგრეველი. მას სძულს იოლი გზა. იგი ანარქიის პოზიტიურ, ზეაღმავალ მხარეზეა. მაგრამ ყველაზე [illegible], მიზიდულობის ძალა თავისუფლების პრინციპისაკენ, თავის მხარეზე იზიდებს. ამ პარადოქსული მიმდევარის დაუმორჩილებლობა იმაშია, რომ იგი მხოლოდ შინაგანსა და თავისუფლად არჩეულ შეზღუდვას აღიარებს. ლაპარაკობდნენ პეგის რაღაც პარტიაზე. ასეთ პარტიაში ის მხოლოდ ერთი იქნებოდა. მე ვერა ვხედავ მის ისეთ მიმდევარს, რომელთანაც მალე განხეთქილება არ მოუვიდოდა, ან ვისაც თვითონვე არ შთააგონებდა განდგომას... ეს მეამბოხე, განდეგილი, ეს ერეტიკოსი ინსტინქტისა და სიამაყის ძალით ისეთია, რომ ძალაუფლებას ეხწრაფის, მაგრამ სხვის მეურვეობას ვერ იტანს. როგორც მოქალაქეს არ შეუძლია დაიცვას ბურჟუაზიული სახელმწიფო (ან უბრალო სახელმწიფო). როგორც მებრძოლი რევოლუციონერი ვერ მგუობს დოქტრინული და პოლიტიკანური სოციალიზმის მითითებებს. როგორც მოაზროვნეს არ შეუძლია დაექვემდებაროს ინტელექტუალური პარტიის სოციოლოგთა მეტაფიზიკას... ნებისმიერი მიწიერი ტირანიის მიუღებლობა ღმერთისკენ უწევს; ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ღმერთი თავისუფლებისმოყვარეა და თავისუფალმოაზროვნე, ლამის ანარქისტი. „ხსნა, რომელიც თავისუფალი არ იქნებოდა და თავისუფალი ადამიანისაგან არ წამოვიდოდა, ვერაფერს გვეტყოდა", — ამბობს პეგის ღმერთი „უდანაშაულო წმინდანებში". საერთოდ ვერა ვხედავ პეგისთან ჩემს დიდ მსგავსებას. მაგრამ ეს ადგილი ისე მესადაგება, თითქოს ჩემზე იყოს დაწერილი. ჩემთვის ნიშანდობლივია, რომ არასოდეს მახასიათებდა ის, რასაც „მოქცევას" უწოდებენ და არც სარწმუნოების დათმობა შემეძლოთ. მე შეიძლება ავუმხედრდე მდაბალ და ყალბ იდეებს ღმერთის შესახებ უფრო თავისუფალი და ამაღლებული იდეების გამო. ამას განვმარტავ, როცა ღმერთზე ვილაპარაკებ.

მე ვიბრძოდი თავისუფლებისათვის ბავშვობასა და ჭაბუკობაში და ზოგჯერ ამას მრისხანებითა და მძვინვარებით ჩავდიოდი. მე უკვე მითქვამს, რომ ჩვენი ოჯახი ნაკლებ ავტორიტეტული იყო და ჩემი დამოუკიდებლობის დაცვას მუდამ ვახერხებდი. სოციალურ გარემოსთან, საიდანაც გამოვედი, ჯერ კიდევ სიყმაწვილისა და სიჭაბუკის მიჯნაზე გავწყვიტე კავშირი. ამ განხეთქილებამ ისეთი სახე მიიღო, რომ ერთხანს ურთიერთობას ებრაელებთან ვარჩევდი; ყოველ შემთხვევაში იმის გარანტია მაინც მქონდა, რომ არც თავადაზნაურები, არც

* შარლ პეგი (1873-1914) — ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი.

ნათესავები იქნებოდნენ. ჩემთვის აუტანელია ყოველივე ის, რაც სულიერ ნათესაობასთან არაა დაკავშირებული. ყოველივე გვაროვნული თავისუფლებას უპირისპირდება. ჩემი სიძულვილი გვარის ცხოვრებისადმი და ყოველი იმისადმი, რაც დაბადებულ სტიქიასთან არის დაკავშირებული, ალბათ აიხსნება ჩემი გარდარეული სიყვარულით თავისუფლებისა და პიროვნული საწყისისადმი. მეტაფიზიკური აზრით, ეს ყველაზე უფრო „ჩემია". გვარი მუდამ პიროვნების მტრად და დამთრგუნველად წარმოიდგება. „გვარი" არის აუცილებლობის და არა თავისუფლების წყობა. ამიტომ თავისუფლებისათვის ბრძოლა ესაა ბრძოლა იმ ძალის წინააღმდეგ, რომელიც გვარს ადამიანზე გააჩნია. ძალიან არსებითი იყო ჩემი ფილოსოფიური აზრისათვის დაბადებისა და შემოქმედების დაპირისპირებაც. თავისუფლება, პიროვნება, შემოქმედება საფუძვლად უდევს ჩემს მსოფლშეგრძნებასა და მსოფლმხედველობას. მაგრამ თავისუფლებისათვის გამძაფრებული ბრძოლა მოგვიანებით დამეწყო. დავცილდი რა ტრადიციულ არისტოკრატიულ სამყაროს და მივაშურე რევოლუციურს, დავიწყე ბრძოლა თავისუფლებისათვის თვად რევოლუციურ სამყაროში, რევოლუციურ ინტელიგენციაში ,მარქსიზმში. ძალიან ადრე მივხვდი, რომ რევოლუციურ ინტელიგენციას თავისუფლება არ უყვარს, მისი პათოსი სხვა რამეა. ჯერ კიდევ მარქსისტმა მარქსიზმში განვჭვრიტე ელემენტები, რომელთაც იგი დესპოტიზმთან და თავისუფლების დაგმობასთან უნდა მიეყვანა. ცხოვრებაში არა ერთგზის გადამიტანია პიროვნებისა და სოციალური ჯგუფის, პიროვნებისა და საზოგადოების, პიროვნებისა და საზოგადოებრივი აზრის შეჯახება; მუდამ პიროვნების მხარეზე ვყოფილვარ. წლები შევალიე საზოგადოებაზე ინტელიგენციისეულ ორიენტაციასთან ბრძოლას. ამან მეტისმეტად დიდი ენერგია შეიწირა. ეს ხელს მიშლიდა მთლიანად მივცემოდი ფილოსოფიურ შემოქმედებას. ძალზე მძაფრად განვიცდიდი თავისუფლებისა და სოციალიზმის მიმართების პრობლემას. ახალგაზრდობაში მქონია წუთები, როცა ამ პრობლემის გამო უსაშველო სევდა მეუფლებოდა. ვთვლიდი, რომ სოციალიზმის წინააღმდეგ ლიბერალიზმისა და ინდივიდუალიზმის არგუმენტები თვალთმაქცური და მოჩხიბული იყო, თავისუფლების მათეული დაცვა კი — ყალბი. მაგრამ ცხადი იყო ერთი, სოციალიზმს შეუძლია სხვადასხვაგვარად იბრუნოს პირი, შეუძლია განთავისუფლებამდე მიყვანა, მაგრამ შეუძლია თავისუფლების ჩაკვლაც, ტირანიაც. დიდი ინკვიზიტორის სისტემის განხორციელებაც. ბოლშევიზმი რომ შესაძლებელი იქნებოდა, ამის წინათგრძნობა ძალიან ადრე გამიჩნდა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა მარქსისტულ წრეში ვტრიალებდი. აზროვნებისა და შემოქმედების დასაცავად უკვე მაშინ ვიბრძოდი ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ. თავისუფლებისათვის ბრძოლა მიწევდა ყველანაირ იდეურ გარემოში, ყოველგვარ მიმდინარეობაში, რომელთანაც კი შეხება მიწევდა. ნებისმიერი [illegible] სოციალური დაჯგუფება, ნებისმიერი [illegible] „რწმენის" მიხედვით ხელყოფს თავისუფლებას. პიროვნების დამოკიდებლობას. შემოქმედებას. როცა ჩემმა სულიერმა გზამ მართლმადიდებლურ სამყაროს დამაახლოვა, ისეთივე ურვა შემომაწვა, როგორიც მეფლობდა არისტოკრატიულსა თუ რევოლუციურ სამყაროში. აქაც დავინახე თავისუფლების იგივე ხელყოფა, შემოქმედების იგივე მტრობა. მაგრამ აქ იგივე თემა დიდი სიღრმით მუშავდებოდა. რელიგიურ სამყაროში ადამიანის სულის ყველაზე დიდ სიღრმეხთან ხდება შეხება. ბრძოლა თავისუფლებისა და პიროვნების ღირსებისათვის მომიხდა კომუნისტურ რევოლუციაში, რამაც რუსეთიდან ჩემი გაძევება გამოიწვია. ბოლოს თავისუფლების იგივე პრობლემა მწვავედ დადგა ემიგრანტულ ატმოსფეროშიც. დავრწმუნდი, რომ ემიგრაციის უმრავლესობას ისევე სძულს თავისუფლება და ისევე უარყოფს მას, როგორც რუსული კომუნიზმი. მაგრამ კომუნიზმს ამაზე მეტი უფლება აქვს. მსოფლიო ომის შემდეგ წამოვიდა თაობა, რომელმაც შეიძულა თავისუფლება და შეიყვარა ავტორიტეტი და ძალადობა. ამაში ახალი არაფერი დამინახავს. თავისუფლების არისტოკრატიულ სიყვარულში და პიროვნული საწყისის შეფასებაში ისევე მარტო ვარ, როგორც მთელი ცხოვრება ვიყავი. თავისუფლების სიყვარული ვერ შევამჩნიე ვერც ძველი რეჟიმის გაბატონებულ ფენებს, ვერც რევოლუციურ ინტელიგენციას, ვერც ისტორიულ მართლმადიდებლობას, ვერც კომუნისტებს და მით უფრო ფაშისტების ახალ თაობას. ყოველგვარი დაჯგუფებისაკენ მსწრაფი მასა მტრობს თავისუფლებას. უფრო რადიკალურად ვიტყვი: ყოველი უკვე ორგანიზებული თუ ორგანიზებადი საზოგადოება მტრობს თავისუფლებას და ადამიანის პიროვნების უგულვებელყოფისაკენ იხრება. ეს გამოიწვია ცნობიერების ყალბმა სტრუქტურამ, ცნობიერების ყალბმა მიმართულებამ, ღირებულებათა ყალბმა იერარქიამ. ომის შემდგომ, ახლა უნდა ვთქვათ, ომის წინა თაობაში არაა არც ერთი ორიგინალური აზრი: იგი ცხოვრობს XIX საუკუნის აზროვნების დამახინჯებებითა და ნარჩენებით. პიროვნება, რომელმაც შეიგნო თავისი ღირსება და პირველქმნილი თავისუფლება, მარტო დგას საზოგადოების, ისტორიის მასობრივი პროცესების წინაშე. დემოკრატიული საუკუნე „მეშჩანობის" ხანაა და ხელს არ უწყობს ძლიერ პიროვნებათა გამოჩენას.

მთელი ჩემი ცხოვრება ბევრსა ვფიქრობდი თავისუფლებაზე და, ვცდილობდი რა, სრულმყოფ ჩემი აზრი, ორჯერ დავწერე თავისუფლების ფილოსოფია. უნდა ვაღიარო, რომ ეს პრობლემა მეტად რთულია. თავისუფლებაში სხვადასხვა რამეს გულისხმობენ, აქედან წარმოდგება მრავალი გაუგებრობა. თავისუფლების სტატიკური გააზრება არ შეიძლება. იგი დინამიკურად უნდა ვიაზროთ. არსებობს თავისუფლების დიალექტიკა, სამყაროში თავისუფლების ბედი. თავისუფლება შეიძლება თავის საპირისპიროში გადავიდეს. სასკოლო ფილოსოფიაში თავისუფლების პრობლემა ჩვეულებრივ „ნების თავისუფლებასთან" არის გაიგივებული. თავისუფლება იაზრებოდა როგორც არჩევანის თავისუფლება, როგორც შესაძლებლობა მაგალითად, მიბრუნებისა მარჯვნივ ან მარცხნივ. არჩევანი სიკეთისა და ბოროტებას შორის გულისხმობს, რომ ადამიანი დგას კეთილისა და ბოროტის გამმიჯნავი ნორმის წინაშე. ნების თავისუფლება განსაკუთრებით ულირდათ იმათ, ვინც ადამიანის ცხოვრებას სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისით განიხილავდა. ნების თავისუფლება აუცილებელია პასუხსაგებად და დასასჯელად. ჩემთვის თავისუფლება ყოველთვის სულ სხვა რამეს ნიშნავდა. თავისუფლება ჩემი დამოუკიდებლობაა და ჩემი პიროვნების შიგნიდან განსაზღვრის შესაძლებლობა. თავისუფლება ჩემი შემოქმედებითი ძალაა და არა — ჩემ წინაშე მდგარი სიკეთესა და ბოროტებას შორის არჩევანი. იგი ჩემშიერი შემოქმედებაა სიკეთისა და ბოროტებისა. თავად არჩევანის მდგომარეობამ ადამიანს შეიძლება დათრგუნვილობის, ყოყმანის, შიშოჭილობის შეგრძნებაც კი გაუჩინოს. განთავისუფლება მაშინ მოდის, როცა არჩევანი გაკეთებულია და მე შემოქმედებით გზას ვადგები. თავისუფლებას უკავშირდება ადამიანისა და შემოქმედების თემა. მთელი ცხოვრება მჯეროდა, რომ ღვთაებრივი არსებობა, არსებობა ღმერთში არის თავისუფლება, სილაღე, შეუბორკველი გაქანება, უზელისუფლობა, ანარქია. სახლვრითი თემა აქ მორალურ-ფსიქოლოგიური როდია, არამედ — მეტაფიზიკური: ღმერთისა და თავისუფლების, თავისუფლებისა და ბოროტების, თავისუფლებისა და შემოქმედებითი სიახლისა, თავისუფლებას მოაქვს სიახლე. თავისუფლების მოწინააღმდეგეებს უყვართ თავისუფლებას დაუპირისპირონ ჭეშმარიტება, რომელსაც თავს გვახვევენ და გვაიძულებენ მის ცნობას. მაგრამ ჭეშმარიტება, როგორც თავს მოხვეული რამ, როგორც შემოდან ჩამოვარდნილი რეალობა, ჩემთვის არ არსებობს. ჭეშმარიტება არის აგრეთვე გზა და ცხოვრება. ჭეშმარიტება გონითი მონაპოვარია. ჭეშმარიტება შეიცნობა თავისუფლებაში და თავისუფლების მეოხებით. ძალით თავს მოხვეული ჭეშმარიტება, რომლის სახელითაც მოითხოვენ განვუდგე თავისუფლებას, სულაც არაა ჭეშმარიტება, არამედ — ეშმაკის ცთუნება. ჭეშმარიტების შეცნობა მათავისუფლებს. მაგრამ აქ დასასრულში ერთი თავისუფლებაა, დასაწყისში — სულ სხვა. მე თავისუფლად შევიცნობ ჭეშმარიტებას, რომელიც მათავისუფლებს. არანაირ ავტორიტეტს არ შეუძლია თავს მომახვიოს ეს ჭეშმარიტება. არ შეიძლება იძულებით მათავისუფლებდე. თავისუფალი ძიებისა და კვლევის გარდა არანაირ თავს მოხვეულ ორთოდოქსიას, ჭეშმარიტებაზე რომ პრეტენზიას აცხადებს, არასოდეს არა ვცნობდი და არცა ვცნობ. მე ვუჯანყდებოდი ყოველგვარ ორთოდოქსიას, სულ ერთია, მარქსისტულსა თუ მართლმადიდებლურს, როცა ის კადნიერდებოდა და ჩემს თავისუფლებას კლავდა. ასე იყო ყოველთვის, ასე იქნება მუდამ. იმასაც ვფიქრობ, ამგვარ ორთოდოქსიას ჭეშმარიტებასთან არასოდეს ჰქონია საქმე. ჭეშმარიტება მას სძულს. ჭეშმარიტებათა ყველაზე დიდი გაყალბება ხდებოდა ორთოდოქსების მიერ. ორთოდოქსიას სოციოლოგიური ბუნება გააჩნია და ნიშნავს ორგანიზებული კოლექტივის ავტორიტეტის ძალას თავისუფალ პიროვნებაზე, ადამიანის თავისუფალ სულზე. მწამს, რომ არსებობს უდიდესი ჭეშმარიტება თავისუფლებაზე. ჩემთვის გაცხადებულ ჭეშმარიტებაში შემოდის თავისუფლება. ჩემი სინდისის თავისუფლება არის აბსოლუტური დოგმატი. აქ მე არ ვუშვებ არავითარ შემოდავებას, არავითარ შემთანხმებლობას, აქ მხოლოდ თავგადაკლული ბრძოლაა და ხმლის ქნევა. ხომიაკოვის ნააზრევის მთელი ღირებულება ის იყო, რომ იგი ტაძრულობას, რაც მისი შემოქმედებითი აღმოჩენა იყო, თავისუფლებასთან მოუცილებელ კავშირში გაიაზრებდა.* მაგრამ მან ეს ბოლომდე არ განავითარა. ტაძრულობა ვერც ერთი წამით ვერ იქცევა გარეგან ავტორიტეტად. თავისუფლებას ეკუთვნის აბსოლუტური პრიმატი კონფლიქტის შემთხვევაში, რაზეც ხომიაკოვი ცოტას ფიქრობდა. გადაწყვეტილებას თავისუფალი სინდისი იღებს. არ შემიძლია ჭეშმარიტებად ვაღიარო ის, რასაც თავს მახვევენ. თუკი თავად მე არ დავინახე ეს ჭეშმარიტება. არ შემიძლია სიყალბედ მივიჩნიო ის, რასაც ჭეშმარიტებად ვჭვრეტ, მხოლოდ იმიტომ რომ ჩემგან მოითხოვენ ის სიყალბედ გამოვაცხადო. სინამდვილეში ამას არასოდეს არავინ დათანხმებია. ძველი კომუნისტების მოსკოვური პროცესები მასინჯსა და შემზარავ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ ძალიან ჭკუის სასწავლებელი კია.* ტაძრულობა და საეკლესიო ცნობიერება ჩემთვის გარეგან ავტორიტეტად რომ ვაღიარო, ჩემი

* დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ:

სინდისის ექსტერიორიზაცია მოვახდინო ტაძრულ საეკლესიო კოლექტივში. მაშინ უნდა გავამართლო საეკლესიო პროცესები, რომელნიც ფორმალურად ზედმიწევნით მიაგვანან კომუნისტურ პროცესებს. მაგრამ სინამდვილეში ტაძრულობა ჩემი რაობაა, ჩემი გამოცდილების გაფართოებაა ზეპიროვნულ, საყოველთაო გამოცდილებამდე. თავისუფლება ინდივიდუალიზმი არაა. ის წინარე მსჯავრია. სინდისის თავისუფლება ინდივიდუალიზმის თემის გარეთაა. თავისუფლება არაა ჩაკეტილობა და იზოლაცია, თავისუფლება ღიაობაა, ჩემში უნივერსუმის გახსნის გზაა. მაგრამ თავისუფლებისათვის ჩემს ბრძოლაზე რომ ვმსჯელობ, უნდა ვაღიარო, ხშირად ეს ბრძოლა ამძაფრებდა ჩემს მარტოობას და გარემო სამყაროსთან კონფლიქტს. თავისუფლების პათოსმა ჩემში შინაგანი კონფლიქტი გამოიწვია, უპირველეს ყოვლისა კონფლიქტი ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲘᲑᲠᲐᲚᲣᲚᲡ შორის, რაც მე ძირითადი მგონია.

## ᲛᲔᲐᲛᲑᲝᲮᲔᲝᲑᲐ

მთელი ჩემი ცხოვრება მეამბოხე ვიყავ. მაშინაც კი, როცა ყველა ღონესა ვხმარობდი, თვინიერი ვყოფილიყავი. მეამბოხე ვიყავ არა ჩემი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდში აზრის მიმართულების გამო, არამედ ბუნებით. ამბოხი უმაღლესი ზომით მახასიათებს. უსამართლობა, ადამიანის ღირსებასა და თავისუფლებაზე ძალადობა ჩემს მრისხანე პროტესტს იწვევს. სიყმაწვილეში მაჩუქეს წიგნი წარწერით: „ძვირფას პროტესტანტელს". ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა იდეებსა და აზრებს ვაკრიტიკებდი. მაგრამ ახლა მძაფრად შევიცნობ, რომ სინამდვილეში თანავუგრძნობ ყველა დიდ ამბოხს ისტორიაში: ლუთერის ამბოხს, განმანათლებლობის გონების ამბოხს ავტორიტეტის წინააღმდეგ, რუსოს „ბუნების" ამბოხს, ფრანგული რევოლუციის ამბოხს, იდეალიზმის ამბოხს ობიექტის ბატონობის წინააღმდეგ, მარქსის ამბოხს კაპიტალიზმის წინააღმდეგ, ბელინსკის ამბოხს მსოფლიო გონისა და მსოფლიო ჰარმონიის წინააღმდეგ, ბაკუნინის ანარქისტულ ამბოხს, ლევ ტოლსტოის ამბოხს ისტორიისა და ცივილიზაციის წინააღმდეგ, ნიცშეს ამბოხს გონებისა და მორალის წინააღმდეგ, იბსენის ამბოხს საზოგადოების წინააღმდეგ და თავად ქრისტიანობაც კი მესმის როგორც ამბოხი სამყაროსა და მისი კანონის წინააღმდეგ. ვიცი, რომ ამბოხით ცხოვრება არ შეიძლება. ამბოხი არ შეიძლება იყოს მთლიანი, ის ნაწილობრივია. ვუჯანყდებოდი თუ არა ღმერთს? და განა ღმერთის წინააღმდეგ ამბოხი" ტერმინთა [illegible]რობა არაა? ამბოხი შესაძლებელია [illegible] უზენაესი ღირებულებების, უზენაესი საზრისის გულისათვის. ე. ი. ღმერთის [illegible] რძოლი ათეისტებსაც კი, [illegible] აქვთ შეგნებული, ღმერთის სახელით შეამბოხეობენ. მე ბევრს ვებრძოდი ადამიანთა აზრების წინააღმდეგ ღმერთის შესახებ, ადამიანთა მიერ აღიარებული ცრუ ღმერთების წინააღმდეგ. შეიძლება კი ქრისტიანობისა და ამბოხის კავშირი? მორჩილების მოწყური მოძღვრება ამბოხსა და ჯანყს გამორიცხავს. იგი მოითხოვს დანებებას და მორჩილებას ბოროტების წინაშეც კი. ხშირად ის იწვევდა ჩემს ამბოხს და ჯანყს. იყო ქრისტიანი, არ ნიშნავს, იყო მორჩილი მონა. მე მეამბოხე ვიყავ. მაგრამ ჩემი მეამბოხეობა არასოდეს ნიშნავდა ტერორის გამართლებას. მე ვუჯანყდებოდი სამყაროსა და მის კანონს, ტერორი კი სამყაროს კანონთან დაბრუნებაა, ამ კანონისადმი მორჩილება. ყოველგვარი მკვლელობა სამყაროს მოწყური კანონის მორჩილებაა. ჩემი ამბოხი გონისა და პიროვნების ამბოხი იყო და არა — ბრბოსი და კოლექტივის. გონი თავისუფლებაა და თავისუფლება — გონი. ამბოხის თემა თავისუფლების თემის გაგრძელებაა. ამბოხშია სწრაფვა თავისუფლებისა. ამბოხში მუდამ იმალება გზნება. მე დროდადრო ვგრძნობდი, როგორ მახრჩობდა თავისი ბოროტი ტალღით ეს გზნება. ამბოხს საბოლოო სიტყვა არ შეიძლება მიეკუთვნოს, მაგრამ ადამიანის ზეასვლისას მას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს. რა სამწუხაროა, რომ ქრისტიანული ღვთისმოსაობა პლასტიკურად მოდრეკილებაში, დამცირებულობისა და დათრგუნვილობის ჟესტებით გამოიხატება. ყველაზე დიდ ცდუნებას სარწმუნოების საგანი როდი წარმოადგენს, არამედ — რწმენის ᲡᲣᲑᲘᲔᲥᲢᲘ, მისი რწმენის გამოხატვის მიწიერი ფორმები. ხშირად ამის ატანა შეუძლებელია. მაღალი შეგნების ადამიანი რომ ვერ იღებს და ვერ ცნობს ღმერთს, ეს შესაძლოა, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იგი ვერ იღებს მორწმუნე ადამიანს, ღმერთზე მათს დამახინჯებულ იდეებს, რაც პირადად მის მონობას გამოხატავს, არ იღებს პირადად მისეულ ღვთისმსახურების ჟესტებს. ამიტომ ღვთის შეცნობაში განმწმენდი მნიშვნელობა აპოფატიკურ მომენტს გააჩნია. ყოველი ადამიანი უნდა ყოფილიყო მეამბოხე, ანუ აღარ მოეთმინა მონობა. არა ვარ მეეჭვე ბუნებისა, მაგრამ ზოგჯერ კოშმარული აზრი მომსვლია: „ვაითუ, მონური ორთოდოქსია მართალია? მაშინ ხომ დავიღუპე". მაგრამ ამ აზრს სასწრაფოდ ვიშორებდი.

** პერლიაევი პირადად იცნობდა გ. ა. ზინოვიევს, ლ. ბ. კამენევს, ნ. ი. ბუხარინს და რკპ (ბ)-ის სხვა, შემდგომში რეპრესირებულ, პირებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წიგნში არა ერთხელ მიხდებოდა ლაპარაკი იმაზე, რომ ჩემში თითქოს ორი კაცია, ორი პირი, ორი ელემენტი, რომელთაც პოლარულად დაპირისპირებულთა შთაბეჭდილება შეიძლება მოახდინონ. მაგრამ ეს წინააღმდეგობრივი ელემენტები ერთ წყაროზე დაიყვანება. (მე მხოლოდ ურვით შეპყრობილი, მარტოსული, სამყაროსათვის უცხო, ტანჯულ სულდგმულთა მიმართ სიბრალულით აღვსილი, სულიერად გატეხილი ადამიანი არა ვარ; მე ამავე დროს გახლავართ მეამბოხე ადამიანი, პროტესტის მრისხანედ გამომთქმელი; იდეებისათვის თავდაუზოგავი მებრძოლი, გამომწვევი, კადნიერი.) მაგრამ მარტოსულობის სევდაც, მეამბოხე მეომრულობაც ერთნაირად არის ჩაფესვებული ამ სამყაროს უცხოობაში. უცხო სამყარო ჩემში ორმაგ რეაქციას იწვევს, მარტო შიგნით კი არა, გარეთ მიმართულსაც. ამიტომ ჩემს ცხოვრებას არა ჰქონია მთლიანობა. საბრძოლო შეტევის შემდეგ ვგრძნობდი აუცილებლობას, შინაგან სამყაროს დავბრუნებოდი. ამბოხი ჩემი შინაგანი ცხოვრების მხოლოდ მომენტი იყო, მხოლოდ სულიერი ბრძოლა. შემოქმედებითი სითამამე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში, უპირველესად სუბიექტის მდგომარეობით გამოიხატებოდა, ობიექტური სამყაროს პროდუქტებში კი ვერასოდეს აღწევდა საკმარის სრულყოფილებას. ჩემი ამბოხი პირველ რიგში ობიექტურ სამყაროსთან განხეთქილებას წარმოადგენდა, მასში ესქატოლოგიური მომენტი იყო. მთელი ცხოვრება მეზიზღებოდა ცერემონიები, საზეიმო თავყრილობები, იუბილეები, ქორწილები, პირობითი რიტორიკული სიტყვები, მუნდირები, ორდენები. ამ ზიზღში იყო რაღაც უფრო ღრმა, რაც უკავშირდებოდა ჩემს ამბოხს ადამიანური არსებობის ობიექტივაციის წინააღმდეგ. მუდამ მინდოდა, რომ ბოლოს და ბოლოს შიშველი სიმართლე აღმოჩენილიყო. ჩემთვის ამას სიმართლის პათოსი უკავშირდება.

## სიბრალული

თავისუფლება შეიძლება უწყალო იყოს. დოსტოევსკის დიდი ინკვიზიტორი ქრისტეს საყვედურობს, შენ ადამიანები არ გებრალება, რაკი თავისუფლების ტვირთით დაამძიმეო. თავისუფლება შობს ტანჯვას და სიცოცხლის ტრაგიზმს. ნამდვილი ტრაგედია თავისუფლების ტრაგედიაა და არა ბედისწერისა. ცხოვრებაში მძაფრად განვიცადე თავისუფლებისა და სიბრალულის კონფლიქტი. ერთობ მახასიათებს სიბრალული, თანალმობა. მიმძიმს მეტისმეტად ადამიანებისა და ცხოველების ტანჯვის ატანა, ხოლო სულ ვერ ვუძლებ სისასტიკეს. ძალზედ მებრალება ყოველი სულდგმული, რომელიც კვნესის და ტირის და შველას ელის. ჩემთვის უსაზღვროდ ახლობელია ივან კარამაზოვისეული პრობლემის ბავშვის ცრემლის კურცხალზე. მუდამ ყველაზე მეტად მაწვალებდა საკითხი ღმერთის გამართლებისა სამყაროს უსაშველო ტანჯვა-ვაების წინაშე. ჩემთვის უცხოა ყოვლისშემძლე, მბრძანებელი და დამსჯელი ღმერთი, ახლობელია ტანჯული, მოსიყვარულე და ჯვარცმული ღმერთი. მხოლოდ ძის გაშუალებით შემიძლია ღმერთი ვაღიარო. არ შეიძლება სცნო ის ღმერთი, რომელიც თავის თავზე არ იღებს სამყაროსა და ადამიანთა ტანჯვას, თუ ის მსხვერპლად არ სწირავს საკუთარ თავს. გონებით ვეწინააღმდეგები მარკიონს[1], მაგრამ მორალურად, ემოციურად ის ჩემთვის ახლოა. ვერ ვიტანდი სახელმწიფოს ცივ სისასტიკეს. სასტიკ დასჯას ვერასოდეს ვეგუებოდი. მთელი ჩემი არსებით იმდენად ვეწინააღმდეგებოდი სიკვდილით დასჯას, რომ მზად ვიყავი, კაცთა მოდგმა სიკვდილით დასჯის მომხრეებად და სიკვდილით დასჯის მოწინააღმდეგეებად დამეყო. სიკვდილით დასჯის მომხრეებს მტრულად ვექცეოდი და ჩემს მტრებად ვთვლიდი. მე, მგონი, ეს ჩემი რუსული თვისებაა. უფრო მეტიც, ძალიან მიმძიმდა ადამიანების, განსაკუთრებით, საბოლოო მსჯავრდება. სახარებიდან ყველაზე უფრო ჩამწვდა სულში: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ"[2] და „ვინ უცოდველ არს თქუენგანი, პირველად მან დაუტევენ ქუაი მაგას ზედა"[3]. დამწყვიტა გული იმ იგავთა დასასრულმა, სადაც ცეცხლოვან გეჰენიას აგზავნიან[4]. ყველაზე მეტად მზარავდა შურისგება და განსაკუთრებით სახელმწიფოს ორგანიზებული შურისგება. განკითხვისა და მსჯავრდებისაგან თავშეკავება ვინძლო ყველაზე ორგანული ქრისტიანული თვისება იყოს ჩემი. ზოგჯერ მიფიქრია, თუ სამოთხეში მოვხვდი მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ არ შემიძლია მსჯავრდება. სხვამხრივ მეგონა, რომ „სამოთხეს" არ ვიმსახურებდი. ეს თანალმობის თემას უკავშირდება. არსებითად, მე უფრო ადამიანის უბედურებას შევიგრძნობდი, ვიდრე ადამიანის ცოდვას. მზარავს რელიგია, კაცის ცხოვრებას სასამართლო პროცესად რომ წარმოადგენს. ჩემისთანა ჯიუტ, უტეხ ადამიანზე გავლენის მოსახდენად საკმარისი იყო, თავი შეებრალებინათ. ამას ზოგჯერ ბოროტად იყენებდნენ. მე ვებრძოდი საკუთარ გულჩვილ ხასიათს. იყო დრო, ძალიანაც ახლოს მივიტანე გულთან ნიცშეს იდეები. მეშინოდა, სიბრალულში არ გავლ-

---

[1] მარკიონი (მეორე საუკუნე) — ქრისტიანობის ერეტიკოსი.

[2] მათე, 7, 1.

[3] იოანე, 8, 7.

[4] მათე 13, 24—42, 47—50; 22, 2—14; 24, 45—51; 25, 14—30, 31—46.

ჩემი სისუსტე და უბედურებაც ის იყო, რომ მხვალიყავი, არ ჩავმხრჩვალიყავ მასში. მაგრამ სიბრალული. ამიტომ სიბრალულისგან მხოლოდ და მხოლოდ ვიტანჯებოდი, პასიურად ვიტანჯებოდი. აქტიური ვიყავ თავისუფლებაში, სიბრალულში აქტიური არა ვყოფილვარ. ჩემი ცხოვრება არ იყო გამხნევებელი, რადიოაქტიური. ცოტას ვაკეთებდი ცხოვრებაში ჩემი სიბრალულის სარეალიზაციოდ, ცოტას შევეწეოდი განაწამებ ადამიანებს, მცირედ ვუმსუბუქებდი ტანჯვას. სიბრალული თითქოს ჩემშივე იყო სარქველდაცული. მოქმედი სიბრალული ხხვაგვარად განიცდებოდა და ალბათ ნაკლებ მტანჯველი იქნებოდა. ექიმი, რომელიც ავადმყოფს ოპერაციას უკეთებს, იმაზე ნაკლებ იტანჯება, ვინაც მხოლოდ ებრალება ავადმყოფი, მაგრამ ვერაფრით შეეწევა. ჩემს პასიურ უმოქმედო სიბრალულში იყო რაღაც ჩემთვის საზიზღარი, ზოგჯერ — აღმაშფოთებელი. შემბრალებელი კი არა და გულგრილი კაცის შთაბეჭდილებას ვახდენდი. სიბრალულს არათუ ვამჟღავნებდი ჩემს საქციელში, არამედ ვებრძოდი მას, ვუქმნიდი კეთეს ვფლობდი. აი, აქ დიდი მგრძნობიარობა ხელოვნურ დაბრკოლებას. მაგრამ პასიურ სიგადაება თავშეკავებულობას. ჩემში მაინც ყოველთვის აზრი ჭარბობდა გრძნობას, წარმოსახვა — გულს. მაგრამ თავად აზრი მქონდა ემოციური და მგზნებარე. სიბრალული და მზრუნველობა ეგოისტურ თვითშენახვას ებამებოდა. ხშირად ვემალებოდი, გავურბოდი იმას, რასაც შეეძლო მძაფრი თანაგრძნობა გამოეწვია. ჩემი ეს თვისება, მძულდა. ეს იყო სახარების მცნებათა აღუსრულებლობა. ჩემი სიბრალული როდი იყო სიქველე. ის იყო სიაუსტე.

მაგრამ ძლიერ მიყვარდა და ვაფასებდი ცხოვრებაში აქტიური, სხივმფენი სიყვარულის ადამიანებს. სიბრალულს ჩემსას ერწყმოდა ზრუნვა. მე ვარ მზრუნველი ადამიანი. ახლობელთა გამო გამუდმებით ვწუხდი, არ შემეძლო შევგუებოდი აზრს მათი სიკვდილის შესახებ. ვაზვიადებდი საფრთხეს, მათ რომ ემუქრებოდა. ძალიან ვზრუნავდი მშობლებზე, ძმისშვილ-დისშვილებზე. ზოგჯერ ჩემი მზრუნველობა აუტანელი ხდებოდა. ადამიანებს, მე რომ მიცნობდნენ, უჭირდათ დაჯერება, რა ზომამდე ვიყავ მზრუნველი. ზრუნვას ხშირად გავუთელივარ, მეჩვენებოდა, რომ ჩემს მზრუნველობაზეა დამოკიდებული, დაიღუპება თუ გადარჩება ადამიანი.

მძაფრ სიბრალულს იწვევს ადამიანური იმედების, ადამიანური გრძნობების კვდომა და გაციება. მძაფრ სიბრალულს იწვევს ყოველგვარი განშორება. მძაფრ სიბრალულს იწვევს ბევრი მოგონება წარსულზე, შეუქცევადზე, შეგნება საკუთარი უსამართლობისა, გაწამება სხვა ადამიანებისა, განსაკუთრებით, ახლობლებისა, მწველ, ყოვლისმომცველ სიბრალულს განვიცდიდი ხშირად, როცა ცხოველებს თვალებში ვუყურებდი. განაწამებ ცხოველთა [illegible] ხანდახან ისეთია, რომ ატანა შეუძლებელია [illegible] იმჟარის მთელი ნაღველი შემოგაწვება. ხშირად, ძალიან ხშირად შემიგრძვნია [illegible] ნებს სიკვდილი ემუქრება, რომ [illegible] სიკვდილის პირას, ახალგაზრდები და სიხარულით აღვსილები, ხნეულები, დაბერებულნი, იმედგაცრუებულნი წარმომიდგენია. მეჩვენება, რომ ყველაზე მეტ სიბრალულს იწვევს გაცრუებიმედისა, რომლითაც ადამიანი და ცხოველი სამყაროში შემოდიან. არ მიმაჩნია თავი სენტიმენტალურად, საპირისპიროდ სენტიმენტალობისა ჩემშია სიმშრალე. მეტისმეტად ინტელექტუალური ადამიანიც ვარ. ჩემი სიბრალული იმდენად ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება როდია, რამდენადაც მეტაფიზიკური. შესაძლოა ამაში რაღაც ბუდისტური დაინახონ. ესაა სამყროს ყოფნის მჭმუნვარე და ტანჯული ხასიათის პირველადი გრძნობა. ჩემს ბუნებაში არის პესიმისტური ელემენტი, თუმცა ის ერთადერთი არაა და ვერც მთლიანად მფლობს. მას უკავშირდება ბედნიერებისადმი ჩემი დამოკიდებულება. არასოდეს მქონია რწმენა იმისა, რომ ამ ქვეყანა შესაძლებელი იყოს ბედნიერება. მეტიც, ხშირად მიფიქრია, რომ არა მსურს ბედნიერება და მეშინია კიდეც მისი. ჩემ მიერ ყოველგვარი სიტკბოების განცდას თან ახლდა დანაშაულისა და რაღაც უგვანი საქციელის გრძნობა. მეშინოდა ცხოვრების ბედნიერი წუთებისა, მათ ვერ ვუთმობდი თავს და გავურბოდი. მუდამ ვირჩევდი არა მარტო ქრისტიანულ, არამედ ტოლსტოურსა და რევოლუციურ ასკეტურ განწყობასა და ცხოვრების სიხარულის, სიყვარულის, ხელოვნების, სილამაზის, აზრის ზეიმს შორის. ხშირად გავურბოდი ცხოვრებას. მინდოდა თავი შემეფარებინა, სიმბოლურად რომ ვთქვა, „მონასტრისათვის". როგორც ფილოსოფოსს ბედნიერების ცნება ცარიელი და უშინაარსო წარმომედგინა. ბედნიერების ობიექტივირება არ იქნება, მას არ მიეყენება რაოდენობის არანაირი საზომი და ვერც ვერაფერთან შეადარებ. არავინ იცის, რა აბედნიერებს ან აუბედურებს მეორე ადამიანს. ძალიან მიჭირს გავიგო ა. ჟიდის განწყობილება* მასში მხოლოდ პურიტანის ბრძოლას ვხედავ აკრძალვებთან, რომლებიც ბოჭავენ მის ცხოვრებას. არ ვფიქრობ, რომ ადამიანი დაბადებულია ბედნიერებისათვის, როგორც რომ ჩიტი ცაში საფრენად. ევდემონისტური მორალი ყალ-

* ა. ჟიდის რომანი „მიწიერი საზრდო" მეტად პოპულარული იყო ფრანგული საზოგადოების საშუალო წრეებში. 1936 წელს მისი 89-ე გამოცემა გამოვიდა.

ხია. იმას კი არ უნდა მტკიცება, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია უფლება, ბედნიერი იყოს, არამედ იმას, რომ ყოველ ადამიანს აქვს ღირსება, უმაღლესი ღირებულება და არ შეიძლება მისი გამოყენება საშუალებად. მართალია, კანტი და არა — ევდემონიზმი, თუმცა კი კანტმა თავისი სიმართლე ფორმალიზმით დაამახინჯა. პერსონალიზმი ევდემონიზმის საპირისპიროა. ჯ. ს. მილი წინააღმდეგ საკუთარი უტილიტარიზმისა ამბობდა: „ჯობია, უკმაყოფილო სოკრატე იყო, ვიდრე კმაყოფილი ღორი". ძნელია შეურიგდე იმას, რაც ადამიანის ღირსებას ამცირებს, თუნდაც ადამიანთაგან უკანასკნელისას. მთავარ პროტესტს ჩემში მუდამ ადამიანის ღირსების დამცირება იწვევდა. ადამიანთა ტანჯვა თანაგრძნობასა და სიბრალულს იწვევს. მაგრამ ადამიანის ღირსებისათვის, „უკმაყოფილო სოკრატეს" მდგომარეობისათვის ბრძოლას თან ახლავს ტკივილი და სიმწარე. ესაა ჩვენი სამყაროს ეონში გადაუწყვეტელი ზნეობრივი ანტინომია. უნდა უთანაგრძნო ადამიანურ ტანჯვას. შეიბრალო ყოველი სულდგმული და უნდა მიიღო ტანჯვა, რომელსაც გაუწევს ბრძოლა ადამიანის ღირსების, რაობის, თავისუფლების გამო. ესაა კონფლიქტი, რომელიც მთელი ცხოვრება მაწვალებდა, კონფლიქტი სიბრალულსა და იმ ტკივილს შორის, უმაღლეს ღირებულებათა დამკვიდრება რომ იწვევს, კონფლიქტი დაღმასვლასა და აღმასვლას შორის. მუდამ მამხნევებდა სიბრალული, რომელსაც სოციალური სიბრალული შეიძლება ეწოდოს, მას უკავშირდება ჩემი სოციალისტური სიმპათიები. ინსტინქტურად მუდამ არ მიყვარდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისა, განმგებელნი და გაბატონებულნი, პირველ ადგილებზე მსხდომნი, დიდგვაროვანნი და პრივილეგირებულნი, აქაც კუთვნილი კიდეც ამ ხალხს. მათ შორის სიმპათიურს რომ შევხვდებოდი, სიმპატია მოშხამული მქონდა. ამასთან ჩემთვის უცხოა ყოველგვარი ressantiment*, ეს შემიძლია დაუეჭვებლად ვთქვა. მე ხომ თვითონ ვეკუთვნოდი პრივილეგირებულთა წრეს, გამოვედი გაბატონებულთა ფენიდან. უპირატესობას მუდამ დათრგუნვილთ, დევნილთ და ღატაკთ ვანიჭებდი, მაგრამ არასოდეს შემეძლო შევრწყმოდი მათ. მაინც რჩებოდა ყოველთვის ჩემი ცხოვრების პრივილეგირებულობა, ოღონდ ეს უპირატესობა სიმდიდრესა და ძალაუფლებაში არ გამოიხატებოდა. მე არ გამაჩნდა არც სიმდიდრე, არც ძალაუფლება. გარეგნულად ჩემი ცხოვრება მაინც ბატონკაცურად გამოიყურებოდა. მუდამ ასეთად მიმიჩნევდნენ, აზვიადებდნენ ჩემს მატერიალურ სახსრებს. ეს ბატონკაცური ცხოვრება მაინც ზომიერი და თავშეკავებული იყო. რაც ყოველთვის მაწუხებდა, ეს იყო სხვა ინტელიგენტებისაგან განსხვავებით გაცილებით დიდი ნიჭი უბრალო ადამიანებთან ურთიერთობისა. ჩემს მარქსისტულ პერიოდში, კი, ვიდრე ინტელიგენციაზე შემომწყრალი ზოგი მუშა მე კეთილი თვალით მიყურებდა და გამომარჩევდა. ვოლოგდაში რომ ვიყავი გადასახლებული, ერთადერთი გახლდით, ვინც [illegible] გადასახლებულ ხიტროველებთან ურთიერთობას ამყარებდა. არადა, მათი ყველას ეშინოდა. ისინი უკვე საზოგადოების ნაძირალები იყვნენ. ერთ მათგანთან კიდეც ვმეგობრობდი. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად ხალხიდან გამოსულ ღვთის მაძიებლებთან ჩემი ურთიერთობა მესახება. ამაზე მერე მექნება საუბარი. „ხალხთან" შერწყმა კი, რასაც ბევრი ინტელიგენტი ესწრაფოდა, არასოდეს შემეძლო, არც არასოდეს ჩამითვლია თავი ხალხოსნად. საამისოდ საკმაოდ დიდი მარქსისტული სკოლა გავიარე. უნდა გადაჭრით ვაღიარო, რომ სოფლის პატივის და დიდების ცთუნება ჩემი ცთუნება არ არის. სულ არ გახლავართ პატივმოყვარე ადამიანი.

სიბრალულის და თავისუფლების კონფლიქტი დაღმასვლასა და აღმასვლას შორის კონფლიქტია. სიბრალულმა შეიძლება თავისუფლებაზე უარი გვათქმევინოს, თავისუფლებამ კი ულმობელი გაგვხადოს. ადამიანის გზაზე ორგვარი მოძრაობაა: ერთი აღმავალი, მეორე — დაღმავალი. ადამიანი ადის მაღლა, ადის ღმერთთან, ამ გზაზე სულიერ ძალას იძენს, ქმნის ღირებულებას. მაგრამ ახსენდება ქვემოთ დარჩენილები, სულით ულონონი, უმაღლეს ღირებულებათ მოკლებულნი და იწყებს დაღმასვლას, რათა მიეხმაროს თანამოძმეებს, გაუზიაროს სულიერი განძი და ფასეულობა, მიეხმაროს მათ აღმასვლაში. ზეაღსვლისას ადამიანს არ შეუძლია ამ ქვეყნიდან გაფრინდეს და არც უნდა გაფრინდეს. არ უნდა მოიხსნას პასუხისმგებლობა სხვებისადმი. თითოეული პასუხისმგებელია ყველას გამო, მარადიული ცხოვრება მხოლოდ საერთო ხსნით არის შესაძლებელი. თავისუფლება არ უნდა იქცეს ახლობელთა მიმართ პასუხისმგებლობის მოხსნად. სხვაგან კიდევ ვილაპარაკებ სიბრალულისა და შემოქმედების კონფლიქტზე. საკუთარ თავში ვგრძნობდი კონფლიქტს ლ. ტოლსტოის მონათესავე ელემენტებსა და ნიცშეანურ ელემენტებს შორის. იყო წლები, როცა „ნიცშეანური" მძლავრობდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს „ტოლსტოური" უფრო ძლიერი აღმოჩნდა. არასოდეს დავთანხმებულვარ სიბრალულის გამო თავისუფლებაზე მეთქვა უარი. თავისუფლებისათვის ჩემს ბრძოლაში იყო რაღაც მძვინვარე. მაგრამ ვერც სასტიკ თავისუფლებას ვიტანდი, რომელიც გადაიზრდება მძლეთამძლეობის ნებად. არსებითად, ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქრისტიანობა დამახინჯებული იყო ადამიანურ

* ბოღმა, ბრაზი (ფრანგ.)

ინსტინქტთა საამებლად, რათა გაემართლებინათ ქრისტეს მცნებათაგან გადახვევა, ქრისტიანული რევოლუციის, ღირებულებათა ქრისტიანული გადატრიალების მიუღებლობა. ქრისტიანობა არათუ არ განხორციელებულა ცხოვრებაში, რაც მუდამ შეიძლება აეხსნათ ადამიანური ბუნების ცვალებადობით, არამედ გამრუდებული იყო თვითონ მოძღვრება, დოგმატიკაც კი. „პირველნი" ახერხებდნენ თავიანთი მდგომარეობა ქრისტიანული მოძღვრების ნიადაგზე გაემართლებინათ. ქრისტიანთა უსინდისობა უმაგალითოა ისტორიაში. ჩემთვის ქრისტიანობა მუდამ ნიშნავდა, უპირველეს ყოვლისა, მოწყალებას, თანალმობას, მიტევებას, ადამიანურობას. მაგრამ როგორღაც ახერხებდნენ, ქრისტიანობისგან სრულიად არაადამიანური დასკვნები გამოეტანათ, რაც ფრთებს ასხამდა ადამიანთა სადისტურ ინსტინქტებს. ვუბრუნდები აღმასვლისა და დაღმასვლის თემას. (აღმასვლის ერთ გზას ადამიანი იქამდე მიჰყავს, რომ იგი „პირველი" ხდება. აქ ქრისტიანობის მოუხელთებელ პარადოქსს ვეხებით. „პირველნი" ანუ სულიერ სიმაღლეებზე ასულნი (აღარას ვამბობ გვარიშვილობის, სიმდიდრის და ძალაუფლების მიხედვით „პირველთა" ელემენტარულ მაგალითებზე) ხდებიან „უკანასკნელნი"*. საჭიროა, დავეშვა, საჭიროა მოქმედი სიყვარული ახლობლისადმი, იმისადმი, ვინც „უკანასკნელია" თავისი მდგომარეობით. ამიტომ ქრისტიანობა ეფუძნება აღმავალ და დაღმავალ მოძრაობათა შეხამებას, თავისუფლებისა და სიბრალულს, ღირებულებისა და ხარისხის სიყვარულს, მოყვასის სიყვარულს, ღვთაებრივი სიმაღლის სიყვარულს, დაბლა მდგომ ტანჯულთა სიყვარულს.)

ადამიანები გამორჩენისა და ანგარების საქმეში ისე დახელოვნდნენ, რომ შურისძიების პირველადი ინსტინქტების ქრისტიანულ ტრანსფორმაციასა და სუბლიმაციასაც მიაღწიეს. ეს ჩემში ყოველთვის მგზნებარე წინააღმდეგობას იწვევდა. ორთოდოქსებს ეჭვიც არ ეპარება, რომ მარადიული ჯოჯოხეთური წამების შესახებ მოძღვრებაში ტრანსფორმირებულია სადისტური ინსტინქტი ბევრი „ორთოდოქსი" ქრისტიანი დაჰფოფინებს ჯოჯოხეთური ტანჯვის იდეას, სთნავს იგი. დარწმუნებული არიან, რომ ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება მათ არ ელით, მისით მხოლოდ ახლობლებს ემუქრებიან. მარადიულ ჯოჯოხეთურ ტანჯვათა იდეას უზარმაზარი სოციოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა. ამ იდეის საშუალებით მართავდნენ ადამიანთა მასებს, აოკებდნენ ველურსა და ცოდვილ ინსტინქტებს. მაგრამ მაშინ, როცა ქრისტიანულ ევროპას ამ იდეისა სჯეროდა, მას ხოროტად იყენებდნენ, ამით აამებდნენ გაბატონებულთა ინსტინქტებსა და ინტერესებს. ხშირად მიფიქრია, მაშინ, როცა ქრისტიანულ ევროპას ჯოჯოხეთურ ტანჯვათა საშინელება სჯეროდა, ეკლესიის მსახურნი იმათ რომ დამუქრებოდნენ მოკვეთით, უზიარებლობით, დალუპვით და მარადიული ტანჯვით, ვინც შეპყრობილი იყო ძლიერებისა და ბატონობის, სიმდიდრის და ახლობელთა ექსპლოატაციის ლტოლვით, ისტორია სულ სხვა გზით წავიდოდა. ამის ნაცვლად ჯოჯოხეთურ ტანჯვას უპირველესად უქადდნენ ერესისათვის, დოქტრინიდან გადახვევისათვის, საეკლესიო იერარქიისადმი დაუმორჩილებლობისა და მოკვდავთა მიერ აღიარებული მეორეხარისხოვანი ცოდვებისათვის, ხშირად სრულიად უმნიშვნელო წვრილმანისათვის. ამას საბედისწერო შედეგები მოჰყვა ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში. მაგრამ თავად მარადიული ჯოჯოხეთური ტანჯვის საზიზღარი და სადისტური, ამავე დროს რთული ფილოსოფიური პრობლემის შემცველი იდეა არსებითად აუფასურებს ადამიანის სულიერსა და მორალურ ცხოვრებას. იგი ცხოვრებას სასამართლო პროცესად აქცევს, რომელიც მარადიული კატორღით იმუქრება. ეს იდეა ადამიანის არაცნობიერში მის ყველაზე ბნელ მხარეს ააშკარავებს. ჯოჯოხეთი არსებობს როგორც ადამიანური გამოცდილება, როგორც ადამიანური გზა. მაგრამ საზიზღარია ჯოჯოხეთის ყოველგვარი ონტოლოგია, ქრისტიანობისადმი ჩემს მიდგომაში ადამიანებს ვყოფდი ჯოჯოხეთის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. ეს განაპირობებდა ქრისტიანთა ჩემეულ შეფასებას. დარწმუნებული ვარ, ჯოჯოხეთის მომხრეები ის ადამიანები არიან, ვისაც უნდა მისი არსებობა. ოღონდ, რა თქმა უნდა, სხვებისათვის. ქრისტიანები ხშირად დახვეწილი სადისტები იყვნენ. მაგრამ მათი დაშინება ახლა ნაკლებ მოქმედებს. ხალხს უფრო ამქვეყნიური ჯოჯო-

* შდრ: მათე 20, 1—16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეთისა ეშინია. მარადიული ჯოჯოხეთური ტანჯვის მოძღვრებისადმი ჩემს სიძულვილს საფუძვლად, ეტყობა, უდევს პირველადი გრძნობა სიბრალულისა და თანალმობისა, სიბარულისა და ნეტარების შეუძლებლობისა, რასაც განაპირობებს არსებობა უსაზომო ტანჯვა-წამებისა. ხსნა მხოლოდ სხვა ადამიანთან ერთად არის შესაძლებელი. აი, როდისაა ყველაზე უპრიანი ტაძრულობის გახსენება. ვერასოდეს დავიჯერებდი ,რომ ღმერთს ჩემზე ნაკლები თანალმობა და სიბრალული ახასიათებს. არსებითად მუდამ ვუჯანყდებოდი ადამიანთა ყოველგვარ გასამარლებას, არასოდეს მყვარებია სასამართლო, არანაირი განცხადება სამართლიან შურისგებაზე, ვუთანაგრძნობდი უფრო გასამართლებულთ, ვიდრე გამსამართლებლებს. ეს იმიტომ რომ მე გაბლავართ კანონგარეშე ადამიანი და ცხოვრებაც ჩემი იყო კანონგარეშე. ამგვარი ვარ ინსტინქტურად და არა — რადგან მიღწევათა შედეგად. ვერ ვიტან სისასტიკეს, [illegible] თავისუფლებისათვის ბრძოლაში შემეძლო მისულიყავი სისასტიკემდე, [illegible]. შემეძლო ჯოჯოხეთის მომხრეებისა და მომწყობთათვის ჯოჯოხეთი მესურვა. უარესიცა მჭირს. ყველაზე უფრო მაწვალებს, რომ მქონია ხოლმე დავიწყების შეტევები. მეხსიერებიდან გამქრობია ადამიანები. მეხსიერება რომ დამბრუნებია, შევუწუხებივარ სინდისის ქენჯნას, ტაძრულობა ახლოსაა ჩემთან როგორც საერთო დანაშაულის, ერთიმეორის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია თაკვარელია

# გოეთეს რომანი „სულთა ნათესაობა"

უდიდესი გერმანელი პოეტისა და მოაზროვნის — იოჰან ვოლფგანგ გოეთეს შემოქმედებაში „სულთა ნათესაობა" (1809) ერთი გამორჩეული ქმნილებათაგანია. იგი ითვლება მისი მოღვაწეობის კლასიკური პერიოდის ე. წ. „ვაიმარული კლასიციზმის" ეტაპური მნიშვნელობის ნაწარმოებად დრამებთან („ეგმონტი", 1788, „იფიგენია თავრიდში" — 1787, „ტორკვატო ტასო" — 1790) და ორტომიან რომანთან „ვილჰელმ მაისტერთან" ერთად („ვილჰელმ მაისტერის მოწაფეობის წლები" 1796, „ვილჰელმ მაისტერის მოგზაურობის წლები", 1821-1829), რომ არაფერი ვთქვათ სწორუპოვარი და ხელთუქმნელი „ფაუსტისა" (I ნაწ. 1806, II ნაწ, 1832) და ლირიული შედევრების, მეტადრე „დასავლეთ-აღმოსავლური დივანის" (1819) შესახებ.

გოეთეს აღნიშნული რომანი მსოფლიოს უიშვიათეს შედევრთა რიგს განეკუთვნება, ადამიანურ ურთიერთობათა ძნელად მისაკვლევ იდუმალებებსა და მათ სულიერ შრეებში წვდომის სევდასა და სიხარულს ერთდროულად რომ გვაზიარებს, რომანში უზადო პოეტური გზნებით, უაღრესად კლასიკურ, სადა, ზომიერ სტილში აისახება ტრაგიკული კონფლიქტი სიყვარულის მარადიულ უფლებასა და საზოგადოების მიერ მკაცრად კანონდებულ ცოლქმრულ ურთიერთობას შორის.

სენტიმენტალური სულის ბარონ ედუარდსა და კეთილგონიერ, მტკიცე ხასიათის შარლოტეს მშვიდ ცოლქმრულ ცხოვრებაში ბზარი გააჩინა, განხეთქილება შემოიტანა კაპიტანისა და ოტილიეს გამოჩენამ, რის შედეგადაც ნათელი გახდა, რომ ქორწინებითი კავშირი არ შეიძლება დამყარებული იყოს მხოლოდ ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთგაგებაზე, არამედ ცხოველ მიწიერ განცდაზე უნდა ამოიზარდოს, სხვა შემთხვევაში ქორწინება მარტოოდენ მტანჯველი ტვირთი თუ იქნება და მას ბედნიერების მოტანა არ შეუძლია. შარლოტემ კაპიტანში ჰპოვა ადამიანი, ვინც მისი ცხოვრების იდეალი და ოცნების გმირია, ხოლო ედუარდი გულის თრთოლვით აღიარებს, რომ ოტილიე არის მისთვის ერთადერთი და ნამდვილი სიყვარული. რომანში გოეთე ფსიქოლოგიური სიღრმითა და სიფაქიზით, პოეტური სინატიფით გადმოგვცემს თავისი გმირების სულში მომხდარ ძვრებს, მათი ბედის წარმმართველ და გამგებელ გრძნობათა ამბოხს.

რეალური თვალთახედვის, ფიზიკური გონების შარლოტე და კაპიტანი თრგუნავენ გრძნობებს და ნებაყოფლობით უარს ამბობენ ბედნიერებაზე, რაკი სოციალური ვალდებულებები, მოვალეობისა და სინდისის ხმა მათ ამის უფლებას არ აძლევს. მეოცნებე და გრძნობებს აყოლილი ედუარდი და აგრეთვე ოტილიე ვერ იმორჩილებენ თავს და იღუპებიან. ოტილიე ვერ გაუძლებს მძიმე სულიერ კრიზისს და სიკვდილის სარეცელზე განუტევებს სულს, ხოლო ედუარდი სატრფოს ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ მალე მის გზას დაადგება.

გოეთე მწარე, დაუნდობელი სიმართლით ასახავს რომანტიკული სულის ადამიანთა ტრაგიკულ ხვედს, ამავე დროს თანადგომასა და სიმპათიას ავლენს მათდამი, ხოლო შარლოტესა და კაპიტანის თვითალაგმვას, თვითაღკვეთას ე. წ. რეზინიაციის გამოვლენად თვლის და პოზიტიურადაა განწყობილი მათდამი მაგრამ გამოკვეთილად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ედუარდსა და ოტილიეს გოეთე მომავლის ადამიანებად ხატავს, ისეთებად, მთლიანი, ბუნებრივი, წმინდა, ამაღლებული გრძნობების აპოთეოზს რომ აღწევენ.

გარკვეულწილად ოტილიეც რეზინიაციის გზას აირჩევს, როცა ნაწარმოების მეორე ნაწილში პანსიონში დაბრუნებას და ბავშვთა აღზრდის საპატიო მისიის აღსრულებას განიზრახავს. იგი ასე ეუბნება შარლოტეს: „განმარტოება როდი, ქმნის სამკვიდრებელს, ყველაზე უკეთესი სამკვიდრებელი იქ არის, სადაც რაიმეს კეთება ძალუძს".

ოტილიეს ამ განზრახვას შარლოტე ოდნავი დაეჭვებით უპასუხებს: „შენ უჩვეულო გზას ირჩევ... არ მინდა შეგეკამათო, აღსრულდეს ნება შენი, ოღონდ მგონია, რომ ეს დიდხანს არ გასტანს".

ოტილიეს ნაბიჯიც რეზინატორული ნაბიჯია, ოღონდ ამ სწორი და მართებული, ჯანსაღი და

რეალური ჩანაფიქრის ხორცშესასხმელად მას ფიზიკური ძალები არ ეყო. ამის მიზეზი კი მისი და ედუარდის მჩქეფარე, მოუთოკავი, რომანტიკული ბუნება გახლდათ.

ხოლო შარლოტესა და კაპიტანს ადვილად გამოსდით რეზიგნაცია. ისინი წყნარი, დინჯი, აუჩქარებელი ხასიათისანი და ზომიერი ტემპერამენტისანი არიან და სიყვარულის ამ ვეებერთელა ძალას — გულის ამ უფაქიზეს და უიდუმალეს მოძრაობასაც კი შეელევიან და ბედთან შერიგების, თვითადკვეთის, თვითდათრგუნვის გზას უდრტვინველად აირჩევენ.

როცა კაპიტანმა ტბაზე ნავით სეირნობისას შარლოტეს უნებლიეთ გაუმხილა თავისი გულისთქმა, რაც ანაზდეული კოცნით გამოხატა, ძლიერი ხასიათის შარლოტემ ასე განუცხადა სატრფოს: „აი, ახლა ამ წუთას ჩვენს ყოფას უჩვეულო ჟამი დაუდგა და მის მდინარებას ხელს ნუ შევუშლით, მაგრამ ეს კი არის ჩვენს ხელთ, ღირსეულად განვვლოთ ეს ჟამი. ძვირფასო, ჩვენ უნდა დავშორდეთ, განგების ნებას ვერ გარდავუვალთ. გრაფს სურს უკეთესი ყოფა შეგიქმნათ. მე ეს მახარებს და კიდეც მაღონებს. არ მინდოდა სიტყვა დამეძრა, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყდებოდა, მაგრამ ამ წუთმა საიდუმლო გამათქმევინა, ამიტომ გპატიებ შენც და ვპატიებ საკუთარ თავსაც. თუ სიბრძნე გვეყო, შევცვალოთ ჩვენი ყოფა, გრძნობების შეცვლა კი აბა, ვის შეუძლია“.

ედუარდისა და შარლოტეს ურთიერთობაში ყველაფერი დაწყობილი, დალაგებული და მიზანმიმართულია. ოღონდ ამ ურთიერთობას უმთავრესი რამ აკლდა — ხასიათი. ედუარდი სიახლისაკენ მიმსწრაფი ინდივიდუალობაა. იგი ვერ ეგუება შეზღუდვებს, რუტინას. ეს აშკარად იგრძნობა რომანის პირველი ნაწილის პირველ თავშივე, როცა იგი ცხარედ ეკამათება ცოლს, ვისაც არ უნდა უცხო, შემაშფოთებელი რამ შემოიჭრას მათ მშვიდ ცხოვრებაში. „ნუთუ ჩვენი ჯახირი პარკსა თუ ბაღში მხოლოდ მეუდაბნოეთა წილხვედრია?“ — ეკითხება ცოლს ედუარდი. შარლოტე უჯიათად და ურყევად იცავს თავის თვალსაზრისს. მას არასდიდებით არ უნდა ახალი პიროვნების შემოსვლა თავის მყუდრო ოჯახში.

„მე ცრუმორწმუნე არ გახლავარ... და ბნელ იმპულსებს ყურადღებას არ ვაქცევ, თუ მათ მიღმა მართლაც რაიმე საშიში არ დავინახე, მაგრამ ხომ არსებობს გაუცნობიერებელი მომენტები ცხოვრებისა, რასაც ბედნიერი თუ უბედური შედეგები მოჰყოლია და რაც საკუთარი თუ სხვისი გამოცდილებით გაგვიცნობიერებია“.

ედუარდი რომანის პირველი ნაწილის ფინალში ფერისცვალებას განიცდის. თავდაპირველად ედუარდს ფაუსტის გაბედულება ეუფლება, ხოლო შემდგომ ეტაპზე, როცა მის ამაღლებულ გულისთქმას — ოტილიისადმი უსაზღვრო სიყვარულს ძნელი ჟამი დაუდგება, ედუარდს ვერტერისეული ერთგულება იპყრობს. თუ ადრე იგი შარლოტეს იდეალისტურ ეთიკას უპირისპირდება, რომანის ფინალში მარტოობამდე მაღლდება [illegible] ერთის მხრივ, სასტიკია და შე[illegible], მეორეს მხრივ, ულაჟო და უმოქმედო. სწორედ ამიტომ ამბობს ალბათ, ნიცშე თავის ესეში „შოპენჰაუერი, როგორც აღმზრდელი“, რომ გოეთეს ადამიანი „სულთა ნათესაობაში“ გზას უთმობს რუსოს ადამიანს, რადგან მას სძულს ყოველი ძალისმიერი, ყოველი ნახტომი, ე. ი. ყოველი საქმე. და ასე იქცევა იგი სამყაროს განმათავისუფლებელი ფაუსტის ნაცვლად სამყაროს უბრალო მოგზაურად“.

შარლოტე რომანის მეორე ნაწილის მე-14 თავში აღიარებს, რომ შეცდა. თავისი ცხოვრების უმძიმეს წუთებში იგი აღსარებასავით ანდობს მაიორს საკუთარ მწარე ფიქრებს და მოსაზრებებს: „მე შესანიშნავად ვგრძნობ, რომ დღეს ჩემს ხელთაა რამდენიმე ადამიანის ბედი და ერთი წუთითაც არ იწვევს ჩემს დაეჭვებას, ის ნაბიჯი, ახლა რომ უნდა გადავდგა. არსებობს განსაზღვრული საგნები, რასაც ბედი უჯიათად განაგებს. ის უნდა მოხდეს რაც მოსახდენია“.

ეს არის შარლოტეს დინჯი და გაწონასწორებული, მშვიდი და აუმღვრეველი ნატურის შესატყვისი აღიარება არა მხოლოდ მეგობრისა და სატრფოს, არამედ საკუთარი თავისა და მთელი სამყაროს წინაშე.

Entsagung (თვითადკვეთა) უმთავრესად ძარღვია გოეთეს შემოქმედებისა და ცხოვრებისა. როგორც მ. კორფი აღნიშნავს, გოეთეს გმირების ეს განწყობა როდია არაბუნებრივი, მით უფრო ბუნების საწინააღმდეგო, პირიქით, ეს არის უღრმესი სიმართლე, მისი შინაგანი არსის შესატყვისი ცნება, მისი გამოცხადება, მისი მოწოდება. ეს ცნება Sturm und Drang-მა წარმოშვა. სწორედ თვითადკვეთით გადაარჩინა გოეთემ კლასიკური საწყისი თავისი შემოქმედების „შტურმერულ“ პერიოდში. ეს იყო მისი შინაგანი აუცილებლობა. სწორედ Entsagung-მა იხსნა გოეთე „შტურმერული“ კრიზისისაგან, როგორც „ვერთერისა“ და „ფაუსტის“ ავტორი. გოეთეს კლასიკურ არსსაც Entsagung-ი წარმოადგენს. გოეთეს სისხლსა და ხორცში მეუფობს არა მხოლოდ წესრიგიანობა, არამედ თავისუფლებაც და მისეული წესრიგიანობა შეუძლებელი იქნებოდა ღრმა თვითადკვეთის გარეშე. კორფის აზრით, ოტილიეს თვითადკვეთა არის მხოლოდ გარეგნული და არა შინაგანი უარის თქმა სიყვარულზე, რომელიც სწორედ ამ თვითადკვეთით ხდება ჭეშმარიტად სრულქმნილი. ისეთ წმინდა და სულიერ არსებას, რო-

გორიც ოტილია, საუხებით აკმაყოფილებს მხოლოდ შინაგანი კავშირი სატრფოსთან. აი; რასეუბნება იგი დიდი ხნის უნახავ სატრფოს: „მე შენი გავხდები თუ იგი (შარლოტე) ამაზე თანახმა იქნება. თუ არა და შენზე ხელი უნდა ავიღო“. ამ საშინელი თვითაღკვეთის გამო ოტილიეს კორფი „იდეის მარტვილს“ უწოდებს. მას სავსებით მოიცავს ჭეშმარიტი იდეალიზმის ფანატიზმი და წმინდანის რწმენა. ეს რწმენა კი სამსხვერპლოსთან მიიყვანს. კონფლიქტი სისხლსა და განწყობას შორის ამაღლებული სათნოებით დაიძლევა. იგი ცდილობს მონანიებით გამოისყიდოს თავისი შეცოდება.

ჰანს იურგენ გეერდტი საკმაოდ მართებულად განსაზღვრავს გოეთესეული Entsagung-ის არსს. მისი აზრით, გოეთესათვის „თვითაღკვეთა“ ცხოვრებისეული ჰკუის გამოჩენა კი არ არის უბრალოდ, მით უფრო არც ოპორტუნისტული შეგუება გარემომცველ სოციალურ სინამდვილესთან, არამედ მოდიფიცირებული აქტიური ქმედება, სინამდვილესთან დაპირისპირება სოციალურ და ისტორიულ ასპექტში. თვითაღკვეთა არის გამოსავალი კრიზისიდან, რეალისტური, კრიტიკული, ახლებური შეფასება მოვლენებისა და სიტუაციებისა, ნებისა და გონის გამარჯვება თითქოსდა გადაუჭრელ მომენტალურ დაბრკოლებებზე.

საინტერესოდ განმარტავს რეზინაცის არსს ოთარ ჭილაძეც, როცა ამბობს: „რეზინაცია, პიროვნების თვითგამოვლენასა და თვითდადგინების სილაღესა და სისრულეზე ხელის აღებას იგი (გოეთე — ლ. თ.) ხედავს ცხოვრების სიბრძნის არა აბსოლუტურ, სამარადისო კანონად, არამედ მარტო მანკიერ-სოციალურ, მეტადრე კი გერმანული სინამდვილისათვის აუცილებელ პრინციპად და სწორედ რეზინაციის ცნების ასეთმა მოხსნამ, მასზე ამგვარმა პრინციპულმა ამაღლებამ მისცა გოეთეს შინაგანი შესაძლებლობა, ქცეულიყო ფაუსტის, ვითარცა ნამდვილ ადამიანის, შინაგანად ლაღი და სრული, თავისუფალი და შემართებული გმირის მხატვრად.

თომას მანის აზრით, გოეთეს „სულთა ნათესაობაში“ ისე ჰარმონიულადაა გაწონასწორებული კეთილი და მკაცრი, ნათელი და იდუმალი, ჰკვიანური და ამაღლებული, რომ გაოცებით შეიძლება ვუწოდოთ ამ ქმნილებას საკუთრივ გერმანული. ეროსისა და ლოგოსის ეს უნაკლესი შერწყმა ამაღლებულის, ჰუმანურის, სიკეთისა და მშვენიერების მეუფებას ღაღადებს.

„სულთა ნათესაობის“ გმირები რეალური სინამდვილის ღვიძლი შვილები არიან და არა აბსტრაქტულისა და გამოგონილისა. ეს კი გოეთეს შემოქმედების არსებითი თვისებაა. გოეთეს არ ძალუძს პატივი მიაგოს უსულოსა და უსიცოცხლოს. შარლოტე — ეს იგივე პერცოგის ქალი ლუიზეა, კაპიტანი — ბარონი ფონ მუფლინგი, ლუციანე — ფროილაინ ფონ რაიტენშტაინი და ა. შ. კარლსბადში გოეთე შეხვდა არქიტექტორ ენგელმარდტს. ეს სახე მწერლის ალტერეგოდაა მიჩნეული. მაგრამ ეს გმირები მარტოოდენ „რეალური გმირები როდი არიან, არამედ სიმბოლოები, „ბუნებისეული მისტიკის წარმომადგენლები“, „დიდი და ღრმააზროვანი საჭადრაკო პარტიის ფიგურები“, ერთნაირი თავის ტკივილები რომ აწუხებთ და შესატყვისი სახელები — ოტო და ოტილიე ჰქვიათ. ეს არის იდეისა და პლასტიკის, განსულიერებისა და განსხეულების, ნაივურისა და სენტიმენტალურის ერთმანეთში თანაზიარი შერწყმა, რისი მსგავსი ბედნიერი თანხვედრა უიშვიათესია ხელოვნების ისტორიაში (თ. მანი).

პლასტიკურისა და კრიტიკულის, პოეტურისა და პროზაულის ეს ურთიერთობა მორალურ ასპექტში სხვა არაფერია, თუ არა გრძნობიერისა და ზნეობრივის, ხოლო ისტორიული თვალსაზრისით — წარმართულისა და ქრისტიანულის ურთიერთობა. ხოლო რანაირ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან ქრისტიანული და წარმართული და საერთოდ ქრისტიანულისა და წარმართულის ურთიერთობის პრობლემა ფრიად ნიშნეულია გოეთოლოგიაში. თ. მანი ჩვეული სიღრმითა და სიმწყობრით განმარტავს ამ უმწვავეს პრობლემას. იგი გამოკვეთილად არც მის არაქრისტიანობას აღიარებს (გოეთეს ხომ მეტისმეტად სწამებდნენ არაქრისტიანულ პოზიციას) და არც სპინოზასადმი მის უცილობელ გატაცებას უარყოფს, სახელდობრ, იმ ფაქტს, რომ იგი სპინოზას მოწაფე იყო. თ. მანის აზრით, თუ ღმერთსა და ბუნებას შორის დუალისტური გათიშულობა ქრისტიანობის ძირითადი პრინციპია, სამაგიეროდ სპინოზა წარმართია და იგი ღმერთისა და ბუნების იდენტურობას აღიარებს და გოეთეც მის კვალს მისდევს. მაგრამ სამყაროს ცნება, თ. მანის მიხედვით, მხოლოდ ღმერთითა და ბუნებით არ გამოიხატება, იგი ადამიანურს, ჰუმანურსაც მოიცავს და სპინოზასეული ჰუმანურის ცნებაც აგრეთვე ქრისტიანული ცნებაა, რამდენადაც ადამიანურობას ფენომენს იგი განსაზღვრავს, როგორც ადამიანში ბუნება-ღმერთის შეცნობას.

სწორედ „თვითაღკვეთის“ (Entsagung) სპინოზისტური მოტივია, როგორც ადრე აღვნიშნეთ „სულთა ნათესაობისა“, აგრეთვე გოეთეს ცხოვრებისა და შემოქმედების, უმთავრესი მოტივი საერთოდ. ახევე უმთავრესია შილერისათვის — თავისუფლების, ხოლო ზაქარია ვერნერისათვის — ხსნის იდეები.

„სულთა ნათესაობა“ არის ნაწარმოები „თვითაღკვეთის“ შესახებ. იგივე ითქმის „ტასოს“ და „იფიგენიაზეც“.

გოეთესეული თვითაღკვეთის „ოთხი ფილო-

სად პიროვნული მოვლენა, ბედისწერა, ინსტინქტთა ბრძანებაა, მისი საგანგებოდ ეროვნული, არსებითად ზნეკეთილი მოწოდებაა. გოეთე თაყვანს სცემს ქრისტიანობის „ზნეობრივ კულტურას", მის ჰუმანიზმს, მის მორალურ და ანტიბარბაროსულ ტენდენციას. გოეთესეულ თვითადქვეთაში მეტისმეტად ღრმა და მეტისმეტად გერმანული აზრი დევს. ეს არის თვითდათრგუნვის, თვითაღკვეთის, თვითდაოკების პრინციპი. „იფიგენიაში" იმარჯვებს ჰუმანიზმის იდეა, რომელიც ბარბაროსობას — ცივილიზაციის ნიშანს უპირისპირდება.

გოეთეს „სულთა ნათესაობა" ცნობრივი ქსოვილით, სულით, პოზიციით, განწყობილებით უღრესად გერმანული, უმაღლესი ზნეობრიობის ნიშნით აღბეჭდილი ქმნილებაა. მასში სათცრად უთავსდება ერთმანეთს სოციალური და რელიგიური მომენტები.

ჭერაც სტუდენტი იყო გოეთე, როცა წმინდა ოდილიეს მთაზე იმოგზაურა ქვემო ელზასში, რის შესახებაც გვიამბობს „პოეზიასა და სიმართლეში". წმინდა ოდილიეს მთებში სეირნობისას ქაბუკ პოეტს ღრმად ჩაებეჭდა სულში ლეგენდა ღვთისმოსავ მშვენიერ გრაფის ასულზე. ეს ლეგენდა გახდა მიზეზი ამ წიგნის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმისა. მერე ამას დაემატა ბუნებისმეტყველების პრობლემებიც, სახელდობრ, „სულთა ნათესაობის" ცნებისა და ქიმიური მსგავსებების ადამიანურ-სოციალურ ასპექტში გადატანა, მეტად უცნაურად, მისტიკურად განცდილი ბუნებისმიერი მიზიდულობის ძალთა ესთეტიზირება ფილისტერებმა ვერ გაიგეს და ერთმანეთს ეკითხებოდნენ, ეს რა დაუწერია გოეთეს თავის წიგნში ამ ქიმიური მოვლენების გამო. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ნათელი, რა აზრიც იდო გოეთეს კონცეფციაში ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით. აუცილებელი გახდა სიმბოლური აზრის მოძიებაც მეცნიერულ-ბუნებისმეტყველურ მომენტებში. ამ ნაწარმოებში ზეციური და მისტიური ერთმანეთს უთავსდება და მიწიერ თავისუფლებას უპირისპირდება.

როცა ოტილიეს სახეს ქმნიდა, გოეთეს მუდამ თან სდევდა წმინდა ოდილიეს ხატება. ამ დროს მასაც გზნებით უყვარდა. ორმოცდათექვსმეტი წლის გოეთე თავის ჭარმაგი ადამიანის ვნებას განიცდიდა თვრამეტი წლის მინჩენ ჰერცლიბისადმი. ოტილიე თავისი „თვინიერებით, მომლიმარე მდუმარებით, მთვარეული სიკობტავით (თ. მანი) რომანტიზმისათვის ნიშნეულ ხულებს, მეტადრე ურდინესა ჰგავს, ბუნება უყვარს და პოეტის გულიდანაა შექმნილი. მის ხელში ჭანჭარა მეტალებს აქეთ-იქით მიყრის, თავის ტკივილებიც შეუწყდება ქვანახშირის საბადოთა სიახლოვეს, რის შესახებაც არავინ არაფერი იცის. ოტილიეს უყვარს ბუნების კანონთა თანახმად, მაგრამ ზნეობრივი მოთხოვნილებების საპირისპიროდ იგი თავისი სულისზიარი დის — გრეტჰენის მსგავსად უცოდველად შეცდება.

საყურადღებოა რომანის ფინალი, მისი თავისებურად ტკბილი და გამოუთქმელად უსიამო განწყობილება, როგორც ამას გუნდოლფი ამბობს, როცა ედუარდი, შარლოტა, ოტილია ვითომდა ძველებურად ერთად ცხოვრობენ, ბედნიერი წარსულის ილუზიით არიან შეპყრობილი. თ. მანი ამას სიბარიტულ-სერაფიმულ ფინალს უწოდებს ოტილიეს ნებაყოფლობითი თვითგვემა, მისი ნეშტის ხალხური სასწაულქმედება — ის მომენტებია, როცა თავის არსებობას ზეიმობს ბუნების ძალაც და ადამიანისეული ზებუნებაც, სიკვდილის მეშვეობით რომ გადაარჩენს თავისუფლებას.

ამ რომანში უმაღლესი რანგის პოეტური მთლიანობითაა მოცემული ხატი და ჩანაფიქრი. მხატვრულად მართლდება ის, რაც იდეალურად არსებობს.

გოეთეს თვალსაზრისითაც იდეალური შეუღლებისათვის დიამეტრულად დაპირისპირებული ხასიათისანი კი არ უნდა იყვნენ, მსგავსად ქიმიური ელემენტებისა — ზეთისა და წყლისა, არამედ იმგვარად უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რომ „ავსებდნენ", სრულყოფდნენ ერთმანეთს. როგორც ეს ბუნებისმეტყველური, სახელდობრ ქიმიური კანონის მიხედვით, ქლორისა და ნატრიუმის, კირქვისა და მჟავის რეაქციისას ხდება. ტორბენ ბერმენი ცნობილ წიგნში „მსგავსთა გამორჩევის შესახებ" (1775) გამოთქმული მოსაზრებები ამ ნაწარმოების მხოფლშეგრძნებას განსაზღვრავს. ცნება „სულთა ნათესაობა" სწორედ ამ წიგნმა წარმოშვა. თუ ორ ქიმიურ ნაერთს ერთმანეთს შევუერთებთ, შეიძლება მოხდეს მათი შემადგენელი ნაწილების ერთმანეთში გახსნა და ახალი ნაერთების მეორის შემადგენელ ნაწილთან შეკავშირება (a + b და c + d აქედან მიიღება a + c და b + d), რადგანაც მათ შორის დიდი მიზიდულობის ძალა წარმოიშვება.

რომანის პირველი ნაწილის მეოთხე თავში მხატვრის თვალით და ამავე დროს მეცნიერული სიზუსტითაა დახატული — ნათესაობის ცნება. კაპიტანი ამბობს: „ყველაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებო უთუოდ ის შემთხვევებია, როცა ემპირიულ სინამდვილეში აკვირდები ამ მიზიდულობას, ამ განშორებას, ამ თითქოს და ჯვარედინ ერთქმნას — როცა ოთხი არსება, ადრე ორორად დაწყვილებული როგორღაც შეხებაში მოდის ერთმანეთთან, ანგრევენ თავდაპირველ კავშირებს და ახლებურად წყვილდებიან, სწორედ ამ განცალკევებასა და შეერთებაში, ამ გაქცევასა და ერთურთის ძიებაში მდგომარეობს უზენაესი ნება. სწორედ ამნაირ არსებებს მოეპოვებათ უმაღლეს განძად სურვილ-ნებისა, არჩევის ნიჭი და ამ გაგებით ტერმინი „სულთა ნათესაობა"

ზედგამოჭრილად მოჩანს. იგი სრულქმნილად ამართლებს თავის არსს".

რომანში კარგად შეიმჩნევა რომანტიკული ნატურფილოსოფიური მოტივები. „ადამიანური ბუნების ღამეული მხარის" სფეროს განეკუთვნება ისეთი მოვლენა, როგორიცაა ოტილიეს „ლითონმგრძნობელობა". ლორდის მხლებელს სურს ცდები ჩაუტაროს ოტილიეს ქანქარას რხევის საშუალებით, რაკი აღმოაჩინა, რომ ოტილიეს უჩვეულო თრთოლვა აიტანდა ხოლმე და თავის ტკივილებიც ეწყებოდა სწორედ იმ ადგილებში, სადაც თურმე ქვანახშირის საბადოები ყოფილა, რის შესახებაც არავინ არა იცოდა რა. ამ ეპიზოდში საცნაური ხდება ის ფაქტი, რომ ცდა სიდერულვარსკვლავურ ქანქარაზე არის გამოძახილი იმ ექსპერიმენტისა, რომელიც ბუნების მკვლევარმა — რიტერმა მიუნხენში 1808 წელს ჩაუტარა იტალიელ კამპეტის. სწორედ ამ ექსპერიმენტზეა ლაპარაკი II ნაწილის მე-II თავში, როცა მსგავს ცდებს ინგლისელი ლორდის თანმხლები უტარებს შარლოტესა და ოტილიეს. ეს ცდა ადასტურებს შარლოტეს მტკიცე და მყარ ხასიათს. ოტილიეს კი ბუნების იდუმალებით აღსავსე გარემოებები შეიპყრობს და ცდის შედეგის მიხედვით აშკარაა, რომ მის საკუთარ ნებასა და თვითგამორკვევას საფრთხე ემუქრება. ეს საფრთხე კი იმაში გამოიხატება, რომ ბუნების ამ უცოდველი შვილის სიყვარულს გამართლება არ უწერია, სიყვარული ოტილიესათვის აღუსრულებელ ოცნებად რჩება.

„სულთა ნათესაობას" უფრო სოციალურ ასპექტში განიხილავს ანელიზე კლინგენბერგი გოეთეს ამ რომანის 1972 წლის ლაიპციგისეული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში. მისი აზრით, ეს ნაწარმოები არის „სოციალური ურთიერთობებისა და მათ შორის კონფლიქტების სიმბოლური ასახვა". ოტილიეცა და კაპიტანიც, ა. კლინგენბერგის აზრით, სოციალური გარემოს შვილები არიან. ორივე გზასაცდენილია. კაპიტანი ნაპოლეონის შემდგომდროინდელი ეპოქის შვილია, იგი სამოღვაწეო ასპარეზს ვერ პოულობს, კაპიტანიცა და ოტილიეც ბიურგერთა ფენას განეკუთვნებიან. ორივენი უსამშობლო და უჯახონი არიან.

ერნსტ ფიშერის აზრით, რომანის მთავარი თემაა ტრაგიკული, ამოუხსნელი წინააღმდეგობა ინდივიდუალობის თავისუფლებასა და ბიურგერული საზოგადოების კანონთა შორის. რაც უფრო ხანში შედიოდა გოეთე, მით უფრო უღრმავდებოდა ბუნების კანონზომიერებას და, რაც უფრო კრიტიკულად აკვირდებოდა ბიურგერული საზოგადოების განვითარებას, მით უფრო პრობლემური ხდებოდა მისთვის თავისუფლების ცნება. თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის დიალექტიკური ურთიერთმიმართება და ერთმანეთში იდუმალი შეჭრაა ამ რომანის მთავარი იდეა. სიჭაბუკეში გოეთე შეურიგებელ წინააღმდეგობას ხედავდა თავისუფლებასა და აუცილებლობას შორის. ერთ მხარეს იდგა პიროვნება, მეორე მხარეს კი — სამყაროს [illegible]. ერთის მხრივ პიროვნება თავისუფალ გადაწყვეტილებას იღებს, მეორეს მხრივ, მის ამ თავისუფალ განზრახვას ეწინააღმდეგება და ემუქრება აუცილებლობის შეგრძნება. ყველაფერი, რაც კი ხდება — ქმნადი აუცილებლობაა. გმირები, ადამიანები იცვლებიან, ხოლო მსოფლიო კანონი შეუცვლელი, ურყევი რჩება. „სულთა ნათესაობის" გმირები, როგორც სოციალური სინამდვილის შვილები, საზოგადოების წესებს, ვითარებებს, ინსტიტუტებს ექვემდებარებიან, ამავე დროს ღრმა პიროვნული გრძნობებითაც არიან მოცული და სწორედ ამაში მდგომარეობს სიახლე ამ ნაწარმოებისა. ერთგან გოეთე ამბობს: უმაღლეს საფეხურზე თავისუფლება აღარც არსებობსო. მაგრამ ეს გამონათქვამი იქნებ შემთხვევითადაც მოგვეჩვენოს, რადგან სინამდვილეში თავისუფლება უმაღლეს საფეხურზეც შესაძლოა. სწორედ თავისუფალი ნებით ცოცხლობს ოტილიე, როცა გამოუთქმელი გრძნობით უყვარს. იგი სრულიად მსხვერპლშეწირულია და, წინასწარ განსაზღვრული ბედისწერის მიუხედავად, საბოლოოდ მაინც თავისუფალ გადაწყვეტილებას მიიღებს. ოტილიეს თავისუფლება სხვა არაფერია, თუ არა აუცილებლობის შეგნება. იგი მზადაა ცნობიერად მისცეს მსხვერპლად თავისი პიროვნება და ამას სწორედ თავისუფლების კარნახით სჩადის. გოეთემ იგი ცოდვილიან წმინდანამდე აღამაღლა და ამით ბიურგერული საზოგადოებისათვის, ქრისტიანული მორალისათვის გაიაღო ხარკი; იგივე ითქმის გრეტხენისა და მინიონის შესახებაც. ქალში გოეთე ხედავს მარადიულ ქმნადს და მარადიულ ქალურს.

გოეთეს „სულთა ნათესაობის" შესახებ საინტერესო თვალსაზრისს გვთავაზობს დავიდ ე. ველბერი. მისი აზრით ამ რომანში შეიმჩნევა „სიმბოლური წესების დეზორგანიზაცია", სიმბოლურობა გამსჭვალავს ამ ნაწარმოების არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ საყოველთაოდ კულტურულ ფენომენს. ნაწარმოებში სიმბოლური წესები აწესრიგებენ საზოგადოებისეულ განცალკევებებსა და კავშირებს, ადგენენ პოზიციებისა და როლების საზღვრებს. რომანში გამუდმებით ლაპარაკობენ დაშორებასა და შეკავშირებაზე, დაბადებასა და სიკვდილზე. სიმბოლურობა უაღრესად დამახასიათებელი ნიშანია ამ ნაწარმოებისა. აქ ყველაფერი სიმბოლურად ხდება საცნაური და სიმბოლურ აზრს იძენს. ვთქვათ, ედუარდის თხოვნა ოტილიესადმი — განირიდოს მამის მინიატურული პორტრეტი. ეს არის მამისეული პრინციპის ანულირება, რადგან ეს არის

კანონდებული ინსტანცია როგორც რელიგიური, ისე არისტოკრატიული სიმბოლიკისა.

ედუარდის სიყვარული ხომ ვერ იტანს ანდა ძნელად იტანს მამისეულ კანონ-ადათებს იგი ვერ თავსდება კანონთა საზღვრებში. ეს ფაქტი თავს იჩენს შარლოტესთან ქორწინებაში. ეს ქორწინება არის დაბრუნება თავის დროზე მამის მიერ აკრძალულთან, ოტილიესადმი სიყვარული კი უკვე დაკანონებული ქორწინების საზღვრებში ვერმოთავსდება. ოტილიე რომ მამისეულ მინიატურულ პორტრეტს ყელზე ატარებს, ედუარდისათვის მამისეულ კანონთან სატრფოს კავშირს ნიშნავს. ეს პორტრეტი თითქოს წყალგამყოფი ტიხარია ედუარდსა და ოტილიეს შორის, რადგან სიმბოლურად იგი აკრძალვას მიანიშნებს და ორ შეყვარებულს ერთმანეთისაგან აშორებს.

რომანში აღწერილი სამი რიტუალიც სიმბოლურად ხდება საცნაური. ესენია: საძირკვლის ჩაყრა, სახლის დამთავრებასთან დაკავშირებული ზეიმი და ნათლობა. ყოველ ამ რიტუალში ამოიკითხება შეფერხება, თვითპაროდია, სისტემატური შეშლა რიტუალური წესებისა. საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალს წინ უძღვის კალატოზის საზეიმო სიტყვა. ეს სიტყვა რომანში დაწვრილებით გადმოიცემა. მისი ტრადიციულად მდიდარი ლექსიკა სიმბოლური ხასიათისაა. და რომ ეს ყველაფერი რომანში პროზადაა წარმოდგენილი და არა ლექსად, იმ ფაქტს ადასტურებს, რომ საზეიმო სიტყვა თავისი ზემოქმედებითი ძალის კარგვას იწყებს.

სახლის დამთავრებასთან დაკავშირებულ ზეიმზე, რომელიც ოტილიეს დაბადების დღეს მოეწყობა, სრულად იხატება ედუარდის უნაპირო ვნება სატრფოსადმი. ნიშანდობლივია ერთი მომენტი: „წარმოთქვეს მოკლე მისასალმებელი სიტყვა, რომელიც ქარმა გაფანტა და იგი არავის მოუსმენია", — ვკითხულობთ რომანში.

და ბოლოს, ბავშვის ნათლობაზე წარმოთქმული მიტლერის სიტყვა — არის რიტუალური წესის აღსრულებისათვის საჭირო ქადაგების სრული დეგრადაცია. ახალდაბადებულ ბავშვის ნათლობაზე სიცოცხლის ზეიმი კი არ იგრძნობა, არამედ სიცოცხლეზე მეტად წინა პლანზე წამოიწევს სიკვდილი (მოხუცი მღვდლის მოულოდნელი აღსასრული).

თანაშემწის პედაგოგიკა, მისი აღზრდის პროგრამა ლაპიდარულად ასე ფორმულირდება: „ბიჭები მსახურებად უნდა აღიზარდონ, ხოლო გოგონები — დედებად. მხოლოდ მაშინ აეწყობოდა შესანიშნავად ყველაფერი ამ ქვეყანაზე".

რომანტიკოსები არაერთხელ მიუთითებდნენ გოეთეს აპათიას ქორწინებისადმი. მათი აზრით, ამას განსაკუთრებით ადასტურებს „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები". სინამდვილეში კი გოეთე, შეიძლება ითქვას, აშკარად იცავს ქორწინების სიწმინდეს, როცა მიტლერს ასეთ ტირადას ათქმევინებს: „ქორწინება საკაცობრიო კულტურის საწყისიცაა და მწვერვალიც. იგი უხეშს სათნოდ აქცევს, ხოლო უგანათლებულესი უკეთეს სავანეს აქ ჰპოვებს თავისი საკუთარი ბუნების გამოსავლენად. ქორწინება არ უნდა დაირღვეს, რადგან იმდენი ბედნიერება მოაქვს, ცალკეული მწუხარე შემთხვევები რა სახსენებელია."

მიტლერის სახეს სხვაგვარ, უაღრესად საინტერესო და საგულისხმო ინტერპრეტაციას აძლევს შტოკლაინი: „თანადროული თვითმოტყუების პრობლემური ხაზი სწორედ ამ სახეში აღწევს ზენიტს. მასში ბიბლიური დღესასწაულები ცხოვრების ენით ლაღადებენ სათქმელს, ოღონდ ეს სათქმელი უსიცოცხლოა და საარსებო ძალას მოკლებული. ეს სათქმელი წინააღმდეგობას ქმნის, დამაბნეველია და მომკვლელი. მისი თვითმოტყუება უფრო ღრმაა, ვიდრე ედუარდისა. მისი საუბარი ღვთის სიტყვათა რეპროდუქციაა ანდა სამოძღვრებო სიტყვები კეთილშობილისა. იგი უფრო თავახსნილ მიბაძვებს განეკუთვნება ამ მრავლისდამტევ სამყაროში".

თვითონ გოეთე მეტისმეტად ღრმად განიცდიდა წინააღმდეგობას კანონსა და ვნებას შორის. ამას ადასტურებს მისი რომანი თვრამეტი წლის მინნა ჰერცლიბთან. გოეთე წერს: „ამ წიგნში ვერავის შეუცვნია ღრმა და ტკივილიანი ჭრილობა, რომელიც უფრთხის მკურნალობით საკუთარი თავის აღსრულებას, ვერავის შეუცვნია გული, რომელსაც განკურნებისა ეშინია".

1810 წლის 10 თებერვალს გოეთე ბატონ ფონ არნიმს სულ სხვა რამეს ეუბნება იგივე ნაწარმოების შესახებ: „პოეტს აქ ის ამოცანა შეუსრულებია, ამ გამოგონილ ბედში, ვითარცა საფლავის ურნაში, ვინმე გვიანმოსულს დაახვედროს წვეთ-წვეთობით მოგროვილი ცრემლები".

რომანი უსაზღვრო სიდარბაისლით აფრთხილებს ახალ თაობას მიხედოს თვითალკვეთას, რომელიც მას თვალში არ მოსდის. სწორედ ოტილიეს თვითშეწირვაში იხატება ყველაზე გამოკვეთილად მწერლის ძირითადი პოზიცია. სახელი ოტილიეც ხომ ელზასელი წმინდანის — ოდილიეს მიხედვით დაარქვა გოეთემ თავის უსაყვარლეს გმირ ქალს. ნაწარმოებში გამოხატული ეთიკური სიდიადე რომანის გამოსვლისთანავე ძნელად ღირსეყვეს თანამედროვეებმა, პირიქით, უზნეობაში დასდეს ბრალი გოეთეს. მათ ვერ შეიცნეს ამ ნაწარმოებში ჩადებული უღრმესი აზრი. ეს დისონანსი და სამწუხარო ფაქტი თვითონ გოეთემაც აღიარა მისთვის ჩვეული სინათლითა და სისხარტით ცაუპერისადმი 1821 წლის 7 სექტემბერს მიწერილ ბარათში: „მეტად მარტივი ტექსტი ამ ვრცელი წიგნისა არის ქრისტეს სიტყვები: „რამეთუ ყოვე

ლი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა", არა მგონია, ვინმეს შეეცნო ამ პარაგრაფში ქალის ნამდვილი ბუნება". ხოლო სიტყვებს გოეთე გულგატეხილი ამბობდა.

აიმენდორფს მიაჩნია, რომ ამ რომანში „ზნეობრივის მიძინება" გოეთესეულ პანთეიზმს განსაზღვრავს. „გრძნობათა ამნაირი ამაღლება, განაგრძობს აიმენდორფი, ადამიანში დემონურის ასეთი გაღმერთება, ასე ღრმად ნაგრძნობი სულიერი მრუშობის ამბები შეადგენს „სულთა ნათესაობის" თემას. შეცოდება თითქოსდა აქ წინასწარაა განსაზღვრული".

როცა ავენბელმა გოეთესთან საუბარში დაეჭვება გამოთქვა ნაწარმოების ზნეობრივ მრწამსზე, გოეთემ საკმაოდ უხეშად მიუგო, თქვენთვის კი არ დამიწერია ეს წიგნი, არამედ ახალგაზრდა ქალებისათვის დავწერეო.

ერთი შეხედვით „სულთა ნათესაობა" თითქოს გოეთეს ყოვლად ქრისტიანული ნაწარმოებია თავისი უმკაცრესი და რეზონენტორული ეთოსით. როცა არაქრისტიანობა დასწამეს, გოეთემ თავი ასე დაიცვა: „მე და წარმართი? მე ხომ გრეტჰენი დავსაჯე, ხოლო ოტილიე შიმშილით მოვკალი. განა ადამიანების თვალში ეს საკმაოდ ქრისტიანული ქმედება არ არის? ამაზე ქრისტიანული კიდევ სხვა რაღა უნდა იყოს?"

ამ სიტყვებში გოეთეს ულრმესი ტკივილიც იხატება ბუნების ამ მშვენიერი შვილებისადმი. მათი განადგურებით გოეთემ ზნეობის კანონი უმკაცრესად აღასრულა. იგი უსაზღვრო სიყვარულით ლაპარაკობს ოტილიეზე.

მეორეს მხრივ, ამ რომანში და საერთოდ მთელს მის შემოქმედებაში სრულიად აშკარაა გოეთეს სპინოზისტურ-პანთეისტური განწყობილებებიც. სანკტ-პეტერბურგელი მკვლევარი ნ. ვილმონტი იმასაც კი ამბობდა, რომ გოეთეს არცერთი ნაწარმოები იმდენად სპინოზისტური არ არის, როგორც „სულთა ნათესაობა", სახელდობრ ამით, რომ აქ სპინოზას ეთიკა და ფსიქოლოგია მკაცრად დეტერმინირებულია. ადამიანებს ეჩვენებათ, რომ ისინი თავისუფალნი არიან, მათი თავისუფლება კი ილუზორია. სპინოზას მიხედვით კი, თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები სრულად შეიცნობენ თავიანთ სურვილებს და არ იციან ამ სურვილთა განმაპირობებელი მიზეზები, ადამიანი, სპინოზას მიხედვით, ბუნების ნაწილია, უფრო ზუსტად „ნაწილაკი", რისი ძალითაც იგი უკავშირდება მიზეზთა ერთობლიობას, რასაც კანონები მართავენ. ეს კანონები კი ჩვენი ბუნებისათვის უცხონი არიან, ზუსტად განსაზღვრულნი და ობიექტურნი. ნ. ვილმონტის აზრით, გოეთეს ამ რომანში ხდება სწორედ ეს ურთულესი დაკავშირებულობა ადამიანისა მისთვის გაუცნობიერებელ მიზეზთა ერთობლიობასთან. რომანის გმირთა ყოველი სიტყვა, ყოველი ქცევა დუალისტურია ანუ, ერთის მხრივ, ცნობიერ-რეალური, ხოლო, მეორეს მხრივ, ზოგადურ-სიმბოლური. თხრობის სტილი ამ რომანში კლასიკურად გამჭვირვალეა, მწყობრი, ზომიერი, მდინარი და ამან იქნებ მკითხველი მოატყუოს. „სულთა ნათესაობა" ერთობ რთული, წინააღმდეგობრივი ნაწარმოებია. თვითონ გოეთესაც არაერთხელ უთქვამს, რომ ამ ნაწარმოების ერთხელ წაკითხვა საკმარისი არ არის.

შვედი ქიმიკოსის ტ. ბერგმანის ადრე ხსენებული მეცნიერული თხზულების გერმანული თარგმანი 1782 წელს გამოვიდა (ორიგინალი, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, 1770 წელს გამოქვეყნდა). ამ წიგნში გამოთქმულ მოსაზრებებს ანვითარებენ სასახლის მკვიდრნი საუბრისას, რომელიც რომანის პირველი ნაწილის მეოთხე თავშია მოცემული. აქ ლაპარაკია მსგავს და არამსგავს ქიმიურ ელემენტთა ურთიერთმიზიდულობისა და განზიდულობის, მათი ერთქმნისა და გათიშულობის შესახებ. კაპიტანი ასე ახასიათებს შვედი მეცნიერის ორიგინალურ თვალსაზრისს: „იმ არსებებს, რომლებიც პირველი ნახვისთანავე სწრაფად შეიცნობენ და განსაზღვრავენ ერთმანეთს, ნათესაურს ვეძახით. მეტადრე თვალშისაცემია ტუტეებისა და მჟავების ნათესაობა. ისინი მკვეთრი დაპირისპირებულობის მიუხედავად და იქნებ სულაც იმის გამოც რომ ასე დაპირისპირებულნი არიან, სულ უფრო მძაფრად ეძიებენ და ერწყმიან ერთმანეთს, ამ ერთქმნაში კი სახეს იცვლიან და წარმოშობენ ახალ სხეულებს. გავიხსენოთ კირი, რომელიც ყველანაირი მჟავისადმი ძლიერ მიდრეკილებას ამჟღავნებს და მასთან ერთქმნას ესწრაფვის.

უსულო ელემენტთა ქიმიურ-ფიზიოლოგიური პროცესების ამგვარი ანთროპოლოგიზაცია (გაადამიანურება) იქნებ არც იყოს მართებული, რადგან ბუნებისა და საზოგადოების კანონები არცთუ მთლად ერთმანეთის იდენტური არიან, მაგრამ გოეთეს კონცეფციით, ბუნების კანონება საზოგადოების კანონებს მკვეთრად კი არ უპირისპირდებიან, ადამიანს კი არ მტრობენ, არამედ მის უმთავრეს არსს განსაზღვრავენ და ამ კანონებს დამორჩილება ჭეშმარიტი თავისუფლების საწინდარია, სახელდობრ, ქალ-ვაჟის ურთიერთდამოკიდებულებაში ბუნებრივ კანონად „სულთა ნათესაობის" პრინციპი გვევლინება, რომლის მიხედვით, ერთმანეთთან დიამეტრულად დაპირისპირებული სახეები კი არ ქმნიან ჰარმონიულ წყვილს, არამედ პირიქით, მსგავსი სულები ელტვიან ერთმანეთს და წარმოშობენ ამაღლებული სიყვარულის იდეალს. დიდი სიყვარულის ყოვლისმშთანთქმელი ვნება

წარმართავს, გარდაქმნის, აღორძინებს, ანახლებს ადამიანის სულსა და საქმეს, მაგრამ ადამიანს მრავალფეროვნად, თავისი ნატურის, ინდივიდუალობის შესაბამისად ძალუძს აჰყვეს ბუნების ხმასა და ძახილს, ან უგონოდ დაემორჩილოს მის სტიქიურ მოზღვავებას, ან კიდევ შეეცადოს მოთოკოს, მოთრგუნოს, მოათვინიეროს ვნებათა ღელვა, გონების ხმას დაუმორჩილოს იგი.

როგორც მენიკ ბრინკმანი აღნიშნავს, „სულთა ნათესაობის" ენა ცივია და საქმიანი. ამ რომანში მხატვრული ასახვის ორი წესი ერწყმის ერთმანეთს: დემონური და ყოფითი. რომანის სტილი ორი ტენდენციითაა გამსჭვალული: მეცნიერული სინათლით და გულის უტკბეს იდუმალებათა შეგრძნებით. ნაწარმოებში დემონური ამბებიც აისახება და ყოფითი სინამდვილისაც. ასახვის ეს ორი „წესი" — დემონური და ყოფითი — იდუმალად შეთანთქავს ერთმანეთს. მენიკ ბრინკმანის ეს დაკვირვება ერთობ საყურადღებოა. დემონურისა და ყოფითის ეს ურთიერთმიმართება სწორედ, ჩვენის აზრით, გოეთეს შემოქმედების, კონკრეტულად კი „სულთა ნათესაობის" პოეტური თუ ფილოსოფიური მრწამსი.

ბიერდტი გოეთეს გმირების „დემონურ" და „მოდერნულ" გმირებად დეფინიციას აძლევს. მისი აზრით, ორესტე, ტასო, ეგმონტი დემონური სახეები არიან, რომელთაც ვნებები მოიცავთ და ტრაგიკულ კონფლიქტში ვარდებიან. ხოლო ოტილიე, ედუარდი, ლუციანე, ბიერდტის აზრით, „მოდერნული" გმირები არიან. მათთვის დემონური საწყისი ერთ რომელიმე სფეროში ვლინდება.

გოეთეს აზრით, ორი სახის დემონები არსებობენ: ბოროტი დემონები, რომელთაც აღშფოთება და მოუსვენრობა ახასიათებთ, და „გზასაცდენილ დემონებად" იწოდებიან, და კეთილი, ნეტარი დემონები. იოაქიმ მიულერი ამბობს, რომ ე. წ. „მოჩვენება" გოეთეს მიერ სახელდებული „გზასაცდენილი დემონები" არიან. რომლებიც კაცობრიობის განვითარებას აფერხებენ და გაუთვალისწინებელ შემთხვევებად და ინციდენტებად აღიქმებიან.

მოხუცი გოეთე ამ ე. წ. გზასაცდენილი დემონების შესახებ ეკერმანს ეუბნება: „ოღონდ იცით რა, სამყარო ჩვენ რომ გვგონია და გვინდა, ისე სწრაფად როდი აღწევს მიზანს, აქ ყოველთვის სუფევენ გზასაცდენილი დემონები, რომლებიც ყველგან ცხვირს ჰყოფენ და საწინააღმდეგოდ ქმედებენ. ისე რომ, სამყარო საბოლოო ჯამში წინ კი მიდის, მაგრამ ეს წინსვლა ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს".

ოტილიესაც მიაჩნია, რომ ბოროტი დემონი სდევნის. იგი ისე იმართლებს თავს მეგობრების წინაშე თავისი დადუმების გამო: „მე ჩემი გზა დავკარგე და ხელახლა მის [illegible] აღარ დავიწყებ. ბოროტი დემონი, ვისაც მოულოდნელად დავუპყრივარ, თითქოსდა ჩემს გარეშე არსებობს, საშველს არ მაძლევს, [illegible] რომ დასტური მომცეს — მაინც [illegible]

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს იასპერსი დემონურის გოეთესეული გაგების შესახებ თავის ცნობილ წიგნში „მსოფლმხედველობის ფსიქოლოგია". იასპერსისათვის ამოსავალი დებულებაა თვითონ გოეთესეული დახასიათება დემონურისა, ავტობიოგრაფიულ წიგნში „პოეზია და სიმართლე", რომელშიც გოეთე ასე განმარტავს დემონურს: „იგი არ არის ღვთაებრივი, რაკი გონივრული არ ჩანს, არც ადამიანურია, რადგან გონება ნაკლებ გააჩნია, არც ეშმაკეულია, რადგან მუდამ კეთილისმყოფლად შემოქმედებს, არც ანგელოსურია, რადგან ხშირად ნიშნის მოგება სჩვევია, იგი უფრო შემთხვევას ემსგავსება, რადგან შედეგს არ იძლევა, იგი რაღაც რეწვისნაირია, რადგან ურთიერთობას მიანიშნებს.

ყველაფერი, რაც გვზღუდავს, მისთვის ნებადართულია, თითქოსდა თვითნებურად განაგებდეს ადამიანთა ყოფის უმთავრეს ასპექტებს. იგი კუმშავს დროს და განავრცობს სივრცეს, მხოლოდ შეუძლებელია მისი მოსაწონი, შესაძლებელს იგი მძულვარებით განაგდებს. ძველთა მაგალითზე დემონურს დავუძახებდი არსებას, რომელიც ყველა მოვლენაში შეიჭრება ხოლმე, თანაც იმნაირად, რომ თითოეულს კიდეც ანცალკევებს და ერთმანეთთანაც აკავშირებს..."

დემონური ადამიანურთან უცნაურ დამოკიდებულებაში არსებობს და წარმოადგენს ძალას, რომელიც მორალურ მსოფლიო წესრიგს იმდენად კი არ უპირისპირდება, რამდენადაც ერწყმის მას. ისე რომ, ერთის მხრივ, იგი საფუძველს, ხოლო მეორეს მხრივ — მისათქმელს ნიშნავს.

ამ ფენომენს უთვალავი სახელი ჰქვია და ყველა ჟამის ფილოსოფია და რელიგია უნდა შეეცადოს პროზად ან ლექსად ამოხსნას ეს გამოცანა და ამით ერთხელ და სამუდამოდ გაასრულოს საქმე. მაგრამ, ვაგლახ, რომ პოეზიაც და ფილოსოფიაც დღესაც ამ ამოუხსნელ გამოცანებს უტრიალებენ.

მაგრამ ყველაზე საშინელი დემონური მაშინ არის, როცა იგი უპირატესად ერთ რომელიმე ადამიანში იჩენს თავს (ასეთებს ზოგს ახლოს ვიცნობდი, ზოგსაც შორიდან ვადევნებდი თვალყურს). ესენი ყოველთვის როდი იყვნენ ჭკუით ან ნიჭით გამორჩეული ადამიანები, იშვიათად ყოფილან გულკეთილნი. ოღონდ ეს კია, უზარმაზარი ძალოსანი არიან და უჩვეულოდ, დაუჯერებლად პყრობენ ცოცხალ არსს, უფრო

კი სტიქიებს და ვინ იტყვის, რომლენ შორის ვრცელდება იმათი ზემოქმედება. ზნეობრივ ძალთა გაერთიანება იმათ წინააღმდეგ ვერას აწყობს... მახეებს ხომ ფუჭად თავისაკენ ეზიდავენო. ისინი დაუმარცხებელნი არიან, მხოლოდ უნივერსუმს თუ ძალუძს იმათი ძლევა და სწორედ ამ უნივერსუმზე დაკვირვებისა წარმოშვა ალბათ უცნაური, მაგრამ სასტიკი გამონათქვამი: ვერვინ აღმართავს ხელს ღმერთის წინააღმდეგ, თუ არ თვით ღმერთი.“

გოეთე დემონურ ადამიანებს მიაკუთვნებს ფრიდრიხ და პეტრე დიდებს, ნაპოლეონს, კარლ ავგუსტს, ბაირონს, მირაბოს. საკუთარ თავზე კი წერს: „ჩემს ბუნებაში არ ზის დემონი, თუმცა მაინც იმით ვარ შეპყრობილი.“

გოეთეს აზრით, დემონურს მუდამ ვნება ახლავს და მისი საუკეთესო სტიქიაა სიყვარული. დემონური გამოტყვრება ხოლმე ადამიანში, მოვლენაში, ბუნებაში, მრავალნაირ შემთხვევაში. იგი უფრო თვალსაჩინო ინდივიდებს ახასიათებს, მეტადრე მაღალი მდგომარეობის მქონეთ.

გოეთე წერს: „ყოველ განსაკუთრებულ ადამიანს თავისი მისია აქვს, რისი აღსრულებისთვისაცაა იგი მოვლენილი ამქვეყნად. როცა იგი აღასრულებს თავის მისიას, ამქვეყნად მისი ყოფნა აუცილებელი აღარ არის და განგება იმას ახლა სხვა რაიმედ იყენებს. მაგრამ რაკი ქვეყანაზე ყველაფერი ბუნებრივი თვალსაზრისით ხდება, დემონები კვანტს გამოხდებენ ადამიანს და მანამდე არ მოეშვებიან, ვიდრე არ დაამარცხებენ. ასე დაემართა ნაპოლეონს და ბევრ სხვასაც. მოცარტი ოცდათექვსმეტი წლისა მიიცვალა, აგრეთვე რაფაელიც, ბაირონი ცოტათი მეტი ხნისა იყო. თითოეულმა თავისი მისია შეასრულა.“

დემონური საწყისი რამდენადმე შეიმჩნევა ედუარდში, მაგრამ არა იმდენად სრულად, როგორც ეს გამორჩეული ინდივიდუალობებისთვისაა ნიშნეული. ამიტომაც ალბათ, მართალია გეერდტი, როცა ედუარდს დემონურ გმირებს კი არ განაკუთვნებს, არამედ „მოდერნულს“ ოტილიესთან და ლუციანესთან ერთად.

როგორც ბ. კორფი აღნიშნავს, „სულთა ნათესაობის“ ძირითადი თემაა კონფლიქტი ვნებასა და წესრიგს, საერთო კანონსა და პიროვნულ მიდრეკილებებს შორის, რაც ძირეულად ქორწინების პრობლემას უკავშირდება. „სულთა ნათესაობა“ გვიჩვენებს არსებულ ქორწინებით კავშირში ვნების შემოჭრას, ბრმა გულისთქმათა საბედისწერო ზეგუნურების წინააღმდეგ გონების ამხედრებას.

კორფის თვალსაზრისით, ამ რომანში წესრიგიანობა და ვნება — კიდეც უპირისპირდება და კიდეც ავსებს ერთმანეთს, კიდეც ეწინააღმდეგება და კიდეც მოითხოვს ურთიერთს. „სწორედ ამ ფაქტში იმალება მუდმივი მუქარა მშვენიერი ჰუმანიზმისა, რომელსაც ერთსა და იმავე დროს „ბედნიერებაცაა“ და „ბედისწერაც“, თანაც ეს ჰუმანიზმი გადაშლის უფრო მაღალი, უფრო სამომავლო მშვენიერების პერსპექტივას. ეს არის სიცოცხლის სილამაზე, რომელიც მხოლოდ წესრიგიანობაში კი არ მდგომარეობს, არამედ წესრიგისა და ვნების, კანონისა და თავისუფლების კანონზომიერ ცვალებადობათა იმ თამაშში, ორივე ინდივიდუალებას რომ წარმოაჩენინებს თავის ბუნებრივ როლს.

ამ თვალსაზრისს გოეთე მჭევრმეტყველურად ადასტურებს შემოქმედებითაც და ცხოვრებითაც. ის ვინც „სულთა ნათესაობაში“ აცხადებს ქორწინების შეუვალობას და აბსოლუტურ სიწმინდეს, ათი წლის მანძილზე არაქორწინებით კავშირშია გათხოვილ ქალთან (იგულისხმება შარლოტე ფონ შტაინი). მერე უკანონო შვილებს აჩენს ქრისტიანე ვულპიუსთან და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დააკანონებს იურიდიულად ქორწინებას. ეს ფაქტი შინაგანად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წესრიგიანობად მივიჩნიოთ, ის კი მთელი სიცხადით ქადაგებს წესრიგსა და კანონს. ეს თვალშისაცემი წინააღმდეგობა გოეთეს განწყობილებასა და თვალსაზრისს შორის სულაც არ ნიშნავს, რომ ეჭვი შევიტანოთ მის აზრებსა და განწყობილებაში. ამ ფაქტში სულ უფრო ღრმა აზრი იმალება, სახელდობრ, ის უმთავრესი დეტალი მისი მსოფლმხედველობისა — (თვითადქვეთა), რაზეც უკვე ვრცლად გვქონდა ლაპარაკი. გოეთეს წესრიგიანობა არ არსებობს თავისუფლების გარეშე, ხოლო თავისუფლებას ღრმა თვითადქვეთა აწონასწორებს. სამოცდაათი წლის გოეთეს უკანასკნელი სიყვარული თვრამეტი წლის ულრიკე ფონ ლევეცოვისადმი ჭარმაგი მოხუცის შერკინება იყო ბუნების კანონებთან. გოეთე „ელეგიას“ უძღვნის თავის ამ გვიანდელ სიყვარულს („ვნების ტრილოგიაში“ შესამე ლექსს „ელეგია“ ჰქვია, რომელიც 1823 წელს დაწერა). ლექსი წესრიგზე სიხშილის გამარჯვებად აღიქმება. ამ სიყვარულის გულისშემძვრელი ტრაგიზმი ცხოვრების უმშვენიერეს დღესასწაულადაც გაიაზრება, რაც უნატიფესი პოეტური წვდომითაა წარმოჩენილი „ელეგიის“ ბოლო სტრიქონებში. თავისი ცხოვრების უკანასკნელი განაფხულის ჟამს გოეთეს ეწვევა სიყვარული უფრო ახალი, უფრო მაღალი, უფრო განწმენდილი და არა ისეთი, როგორც ეს „სულთა ნათესაობაშია“, სადაც სიყვარული მხოლოდ ბუნების დემონია, ადამიანურ ძალთა დამთრგუნველი ბედისწერა. ეს სიყვარული თავისი შეუდარებელი ღირებულებებით ვნებას ქეთილად აღელვებს, მაგრამ თვითონ ვნება როდია.

ოსკარ ვალცელის საინტერესო ინტერპრეტაციით „სულთა ნათესაობა" ცხოვრებისეული დილეტანტიზმის წინააღმდეგ მიმართული ნაწარმოებია. ვალცელის აზრით, ედუარდი ცხოვრების დილეტანტია, რომელსაც უპირისპირდებიან ცხოვრების ხელოვანები — შარლოტე და კაპიტანი. მაგრამ ეს ცხოვრებისეული ხელოვნება მარცხს განიცდის. ოტილიეში კი განსხეულებულია რაღაც მაღალი, არაამქვეყნიური, ზებუნებრივი, ზეციური არსი. რომანტიკული ნატურფილოსოფიის თვალსაზრისით, ბუნებას ყველაზე ჭეშმარიტად ოტილიე შეესატყვისება.

ერნსტ ბოიტლერი თავის ბოლოსიტყვაში, რომელიც გოეთეს ამ რომანის ბერლინ-შტუტგარდისეულ გამოცემას დაერთვის, საინტერესოდ განასხვავებს ერთმანეთისგან გოეთეს სიჭაბუკისდროინდელ „ვერთერს" (1774) და გვიანდელ პერიოდში შექმნილ „სულთა ნათესაობას". ბოიტლერის თქმით, „ვერთერში" გულისთქმის ქარიშხალი და ბუნებასთან ნაზიარები და შესისხლხორცებული ვნება გამსჭვალავს,— „სულთა ნათესაობაში" კი ყოველივე ჭკუითაა ნაკარნახევი, ენაც ცივია და ძუნწი. მდინარეების, ველ-მინდვრების, დილის ნათელისა და ღამის ვარსკვლავთა, გაზაფხულისა და ზამთრის სევდის ნაცვლად, რაც „ვერთერშია" თვალშისაცემი, „სულთა ნათესაობაში" გვხვდება მაღალი საზოგადოების ჩვეულებრივად, ტრადიციულად, გულგრილად შემოხაზღვრული ატმოსფერო თავისი ერთფეროვნებითა და ნაცრისფრად საშუალო ცხოვრების ნირითა და წესჩვეულებით. ბოიტლერის შეხედულებით ამ რომანის ერთადერთი გმირია ოტილიე, რომელიც უშუალოდ, არარეფლექსურად, ყვავილივით ცხოვრობს. ბედის ანაბარა მიტოვებული ოტილიე მინიონსა ჰგავს და იქნებ რაღაცით მინიონზე უფრო ამაღლებულიც იყოს. გოეთეს ენა ამ ნაწარმოებში სრულიად განსხვავებულია მისი შემდეგდროინდელი ნაწარმოებებისაგან. რომანში იგრძნობა, ერთის მხრივ, პიროვნულად დისტანცირებული, ზოგჯერ წყნარი ირონიული პორტრეტიზირება სასახლის ტონისა, რომელსაც იგი წლების მანძილზე შეჩვეოდა, ხოლო მეორე მხრივ, მეცნიერ-მკვლევარის საქმიანი, რეფერატული ყაიდის მეტყველება.

ბოიტლერს მიაჩნია, რომ რომანში წარმოჩენილი ყველა მოვლენა მხოლოდ სულიერის სფეროს განეკუთვნება. ვფიქრობთ, არ შეიძლება სულიერი სფეროს სწორხაზოვნად და ერთფეროვნად მოაზრება. ჩვენის გაგებით, მხოლოდ სულიერის განცხადება გოეთეს მსოფლხედვის არსებით მომენტად მცდარია. სულიერს გოეთეს აზროვნებასა თუ პოეტურ ხილვაში მიწიერიც ახლავს. ბოიტლერის მიხედვით, ოტილიე მიწაზე და ბუნებაზე ამაღლებული სულია, რომელიც რაღაც განსაკუთრებულ კანონს ექვემდებარება. იგი ერთადერთი ვინმეა, არასათნოთა გარემოცვაში მოხვედრილი, ბოლომდე რომ სათნო რჩება. ოტილიე ამაღლებული პიროვნება უთუოდ არის, ოღონდ არასათნოთა გარემოცვაში მისი არსებობა [illegible] შეგვაწინა-ლუციანესა და ნაწილობრივ შარლოტესან გარდა ამ რომანის არცერთ გმირს არ შეიძლება არასათნო დაუძახო. ვისაც აკლია სათნოება, უფრო ზუსტად კეთილგონივრულობა შარლოტეს, მეტადრე კაპიტანს, მიტლერსაც კი. რაც შეეხება რომანის შედარებით ეპიზოდურ გმირებს (არქიტექტორი, ინგლისელი ლორდი, ლორდის მხლებელი, თანაშემწე.) მათ შესახებ სულ არ ითქმის არასათნო. ბოიტლერი ამბობს: სიკვდილისაკენ ლტოლვა კი არ ათქმევინებს ოტილიეს უარს სიცოცხლეზე, არამედ რწმენით აღსავსე მონანიება. ხოლო იქ, სადაც მონანიებაა, პასუხისმგებლობაც უეჭველია. პასუხისმგებლობა კი ღმერთის წინაშე დგას. ჩვენი აზრით, რწმენით აღსავსე მონანიება რომ ათქმევინებს ოტილიეს უარს სიცოცხლეზე და არა სიკვდილისაკენ თვითმიზნური ლტოლვა, სწორედ ეს არის ოტილიეში საღი, გონივრული მარცვალი და ამიტომ არ უნდა ეწოდოს გოეთეს ამ რომანს მხოლოდ სულიერების სფეროში აღსრულებული მოვლენების ერთობლიობა, როგორც ეს ბოიტლერს მიაჩნია, ჩვენი აზრით, იგი ღრმა სულიერებასთან ერთად მიწიერად ჟანსაღსაც გულისხმობს. მკვლევარი სავსებით გამოკვეთილად აღნიშნავს, რომ ამ ნაწარმოების ფინალში ცხადდება ქრისტიანული სამყარო, რომელიც ყოფის წესრიგს უმდიდრესი და უმშვენიერესი ფერებით სიმბოლურად წარმოაჩენს. თავის საზრისს ბოიტლერი ადასტურებს გოეთეს ცნობილი წერილით, რომელიც ნარკვევში უკვე სხვა ადგილას მოვიხმეთ და ამჯერადაც გავიმეორებთ: „მეტად მარტივი ტექსტი ამ ვრცელი წიგნისა არის ქრისტეს სიტყვები: „რამეთუ ყოველი რომელი ხედვიდეს დედაკაცსა გულის თქუმად მას, მანვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა". არა მგონია ვინმეს შეეცნოს ამ პარაგრაფში ქალის ნამდვილი ბუნება". ამ წერილს ბოიტლერი ასეთ კომენტარს უკეთებს: „ასე სკეპტიკურად იყო განწყობილი გოეთე საზოგადოების მიმართ. ჩვენის აზრით, ეს წუთიერი სკეპტიკური განწყობილებაა მხოლოდ და არა არსებითი უდიდესი პოეტ-მოაზროვნის მსოფლმხედველობაში. სკეპტიკური მომენტი ეგებ მართლაც გამოკრთოდეს აქა-იქ გოეთეს სამყაროში, მაგრამ იგი ტოტალურად როდი მოიცავს მის შემოქმედებას—მსოფლშეგრძნებას, არამედ მტკიცე დუღაბით ჰკრავს და ძლევამოსილს ხდის

უდიდესი ხელოვანის სწორუპოვარ და მონოლითურად მთლიან ჰუმანიზმს.

ძნელია დაეთანხმო გოეთეს ამ რომანის და საერთოდ მისი შემოქმედების მხოლოდ ქრისტიანული თვალსაზრისით დანახვას, უფრო მეტიც, იქნებ ამ აზრის კონცეპტუალურად საწინააღმდეგო პოზიციაზეც ვიდგეთ. ჩვენის ღრმა რწმენით და გაგებით გოეთესნაირი ლამის ღმერთის ტოლი შემოქმედი არასგზით არ შეიძლება ერთ რომელიმე განსაზღვრულ რელიგიურ თუ ფილოსოფიურ, მით უფრო სოციოლოგიურ საზღვრებში მოთავსდეს. შესაძლოა, ამ შემთხვევაში ქრისტიანულის თანაბარი უფლება ენიჭებოდეს მსოფლიოს სხვა რელიგიებსაც პოზიტურ ასპექტში. სახელდობრ, რატომ უნდა უგულვებელიყოს წარმართულ-სპინოზისტური გაგება გოეთეს შემოქმედებისა, მით უფრო იმიტომაც, რომ თვითონ გოეთე სპინოზას ფილოსოფიას ქრისტიანულ მსოფლგაგებაზე ნაკლებ თაყვანს როდი სცემდა. ასევე შეიძლება უსასრულოდ მოვიხმოთ სხვა რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციები გოეთეს შემოქმედებასთან მიმართებაში. აკი მაგალითად, ჩვენგან უდროოდ წასული შესანიშნავი ქართველი გერმანისტი — რეზო ყარალაშვილი თავის საინტერესო ნაშრომში გოეთეს ამ ნაწარმოების ჩინურ ფილოსოფიასთან, კერძოდ, გამოჩენილი კონფუცციანელის-ლაო ძის ერთ დებულებასთან კავშირს იკვლევს, ზუსტად რომ ვთქვათ, უფრო ესეისტურად განიხილავს ამ უაღრესად რთულ პრობლემას. მკვლევარის აზრით, ოტილიეს სახეში მოიხილება მსოფლშეგრძნება, რომელიც ძველ-ჩინურ ფილოსოფიაში იყო საცნაური, სახელდობრ „წმინდა კაცი საკუთარ თავს უკან დახწევს ხოლმე, სამაგიეროდ საკუთარი თავივე წამოსწევს წინ. იგი უარს ამბობს საკუთარ თავზე, მაგრამ ამით საკუთარ თავსვე იცავს“.

აქვე საინტერესოდ განიხილავს მეცნიერი ოტილიეს სახეს. მისი გაგებით, ოტილიე გარეგნული „ხასიათი“ კი არ არის, არამედ შინაგანი ინდივიდუალობა, ვისაც ინტიმური დამოკიდებულება აქვს საკუთარ გაუცნობიერებლობასთან. მისი თავის ტკივილები, ზინდისებრი მდგომარეობანი, ლითონშეგრძნობელობა მხოლოდ გარეგნული ნიშნებია ღრმა კავშირისა ირაციონალურთან, თავის შიგნით არსებულ სტიქიურ ძალებთან.

გოეთე „ყოველგან არსს“ მოიცავს და მისი ყოვლისშემმეცნებელი და ყოვლისაღმქმელი ჰუმანიზმი ყოველგნით შეიძლება სიკეთეს ქადაგებდეს. გოეთეს რელიგიური ფენომენი კი, სახელდობრ ქრისტიანულ რელიგიასთან მისი დამოკიდებულება საგანგებო კვლევის საგანია და სამერმისოდ ამ მიმართულებითაც ბევრი უნდა გაკეთდეს.

უთვალსაჩინოესი გერმანელი მკვლევარი ოსკარ ვალცელი მსოფლხედველობრივად გოეთეს სავსებით აიგივებს ნოვალისთან. „სულთა ნათესაობის“ ფინალი ო. ვალცელს თავისებურად ესმის. მისი აზრით, ოტილიესა და ედუარდის ამქვეყნად აღუსრულებელი [illegible] სიყვარული მხოლოდ იმიერ სამყაროში [illegible]ლად, ედუარდსა და ოტილიეს მხოლოდ იმქვეყნად უწერიათ სამარადისო ერთად ყოფნა. აი, რას ამბობს გოეთე რომანის ფინალში: „... რა სიხარულისმომგვრელი იქნება ის წამი, როცა შეყვარებულები ოდესმე ერთდროულად გაიღვიძებენ“. ვალცელი კითხულობს: განა შეიძლება ეს სტრიქონები სხვაგვარად შევიგრძნოთ, ვიდრე ეს ნოვალისის „ღამისადმი ჰიმნებში“ იგრძნობა. ნოვალისი უმთავრესად განადიდებს მიღმურს, იმიერს, სულისა საიქიო სამკვიდრებელს. ჩვენის აზრით, ძნელია გოეთესა და ნოვალისის ერთ სიბრტყეზე დაყენება, მათი ერთნაირობის აღიარება მიღმური სამყაროსადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. ნოვალისის პოეზია — მსოფლაღქმა ბევრად უფრო „ორთოდოქსულ“ ქრისტიანული მოჩანს, ვიდრე გოეთესი. გოეთე შორსა დგას ყოველგვარი „ორთოდოქსიისაგან“: ამ მხრივ ამ ორი უდიდესი პოეტ-შემოქმედის განსხვავებულობა უთუოდ თვალშისაცემია და ვალცელს, როგორც ორთოდოქსულ-ქრისტიანულის აქცენტით გამორჩეულ მკვლევარ-მოაზროვნეს, ბუნებრივია, უჭირს ამ სხვაობის დანახვა.

სავსებით სწორად აღნიშნავს გოეთეს ცნობილი თანამედროვე მკვლევარი ერიხ ტრუნცი, რომ გოეთე ცხოვრების პოეტია, თანაც მთლიანობაში აღქმული ცხოვრების პოეტი. ეს მთლიანობა კი, ე. ტრუნცის მიხედვით, პოლარული რიტმია: მე და სამყარო, ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა.

გოეთე — ბუნებისმეტყველი და გოეთე — პოეტი განუცალკევებელი ცნებებია. მისთვის პოეტურ შემოქმედებაში თუ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში ამოსავალი წერტილია განცდა, რაც სულიერად ამოძრავებს მის არსებას, ხოლო პოეზია გრძნობად ფორმებში გამოხატავს. გრძნობად-განცდილი კი სულიერად შეიმეცნება. განცდის ნაყოფიერება მხოლოდ ხელოვნების სფეროთი კი არ შემოიფარგლება, არამედ იმავდროულად საბუნებისმეტყველო არესაც მოიცავს. პოეტურობა და მეცნიერულის ეს შერწყმა სწორედ გოეთეს მხატვრული შემოქმედების არსებითი ნიშანია, რასაც საოცარი სიცხადით ადასტურებს რომანი „სულთა ნათესაობაც“. გოეთე სიმართლის ძიებასა და სამყაროს შეცნობას ისახავს ამოცანად მასში მოქმედ კანონთა მეშვეობით. თავის „მაქსიმებსა და რეფლექსიებში“ იგი ამბობს“: ხელოვნების

ყოველ ქმნილებაში, დიდი იქნება იგი თუ მცირე, სულ უმცირეს დეტალებსაც კი გარკვეული კონცეფცია განსაზღვრავს".

რუდოლფ შტაინერი აღნიშნავს, რომ გოეთეზე უდიდესი ზეგავლენა მოუხდენიათ ლინეს, სპინოზას და შექსპირს. ეს სამი პიროვნება — ბუნებისმეტყველი, ფილოსოფოსი, მწერალი — კვებავს გოეთეს, როგორც ხელოვანსა და მოაზროვნეს. ლინეს იგი დაუპირისპირდა, ხოლო ამ დაპირისპირების შედეგად საკუთარი თვალსაზრისი შექმნა მცენარეთა და ცხოველთა ფორმების შესახებ. სპინოზასაგან გამოხატვის წესი ისწავლა, რათა სპინოზასეული აზრების ენით საკუთარი მსოფლხედვა შეექმნა, ეს მსოფლხედვა კი შინაგანად ბევრად უფრო მრავალისმომცველი იყო და მდიდარი, ვიდრე ფილოსოფოსისა, ხოლო შექსპირში ჰპოვა სული, რამაც მისი პოეტური ძალა ისე გააცოცხლა, როგორც ეს მისივე საკუთრივი არსი შინაგან მოთხოვნილებებს შეესატყვისებოდა. იქვე რუდოლფ შტაინერი დასძენს: „ზოგნი ამბობენ, გოეთეს მეტისმეტად მწირი მეცნიერული აზრი აქვს, იგი ცუდი ფილოსოფოსი და საუკეთესო პოეტი ბრძანდებაო. ამიტომაც შეუძლებელი ხდება თურმე მეცნიერულის თვალსაზრისით მასზედ დაყრდნობა. ასეთი განცხადება სრული არცნობაა გოეთეს ბუნებისა. გოეთე, რა თქმა უნდა, არ არის ფილოსოფოსი ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ მისი პიროვნების გასაოცარმა ჰარმონიულობამ ათქმევინა შილერს, ნამდვილი ადამიანი ამქვეყნად მხოლოდ პოეტი თუ არისო, ამ „ნამდვილ ადამიანში" კი იგი სწორედ გოეთეს გულისხმობდა. მის პიროვნებას არ აკლდა არცერთი ელემენტი, რაც კი უღრმესი გამოკვეთილობით საყოველთაო-ადამიანურს არ განეკუთვნებოდეს. მაგრამ ყველა ეს ელემენტი მთლიანობაში არსებობს და ქმედებს".

რომანი „სულთა ნათესაობა", ასევე გოეთეს შემოქმედება მთლიანად, კვლავაც და კვლავაც ელოდება ახალ სასწაულს უღრმეს პოეტურ თუ მეცნიერულ ლაბირინთებში გზის გასაგნებად. გოეთესდარი შემოქმედის შესაცნობად შესაძლოა თეოსოფიის სფეროსაც მივაშველოთ, ოღონდ ამას უფრო მაღალი ჭეშმარიტების დასადგენ ერთ საყურადღებო და ღირსსაცნობ საფეხურად აღვიქვამთ.

Ն 66/49

ახალი ფასი 10 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

76132